



H. ପାତ୍ର

ନାଥପାତ୍ର

ମୁଦ୍ରଣ
୧୯୫୭

წინ მოქმედლი

გოლოსით ფარგლენა

ქვირფასო ქართველო მკითხველო,

ამბობენ: „მკვახე ენა გაქვს და სასტიყი მსჯელობაო; გაზეია-დება იცი დ ამიტომ,—ობიექტივობის შთაბეჭდილება ეკარგება შენს ნაწერსა“—ო. იქნება მართალიც იყოს, მაგრამ, ერთის მხრით, — სა-მშობლოს, დედა ენას, „ვეფხვის ტყაოსანს“ (როგორც ეროვნულ სახარებას), ან დედას რომ შევიგინებენ, ან ვნებენ, — ეს ხომ ხელ-წამოსაკრავი ან საყველ-პურო საგნები არაა, — ალუშფოთებლად იმ-სჯელო, როგორც, ვსთქვათ, ...ასანთის ცარიელ კოლოფზე, ან ვინდ მთვარის შუქზე? მეორე მხრით, ახალგაზრდობიდგანვე, კერძო ცხო-ვრებაში, მით უფრო საზოგადოებრივსა და პოლიტიკაში, კველაზე დიდ ცოდვად, დანაშაულად მიმაჩნდა, — სიცრუე. ამიტომ მე, რო-გორც ყველას, შეიძლება შეცდომა მომიციდეს რაშიმე, ან ბევრ რა-მეშიაც, მაგრამ არასოდეს საგანს, ფაქტს, მოვლენას, განვეტ რაიმე მოსაზრებით, ან შეგნებულად არ გავაბრუდებ ერთი იოტითაც, არა-ფერს მოვიგონებ, არ შევთხზავ ხოლმე.

სულ სხვაა — შეფასება, და, აქ ობიექტიობა (?) უაზრობას უდ-რის, ვინაიდან თვით პრინციპი შეფასებისა უალრესად სუბიექტი-ურია და ყოველ ადამიანს შეუძლიან თვისებურად, იმისდა მიხედ-ვით, თუ შემფასებელი ვინაა. ე. ი. შეფასება, ასე ვსთქვათ, არის ფუნქცია ადამიანის თვისებათა ჯამისა: მისი ზნეობის, გონების, რწმენის, ხასიათის, მსიფლმხედველობისა და, თუ გნებავთ, ზნისაც.

მე ხომ იმ დაბრმავებულთათვის არა ვწერ, ვინც, სულ რომ თა-
ფლში ამოვივლო ენა, სინამდვილის დანახვას არც მომიტომქმედი
ვერც შეძლებს; და შენთვის, ობიექტიურო მკითხველს, — უნდამეტ ა-
როდ მაინც გაადვილებულია მოვლენებისა თუ მათი ჯამის მკაფიოდ
დანახვა-გამორკვევა, ხომა? შეფასება კი — შენი საქმეა.

მაგალითისათვის: ბრესტ-ლიტვინოსკში მონაწილეობის მიუღებ-
ლობა, მე მიმაჩნია სრული უვიცობის შედეგად და სახელმწიფოებ-
რივ დანაშაულად, შენ შეგიძლიან ჩასთვალო შეცდომად, ან უმნი-
შვნელო ამბად, ან თუნდ გონივრულ სიფრთხილედ; არც შენი, არც
ჩემი შეხედულება-შეფასება, სრულებით არ არღვევს თვით მოვლე-
ნის ისტორიულ ობიექტივობას. ან, ვსოდეთ, ავტოკეფალიის ალ-
დგენა, დამოუკიდებლობას რომ უსწრებდა ერთი წლით, მე მიმაჩნია
დიდ ზნეობრივ-პოლიტიკურ და გაბედულ აქტად: ვინ გიშლის ჩა-
სთვალო უმნიშვნელო, ან თუნდ დიდმნიშვნელოვან სისულელედ?
ან „ეროვნულ ყრილობისაგან“ «არჩევა» (?) 56 სოციალისტისა და
9 — არა-სოციალისტისა, განა სცელის არითმეტიკასა და ეროვნულ
ძალთა დისპროპორციას, მე რომ რუსული ხიშტების ძალადობა და-
ვარქვა და შენ „საქართველოს დემოკრატიის“ სურვილად მონათ-
ლო?

ან, ვსოდეთ, რა გამოეცვლება ბატონ ნ. უორდანის წიგნის
«ობიექტივობას», მე თუ ვეგობ და ზოგს ისეთ ზოდად მიაჩნია, რომ
აპირებდნენ, თურმე, ამ სამწუხარო „წარსულის“ უცხო ენებზედაც
კი თარგმნას?

ეს ზოგიერთი საბავშვო(?) მაგალითები მომყავს იმისათვისაც, —
მხოლოდ ჩვენშია აზრთა სხვადასხვაობა გამოცხადებული—ლანდ-
ლვად. მე კი სიცრუედ ჩავითვლიდი, ჩემი შეგნებისა, ზნეობისა და
ცოდნის ფარგლის საზომით არ შემეფასებინა ყველაფერი ის, რაც
მახსოვეს.

მზადა ვარ, ვალიარო შეცდომები, მოვინანიო კიდეც, თუ ვინმე
ფაქტებისა, მოვლენებისა და სინამდვილის „გაბრუდებას“ შემისწო-
რებს და ჩემს შეფასებათ... თუნდ აინუნშიაც ნუ ჩაიგდებს.

დევ, მეტი ობიექტიობა იმ შვილიშვილებმა და შვილი-შვილის-
შვილებმა გამოიჩინონ, ვინც ამ ამბებს არ შესწრებია და საკუთარი
ჯიგრით არ განუცდია. სამწუხაროა არა ის, რომ შეიძლება მე არ

ვიყო მართალი ზოგიერთ შეფასებაში: მე ჯანი გამვარდეს! — 
ნელება იმაშია, რომ მართალია ის, რის შეფასებაც ასეუ ~~შემძლებელი იყენება~~
ხოლმე.

დასასრულ, დიდი მადლობა უნდა გამოვუცხადო „საიუბილეო
კომისიას“ და იმ მრავალრიცხოვან თანამემამულეებს, ვინც ასე უხ-
ვად დამეხმარა, ნივთიერად თუ გარჯით, ამ წიგნის გამოცემაში
(:1955 — 1959 წ.).

პარიზი. 1959 წ. რ. 8.



მეცნიერებლის უნივერსიტეტი

გერმანული
სისტემის



6. 8 1 8 1 7 3 0 4 4 0

କାବ୍ୟ ମାର୍କ୍ସିଜ୍ୱୁ.

ମନ୍ତ୍ରେନ୍ଦ୍ରନ୍ଧନ

1957

ଶ୍ରୀମଦ୍ବା. ଡା. ମେତୀର୍ଣ୍ଣପ୍ରେଲିଙ୍ଗ

ଜୀବନ କାଥା

რაც მახსოვრობა

I

პირველი, რაც მაგონდება პოლიტიკური ცხოვრებიდან, არის
 ის „საგანმანათლებლო წრეები“ („პროსეტიტელნიე კრუეკი“), რომელ-
 ნიც მოღაში იყო ოთხმოცდაათიან წლებში. ვინმე, ჩვენზე უფროსი
 თაობიდან, ჰქონდა 15—25-ოდე მოწაფე ქალ-ვაუს და საღმე თ-
 ჯახში, ამაღლვებელი „საიდუმლოების“ ატმოსფეროში გვიკითხა-
 ვდნენ „რეფერატებს“ ისეთ საგნებზე, რასაც სკოლებში არ გვას-
 წავლიდნენ და ... აკრძალული იყო. მასესოვს, ერთ-ერთ ასეთს რე-
 ფერატს გვიკითხავდა, — სადღაც, ანჩის-ხატთან მოსახლე ოჯახში—
 ვინმე ლევან ციციშვილი, „მშვენიერი ორატორი, თარზე საუცხო-
 ვოდ დამკვრელი, მომღერალი და ლამაზი კაცი“, როგორც გვიხსი-
 ათებდნენ ... ახალგაზრდა ქალებისა და ვაჟების წინასწარ მისაზიდა-
 ვად... მაშინდელი „პროპაგანდისტები“. „საზოგადოება“ სულ-განაბუ-
 ლი ველოდით, როცა ზარი დაირექა და რამდენიმე ქალმა შემოი-
 ყვანა მოწიწებით ... „ლევან, ლევან, ლევანია ...“ გაისმოდაჩურჩული.

მართლაც, მოვესალმა მშვენიერი, წარმოსადევგი ვაჟკაცი და...
 რეეულიდან გვიკითხავდა ნაცნობსა და უცნობ ამბებს, საცა ისეთი
 უცნაურიც იყო გარეული, რომ ... მაშველოთებდა ერთი-ერთმანეთთან
 შეუსაბამობით: ქვეყნის ტრიალი, ... ეკონომიკური ურთი-ერთობა, ...
 სამართლიანობა, ... მტრედების ბუნებრივი, თავისუფალი სიყვარუ-
 ლი, „ულვლელოდ და უქორწინოდა“-ო, ... ტანისამოსის არა-ბუნებრი-
 ვობა და ხელოვნურობა, როცა „ადამიანი უნიფრედ და უპიჯაკოდ
 იბადება“-ო და სხვა და სხვა.

მე ძალიან მოჩიდებული ვიყავი მაშინ, მაგრამ 16—17 წლის
 სიკაბუკემ ვერ მომათმენინა და... ამისთანა რეფერატების დროს
 „ჩვეულებრივი“ კამათი რომ გაიმართა, სიტყვა მოვითხვე.



— როგორ, ბატონი ლევან!.. უფროსი, განათლებული ქადაგი მოგვიახლოება ნი... გვიყითხავთ მოხსენებას... და არ ფიქრობთ იმაზედ, რომ აე, გარდა და უფროსი მოწაფეებისა (ვამბობდი ნაწყვეტ-ნაწყვეტად, აღელვა-ბისაგან). არიან გოგო-ბიჭებიც 12—13 წლისა ... და რა უნდა დაი-ხსომოს, მაგალითად, გენო შატბერაშვილმა მთელი თქვენი მოხსე-ნებიდან, ჩვენთვისაც ძნელად გასაგებიდან, — გარდა იმასა, რომ ... „ბუნებრივად უნიფერალუნდა იაროს და მტრედებს მიპაძოს...?“ ეს „განმანათლებელი წრე“ კი არა, გარყვნილების წრეს ემსგავსება.

ზალაში ოლიაქოთი ასტყდა, ბატონმა ლევანმა აკრიფა თავი-სი რცეულები და, გაბურული, მეორე ოთახში გავიდა ... ქალები ჯერ იმას აშოშმინებდნენ, — დიასახლისები — მერე მე მისაცველურებდნენ, რომ „ისე ვერ გავიგე“ (?) და... „უფროს კაცს შეურაცხოფა მივა-ყენე“ და სხვა.

კრება დაიშალა და ამის შემდეგ ამ წრეში მე აღარ მპა-ტიუებდნენ; მგონია, ალარც გენო შატბერაშვილს, რადგან შემდეგ-ში ის „ცეცხლისტება“ გახდა და, თუმცა მტრედსა ჰგვანდა, კა-ნონიერად იქორწინა ა. ჯ — თან.

მე სხვა „წრეებში“ დავდოლი და დიდი დაგვიანებით გავიგე, რომ ბატონი ლევან ციციშვილი, თავადი, მეთარე, მომლერალი და ლამაზი ვაჟკაცი და „ქალების დუშა“ — სოციალ-დემოკრატი ყო-ფილა.

შემდეგი პოლიტიკური შემთხვევა, მოწაფეობისას, 1901-ს თუ 1902-ს მოხდა, არ მახსოვს. სკოლაში ხმა გავარდა, „ხვალ დემონ-სტრატია იქნება იარმუქაში“! როგორც ბევრნი სხვანი, გავქანდი იარმუქისაკენ და „ალექსანდრეს ბალის“ ქვემოდ, ორბელიანის ქუ-ჩაზე, საშინელი სურათი დავინახე: რუსის ცხენოსან ყაზახებს მო-ჰყავდათ ოციოდე თავპირ-დამტვრეული, დასისხლიანებული ქარ-თველი და მათრახებით სცემდნენ კიდევ და ერეკებოდნენ ქვეითებს. იშვიათად გაფანტული ხალხი აღშფოთებით უყურებდა ამ საზის-ლრობას, და მეც ვერ მოვითმინე: „აი თქვე მხეცებო, დაჭერილ ხალხს რაღასა სცემთ?!“ - მეთქმ. ერთმა მთვრალმა ყაზახმა, აღრეული თვა-ლებით, ხმალამოლებულმა, გამოაქანა ჩემსკენ ცხენი და, აღბად, თავს გამიხეთქავდა, რომ ცხენს ფეხი არ წასხლტომოდა ტროტუარზედ და მე ბალის ოობეზე არ გადავმხტარიყავი. ამ შემთხვევამ ბევრნა-

ირად ჩამაფიქრა; ისედაც შეჯავრებული რუსის პოლიცია. ჭარი და ყაზახობა უფრო მტკიცედ და მშვაედ შემჯავრდა და კუთხმოსტული ტრანსტრენდებზედაც“ გული მომიღიდა: „როგორ? ასეთ მხედულულები ბრძოლველად მარტო კეტებით გამოვიდნენ?“

ამ კეტების ამბავი მერე გავიგეთ: ვითომ წინდაწინვე განზრახვით „დემონსტრანტებს“ სარებით სავსე ურემი ჩამოყავანათ ბაზარში და, როცა პოლიცია დაერია, დაუტაცნიათ კეტებად და ასე იგრიებდნენო. ამის შემდეგ იყო, რომ მამას ორი რევოლვერიდან, რომელიც მუდამ ჩაეყეტილი ჰქონდა საწერი მაგიდის ყუთში, ერთი სამუდამოდ ჩემს ჯიბეში გადმოვიდა.

1902 წელს ცხრამეტი წლისამ გავათავე „ქართული სათავადაზნაურო სკოლა“: (1) თბილისში და წავედი ბელგიაში უმაღლეს „ელ-ექტრო-ტექნიკურ—მონტეფიორეს სახელობის—ინსტიტუტში“ ლიეუში, საცა დავყავი სამი წელიწადი და 1905 წლის რევოლუციის დროს დავბრუნდი თბილის ... „საქართველოს გასანთავისუფლებლად“, როგორც მაშინ წარმოდგენილი გვქონდა. იმ დროს უკნევაში, პარიზში, ლონდონში, ბრიუსელში და ჩვენს ლიეუში ბევრი, „რუსეთიდან“ წამოსული არა-რუსი სტუდენტობა სწავლობდა, და განთქმული რევოლუციონერები ყველა ბანაკისა ხშირად კითხულობდნენ მოხსენებებს და აწყობდნენ ორგანიზაციებს რუსული რევოლუციის მოსახლეობად ... ამ ახალგაზრდობიდან.

სწორედ აქ გავეცანი, — უმაღლესი მათემატიკის საგნებთან ერთად, როგორც პირადად ლენინს (2), ტროცკის, პლეხანოვს, მარ-

შენიშვნა (1): პაშინ ჯერ არ ერქვა გომნაზია, თუმცა უკვე მეტად წელიწადი იყო, რაც გომნაზიის სრული პროგრამით შერვე კლასი არსებობდა და ხუთ-ხუთმა მოაფეხმ გავათავეთ. სკოლას არ ჰქონდა უფლება „სიმწიფის მოწმობის“ გაცემისა და „ექსტრემიზმად“ ვაბარებით გამოცდებს კლასიკურ გიმნაზიებში. ჩემთან ერთად გაათავეს შალვა მესხიშვილმა და გაბო ჯორაშვილმა; „ჩაიკინენ“: იროდიონ სანლულაშვილი და დიმიტრი ჯავახიშვილი, შემდეგ პირველი — მუზეუმის გამგე და მეორე — სამხედრო ექიმი.

შენიშვნა (2): ჯუკლუნა, მონლოლის ტიპის ლენინი, — ბოლშევკი, ცეცხლივით მჭერ-მეტაველი, ლამაზი ტროცკი — მენშევიკი, რომელიც ენტუზიაზმით ალგზნებდა ბოლმე აუდიტორიას; დარბასელი, ცოდნით და იუმორით სავსე — პლეხანოვი, მენშევიკების „თეორეტიკოსი“ და სხვა „სოც-რევოლუციონერები“, „ანარქისტები“ და სხვა და სხვა, რომლებიც თითქმის ყოველთვის ათავებდნენ სიტყვას ასე: „სამოდერნაციი შატატსა“, და მიკირდა: „რაზე ეტყობა რევე ამ ვეშაპს“, თურმე კი...



ტოვს, დანს და სხვათ, ისევე მათ „სახარებას“: კარლ შარქისქელუნგაზე
პიტალს“, „პოლიტიკურ ეკონომისას“, „კომუნისტურ მასიურულისას“
სხვა მრავალ „ლიტერატურას“—გაზეთებით („ისკრა“, „სოციალისტ-
რევოლუციონერ“—ს და სხვა), ბროშურებით, წიგნებით და ჟურნა-
ლიტერატურით, როგორც „მამათ-მთავართაგან“, ისე მათ მიმღევართა
„რეფერატებას“ და „კამათებში“.

აღზრდილი დედახემის იდეალისტურ და სამართლიანობის პრინ-
ციპებსა და პატიოსანი და სიმართლის მოყვარული მამის ოჯახში;
სწავლა-მიღებული საქართველოს ყველაზედ პატრიოტულ სასწავ-
ლებელში,—ვერაფებოდი ხარბად ამ „მქადაგებელთა“ სამართლიან
მოთხოვნილებათ თავისუფლებისა, თანასწორობის უფლებასა თუ
მატერიალურ შეძლებაში, მაგრამ ვერასგზით ვერ გავიგე (და დღე-
საც არ მესმის) კავშირიც კი, არა მარტო მიზეზობრივი დამკი-
დებულება მატერიისა სულთან, სამართლიანობისა — ქნებასთან,
იდეალისა — ბოროტ-მოქმედებასთან თანამემამულების წინააღმდეგ,
თუ სხვა კლასს ეკუთვნიან. ლენინისა და ტროცკისა ისე არა, რო-
გორც განათლებული, ჭკვიანი პლეხანვის ულოლიკო-ლოლიკა მა-
კვირვებდა, რომელიც იგივე აზრებს (ეგონა, რომ) ამტკიცებდა და
გასაოცარი მაგალითები მოჰყავდა მუდამ:

— აი, დოქტორ შტოკმანი იდეალით გატაცებულია, მაგრამ ბივ-
შტეკი მაინც არ ავიწყდებაო, ან ...

— შოპენის მუსიკა საზოგადოებრივი წესწყობილების „ზედნა-
შენი“ არისო.

„... ძალისაც შეუძლიან ბივშტეკის ჭამა, მხეც ადამიანსაც,
ბრიყესაც, სულელსაც, ჭკვიანსაც, ნასწავლსაც, კეთილსაც ან ძუნწს,
მაგრამ ყველა შტოკმანი ხომ არა ხდება?!“ ან ...

„... საზოგადოებრივი წესწყობილება ყველგან არსებობს, მაგ-
რამ სხვაგან ბეთჰოვენი, შოთა, ფილიასი ან მიკელ-ანჯელო რად დაი-
ბადა? ან თვით პოლონეთში — სენკევიჩი და საფრანგეთში —, ნოტრ
დამ“—ის ხუროთმოძღვარი, რომელთაც არათერი საერთო არა აქვთ
არც ერთმანეთთან, არც, მით უფრო, შოპენთან...“ ვფიქრობით და ..
ვკამათობდით შემდეგ.

ამ რიგის „დეტერმინიზმი“, „მონიზმი“ და „მატერიალურულუსული რი სარჩული ისტორიისა“ და სხვა და სხვა „ზედნაშენშეა კულტურული ცველაფერი, რაც ცხოვრების სილამაზესა და სიმალლებს შეადგენს, თუ მარტოოდენ კუჭისა და მექუჭეების („კუჭისტების“) ურთიერთობაზეა დამყარებული, მაშინ გასავები ხდებოდა, რომ გული, გონება და სული „სოც.-დემოკრატისა“ კუჭის ხვრელებშია გახვეული და ამიტომ გაბოროტებული.

სწორედ ასეთი „მეცნიერული სოციალიზმისათვის“ შესაფერი მეთოდი აზროვნება-მსჯელობისათვისაცა აქვთ შემუშავებული ძველ ტალმუდისტებისა და საბერძნეთის სოფისტიკაზე დაყრდნობილი დიალექტი კა, ე, ი. არავითარი პრინციპი, არაფერი მყარი არ არსებობს, და აქედან,—არც რამ მორალი. ყველაფერი მოძრავი და ცვალებადია. არც სინამდვილე, არც სიმართლე, არც, მაშასადამე, სამართლიანობა. თეთრი და შავი, კეთილი და ბოროტი, ნათელი და ბნელი, ყველაფერი მოძრავი და წარმავალია. ამიტომ ამ ულოდიკო ხალხისათვის ... ლოლიკურად ერთი და იგივე ღირებულებას წარმოადგენს ზნეობაც და უზნეობაც, სიცრუე და სიმართლე, დანაშაული და გმირობა, ცოდვა და სიწმინდე, და ასეთი ორევვა შეაქვთ თავიანთ ყოველდღიურ აზროვნებასა, ზნეობასა და ცხოვრებაში. წარბშეუხრელად გიმტიკიცებენ ღლეს ერთს, ხვალ — საწინააღმდეგოს დიამეტრალურად, და, რაფი ეს მართალი არ არის, და აშკარა სიცრუე თვალში საჩერი, მცოდნე, გონიერ თუ ბუნებრივად შეგნებულისათვის.— ისე ეკვარისტებინებენ სიტყვებს, აზრებს, ფრაზებს, რომ ვერასოდეს საგანი მსჯელობისა ვერ შეგრჩებათ ხელში; არა მარტო შენი თვალსაზრისით, მათივე საგანი უსხლტებათ ხელიდან და გადადიან, შეუმჩნევლად თუ შესამჩნევად, სხვა საგანზე. ამაში ზოგი ოსტატია, ზოგი — გაქირ-ვირი, მაგრამ ყველანი — უტიფრონი აზროვნობაში, არა-სანდონი საქმეში, არა-სანდომიანნი ცხოვრებაში. სიცრუისა არა რცხვენიათ; მათთვის „პოლიტიკა მამაძალლობაა“ (ნ. ეორდანიას ფორმულა), ეგოიზმი — მთავარი სახელმძღვანელო.

ამიტომ პირზე სულ მალალ-ფარდოვანი სიტყვები აკერიათ, რეალობაში კი უმდაბლესს, სხვისა და თავისს, ინტერესებზედ თაშმობენ.



ორმოცდათი წლის გარედან დაკვირვებისას საქართველოში მუსიკური და ხადას ნახავდა აღამიანი, უამრავ მაგალითებსაც რომ პრეცენტო-მოდი ჩემს მათთან ნებსით და უნებლივ ურთიერთობაში.

ამაზე ქვევით, და ეხლა დაუბრუნდეთ ბელგიას. აქ მოგვისწ-რო რუსეთ-იაპონიის ომმა და მისმა მომდევნო რევოლუციამ.

გასაოცარი იყო, რუსეთის დამარცხების ამბები რომ მოდიოდა: არა მარტო უცხოეთის პრესა და რუსეთიდან გამოსული არა-რუსები, თვით ყველა რუსი სიხარულით ივსებოდა და ისეთ საზარელ ამბებისაგან, რომ „დიდი მთავარი მოჰკელეს მოსკოვში“ და მეტად-რე პლევე რომ მოჰკელეს,— პეტერბურგში, აღტაცებაში მოდიოდნენ. ერთმანეთს ულოცავდნენ; საზოგადოებაში რაღაცა დიდის, მოლოდინის ატმოსფერო სუფევდა. ყველა ემზადებოდა, მაგრამ მოძრაობა „ბრძოლისაკენ“, სიტყვებში წლობით ისეთი აღფრთვოანებული, მაინცა და მაინც არა სხინდა, ორიოდე ქართველი სტუდენტი ლიექსა და ბრიუსელში მყოფი, ვეწავლობდით თოფის სროლას პალიკ ყიფიანის ხელმძღვანელობით და მე საგანგებოდ შევისწავლე ამაფეოქებელი მასალების დამზადება ბელგიელ ვიღაც ანარქისტი-საგან,— უკვე მთლად მოხუცებულ, განთქმულ გეოგრაფისა და ანარქისტ ელიზე რეკლიუს მოწაფისაგან.

(გასაკვირველი იყვნენ ესენიც და ყველა სხვა „ანარქისტებიც“, რომლებიც კი მე შემხვედრიან: ცხოვრებაში ყოვლად სათნა და უწყინარნი, უკიდურესად პატიოსანნი; იდეებში— ქვეყნის დამგრევნი და სხვის თვალში საშიშარნი... ელიზე რეკლიუ, ჩერქეზიშვილი, ალექსანდრე გაბუნია— „ისკანდერი“ და სხვა).

საქართველოდანაც მოდიოდა ამბები მღელვარებისა, გაფიცვების, თავისუფლების იმედისა და გული აღარ მიღებოდა. გადავ-წყვიტე წასვლა და აქტიური ჩაბმა ბრძოლაში; ბრძოლაში იარაღით და არა ენით. და რადგანაც ვიცოდი, რომ „სოციალისტ-რევოლუციონერებს“ ჰყავდათ სამხედრო რაზმები („ბოევია დრუჟინი“), ვსთხოვე ერთ-ერთ ხელმძღვანელს, მოეხერხებინა ჩემთვის საქართველოში არსებულ რომელიმე რაზმში განმწერება.

აქ, არ შეიძლება არ მოვიყვანო ქვემორე ეპიზოდი, როგორც დამახასიათებელი პირადად ჩემი სულისკვეთებისა და მაშინდელი



„სოც.-რევოლუციონერების“ მოქმედების ხასიათისა. ერთ უძლეს შეკულტურულ უბნება ზემოაღნიშნული „ხელმძღვანელი“, რომელიც მანამდექანულ რევოლუციის აღმა და ამ დღეს წადით სპაში; იქ, საქალაქო ბაღში, ექვს საათზე თქვენთან მოვა უცნობი, რომელსაც ხელში ეჭირება წითელი ვარდი; ოქვენ უნდა გეჭიროთ გაზეთი. ის გეტყვით პაროლს, თქვენ უპასუხებთ და დანარჩენში თქვენ უნდა შეთანხმდეთ, რადგან ასეთი საქმეები მე არ მეტება“—ო.

მოლოდინით აღელვებულმა შორიდანვე „ვიცანი“, — მივხვდი უვარდოდაც, რომ „ის“ იყო: ლამაზი, წარმოსადევი რუსი, საუცხოვოდ ჩატვირთვის, ირჩეოდა სპა-ის ბაღის იშვიათ მოსეირნეთა შორის.

საინტერესო იყო ჩვენი ბაასი-კამათი ორი-სამი საათის განმავლობაში. აუხსენი ჩემი სურვილი. აქ ჰოკლედ მოვიყვან.

— არა, თქვენ უნდა წახვიდეთ მოსკოვში, იქ იცხოვროთ ორი, სამი თვე; თუ საჭირო იქნება, — წელიწადიც იმ ხელობაში, რომელსაც დაგინიშნავთ (: ლაქიად, ჩინოვნიკად, პოლიციელად და სხ.) უნდა ზედმიწევნით შეეგუოთ დანაშნულ ხელობას, რომ არავის ეჭვიც არ დაებადოს. დაგვეალებათ თვალყურისდევნება რომელიმე მაღალი პიროვნებისა, მის ჩევულებათა, მისვლა-მოსვლის საათებისა, ხასიათისა და სხვათა შესწავლა. დანიშნულ დროს თქვენ მოგეცემათ იარაღი, — რევოლვერი და ყუმბარა და უნდა მოჰკლათ ის პიროვნება.

— არა — მე ვეუბნები — კაცის მოკვლა ეგრე ვერაგულად მე არ შემიძლია, არც არაფერი საქმე მაქვს მოსკოვთან. მე უნდა გამგზავნოთ თბილისში, საქართველოში, იქაურ „რაზმში“.

— საქართველოში „სამხედრო არაზმი“ არა გვყავს.

— მე შევადგენ 10 — 20 — 100 კაცისაგან რაზმს; დავესხმით ჯარს, პოლიციას, უანდარმერიას, როცა გამოვლენ გაფიცვების, მიტინგების, დემონსტრაციების წინააღმდეგ ... ან საღმე კავკასიაში.

— ჩვენ ეხლა გვეირდება ტერორისტული აქტი მოსკოვში. ხეედავ, რომ გაბედული ახალგაზრდა ბრძანდებით, მაგრამ უნდა იცოდეთ, ასეთი „აქტის“ შედეგი 90 პროცენტით სიკვდილია, ან ადგილზევე, ან სახრჩობელაზედ ...

— მე სიკვდილისა კი არ მეშინიან, არამედ დანდობილი, თავდაუცველი ადამიანის მოკვლა ავაზაკურად არ შემიძლიან. ნამდვილ



შესრულები
ბრძოლაში იქნებ ათიც მოვკლა, ასიც, მაგრამ ეგრე? უშპლიტიერა — უნდა დაემორჩილოთ უსიტყვოდ პარტიის დისციპლინას და, როცა ამ „აქტს“ შეასრულებთ, თუ გადარჩებით, მაშინვე იქნებით მიღებული პარტიის „ცენტრალური კომიტეტის“ წევრად და მაშინ შეგეძლებათ მთელი რუსეთის ტერიტორიაზე ედ განკარგულებანიც გასცეთ და იმოქმედოთ იქ, საცა ამოირჩევთ.

გამიკვირდა ესეთი „კავშირი“ მკვლელობისა და „ცენტრალური კომიტეტის“ წევრობის შორის. „ცენტრალური კომიტეტის“, რომელზედაც მე წარმოდგენა მქონდა, როგორც უმაღლეს გონივრულ ორგანოზედ, რომლის შემადგენელობა პატიოსან, ნასწავლ, უმაღლესი სამართლიანობის და საზოგადოებრივ მოღვაწეთაგანაა შემდგარი, რომ ქვეყანა მართოს და, თურმე მზაკვრულად კაცის მოკვლაა. შიგ შესასვლელი გამოცდა და ... სტაჟი ყოფილა.

ბევრი კამათისა და მსჯელობის შემდევ გავიყარენით უშედეგოდ.

— მოითიქრეთო.

მე ბევრი აღარ მიფიქრია და წავედი საქართველოში ჩემით.

ვინ იყო ეს წარჩინებული, დარბაისელი კაცი, ვერასოდეს ვერ გავიგე, მაგრამ მერე... ათეული წლების მანძილზე „მუშაობის“, თვალშურის დევნების მიხედვით, ვფიქრობდი, სავინკოვი უნდა ყოფილიყო

* * *

არაფერი საერთო არა აქვს პოლიტიკასთან, მაგრამ არ შემიძლია არ აღნიშნოს: სადგურიდან ღამე მოულოდნელად შევედი ჩენებს ბნელა ეზოში, სამი წლის ბელგიაში ყოფნის შემდეგ, და მესამე სართულიდან ჯერ ყეფა მომესმა და მერე, ჩემს დაძახებაზე „მაგრიკ!“, გიყივით ჩამოქანდა კოტრიალით ჩემი დატოვებული შავი ძალლი და წემუტუნით და ალერსით შემომახტა-მომეგება, თითქო გუშმინდელი წასული ვყოფილიყავი. აღარ იცოდა, სიხარულით რა ეჭნა და დიდხანს, დიდხანს უერთგულესად მელაქუცებოდა... უველა ძვირფასი (ჩემთვისაც და მეც იმათთვის) მახლობელის გახარების ... შემდეგაც.

დაუფასებელია ძალლის მეხსიერება და „შეუფასებელი“, უკრიტიკო ერთგულება და სიყვარული. ვინც ამბობს ადამიანის კეთილ-



შობილებაზედ, ძალლისაგან ბევრი ესწავლება. ტყუილად კი მა-
ბობს ერთი ინგლისელი მეცნიერი: „რაც მეტს ვეცნობევ ფრინველებს მით უფრო მიყვარს ძალები“-ო.

* * *

თბილისი და საქართველო აფარიაქებულია, 1905 წლის ზა-
ფხულს „გაზაფხულის“ სუნი ტრიალებს ჰაერში; კრებები, მიტინგე-
ბი, დემონსტრაციები, მოთხოვნილებანი, ბომბებისა და თოფ-რევოლ-
ცერის სროლი. პოლიტიკური ტყვეების ძალად თუ ნებისმიერი
სუფლება, „რევოლუცია“ და „კონტრევოლუციისაგან“ ხალხი გაო-
გნებულია. ყველა რაღასაც ელის სიხარულით და თან შიშით მო-
ელის. მე კი, ახალჩამოსულმა „საბრძოლველად“, არ ვიცი „შეგნე-
ბულად“, თუ რა ვაკეთო. ინდივიდუალურად მოქმედება უაზ-
რობას უდრიდა და, რაკი ორგანიზაციულად მხოლოდ ორი სოცი-
ალისტური პარტია მოქმედებდა — „სოც.-დემოკრატია“, რუსეთის
მთლიანობის მომხრე, მარქსისტული და მარტო სოციალურ-პო-
ლიტიკური „რეფორმების“ მომთხოვნე და, მეორე მხრით, „სოც.-
ფედერალისტები“, რომელნიც მოითხოვდნენ „საქართველოს ავტო-
ნომიას“, — გადავსწყვიტე მათთან თანამშრომლობა. ბევრი რამ
მათი პროგრამისაც არ მომწონდა, ამიტომ მივმართე კომიტეტს: „ვი-
ცი ესა და ეს, შემიძლიან ესა და ეს, და, თუ გჭირდებათ და გა-
მოგადგებით, ვითანამშრომლებ თქვენთან, პარტიაში შეუსვლელად
და მისი დისციპლინის მიუღებლად, თუ ჩემს მორალსა და აზრს იგი
არ ეგუება.“ დაახლოებით ამ ხისიათისა იყო ჩემი ხანგრძლივი მო-
ლაპარაკება მათთან და მალე ჩავები საქმეში.

პირველი აქტი, რომელშიაც მივიღე მონაწილეობა, იყო „სა-
ერთო გაფიცვა“ ტრანსპორტისა მთელი რუსეთის მასშტაბით და მე
რამდენიმე „სოც.-რევ.“ და „სოც.-ფედერასლისტთან ერთად შევა-
ჩერეთ მოძრაობა თბილის-სილნალ-თელავის ყველა „ტრაქტებზედ“,
მაშინ ჯერ კიდევ „დილიუნებისა“ და „პერეკლადნოებისა“.

„კურიოზებისა“ და „საშიშო“ მრავალ ამბიდან თითო მაინც
გავიხსენოთ... თელავიდან რომ მოვდიოდით „დილიუნით“ და გზა-
და-გზა ვკრძალავდით მიმოსვლას, ჩემს პირდაპირ იჯდა ვიღაც უ-



ცნობი ხანში-შესული თავდახურული „კნეინა“. ერთ სადგურზე ზემოთ მის ზემოდან მდგარი ჩემი პატარა კიდობანიღმა (ჩატარებული ნიდან) ამომელო ჩურჩხელა. კნეინამ, შიშით გაფიორებულმა, გაასავ-სავა ხელები: „ვაიმე, შვილო, არ გახსნა, არ გასკდეს და არ აგვა-ფეთქოს“—ო. ჩვენ სიცილი აგვიტყდა. საწყალს ალბად რაღაც „სა-შიშო რევოლუციონერის“ წარმოდგენა ჰქონდა ჩემზე გაგონილი. „არა, ქალბატონო, ჩურჩხელებია“—ვუთხარი, მაგრამ, რომ ვკამდი, პირში ისე მიყურებდა, თითქო ბომბებს ვყლაპავდი და მიწოდე-ბულსაც ხელი არ მოჰკიდა შიშით: „რა ვიცი, შვილო...“ ვაი თუ გასკდესო.

იქნება ყურიცა ჰქონდა მოკრული,— ქართველებში ხომ არა-ფერი იმალებოდა (და ამის მაგალითებს ქვემოდაც შევხვდებით)—, რომ სწორედ სილნალ-თელავში რომ მივდიოდი, თან მიმქონდა „სოც.-ფედერალისტებისაგან“ ნათხოვნი და „სოც.-რევოლუციონერებისა-გან“ გადმოცემული კიდობანი, სავსე პატარა, კაკლის ზანზალაკის ოდენა შავი ყუმბარებით, სილნალის ორგანიზაციისთვის გადასაცემად. ეს ყუთი გადმომცა სომებმა „სოც.-რევოლუციონერმა, მეტსახელად „დიავოლმა“. „და შნაკელებმა გვასესსხესო“. როგორც ხედავთ, პარტი-ები თანამშრომლობდნენ... მაგრამ „დიავოლმა“ თითონ ვერ გაბე-და ამ „კაკლების“ წალება სილნალში, მე მომაჩეჩა და თითონ კი მუცელზე ჩამალული პარაბელუმით, მარტო გვაცილებდა. როგორც მერე გამოირკვა, არც ერთი ეს ყუმბარა არ გასკდა გამოცდისა თუ ხმარების დროს და ზოგი იცინდა: „სომხური ყუმბარა რა უნდა იყოს?“—ო, ზოგი ფიქრობდა: „და შნაკებმა განგებ ჩაგვიწყეს“—ო. იქ-ნება და შნაკებიც იცინდნენ: „ტუტუც ვრაციებმა რა იციან ყუმბა-რების ხმარებისა“—ო. ოსმალეთიდან ჩამოვიტანეთო, ამბობდნენ. ასე იყო თუ ისე, ამ „პირველმა მარცხმა“ ალბად იქონია გავლენა იმ გადაწყვეტილებაზე, რომ „სოც.-ფედერალისტებს“ თავისი საკუ-გადაწყვეტილებაზე, რომ „სოც.-ფედერალისტებს“ თავისი საკუ-

„17 ოქტომბრის — ცნობილი — მანიფესტის“ წინ, რომელიც

სრულიად მოულოდნელი და...თავ ზარდამცემიდა დამარღვევე-
 ველი იყო რევოლუციონერების რიგებისათვის,— მე სხვარივის და-
 ვალებანი მქონდა მიღებული: ყველგან, საცა რუსის ჯარი იყო და-
 ბანაკებული, რევოლუციონერებს ჰყავდათ „სამხედრო იაჩივები“,—
 ჯგუფები ან ცალკე პირები ჯარისკაცთა ან ოფიცერთაგან, რომელ-
 ნიც თანაუგრძნობდნენ და ეხმარებოდნენ „რევოლუციას“ და სწო-
 რედ ოცი აქტომბრისათვის ვამზადებდით მანგლისიდან, ზაქა-
 თალიდან, დუშეთიდან, სურამიდან ჯარის „ნაწილების“ ჩამოყვა-
 ნას თბილისში, რომლის მეციხოვნე („გარნიზონის“) ჯარებიდან
 ყველაზედ „მომზადებულად“ ითვლებოდა „საპიორთა ბატალიონი“.
 მანგლისსა, ზაქათალას და სურამს მე და მიხეილ ყანჩელი (3) ვპატრიო-
 ნობდით, მაგრამ წასვლა და შემზადება მხოლოდ მანგლისსა და ზა-
 ქათალას მოვასტარით (სურამში — ველარ, როგორც დაინახავთ) და
 დუშეთიდან და სხვა მხარეებიდან სხვებს უნდა ჩამოეყვანათ სადე-
 მონსტრაციონი და ... „სამოქმედოდ“ სხვა „გახერწნილი“ (ოფიცია-
 ლური ტერმინოლოგიით) ანუ „რასპროპაგანდიროვანნია“ ნაწილები.

ღამე მივედით მანგლისში და საიდუმლოდ შევხვდით გაზრა-
 ხებულ ქართველ „უნტერ-ოფიცერს“. თათბირის შემდეგ დავასკვე-

შენ ეშვნა (3): ეს ის მ. ყანჩელია, რომელმაც უკნევაში ანარქისტობის
 დროს, ტროკის ერთი მოხსენების კამათის მაგიერ გამოიუცხადა: „ია ნე ორა-
 ტორ“ და ლუდით სამსე დოსტავენი („კრუცა“) ესროლა და ატეხილ ალაქოთ-
 ში, ამბობენ, კიდევაც სკემაო. მიუხედავად გაშეშებული ფეხისა, საშინელი ღო-
 ნიერი იყო. 1905 წელს ლეო კერქესლიძესთვის ერთდ ის შევდურ გემ
 „სირიუს“-ს, რომელმაც იაპონიის ფულით ნაყიდი შვეიცარული თო-
 ფები შემოიტანა საქართველოში რუსეთის საწინააღმდეგო ბრძოლისა-
 თვის, ფედერალისტების მამა-მთავარ გიორგი დეკანოზიშვილის შეოხეპით. „მენ-
 შევიქებმა“ თავის დროზე ეს „საქმე“ სანახევროდ „ჩააგდეს“. ზოგა ამბობდა—
 განგებო, ზოგიც — „შემოხევითა“—ო. „ერთ მენშევის თოფი გაუვარდა“—ო, ნა-
 პირზე გადმოტვირთვის დროს და ამით რუსების განგაში გამოუწვევია. გემი იძუ-
 ლებული იყო, დანარჩენი თოფები წყალში გადაეყარა და დაბრუნებულიყო. (მე
 რომ ბევრ ანალოგიურ ამბებს წავაწყდი მათგან შემდეგში, ვფიქრობ, რომ
 განგებ ასეთი პროვოკაცია არ არის გამორიცხული. შენიშვნა 1954 წლისა).



ნით ზემდევის გეგმით, რაშიც დაგვარწმუნა: „ქართველი ცოდნული კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის მიერ მიმღები უკველა და ბევრი რუსიც ჩვენთან ჭამოვა. ოფიციალურად და ჯარისკაცებს, ვინც წინააღმდეგობას გაგვიწევს, განვაიარაღებთ, დავამწყვდევთ და ზოგის, იქნება, დახოცვაც დაგვირდეს. მუსიკით და იარაღით 20 ოქტომბერს ჩვენი პოლკი გამოცხადდება ერევნის მოედანზედა, იქნება, „ბელი-კლიუჩის გრუზინსკი პოლკიც გამოვიყოლოთ“—.

ჩვენ ვუჩრიეთ, სისხლის დალურას მოერიდნენ და წამოვედით,

მეორე დღეს გავექანე ზაქათალას, საცა ღამევე საიდუმლოდ შევხვდი ვენახში (და, მახსოვს, მშენებელი ვაშლი და მსხალი შემომთავაზა), ახალგაზრდა, პატარა ტანისა, მაგრამ ლამაზი, მტკიცე გამომეტყველების, მოსხლეტილ ოფიცერ ნადირაძეს.

პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ საოცარი გულაბდილობით აუხსენი (და მანაც ასე ამიხსნა) ჩემი დავალება... .

—რუსების არავითარი იმედი არა მაქვს, მაგრამ ბევრი ქართველი და სხეა არა-რუსი ყველა გამოგვყვება. ლამიდანვე იარაღს დავუკეტავთ და, ვინც არ მოისურვებს, —რუსებისაგან,—ყაზარმებში ჩავკეტავთ, დანარჩენნი—უმრავლესობა,—ჩვენც 20 ოქტომბერს თბილისში გვიგულეთ.

ეს იყო 16 ოქტომბერს, რადგან 17-ს საღამოს უკვე თბილისში „შემოვჯილიერანსლი“ და ... ჩემი ყურისა და თვალის არა მჯეროდა... მოედნები, ქუჩები სავსე იყო ენტუზიაზმით მოცული ხალხით, წითელი დროშები ფრიალებდა ყველგან, წითელი ბაფთები, ყვავილები, პატარა დროშები ყველას გულზე ... ზურნა, მუსიკა გაისმოდა, სიცილი; მხიარული ლრიანცელისაგან ყურთა სმენა აღარ იყო. მანიფესტი! თავისუფლება!.. ჩამწერილებული ბრძო აგერ დროშებით მიღის მეტეხისაკენ: „ტყვებს ანთავისუფლებენ“, ყვირის ბრძო და მეორე მხრით, გაბნეული და დაბნეული ყაზახების რაზმი დააჭირებს აქეთ-იქით ცხენებს ავჭალის ქუჩაზედ, „ციციანოვის აღმართზედ“, ავლაბრის ხიდისაკენ, და ... მათრაბის, ამოწვდილი ხმლის მაგიერ, თითქმის ხვეწნით ყვირიან: „რაზოიდის, რაზოიდის!“, მაგრამ ხალხი დასცინის და არავინ ეგუება, უცინიან, ეძმობილებიან, ულოცავენ.

სიხარულის მაგიერ, უცნაურმა სევდამ მომიცვა, არ მჯერა გამარჯვების სინამდვილე, თეატრად მეჩვენება და გულში ვწუხარ,

რომ „ნამდვილი საქმე“, რევოლუციის მზადება, ჯარების ჩამოყვა-
ნა მაშ ჩაიშალა და გეგმები ვიღამაც დაგვინგრია ... მზაკვრულული კორონა
საკვირველია, ვისაც კი გავუზიარე ჩემი შიშები „ამხანაგებს“,
ყველა ასევე ფიქრობდა და გრძნობდა. რევოლუციონერებსა და
„ობივატელებს“ (მოსახლეობის) შუა რალაცა ჩაწყდა, ერთი მხრის
წუხილი და მეორეს სიხარული—ერთმანეთს სრულებით არ ეგუ-
ბოდა.

მართლაც, სამი დღე გრძლდებოდა დროშების წითელი ტან-
ტალი, ბრძოლებისა და პროცესიების რევოლუციონური სიმღერანი
და განგაში... როცა რუსეთიდან ერთი მეორეზე საზარო ამბებმა და-
და იწყეს მოსელა და უკვე 22 ოქტომბერს, მონაწილე თუ არა, მოწმე
მე თითონ გავხდი საზარელი ამბებისა. იმ დღეს, დიდუბეში დიდი
მიტინგი იყო, ათასობით ხალხი უსმენდა ფიცირებისაგან შეკრულ
ტრიბუნაზე ასულ ორატორებს „მენშევიკებისას“, უკვე დაღლილი
მოსაწყენ „რეჩებით“, როცა გამოჩენდა თეთრი ცხენით, წითელ ჩო-
ხაში გამოწყობილი ყორლანაშვილი... ეს მუდმივი და ყველგან მყო-
ფი, არავინ იცოდა, ვისგან დაყენებული და რომელი „პარტიის“-
შიკრიკი, და შემოჭერებულ ცხენიდანვე დაიძახა: „ყაზახები მოდი-
ან!“-ო. ხალხი შეინძრა და გაფანტვა დაიწყო. გარშემოხვეულებს,
ყორლანაშვილმა, ლამაზი ულვაშები გადისწორა, ჩოხის კალთები
კოხტად გადიკეცა და.... „გოლოვანსკის პროსპექტის მიტინგი ყაზა-
ხებმა სროლით დაშალეს, ბევრი დახოცილია და ეხლა აქეთ მოდი-
ან!“-ო. ხალხი დაიძრა და მე გოლოვინის პროსპექტისაკენ წამოვე-
დი, როცა უკანასკნელი სცენა დავინახე „დიდუბის მიტინგისა“: სი-
ლიბისტრო ჯიბლაძე, ხატის დროშასავით გაკეთებულ მარქსის დიდ
სურათს აზანზარებდა და ხმამალლა ყვიროდა დამტვრეული რუსუ-
ლით: „იმენემ მარქსა პრიზივაიუ კ პარადკუ!“, მაგრამ ხალხი გა-
რბოდა და, ყაზახები თუ მივიღდნენ(?) ალბად ფიცირის „ტრიბუნას“
თუ ნახავდნენ, ცოცხალი „ტრიბუნების“ მაგიერ.

ნახევარ საათში, თოფის ხმაზე მიღევნებით, მე უკვე გოლო-
ვინის პროსპექტზე ვიყავი, მაგრამ,—შემდეგში აღწერილი და გაგე-
ბული სიმხეცენი (4) თვალით არ მინახავს,—მოუსწარი მხოლოდ სუ-

შენიშვნა (4): ყაზახები შეცვიცდნენ პირველ გიმნაზიაში, რომლის კიდ-
ლიდან ვითომ გადმოგდებული ყუმბარის მომიზეზებით და ბევრი მოწაფე



ჩათს: სასახლიდან გიმნაზიისაკენ, შინ პოლიციელებით შემოხვეული, მოდიოდა ასიოდე რუსის ხულიგანი ქალი, კაცი და მღვდელი საეკლესიო ბაირალებით და ხატებით. მღეროდნენ რაღაცა საეკლესიოს და მათი საწყალობელი „პროცესია“ - „პატრიოტული მინიფესტაცია“, რაღაცა სასაცილოს წარმოადგენდა ათიათასიან დემონსტრაციებთან შედარებით. რაღაცა მუქარებს უთვლიდნენ, ვიღაც უხილავ მტერს და თითოოროლა ყაზახი ხანდახან ჰაერში თოფსაც ისროდა. შერემეტევის ქუჩისაკენ ჩაუხვიეს, მაგრამ რაღაცა უფრო შიშით, ვიდრე მუქარით თვალები პირველ გიმნაზიისაკენ ჰქონდა ყველას მიღრეცილი.

დაიწყო „რეაქცია“. ათასობით დაჭერა, გადასახლება. ციხეები გაივსო, აქამდე მიმალულ და 17 ოქტომბრის, თითქმ საპროვოკაციო მანიფესტით, გარედ სააშკარაოზე გამოსულ ხალხით.

* * *

რეაქცია მთელ 1906 წელსაც გაგრძელდა და ბევრ რევოლუციონერს დასჭირდა „არა-ლეგალურ“ მდგომარეობაში გადასცლა (უხოდიტ ვ პოდპოლიი). მეც. ხალხი გაყუჩდა და ცხოვრება თანდათან ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა... 1914 წლის ომამდე, თუ არ ვიანგარიშებთ „დუშების“ გარშემო ამტყდარ უკვე ლეგალურ აღიაქოთს.

იძულებული ვიყავი, კატორლასა ან სახრჩობელას რომ გადავ-არჩინილიყავ, 1906-ს, სხვისი პასპორტით (ლ. ყ.) წავსულიყავ საზღვარ-გარედ, ფედერალისტების კომიტეტის დავალების ჩასატანად გორგი დეკანოზიშვილთან პარიზში; და დაბრუნებისას, მემსახურნა ბაქოში ნავთის მრეწველ მუხტაროვთან; და დამიხედვთ მაშინდელ მდგომარეობას, ეხლანდელთან შედარებით, — საკუთარი სახელით.

„მოუკლავთ, დაუჭრიათ, ხიშტებზედ აუგიათ“. ვიცი, რამდენიმე დღის შემდეგ მარხავდნენ 11 წლის კასიანს (გვარი ალარ მახსოვეს) და კიდევ გამიგონია, თითქ იმ დღესვე მოქველეს ვაჩინაძე და მისი ცოლი, ერთი ტყვევით, — შემთხვევით სასეირნოდ გამოსული და სროლის ტრის სადღაც კარებში შეუცულნი, სრულიად უდანაშაულო, დახატული წყვილი.

სხვა ქალაქში სამსახური, დაახლოებით ერთი წლის შემდეგ მარტინ ულა მარტინ ულა საკარისი გარანტია იყო... თუ მთავრობის ასაკი რეალური საბუთი არა ჰქონდა ხელში—პროცესისა და სასჯელისათვის. უსაბუთოდ (ბეჭედის ვესჩესტვენნაგო დოკაზატელსტვა) მე ცხრაჯერ დასახრიობი ვიყავი რუსების თვალში, მაგრამ მაშინ კანონი არსებობდა („მენშევიკებმა“ და „ბოლშევიკებმა“ რომ ერთანირად ვააუქმეს) და ხელშესახები საბუთი ჩემს წინააღმდეგ ვერასოდეს ვერ ჩაიგდეს. 1907-ის ენკვინისთვეში პეტერბურლის უნივერსიტეტშიაც კი მიმიღეს, ბელგიაში ჩაბარებულ გამოცდების ჩათვლით. და ეს მხოლოდ რუსეთში იყო შესაძლებელი, თორმე... სხვა ჩემი ნამოქმედარი თუ არა(?), 1905 წელს ჩემი მუშაობა „ლაბორატორიაში“ ხომ ხელთა ჰქონდათ და ორჯელ დაჭრილიც ვიყავი ორ-ორი კვირა „აღმინისტრატორულად“ სხვა და სხვა საქმეზედ. ეხლა დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია:

რევოლუციაში თავდაყირა გადავარდნილი 9 თვის განმავლობაში; ჯარების ამჯანყებელი (სამხედრო წ-ი); არა-ლეგალური სტამბისა და ლიტერატურის გამავრცელებელი (სამოქალაქო წ-ი); ამაფეთქებელ მასალებისა და ყუმბარების დამამზედებელ „ლაბორატორიის“ ერთ-ერთი მომწყობი და ხელმძღვანელი, რომელიც ბედს უჩიოდი, რატომ დღე-ლამეში 24 საათის მაგიერ 48 საათი არ არის, რომ მოვაწრო-მეთქი, უვნებელი გამოვედი აგზნებულ ცეცხლიდან, რომლის იქნება „სანკტ-სიმპლიციტა“-სავით, ერთ-ერთი ჩინჩევარის შემკეთებელი მეც ვიყავი...

* * *

„ყუმბარების სხვა პატრიოტებთან ერთად საქართველოში ლაბორატორია“. დაბრუნდნენ ყველა „ანარქისტები“—ც და სანდრო გაბუნიაც, ცნობილი რევოლუციონურ წრეებში „ისკანდერის“ სახელით. ერთ დღეს მე დამიბარეს „კომიტეტში“ და გამაცნეს პატარა ტანის შავი კაცი, რომელსაც გაჩეჩილი თმა არა მარტო თავს უფარავდა, არამედ კუნაპეტივით შავი წვერ-ულვაშიც—მოელ სახეს. ცეცხლივით ანთებულ თვალებში ისეთი სიკეთე გამოჰკრთოდა, რომ „საშინელი ისკანდერის“ სახელი მოვაგონებდათ წარშეერას: „საში-



ნელი ვეფხვი“! გალიაზედ, საღაც იჯდებოდა უწყინარი უწყინარი ანი კატუნია. მაგრამ მერე და მერე დავრწმუნდი, რომ ამ ძართლაც სათონ ადამიანში თანაბრად მეფობდა ლომის კეთილშობილი გულადობა, კრავის უწყინარი გრძნობიერება, მტკიცე ნების ყოფა და ბუზის აუფრენელი... სასტიკი, მკაფიო და სამართლიანობით სავსე იდეოლოგია.

„ს. ფ. კომიტეტის“ დავალება იყო, მოგვეწყო ლაბორატორია სახელოსნო ყუმბარების გასაკეთებელი და ყველაფერი აეწყო ისკანდერის გეგმით, რაღაც მე თუ მარტო ასაფეთქებელი მასალების დამზადება ვიცოდი, თოფის წამლის, „შაქარ-ბერტოლესი, ნიტროგლიცერინის, დინამიტისა და სხ., გაბუნიას სცოდნოდა, როგორც ქიმიკოსს, ბევრად მეტი და სპეციალურად კანების („ობოიმა“) ჩამოსხმაც.“

მიუვალ ტყეში, თემის სათავეებთან გაიმართა მოზრდილი ფანქატური, საცა პატარა „პრობირებიდან“ — ს-ლიტრიან თეზაფის ბოთლებამდე; შაქრის, ნახშირის, ბერტოლეს მარილის, გვარჯილა, გოგირდიდან — „მეფის არყამდე“ („ცარსკაია ვოდკა“) ყველა მასალის საწყობი გვქონდა; ტყვია, თუჯი, კალა და რკინა, „ბიქფორდის ბაწარი“, კაპსულები ვერცხლის წყლისა, პატრონები და რა ვიცი, კიდევ რა არა? შუა ადგილას გამართული იყო პრიმიტიული სამჭედლო ღუმელი... თხის ტყავის საბერველით (მხოლოდ ერთი თვის შემდეგ ჩამოვატანეთ თბილისიდან დიდი ნამდვლი საბერველი და ჩვენგან შედგენილი ხელსაწყოებისა და იარაღების სით, დანარჩენი მოწყობილობა), ხის ყუთი, წმინდა სილა და გრაფიტის ფხვიერი, აი ჩვენი „ჩამოსხმის“ საშუალებაც და... მე და ისკანდერის, — „სპეციალისტების“ — გარდა, ჩვენთან მუშაობდა ორი „ტექნიკოსი“ (თუხარლები), ერთი მჭედელი — ტუხა, და დღე-ლამე ცვლით, გვყარაულობდა 6, თავით-ფეხებამდე შეიარაღებული კაცი. მე — „უპარტიო“, ისკანდერი — ანარქისტი, დანარჩენი 9 კაცი — ყველა „ფედერალისტი“; როგორც „გარედან“ ყველა დამხმარე — „კომიტეტი“ და მაშუალნი (5).

შენიშვნა (5); არც ერთი არც „მენშევიკი“. არც „ბოლშევიკი“ ამ საქმეში არა რეულა, არც ერთი გროშის დახმარება არ გაუწევიათ და, აი, რამდე-



ფანქატურში წევიმა და ქარი ისე ჩამოდიოდა, თითქმის ჩემი ჩამოდიოდა, გორც გარედ. ადამიანებს ხშირად ნახევრად წყალში გვეძიზ, ყამყარებელი გირებოდ „შუა ცეცხლს“ და „საწყობს“, როგორც თვალის ჩინს უფრთხილდებოდით და ჯოჯოხეთის ცეცხლივით ავარდნილ ალიდან—უნდა გენახათ მაშინ ტუხა-მშედელი, გაწეწილი, დაჩენილი, აგზებული და მჭინავი რომ ნამდვილ ქაჯს მოგავონებდათ, საბერველის მარჯვნივ და მარცხნივ რომ გადადიოდა მთელის ტანით,—ალიდან დნებოდა, ცხვებოდა, ცივდებოდა, ასაფერებელ მასალით იჭედებოდა და ათობით ივზავნებოდა... ქვევით, „ქალაქში“ ახალთახალი ყუმბარები. ბევრჯელ მშივრებიც ვიყავით, სანამ თბილისიდან, მეტეხიდან, მანგლისიდან ან საიდანმე სოფლიდან საჭმელს მოგვაწვდიდნენ, მაგრამ ღუმელში მაინც მუდამ ბომბები ცხვებოდა და ცხენზე გადაკიდებულ ხურჯინით, კალათებით პანტას, მაყვალს თუ შინდით „დაფარულს“, მაინც ვისტუმრებდით, დანიშნულებისამებრ.

ეს მრავალმხრივ საშიშო ხელობა (ორივე აზრით);—აფეთქება, დასმენა, თავდასხმა და სხვ., მაგრამ ველური „პოეზიაც..“—ღამე, „შეუვალი“ ტყე, ტუხა, მიხა ბატქუაშვილი (6), „ამბები“; საცა 2 ინ-ტელიგენტი, 3—ნახევრად და 6 უბრალო. ზოგი უწივნო, გლეხი, — 9 ძმასავით ერთ მიზანს ვემსახურებოდით: პატარა საქართველო დიდი რუსეთის ბუმბერაზს, როგორც მტარვალს, ვულკანის ამონეთქვით ემუქრებოდა.

ნიმე წლის წინად გამოსულ წიგნში სწერენ „ბოლშევიკები“: „ ჩ ვ ა-წ ყ ე თ (ეს) ლ ა ბ ო რ ა ტ ო რ ი ა .. - ღ . ა ს ე თ ი ს უ ქ ნ ი ს ი ც რ უ !

შენიშვნა (6): იყო ლამაზი, წარმოსადეგი უბრალო გლეხი, პოეტი, მუდამ კოხტად ჩატარებული ნაცრის ფერი ჩიხით, „ლამაზი“ თოფით და კოხტად გადაგდებულ თეოზ ყაბალაში, ულამაზესაც გამოსულ „კოხტა“..ბომბით. მისმა მოსიყვარულე გულმა და შეუდარებელმა თვალებმა გაგვიკეთეს თვალწარმტა-ცი „წყარო“, მორთული ხავსით და ფერადი კენჭებიანი, მიხევეულ-მოხვეული შორს ჩამრბენი ნაპირებით, წყაროს წყალი რომ მირაკრაკებდა... მისი პოეზიისავით.

დღემდე არა მჯერა, ვითომ მასაც მიეღოს მონაწილეობა გიგო თარხნიშვილის დაწვაში საკირეში და ვეფიქრობ, უდანაშაულოდ გააციშბირეს, თუ. როგორც ზოგი ამბობდა მერე: „ჩამოახრჩეს“—ღ.



მოღალატენი. 6 დარაჯიდან 2 იყო ოსიუფუბრივიანები რამდენიმე ეპიზოდი: ვემ გვიღალატა. ერთი „გადავიდა“ მე-ნშევიკებთან, ჩაკი „შიმშილს ვერ გაუძლო, — შინ ცოლი ეგულებოდა და მოხუცებული მამა სამუშაოს ვერ ასდიოდა“. თუმცა უნცროსი შინ იყო დარჩენილი. მეორემ უარესი: შინდით დაფარული ბომბებით სავსე კალათები ცენტიანად მიაყენა სოფლის კანცელარის, ყველაფერი გასცა და ამით „ლეგალური“ მდგომარეობა დაიბრუნა. (ამით მიაკვლია ყაზახების ასეულმა ბოლოს ჩვენს „ლაბორატორიას“ და... წინასწარ გაფრთხილებულთ, უფრო შორს ტყიან მთაში გადაიტანეს; ისე რომ ყაზახებმა დანგრეული ფანჩატურისა და გამონელებული კერის მეტი ველარაფერი იპოვეს)

ამბობდნენ მერე (როცა უკვე ხელმორედ დავბრუნდი საზოგარ-გარეთიდან) ოსი თავს მართლულობდა: „მე კი არ მიველ, და-მიჭირეს და გამომტეხეს“-ო. მოღალატე მაინც სიკვდილით დაუსჯიათ, — სწორედ იმ ტყვიით, რომელსაც მუდამ თან ატარებდა... იმ სახალხო ადათით, რომლის უცნაურ სკენას ერთხელ მე თითონ შევესწარი შემთხვევით. „ალექსი-მეზურნე“, განთქმული გორის მაზრაში საუცხოვო კალატონბითაც. — „რევოლუციას მიემხრო“ და-გვიანებით. და, როცა ღამე გლეხებმა დააფიცეს ერთგულებაზე, ერთ-მა მათგანმა (ვანო ნ... რ— შვილმა) გადასცა თოფის მასრა (პატრონა) და უთხრა: „ეს მასრა მუდამ შენთან უნდა ატარო და თუ ფიცს ულალატე, მაგ მასრით მოკვლები“-ო. მთვარის შუქშე დავინახე, როგორ გაფითრდა ალექსი (ალარც ისეთი ახალგაზრდა იყო) და წელში მოიხარა. მე ურუანტელმა დამიარა ასეთი „ადათისაგან“ და ალექსის „სიფათი“ არ მომეწონა, თუმცა ულამაზო კაცი არ იყო.

ალექსიზე ამბობდნენ: „ნაოსარია“-ო, უშნო ვანოზე კი: „ნასომხარი“-ო.

მეორე ეპიზოდი უფრო სასაცილო იყო, ვიდრე დრამატიული. ხევს გალმა მალლა ნაპირზე დღე და ღამ ყარაული გვეყენა, რომელ ერთად-ერთ მხრიდან შეეძლო მოსვლა „მტერსაც“, ჩვენი ბუნაგისაკენ ჩამომავალი საცალფეხო, თითქმის დაყირავებული გზით და მოყვარესაც. თუ საშიშროება იყო მოსალოდნელი, ყარაულს უნ-

და ორჯელ გაესროლა თოფი. ერთ მშვენიერ ღამეს, გაქტეჭუჭრული მუშაობაში ვართ და სულ ახლო, ასიოდე ნაბიჯზე იგრიალუ ყრულებულება მა. ერთი თვალის დახამხამებაზედ ჩაქრა ღუმელი. „სარდლობა“ — სპონტანიურად—(მაშინ ეს სიტყვა ხმარებაში არ იყო)—ჩემზედ გად- ძოვიდა... თოფიასი ყარაულები ჩავასაცრე ხეებს უკას, ხუთმა „მო- მუშავემ“ მოვიმარჯვეთ რევოლვერები და ზოგმა ყუმბარა. მე შეა ადგილის მოვექეცი—საცალფეხო გზის ჩამოსკლისაკენ, „საუკეთე- სო“ ყუმბარით ხელში და განკარგულება გავეცი: „არამც და არამც არ გაისროლოთ, სანამ მე არ გადავაგდებ ყუმბარას ნიშნის მოსა- ცემად.“

ჩემი „სტრატეგია“ იმაში იყო, პირველი სამი-ოთხი კაცის გა- მოჩენისათვის მომეცადნა დავაკებულზე, ოციოდე ნაბიჯით რომ გვშორავდა და მაშინ მეფეთქებინა პირველი ყუმბარა, დანარჩენე- ბი დანარჩენებს დააყოლებდნენ თოფებს. რაც უნდა დიდი ყოფი- ლიყო მტერთა რაზმი, ერთად იერიშს ვერ მოიტანდა და ვიწროში ჩვენ უპირატესობა დიდხანს შეგვრჩებოდა მტრის ბანაჟში არევ-და- რევის შეტანით... მეღღრად ველოდით... თოფის მეორედ გავარდნას და იერიშს, როცა ბილიქზე „ფხაჭა ჩამოიტანა“ ჩვენმა ყარაულმა და, დარცხვენილმა, ამბავი ჩამოვევიტანა: „ორი ცხენოსანი მოდიო- და ზედა-გზით და ყაზახების რაზმი მეგონა“—ო. „უკვი მეორედ შე- ვაყენე თოფი სასროლად და აქეთ გამოსაქცევად, გაუხვის და იქით წავიდნენ“—ო. ჯერ დავტუქსეთ, მერე ვიცინეთ, და... ეს პირველი „განგაში“ „ნახევარ-განგაშად“ გამოვაცხადეთ, და კიდევ დიდხანს „გვეუყო ცალცალკე გმირის“ ნაამბობი. თუ როგორ „პირებდა“ შე- უპოვარ ბრძოლას.

ვანო არც მესამე გამოდვა მეინცა და მაინც დრა- ყარალა შვილი, მატიული, თუმცა ცუდად შეიძლებოდა და- ტრიალებულიყო. ჩემნები ზაფხულობით სააგარაკოდ სოფელ ახალ- ქალაქში იყვნენ ხოლმე და მე, რაკი მაშინ ჯერ კიდევ „ლეგალურ“ მდგომარეობაში ვიყავი, განგებ ხანდახან მიედიოდი სტუმრად ო- ჯახში, რომ ეჭვი არავის აელო ჩემზე. თითო-ოროლა დღეს გავა- ჯახში, რომ ეჭვი არავის აელო ჩემზე. თითო-ოროლა დღეს გავა- ჯახში, რომ ეჭვი არავის აელო ჩემზე. თითო-ოროლა დღეს გავა- ჯახში, ხან... კარაქისა და მალინის ჩამოსატანად, (ბურ- ხან „სათევზაოდ“, ხან... კარაქისა და მალინის ჩამოსატანად,



ლისა”, როგორც ეძახდნენ ჩვენი მთიულები). ერთ ასეთ უცნაურობის გამო ბის დროს, დილით, მოვიდა ჩვენთან სოფლის გზირი და შროშანება! „ბატონი პრისტავია ჩამოსული და „კანცელარიაში“ გიბარებს” – ასეთ უცნაურობის გამო ბიჭის! ეს რაღაცა ცუდი ნიშანია... გუშინ „ლაბორატორიიდან“ ჩამოვედი, დღეს „კანცელარიაში“ მიბარებენ... მაგრამ, რომ იცოდნენ ჩემი საქმე, ან დაჭერას მიპირებდნენ, გზირს რაღადა ჰეზავნიდნენ?.. გასაფრთხოებლად? საცდელად? გაქცევა ყოველთვის შემძლო, მაგრამ ეს იქნებოდა „საბუთის მიცემა“ და მაშინ „არა-ლეგალურ“ მდგომარეობაში გადასვლა. გადავწყვიტე წასვლა. ჩავიდე რევოლუცირი და თან გზაზე ვფიქრობდი: „კანცელარია“, აქედან პატარა, ვიწრო კარი აქვს, იქით მხრიდან განგრეული კედელი და გზა ბაზრისაკენ, ორლობესკენაც. თუ დაჭერა მომინდომეს, გაქცევას შევძლებ“, მაგრამ, კანცელარიის კარი რომ შევალე, ნამდვილი „ხაფანგი“ დაეინახე: სილრმეში იჯდა მაგიდასთან „უეზდი ნაჩალნიკი“ (მაზრის უფროსი) ვანო ყარალაშვილი და აქეთ და იქით ექც-ექცსი შეიარაღებული ჩაფარი, ირიბად ჩემკენ ჩამწკრივებული. ამ ჯებირში შესვლა „ათავებდა ჩემ საქმეს“, მაგრამ აღარც გაქცევას ჰქონდა ბევრი საიმედო: 12 ჩაფარი, მეტამეტე ვანოს მეთაურობით. ერთი რევოლუცირით სად გავექცეოდი... და ერთი წუთიც არ მიფიქრია... შევედი ხაფანგში, ვითომც არაფერი.

— დაბრძანდით! — ზრდილობიანად მომმართა ყარალაშვილმა.

— თქვენა ბრძანდებით რევაზ გაბაშვილი?

— დიახ!

— ეკატერინე გაბაშვილის შვილი?

— დიახ, ბატონო.

— მერე აქ რას აკეთებთ, თქვენ ხომ სტუდენტი ბრძანდებით?

— როგორ, რას ვაკეთებ! სახლი გვაქვს და ბალი. ოჯახში

ვცხოვრობ დედასთან და ზაფხულობით აქ ვისვენებ.

„უეზდი ნაჩალნიკმა“ დაკვირვებით შემომხედა, რაღაცა ჩაიწერა და მომიბრუნდა:

— სხვა არაფერი, თავისუფალი ბრძანდებით.

— მე რომ რეზო გაბაშვილი გახლავართ და დედაჩემის შვილი, ამის გაგება ჩემ დაუბარებლადაც შეგეძლოთ. ამისათვის... (თან ვდგებოდი).

— წაბრძანდით, წაბრძანდით! — ცოტა უფრო სერიოზული განკურებული ხმით დაუმატა.

მე მხრები ავიწევ და წამოვედი. ალბად ჩემი მიამიტობა ვერ შეუფარდა „საშიშ რევოლუციონერს“—მეთქი, ვიფიქრე, რომლის და-კერის განკარგულება ჰქონია თურმე. მაგრამ მხოლოდ ათიოდე წლის შემდეგ მითხრა ვანო ჯავახიშვილმა სტამბოლში: „ვანო ყა-რალაშვილი ჩემთან ხოვლეში ხშირი სტუმარი იყო და ერთხელ მი-ამბო ეგ ამბავი და მითხრა“—ო: „ეკატერინე გაბაშვილის შვილი როგორ უნდა დამეჭირა“—ო?

ვანო ჩემი სკოლის ამხანავი ნიკო ყარალაშვილის ძმა იყო და იქნება ესეც მოაგონდა, ან, როგორც ბევრი სხვა მაგალითებიც ვი-ცი,— თანაგვიგრძნობდა, პოლიციაც კი.

* * *

ნოე რამიშვილი როდესაც უფრო დიდი გასაჭირო საყითხი
და იტრია. დადგებოდა, ვიდრე უპურობა, შიმშილი

ან რაიმე „მასალის“ შემცირება, თბილისში მე ვიგზავნებოდი, კო-
მიტეტთან საქმის მოსავარებლად, და ერთ-ერთ ასეთ შემთხვევის
დროს მაცნობეს, რომ „სოც.-დემ. პარტიის“ კომიტეტი თხოულობს
„გაერთიანებას ძალებისას საერთო მოქმედებისათვის და „ლაბორა-
ტორიაში“ მონაწილეობის მიღება უნდათ“. საჭირო გახდა ისკანდე-
რის დაბარებაც და მე და ის წავედით საიდუმლო მოლაპარაკება-
ზე...სადღაც დიდუბეში დანიშნულ პაემანზე.

მათი მხრიდან გამოცხადდნენ—ნოე რამიშვილი და „იტრია“. სან-
დროს სცნობოდა რამიშვილი და მე კი პირველადა ვტედავდი ორ-
თავეს, თუმცა ნოეზე გაგონილი მქონდა.

ჩენი შეხვედრა სადღაც ბნელაში მოკლედ მოიჭრა... ადვილად
მისახვედრია, რატომ: როგორც გავეცანით ერთმანეთს და ალენიშ-
ნეთ მიზანი პაემანისა, რამიშვილმა, ჩენს კითხვაზე, თუ რა პირო-
ბები ით სურს „სოც.-დემ. პარტიას“ შეთანხმება ჩენთან, გრძლად
„დაასაბუთა“, რომ თანასწორობა (ე. ი. ერთი და იგივე რიც-
ხვი მომუშავეთა, თანაბარი ხარჯების გაწევა და თანასწორად გა-
ყოფა ყუმბარების რაოდენობისა,—ჩვენი წინადადებით) — ყოვლად
მიუღებელიაო.

— მაშ თქვენი წინადადება როგორია?

ბიბლიოთეკა

— ჯერ ერთი, ჩვენ არა გვყავს სპეციალისტები და მომუშავედაც ვერავის მოგცემთ. არც თანხები გვაქვს მაგისთანა საქმეებისათვის, ამიტომ თქვენ რასაც ყუმბარებს გააკეთებთ, ჩვენ უნდა გადმოგვცეთ ყველა, მოსახმარებლად.

სანდრო გაბუნიას უნდოდა კიდევ რაღაც „პირობებზე“ ლაპარაკი, მაგრამ მე გავაჩერებ: „ეგენი ვილაც გიჟები ყოფილან და რა გვაქვს მაგათანა სალაპარაკო?“ -მეტქი.

— ეგ შეთანხმების პირობები კი არ არის, უტიფრობაა, მაშ ჩვენ თქვენი მუქთი მუშებიც უნდა ვიყვნეთ, და, რაჯე არც თანხები გაქვთ, — ჩვენივე თანხებით ვაწარმოოთ საქმე და მოსავალი თქვენი უნდა იყოს; ამისთან „პირობებს“ დემოკრატია კი არა, მონების მპყრობელნიც ვერ გაძელავდნენ წამოეყენებინათ.

რამიშვილი აღბად ფიქრობდა „გამოსწორებას“ საქმისას:

— არა, ამხანაგებო, საქმე იმაშია, რომ თქვენი პარტია არის ბურუუაზიული პარტია და თქვენ არ იყით, ვის წინააღმდეგ უნდა მოიხმაროთ ბომბები, ჩვენ კი „რევოლუციონური პარტია“ ვართ და ვიცით, როგორც მოვიხმართ.

ასეთმა „პატიოსანმა უტიფრობამ“ უცებ დამარწმუნა, რომ ისეთ ფანატიკოსთანა გვაქვს საქმე, რომელთანაც მსჯელობა წყლის ნაყვაა. გამოუმშვიდობებლად გამოებრუნდი და სანდროც წამოვიყვანე.

აღბად ასევე ფიქრობდა „იტრიაც“ რომელსაც მოელი ჩვენი მოლაპარაკების დროს კრინტი არ დაუძრავს. რამიშვილზე კიდევ მოგვიხდება ლაპარაკი და... ლასა მგელაძეზე ბევრი რამ გამეგონა და ვიცოდი, ოლონდ, როცა პარიზში გავიცანი, მგონი 25 წლის შემდეგ ვიცოდი, ლონდონი, ამბისა, ხელი რომ ჩამომართვა. მაშინ მივხვდი აღწერილი ამბისა, ხელი რომ იტრიაც და ლასა მგელაძე ერთი და იგივე პაროვნებაა, რადგან საწყალი მაშინ ბნელაში ვერ გავარჩიო და მხოლოდ მისი შეშასავით ხელის გრძნობა ეხლაც ვიგრძენი. თითო ჰქონდა მოკრილი თურმე.

* * *

ლანდი? როგორც მოგახსენეთ, ჩვენს ლაბორატორიაში ბოლოს და ბოლოს მიავნეს... სრულიად დაცარიელებულს, რადგან გაგვათროთხილეს მეგობრებმა და უფრო შორს გადატანილმა რომ კიდევ გასძლო რამდენიმე ხანს, მარტო ისკანდერი და უძლვებოდა, რადგან მე სხვა საქმეში ჩამაბეს და ერთოთავად ვიგონებდი და მოდელებს ვაკეთებდი „ყუმბარების სასროლ მანქანებისას“. საქმე იმაში იყო, ჩვენ გაკეთებულ, საკმაოდ მძიმე ყუმბარებს, იქ ტყეში, სერიდან ერთს, ყოველთვის მე თითონა ვცდიდი ხოლმე, (რადგან სხვებს ეშინოდათ) და დავრწმუნდი, რომ 25—30 ნაბიჯზე შორს, საშუალო ლონის კაცი, ვერ გადაავდებდა და დამტვრეული ტოტები ხისა, ან ქვების ნატეხები (რაზედაც ვცდიდი), ხშირად ჩვენამდე აღწევდა უკან, წრინ თუ ყველაფერს ანგრევდა. ჩემ „სასროლს“ ასიდან ხუთას ნაბიჯამდე უნდა გაეტყორცნა ყუმბარა, ბევრნაირი ხიფათის ასაცდენად. ა. ასეთი ჩიჩიმავურაობითაც ვიყავ გართული როცა ერთ დღეს თავს წამომადგა სანდრო გაბუნია: „მეორე ჩვენი ლაბორატორიაც აღმოაჩინეს, გავითანტენით და ახლა არა-ლეგალურ მდგომარეობაში უნდა გადავიდეთ, მეტი გზა არ არის, რადგან ყველას ვინაობა პოლიციას ხელში აქვს“-ო.

გაყუჩებული ვისხედით ორი კვირის განმავლობაში ნახევრად ჩაბნელებულ ჩემს ოთახში და გარედ არ გამოვდიოდით. მარტო „პლანებს ვაწყობდით“ და ვანგარიშობდით თუ რა ზომისა, წონისა და ფორმისა უმჯობესი იქნებოდა „სასროლი მანქანა“, საუკეთესოდ გამოსაყენებლად და ფარულად გადატან-გადმოტანისათვის. ესეთი უნებური ჯდომა ნებსითს ტყვეობაში აუტანელი ხდებოდა, და ერთ სალამოს ჩაგაციდი, მოდი გავიაროთ ჰაერზე-მეთქი. კარგა შებინდებული იყო, როცა უკანა კარებიდან ქურდულად გავიპარენით და წავედით „გოლოვინის პროსპექტისაკენ“. „სუდებნაია“ ჭურის კუთხეს რომ მიუახლოვდით, კედლის ჩრდილს მოსწყდა თავის-ფეხებამდე შევად შემოსილი, შავგვრემანი ქალი, შავ-თავშალ შემოქრული, როგორლაც უცნაურად მომიახლოვდა და ჩურჩულით მითხრა: „ამაღამ შინ ნუ დაბრუნდებით“-ო. მაშინ რატომლაც არ გამიკვირდა ეს ამბავი, სრულიად ბუნებრივად მეჩვენა და არც მიკი-



თხავს, ვინ იყო, ან რად მეუბნება ასე—სრულიად უცნობოდესული მაგრამ მე რომ გავჩერდი, სანდრო წინ წავიდა არმლურიშვილი და მომიბრუნდა: „მანდ რას უყურებ, წამოდი“—ო.

მე გადავეცი „ქალის“ სიტყვები.

— რა ქალი, ვინ ქალი? რატომ მე ვერა ვნახე? ალბად მოგელანდა; დამცინა კიდეც.

ასე ჩუმად და ჩაფიქრებულნი განვაგრძობდით გზას, მაგრამ. რაკი „სიფრთხილეს თავი არა სტკივა“—ო, ნათქვამია, უთხარი სანდროს: „მოდი, ამაღამ შინ ნუ დავიძინებთ“—მეთქი; კიდევ გაიცინა ჩემ „ცრუმორშემუნებაზე“ და დამთანხმდა მაინც. ბევრი ვიფიქრეთ, ჩაუხევით „ბარიატინსკის“ ქუჩისკენ, გავედით „ვორონცოვის“ ხიდზედ და მაშინ და მოაგონდა: „მე „მიხაილოვის პროსპექტზედ“ მყავს ნათესავი ქალი—განდეგილი და იქ მივიდეთ“—ო. ვინ ქალი?— მეთქი. აკი გეუბნები; „განდეგილი“, ღულაძეს ცოლი. მივედით. სასტუმრო ოთახში გაგვიშალა ლოგინი იატაკზედ და ღამე იქ გავატარეთ.

ჯერ კიდევ თერთმეტი საათი არ იყო დილისა, ვიღამაც შემოირბინა: „წუხელის ეკატერინე გაბაშვილის სახლს დასცემია პოლიცია და უანდარმები, გაუჩხრეკიათ ბინა და ეძებდნენ რ. გაბაშვილსა და ა. გაბუნის“. ამ დღიდან ფაქტიურად არა-ლეგალურ მდგომარეობაში აღმოვჩნდით და სხვა და სხვა პასპორტით, სხვა და სხვა გზებით წავედით.

მაგრამ დღემდე არ ვიცი, ვინ იყო ის უცნაური გამაფრთხილებელი ქალი, თუ, სანდროს. არ იყოს, — მომელიანდა? (7).

შენიშვნა (7): ესთქვათ, მართლაც უცნობ ქალს შემოხვევით კიდეც სკოდნოდა, რომ მე იმ ღამეს გამჩხრეკავდნენ,— საიდან უნდა სკოდნოდა, რომ სწორედ იმ დღეს და იმ საათში გავიღლით სწორედ „სუდებნაბა“ ქუჩისთან, საცადავთდა! შემოხვევით შეგვეძლო ვერის დაღმარით წასვლა, ან გუნიბის ქუჩით ან კიდევ სხვა ცხრა მიმართულებით, და ყველგან ხომ არ დაგვიყენებდნენ „გამაფრთხილებელ“ ყარაულებს.

ადმინისტრატიული დაჭრა. დამავიწყდა, რომ ამიტომ მათ და მათ შემთხვევაში დაბატიმრებული აღმინისტრატიული წესით ორ-ორი კვირა და ..კოკა წყალზე გატყდება-ო, რომ ამბობენ, ამ „მესამე“ შემთხვევის შემდეგ შეცძლებელიდა იყო ჩემი დარჩენა თბილისში და წავედი „დასამალავად“ სილნალში, სადაც ასე ესტევათ, ძალლიც კი მიცნობდა, და ვცხოვრობდი მოსამართლის სახლში, ჩემი ნათესავი ქალის ქმართან.

მაგრამ რაზედ ვიყავი დაჭრილი და... გამოშვებული ორჯელ-ვე,— ესევი დამახსინათხებელია მაშინდელი დროისათვის თავისი ზოგიერთი წვრილმანითაც კი.

პირველად: სრუმრად ვიჯექი ნინო ყიფიანთან (რომელიც აქ-ტიურად მუშაობდა ფედერალისტებთან და ერთხელ საზღვარგარე-თიდან ჩამოტანილი ორი „ორმაგი“ კიდობით გატენილი მელი-იტის გადატანაშიაც კი მეხმარებოდა ლაბორატორიაში და... შიშით,, თუ გარდამეტებული გულაბდილობით. კინალამ გამცა კიდევაც (8) როცა, შალვა მესხიშვილის სისულელით, ამ ორი კიდობანის თრე-ვა დაგვჭირდა მთელი კვირის განმავლობაში უადგილო ადგილს)

შენიშვნა (8): სოფ. მეტეხის საქცევზედ რც. გზისა ..ეაშლანი კაცი, არ დაგვჭირდა და შალვამ ვერ გადასცა მერიისტი. შევერჩა ხელში ორი ახალი კიდობანი ორმოციოდე ქალსა და კაცს. საქაშეთში რომ „კონფერენციაზე“ მივ-დიოდით და ორმოციდან მარტო სამშა ვიცოდით, რა საშინელი ტვირთი იმალე-ბოდა ამ კიდობნებში. სადგურ სკრაზე ჩამოქსედით და ყველანი გაიქცნებ ღა-მეში ერლებისაკენ. განათებულ სადგურზე დავრჩით სრულებრი და ახალ მოდა-ზე გამოპრანებული, პირბადინი ქალი, უანდირმის თვალში საჩხერად. რომ არ ვკითხა, თუ ვინა ვართ, ან რას ვაკეთებთ, ან ეს რა კიდობანია, შეუცარებულებივით „არშიყობა“ დაცრწყეთ ვითომ, უანდარმის თვალშით დავიწყეთ სეირნობა, კიდო-ბნებიც განგებ თვალსაჩინო ადგილზე დავდევით. შალვას სისულელით, ამ ორ ჩამადანში—ორი კუმუკინ საყლო, ერთი პერანგი და რაღაც დაგლეაჯილი თვე-შალის მეტი არა იყო რა (:„სხვა ვერაფერია მოვნახე“-ო) და ვიმე რომ ყურად-ლება მიექცია ამ „სიმსუბუქისათვისის“, — უკვე ხათაბალაში გაბმული ვიქნებოდით, რადგან ორმაგ გვერდებში ხუთ-ხუთი კილო მელინიტი იყო ჩაყოლებული.

როდის-როდის ჩაგვსხეს უცნობმ მეურმის ურეში. შესთხვევით საქაშეთი-საკენ მიმავალში და ... ნინა გზაში ეუბნება; — შენ ეი, მეურმე, კი არაფერი გა იფიქრო: მე ყიფიანის ქალი ვარ და ფრთხილად იყავი, — ბომბები მიმაქვეს-ო. მე-ურმეს ხმა არ გაუცია, და არ ვიცი, რა „გაიფიქრა“, მე რასაც გავიფიქრებდი ამ უცნაურ და უადგილო სიტყვებზე.... წარმოდგენილი გექნებათ!

ნიათ“ და სხ. ასეთი...უტიფრო თავის „მოდურაქებანი“.

საიდანლაც განკარგულებით, ნინო ციხეში დასტოვეს და მე მესამე დღეს, სხვა ორმოცდაათ ტუსალთან ერთად, გამისტუმრეს „საკომენდატოში“, სასახლის პირდაპირ რომ იყო.

ვიცოდი, იქც გამჩხრევავდნენ და ვზაში დაეხიე და ვადავყარე ის ყბაღ-ასაღები „ულიკა“—გ. დეკანოზიშვილის წერილი, რომელიც ამდენ ჩხრევას გადარჩა, ეხლა უკვე ბელგიური პალტოს „ჯიბის ჯიბეში“ შენახული რომ მქონდა თანა, რაკი დროზედ ვერსად დავაბინავე... შიშით, რომ: ვისთანაც იპოვნიდნენ,—იმასაც დასჯიდნენ.

საკომენდანტოში, რაღა თქა უნდა, ყველანი გაგვჩრიკეს ისევ და პოლკოვნიკმა,—გვარი აღარ მახსოვს, მაგრამ „ფათრეთი“ და საძაგელი „სახელგავარდნილობა“ კი—, ჩემს ჯიბეში აღმოაჩინა... ხის რევოლვერი. ამაყი კმაყოფილებით წარმოსთქვა:

— აჟა! და ვკირილი დამიწყო: «Всех вас вешать надо».

— Во-первых, Вы не имеете права на меня кричать,— და-უყვირე მეც,— а за детские игрушки людей не вешают.

— Знаем эти «игрушки», это, наверное, для запугивания людей? და თან ხელში ატრიალებდა ჩემს „მოდელს“(9). ხმა კი და-უშა ჩემს შეუვირებაზედ.

— Раз Вы меня спрашиваете, должны верить, а если не верите, что это — игрушка, нечего тогда и спрашивать (10). Вы так напуганы, что Вам везде мерещатся «страшные революционеры», даже среди случайно арестованных.

Заприте его в отдельную камеру,— გასცა ბრძანება ჩემი და-ცინგით გაბრაზებულმა პოლკოვნიკმა დდ პირდაპირ გალის რომ ჰგავდა ისეთ საკანში გამომამწყვდის.

შენიშვნა (9) ეს იყო ხის მოდელი ისეთი ბრაუნინგისა, რომელსაც ტყვიის-მფრქვეველის მინაგვარად, 9 ტყვიის მაგიერ ჩემს ანგარიშით (და გამოგონებით) 27 ტყვია უნდა გაესროლა მარაოს გვარად, თუ ბევრი მოდიოდა შენზე ერთად.

შენიშვნა (10) ასეთი „ფორმულით“, მტკიცედ რომ გამომითქვაში, კვლა ვაც ბევრჯერ „გამიშტერებია“ ჩემი დამკიოხელნი და დაწყნარებულან.

* * *

ავალიანი და სხ . ჩემს გალიაში, რომლის გვერდით ჩარიგებული იყო ხუთი-ექვსი ასეთივე საკანი, გამოჭრილი იყო ოთხ-კუთხი, საცა სახის გაყოფა შეიძლებოდა და ჩემ წინ ცარიელი ოთახი იყო, რომლის სწორედ ჩემ კუთხესთან წყლის ონკანი სჩანდა.

ნაშეადლევის ორი-სამი-ოთხი საათი იქნებოდა, მეორე კუთხე-სთან რომ კიბე ჩამოდიოდა ზედა სართულიდან, ჩამოიყანეს თერთმეტი ახალგაზრდა კაცი; ჯერ ჩამწკრივეს და უფროსმა ჯარისკაცმა რაღაც ქალალდის კითხვა დაიწყო; ... ავალიანი — სმერტნაია კაზნ!.. გომელაური — დვადცატ ლეტ კატორგი!.. და ასე უბრალოდ ჩამოთვალა ხუთი კაცის სიკვდილის განაჩენი და ექვსისა — ოც წლის კატორდა (11). მერე,— გაოცებული უყურებდი, როგორ ჩემ თვალწინ ცხენებივით დაჭიდეს თერთმეტი ადამიანი. მიკვირდა, რადგან პირველად ვხედავდი ასეთ სცენას: მორგვზედ აღმევინებდნენ ერთ ფეხს, მერე მეორეს და მჭედელი ზედ მძიმე ჯაჭვს აქვდავდა, რომელსაც შემდეგ უერთებდა ხელებზედაც ასეთივე დადებულ ბორჯილებს.

თითო ადამიანი, როცა დაჭიდეს გაუთავებდნენ, მოდიოდა ჩემი კუთხის ონკანთან ხელის დასაბანად და, რომ დამინახავდნენ გამოჭრილ ოთხკუთხებში, ღიმილით მეუბნებოდნენ:

— ამხანავო, ოცი წლის კატორდა გადამიწყვიტეს!

— ამხანავო, სიკვდილით დასჯა გადამიწყვიტეს!

ასე ყველა... და არასოდეს დამავიწყდება უქუდო, ლამაზი მრგვალი სახის, თვრამეტი წლის ყმაშვილი ავალიანი, რომელმაც ივივე გამიმეორა ისეთი ამაყი კმაყოფილებით, თითქო სიკვდილი კი არა, ქორწილში წასვლა მიესაჯნათ.

ეს იყო „შეფი“ ამ თერთმეტი (ყველა ამაზე უფროსი იყო) „წითელრაზმელისა“, რომელთაც, ბევრ სხვა საქმეებთან ერთად, ჰერილდებოდათ რამდენიმი დღის წინად მთელი რიგი მაღაზიების

შენიშვნა (11) ამ სასტიქმა განაჩენმა ცოტა არ იყოს ჩამაფიქრიანა; ერთსა და იმავე დღეს ვიყავით დაჭერილნი. მართალია, სხვა და სხვა ადგილის და სხვა და სხვა საქმეზედ, მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, „ჯერ დაგჭედავენ და შერე დაამტკიცე, რომ აქლემი არა ხარ“ - მ.



გაძარცვა და, მგონი, კაცისმქვლელობაც. თურმე არატუჭნიშვილი რწყებული მოტეხილან, არავინ და არაფერი გაუციათ, უარყოფის მიზანი კულტურული ბრალდებას, ზედ დანაშაულზედ მასწრებისაც მიუხედავად, და „ამიტომ დაისაჯნენ ასე სასტიკად ჯიუტი სოლიდარობისათვისაც“,— როგორც გვიამბო 17 წლის შემდეგ,— 1922 წელს უკვე სტამბოლში ღენერალმა ნიკოლოზ მილიქიშვილმა, — ეპილ ოგი ამ „სამხედრო გასამართლებისა“, საკა სასამართლოს თავმჯდომარედ თითონ ყოფილა იმ დროს. ეპილოვი არა დრამატიული მხოლოდ, არამედ სადრამოც:

— სამსჯავრო გათავდა, თერთმეტი გაუტეხელი ბაზდიტი წაიყვანეს ბორკილების დასადებად. მოსამართლენი უკვე ვკრეფით ქალალდებს წასასულელად, თან განცუიფრებას გამოქვემდით, რომ სასტიკი მსჯავრით მუქარის მიუხედავად, ვერ ვათქმევინეთ, თუ სადა ჰქონდათ იარალის მთავარი საწყობი, როდესაც უტყუარი ცნობები გვქონდა და შემამსუბუქებელ გარემოებად უთვლიდით მის ჩვენებას.

ამ დროს შემოალო კარი აღიუტანტმა და მოგვახსენა:

— ვაშე პრევოსხოდიტელსტო, კავაია-ტო დევუშეა პროსიტ დოპუსტიტ კ ვამ, ტაკ კაკ „იმეიუ, გოვორიტ, ვაენოე ობსტოია-ტელ: ტეო სოობშიტ სუდუ“.

მხედრებმა გადაეხედეთ ერთმანეთს; საქმე გადაწყვეტილი იყო უკვე, ან რა უნდა ეთქვა ისეთი ვილაც ქალს? და უფრო ცნობის მოყვარეობით, ვიდრე „ახალი გარემოების“ განსახილველად, მოვილაპარაკეთ. დავთანხმდით და დავიჭირეთ ოფიციალური აღვილები.

შემოიყვანეს 17—18 წლის „დაბატული“ ქალი, რომლის გულ-ლია და გულუბრყვილო გამომეტყველება უფრო ბავშვს მოგაგონებდათ, ვიდრე დაქალებული ქალისას. ლამაზი თვალები, ტუჩები ლიმილით ანათებდნენ თითქო და ნათალ ცხვირთან ერთად... ან, კრაიკა!,

— დაბრძანდით, რა გნებავთ მოგვახსენოთ?

ქალმა სრულებით არ დაირცხვინა სამხედრო სასამართლოში ყოფნა და უბრალოდ წარმოსთქვა:



— ბიტონო ღენერალო, როგორც გავიგე (საიდან რა უნდა ჩატაროს მართვა გო?), მთავარი საწყობის აღმოჩენა იქნებოდა შემამსუბუქებული ფრამოება თქვენგან გასამართლებულ დამნაშავეებისა (ეს სიტყვა ისე წარმოსთქვა, რომ მის თვალში ნამდვილი დამნაშავენი ჩვენ ვიყავით თითქო) და მე რომ გაჩვენოთ საწყობი, ხომ შეუცვლით სიკვდილს?

— მერე თქვენ ვინა ბრძანდებით? ან საიდან იცით ეგ გარემოება? ან რატომ ხართ ეგრე დაინტერესებული ამ ბანდიტებით? — თითქმის ერთად მივაყარეთ კითხვები. ქალმა ამაყად შემოგვხედა და მოურიდებლად:

— მე ავალიანის საყვარელი ვარ!

— ა...ა?! წამოგვცდა ყველას გაკვირვებით; ერთმანეთს გადავხედეთ და... თვალების იღუმალი შეთანხმებით, გამოუცხადე, როგორც თავმჯდომარე!

— თუ საწყობს მიგვასწავლით, საქმეს მეორედ გავარჩევთ.

— და სასჯელს შეუმსუბუქებთ?

— ალბად!

— არა, პირობა — პირობაა!

— მაშინ იძულებული ვიქნებით თქვენც დაგაპატიმროთ, როგორც მონაწილეს. ქალს გელომა:

— ეგ ყოველთვის შეგიძლიანთ, მაგრამ საქმეს რასა შველის?

ერთი სიტყვით, ვერაფრით ვერაფერი ვათქმევინეთ, სანამ სიტყვა არ მივეცით ოფიცრისა, რომ სიკვდილით არავინ დაისჯებოდა, თუ...

მაშინ კი მიგვასწავლა და გაგზავნილმა ჯარის კაცებმა მთელი „არსენალი“ იარაღისა ჩამოიტანეს სადღაც მამადავითის ქუჩიდან. თოფები, უყბარები, რევოლვერები და ასობით პატრონა.

— И смертникам казнь была заменена 20-летней каторгой, для атава, უკვე მოკანკალე ხელებიანმა მოხუცებულმა ღენერალმა. და, მეათე პაპიროზის ორ ქალალდში სქლად განვეულ თამბაქოს ცეცხლი მოუკიდა, როგორც ჩვეულება ჰქონდა.

აი, როგორ, და ჩემთვის — სად! დასრულდა ლამაზი ავალიანისა და მისი „დახატული“ საყვარელის ამბავი!

* * *

რომანი? „არა-ლეგალურ“ (в подпольи) მდგომარეობას, პოლიციისა, თუ ჯაშუშებისა და გაცემის წინაშე, ბევრი უხერხული მხარეცა ჰქონდა; მუდმივი მაღვა, სხვისი ბინთა, საჭმელით და მზრუნველობით სარგებლობა და სხვა ათასი, რასაც ხშირად (და ალბად, ეს სხვებსაც გამოუცდიათ) მოჰყოლია შეუფერებელი რომანი და შეულლებაც. მართლაც, მუდმივ საიდუმლო, შიშისა და ენტუზიაზმის, ალტყინების ატმოსფეროში მყოფ ახალგაზრდობისათვის, რაინდისა“ (?) და მებრძოლის შარავანდედით მოცულისათვის ნებსით თუ უნებლიერ, ბუნებრივად ხდება დაახლოება, ჩვეულებრივ პირობებში ხანდახან სრულიადაც წარმოუდგენელი (12). ერთი ასეთი მაგალითი გამიხდა მიზეზად, მალე მიმეტოვებინა თბილისი და წავსულიყავი პროვინციაში. ქალბატონ „განდევილის“ ბინიდან მედა „ისავანდერი“ რომ უკვე „არალეგალურნი“ წავედით, პირველი დღიდან „საიდუმლო ბინაზე“ მომათავსეს, ოდნავ ნაცნობ, ფედერალისტების ოჯახში, საცა და, დედა ან შვილი არ მიპატრონებდა და მომიცლიდა ისე, როგორც ორი ქალიდან, ერთი,—ჩემი მიმღები პატიოსანი, დარბასისელი ოჯახის მამისა. საჭმელი, ლოგინი, აბანოთუ სითბო ღუმელისა და ალერსიანი სიტყვისა; სიფრთხილე და საიდუმლოდ ჩემი დაცვა მეზობელთა თუ მტერთაგან ისეთი „დელიკატური“ იყო, — ტყის სპარტანული ცხოვრების შემდეგ, — სამოთხედ უხდა მოშჩენებოდა, მე კი, მაღლობის მაგიერ, — მაბრაზებდა (13).

და როცა აშეარად დავატყე, რომ მართლა დიდი ამაგი და მზრუნველობა ამ ქალისა ჩემზე, — სიყვარულის გრძნობაში გადადიოდა, იძულებული ვიყავი, ორი კვირის მეტი ვერ გამეძლო და, შეიძლება ღმერთმა დამსაჯა უპასუხობისათვის: „რევაზ თავქარიანის“

შენიშვნა (12). შეიძლება ამით აიხსნება ის სამწუხარო ამბავი, რომ „ლა რუსიდან“ ამოშალეს „La plus belle race du monde“... ჩენი ბობოლა ემიგრაციის შიხედვით!

შენიშვნა (13) „ვაი შენ, ჩემო კარალულო ჩალა!“—ო.



პასპორტით გავემგზავრე სილნალს. ალბად ვინმემ „მიხიმანურულუშები“ ტეტში ა ს ე თ ი პასპორტი რომ მიშვენა, მაგრამ, პირველზე გვიჩვიუა ა რების შემდეგ, შეურიგდი ამ ჰუმორს და რამდენიმე თვე თავქარიანის როლში თუ არა, პასპორტით დავიარებოდი.

* * *

ს ი დ ნ ა ლ შ ი, რომ იტყვიან—ძალლიც კი მიცნობდა და პრისტავი გენრიხიც კი, რომელიც ჩემ ბედზე ახლად გაემწესებინათ აქ, თბილისში „აკოლოდოჩის“ თანამდებობიდან ამაღლებით და... ბავშვობიდანვე რომ „მოწინააღმდეგეთა“ ბანაკებში ვიყავით, თამაშობასა, კოჭაობასა თუ სხ., და ჩემი დაბრუნებისას საზღვარ-გარე-თიდან სტუდენტ-რევოლუციონერად, ის იყო „აკალოდნიკი“, მუდამ ჩენ ქუჩაზე აყუდებული და ჩემიც თვალ-ყურის მაღევნებელი. მაგრამ ერთმანეთს ვითომ ვერა ვცნობდით.

გენრიხს მერეც დაუბრუნდები, რაკი უცნაური ბედი ეწვია ამ ჩემ „ჩრდილს“, რომელიც თითქო განგებ უკან დამდევდა.

სილნალის ბატონ-პატრონი ხომ 1905 წელს იყო ფედერალისტების კომიტეტი და მისი თავმჯდომარე თომა კევლიშვილი. მაზრის უფროსი (გვარად, მგონა, ლაციუსი) უკომიტეტოდ ნაბიჯს ვერა სდგამდა, განკარგულებებს ჩენი კარნაზით სწერდა; ნავთის, მარილის, შაქრის მაზანდას ჩენს გარეშე ვერ აწესებდა (14). სასამართლოს განაჩენებიც კი, სისხლის სამართლის დამნაშავეთა წინააღმდეგ, ჩენი უშუალო ჩარევით ან მსუბუქდებოდა, ან მძიმდებოდა და, უმეტეს შემთხვევაში, გარეშემო სოფლების გლეხობა პირდაპირ „კომიტეტს“ სთხოვდა გასამართლებას ერთმანეთთან დავებში(15), მიტინგები პირდაპირ ქალაქის მოედანზე ეწყობოდა.

შენიშვნა (14) სომხის ვაჭობისა, ადმინისტრაციისა და მოსახლეობის,— უმთავრესად გლეხობის ინტერესების დაცვით,— მაშუალობას ვაწარმოებდით და ფასებს ვაკლებინებდით.

შენიშვნა (15) ათას სხვა „საქმესთან“ ერთი ასეთიც უნდა გაგვერჩია: შორეულ სოფლიდან ჩამოსული გლეხი ჩიოდა—„ქათამი მომპარეს და სამრითალი არსად არის“—ო. გაკვირვებით ვარწმუნებდით, რომ ანგარიში არ იყო, ერთი ქა-

* * *

ტერორისტები. ასეთი იყო მდგომარეობა სიღნალის მაზრაში, როცა ერთ საღამოს, კომიტეტის სხდომის დროს, შემოვიდა სკოლის დარაჯი და მოახსენა: „თბილისიდან ორი ყმაწვილია ჩამოსული და კომიტეტთან მოლაპარაკებას თხოულობენ“—ო. ჯერ მე გამგზავნეს: ნახე, ვინ არიან და რა უნდათ-ო? მართლაც, ორი თავით-ფეხებამდე შეიარაღებული ყმაწვილი დამხედა დერეფანში, ორავეს ეცვათ ბლუზები, გულზე და წელზე პატრონტაშებით, თოფები ხელში, ნაბადი ცალ მხარზე მოვდებული და მაშინდელი, მოდად შემოლებული, გრძელ-ბეწვიანი ფაფახებით თავზე. ჩემ შეკითხვას, თუ რა უნდათ?.. დაუჯერებელი დიალოგი მოჰყავა:

— ჩვენ გამოგზავნილები ვართ „სოციალ-დემოკრატიულ პარტიისაგან“, რომ სიღნალში ტერორისტული აქტი მოვახდინოთ.

— თქვენ ხომ იცით, სიღნალის მაზრა ფედერალისტების კომიტეტის ხელშია?

— დიალ! სწორედ ამიტომა ვართ გამოგზავნილი თქვენთან რომ თქვენი ჩვენებით მოვახდინოთ ტერორისტული აქტი.

— რატომ უნდა მოახდინოთ, როცა უტეროროდ მთელი მაზრა, მაზრის უფროსი, სასამართლო და სხ. სულ ჩვენ ხელშია!?

— სწორედ მაგიტომ, რომ მარტო სიღნალის მაზრაში არ მომხდარა არც ერთი ტერორი და მშვიდობიანობაა, ჩვენ გამოგვვავნეს...

არა მარტო მე, თანდათან მთელმა გამოლაგებულმა კომიტეტმა, ძლიერ მოვახერხეთ მათი დაჯერება, რომ სიღნალის მაზრაში ტერორი არა გვჭირდება... მივეცით საგზაო ფული და თელავში გავისტუმრეთ. „იქნება იქა სჭირდებათ და იქ წაბრძანდით...“ თო-

თმის გულისათვის „კომიტეტს“ აცდენს და ამოდენა გზის გამოვლა, — უფრო ძვირად დაუჯდებოდა ხომა. — ბატონო, საქმე ქათმის ფასში კი არ გახლავთ, — სამართალ ს ვითხოვ და, თუ საჭირო გახდა, პეტრებუხში ხელმწიფებრივ მივალ-ო. მისი ღრმა არგუმენტაცია უსამართლობის შედეგებზედ, არა მარტო მაშინ ჩავთვალეთ მისაღებად და გავარჩიეთ მისი „საქმე“, — ეხლაც ლირსშესანიშნავად მიმინია, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით.

რემ, ხან ლაციუსის მოკვლა მოინდომეს, ხან პრისტავ გენრიხისა, ხან ვისი, ხან ვისი. სახეები და თვალები ისეთი მომაკვლეჩინებული იყენებით უბრწყინვდათ, მთელი მიხერა-მოხერა მოსხლეების და ურებიც კი თითქო დაცევებილი ჰქონდათ იმ ცხენებივთ, რომელ-თაც მგლების შიში გამოუცდიათ და ეხლა სულ ჩამახზედ არიან. არა-ერთი კაცი ეყოლებოდათ მოკლული უკვე და ეხლაც „სწყურო-დათ სისხლი.“ ასე გადავარჩინე ჩემი „მტერი“ — გენრიხი.

არ ვიცი როგორ მიიღეს ისინი ოელავში, ან თუ მოახდინეს იქ ამავ „აქტი“, მაგრამ სიღნაღის მაზრის მყუდროებაც დაირღვა მალე.

* * *

მ ა ჩ ჩ ა ა ნ ი ს როგორც „სოც.-დემოკრატიას“, ფედერალის

ა მ ბ ე ბ ი . ტებსაცა პყავდათ „სამხედრო რაზმები“ თბილისში (16), სხვა სოფელ-ქალაქებშიც და კერძოდ, სიღნაღის მაზრაშიც. და, აი, ერთ დღეს გავარდა თოფი: სოფ. მაჩხანიდან ამოცვივდნენ ბიჭები და მოგვახალეს: „არიქა, გვიშველეთ, საშინელი ამბავი დატრიალდა: ზემოსოფლის რაზმელებმა მოსთხოვეს მაჩხანს, რამდენიმე ახალგაზრდა რაზმისათვის; ახალგაზრდებს კი უნდოდათ, მაგრამ უფროსებმა არ დაანებეს და ატეხილ ჩეუბში ორი კაცი მოკლეს მაჩხანელებს. შეიარაღებულმა მაჩხანელებმა გადასწყვიტეს შეადგინონ თავიანთი რაზმი, შეჰქრან გზები და ზემოსოფლებიდან აღარც კაცი, აღარც ურემი, აღარც საქონელი გზებზე არ გაატარონ და, შეიძლება, სისხლის ასალებად მიუხტნენ კიდევაც ზემო-სოფლელებს...“

შეგვეწნა აღელვებული ბჭობა. ეს ამბავი ლაციუსსაც გაეგო და შემოგვითვალა:

«Я вынужден послать сотню драгун для наведения порядка...»

ჩვენ მოვთხოვეთ შეჩერება განზრახულისა რამდენიმე დღით და მეორე დღეს დილა-ადრიან, კომიტეტის სამი წევრი და მე, ჩა-

შენიშვნა (16) რამდენიმე ეპიზოდს თბილისის „რაზმის“ მოქმედებისას შემდეგში გავიხსენებ, როგორც დამახასიათებელსაც და ... თუ რატომ შეც არ მოვყევი შეგა.



ეს რიცხვული
ეს ხედით ფაიტონში და ჩავქანდით, აღელვებული ათასგუმაზე მაჩხაანში. არ მახსოვს, კვირა დღე თუ იყო, მაგრამ „მთელი სოფელი“ (რომ იტყვიან) მოედანზე დაგვხვდა ჩოჩქოლ-დრტვინვაში. ეტ-ლი პირდაპირ ბრძოში შევაქანეთ და დავიწყეთ გამოკითხვა, დაშოშ-მინება, დარივება, — მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად, უფრო საშინელ უბედურებათა თავიდან ასაცდენად და რუსის დრაგუნების საქმეში ჩარევისაც.

ძნელი იყო ხალხის დაწყნარება. აღელვებული და შიგა და შიგ მუქარის ხმები ჩვენკენაც მოიმართებოდა; ზოგი კეტსა და თოფსაც იმარჯვებდა: „ასე არ დავტოვებთ საქმეს, სისხლი უნდა ავილოთ, ი, ვილაც რაზმელები არიან!“ და სხ. და სხ.

კარგა ხანს გასტანა ალიაქოთმა, როცა ერთი მოხუცი მომიახლოვდა და წყნარი, მამა-შვილური ხმით მომმართა:

— შვილო, ჯერ სულ ყმაწვილი ბრძანდები, გეტყობა, და ასეთ საქმეში ჩარევა საშიშიც არის, თუმცა გატყობ მართლა სიკეთე გინდათ. რასაცა ბრძანებთ, მართალია, მაგრამ ხომ ხედავთ... ხალხი რას გაგიგონებთ, როცა ახალი მკვდრები გვისვენია სახლში; ამას დრო უნდა. თქვენ ეხლა წაბრძანდით და ჩვენ თითონ და-გაშოშმინებთ ხალხს და ჩვენი ადათების წესით მოვიქცევით. სისხლს როგორ ავალებინებთ, მაგრამ ავანაზლაურებინებთ კია.

ისეთი დამარწმუნებელი იყო მისი სიტყვა, ისე უცებ მომხვდა გულში მისი ფსიქოლოგიური სიდინჯე: „ახალი მკვდრები... ამას დრო უნდა-ო-ო“, რომ კინალამ გადავეხვიე; ხელი მაგრა ჩა-მოვართვი, დაუძახე კომიტეტის დანარჩენ წევრებს, ხალხში რომ იყვნენ გარეულნი და უამბე მოხუცის ჩევა. ყველას ჭკუაში დაუჯდა; მიუსამძიმრეთ სოფელს, ვსთხოვეთ სიმშვიდე, აღუთქვით ყოველნაირი დახმარება და წამოვედით.

სიღნაღში მაშინვე ვაცნობეთ მაზრის უფროსს (აწ—„უნცროსს“), რომ საქმე მშვიდობიანად ამოვწურეთ, მაგრამ მეტად აღელვებული დაგვხვდა (გულწრფელად თუ განგებ, ვინ იცის):

«Обо всем известно в Тифлисе, вот полюбуйтесь телеграммой, из-за Вас я не только могу потерять место, но и голову.»



მართლაც, ყალბსა თუ ნამდვილ დეპეშაში ეწერა: «...Не допускать беспорядков, немедленно поставить в **Мაჯхანგиშვილი** сотню драгун (:„ეგზეკუცია“) выловить бандитов, доставит в Тифлис. При требовании, пришлем казаков».

საქე როლუდებოდა! შევევექმნა კამათი. ჩვენ მოვთხოვდით და-გაშოშმინებელი პასუხის გაცემას, არავითარ შემთხვევაში ყაზახები არ ჩამოსულიყვნენ, რასაც უსათუოდ საშინელი უბედურებანი მო-ჰყვებოდა და სხ. იქნებ ყველაზედ მჭრელი საბუთი ის იყო, რომ ჩვენც „თბილისის ცენტრალურ რევოლიუციონურ კომიტეტს“ (არ არსებულს, სხვათა შორის) ვიქებით იძულებულნი შევატყობი-ნოთ და მაშინ... არ აგცდებათ ის, რაც აგაცდინეთ, სწორედ თქვენი... გამჭრიახობისათვის...“ უამბეთ, როგორ მოვიშორეთ ამას წინად ჩამოსული ტერორისტები, «...так со вместино мы должны охранять сигнахский уезд от анархии царящей в других. ...». იქვე მდგარი გაფითრებული გენრიხი, აშკარა იყო, ბრაზით, არ ეთა-ნხმებოდა ლაციუსის „სისუსტეს“, მაგრამ უმფროსთან რა ხმა ამოე-ღებოდა? სულ კი ადვილად შეეძლოთ მთელი კომიტეტის დაჭრა, მაგრამ ვერა ჰქონდავდნენ. ვის ვისი უფრო ეშინოდა, ძნელი გასაზო-მი იქნებოდა.

ლაციუსმა ჰენრიხს გადასცა ყოველ შემთხვევაში ტექსტი დეპე-ზისა: «Приняты все меры, наступило успокоение, казаков не требуется, подробности донесением,»

და... გაგზავნა?

ყოველ შემთხვევაში, სანამ მე კიდევ სიღნაღმი ვიყავ, ყაზახები არ ჩამოსულან და განზრახულმა მიტინგმაც „კარგა“ ჩაიარა, მიუხე-დავად ლაციუსის მუქარისა: Мнѣ придется разгонять силой! და ჩვენი პასუხისა:

«На силу мы ответим силой, и напрасно Вы осложните себе когда кровопролитием, огэц этот митинг «мирный» и мы хотим внести успокоение в возбужденные страсти.»

უახლოეს კვირას, ქალაქის მოედან-ბაზარზედ მოვიწვიეთ დი-დი მიტინგი, სოფლებიდან დაბარებულ წარმომადგენლებთან ერთად



და, სხვა საკითხებთან, „საჯაროდ დავგმეთ სამხედრო რაჟიშენის ურთიერთობა ქმედება მაჩხან ში და ავკრძალეთ ძალით მატებლის შესყიდვა ციია; რაზმები განსაკუთრებით მხხალისენი უნდა ყოფილიყვნენ და არა ძალად გამოყვანილი. რეზოლუციების გამოტანის შემდეგ, მიტინგი დაიშალა და... მხოლოდ ამის შემდეგ, მოედანზე ჩამოიარა დრაგუნთა ასეულმა, რომელიც თვით მიტინგის დროს, საღლაც მეორე მიმართულებით „ეძებდა მიტინგს და ვერაფერი შეამნია“... ოფიციალურად (17).

* * *

სახაცილო ბომბები. მაგრამ ამ „მშეიღობიან მიტინგსაც“ და-ჰყვა სასაცილო ამბავი. სიღნაღში სცხოვრობდნენ „შეიღნი მმანი... ახმეტელნი“, რომელებზედაც ხუმრობდნენ: ეს ის „შეიღნი მმანი გუ-რჯანელნი“ არიან, „შეიღ-შეიღვერ რომ ესროლეს — სიმღერაში რომ არის — და ვერ მოარტყეს“-ო, და, ერთი ძმა — სოც.-დემო-კრატიაო, მეორე — მონარქისტი, მესამე — სოც.-რევოლუციონე-რი, მეოთხე — ანარქისტი, მეხუთე... მეექვსეც საღლაც არიან და მე-შეიღდე (მგონი, ნიკო) ჩვენთანაა, ფედერალისტიაო. მე ვიცნობდი სამ ახმეტელს და არ ვიცი თუ ძმები იყვნენ, მაგრამ... ნიკომ, ჩვენდი თუ არა სიღნაღში, მთხოვა: „აქაც გვყავს სამხედრო რაზმი, იარაღი ცო-ტა გვაქვს, თბილისი მარტო გვპირდება და არაფერს გვიგზავნის. რაკი სპეციალისტი ყოფილხარ, ჩვენც გავვიკეთე ყუმბარები“-ო. „სიამოენებით, მაგრამ მაგას ხომ დიდი ხარჯი და მოწყობილობა უნდა?“ — ვიცი, მეც „მექანიკოსი“ ვარ და ზოგი რამ ვიცი, შინა-ურულად მოვაწყოთ. მე მყავს ერთი სახელოსნოს პატრონი და კველაფერში დაგვეხმარებაო.

ეს „სახელოსნოს პატრონი“ გამოდგა „თეთრი თუნუქის“ ოს-ტატი და ისეთი პატარა ქურა ჰქონდა. რომ ბომბების ჩამოსხმა კი

შენი შვნა (17). როგორც შემდეგ, პარიზში, გავიგე ქნ. ნ. ამილახვრისაგან, ამ დრაგუნთა ასეულის უფროსი ყოფილიყო მისი მეულე ალექსი და... „ლაპი-უსის ბრძანებით ქართველებს როგორ დაპირდავდა, გაწევდ შორს მოუარა“-ო.



არა, ფარნების ჩარჩოებისა და კონსერვის ყუთებისათვის ძლიერდებული ნობდა კალას გახურებული საკალავით.

შემდგროვებელი

— ამ საშუალებით მხოლოდ ე.წ. პრიმიტიული „ჯოჯოხეთის მანქანის“ გაკეთება შეიძლება-მეთქი.

— ჰო და ეგ გავაკეთოთ, თუ ძალა აქვს.

ნიმუში რომ გაუკეთე და „სცადა“, ეს ამოდენა ზორბა კაცი ბავ-შეივით გახარებული მომივარდა.

— კაცოო! რა ყოფილა, რა ძალა ჰქონია, კამეჩის ვესროლე ბუ-ჩქებში და სულ დაფლითა, ბუჩქებიც გაცელა...

და თან თავის კამეჩა თვალებს აბრიალებდა.

რასაკვირველია, კამეჩის ვერ „დაფლეთავდა“, მაგრამ კაცს, ცხენს, ხარსა თუ კამეჩის ადვილად მოჰკლავდა რამდენიმესაც, თუ „ხეირიანად“ დაუცემოდა ხროვაში.

ი ასეთები დაუმზადე ოციოდე და „საშუობი“ მასა ჰქონდა. ლაციუსის მუქარას: «„придется разгонять силой“ და სიფრთხი-ლეს რომ თავი არ ასტექნოდა და არც ჩვენი „... на силу ответим силой...“ გამასხარავებულიყო, ზემოაღნიშნული მიტინგის გარშემო დავაყენეთ რამდენიმე თოფიანი და რევოლვერიანი კაცი, — სულ ხუთიოდე. და 7 კაცს, წინასწარი ბევრი ახსნა-დარიგებით, თუ რო-გორ უნდა იხმარონ საჭიროების (ე. ი. თუ დაგვეცნენ დრაგუნები ან ყაზახები) დროს, ჩავაბარეთ ბომბები. ამ შეიღმი ერთი თითონ ახმე-ტელი იყო. მე, როგორც ხელმძღვანელი, ჯიბეში რევოლვერით და მერვე ბომბით, ნელის ნაბიჯით სულ დავდიოდი მიტინგის გარშემო, ვათვალიერებდი „პოსტებს“ და მალულად, მოსასვლელ გზებზედ მე-ჭირა თვალი.

გეგმა ისეთი გვექნდა, — ერთი მხრიდან თუ მოვიდოდა მტერი, ყველანი იქითკენ უნდა გადავსულიყავით, დრაგუნებსა და ხალხს შუა ჩაემდგარიყავით და ჩემის, ან ახმეტელის ბრძანებით, სროლა აგვეტება პირველი ბომბის გადაგდების შემდეგ. თუ ორი ან სამივე გზიდან (მეტი არც იყო), მაშინ იმავე წესით ცალცალკე გვემოქმედნა და გასაჭირ აღგილს ერთმანეთს მოვხმარებოდით. „სამხედრო თათ-ბირის“ შემდეგ. — მიტინგი წესიერად მიდიოდა, — ნ. ახმეტელთან



მიუედი და ვკითხე, „ბიჭების“ იმედი თუ აქვს?

— ჩას ამბობ , ისეთები არიან... მგლებს შესჭამენ!-ო.

— აბა, მაშ შენ მარჯვნივ ჩამოუარე, მე მარცხნივ, მაინც გავა-
მხნევოთ, რომ ყველაფერი რიგზეა და ჰქითხე, თუ ყველასა აქვს
პაპიროსი?

ერთმანეთს რომ შევხვდით მეორე მხარეს, აღმოჩნდა, რომ არ ც
ერთ ს მათგანს არამც თუ მოკიდებული პაპიროსი, ასანთიც არა
ჰქონდა.

საჩქაროდ დაურიგეთ ყველას პაპიროსი და მოვთხოვეთ ჩაუ-
ქრობლად ჰქონდათ, რადგან ეს ხომ პრიმიტიული ბომბები იყო
პრიმიტიული პატრუქებით. ანთებულ პაპიროზს (ასანთს, ან მუგუ-
ზალს) თუ არ დაადებდი და ისე არ გადააგდებდი, უბრალო წვეტია-
ნი ქვით უფრო მეტი ზიანი შეგეძლოთ მიგეყენებინათ... მტრისა-
თვის. ბომბა, ადამიანს კი არა, ან მიწას, ქვასაც რომ მოხვედროდა,
მაშინაც არ გავარდებოდა... და ეს „მგელი-ჭამია ბიჭები“... სირცვი-
ლის მეტს ვერას შესჭამდნენ.

მადლობა ღმერთს, არავინ დაგვესხა და ამეტელს წლების გან-
მავლობაში ალბად ის „ჯოჯოხეთის მანქანები“ დაუანგდა და და-
უობდა კიდეც, თუ კელავ... „კამეჩების დაფლეთაზე“ არ მოიხმარა...
ქიზიყური „პანტის ზარბაზანივით“.

* * *

პავლე რობა. მალე წავედი თელავში, საცა ფედერალის-
ტებს ნაკლები გავლენა ჰქონდათ, მიუხედავად... თავად-აზნაურო-
ბისა და მთელი ინტელიგენციის მათკენ ყოფნისა, ეროვნული სა-
კითხის გამო. მაგრამ ამ პროვინციალურ ინტელიგენციას „სჯობნი-
და“ და თვალს უხვევდა ერთი პეტერბურლელი სტუდენტი, რომელ-
საც, სხვა მარქსისტულ ლიტერატურის გარდა, გაზეპირებული ჰქონ-
და კარგად შედგენილი, პლეხანოვის წიგნი და, გამართულ „კამა-
თებში“ სულ „ციტატებით“ აშტერებდა ხალხსა. ეს ხელოვნება, მენ-
შევიყების ხელობა იყო და ბატონი გ. ხირსელი უხვად სარგებლობ-
და ამით. და თუმცა ფედერალისტებიც ჰგზავნიდნენ „პროპაგანდი-

სტებს“, ხშირად დამარცხებულნი ბრუნდებოდნენ. ეხლაც იყო გვ-
გზავნილი აკავი პაპავა და საჯარო პაექტობა იყო დანიშნული მომავა
ატრში ამ ორ პარტიის შორის. საზოგადოება ღელავდა, ყველა უ-
ზადებოდა სეირისათვის, რადგან თელავისთვის ეს დიდი „ამბავი“
იყო... როცა სრულიად შემთხვევით და მოულოდნელად მეც ჩავე-
დი.

მეც მოვითხოვე სიტყვა კრებისათვის და ამ „ახალმა გარემოე-
ბამ“ უფრო ააჩოქოლა ხალხი და დანიშნული დღისათვის ყველა
ემზადებოდა წასასვლელად. ეს ორი მეტოქე, — გ. ხირსელი და ა.
პაპავა, გაწრთვნილი, დახელოვნებული პროპაგანდისტები, ორი კვი-
რით წინდაწინ ემზადებოდნენ ამ „ჭიდაობისათვის“; მე კი სულ ორი
-სამი დღე დამრჩენოდა სამზადისისათვის... თუმცა პლეხანოვის წიგ-
ნი მეცა მქონდა წაკითხული ჯერ კიდევ ლიერში (18), მაგრამ ორც
პროპაგანდაზე მივლია როდისმე და ორც „ციტატები“ ვიცოდი ზე-
პირად, რასაკირველია. ჩემი საქმე ყველაზე სუსტად სჩანდა. მაგ-
რამ ხირსელმა თითონ მათხოვა ჯენტლემენურად პლეხანოვის წიგ-
ნი, რავი უთხარი, რომ დიდი ხნის წაკითხული მაქვს და „ციტატე-
ბის“ გაზეპირებით და გვერდის ჩვენებით (ესეც მოდა იყო) თუ გაი-
ტან-მეთქი ლელოს.

მთელი წიგნი აჭრელებული ჰქონდა „დიალექტიური“ ციტატე-
ბის აღნიშვნით, ზოგი ლურჯი, ზოგი წითელი ფანქარით, დაახლო-
ებით ასე: საცა შავი თე თრად უნდა დამტკიცებულიყო, წერ-
ტილიდან წერტილამდე — წითელი ფანქრით ჰქონდა გასმული
სტრიქონებს, და საცა თე თრი — შავად უნდა წარმოედგინა; იმ
სტრიქონებს — ლურჯით. ისე რომ მთელი წიგნის გადაკითხვაც
არ დამჭირდა. მისივე ხაზე ბით ვისარგებლე კამათის დროს და,
როცა ორივე „ორატორი“ ამოიწურა, ერთს უთავაზე მისივე „სახა-
რების“ ლურჯი ციტატები, საცა წამოაყენა წითელი... და უკულ-
მაც; გვერდები კი არა მარტო, სტრიქონების ადგილსაც უსახელებ-

შენიშვნა (18): პირადადაც ბევრჯერ მომისმენია და ამასაც დიდი წონა
ჰქონდა, ხომა.

დი და, როგორც ის აშტერებდა სხვებს, ეხლა თითონ გამოტკიცებულია ლი დარჩა. (ძერე მისაყვედურა კიდეც: „კაცო, რა მიყავი, — ჩე მი-
ვე წიგნით მსპობდი“—ო. შენი კი არა, — პლეხანოვისაა და შემთხვე-
ვით განა სხვაგან არ შეიძლებოდა მეშოვნა და წაკითხულიც მქონდა
ხომ წინად).

ა. პაპავას შარტო ის უსაყვედურე, რომ არ ისარგებლა თვითონ
მარქსის სიტყვებით ეროვნულ საკითხზე, რომ რუსი პლეხანოვის და
გარუსებულ მენშევიკისათვის პირში ბურთი ჩაეჩარა.

მე რომ უფრო ცოცხლად ვლაპარაკობდი ამ ორის უკვე გა-
ზეპირებულ ნაღეჭზედ; რომ ახალი კაცი ვიყავი თელავის პაექტო-
ბაში, თუ ის, რომ ხახს უსვამდი ორივესაგან მიჩქმალულს ეროვ-
ნულ საკითხს, არ ვიცი, ჩემთვისაც მოულოდნელად, მთელი საზო-
გადოების ყურადღება მე მივიქციე. კიდევ ბევრი იყო ყაყანი იმ სა-
ლამოს და შემდეგ დღეებში, მაგრამ ამ იაფ-ფასიანში გამარჯვებამ
და ოვაციებმა სრულებით არ გამიხსნეს მაღა... ენის-ტლიკინა პრო-
პაგანდისტობაში გადავვარდნილიყავი.

* * *

აპუშკინის მკვლელობა. თელავში კიდევ ერთი კეირა თუ და-
ვრჩი და ფრიად უსიამოვნო ამბის მოწმეც გავხდი. ნასაღილევის
5—6 საათი იქნებოდა, ნაცნობ ოჯახში ჩაისა ესვამდით, რომ ქუჩა-
ში თოფმა იგრიალა. ასეთმა ჩემულებრივმა — მაშინ — ამბავმა არა-
ვითარი ყურადღება არ მიიქცია. მაგრამ რამდენიმე წუთში შემოვარ-
და ვიღაც და აღელვებით გვახალა: „აპუშკინი მოჰკლეს“—ო! აქ კი
ყველანი წამოხტით, გავცევივდით ქუჩაში და ასიოდე ნაბიჯის იქით,
დავინახეთ გაჭიმული პრისტავი, სისხლში მცურავი. სიარულის
დროსაც მაღალი, წარმოსადევგი აპუშკინი, ეხლა როგორლაც მეტად
გრძელი მომეჩვენა ასე გაშოტილი. საკვირველი იყო: ზოგი მკვდრი-
სკენ გარბოდა, ზოგი მკვდრისაგან და ყველას... უ ხ ა რ ო დ ა: „ჩა-
ძალლდა ბოლოს“, „ვენაცვალე მკვლელის მარჯვენას“, „ყოჩალ ბი-
ჭო!“... ასეთს მოურიდებელს სიტყვებს თუ გაიგონებდით. ჩემი მას-



პინძლის ქალებმა და სტუმრებმა, რამდენჯერმე ტაშიც ჰქონდა ჭრაშემთხული ჰქონდა და „შეიკუნტრუშეს... „შეგნებულმა“... „სოც.-ფედერაციულმა“ კებმა“.

მე სრულიად არ ვიცნობდი აპუშინს, მხოლოდ მინახავს და აჩაფერი გამეგონა რამე მაზედ განსაკუთრებული სიბოროტე, ამიტომ სრულებით გულგრილად შეეხვდი ამ მკვლელობას, მაგრამ რა ახარებდათ თელაველებს და რა აცეკვებდა ნინა რ — ს, მაგალითად, დღესაც არ მესმის.

— იქნება ცოცხალია კიდევ და შველა შეიძლება, — წამომცდა და ყველამ ხელი გაასავსავა: რას ამბობთ? ვის რად უნდა? ჭირიც წაულია...

კარგა ხანმა გაიარა, ხალხი ეხვია კიდევ ცნობისმოყვარეობით, რომ პოლიციელები მოვიდნენ და, ეტყობა, მათ უფრო ეშინოდათ ხალხისაც და ამბისაც. ეტლში რომ სდებლნენ პირგადაფარებულ გვამსა.

ლაპარაკი ბევრი იყო, თუ ვინ მოჰკლა? (მერე, გვიან, „ს.დ.“ და „ს.ფ.“ ყველა ითვისებდა ამ... „ვაჟკაცობას“), მაგრამ იმავ სალამოს, როცა, ჩვეულებისამებრ, ხალხი ბაღში დასეირნობდა და მეც ვიღასთანაც, — ჩემთან მოვიდა უცნობი ახმახი კაცი, გრძელ თოფ-გადაგდებული მხარზედ; ჩემზედ იმდენად მაღალი, რომ ზევიდან დამყურებდა და საიდუმლოდ, ხმის კანკალით მეკითხება: „ბატონო, მე მოვკალი აპუშინი და ეხლა რა უნდა ვქნა“-ო? ორნაირად და ათასნაირად გამიკვირდა: ეს ამ ოდენა კაცი, ულმაზო მონდოლური ტიპისა, შავი ქურთივით, — მე, თითქმის ბავშვს მასთან შედარებით, მე რას მეკითხება (ალბად „კომიტეტი“ ვგონივარ, თუ?). ან რატომ მე მომნახა, როცა არ ვიცნობ და პირველად ვხედავ? ან რა უნდა ურჩიო? რომ ჰქლავდა, მე ან ვისმე სთხოვდა რჩევას? ცოტა შევშინდი კიდეც, ეს „ყაჩალი“ ხომ არა მცდის, ან ხომ არ მომიგზავნეს საპროვოკაციოდ? — ყველა ეს საკითხები ერთ წუთში, თითქო ერთად წარმოიშვა და სრულიად წყნარად და გაკვირვებით უთხარი: „აბა რა ვიცი, კაცო, მე არაფერი დამივალებია შენთვის და თუ შენ მოჰკალი მართლა... (დიალ, დიალ, — ჩაურთო კანკალით)...



საუკეთესოა აქაურობას დროებით თავი გაარიდო, სანამ უშემდებობა მისამართოდ დაბავი... .

...ჰო, ჰო, ეგრე ვიზამ... და ეს ამოდენა კაცი ღამეს მიეფარა.

მართლა იმან მოჰკლა, თუ ტრაბახობდა, ან ვისი დავალებით, პირადად, თუ ისე... ადამიანის ფასი მაშინ გროში იყო... ვეღარას-ოდეს ვერ გავიგე. ან ვინ იყო? და მის მაგიერ... სხვები ტრაბახობ-დნენ?

* * *

გამოძიება. მალე გამოვემგზავრე თბილისში და იქიდან პარიზში, მაგრამ, ასე ესთქვათ — „რევოლუციონური ბულის“ ზოგიერთი ეპიზოდიც უნდა გავიხსენო ზემოაღნიშნულებთან, რომ ცალკე სურათებიდან მთლიანი „პუცლის“ პანორამა წარმოიდგინოთ.

... კომიტეტში რომ გამოვცხადდი, ახალი „ინსტრუქციის“ მისაღებად,

— მოდი, მოდი, შენთვის საინტერესო საქმე გვაქვს და უნდა გამოიძიო.

— ? გამოვიძიო?

— ჰო, საქმე შემდეგშია: „სამხედრო აზმმა“ განცხადება შემოიტანა, რომ გ. კ — ძე იპარავს და ჰყიდის პარტიულ იარაღს, — ჩვენის ცნობით. კომიტეტმა უნდა გამოიძიოს ეს საქმე და, თუ დამტკიცდა, სათანადოდ დაისაჯოსო.

მე ვიცოდი, რას ნიშნავდა ეს „სათანადო დასჯეა“ და მაინც, თუ სწორედ ამისათვის, ვერ გეტყვით, — ვიკისრე გამოძიება. გავიკითხებ გამოვიკითხე და ერთ დღეს, შებინდებისას, საიდუმლო ნიშნების გაცვლით, რადგან პირადად არ ვიცნობდი, შევხვდი თაწმინდაზედ გ. კ — ს. თვალშინ წარმომიდგა ისეთი სილამაზის, 19 — 20 წლის, პატარა ულვაშებიანი ახალგაზრდა, სახისა და ტანის ისეთი ნაკვეთი ხაზებით, პირდაპირ სურათიდან ჩამოსულ ტარიელს მოგაგონებდათ. არც მე ვიყავ ბევრად მაზედ უფროსი. — 23 წლისა, — მაგრამ



სამოთხ წელიწადის განსხვავებას ახალგაზრდობაში და ნამდვიწელები ვად მაშინდელ ეპოქაში, — დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ერთი მეორის საწინა-აღმდეგო პასუხებიდან ჩემთვის ნათელი გახდა, რომ „ბრალდებანი“ სწორე იყო.

რომ წამოვედი, მთელი გზა და მერე მთელი ღამეც რომ არ მე-ძინა, სულ იმის ფიქრში ვიყავი, თუ როგორ მოვქცეულიყავ?.. მე-თქვა აშკარად და ჩემებური სიმტკიცით მის სიმტკუვნეზე, ცხადი იყო, რაც მოელოდა „სამხედრო რაზმისაგან“; არ მეთქვა და რო-გორ დამემალა მისი უმგვანი დანაშაული? ბევრი ფიქრის შემდეგ, გადავწყვიტე და ისეთი მოხსენება გაუკეთე კომიტეტს, რომ ცოტა ზერელე კუუის ყმაშვილია, ჯერ კიდევ ბავშვი თითქმის და მაგის გამოსწორებაა შესაძლებელი. ამიტომ, როგორც პირველი დანა-შაული, — არ უნდა ეპატიოს, მაგრამ სასტიკად დაგმობილი; გა-ფრთხილებით შემდეგისათვის.

ალბად კომიტეტმაც გაიზიარა ჩემი აზრი და „რაზმიც“ და-აშოშმინეს...

ესე გადავარჩინეთ „უმაღლეს სასჯელს“... რასიული, ქართუ-ლი სილამაზისათვის.

* * *

ლ თ ლ ა ძ ე . ამავე მოტივით მე გადავარჩინე სიკვდილს პრი-სტავი ლოლაძე, რომლის მოკვლა განზრახული ჰქონდათ, არ ვიცი რა ბოროტებისათვის. მარტო იმიტომ რომ პრისტავი იყო და ჯერ კიდევ „კადეტობის“ დროს „დააჭირინა“ მეფის მოადგილე გოლი-ცინის დამჭრელი და გაქცეული დაშნაკელები? თუ ვაჟკაცური თვა-დაცუისათვის, რასაც მე თითონ შევესწარი და თვალით უყურე?: ვერის დაღმართზე მიდიოდა ლოლაძე ფაიტონით და ვიღაც რუსი ეჯდა გვერდით. მარცხენა მხარის დუქნიდან გამოვარდა ორი ახალ-გაზრდა და ერთმა მათგანმა ყუმბარა ესროლა ეტლს. ყუმბარა, ეტყო-

ბა, ცუდი ხარისხისა იყო (19) და მარტო ეტლი დააჭიაშა კულტურული არასამართლოს მიმღები განვითარებულ ეტლიდან, გამოუდგა ტერორისტებს, რომელნიც გაიქცნენ „ანასტასიევსკაია“ ქუჩით... (ყუმბარასთან, ალბად, რევოლვერებიც ექნებოდა) ... მისდევედა სირბილით ერთი—ორს და ბრაუნინგით ესროდა. ერთმა გაასწრო სადღაც და მეორეს დაეწია, წაავლო კისერში ხელი და თოთქმის ჰაერში აყვანილი (:თითონ მაღალი ტანისა იყო, ტერორისტები — დაბალის), მიათრია, ჩააგდო ფაიტონში, მოაბრუნებინა ეტლი და „გოლოვინსკისაკენ“ წაიყვანა. არა მგონია, ბევრი „ტერორისტი“ მოქცეულიყო ასე ვაჟაპურად, ბომბა რომ... მისთვის ესროლათ.

არ ვიცი, რა მოტივით უპირებდნენ მოკვლას, მაგრამ, თეატრში რომ მივდიოდი ერთ სალამოს (მერე რომ „შოთა რუსთაველის თეატრი“ დაერქვა) და შესავალი განათებული იყო დღესავით, ლოლაძე მარტო დადიოდა ტროტუარზედ... თითქო განვებ „მიზნად“ გამზადებული. ვილამაც ჩამისურჩულა: „ამაღამ განზრახულია ლოლაძეს მოკვლა და სჯობია თეატრში ნუ წახვალ, ხათაბალაში არ გაგხვიონ“-ო.

— ვინ არიან? როგორ შეიძლება ასეთი მშვენიერი ვაჟაპუის მოკვლა?

და როცა შემახვედრეს სამი ახალგაზრდას ჯგუფს, სადღაც ბნელა კუნძულში მიმალულს, — ბომბითა და რევოლვერებით გამზადებულს, — დიდი ხანი დამჭირდა მათ დარწმუნებისათვის, რომ კაცის მოკვლა ჭურდულად, მერე ასეთი ვაჟაპუის, — ვაჟაპუბა არ არის; რომ ბომბის სროლა წარმოდგენის დროს უდანაშაულო ხალხსაც დააზიანებს და სხ. და სხ. ჩემმა „არგუმენტებმა“ გასჭრეს, ახალგაზრდები დაიშალნენ, და, თუ არა ვცდები, ერთ მათგანს თეატრშიაც კი მოვკარი თვალი, როცა დაგვიანებით მეც შევედი.

მერე, ძალიან გვიან გავიგე, თუ მართალია, რომ მაინც მოეკ-

შენიშვნა (19): იქნება ჩემი გაკეთებულიც! — ამმეტელის კამეჩებს რომ ფლეთავდა“.



ლათ ლოლაძე დაშნაკელებს, როცა რაღაც საქმეზე იყო გვიშვიტის უკანას ლი, თუ გადაყვანილი სასამსახუროდ, ერევანშით.

* * *

„რევოლუციონური ერთ - ერთ ჩემ ჩამოსცლისას გადასახადები“.

„ტყის ლაბორატორიდან“ თბილისში, რაღაც დამატებითი მასალების მისაღებად, — ღლისით, მზისით მივდიოდი სასახლის ქუჩისაკენ, როცა დავინახე „ერმოლოვის“ ქუჩიდან ჩამომავალი ლეო კერესელიძე და მიხეილ ყანჩელი, ორთავენი ფედერალისტების „სამხედრო რაზმის“ წევრნი, — ნაბადწამოსხმულნი და ფაფახებით. შორიდანვე გამაჩერეს და გამიკვირდა ესეთი „მასკარადი“ (შიგნიდან ჩოხებიც ეცვათ ქამარ-ხანჯლიანი), რადგან მუდამ ევროპიულად იყვნენ გამოწყობილნი.

— რეზო, ჩევნთან უნდა წამოხვიდე, კომიტეტისაგანა ვართ გაგზავნილნი „საქმეზედ“, მითხვეს აღელვებით.

— მეც საქმეზედ ვარ ჩამოსული, კომიტეტში მივდივარ, სხვა საქმისათვის ვერ მოვიცლი.

— არა, კაცო, ეს სხვანარი, საინტერესო საქმეა: დავალებული გვაქვს ვაჭრებისაგან გადასახადის აკრეფა...

— ეგ ჩემი საქმე არ არის, ხომ იცით — მე „სხვა“ საქმე მაბარია და იმაზე ვარ ჩამოსული...

— ეგ მოესწრება, ჩევნთან წამოდი, საინტერესოა...

და მეტი დამაჯერებლობისათვის ალბად, ორივე ნაბდის კალთა გადაიწია და ...ფულით გატენილი ჯიბეები მაჩვენეს...

— აი, რამდენი შევაგროვეთ; „მიხაილოვის პროსპექტზე“ ერთი მდიდარი სომეხი ვაჭარია და ეხლა იქ მივდივართ, წამოდი, შენც გექნება....ო.

— არა, მე მაგ საქმეზე არ დავდივარ-მეთქი, ჩემი ხელობა არ არის...

და... ნაწყენი და გაკვირვებულნი შეუხტნენ ფაიტონს და, ალბად „მიხაილოვის პროსპექტისაკენ“ გაეშურნენ. გული ამემლვრა:



„ესაა «რევოლუცია»? ახალგაზრდები, ფულით დახარისხული მარტინი კინ გააზრახა? მაშ რაღას ვებრძვით „ბურუუაზიას, „ფულისანებს? რითი არიან „ესენი“ „მათზედ“ უკეთესნი?

და ამ აზრებმა, წინანდელ მრავალ „ეპიზოდის“ დროს თავში მოსულმა, შემდეგაც ბევრჯელ გამიარა ხომ... გაცარცვა, მოკვლა, ქურდულად... არა, მეფის რეუიმი მე რაღაც „უპიროვნო“ მანქანებად მიმაჩნდა, რომელსაც პირდაპირ უნდა შევბრძოლებოდით, რუსის ბატონობისგან გავეთავისუფლებინა სამშობლო, წმინდა ხელებით და აქ, რუსის სისხლის მაგიერ, ვიღაც სომხის გაჭრის, ქართველი პოლიციელის, ქურთის „დეორნიკის“ ჯავრს ვიყრიდით... და ეს „ბავშვური“ აზრები უფრო და უფრო ხშირად მომდიოდა... გვიანობამდის...

* * *

მ ა მ ი დ ა მ ა შ ო ...განა ესევე არ იყო, მამიდა ჩემი მაში, და „რაზმელები“. მუსიკის მასწავლებელი, რომ ჩამოიჭრა გაფიორებულ-შეშინებული: „რეზიკო, მიშველე, აი რა წერილი მომიტანეს და მოკვლას მიპირებენ, რა დაციშავებია?“ და გადმომცა წერილი: „ქალბატონო, თუ დღეს ხუთ საათზედ ხუთი ათასი მანეთი არ ჩაგიბარებიათ, კომიტეტის დადგენილებით, სიკვდილით დასჯილი იქნებით...“ და ქვეშ, როგორც მოღა იყო მაშინ ასეთი სასიამოვნო წერილებისათვის, დახატული იყო კუბო და გადაჯვარედინებული ძვლები, რაღაც ბუნდოვანი ბეჭდით.

— მიშველე, რეზიკო, სადა მაქვს ხუთი ათასი მანეთი, მე ხომ ისეც ვიხდი გადასახადს (20) რევოლუციისათვის და ეხლა შემიძლიან ხუთასი მანეთი კიდევ გადავიხადო...

ძლივს დავაშოშმინე და უთხარი, რომ ეს ან გაუგებრობა არის, ვიღაცა ბანდიტები არიან და, ნუ გეშინიათ (მასთან კიდევ სხვა, მე-

შენიშვნა (20): ყველა რევოლუციონურ პარტიას ჰყავდა თავისი თანამგრძნობი მრევლი, რომელიც რეგულირულად იხდიდა, ნებსიდ თუ შეიშით დაკისრებულ გადასახადს.

ორე მამიდაჩემის ხუთი „ობოლი“ ქალი სცხოვრობდა) — ანუშაული მიცემა არ დაგჭირდებათ; მე თითონ დავხვდები.

— არა, არა, მომკლავენ, ყველას დაგვხოუცავენ, ხუთი შეასარა-ლებული კაცი იყო... ორნი შემოვიდნენ... სამნი გარედ უცდიდნენ... ბალკონიდან დავინახეთ... მიეცი ხუთასი მანეთი... მარტოკა რას გახდები, შენც მოგვლავენ...

აქ კი ჩემმა „რევოლუციონურმა“ თავმოყვარეობამ გაიღვიძა: რას ბრძანებ, მეც „კომიტეტის“ სახელით ველაპარაკები და ვერაფერს გაბედავენ. ხუთ საათზე თქვენთანა ვარ და კარებს მე თითონ გაუღებ...

ასეც მოხდა. სწორედ ხუთ საათზედ დაირეკა ზარი, მაგრამ ჩა-სასვლელ კიბის ზემოდ უკვე დაყენებული მყავდა ერთი სკოლის ამ-ხანაგი რევოლვერით, ქუჩაში ჩენი „დვორნიკი“ მიხა კეტით: „ოუ სროლა გაიგონო, მაშინვე დაუსტვიმე-მეთქი“ და მე თითონ, ჯიბეში რევოლვერით ჩავედი კიბეზედ და კარი გაუღებ.

— რა გნებავთ?! — ცოტა ეოცათ, მოჯამავირე ქალის მაგიერ რომ ვიღაც უცნობი კაცი დახვდათ.

— ჩენ საქმე გვაქვს მარიამ გაბაშვილთან...

— მე მისი ძმის წული გახლავართ, ვიცი რაზედაცა ხართ მოსუ-ლი, მე მაქვს დავალებული თქვენთან მოლაპარაკება, შემობრძან-დით!.. შემოვიდნენ თუ არა, მე კიბეზე ავედი ორ-სამ საფეხურზე; მიხომ ვერ მოითმინა, გარედ დარჩენის მაგიერ, მათ შემოჰყვა და კა-რი შემოიხურა.

— ვისი დავალებით მოდიხართ მ. გაბაშვილთან?

— „ს. დ. პარტიის კომიტეტიდან“.

— ეს შეუძლებელია, რადგან მე ფედერალისტების კომიტეტის სახელით გელაპარაკებით და მარიამ გაბაშვილი ჩენს „წრეშია“ და ხომ იცით ჩენი „შეთანხმება“(?) ერთმანეთის ხალხს არ ვაწუხებთ.

— ჩენ „წითელ-რაზმელები“ ვართ და „შტაბმა“ გამოგვეგზავ-ნა... აშკარად დაიბნენ უკვე, თუმცა ეხტიბარს არ იტეხავდნენ და ერთი მათგანი ხელსახოცში შეხვეულ რაღაცა მრგვალ საგანს, დე-მონსტრატიულად ხელიდან ხელში აგოგმანებდა...



— იცოდეთ, აქ ჩაკეტილნი ხართ! თქვენ თუ შეიძირეთ უფლებულებები ხართ, არც ჩვენა ვართ ფლავის მჭამელნი... ეხლავე შეგვიძლიან ყველანი დაგაქერინოთ კიდევ, მაგრამ მშეიღობინად სჯობს გათავება. როგორ არა გცხვენიათ, ხუთი შეიძრალებული კაცი მოდიხართ მასწავლებელ ქალთან; რომელი „ბურუუა და კაპიტალისტი“ გამონახეთ, რომ ხუთი ათას მანეთას სთხოვთ..? მე ერთ გროშსაც არ მოგცემდით, მაგრამ შეშინებულმა ქალებმა მთხოვეს, მოგცეთ ხუთასი...

— რას აშბობთ... გვეცინით თუ?.. დაიწყო ერთმა... მეორემ არ დააცალა: „მართალია, არ ვიცოდით, ამხანავო... უნდა ვითხრათ, „ყოფილი წითელ-რაზმელები“ ვართ... ეხლა ალარავის ვეირდებით და ქუჩაში გვიკრეს თავი, ალარ ვიცით, რა ვწნათ... კვირაობით მშივრები დავდივართ, ხომ არ ვიგლახავებთ?..“ აქ კი მესამე ჩემი ამხანავიც ჩამოვიდა ზეიდან, ცალცალკე, თითქმის სახუმარო და ბედზე ჩივილიანი ლაპარაკი გაიბა და მალე მაღლობის თქმით, რომ არ დავაჭრინეთ, ან პირდაპირ სროლაც არ აუტეხეთ და ბოდიშებით, რომ ხუთას მანეთს მაინც იღებენ გავირებულნი, — წავიდნენ.

ზედა სართულში კი ექვსი ქალი გულისხეთქით ელოდა... ბომბის გავარდნას... სროლას და ელდას და თითქმის ისტერიული სიცილით შეხვდნენ ჩვენ რეზოლუციას: „ნურაფრისა ნუ გეშინიანთ, თქვენ არასდროს არ შეგაწუხებენ.“

მიხა გაუკვირდა, რომ 50 მანეთი მასაც ერგო საჩუქრად:

— მე რა საჩუქარი მერგებოდა, ბევრი ბევრი ამ კეტით ორიოდესათვის თავი გამეხეთქაო.

* * *

ჰერიხის ბოლო. ...პენრიხის ბოლო სულ ბოლოს მოხდა. რევოლუცია მთელს რუსეთში და საქართვლოშიაც დამარცხდა... „სისხლში ჩახრჩობილი“. რეაქცია ისე „მძვინვარებდა“, რომ... თოფის სროლასაც ვერსად გაიგონებდით... უწესოს. ციხეები, ციმბირი გაივსო ტყვეებით; სამხედრო-საველე სამსჯავროებიც შე-



ცვლილი სამოქალაქო... მახრიობელებით. „სიწყნარე და სიჩრდის მუნიციპალიტეტი მკვდრებისებური“ — გამეფებული.

მაგრამ თურმე „ინდივიდუალისტ ანარქისტი“ სხვანაირად ფიქ-
რობდა და როცა პარტიები, ორგანიზაციები „შეიქუმშნებ“ და „აქ-
ტებმა“, „ექსებმა“ და სხ. ასეთებმა მიიძინეს, — როგორც ელვა-ქუ-
ნილმა იქნება ერთმა ამბავმა:

უანდარმერიაში მივიღა ღია ბარათი დასმენით: „ამა და ამ ქუ-
ჩაზედ, ამა და ამ ნომერში, მესამე სართულში — სცხოვრობს დავით
როსტომაშვლი, ცნობილი საშინელი ანარქისტი და, ალბად გძი-
ნავთ, რომ რევოლუცია დამარცხდა და ასეთი კაცი კი თბილისში
თავისუფლად სცხოვრობს“-ო.

ვიმეორებ ტექსტს, როგორც მახსოვს; შინაარსი ასეთი მაქვა
გადმოცემული და ფოტო-კოპიო არა მქონია.

მაგრამ უანდარმერიას არ ეძინა და იმავე, თუ მეორე ღამეს,
უანდარმის პოლკოვნიკი, ორი პრისტავი და რამდენიმე პოლიციე-
ლი მიადგა ნაჩვენებ სახლს. გამოიძახეს მეეზოვე და ჰკითხეს, სდგას
თუ არა ესეთი კაცი მესამე სართულში? სურათიც უჩენეს. დიახ,
სცხოვრობს, ჩაწერილიც არის პოლიციაში, მაგრამ სხვა გვარით
არის ჩაწერილიო.

— როგორ, შენ იცოდი, რომ სხვა გვარითაა და პოლიციას არ
შეატყობინე? Арестовать его!

— მე რა ვიცი, რა გვარია? პასპორტი, ნომერი, გვარი, „ლისტ-
ში“ ყველაფერი სწორედ მიწერია, „კნილაშიაც“; აი ნახეთ, ბატონო
და როსტომაშვილია თუ მიკირტუმაშვილი, მე რა ვიცი. კაცი კი ეს
არის, „ფათრეთი“ იმისია...

გაიგდეს წინ „დეორნიკი“ და მიადგნენ ოთახს მესამე სართუ-
ლის ბალკონზედ. კარი რომ შეაღეს და გაანათეს, შიგ არავინ დახვ-
დათ; ოთახი დაცარიელებული იყო...

გასაჩერეკიც არაფერი იყო, ფეხმოტეხილი მაგიდა, ერთი სკამი
და კუთხეში ძევლისძველი, ჩაჭყლეტილი კიდობანი...

— უდრალ, ც...!

უანდარმი და ერთი პრისტავი კარებთან იღვნენო, ერთი პოლი-



ციელი და მეორე პრისტავი ოთახში შესულან მაინც, დაწერებული იყვნენ ბალკონზედ.

ჰენრიხმა — ის აღმოჩნდა მეორე პრისტავად — მაინც ახადა კიდობანს, რომელმაც... იქექა და დაგლიჯა მთლად ჰენრიხი, მოჰკლა პოლიციელი და დასჭრა უანდარმი და კარებში მდგარი პრისტავიც. ოთახიც მიინგრა თითქმის და ბოლითა და სუნით გაივსო...

ასე გათავდა ჰენრიხი, მაგრამ კურიოზობა იმაში აღმოჩნდა, რომ ეს ხაფანგი დ. როსტომაშვილს მოუწყვია და თავის თავზე დაბეჭლება უანდარმერიაში თავისივე ხელით დაუწერია, როგორც მერე გამოირკვაო.

როცა მე ეჭვი გამოვთქვი ამ უკანასკნელ დეტალზედ, რაკი როსტომაშვილი მერე დაიჭირეს და 8 წლით ციმბირში კატორლა გადაუწყვიტეს მხოლოდ, — ასე მიპასუხეს: — სასამართლოში ექსპერტებმა ვერ დაამტკიცეს, რომ ლია ბარათი მისივე დაწერილი იყოვ.

II

საჭდვარ გარედ. თუ მეხსიერება არა მღალატობს, უკანასკნელი ამბავი წინა თავისა გავიგე უკვე ბელგიაში, ან იქნება საქართველოში უკან დაბრუნების დროს პარიზიდან: საცავა გამგზავნეს გ. დეკანოზიშვილთან, მომხდარი ამბების მოსახსენებლად და „ახალი ტაქტიკის გამოსანახავად შექმნილ პირობებში.“ მე გავემგზავრე სხვისი პასპორტით, როგორც „ლუარსაბ ყიფიანი“, წლოვანობით ცოტა ჩემზე უფროსისა, მაგრამ საზღვარზე ვინ მიუწოდდა, რაკი იმ დროს პასპორტზე სურათები არ იყო, და „empreintes digitales“, მგონი მოგონილიც არა.

გავიარე ჩემ alma mater ლიექზედ, საცავა რამდენიმე ხანი დავრჩი, მერე ბრიუსელში და იქიდან პარიზში.

ბრიუსელიდან დაც გამომყვა „პარიზის სანახავად“ და დავსა-

ხლდით დიდ სახელიან პატარა ოტელში: „Hôtel des grands hommes“
— პანთეონთან. ორი ოთახი — 5 ფრანგულ დღეში. მაშინ მეტყველები
ლი გავიცანილი იყო და ლირდა 10 სანტიმი და სადილი, საჭირო იყო
1 ფრანგი ლვინით და ჩეროზით. მას აქეთ 10 სან. გახდა 30 ფრ. და
1 ფრ. — 500 მაინც და სტარისტიკის მოყვარულთათვის მიმინდვია
იანგარიშონ პროპორციულად რამდენი პროცენტით რა გაძვირდა —
ორი მსოფლიო ომის შემდეგ, ან უკუღმა — ფრანგი რამდენად დაეცა.

გ. დეკანოზიშიშვილთან საქმის მოთავების შემდეგ, დავბრუნდი
ბრიუსელში და იქიდან, ჩემ დასთან ერთად — საქართველოში. 12
დღის მგზავრობაში ძალიან გავეწვალეთ, რადგან დაცა. და მისი შვი-
ლიც ავად იყვნენ და ე. ა. — ჩვენი მეოთხე თანამგზავრი, მოხმარე-
ბის მაგიერ, საქმეს გვირთულებდა მხოლოდ, თუმცა ქალი იყო და
ბავშვისა და ქალის მოვლა მაზედ უფრო უპრიანი იქნებოდა.

* * *

ეპიზოდი მე რომ პარიზში ვიყავი, მითხრეს:
აკაკი ს მოხსენებაზე და ის აკობ ნიკოლა ადესთან. თხულობს “ო. წავედი და მთელი
გაშინდელი ქართული საზოგადოება იქანის. არ მახსოვს, რას კი-
ნა აკაკი მაგრამ რომ გაათავა, ველარავინა ვნახე სა-
ლაპარაკოდ, რადგან ჩემთან მოვიდა ვიღაც პატარა, შავ-წვერ-ულ-
ვაშა კაცი, არც გამეცნო და მეუბნება: „ორი საათია, თქვენ ცხვირს
უყურებ“ — თან თითო ჰქონდა მოშვერილი ჩემი ცხვირისაკენ. მე
ვითიქრე, გირია-მეთქი და გაუღიმე: დიალ, სასიამოვნოა, მაგრამ
რითო შემძლიან გემსახუროთ? — „ორი წელიწადია ცხვირს ვეძებ
და ეხლა ვიძოვნე“ — ცოტა შევწუხდი, ხალხი იშლებოდა და ამ
კაცს რას გადავეყარე-მეთქი. — „უნდა ჩემ ატელიეში მობრძანდეთ
უსათუოდ“. ალბად შემატყო არა-სასიამოვნო გაკვირვება და და-
ბეჭდილი ბარათი გამომიწოდა: „იქობ ნიკოლაძე. როდენის მოწაფე“.
როდენის მუშეუმი არ მენახა, მაგრამ მის ქანდაკებათა სურათები
არ მომწონდა და ჩემი სიტლანგისა შემეშინდა, მაგრამ მერე სხვებმა



მითხრეს: მართლა როდენის მოწაფეა, მაგრამ თავისუძურებული წავედი მასთან. რამდენიმე ქანდაკება უკვე დამთავრებული შეასრულა და შეუა სახელოსნოში სველ-ტილოვადაფარებულ თიხის ბიუსტს ახადა: „შოთა რუსთაველის ქანდაკებას ვაკეთებ და ორი წელიწადია ცხვირს ვეძებ. აკაკის მოხსენებაზე სულ თქვენ გიყურებდით და მივაგენი“-ო. თიხა მიჭყლიტ-მოჭყლიტა, ცხვირი, პირი და თეალები გაუსწორა(?) და, არ ვიცი, რა ვიპოვა საერთო, მაგრამ მისი „შოთა“ დიდი ხნის შემდეგ რომ ვნახე „Музей славы“-ს გამოფენაზე თბილისში, ვიფიქრე: სად ერეკლეო, სად თოროზანთ თეკლეო!

* * *

ოცნებანი და ბაჭო. თბილისში გაჩერება უაზროება ღამიარა, რაღომრაც კი დავინახე „რევოლუციონურმა აღტყინებამ“ გამიარა, როგორც ის დავინახე „რევოლუციონერების“ არა ნაკლები უმორალობა (21), ვიდრე იმათი, ვისაც ებრძოდნენ და ეროვნული საკითხის გადაწყვეტა და მისი სამსახური სხვა ნიადაგზე მიმაჩნდა გადასატანად. ისევ „ინენერობას“ დაუბრუნდი... ქარხნების, გზების, არხების, ელექტრო-სადგურების გამრავლება; კონიმიურად აღორძინება ქვეყნისა მომაგალი დამოუკიდებლობისათვის, ეხლა უფრო მტკიცე საფუძვლად მეხატებოდა, ვიდრე ძარცვა-გლეჯითა და უდანაშაულო ხალხის ქურდულად (და არა ვაუკაცურად) მკვლელობისა, რასაც ყოველ ნაბიჯზედ ვეხეჩებოდი, ე. წ. რევოლუციონურ წრეებში.

რამდენიმე თვის (შეიძლება — ერთი წლის) წინად ბაქოში რომ „ვემალებოდი“ აღმინისტრაციას მუხტაროვის ნავთის სამრეწველოში სამსახურით, — აშეარად, თვალით მანახეა, თუ რა შეუძლიან აღამიანს ბუნების ძალთა დამორჩილება - ამუშავებით. თეორიული მომზადება ისე არასოდეს მიტაცებდა, როგორც აქტიური შემოქმე-

„ენიშვნა (21): მოივონეთ ზემოაწერილი „ეპიზოდები“ და მრავალი იმნაირიე თვისებისა, რამაც გული ამიყარა.



დება და, თუ ჯერ კიდევ 15 წლისას ოცნებად მიმაჩნდა ოქტომბერში უკავია ვალის ტარება და კინაღამ სკოლიდან გავიქეცი, მემანქანულ უზრუნველყოფა ბაქოში რომ ჩემი თვალითა ვნახე უზარმაზარი ხეთა და რკინათა ამოძრავება ტუტყიანი „ამშარას“ ხელით, ჩემში კვლავ გაიღვიძა ტიტანიურმა სურვეილმა ბუნების ძალთა ამოძრავებისა იმ იდე-ისათვის, რასაც ადამიანთა უმრავლესობა თავის ამორალობით ასუსტებდა მხოლოდ. ბაქომ განმაცდევინა ქრისტეას იგავი: „მდოგვის პაწია მარცვლის გამკვნეტს უკეთესი წარმოდგენა აქვს მდოგვზე, ვიღრე იმას. ვისაც მდოგვით დატვირთული ქარავანი უნა-ხავს აქლემებისა“ - ა. და მეხატებოდა წყალ - მოვარდნილი თეძამი დაგუბებულ ტბად (იქ. საცა „ლაბორატორიის ყუმბარებით“ ნგრევას ვამზადებდით), — საიდანაც მრავალი რუ, არხი და დენი აამუშავებდა წისქვილს, თვალუწვდენელ მინდვრებს მორწყავ-და, ელექტრონის სადგურები — ახალქალაქსა, ხოვლეს, ჭყობიანს, მეტებსა და სხვა სოფლებს გაანათებდა; ქარხნებს აატრიალებდა, ათა-სობით ხალხს, გლეხსა თუ მუშას — საზრდოს მისცემდა. ეს ოცნებანი მთელ საქართველოზედაც გადამქონდა და ამით წავედი პე-ტერბურლს უნივერსიტეტში.

* * *

პეტერბურლი. ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში ვინ მიმიღებდა — კონკურსი იყო და იქ 6—7 წელიწადიც დამჭირდებოდა გათავებამდე, უნივერსიტეტში კი ჩამითვალეს ლიეტუის მოწმობის სა-გნები და მეორე კურზედ მიმიღეს ფიზიკო-მათემატიკურ ფაკულ-ტეტზედ (ქიმიის განყოფილებაში).

პეტერბურლის პერიოდიდან მაინც და მაინც ლირს-შესანიშნი ჩემს პოლიტიკურ ცხოვრებაში არა მომხდარა რა. მეც სხვებსა-ვით, რეაქციის შემდეგ — პირადის და პოლიტიკურისა, — ჩავები სწავლაში და ოჯახსაც მოვეკიდე.

თოფივით გავარდა მხოლოდ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ამ-ბავი და აღაშფოთა სტუდენტობა. მასსოვს, ყრილობაზედ კინაღამ



გავგლიჯეთ ვალიკო ჯულელი, მაშინვე ბოლშევიკი, რომელმაც ტუშა ნიკურად განაცხადა: „ლეს რუბათ — ჟეპკი ლეტათ“, რასაც იმეორებდა ყველა მენშევიკიც, ნ. უორდანიამდე, გამოუკლებლივ. და, აი, ბედი საქართველოსი. სწორედ ესენი იყვნენ შემდეგ მისი — „მთავარ-სარდალი“ და „მთავრობის თავმჯდომარე“. კარგი რა გამოსულა ამათ ხელიდან, საქრთველოს კარგი რა დაუყრებოდა.

მეორე „ტიპი“, საგულისხმო მერმინდელი დამოუკიდებელი სა-ქართველოსი, იყო აპოლონ ურუშაძე, ლამაზი ვაჟაპატი სტუდენტი, კბილის ექიმობას რომ სწავლობდა. პირველსავე გაცნობაზედ, ორთავენი მოვხვდით, — პეტერბურლში განთქმულ, „ტრადიციულ ქარ-თულ სალამოს“ — მომწყობ კომისიაში; მე დეკორატორად, ის — თავმჯდომარედ, და, ბრწყინვალე სალამოს შემდეგ, როცა ღარიბი სტუდენტობა ელოდა დახმარებას, მოგების მაგიერ, ამ ავაზაქმა — დეფიციტი აჩვენა კრებას. რადგან მთელ მოქაზმულობას, ხალიჩებს, როიალებსა და სხ. პეტერბურლელი ვაჭრები უფასოდ იძლეოდნენ სარეკლამოდ; დანარჩენ დეკორაციებზედ მე დამეხარჯა სწორედ ერთი თუ მანი : [ჩემი ხელით გავაკეთე ისეთი დიდი ურეში, რომ მერე ჩემი პირველი შვილის აკვნად გამომადგა], რომელშიაც ტი-კი იდო ლვინით; კარტონის „დველი კოშკი“, საცა ორი ლამაზი ქა-ლი („სოფოჩა“ ვაჩნაძე და ანიკო ლორთქიფანიძე) პყილნენ შამპა-ნიურს; და მესამე — უბრალო რალაც კიოსკი] და ურუშაძემ წარუდ-გინა კრებას ანგარიშები ათას მანე თობით. აშკარა ქურდო-ბა იყო და კრებაზედვე განვაცხადე. ამოირჩიეს „საგამომძიებელო კომისია“. — მოწმიდან, მე პროკურორად გადამაქტიეს შემდეგ. გა-მოირკვა ნამდვილი უსინიდისო ავაზაკობა. კრებამ გაპკიცხა და გა-აგდო სათვისტომოდან; ისე რომ ამის შემდეგ მე არსად მინახავს... 1918 წლის დამოუკიდებლობამდე...: როცა ერთხელ გამოვდიოდი — უკვე დეპუტატი — პარლამენტიდან, კარებში გამომეჭიმა „მილი-ციის უფროსი“ „ჩესტით“. სახე რალაცა მეცნო და დიდხანს ვიგო-ნებდი, ან სად მენახა, ან ვინ იყო და, რომ მომაგონდა, რომ იტყვიან, გული გამისქდა: აი, ვის ხელშია თბილისის ბედი! მაგრამ ამაზედ ქვეითაც მექნება ხომ ლაპარაკი, — განა სხვები უკეთესნი იყვნენ? —

და ჯერჯერობით დაუბრუნდეთ პეტერბულს.

ჩემ დროსვე მოხდა „დიდი(?) ამბავი“, მწერალი ლევ ტოლსტიო უკვე მოხუცებული (მაშინ ამბობდნენ, 75 წლისამ) სახლიდან გაიქცა... „საპროტესტოდ“(?) და გზაში, სადღაც სადგურზე გარდაიცვალა. რის პროტესტი იყო. ცოლქმრობისა თუ პოლიტიკური, ნაძლევილად ვერავინ გაიგო, მაგრამ ამას მოჰყვა ალიაქოთი და განგაში მთელ რუსეთში, ე.წ. „ტოლსტოის დღეები“. პირველი ორი კურსის სტუდენტობა იფიცენდოდა, დემონსტრაციებს ახდენდა, „მყრალ ყუმბარებსა“ ჰყრიდნენ აუდიტორიაში და სხ. უფროსები თითქმის არავინ იღებდა მონაწილეობას და მე სასაცილოდაც არ მიმაჩნდა, განვაგრძობდი სწავლას. როცა ერთხელ შევედი ნაბეჭდი ლექციების გამოსატანად, შემთხვევით მოეხვდი იმ დროს, როცა უნცროს სტუდენტებს. ჩენ ამ „ბავშვებს“ ვეძახდით, — მორიგი აუდიტორია აემყრალებინათ... რექტორისაგან გამოწვეულმა პოლიციამ შემოარტყა ალყა უნივერსიტეტს, შემოიჭრა შიგ და მეც მოვყევი „იბლავა“-ში, თუმცა არავითარი კავშირი ამ საბავშო მოქმედებასა და არც ტოლსტოის „непротивление“-სთან არა მქონია. 27 კაცი, გარშემორტყმული 30 პოლიციელით ერთ რიგად და ამდენივე ყაზანით — მეორე რიგად, თითქო რაღაც დიდი დამნაშავები ჩაეგდოთ ხელში, წიგვიყვანეს „სპასკოე“-ს საპოლიციო უბანში. ჩენ 27-ვე მხიარულად მივდიოდით და უფრო სასაცილო ის იყო, რომ პოლიციელთა ორ რკალს გარედან ქალი, კაცი და აუარებელი სტუდენტობა მოვდევდა, გველაპარაკებოდა და დასკინოდნენ პოლიციელთ და ყაზახებს. საუბედუროდ, ეს „მხიარულება“ ჩემთვის და კიდევ ორ უფროს სტუდენტისათვის ცუდად გათავდა, ჩადგან ვერაფრით ვერ დაუმტკიცეთ აღმინისტრაციას, რომ არაფერ შუაში ვიყავით და სხვებზედ უარესად მოგვექცნენ, სხვა და სხვა ციხეებში გადაგვიყვანეს და მხოლოდ 3½ თვის შემდეგ გამოგვიშვეს... „ნებ права поступления в университет“ და ასე დამაკარგვინეს სამი წლის შრომა.

მართალია, რუსეთშიაც იყვნენ ბოლშევიკებიც და მენშევიკებიც, მაგრამ ტოლსტოი კი არავის მოუკლავს, თავისით გარდაიცვალა, ჩენში კი — ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს.

* * *

საქართველოში რომ ჩამოვედი, ამავე ხანებში ვესწრობოდი თითქმის ყველა ეროვნულ-საზოგადოებრივ დაწესებულებათა კრებებს, რამდენადც მიმიწვდებოდა ცენზისა (:„თავად-აზნაურობის საკრებულო“) თუ წევრობის (:დანარჩენები) საშუალება. აქ ვიცნობოდი „ახალი საზომით“, არა მარტო ძველ თანამოსზრეთ რევოლუციონურ და სოციალისტურ დღეებისა (:1905 — 7-ის წელთა), არამედ უკვე ხანში შესულ მოღვაწეებსაც.

საჯარო ახდილი გამოსვლებით, თუ კერძო შეხვედრებსა და ბასებში ერთმანეთს ხვდებოდა მრავალი მხარე აზროვნებისა და შეხედულებისა სხვა და სხვა ეროვნულ კონკრეტულ საკითხებზე, რაც საფუძვლად იგულისხმებოდა ეროვნული თავისუფლებისა, გაჯანსაღებისა და დამოუკიდებლობისაც, ეკონომიკურად, ტერიტორიალურად, პოლიტიკურად და სხ.

III

ათი ჭვლითადი

1911-ს დავბრუნდი საქართველოში და 1921-მდე იყო ის «ათი წელიწადი», რომელსაც მე ვთვლი ყველაზედ სავსედ ჩემს ცხოვრებაში (1905 — 6 წლის რევოლუციონური ხანის შემდეგ), რადგან, რომ იტყვიან, ოცდაოთხი საათი ჩაბმული ვიყავი განუწყვეტელ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმეებში. დრო არასოდეს მყოფნიდა და ვწუხდი, „რატომ დღე-ლამეში 48 საათი არ არის, — ყველაფერი მომესწრო.“ მარტო სათაურები რომ ალინიშნოს მაშინდელი საქმეებისა, აშკარა გახდება, თუ როგორ სდულდა ცხოვრება და მეც მასთან: „წერა-კითხვის საზოგადოება“; „თავად-აზნაურობის საკრებულო“ და მისი „მიწად-მოქმედების კომისია“; „სათავად-აზნაურო ბანკი“; „კოოპერაცია“; „დიდი ლილო“-ს მერძეობა; „კახეთის“-მეღვინეობა; „ქართლის“-მეხილეობა

სიღნალის მაზრის მეთამბაქოობა; მთიულეთის-მეცხვარეობის, მწერლების მსი”; გომის-მეპურეობა-„სინდიკატი“ და სხ. და ამათი შეძრულურწმუნება ლი — „წარმოკავშირი“. ყველა ეს იყო ეკონომიური აღორძინება საქართველოსი, ყველა მხრიდან უცხო „კპიტალის და კპიტალისტების“ განდევნით, — კოოპერაციის საშუალებით; კერძო ვაკრობისა — საზოგადოებრივით.

* * *

Pro domo sua. არ ვიცი, იმიტომ რომ ლიბერალურ-განათლებულ ოჯახში აღვიზარდე, უკიდურესად მართალი დედა ჩემის მთავარი, და, პატიოსანი მამის, ასე ვსთქვათ, მეორეხარისხოვანი გავლენით; იმიტომ რომ ერთადერთი ეროვნულ-პატრიოტული სკოლა გავიარე, — ნეტარ-მოსაგონებელი ქართველი მასწავლებლებით და ძეირფასი ამხანაგებით; ჩემი ინდივიდუალური, პირადი თვისებათა და სულიერ განწყობილების მიხედვით შემუშავებული მსოფლმხედულობით (22) თუ — დაწყევლილი მარქსის თეორიით — იმიტომ, რომ შიმშილი და გაჭირება არ გამომიცდია ბავშვობაში, — მე არას-ოდეს არ მაინტერესებდა „რეჟიმის“ საკითხი, არამედ მხოლოდ „ეროვნული“ და თავისუფალი ერის ფარგლებში უკიდურეს სამართლიანობაზედ აგებული წესწყობილება. და შემდეგსა და შემდეგში, სწავლით, გამოცდილებით, ქვეყნის გაუნაბით, უფრო დაურწმუნდი, რომ „ფორმა“ სახელმწიფოსი ს რულიად არაა მას კვენებელი დემოკრატიზმისაც კი, არამც თუ ხალხის ბედნიერებაზედ მო-

შენიშვნა (22) დიდი მორწმუნე არასოდეს კუოფილვაზ: ზნეობრივ კანონებიდან ყველაზედ უმსგავსად სიცრუე მიმაჩნდა და ამხანაგსა (მეგობარსა, ან ძმას) თუ მტერს ყველა ცოდვასა დანაშაულს უფრო ადვილად ვაპატიებით, სიცრუეს — არასოდეს. ვცდილობდი, არასოდეს გამეცემობინა, სიტყვით, საქმით, გინდა მარტო აზრით, ის, რასაც შე თვითონ (და არა რომილიმე სწავლებისა თუ კინონის მიხედვით) — ცუდად ესთვლიდი, რამდენადც მახსოვეს, კიდევაც ვაღწევდი ამსა, და, სხვის თვალში რა ვიყავ;. მისი თვალსაზრისით საქმი, მისაღები, თუ დასაგმობი, — ნაკლებად უწევდი ანგარიშს. ამაში ტოლერანტობა შემძლო უფრო სხვისადმი, ვიდრე ჩემი თავისადმი:



მქმედი მოვლენა. ძეელი, უძველესი, საშუალო, ახალი ოფიციალური თანამედროვე ისტორიაც ამის მაჩვენებელია და ერთს თეისებაზეა დამოკიდებული, მის შემაღვენელ ელემენტებზედ (წოდებანი, კლასები, ჯგუფები თუ ინდივიდები), — თუ რა წესწყობილება უხდება და და რაშია მისი ბედნიერების ხარისხიანობა.

ამ „თეორიის“ დასაბუთება, დაშინაარსება უამრავ მაგალითით, გინდ გაგარსება (ე. ი. ფორმის მიცემა), არაა თემა დღევანდელი ჩემი წერისა, ამიტომ გზა და გზა, ამბების გაღმოცემით თუ გაშუქდება ჩემი „იდეოლოგია“, ისიც საკმარისი იქნება ჩემთვის.

* * *

საქართველოში. პო და, რა დამხედა საქართველოში, როცა 1911 წელს დავბრუნდი, უნივერსიტეტიდან ამოგდებული და ამით,—ოცნება გაუქმებული,—რომ ინუინრობით „ავაშენებდი საქართველოს.“

დამხედა თითქმის იგივე სურათი, რაც 1905 წელს: „მთელი საქართველო“ დაყოფილი იყო ისევ ორ პარტიად — ერთი რუსული „ს. დ.“ და მეორე — ქართული „ს. ფ.“, ეხლა რომ ერთმანეთს უფრო გამწვავებულად „სჭამდნენ“, რაღაც 1905 წლის რევოლუციონური სული თუ ანელებდა მათს ქიშპობას რეალური ამბებით, ეხლა მარტი თეორიული უსაქმერობით და ეკვეთებოდნენ ურთიერთს; მთელ საქართველოში იყო სოციალისტური პრესსა და ერთს საკითხი საღღაც კუნძულებში თუ ბეუტავდა... უპრესოდ.

მთელი ინტელიგენცია, — საიდანაც უნდა ყოფილიყო, — თავადი, ბრწყინვალე წოდებიდან თუ აზნაური, ბურჟუაზიიდან, გლეხობიდან თუ სხვა, თავმოყრილი იყო ფედერალისტებთან და „სოციალიზაციას“ ღეპავდა ისევ; „რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტია“, თავს იკლავდა მარქსის „მეცნიერულ“ სოციალიზმისათვის: „Един ная-неделимая“! რის საქართველო, რა საქართველო?! დემოკრატიული რეფორმები (დიქტატორული და ტერორისტული საშუალებით) და „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“ (ქვეყანაში, საცა



პროლეტარიატი არ არსებობდა) და „ძირს ბურჯუაზიაშვილი უდინა აქა-იქ ძლივს ჭყაოდა თითო-ოროლა ბურჯუა...“ თუ არ ჩატარდებოდა განათლებულ დ. სარაჯიშვილს, რომელმაც გამოზარდა... ნ. ეორდანია და კიდევ ორიოდე სოვედაგარს.

აქ კი, „სოც. დემ-ში“, თავმოყრილი იყო „ნახევარინტელი-გენცია“ — გაკოტრებული თავად-აზნაურობიდან, უმეტესად სასულიერო წოდებიდან (ტყუილად კი არ ეძახდნენ: „დიაკვნის შვილებს“) და ათასში ერთიც არ იყო „ხელმძღვანელებში“ — გლეხისა ან მუშის შეილი.

[საერთოდაც კაცმა რომ შეისწავლოს ჩვენში სოციალიზმის ისტორია, გაუკვირდება: არა მარტო „ნაროლნიკობა“, მთელი „სოციალიზმი“ შემოტანილია ჩვენში განსაკუთრებით თავად-აზნაურობისა და ურობისაგან].

საქართველოში, განსაკუთრებით წერილ-მესაკუთრე სასოფლო მეურნეობის ქვეყანაში; საცა მდიდარი მემამულენი მამულს იშვიათად ამუშავებდნენ, უფრო ჰყიდვნენ ან სხვაზედ აქირავებდნენ, ორი „პოლიტიკური“ პარტია ერთმანეთს თავს აგლევდა, „სოციალიზმის“ უკეთ გაგებისათვის (23).

ნორმალურ ეკროპიელისათვის (და მე იქიდან ვიყავი ხომ ჩამოსული) — ეს იყო ნამდვილი საგიერთი... და... ქართული ტემპერა-მენტით თუ აიხსნებოდა. ამბობენ, საგიერთში, კვეათა-მყოფელებიც ხშირად გიუდებიანო და ალბად მეც ასე დამემართებოდა, ჩემი აქტიური ხასიათის მიხედვით, მალე რომ არ ჩავბმულიყავი კონკრეტულ ეროვნულ საქმეებში.

შენიშვნა (23) იხ. გიორგაძის წიგნი ამაზედ და მეც ხომ ვიცნობდი, — ალ. მაყაშვილს (თავადი), ივანე ჯაბადაშვილი (აზნაური), დუშიკო ფალავანდიშვილს (თავადი), არჩილ ჯორჯაძე (თავადი), ნოე ეორდანია (აზნაური), ლევან ციციშვილი (თავადი), ანდრონიკაშვილი (თავადი) და ასობით სხვა თავად-აზნაურებს, — ძალად რომ ახვევდნენ ხალხს, სიტყვით, საქმით და ტერორითაც, — მუშებსა და გლეხებს, — სრულიად გაუგებარ სოციალიზმს.

* * *

პირველივე ჩემი ნაბიჯი „საზოგადოებრივ“ ასპარეზზე შეეჯახა „სოც.-დემოკრატიულ“ უსინიდისობას და სრულიად მოულოდნელად: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამაცრულებელ საზოგადოების“ საჯარო კრებაზედ წამოდგა პეტრე გელეიშვილი („ყარიბი“, რომელსაც პირველად ვთქვავდი და არ ვიცნობდი) და გამგეობის კრიტიკის დროს, დაურთო, რომ „სხვა დიდ უწესოებასთან(?) ერთად, იკარგება და ყალბდება, საუკუნოებით გადარჩენილი ხელთნაწერები“-ო.

გამგეობის ერთ-ერთმა წევრმა მეტად წყნარად უპასუხა, რომ ეს მართალი არ არის და ყველასა აქვს საშუალება ამაში თვალით დარწმუნდესო. კრება სრულიად გულგრილად შეხვდა ორივე განცხადებას. ეტყობა, ყველამ იციდა, რაში იყო საქმე და მე, ახალ ჩამოსულს, საიდან მეცოდინებოდა და მოვითხოვე სიტყვა:

— როგორ, ბატონებო, საზოგადოების წევრი საჯაროდ აცხადებს ასეთ აღმაშფოთებელ ამბავს, ისტორიული ხელთნაწერები-საბუთები იყარება, ყალბდება და საზოგადოებაც, გამგეობაც ისე გულგრილადა ხვდებით ამ ამბავს, თითქო არაფერი მომხდარიყოს; თუ მართალსა ბრძანებს ბ-ნი პეტრე, მაშინ ასეთი გამგეობა ღირსია მხოლოდ გმობისა და ადგილი არა აქვს ქართულ საზოგადოებაში.

დაახლოვებით ასეთი იყო შინაარსი ჩემი სიტყვისა და, ალბად სხვებიც იყვნენ კრებაზედ ჩემსავით „გულუბრყვილონი“, რადგან ცხარე კამათის შემდეგ, ამორჩეულ იქმნა „კომისია“, რომელსაც უნდა გამოერკვია ასეთი უმსგავსი საქმის სინამდვილე. დამასახელეს მე, პეტრე გელეიშვილი და, აღარ მახსოვს, ვინ იყო მესამე.

პირველსავე სხდომაზედ „კომისიისა“ ბ-ნი პეტრე არ გამოცხადდა. შემდეგი შეხვედრა დანიშნული იყო „ქართულ მუზეუმში“, საცა ინახებოდა ხელთნაწერები. გამგემ გადმოგვიშალა კატალოგები, გვაჩვენა ხელთნაწერები და, რამდენადაც მე გულმოდგინედ



ვჩხრეკდი ყველაფერს, იმდენად გელეიშვილი თითონ სრული მიზანის უნიტერესოდ იქცეოდა, რომ ვერაფერს აღმაშფოთებელს ჭურვის ულობით. და რომ ვკითხე რამდენჯერმე, „აბა რა არის დაკარგული ან გაყალბებული?“, გულგრილად მიპასუხებდა: „ასე ლაპარაკობდნენ...“ -ო.

— როგორ! ასეთი ბრალდების წამოყენება როგორ შეიძლება... „ლაპარაკობენ“ -ოთი?

და მერე ცალკე მითხრა ჩუმად, — „დარწმუნებული ვიყავი, რომ მართალი არაა, მაგრამ ჩვენ(?) საზოგადოდ უკმაყოფილონი ვართ ამ გამგეობისა... დემოკრატიზაციის წინააღმდეგია“ -ო.

— ფური, თქვენს „დემოკრატიზმს“, რომელიც ასეთ პროცესა-ციაზედ მიდის. ასეთი სიცრუეებით გინდათ ჯობნა? მრცვენია, რომ თქვენს ჭუპყიან ნაბიჯს ავყევი კრებაზედ.

პეტრემ მხოლოდ მხრები აიწია... და ამის შემდეგ ალარსად მინახავს 1921 წლის დახვეის დროის გარდა, ვაგონში. მაგრამ ეს ს ხ ვ ა ასეთივე უსინიდისო ამბავია და იქ გადაიტანოთ.

ამ უმნიშვნელო ამბის მოყვანა იქნება ზედმეტიც ყოფილიყო, რომ შემდეგ და შემდეგის ნამდვილი „შესავალი“ არ ყოფილიყო მენშე-ვიკური მეთაურობის მუდმივ ასეთი მეთოდით მოქმედებისა: სიცრუე, სიყალბე და ყოველგვარი უსინიდისობა, ოღონდ კი ჯობნა თავისი მიზნების მისაღწევად. და სწორედ ასეთი სიცრუე და სიყალბე, — ძირი ყველა დანარჩენი ბოროტებისა, — იყო ის გადამდები, გამრყენელი გონებისა, მორალისა თუ მოქმედების — უარყოფითი მოვლენა, რომელსაც მოუნდა 9 ნაწილი ჩემი და მეგობრების ბრძოლისა ეროვნულ ასპარეზზედ, რომ, სამწუხაროდ, ერთი მეათედი ჩემი დროისა და ენერგიისა და-ხარჯულიყო დადებითს საქმესა და მშენებლობაზედ.

რუსეთის უკანონობასა და უსამართლობას დიდად ერთოვდა და აღრმავებდა „რუსეთის სოც. დემ. მუშათა(?) პარტიის“ ქართ-ველ მეთაურთა ამორალობა და ყველაფერი ეს რყვნიდა ეროვნულ აზროვნობასაც, იდეოლოგიისაც და ხშირად ადამიანებსაც, რომელ-

ნიც შეგნებულად თუ შეუგნებლად ებმებოლნენ ამ ჰქონისტების და ჰქონისტების პრაქტიკული მიზანები იმათვე... ანტიმორალობაში.

ერთი დადებითი საქმის გასაკეთებლად, თუ საკითხის გადა-
საწყვეტად, საჭირო ხდებოდა ათი სიბოროტის დაძლევა გარემოში.
ყველა ეს საკითხები წინ გვიდგებოდა ცალცალკე პირებთან თუ ჯგუ-
ფებთან, თუ პარტიებთან, — მუშაობაში, შესვედრისა თუ ბრძოლის
დროს და ამიტომ მეტად მძიმედ ხერხდებოდა თავის მოყრა ისეთი
ადამიანებისა, რომელნიც ჩემსავით გულუბრყვილოდ(?) და უანგა-
როდ(?) ყოფილიყვნენ «გადაუარღინილნი» ერთვნულ საქმიანო-
ბაში.

მაგრამ, ხომ საიდანმე უნდა დაწყებულიყო „ახალი სულით“
მოქმედება, სოციალისტურ უნიათობასა და რევოლუციონურ ენერ-
გიის განელებისა და ამოწურევის შემდეგ. საჭირო ელემენტები ცო-
ტა იყო, მაგრამ, როგორც მახსოვეს, თანდათან ირკვეოდა, თუ სად
(სხვა და სხვა ქართულ დაწესებულებებში) და ვისგან შეიძლებოდა
შედგენა საინიციატივო ბირთვისა.

ერთის მხრით ვიყავით 25-30 წლის, ნარევოლუციონარი
ახალგაზრდობა (დათა ვაჩნაძე, მე, შალვა ამირეჯიბი და სხ.), მეორე
მხრით ჩვენზე ბევრად გამოცდილი და ხანში შესულნი, — მიხეილ
მაჩაბელი, ალექსანდრე ყიფშიძე („ფრონელი“), ვასილ ყიფიანი და
სხვანი.

ჩვენი, ცალ-ცალკე თუ ერთობლივი გამოსვლები უკვე არსებულ
დაწესებულებებში ყურადღებას იქცევდა განსაკუთრებით ეროვ-
ნულ - პრატიკული საკითხების წამოყენებით, ერთი მიზნი-
საკენ გადახრით: ქართული ენით, ქართული ხელით, ქართული გო-
ნებით და სულით ყველაფრის შეფასება და გაკეთება.

(შენიშვნის მაგიერ: აქ, ერთი გასაოცარი ამბავი უნდა
ალინიშნოს: „თავად-აზნაურობის საკრებულოში“, არა მარტო ოფი-
ციალური ოქმები, მიწერ-მოწერა, არამედ მსჯელობაც კრებაზედ,
ხდებოდა რუსული ენით. ხშირად უკიცად, დამტვრეული „მამა-
ტვაძა“-თი, მაგრამ მაინც. ჩვენ შევიჭიროთ თუ არა საკრებულოში
ავლაპარაკდით ქართული დ. პირველ ხანებში აღმაცერად გვი-



ყურებდნენ. ხშირად გაიგონებდით: „რუსულად, რუსულურობის მაგრამ თანდათან ჩვენი „წრის“ გარეშე პირებმაც გაბედეს, — კარგად მახსოვს გივთ დიასამიძეს პირველობა ამ მხრივ, და კიდევ თანდათან, ახლა ჩვენი შეძახილები: „ქართულად, ქართულად, არ გვესმის,“ და ორიოდე წლის შემდეგ, არა მარტო მსჯელობა ქართულად, არამედ მიწერ-მოწერაც და ოქმებიც იწერებოდა მშვენიერი ქართული ხელით და ენით, — ცნობილ ილია ელეფთერის ძე ზურაბი-შვილისაგან; საქართულოს უცვლელ და მერე პარლამენტის უფროს მდივანისა, წინად ილია ელეფთერი ზურაბისა.

ასე, ჯერ გაქართულდა, შემდეგ გაქართველდა „ქ. თ.-აზ. საკრებულო“. სამწუხაროდ, ესეთი „ევოლუცია“ ვერ მოესწრო... პარლამენტში: მოესწრო მხოლოდ პირველი ნახევარი ამ... შავი ფორმულისა).

ამ მხრივ, დ. ვაჩაძე იყო მუდამ ორგანიზატორი და გამფართოებელი „წრისა“, შ. ამირეჯიბი და ა. ყიფშიძე — ისტორიო-თეორეტიკოსები და მწერლები, მე და მ. მაჩაბელი — პრაქტიკოსები: ის უფრო დიდ მაშტაბებში, მე — ზედმიწევნითს... „წვრიმალებში“ ე. ი., რაც გასაკეთებელი იყო (24); გარდა მიწათმოქმედების კომისიისა, რომლის მდივანი, თავმჯდომარე, ხელმძღვანელი და პრაქტიკულად შემსრულებელი იყო მუდამ ალექსანდრე „ფრონელი“-ყიფშიძე.

ჩვენი იდეალი იყო ილია ჭავჭავაძეს მოძღვრება (თუმცა მ. მაჩაბელი მუდამ მის პიროვნულ კრიტიკას ანდომებდა ბევრ დროს), ჩვენი ერთ-ერთი „სახელმძღვანელო“ — „ბრძოლა პოლონელებისა გერმანიის პოლიტიკასთან“ (ავტორი: ბერნჰარდი) და პრაქტიკულად გამოყენება ყველა გარემოებისა საქართველოს და ქართველობის სასარგებლოდ.

შენიშვნა (24). და არა მხოლოდ ენით და... დადგენილებათა მიღებით.

* * *

ს ა ქ მ ე ნ ი . პირველი ჩვენი ასპარეზები, — „ქ. შ. ჭ. კ. გა-
მავრც. საზოგადოება“, „ბანკი“, „თავად-აზნაურობის საკრებულო“
და „კომპერატიული მოძრაობა“ — იყო. კომპერატიულ მოძრაობა-
ში თავიდგანვე ჩვენ მოვკიდეთ ხელი უმთავრესად — „შემოქმედ
კომპერატიუბის“ (25) შექმნას; შემდეგ — „ფინანსიურის“ და მხო-
ლოდ ნაწილობრივ — „გამნაწილებელს“.

* * *

დ ი დ ი ლ ი ლ ი . პირველი „მწარმოებელთა კომპერატი-
ვი“, რომლითაც დავიწყეთ, იყო დიდი ლილოს „მერძევეთა კომპე-
რატივი“, დ. ვაჩნაძის (და, მგონი, მ. მაჩაბლის) ინიციატივით. პირ-
ველ ფანქატურს ამ დაწესებულებისა დ. ვაჩნაძე და მე თვითონ ვა-
შენებდით და ვლებავდით... ფიცრულს. შემდეგ დიდი ლილოს გლე-
ხობა თითონ ვაუქლვა, მოანგარიშეც ვაიჩინა და საკუთარი საშუა-
ლებანიც თბილისში რძის გასასაღებლად. ჩვენ მხოლოდ გარევნულ
(ე. ი. ოფიციალ მხრიდან) უწევდით ლა დახმარებას, სანამ წელს მო-
იმაგრებდა.

შემდეგ „კახეთი“ (უკვე ჩვენამდე არსებული) ვავათართოვეთ
და... „გავწმინდეთ“; „ქართლი“ — დავაარსეთ; და როგორც „კახე-
თი“ კახეთში, თანდათან „ქართლი“ — ქართლში და, ნაწილობრივ,
მთელ საქართველოში, გარდაიქცა არა მარტო მაზან დის და -
მწერე ბლად, არამედ ფასის ამწევად და უცხო ჩარჩა
გამდევნელად — ლვინისა და ხილის ბაზარზედ (26) კახეთ-

შენიშვნა (25). საზოგადოდ მიღებული „ტერმინოლოგით: „მწარმო-
ებელი კომპერატია“.

შენიშვნა (26). წინანდელი „წესით“, ხილისა და ლვინის როგორც ყვე-
ლა სხვა სოფლის ნაწარმოების ერთად-ერთი შემძენი და ამით ვამდიდრებული
იყო სომხის ჩარჩი, „კახეთის“ და და „ქართლის“ დაარსებამ მათ არა მარტო კონ-
კურენტი გაუჩინა, ნაწილობრივ განდევნა კიდეც და, რაც უმთავრესია, ვათგან
დაფოლებულ საჭონელს, — ფასი დასდო.



ქიზიუშვილები განდა ჩვენი ამხანაგების მეოხებით (კოტე ტბეგვაძე-ჭავჭავაძის სხვანი) — „მეთამბაქოთა კონპერატივი“. რომელმაც შემდეგში საყუთარი ქარხანაც კი შეიძინა პაპიროსისა. ჩვენვე შევქმნით მეტევარეთა კავშირი „მწყემსი“, შალვა ქარუმიძის მეთაურობით. და როცა შემოვიეროთდნენ სხვა დარგის მწარმოებელნიც: „ხორბლეულობის სინდიკატი“ (ჩვენზე ადრე დაარსებული გომში), „კავშირთკავშირი“ (მებაღე-მელვინეთა მწარმოებელნი. შეერთებულნი ჩვენი საზოგადოების წევრის, გოორგი მელვინეთხუცესიშვილის მეოხებით) და სხ., — შევქმნით ე. წ. „წარმოკავშირი“, საცა გაერთიანებული იყო ერთი გამგეობისა და სხვა და სხვა დარგის კონპერაციის წარმომადგენელთა საერთო თანამშრომლობით და საგანგებო წესდების შექმნით, — მთელი წარმოება ქართული სოფლის მეურნეობისა.

ეს უდიდესი მნიშვნელობის ეკონომიკური ფაქტორი ჩვენს სასოფლო-მეურნეობის ქვეყანაში, მოქმედებდა შემდეგ, ომისა და დამოუკიდებლობის დროსაც, ჩვენი ხალხის, განსაკუთრებით გლეხობის სასარგებლოდ, მის დოკუმენტის ადიდებდა და უცხო პარაზიტ-ჩარჩებისაგან ანთავისუფლებდა.

რადგან ქართველებს ვაჭრობა დამამცირებელ ხელობად მიაჩნდათ ისტორიულადაც, ჩვენს დროსაც და კონპერატიული მოძრაობა კი საზოგადოებრივ მოღვაწეობად იქმნა მიჩნეული და ჩვენგან ამ ფინანსურულის შეგუებული, — ხალხმა და ინტელიგენციამ, რომ იტყვიან, შიგ იხუვდა და დაწაფა. ქართველი ხალხის ნაოფლარი მილიონები, უცხოთა ხელში რომ გადადიოდა მუქთად, — ხალხისავე ხელში დატრიალდა.

და სწორედ აქ უნდა გაესვას ხაზი მენშევიკების უმწეობას: იმის მაგიერ, რომ ამ მზა-მზარეულ ეკონომიურ ირგანიზაციებისათვის ხელი შეეწყოთ შეთანხმებული მუშაობისათვის ქვეყნის სასარგებლოდ, „რევოლუციონური“ ფრაზეოლოგიით და საქმითაც, გარდა წვრიმალი ათასი დაბრკოლებისა, რომელსაც გვიჩენდნენ, — მივიღნენ თუ არა ძალა-უფლებასთან, ისეთი წარმოებანი, როგორც მეთამბაქობა და მემატყლეობა, — მონოპოლიად გამო-

„დემოკრატიის“ „სამინისტროები“? — ნ. ხომერიკის „მიწუდულისტებისადან დებისა“ და გ. ერაძის — „მომარავებისა“. ვეცით აქეთ-იქით და, სანამ გამოვარკვიეთ „მიზეზი“, სანამ მივაგენით მინისტრებს და „ვებრძოლეთ და ვერაფრით დავითან ხმეთ იაფად გაყიდვაზე ეს „სოციალისტები“, ჩვენ, კომპერაციის „ბურჯუებმა“ და „რეაქციონერ-მემარჯვენებმა“, — ჰომერმა ვეღარ მოითმინა ყოველდღიური „ფრახტის“ გადახდა ორი კვირის განმავლობაში, და ასეთი ძვირფასი საქონლით დატვირთული ვემი, — რუსეთისაკენ გააბრუნა.

ურმით ვერ ჩამოვიტანდით, ვაგონები „მთავრობის“ ხელში იყო და მათზე ნებართვებს ბ-ნი ევ. გეგეჭკორის სამინისტრო (Sic!) იდლეოდა (ე. ი. არ იძლეოთ და) და, თურმე „სახელმწიფოებრივი“ ინტერესიც ამას მოითხოვდა: მთავრობის ავენტს, ვინმე ებრაელს, ამ დროსვე შეეძინა და იტალიაშივე, შაბიამანი და გოგირდი 400 მანეთად(?!), რაც ყოვლად შეუძლებელია (:ან ის ატყუებდა მთავრობას, ან ჩვენ — მთავრობა!) — და ჩამოტანა-დარიგების და მოგებით გაჭირებულ ხალხისაგან, „სოციალისტებს“ უნდა გაყიდნათ ფუთი 600 მანეთად, როდესაც, ჩვენ, „კაპიტალისტები“ ვყიდდით 250 მანეთად და აგვიკრძალეს იაფად გაყიდვა!

2. როგორ ჩაგვაბარა გორის მათმა ერობამ, «მიწის რეფორმით» გაოხრებული საუცხოვო ბალები — „ქართლის ამხანაგობას“, რაზედაც ორიოდე სიტყვა გვექნება ქვევითაც.

3. როგორ გამოვაცალეს ხელიდან მეთამბაქობა და მემატყლეობა „სახელმწიფო(?) მონოპოლიის“ გამოცხადებით... საგარეო გაჭირობის მონოპოლიურადვე ხელში ჩასაგდებად (ამაზეც ქვევით) და სხვა მრავალი... შემოქმედებანი.

საინტერესოა, ერთის მხრით, თუ პარალელურად ჩვენ რას ვაკეთებდით და, მეორე მხრით, თუ რატომ ყველაფერში ისე იოლად ურიგდებოდა ჩვენი მეთაურობა, — თუ ასე ითქმის უთაურობაზედ, — ყველა უცხოელთ, — სომხებს, რუსებს, გერმანელებს



და მტრებსაც კი და არავითარ შემთხვევაში ან ძნელის უწყლესობაში ან ქართველებს, ან რასაც კი ქართული ეროვნული სახე, ან სული ჰქონდა? ეს ვერ აიხსნება მარტო რევოლუციონური უინით, კლა-სიური ბრძოლით, სოციალური წარმატების მიზნით, რადგან იქცევდნენ არა თავიანთივე სამფლობელოს ინტე-რესით, არამედ შემოსეული მტრერივით და სად იყო, რომ იტყვიან, „ძალის თავი დამარხული“, იქნება ისტორიამ მომავალში გამო-არკვიოს, მე თითონვე თუ ვერ შევძელი.

ასე თუ ისე, ჩვენ არასოდეს დაგვიკლია ცდა შეთანხმება-ერ-თობისათვის ქართულ-სახელმწიფოებრივ საქმეში და არც სოცია-ლურ ცვლილებათ გავძალიანებივართ, ხომა, და, რაშია საქმე?..

* * *

ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ე ბ ი .

„კასეთი“. რადგან ერის ცხოვრებაში, სხვა დარგების შე-მოქმედებასთან ერთად „ეკონომიკასაც ისეთი მნიშვნელობა აქვს, რომ „კუჭისტების“ (ე. ი. ისეთი ხალხისა, რომელიც კუჭითა ფიქ-რობს და არა „გული, გონება და სულით“) კუუიდან შეშლაც შე-სძლებია, რაღა თქმა უნდა, ქართველი ერის დიდ მოამავს, ილია ქავჭავაძეს, ამაზედაც, არა მარტო უფიქრნია, არამედ ცხოვრება-შიაც ჩაუქსოვია თავისი მაღლიანი ხელით. ამაზე ბევრი რამ ითქმის და მეც მინდა ერთი პწყარი დაუმატო, რაკი ბეღნიერმა შემთხვევამ მეც ჩამაკვეხა ზოგიერთ მის დაწყებულ საქმეში.

„თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ“ ასესხა, ქურდო-ბით და დაუდევრობით გაკოტრების პირამდე მიყვანილ „კახეთის“ საზოგადოებას 100.000 მანეთი და გარანტიად თანხისა და ნორმა-ლიზაციისა, მოითხოვა უფლება, — საზოგადოების არჩეულ თავ-მჯდომარის დამტკიცებისა. ასეთად იყო უკიდურესად პატიოსანი პოლკოვნიკი ლევან ვაჩინაძე, როდესაც 1913 წელს მე მიმიწვიეს მდივნად, რაკი... „მარტოვამ თავი ვერ გაართვა იქ გამეფებულ ავა-ზაკობას“, როგორც გადმომცა მ.მაჩაბელმა. მართლაც, ნამდვილ



„ავგიოსის თავლად“ იყო გადაქცეული ეს სეუცხოვო, იქნებოდა კულტურული ძირის დაარსებული საზოგადოება, და თუ გასაკვირველი გამძლეობა აღმოაჩნდა, მიეწერება — ასე ვსთქვათ — ილიას ჯიგრიან ნდობის პრინციპზე დამყარებას, რომ მთლად არ დაიღუპა. მარტო უნდობლობაზე დამყარებული, ვერა ხეირობს.

პირველსაც თვეებში იძულებულ ვყავ „უხერხემლო“ გამგეობა, 16 მსხვილი ქურდი და ავაზაკი დამეთხოვნინებინა, — მათში, მთავარი კომისიონერი, მელვინეთ-უხუცესი (ვინოდელ) და სხ. და შემდეგაც არ მოვრიდებოდი... მტრების გადაკიდებას, სასტიკი კონტროლით და წესიერების დამყარებით. სამაგიეროდ, მევე შემოვალებინე 8 საათის სამუშაო დრე; ავამალებინე იმავე დროს ჯამაგირები მუშებისა და მოსამსახურეთა; გავახსნეინე სასაუზმო და ზოგიერთი ჰიგიენური გაუმჯობესებანი და სხ. მიუხედავად ამისა, ან იქნება სწორედ ამისათვის, ამიჯენ ყდნენ (ასე მეგონა ვერა და მერე გამოირკვა, რომ ამიჯენ ყეს) მუშები, მოსამსახურენი და ბოლოს „საზოგადოებაც“. და, რას წარმოვიდგენდი, ამის მომწყობი იქნებოდნენ, დათხოვნილ ავაზაკებთან ერთად, — ბავშვობიდანვე ჩემი მოშურნე სამსონ დადიანი (29); ისეთი პატიოსანი მოანგარიშე (ბუხპალტერი), როგორც იყო ესტრა ავალიშვილი (30) და „ფერქა“ ლლონტი, რომელსაც არავითარი კავშირი არა ჰქონდა „კახეთოან“. თურმე, ეს „სოციალ - ფედერალისტების“ „ჯგუფი“ (თუ პარტია არა) ჩემთან პოლიტიკურ ანგარიშებს ასწორებდა „კახეთის საზოგადოების“ ხელში ჩასაგდებად... „სოც. დემ.“ ი.მა-კვარიანთანა (31) ერთად.

შენიშვნა (29). ჯერ, კურს-დასრულებული და მშეერი მოხეტიალე, მე მივყავნე უურნალ „კლდე“-ში მდივნად და, როცა ერთი წლის შემდეგ ამომირჩეს „კახეთოსი“ გამგეობაში, — ჩემმაგიერ მივაღებინე იქვე, უკეთესი ჯამაგირით.

შენიშვნა (30). ე. ავლიშვილი მთელ წელიწადს ჩემთან და ლ. ვაჩნავესთან ერთად ერთგულად სწორენდა საზოგადოებას; შემდეგ „ქართლში“-აც დიდ სამსახურს გვაწევდა, და რამ გამოსცვალა უცებ, რამ მოაჯადოვა... ძნელი გამოსაცნობი არ დარჩა.

შენიშვნა (31). მაშ ეს ის ი. მაკვარიანი იყო, რომელიც ბ-ნ ნ. ხომერიკის შემოჩენილი გვყავდა „შიგნიდან ასაფეოქებლად“.



„კახეთის“ ჩემი «ამბავი» გრძელდებოდა ხუთ წელიწადში. წეტერები თი — მდივნად, ორი — გამგეობის წევრად და ორი უკანასკელიც „დირექტორიაში“, რომელსაც, თანახმად წესდებისა, უფრო დაბალი „კომისიის“ სახელი ჰქონდა, მაგრამ პატრონი იყო მთელი საქმიანობისა, გამგეობაზე მაღლა დაყენებული.

ეს იყო ნამდვილი ქართული საქმე, ყველა თავისი კარგითა და ავით: კარგი მიზნით და ცუდი საშუალებით წარმოებული; შინაურული აღრევით პოლიტიკისა და საქმისა და სხ., ამიტომ, როგორც დამახასიათებელს, როდისმე ცალკე უნდა შევეხმ მთელის პერიპეტიიბით. აქ კი ისიც საკმარისია დაუმატო, რომ 100 წევრიდან 150-მდე ავიყვანეთ (უმთავრესად გლეხების მიღებით სიღნაღის მაზ-რიდან) და 120.000 „ვედროდან“ — 200.000-მდე წლიური შემოსავალ-გასავალისა; ფასების აწევით და შაზანდის დაწესებით კახეთში. ჩვენი „დამფასებელი კომისიის საშუალებით. „Общество кахетинских садовладельцев — Кахетия“, როგორც მას ერქვა რუსულად, საუფლისწულო მამულების, შემდეგ უდიდესი (კონკურსული) წარმოება იყო მთელი რუსეთის მასშტაბით და ჰქონდა განყოფილებანი ბაქოსა, როსტოვსა, პეტერბურლსა, ასხაბადსა და ტაშკენტში. საქართველოს კახური ღვინო იყიდებოდა თბილისიდან არხანგელსკამდე და ვარშავიდან ვლადივოსტოკამდე. ოქროს ჯილდო რომის მსოფლიო გამოფენაზე მიღებული და ატესტატი: «მშვინიერი ღვინო, ფრანგულ ბურგუნდიულის მსგავსად».

განა ეს დიდი საქმე, ვერ ჩადგებოდა სხვა ამგვარი ვეგბ-თან, — საქართველოს რეფორმატორულ საქმეებში? ერთერთ თვლად, თუ არა... „ჩევოლუციონური“ ლაი-ლამში?

* * *

„ქართლი“. „ქართლის მეხილეთა ამახანგობა ჩემი მხოლოდ შვილობილი იყო (არა შვილი), რადგან თავმჯდომარედ რომ მიმიწვიეს, უკვე გაკოტრებული იყო და სულ ღაფავდა თავის ერევნის მოედნის დუქანში. და პირველი ჩემი „სავაჭრო ოპერაციაც“, სანის მოედნის დუქანში.

ქარუმიძის ენერგიული დახმარებით, ისეთი უხეირო გამოდგა; რომ
 მისგან ჩამოტანილი ნაყარ-ნუყარი ვაშლი 800 მანეთისა, ძლივს მო-
 კეშორეთ 500 მანეთად. ისე რომ ის წელიწადი მოთავდა საერთო ჯა-
 მით — 5.000 ფუთის გაყიდვით. მავრამ საჩქარო ზომების მიღებით,
 ანგარიშის სწორედ დაყენებით (ე. ავალიშვილის დახმარებით), ნდო-
 ბის აღდგენით და წევრთა გამრავლებით, ბითუმად ვაჭრობაზედ გა-
 დასელით და სხ., თანდათან საქმე გაცოცხლდა, გაფართოვდა, შევი-
 ძინეთ (თითქმის ავაშენეთ) საკუთარი საწყობი გორში; ავაშენეთ ხი-
 ლის სახმობი ქარხანა; გავიჩინეთ ხარ-ჯამეჩი ურმით და ცხენები სა-
 კუთარი ტრანსპორტით; გვეკინდა განყოფილებანი გორსა და სა-
 მტრედიაში თავისი გამგეებით, მოგვდიოდა თანდათან ხილი იმე-
 რეთიდანაც (მუხიანი, საჩხერე, სამტრედია და სხ.); ბათუმიდან მან-
 დარინი, თხილი და დაფნის ფოთოლი; კახეთ-საინგილოდან და, რაღა
 თქმა უნდა, მთავარი საფუძველი იყო გორის მაზრის შეუდარებელი
 ხილი: ვაშლი, მსხალი, ატამი და სხ. ამ რიგად, თითქმის მთელი სა-
 ქართველო გადაება „ქართლს“ და უკვე მეხუთე წელიწადს — 1920-ს
 წლიური შემოსავალ-გასავალი ხილისა ავიდა 200.000 ფუთამდე.
 გარდა იმისა, რომ იარმუკაში საუკეთესო აღვილი დავიკავეთ და სა-
 ერთო ყაფანიც ჩვენ ხელში გადმოვიდა, დიდი საწყობიც,, მთავარი
 ჩვენი მიზანი ის კი არ იყო — ხელში ჩაგვეგდო ხილის მონოპოლია,
 არამედ მაგალითი მიგვეცა სხვათათვისაც. კერძო თუ საამხანავო ვა-
 ჭრობის გიდასასელელად ქართველების ხელში და უცხოელ ჩარჩე-
 ბის მოსაშორებლად. ესეც ხდებოდა სწრაფად, რომ არ მოესწრო
 ომს ბოლშევიკებთან და თბილისი არ დაგვეტოვებინა. სტაბბოლში
 მარტო ამბავი კი არ ჩამოდიოდა (და შემდეგ პარიზშიც), რომ „ქართ-
 ლი“ განაგრძობს მოქმედებას, არამედ არმლენიმე ვაკონი ხილიც
 ჩამოიტანა მისმა ახალმა წარმომადგენელმა, — ვინმე აბაშიძემ
 (სახელი აღარ მახსოვეს). დიდი პერსპექტივა ეხსნებოდა რუსეთსა თუ
 საზღვარგარედ გასატანად ჩვენი საუცხოვო ხილისა (ნედლად თუ
 კონსერვებად) და ამ დარგის გასაფაროთოებლად მთელს გორის მაზ-
 რასა თუ სხვა კუთხეებში. ნუ დაგავიწყდებათ ამასთან, რომ ერთ



„დესიატინა“ ხილის ბაღს, თუ ვენახს, კულტურულად მოფრინდებია უძლიან ერთი ოჯახის შენახვა, და ლარიბია გონებით ის ადამიანი, ვინც ფიქრობს, ან ამბობს, — საქართველო ლარიბიაო. თამბაქო, აბრეშუმი, ჩაი, მანდარინი და სხვა მაღალი კულტურები რომ ვაანგარიშოთ, მაშინ ხომ სილარიბე საქართველოსი მხოლოდ ზარმაც მეზღაპრეების საქმე იქნებოდა. იმ ქვეყანაში, საცა ყირაზე ჩარჭობილი მიწაში ნერგიც კი ფეხს იკეთებს და ხარობს, მარტო ღმერთგამშეყრალი ვერ მიხედება, რომ „ღვთის მშობელმა თავისი მაღლიანი კალთა საქართველოში დაირხია“-ო, რომ ამბობს ქართველი გლეხი, — თუ რას ნიშნავს.

* * *

„მწყემსი“ . მე თითქმის ალარას ვიტყვი სხვა დარგის ამხანაგობა-კოოპერატივებზე, როგორც მაგალითად „კავშირთ- კავშირი“ (გ. მელვინეთხუცესიშვილის ინიციატივა), „მეთამბაქოეთა ამხანაგობა“ (კ. ტყავაძესი), ან უდიდესს მათგანზე — „მწყემსზედ“, რაღაც უშუალოდ შიგ მონაწილე არ ვიყავი და მხოლოდ იდეურად, ან „წარმოკავშირის“ — (საცა ყველანი გაერთიანებულნი ვიყავით ერთი იდეით და ერთი საქმით, ერთი მიზნით) — საშუალებით ვეხმარებოდით მხოლოდ. არ ვიტყვი იმიტომაც, რომ უდიდესი მათგანი, — „მწყემსის“, — ხელმძღვანელი შალვა ქარუმიძე, ამოვარდა თანდათან ჩვენი მორალური და ამით პოლიტიკური კალაპოტიდანაც, ჩვენი გავლენისაგან თანდათან განთავისუფლდა და... „სოციალისტური“ ე. ი. ჩვებური სოციალისტების ზენი შეითვისა.

საინტერესო, ნიჭიერი მოვლენა კი იყო: კარგი ორატორი, კალამიც უჭრიდა, მოხერხებულიც იყო, მაგრამ არა-უანგარო და უზნეოც. ნ. ფილიამ მაზედ მოხერხებულად იოხენგა უკვე სტაბოლში: „შალვა ქარუმიძე დვა სლოვ პრავდა გავარიტ: შალვა ქარუმიძე, — სსტალნო ვსიო ვრიოტ“. მართლაც, რასაც გააკეთებდა, და აკეთებდა კიდეც, ათი იმდენი ტრაბახი და ტყუილი უყვარდა. მაგრამ ეს, შედარებით უმანკო ნაკლი იყო მისი. ერთხელ ასეთი დიალოგი გვქონდა, როცა ყოველ დღე ჩემთან შემოივლიდა. „კლდე“-ში



და მეფიცებოდა: „რეზო, ისე მიყვარხარ, ერთ დღეს ვერ გამოიწვევა შენ არა გნახო და შენი დარიგება (?) არ მოვისმინო“—ო.

— მერე, დღეს რა დარიგება გჭირდება?—მეთქი.

— კაცო, მე არ შემიძლიან შენსავით დურაქულად ვიყვე გადავარდნილი საქმეში, თუ ჩემი სარგებლობაც არა მაქვს—ო.

— მერე, ვინ გეუბნება, რომ შენ არ უნდა ისარგებლო, მაგრამ, ჩემო შალვა, სარგებელიცა და სარგებელიც: საზოგადოებისათვის, შენზე ალალი და უპრიანი იქნება; და თუ უკულმა იქმ,— მაშინ კი დასაგმობი გახდები.

გაიცინა, გადამეხვია და დაქმაყოფილებული წავიდა ამ ჩემი პირ ველი დარიგებით, რადგან არასოდეს არც ის არც სხვა ვინმე დამირიგებია: ჩემ ხელობად არ გამიხდია.

პირიქით, ბავშვობიდანვე მე იმ შემცდარ პრინციპი დან გამოვდიოდი, რომ აღამიანი უნდა იყოს კეთილშობილი, სამართლიანი, უანგარო და სხ., ბუნებრივ ად, და თუ ასეთი არ არის,— დასაგმობია (და ვემობდი კიდევაც, — ეს ჩემი ხელობა იყო) და სიკეთე, რა საქებარია? იგი თავისთავად უნდა იგულისხმებოდეს. ამ შემცდარმა პრინციპმა ხშირად წამაჩხუბა კიდეც საუკეთესო პატივ-ცემულ პირებთან: როცა მაქებდნენ, ისე მწყინდა, როგორც გალანძლვა (28). იქნება ეს იმის ბრალიც იყო, რომ არასოდეს დედ-მამისაგან არ გამიგონია ქება კარგისათვის, ძაგება კი — ცუდისათვის — ხშირად; წასახალისებლად კი — მათი მაგალითი მქონდა.

ასე თუ ისე, ამ დიალოგის შემდეგ, შალვა ძალიან აქტიურად ჩაება ყველა ჩვენ საქმეში, საზოგადოებრივი იყო, ლიტერატურული, თუ პოლიტიკური. და მართლაც ვატყობდით, რომ თავის „სარგებელს“ არასოდეს იკლებდა (29); მაგრამ თანდათან პროცენტების რაოდენობა იცვლიდა ადგილს, — მისი იზრდებოდა, „საზოგადოე-

შენი შვენი (28:) აკაკი წერეთლისა; ილუმენ ტარასისა და სხ.მაგალითები.

შენი შვენი (29), საპროპაგანდოდ, საქმეზედ, იარაღის საშორენელად, თუ წყალ-ქვეშას დასახევედრად მიღიოდა და ვგზავნიდით —, აქედან და იქიდან უსა-თუოდ თავის სოფელ ზერტაში გაივლიდა და იქ „რასმე“ სტოვებდა.



ბისა” — მცირდებოდა. ახლა კი დაუწყე «დარიგება» და უარისნიშნული ცდომა მომივიდა: როცა ჩვენს კოოპერატიულ მოძრაობაში ჩავიყოლიერ მეცხვარე-მწყემსებიც და განვიზრახეთ „მწყემსის“ დარსება, საჭირო გახდა ამ საქმის სათავეშიაც ვინმე ინტელიგენტის ჩაყენება, ათასი სხვა და სხვა ფორმალური და არსებითი მიზეზის გამო. მე ვიფიქრე, ამ მსუქან საქმეში შალვა მალე გაძლება და თვისი ნიჭით და აქტივობით საქმეს კარგად წაიყვანს. თითონაც კალაპოტში ჩაღება და საქმესაც პირიანად მოექცევა. ამოვარჩეინეთ თავმჯდომარედ, მაგრამ იმ დღიდან ყოველდღე კი არა, თვეები გადიოდა და შალვას ვერ ვხედავდით; მხოლოდ ბუნდოვანი წმები მოდიოდა: მწყემსებმა (?) შალვას თითო ბატკანი აჩქქეს და ზერტაში ფარა მირეკა; შალვამ ხარები იყიდა და ძმას გაუგზავნაო; საუკეთესო ჯიშის აჯილლა შეიძინა 600 მანეთად და ზერტას ჩაიყვანაო... და ასე-თები. შალვა საკუთარი ფაირონით დაიარება და სხ. და სხ.

მაგრამ ყველაფერს გადაჭარბა, როცა „მატყლის მონოპოლია“ გამოცხადდა. რაკი ყველა ბანკიც „სახელმწიფოს“ ხელში იყო გადასული და, მაშასადამე, ფულის ტრიალიც, კოოპერატივებმა ცალკალკე და „წარმოკავშირმაც“ მთავრობას მივმართეთ სესხისათვის. ბევრი თათბირებისა და მსჯელობის შემდეგ, გავიგეთ და, მგონი გაზეთებშიაც გამოცხადდა, რომ „კოოპერაციებისათვის მთავრობამ გადასდო 100.000.000 მანეთი ფინანსთა მინისტრის განკარგულებაში“. გაგვიყვირდა, რადგან ამოდენა თანხა არავის უთხოვნია. ძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ აქედან 70.000.000 „მატყლის მონოპოლიისათვის“ იყო, ე. ი. დაბეკებისა თუ შესაძნად მატყლისა, და, რაკი „მწყემსი“ იყო მატყლის პატრონი, ამ „საქმესთან“ შალვასაც რაღაც (?) კავშირი აღმოაჩნდა. არ ვიცი, სხვა კოოპერატივებმა და მწარმოებლებმა რას მიაგნეს, მაგრამ მე „ქართლის“ გაჭირება მაწუხებდა და ლიდის ვაი-ვაგლახით გავიგე „ამხანავ“ ავალიანის ფინანსთა სამინისტროში, რომ „ქართლისათვის გადაცემული აქვს შალვას 4.000.000 მანეთი“. ახლა ძლიერ დავიჭირე შალვა და მოვსთხოვე ფული. ფიცით და საქმით დამატებულნა, რომ „ქართლს“ ორი მილიონის მეტი არ ერგოო. [შენიშვნის მაგიერ: ვამბობ საქმით,

რადგან „ამიერ კავკასიის ბანკის“ ერთ-ეართმა დირექტორობაშიც დაიმარწმუნა, რომ:

1. მართალია შალვა, რომ მთავრობამ გადასდო 100.000.000
2. რომ აქედან 70.000.000 — „მწყემსიისაა“;
3. რომ დანარჩენ კოოპერატივებისათვის გადადებულია ყველასათვის ერთად — 15.000.000;
4. რომ აქედან „ქართლისათვის“, მხოლოდ 2.000.000; — და
5. რომ ბანკში შემოტანილია ეს თანხა ისეთი პირობით (?)— აქედან გატანა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში,
როცა გატანილ თანხის სამაგიერო რამ შემოვაო და სხ. და სხ.].

და ამ ორ მილიონიდანაც დიდის გაჭირებით მივიღე ერთი ისე, რომ ვიღაც „ურიასათვის უნდა მიმეცა 10 %, ანუ 100.000 გ. დღემდის მაწევს სირცხვილად. რომ „ქართლის“ მთავარ დავთარში შეტანილია შემოსავლის მხარეს — 1.000.000 და გასავალის მხარეს — 100.000 და ამ უკანასკნელის ქვითარი ვერ მივიღე ვერასოდეს.

რალა გავაგრძელო, ისეთი „საფინანსო კომპინაცია“, რომელიც ბანკს აძლევდა საშუალებას ამ ფულის ტრიალისას მოგებით; მისცა საშუალება ავალიანსა და ქარუმიძეს — 15.000.000 სადღაც მიეჩელამათ (ამბობდნენ: გაიყვესო). ვინ იცის, ვის არ გაუყვეს კიდევ და,—დრო, ვადების გაჭირუება გაცემისა — ყველასათვის ხელსაყრელი ხდებოდა მაქინაციების დასამალავად. და მე რომ აღარ მოუსვენე, ქარუმიძემ ვიღაც ურია(?) „აღმოაჩინა“, „ქართლის“ მაგიერ მილიონის შემტანი, თუ 10 %-ს მივცემთ. „გაჭირებამ დელფინალთან დამატებინაო“, ამბობენ და მეც დავთანხმდი. გოთუამ მაშინვე გადმომითვალა 900.000 და...ათასი დევნის შემდეგ, თხოვნის, მუქარის თუ სხვა საშუალებაზედ... მუდამ „ჰო, ჰო“-ს და პირების შემდეგ... „დღეს, ხვალ“... „ავად არის“ და სხ., ბოლოს ერთხელ მითხრა: „ეაცო, რა გამიჭირე საქმე, — მოკვდა ის ურია“-ო.

მარტო ეხლა და მივხვდი, რომ ეს არა-ურიაც თითონა ყოფილა მე რომ „ქართლის“ ხევდრ ფულში ქრთაში გამომართვა. არ ვიცი თუ სხვასაც გაუყო ვისმე, მაგრამ... მოხერხებული არაა ქარგად?



— ფური, შენს კაცობასა-მეთქი, შევაფურთხე და წამოვედროვნებული რამ ამისთანებისა იმას აღარა ჩატვენოდა.

ღმერთო შეგცოდე... ბოლოს ნაბუქოდონისორივით ხარად რომ წარმოიდგინა თავი და ღმუოდა ოთხფეხზედ და მდგარი თურმე, შევიცარის სააგაღმყოფოში (ასე მიამბო მიშა კედიამ)... ხომ არ უწია, საქართველოს კუთხნილი ხარი, ცხენი და ცხვარი, — საკუთარ ზერტას მიაკუთვნა? ღმერთმა შეუნდოს, მე ვერა.

* * *

თითქმის ყველა დარგის სასოფლო მეურნეობაში ჩამოყალიბდა „საწარმოო კოოპერატივები“ — „ქახეთი“; „ქართლი“; „დიდი ლი-ლოს მერძევეთა ამხანაგობა“; „მწევემისი“; „ქიზიყელთა მეთამბაჭონბა“; „სინდიკატი“, გორის მაზრის ხორბლეულისა; „კავშირთ-კავშირი“ (ლვინო); და სხვა დარგებისა, ან იმავე დარგებისა — სხვა კოოპერატივები — და თანდათან ყველა ესენი კავშირდებოდნენ ერთ დიდს ამხანაგობაში, რომელსაც მისი პირველი თავმჯდომარის ივ. ციციშვილის ინიციატივით, დაერქვა „წარმოკავშირი“, ე. ი. „მწარმოებელ კოოპერატივების კავშირი“. თუ რამდენად იყო ეს გაერთიანებული კავშირიც ჩვენს ხელში, როგორც ეკონომიკური ძალა, იქიდანაცა სჩანს, რომ თავმჯდომარედ იყო ჩემი მეგობარი ვანო, მუდმივ წევრებად გამგეობისა მე და ჩემი ამხანაგი ალვა აბაშიძე და, თანასწორხმიანად შემოდიოდნენ გამგეობაში ყველა დადანრჩენი კოოპერატივების თავმჯდომარენი, როცა თბილისში იმყოფებოდნენ, ან პერიოდულ თუ საგანგებო სხდომაზედ მოწვეულნი. „წარმოკავშირის“ უდიდესი როლი მიეკუთვნებოდა სასოფლო-მეურნეობის ჩვენს ქვეყანაში, რადგან „შიგნიდან მისი აფეთქება“ მხოლოდ «ყაჩალური კანონმდებლობით» თუ გახდებოდა შესაძლებელი, თორებ ხომერიკის „თითო კაცი“ — „სინეკურით“ მაინც გვაყოლებოდა მონელებული, თუ ეროვნული სინიდისი მაინც არ გაელვიდებოდა... როგორც ბევრ სხვასაც, როგორც, მაგ., „ს.-დ.“ ცაბაძეს, სარევიზო კომისიის წევრს.

ასე, 90—95 % კოოპერაციისა ჩვენს ხელში იყო (მე ვიტყოდი, „საქართველოს ეროვნული პარტიის“ ხელში, უფრო ვიწროდ და



მეიდროდ რომ შემოვთარგლოთ), როცა „რევოლუციაში მხარე მისამართი წრო და სხვა დრამატიულ კურიოზებსაც რომ თავი დაუსახელოთ, ამ შემიძლიან ორს, დამახასიათებელს მაშინდელი დროისა და კერძოდ „რუსეთის სოც. დემ. პარტიის“ ქართველი წევრები-სათვის, — ყურადღება არ მივაქციო.

„მთავრობაძე სკანჩალსა ვპეტროგრადე“ და, ასე ვსთქვათ, დეპეშით მოგვივიდა თავისიუფლება, რადგან საქართველოში, როგორც არსად კავკასიაში რევოლუცია არ მომხდარა და წმინდა რუსული „ლრევა“, მხოლოდ ზემოდან ეხვეოდა თავზედ — მენ-შევიკებისაგან. სხვაგან სხვაზედ, აქ კი კოოპერატივებზედ მოგახსენებთ.

* * *

ვაჟლის ფასი. ერთ „მშვენიერ“ დღეს „ქართლის“ ამ-ხანაგობას, როგორც ყველა ხილის გაჭარსაც, — მოგვივიდა დაბეჭდილი „განკარგულება“ თბილისის ქალაქის თვითმართველობისაგან (34): „...ვინაიდგან... და სხ. და სხ.—ამა და ამ რიცხვიდამ, ვაშლი (და სხვა ხილიც) უნდა გაიყიდოს გირვან ქა აბაზალ ... წინააღმდეგ შემთხვევაში... დასჯილნი იქნებიან ნიხრის დამრღვევ-ნი...“ და სხ. ბაყლები შეშფოთდნენ და ყველამ ჩევნთან მოიყარა თავი, რადგან მე ვიყავი „მეხილეთა ამქრის უსტაბაში“ და ალბალისიც იცოდნენ, რომ „რაღაცა პოლიტიკაში“ ვიყავი გარეული. ამო-გვირჩიეს სამი დელეგატი და წავედით თბილისის სამმართველოში, რომელსაც უკვე დაპატრიონებოდა „რევოლუციონური“ ბრძოლა და ისეთი ამბავი იყო შიგნით, „ძალი პატრონს ვერა სცნობდა“. ძლივს მივაგენით „ნიხრის დამწესებელ კომისიას“ (რასაკვირველია, „რე-ვოლუციონურს“, რადგან მაშინ უამსიტყვოდ უბრალო პურის ჭამაც არ შეიძლებოდა): შუაში იჯდა რუსის სალდათი, აქეთ-იქიდან ორი ქართველი მუშა.

შენიშნვა (34). რაღა თქმა უნდა, განსაკუთრებით ს. დ. პარტიის წევრ-თავან შემდგარი და მთლად — სოციალისტური



დიდხანს უხსნიდით ხილისა საზოგადოდ და ვაშლის სქემურული სხვაობას კერძოდ, რომ ეს პური არ არის, არც ნაეთი, არც მიზურული და სხ., რომ ერთი ფასი დაედოს. რომ ყურძენი, მსხალი და გან-საკუთრებით ვაშლი ბევრნაირი ჯურისა და ხარისხისაა; რომ არის ხილი, რომელსაც ორ გროვადა ვყიდით გირვანქას (პანტა, მაჟალო და სხ.) და არის საშუალოც — აბაზზე იაფი და არის მაღალი ხარისხისაც (კალვილები, რენეტები, გულაბები), რომლის გაყიდვა აბაზად შეუძლებელია; მით უფრო, რომ, მაგალითად, ჩვენ — „ქართლს“ — საკუთარი ხილი არა გვაქვს, არამედ შეერებისაა, ხალხისა და სხვისი საქონელი როგორ შეიძლება დავათოლოთ?

მაგრამ დიდი კამათის შემდეგ, რუსის სალდაომა — თავმჯდო-მარებ, სოლომონ-ბრძენივით გამოგვიცხადა: ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ნ ა ი რ ი (ფასის) ვაშლი აურიეთ და ერთი ს ა შ უ ა ლ ო ფასი უნდა დარჩესო. ეს ვერაფრით გადავათქმევინეთ და გულდაწყვეტილნი წამო-ვედით ათასნაირი „რევოლუციონური“ ფიქრით დატვირთულნი... რადგან ფიქრიც ხომ არ შეიძლებოდა, „რევოლუციონური“ არა ყო-ფილიყო.

მაგრამ მოხდა „Coup de théâtre“: როცა გამოვედით „კომისი-იდან“, გამოგვყვა ერთ-ერთი ქართველი მუშა და გვითხრა: „ამხა-ნაგებო, ნუ მიაქცევთ ყურადღებას თავმჯდომარის ლაპარაკს, „კო-მიტეტისაგან“ ასე გვაქვს ნაბრძანები და უნდა შევასრულოთ, ჩვენ რა ვიცით, კალვილი და მაჟალო რა ხილია... ცოტა ფასები დაუკე-ლით და როგორც აქამდის ჰყიდდით, ისე წაიყვანეთ საქმე, ჩვენ ყუ-რადღებასაც არ მივაქცევთ“—ო.

ჩვენ მადლობა გამოუცხადეთ და... მეონი თბილისის მოსახლე-ობამაც უნდა დააფასოს ეს ხალხის საღი გონება, მეთაურების უჭიუ-ობასთან შედარებით, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, პანტასა და მაჟალოს აბაზზე ნაკლებ არავინ გაჰყიდდა და კალვილ-რენეტებს თვალით ვეღარავინ დაინახავდა.

* * *

„ხელმძღვანელობა“ მეორე ეპიზოდი უფრო საყუ-
 კონკრეტულა ციისა. რადლებოა. როგორც მოგახსენეთ,
 90 გ/წ-ზე მეტი იყო ჩვენი კოოპერაცია მწარმოებელი; მენშე-
 ვიკებს ჰქონდათ ერთად-ერთი და ისიც — მომხმარებელი კო-
 აპერატივი (რომელსაც, სხვათა შორის, ჩვენ ვაწვდიდით ხილსა და
 ღვინოს) და, აი, როდესაც იმავე ქალაქის თვითმართველობაში მო-
 ვიწვიეთ „კოოპერატიული ყრილობა“, რომელზედაც გამოცხადდა
 ასზე მეტი დელეგატი და მსჯელობა შეიქმნა, თუ როგორ შევაგუოთ
 მუშაობა შეცვლილ პირობებს, რომ უკეთეს პირობებში შევეძ-
 ლოს მიწოდება ხალხისათვის ყველა ნაწარმოებისა, კერძო
 ვაჭრების ჩარჩულ შუამავლობის გარეშე; როგორ მო-
 ვაწყოთ საერთო ხელმძღვანელობა, — კრებაში შემოიჭრა ალექსან-
 დრე ლომთათიძე ოციოდე სხვა „ამხანაგით“ და გამოაცხადა, რომ
 „ოცი ადგილი (ე. ი 50 გ/წ) კოოპერაციის მმართველობაში, ...
 რევოლუციისა და ხალხის(?) მოთხოვნილებით(?)... უნდა ეკუთვნო-
 დეს „რუსეთის სოც. დემ. მუშაობა პარტიის“. ატენილ ჩოჩოლში, მე
 მოვითხოვე სიტყვა.

— ბატონებო, აქ თავმოყრილი ვართ კონკრეტული ციის წარ-
 მომაღენელნი, არავითარ პოლიტიკურ პროგრამის ჩვენ აქ არ
 ვისახავთ, მხოლოდ ისეთ პირობებს ვეძებთ, რაც შეიძლება იაფად
 მიგაწოდოთ ხალხსა და დემოკრატიას, — საჭირო საჭონელი
 და რა შუაშია აქ ან ბ-ნი ალექსანდრე, ან მისი პარტია, რომელსაც
 არავითარი კავშირი არა აქვს კოოპერაციასთან?

ატყდა უარესი ჩოჩოლი, ღრიანული... სანდრო რალასაც „მო-
 ითხოვდა... რევოლუციის სახელით...“ (თუმცა „ამხანაგები“ მაინცა
 მაინც არ უჭერდნენ მხარს და თითქო უხერხულობასაცა გრძნობ-
 და დნენ). შ. ქარუმიძე, რომელიც ჩემ გვერდით იდგა, „მაწყნარებდა“:

— რას ამბობ, რეზო, როგორ ელაპარაკები, ვერა ხედავ, რევო-
 ლუცია ხდება, შეიძლება დაგვხოცონ კიდევ...

მაგრამ, ატეხილ ალიაქოთში, ლომთათიძე გავიდა დემოსტენის ტიულად და კრებაც დაიშალა ნელნელა უინციდენტოდ და საერთო გამგეობის ამოურჩევლად.

მსოფლიოში არ არსებობს ისეთი დემოკრატია, სოციალისტურიც კი, კომპერაციას არ უჭერდეს მხარს და მხოლოდ ჩვენში ეს-მოდათ ისე, რომ „დემოკრატიამ“, ე. ი. „რ. ს. დემოკრატიამ“ უნდა ჩაიგდოს ხელში ყველაფერი, ან დაანგრიოს, „შიგნიდან ააფეთქოს“.

ბატონმა ნ. უორდანიმ ამაში გაუსწრო ლენინს: ლენინი ამბობდა: „грабь награбленное!“ და სცარცავდა ბურჟუაზიას, კაპიტალისტებს; და, რაჯო ჩვენში ასეთი რამ ხილი არ იყო, — „просто грабь“—ით კმაყოფილდებოდნენ, მარქსის „მეცნიერების“ შეირავებითაც: „ეკონომიკა (ანუ მუშაობა) უნდა იყოს ბურჟუაზიული (ე. ი. სხვისა) და მმართველობა, ე. ი. პარაზიტული ჭამა,—ჩვენიო,—სოციალისტებისა“. (იხ.მისი ბროშურა, დაწერილი უკვე პარიზში).

რადგან ეს არ ეგუება მარქსიზმს, უნდა ვითიქროთ, — კარგა ეგუება „გაკოტრებულ აზნაურთა“ ფსიქოლოგიას, როგორც აღმოაჩინა ალ. ასათიანმა.

ამ რიგად, როგორც დავინახეთ (კომპერაციის მაგალითებზე), ისე დავინახავთ სხვა დარგებში, — რამდენადაც ჩვენ ლოლიკურად მიგვქონდა და ვაწყობდით თითო თითო აგურს მაინც მომავალი დამოუკიდებლობის შენობისათვის, — იმდენად მენტევიკები, წინააღმდეგ თავისი საკუთარი იდეოლოგიისა (მარქსიზმისა) და ვითომ მისწრაფებისა იმავე დამოუკიდებლობისადმი (რასაც Post factum გააფთრებით იჩემებდნენ: „ჩვენ გამოვაცხადთ“—) — ანგრევდნენ ეკონომიურ საფუძვლებს მომავალი სახელმწიფოსი კომპერაციაში, წარმოებაში, ყოველგვარ მშენებლობაში, საზოგადოებრივ ყოველ დაწესებულებაში. ლოიალური თანამშრომლობის მაგიერ ჭართულ საქმეებში, საცავებისათვის მოდიდით და არა ვერეკებოდით; მხოლოდ დაშლა, რღვევა და „შიგნიდან აფეთქება“ შექმნდათ, — „კლასთა ბრძოლის“ უინით (მე არ ვამბობ კლასთა ბრძოლის პრინციპით), რადგან ჩვენში კლასები (პროლეტარიატი და ბურჟუაზია) — არ არსებობდა.

ამით ყველაფერში ხელს უწყობდნენ რუსულ პოლიტიკას და უცხოელების (სომხების, ოსების და სხ.) გამაგრებას საქართველოში და განსაკუთრებით ამ უცხო ელემენტების (რუსების, სომხების, ოსების და სხ.) საშუალებით გვებრძოდნენ და... გვჯობნიდნენ(?)... დრომდე. და, რაც უარესია, ამითვე რყვნიდნენ აზროვნებასა და სულისკვეთებას თავისივე მრევლისას, ისედაც რომ სანახევროდ ფირალებისაგან შესდგებოდა. [შენიშვნის მაგიერ: იხ. „მემუარები“ გვიგი გვიგიბერიძესი, ვალიკო ჩუბინიძისა, ზაქარია გურულისა და ალ. ასათიანის „ძველი და ახალი მეკვიდრეობა“. ყველა გამოცემულია პარიზში.]

„მე არასოდეს მენშვევი არა ვყოფილვარ და არც ფირალი, მაგრამ ორივე მხარეს კარგა ვიცნობ, რადგან მუდამ მათ შორის კავშირი და მაშუალი ვიყავი“-ო, მითხრა დათიკო უორდანიამაც პარიზში, თავისი სადა-სურათოვანი ენით და მაგალითებით].

რუსეთის სოციალურ ნგრევასთან ერთად (რაშიაც ჩვენც უწყობდით ხელს მუდამ. ათასი მაგალითია ამისი.), ანგრევდნენ საქართველოს ეროვნულ საფუძვლებსაც (რაშიაც მუდამ სასტიკ წინააღმდეგობაში ვიყავით... წვრიმალსა თუ სხვიმალში).

ამ განსხვავებას ვერ მიხვდნენ(?) ვერასოდეს მენშვევები: რეჟიმი დაინგრა (ამაში ვშველოდით); სოციალური წყობის შეცვლაში პროგრესიულად მათთან ვიყავით!; ჩვენი ოპოზიცია, და გააფთრებითაც, იყო საქართველოს ეროვნულ - სახელმწიფოებრივ მოწყობის საქმესა და საკითხებში. ეს მოვლენა წითელი ხაზით გადიოდა ყველა ჩვენს მოქმედებასა და სიტყვაში.

საქართველოსდა სავალალოდ, სწორედ ამ ეროვნულ - სახელმწიფოებრივ საქმეში გვებრძოდნენ ყველაზე სასტიკად.

ამით, არა მარტო გააყალბეს მარქსის თეორია: „Бытие определяет сознание“; მარქსი გაამცუნეს კიდეც: სახელმწიფო



იყო მათი. იყო მათ ხელში, და შეუგნებლად(?) ქართველი მისი მიმიკითაც არ სებას, როგორც... „ბიჭიოს“.

* * *

უურნალი “კლდე”

რადგან უკვე 1912 წ. ჩვენი „ჯგუფი“ პრაქტიკულ მომუშავეთა ეროვნულ ასპარეზზე საქმაოდ გაიზარდა და მრავალ ცალკე საქმე-ებს საერთო „იდეოლოგიისა“, დასაბუთებისა და ერთი მიზნით მიმართვა სკირდებოდა, ფართო საზოგადოებისათვის გასაცნობად და მისაზიდავად, — გამოვეცით უურნალი „კლდე“. ერთის მხრით, ეს იყო ყუმბარა, გამსკდარი სოციალისტურ ჭაობში; მეორე მხრით, — ახდილად წამოყენება ჩვენი ეროვნულ, პოლიტიკურ, ეკონო-მიურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ მისწრაფებათა — ფრიად მო-ღვნებულ ატმოსფეროში, როცა „არსით ხმა, არსით ძახილი“, — საერთო გულგრილობისა და პესიმიზმის სულისკვეთება იყო.

როგორც დავინახავთ, სამი წლის — 1912 — 1914 წ. — ჩვენი მხნე და თამამი ძახილი, არ დარჩა „ლალადებად უდაბნოსა შინა“, და, რადგან კვირეული უურნალი „კლდე“ არ იყო „ცარიელი სიტყვა“, არამედ ყოველი მისი ფურცელი — მკაფიო ანარეკლი რეალური საქმეებისა, მე არ გამოუდები ცალ-ცალკე თა-ვებად დაყოფას იმისა, თუ რა ბრძოლები გადავიტანეთ, სად და რა შედეგები ჰქონდა. „კლდეს“ სამი წელიწადი, იქნება ჩვენ-და უნებურად (დევ, ესე იყოს!), ჩვენდა შეუგნებლად (Sic!: ასე სოქეან) — გარდამტებ ეპოქად გარდაიქცა, — მომავალ ამბების გა-მო, — სოციალისტურ ბოდვიდან, ეროვნულ რეალობაზე. დევ, ეს იყოს „И мы пахали“, მაგრამ მაინც ჩვენ ისტორიულ ხარებს კვალ-ში მივდევდით და „სოც. დემოკრატიის“ ბუზანკლები მხოლოდ ფე-ხებში, ყურში, თვალებში ჰქონდნენ, რომ მერე, ნამდვილი ნაცარ-ქექიბისავით, დაეჩემებინათ: გუთნის დედები ჩვენ ვიყავითო.

საკვირველია, როგორც კი გამოვიდა „კლდე“, სოციალისტურმა



ორივე ფრთამ, — „სოც. დემოქ.“ და „სოც. ფედერ.“ — უფასებელი შემთხვევაში არის გადაგვისავა: ნ. უორდანია სწერდა: მადლობა ღმერთის, ბურუ-აზიული (?) პრესა გაჩნდაო. და, მაშასადამე, შეტაკებისა და ბრძოლის ახალი მიზანი გაუჩნდა, მის მოჩლუნგებულს კალამსა, „მებრძოლ“ სულსა და ნგრევის უინს. არჩილ ჯორჯაძემაც მოვკილოცა ახალი მიმართულების შექმნა; რომ მეორე დღიდანვე, ორივე ფრთას, მთელი სამი წლის განმავლობაში, ჯერ ცალცალკე და შემდეგ (როცა „კლდე“ და ქუთათური „სამშობლო“, როგორც რედაქციულად, ისე ორგანიულად და შემადგენელობით, — გაზეთ „საქართველოს“ გარშემო დაირაზმა — 1914-დან — და „ეროვნულ - დემოკრატიულ“ პარტიად გამოცხადდა — 1917-ს) ერთად — დამოუკიდებლობისა და ემიგრანტობის დროს, დღემდე სასტიკი ბრძოლა — და უსინიდისო ყოველგვარ საშუალებით, სიცრუითა და ცილისწამებით, — ეწარმოებინათ ჩვენს წინააღმდეგ, ბრძოლა.

ინიციატორი, სახსრის მშოვნელი და მომწყობი უურნალ „კლდეს“ საორგანიზაციო ნაწილისა იყო დავით ვაჩაძე, შეილი „ბრწყინვალე თავად-აზნაურობის“ ერთ-ერთი ოჯახისა; რუსულ „კადეტების კორპუსის“ შემდეგ, არა ნაკლებ ბრწყინვალე, „საპიორთა“ (génie) ჯარის ოფიცირის კარიერით; კარგი მამულის პატრონი და მით უფრო ღირსეულია მისი პატრიოტიზმი, თითქმის ბავშვობიდან მთლად მიძღვნილი სამშობლო საქმეებისათვის. ჯერ კიდევ 1905 წლიდან, ახალგაზრდა, ლამაზი დათა გადავარდნილი იყო რევოლუციონურ ოფიცირების წრეებში და 1911 წლიდან ხომ თითქმის განუყრელი მეგობარ-აზანაგები ვიყავით თითქმის ყველა « საქმეში ». ქართული ენა და წერა არ ეხერხებოდა (და მე უსწორებდი) და მით უფრო ღასაფასებელია მისი ღვაწლი, თორემ რა გასაკვირველია, რომ მე და შალვა ამირეჯიბი, დელის ძუძუსთან შეწოვილი და ქართული სკოლის მოწაფენი, და ისიც უკარიერონი — საქართველოს ერთგული მსახურნი ვყოფილიყავით? ეს სრულიად ბუნებრივი უნდა ყოფილიყო. და შალვა იყო ჩვენი პოეტი, მწერალი, იუმორისტი („ფარსმან-ფარუხის“ ფსევდონიმით) ყველაფერში ნი-



ჭიერი, მაგრამ დაუდევარი. მე ვიყავი რედაქტორი, კორექტორი და შემოვიდებული ქმის მწარმოებელი, ექსპერტი და დანარჩენი ღრობის (ცენზურის) მუშაობის „, კახეთის“, ფარული მუშაობის და სხვათა შემდეგ) მწერალი პუბლიცისტი, კრიტიკოსი თუ მთხოვმელი („რაე“, „ლამურა“ და სხ.).

ჩვენ არ დავრჩინოთ მარტონი, მალე შემოვგიერთდნენ ალ. ყიფშიძე (ფრონელი), დავით კასრაძე, გიორგი დაფერიშვილი, შალვა ქარუმიძე, დიმიტრი ჯავახიშვილი, ა. სარაჯიშვილი, სამიონ დადიანი და ფერეკა ლლონტი (ეს ორი უკანასკნელი მალე გავყარეთ, რადგან მიუხედავად პირობისა, სოციალისტურ ჰანგებს შეაპარებდნენ ხოლმე თავის წერილებში, როგორც კი თვალს მოვაშორებდით, — ქურდულად): იროდიონ სონლულაშვილი და მრავალი სხვა (35).

* * *

რა „ლოზუნგები“ გადმოვისროლეთ პირველივე ნომერში? რას მოვითხოვდით?

— გამდიდრდით, იმუშავეთ, შეიძინეთ! — მიემართავდით გლეხს, მუშას, თავად-აზნაურსა და ინტელიგენციას.

და არა: „გაპროლეტარდით!“ — „სოც. დემოკრატიისა“, ან „მიწის სოციალიზაცია“ — ფედერალისტებისა.

და, როგორც მოგახსენეთ, მარტო სიტყვით კი არა, ფაქტო-ურად ათასს საქმეში ვიყავით უფრო წინადაც ჩაბმულნი ყველანი და, უმთავრესად კოოპერაციის საშუალებით, მილიონებსა ცსენდით ხალხს და არა ვიძენდით,

! შენი შენ ვა (35). ბ. სანლულაშვილი იყო დილმელი დარიბი გლეხის შეილი, სათ.-აზნ. სკოლის „მოწაფე, უაღრესად პატიოსანი ადამიანი [არისტიდეს ეძახდენ მასწავლებელნი და ამთანაგები]. უმაღლესი სასწავლებლის გათავების შემდეგ — ,საქართველოს მუზეუმის“ გამგე-მცველი. და ამისთანავე, აბა თუ ნახავთ ჩამოთვლილებში ერთ „ბურეულს“ მაინც... რომ „ბურეულის პარტიის“ გვეძინდნენ სალანდიადად... ნამდვილ ბურეულ, დ. სარაჯიშვილის სტიპენდიით „განსწავლული“(!) მენშევიკები, გაკოტრებულ აზნაურობის „დემოკრატიული“ სისონაები.

შენიშნევის შენიშნვა: დიდება და სახელი შენს ხსოვნას, ძვირფასო მეგობარო და უმწიკვლო მამულიშვილო იროდიონ არისტიდო! [გარდაიცვალა 1958 წ.].

რაღაც ჩვენ თვითონ, შედარებით, — საშუალოდ შეძლებულ წრეს ვეკუთვნოდით.

ასეთი ლოზუნგი «ელდა» იყო, როგორც სოციალისტებისათვის, ჭიუითა და სულითაც ღარიბთათვის, ისე „შეძლებულთათვის“, რაღაც ვაჭრობა — მთელ ქართველ ხალხს (გლეხს, მუშას, აზნაურს თუ ინტელიგენტს) — სირცხვილად მიაჩნდა, საძრახისად; შექენის მაგიერ, — თავაღ-აზნაურობა მხოლოდ ჰყიდვა და მიწებს უცხოელებზე და მუშაობას გაურბოდა; მთელი ინტელიგენცია ბოდავდა — უსაქმო სოციალიზმით და ნახევარ-ინტელიგენცია (ე. ი. „რუსეთის სოც.-დემოკრატიული“ პარტია) — ქადაგებდა — გაპროლეტარებას, შეძნილის ცარცვას, აშენებულის — დანგრევას და შერებოდნენ კიდევაც...

და როცა დამოუკიდებლობის დროს, განსაკუთრებით რუსეთის „რევოლუციისა“ და რუსეთის მთავრობათა წყალობით, — ძალა-უფლება ჩაიგდეს ხელში, — ხომ ამავეს განაგრძობდნენ: მთელი სამი წლის განმავლობაში ერთი ოთახი არ აუშენებიათ, ერთი წიგნი არ გამოუკიათ, არა-რა შეუქმნიათ („ვერ მოვასწარით“-ო) და ჩამორთმევა და გაფლანგვა, დანგრევა — ყველაფრისა — მოასწრეს.

[შენიშვნის მაგიერ: 1917 წლის „რევოლუციამ“, იქ ხომ „რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტიის ჩაუგდო ხელში „იურიდიული“ უფლება კერძნების მეთაურობით და ნამდვილი რეალური ძალა-უფლებაც — „მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს“ — კარლო ჩხეიძეს თავმჯდომარეობით (ე. ი., იმავე „რუსეთის ს. დ. პარტიის“ წევრის). კერძნების „დროებითმა მთავრობამ“, „ოზაკომის“ და მერე „ზაკომის“ საშუალებით — მთელი კავკასია გადასცა თავის «ამხანავ» მენშევიკებს („едино-неделимцы“-ებს) და, რაც მეტად საგულისხმოა, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ, მეფე ის ნაცვალმაც, — კავკასია გადაბარა ნ. უორდანის და ხატისიანცს, — იმავე „единная-неделимая“-ს სასტიკ დამცველობისათვის; თვით რუსებზედ მეტად].

„მოასწრეს, ჯარის შექმნა — „ვერ მოასწრეს“;
 ვერ მოასწრეს“. პრეტორიანულ გვარდიისა — კი!
 მიწების ჩამორთმევა — „მოასწრეს“; დარიგება — ვერა. ქართული ს. თ.-ა. სკოლის მაშინვე დახურვა მოასწრეს; „ერეკლე II-ის“ სახელობის სკოლის გადაკეთება — „ჩეხოვის“ სახელობის სკოლად — მოასწრეს; „მიხაილოვის“ პროსპექტისა — „პლეხანოვის“ პროსპექტიად და სხვა ასეთები, და, ქართული უნივერსიტეტის დაარსება — სხვამ დაასწრო (ივანე ჯავახიშვილმა), თორემ აღბად ვინმე მორიგე რუსის სახელით მონათლავდნენ. როგორც აგტოკეფალიის გამოცხადება დავასწარით (მთავარი მოწევე, კათალიკოზის საზეიმო კურთხევისა, — მცხეთაში, მთელი ქ. სამღვდელოების დასტურით, და არჩეულის დამრმანებისა ეგზარქოსის სასახლეში — თბილისში, იყო დათა ვაჩნაძე თავისი რაზმით), მათ კი მარტო „ეკლესიის გაყოფა სახელმწიფოსაგან“ — მოასწრეს.

თავად-აზნაურობის კოლექტური ქონების (26.000.000 მანერად შეფასებული) მიღება ჩვენგან — კოტე აფხაზის ხელით — მოასწრეს,

საქართველოსათვის შათო (:ქონებისა და თვით ქ. აფხაზის) — გამოყენება — ვერ მოასწრეს.

ფრონტიდან (ტრაპიზონიდან) ჩამოტანილი და „ზემ-გორის“ შილიონებად ლირებული ქონების გაფულანგვა — მოასწრეს; ბანკებისა და ფინანსიურ დაწესებულებათა ჩამორთმევაც, — მაგრამ ბიუჯეტის შექმნა სახელმწიფო სათვის — ვერ მოასწრეს; გარდა მშექდავი მანქანისა, ხან ნამდვილი და ხან ყალბი (ე. ი. პარლამენტისაგან დაუმტკიცებელი) ფულის საბეჭდავად.

30.000.000-ის — ბოლშევიკებისაგან გამოგზავნილი, რაღაც სახელმწიფო გრძელი მნიშვნელობის დახმარებისათვის(?) — პარტიულ საკუთრებად გამოცხადებაც მოასწრეს და გაიყვეს... ილია ქარცივაძესთან ერთად,,

გაკეთება — ვერაფრისა მოასწრეს, სამაგიეროდ, რამდენიმე მაშულისა, ქარხანა-სახელოსნოსი, წისქვილისა და სხვა ჩამორთმევა და გაოხრება — ბლომად მოასწრეს. ნამდვილი ვაკხანალია იყო. ერთი სახლის აშენება — ვერ მოასწრეს და ათასების ჩამორთმევა-წართმევა (ცვეჯით, ჭურჭლით და... ბალიშის პირებამდე) და „ამხანაგებში“ დანაწილება, — გავიხარია, — მოასწრეს., და სხ. და სხ. — სარეგისტრაციოდ, თუ რა მოასწრეს და ვერა, ოცი ამოდენა წიგნი არ ეყოფოდა.

* * *

უურნალი «კლდე» რას მოითხოვდა პოლიტიკურად? — ალდგენას 1783 წლის ტრაქტატისას, როგორც სახელმწიფო ოებრივი საფუძვლისა რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობაში და არა მარტო „სოციალურ რეფორმებს“ (როგორც „ს. დ.“), ან თუნდ „აეტონომიას“ („ს. ფ.“). — განსხვავება, რომელიც დღემდეც — დამოუკიდებლობის შემდეგაც — ბევრს არ ესმის.

1912 წელი მაგრამ მთავარი ჩვენი საზრუნვავი სადა ტერიტორია. განი, — და სწორედ ეს გახდა ხომ საბაბად ჩვენი ცალკე გამოსვლისა საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ასპარეზზე, — იყო სახელმწიფო ტერიტორია საქართველოსი, რომელსაც ანიავებლნენ — ნაჭრებად, უნიათოთავად-აზნაურები და მთელი პროვინციებით, — „პოლიტიკური“ პარტიები. სწორედ ეს საკითხი გახდა ყველაზედ მძაფრი საგანი დავისა, და ჩვენი „ახალი მიმართულებისა“ — ყველა ჯურის ქართველ სოციალისტებთან და რუსის მთავრობასთან.

„კლდესა“ და „კლდეისტებს“, ამ საკითხის გარშემო ატეხილი ბრძოლის მეტი რომ არა გვეწიარმოებინა რა და, რასაც მივაღწიეთ, იმის მეტი არა გაგვეკეთებინა რა, — მაშინაც ვერავინ იტყვის, — „ამაოდ დაშერნენ“-ო!

გარდა იმისა, რომ მაშინ ნამდვილი აეიორაჟი იყო გაჩაღებული მაშულების გაყიდვისა უცხოელებზედ და რუსის მთავ-



რობა შეგნებულად ხელს უწყობდა მას, პოლიტიკურ რეჟიმის უკავშირის ზრებით, — რაც არ ეს მოდათ სოციალისტებს, — შეუძლია მარტო გვიხდებოდა განმარტება მიწისა და ტერიტორიის კავშირისა ერთმანეთთან, არამედ ამ ცნებათა განსხვავებისაც.

[შენიშვნის მაგიერ: ფედერალისტები თავის პრესაში, თეატრში და სიტყვით — ჰემობდნენ და მასხარადაც იგდებდნენ „მემამულეებს“, მიწას ვინც ჰყიდდა: «იყიდება საქართველო»-ო, მათი ნიჭიერ-პესიმისტური პანგი იყო და თითონ კი პროვინციებს „აძლევდნენ“ უცხოელებს, — რა უფლების ძალით? რა პოლიტიკური მოსაზრებით?

„მემამულეობა“ ხომ „ხალხის ცულეფად“ იყო გამოცხადებული, „მამულიშვილობა“ — მასხარად ასაგდებ ავაზაკობად. საქართველოს პატრიოტიზმი კი არა, ხსენებაც კი — დემოკრატიის(?) საწინააღმდევო ბოროტებად, თუმცა თვით ეს სიტყვა ფრანგის დემოკრატიის გამოგონებად მიაჩინათ — უციცობით.

და რა უნდა მოგეთხოვათ საცოდავ ცალკე თავად-აზნაურისაგან, თუ თავის „სიბოროტედ“ ცნობილ მამულსა ჰყიდდა და... ათასში ერთხელ — გლეხებს ურიგებდა (თუ საქმაოდ კეთილი იყო, ან შემოსავალს ჯამავირიან სამსახურით შოულობდა):

კოლელიშვილი, მ. მალალაშვილი, დ. ფალავანდიშვილი და კიდევ რამდენიმე, — უკანასკნელებს ეკუთვნოდნენ.

„საზოგადოებრივი“ აზრი ასეთ ფსიქოზსა ჰქმნიდა მაშინ].

რაც უფრო უარესი იყო, — 1912 წელს მოხდა საშინელი ჩვენი (ე. ი. საქართველოს მომავალი სახელმწიფო ბირივობის) მორალური მარცხი ამავე საკითხებში და უდიდესი მაშტაბით: კი-ევში მომხდარ „რუსეთის არა-სახელმწიფო მემკონივებელი“ ერთა კონფერენციაზე“, რომელიც ხდებოდა საიდუმლოდ, — „კოკერაციის კონფერენციის“ კამუფლაჟით, — საქართველოს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელებმა:, სოც.-დემ. ნ. რამიშვილმა და ს. ჯიბლაძემ (? თუ არ მეშლება ეს მეორე გეარი) და სოც. ფედერალისტ — ოსიკო ბარათაშვილმა და



სამსონ ფირცხალავამ თავიანთი პარტიების სახელშემსრულებელი როტება ჩაიდინეს: მომავალ ტერიტორიალურ-ნულ განსაზღვრაში,—საინგილო მორალურად მიაკუთხნეს ადერბეიჯანს, (როგორც შემდეგ, 1920-ს, გრიშა ურატაძემაც იურიდიულად); აფხაზეთი — ჩრდილო-კავკასიას და ახალციხე, — ახალქალაქი, ბორჩალოს მაზრა ნავთლურამდის — სომხებს; რუსეთის სოც. დემ. პარტიის პრინციპის(?) მიხედვით: „რეალური მოსახლეობისა“. ეს თეორიულ - მორალური გაცემა სახელმწიფოებრივ ტერიტორიის მთელი პროვინციებისა, — რაც ასე კარგად უდგებოდა საერთოდ რუსეთის პოლიტიკას საქართველოს მიმართ (როგორც ერთად - ერთ ისტორიულ-ტერიტორიალურად უფლების მატარებლისა კავკასიაში), დადასტურებული იყო ჩვენი ზემოაღნიშნული „სოციალისტების“ არა მარტო ხელის მოწერით, არამედ, კიევიდან ჩამოტანილ რუკაზე დაც აღნიშნული.

თუ ცალ-ცალკე უნიათო თავადს არ ესმოდა, თუ რას სჩადიოდა სამშობლოს მიმართ, როცა თავის საკუთარ მიწას ჰყიდდა ნაჭერ-ნაჭერ უცხოელებზედ; თუ რუსის სახელმწიფო შეგნებულ ად ცარცუით ასუსტებდა საქართველოს, და ლრღნიდა მის ტერიტორიას — სომხების, თხების და რუსების ჩასახლებით, — ჩვენმა „ინტელიგენციამ“ („სოც.-ფედ.“) და გამროლეტარებულმა ნახევარ-ინტელიგენციამ („სოც.-დემ.“) — მეტი გულუხვობა გამოიჩინა და სხვებს მთელი პროვინციები გაუბოძა. ასეთ ატმოსფეროსა და პირობებში შეიძლებოდა გულგრილად და გულზე ხელ-დაკრეციონ დარჩენა!

აი, ამ უკანასკნელმა ვერაგობამ გასწყვიტა ყოველგვარი კავშირი ჩვენსა და „სოც.-ფედერალისტებს“ შორის. ფიალა ალივსო და შინაგანმა დუღილმა გადმოხეთქა გარედ. ჩვენ არ მოვერიდეთ იმას რომ კიევის კონფერენციაცია ფარული იყო და მეორე ნომერში უურნ. „კლდისა“ დავბეჭდეთ ბატონ სამსონ ფირცხალავას ჩამოტანილი რუკა, გამოქვებულ პროვინციების სამგლოვიარო ფერით აღმეცდეთ და სათანადო... განმარტებით.



სენსაცია იყო! — სასიხარულო სოც.-დემოკრატებისათვის, რომ ფედერალისტებს ასეთი სასტიკი მოწინააღმდეგე გაუჩინდა ^{უწერებული} მგლოვიარო, — ყველა ქართველი პატრიოტისათვის.

მე, დათა და შალვა მაშინვე წავედით ქუთაისში, წავიღეთ ეს „გაქუცული“ საქართველოს რუკა, და, თუ „შინაურ მღვდელს შენ-დობა არა აქვს“-ო და თბილისმა, ქართლ-კახეთმა, შედარებით, ნა-კლებად გამოიჩინა აღლვება (თუმცა ბევრი კერძო წერილებით, ზოგმა მოგვილოცა, ზოგმა გაგვამხნევა და გამარჯვება გვისურვა, ზოგმა აღმფოთება გამოსთქვა ასეთ უმსგავსობაზედ), — „მთელი“ ქუთაისი ფეხზე დადგა: კრებებმა, სხდომებმა, ჩვენმა მოხსენებებმა აღლვება და რღვევა შეიტანეს ფედერალისტების ბანაქში, ყველამ ჩვენ დაგვეტირა მხარი, მოგვემხრნენ ბევრნი და სათანადო რეზოლუ-ციებით გამხნევებულნი დავბრუნდით სამი-ოთხი დღის... „ტრიუმ-ფის“ შემდეგ ვ. წერეთელი, ტრიტონ ჯაფარიძე, ნაზაროვები, ძმა-ნი ს. და ი. ოცხელები და ასობით სხვანი გამდოდიოდნენ ჩვენკვენ და ოჯახი არ დარჩა, საცა ოჯახის წევრთა შორისაც კი გაცხარებუ-ლი კამათი არ ჩამოვარდნილიყო. ალფროთოვანებაც დიდი იყო, „კლდეს“ ბევრი ახალი მეგობარი და მკითხველი, მწერალიც გაუჩი-და... და... ამიერიდან მოსვენება აღარა გვქონდა... მელექსე ბის ასაგან (36), რომელნიც „ქებას გვასხამდნენ“ და სოციალისტებისაგან, რომელნიც აღარა გვზოგავდნენ. საქმე იქამდე გამშვავდა, ისეთ უსინიდისო დემაგოგიას და ცილისწამებას მიმარ-თეს, ი. გედევანიშვილმა, „პატრიოსანმა ს. ფირცხალავა-„იერემიამ“, არ ჯაჯანაშვილმა და სხ., რომ ერთ დროს ჩვენმა „რედაქციამ“ მა-თი „რედაქცია“ დუელში გამოვიწვიეთ, და, — მხდალობისაგამო რომ არ გამოგვყვნენ, — არ წელიწადს, 1914 წლის ომამდე, — არც კი ველაპარაკებოდით, როგორც კერძო პირნი, პირებს... ან უკეთ — უპიროვებს.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა (36). უნდა გამოვტყდე, უმეტესობა ისეთი უნიჭო, რომ არც ერთი არ დაგვიბეჭდია და ძლიერ ჩამოვიშორეთ; სახუმარო „ფოსტის ყუთის“ განყო-ფილების შემოლებით ეურნალში და იქ... უყრიდით თავს.



[შენიშვნის მაგიერ: ეს, ის სოსო გედევანიშვილი ბრძანებული დროის დღეს და დღეს რომელმაც „დუშეთის ხაზინის“ გაცარცვაში მონაწილეობის საშუალებით, თითონ სახლი აიშენა მცხეთაში და... ჩვენ ვკიტერდა თავის „ცნობის ფურცელში“: „ამ ხალხს თავისთვის ოთახი ვერ აუშენებიათ და საქართველოს აშენებას ჩემულობენ“-ო; და დამოუკიდებლობის დროს, მენშევიკებმა „ღენერლად“ გახადეს... 1921 წლის ოში რომ გამორბოდა კურდლელივით იმ ბორჩალოს მაზრიდან, რომელიც მისმა „სამსონმა“ ჯერ კიდევ 1912 წელს — სომხებს დაუთმო. ის აღარ ვიცი, ამ სირბილის დროს, მოლა-მისრადინასავით, თავის „ნადუშეთას“, მცხეთის სახლსაც გაურბინა, ნიშადურ ამოცებულმა, თუ „მშენებლობის უინით“ შიგ დარჩა].

* * *

„ქლდე“ — გასალკლდევდა და „ყევენს თავს აღარ უკრავდით“. რუსის მთავრობა, შეფის ნაცვალი თავისი ადმინისტრაციით და ცენზურით, „რუსეთის სოც. დემ. პარტია“ და თითქმის ფედერალისტებიც, ერთნაირი გაშმაგებით გვებრძოდნენ ყველა საქმესა და საკითხებში, თითქმის. რომელი მტერი და მოწინააღმდეგე, — რა „გრადუსამდე“ ადიოდა ამ გაშმაგებაში, ან რა პროპორციას იცავდა, თითონ მკითხველმა გასინჯოს.

იმდროინდელი ყველაზე მწვავე საკითხი იყო, მიწისა, როგორც ეკონომიკური საფუძვლისა და ტერიტორიული საძირკვლისა — საქართველოს არსებობისა და მომავლისათვის. აქეთკენ იყო მიმართული მთელი ჩვენი ყურადღება და ენერგია, რადგან მტერ რუსეთს მშვენიერად ესმოდა, თუ მიწისა და ტერიტორიის გამოცულა ქართველებისათვის, საბოლოო გამოცულა იქნებოდა ისტორიულ-პოლიტიკურ ნიაღავისა ოცნებისათვისაც კი მომავალზედ, და, სწორედ ამ მთავარ აღვილასა გვცემდა: ვორონცოვის — „250 პუნქტი რუსული მოსახლეობისა“; „ხიზანთა მოწყობის პროექტი“, — ოსებისათვის ტერიტორიის შესაქმნელად საქართველოს ხარჯზედ; „პოლიგონის მოწყობა“ გო-



რის მაზრაში; „მტკვრის ხეობის წყალთა შეკვრის პროექტი“ შუღანის ველის მოსარწყავად და სხ. და სხ. — ამდენივე ფრთხოებული დარტყმა იყო (Coup) სწორედ საქართველოს სტატუსის კურ და ეკონომიკურ სახსართო დასაწყვეტად. (რითაც, უფრო მოქნილად — XX საუკუნეში, ვიდრე ძველად XVII-ში, მეორდებოდა შაპ-აბაზის პოლიტიკა). და მთავარი უბედურება იმაში იყო, რომ ამჟამად, საქართველოს ეროვნული სული და სახელ მწიფო ფონდის მიერ გადასაცემი შეგნება გაცილებით მეტად იყო დასუსტებული, ვიდრე შაპ-აბაზისა და შემდეგ საუკუნეებში: ერთის მხრით, — „ბრწყინვალე არისტოკრატიის“ უმაღლესი ფენა ნაწილ-ნაწილ გადაგვარებისა და გარუსების გზას ადგა (მე არ ვამბობ კოლექტიურ თავად-აზნაურობაზედ, საცა, პირ-იქით, და ქვევით დავინახავთ, — ეროვნული სული ჯერ კიდევ შენახული იყო (37). მეორე მხრივ, — განუყრელ-მების, მენშევიკ-ბოლშევიკების, „ლუმპენ-პროლეტარიატის“ მეთაურობა (ნ. ეკონდანია, ს. ჯუღაშვილი და სხ.) რომელიც ნამდვილ, — რსესტის სახელმწიფოს «მეხუთე კოლონას» წარმოადგენდა საქართველოსა და მთელ კავკასიაში, დე ფაქტო, როცა ჯერ ეს სახელიც არ იყო მოვანებული (38).

მაგრამ განცხადება გროშად არა ლირს, და ლითონ სიტყვადა აჩება, თუ საბუთი-ილუსტრაცია არ ახლავს და, აი, დამიხედვთ:

დავიწყოთ თავად-აზნაურობიდან, რაღაც გაცოფებული მენშევიკები ხან არ არ სებულ „ბურუჟაზის“ პარტიის გვეძახდნენ — სალანძღვად, ხან არ სებულ თავად — აზნაურობის —

შენიშვნა (37). არც ერთი გროში, არც ერთი სიტყვა კოლექტიურ თავად-აზნაურობისა, არ იხარჯებოდა კერძო, თუ სხვა თავად-აზნაურულ საქმეზედ.

შენიშვნა (38). „მეხუთე კოლონამ“, — ფრანკოს ისპანიდან გადმო ტანილმა საერთაშორისო ლექსიკონში და ბოლშევიკების ეროვნულ „კომუნისტურ პარტიიებად“ გადაქცეული მსოფლიოში, — ფაქტიური მოვლენა იყო ჩვენში და რსესტის იმპერიის შემადგენელ ცენტრალში, — „სოც, დემ. პარტიის“ სახით, რომელიც მარტონდენ დემოკრატიულ რეფორმებს მოითხოვდა და იმპერიის მთლიანობას უფრო სასტიკად იცავდა, ვიდრე თვით დაგლობავებული იმპერიალისტები.



პარტიად გვნათლავდნენ, ისეთივე ლანძლვის მიზნით დაუკარგად შექმნა
გნებული გაყალბებით:

ასიღან, მხოლოდ ორი ასპარეზი ჩვენი მუშაობისა იყო —
თავად - აზნაურობის დაწესებულებებში: ილია ჭავჭავაძეს
დაარსებული „ჰიპოთეკური ბანკი“ და „სათავად-აზნაურო საკრებუ-
ლო“ (პირველი — „ფრეილინის“ ქუჩაზე, მეორე — „ბელინსკისა“
№ 2) და რას ვხედავდით და რას ვაკეთებდით — თავად - აზნაურულს?

ილიას ბანკი, დაარსებული თავად - აზნაურობის ფუ-
ლით (რომელიც ერგოთ კერძო თავადსა და აზნაურს, ყმებისა
და მათი მიწების ჩამორთმევაში, — რუსეთის ხაზინიდან), — იგირა-
ვებდა მამულებს სოფლად და სახლებს — ქალაქად და ამ ოპერაცი-
ებიდან მოგებულ 500.000 ოქროს მანეთს (ე. ი. ნახევარ მილიონს)
ყოველწლიურად აძლევდა — კოლექტიურ „თავად-აზნაურო-
ბის საკრებულოს“, რომელი თანხიდან არც ერთი გროვი არ
ხმარდებოდა თავად-აზნაურულ რამე კერძო საქმეს, არმედ
მთლიად ქართულ სკოლებს, თეატრებს, მუზეუმებს, სტიპენ-
დიებს და სხვა (39). ეს იყო მცირე, მაგრამ განსაკუთრებით ქართუ-
ლი ეროვნული „ბიუჯეტი“.

კურიოზი(?) იმაშიაც შდგომარეობდა, ეს ფული შემოდიოდა
უმოავრესად სომხების დაგირავებულ სახლებიდან, და, მიუხე-
დავად იმისა, რომ ბანკის პატრონად წესდებით, — დამგირავე-
ბელნი ითვლებოდნენ, სომხებს არავითარი ხმა და წილი ამ მოგება-
ში არ ეღოთ. მოსამსახურენი, გამგეობაც განსაკუთრებით ქართველ-
ნი. ამ ბანკთან მუდმივი დავა ჰქონდა რუსის მთავრობას: „თქვენ იგირავებთ სოფლის მამულებს, აუარებელი მათგანი რჩება
ბანქს ვალში, და, გაყიდვის მაგიერ, თქვენ, წესდების დარღვე-
ვით, ამ შემოუსავალ მამულებზე ხარჯებსაც საცავი სწევთ და ბანკის
მოგებას ამცირებთ“-ო.

შენიშვნა (39). სხვათა შორის აქედან მოეცა დახმარება 1905 წელს
ალიხანოვისაგან დაზარალებულ გურულ გლეხებსაც.



ეს მართალი იყო და ზოგი მოითხოვდა ბანკის ინტერიერში მარტინ ულა და ცავას და არა რაღაც „პატრიოტული“ მოსაზრებით აუჯიშული „მამულების ტვირთად აღებას“. ბანკის საჯარო კრებაზედ ამ უკანასკნელ დებულებას ახდილად ბატონი ივანე აფხაზი იცავდა. ფარულად იქნება სხვაც იყო ვინმე. კანონისა და სომხების წინაშე ის მართალი იყო. მაგრამ ჩვენ შევიჭრით ბანკის საქმეებში, ბრწყინვალე თავადს ტყავი გავაძრეთ, რომ იტყვიან, ბანკის „პარაგრაფებისა“ და „პარაგრაფების დამატებათა“ ახსნა-განმარტებით (წესდებათა სპეციალისტი მე ვიყავი) და უმტკიცებდით საზოგადოებას მამულების გაფლანგვის ზარალიანობას არა მარტო ხელის წამოსაქრავ ქართველობისათვის, არამედ ბანკის ფინანსიურ სიმტკიცისათვისაც. ასეთ შემთხვევებში საზოგადოება მუდამ ჩვენ გვეხმარებოდა და ივანე აფხაზი კუდამოძუებული რჩებოდა. (ქვევით, როცა „მიწათ-მოქმედების კომისიაზედ“ ვილაპარაკებთ, დავინახავთ, თუ როგორ ვიხსნიდით ხოლმე „დარჩენილ მამულებს“ და ზედ ვასახლებდით — გლეხობას, ქართველ გლეხობას).

რომ აქვე მოვათავოთ ილუსტრაცია განსხვავებისა კერძო და კოლექტიურ თავად-აზნაურობის შორის, ერთ მაგალითს მოვიყვან „ქ. თ.-ა. საკრებულოდანაც“: ყველას ახსოვს აღმად 1915 წლის „პანიკა თბილისში“ და მთელ კავკასიაში, როცა ოსმალები შემოიკრინენ სარიყაშიში და რუსის ჯარის უფროსი მიშლავსკი გამოიქცა ფრონტიდან. თბილისის ევაკუაცია იყო დაწყებული, სასახლიდან, „Храм славы“-დან, ბანკებიდან უკვე გაპჰონდათ კულაფერი რუსეთში (40), ჯარიც გაქცევაზე იყო, რომ... ამ უტიფარმა „სარდალმა“ წინა და და გება მისცა საქართველოს თ-აზნაურობასა და ხალხს: „რუსის ჯარი სტოცებს კავკასიას, ქართველმა ხალხმა უნდა დაანგრიოს ხილები, სახლები, გადასწვას ბალ-ვენახები და ყანები და დაიხიოს რუსის ჯართან ერთად, რომ შემოსულ მტერს დახვდეს მხოლოდ უდაბნო, საცა ვერც სანოვაგე, ვერც ბალახი, ვერც

შენიშვნა (40) „აზოვის ბანკის“ თანხების და „ხრამ სლავის“ სურათების დატვირთვის პირადად მოწამეც ვიჟავი.



ცხენი და ურემ-საქონელი და არც ადამიანი დარჩეს — უკურნალუაში ნებლად “—ო.

და როგორა ვვონიათ? საჩქაროდ შეკრებილ „საკრებულოში“ ეს „საკითხი“ (?) დაისეა გასარჩევად, რადგან ოფიციალ დაწესებულებას არ შეეძლო ოფიციალ წინადაღებაზე პასუხი არ მიეცა. კინალამ მთავარი დამაკიტყდა: მიშლავესკი ამასთან „გვპირდებოდა“: „ობილისსა და სხვა ქალაქებს ისე ავავეთქებთ ჩეენ თვითონ, რომ ქვა-ქვაზედ არ დარჩეს... ოსმალების თავშესაფარავად“—ო! Sic!

კოტე აფხაზმა, ჩახლეჩილი ხმით ეს რომ წაგვიკითხა, „კრებულს“ ჩოჩქოლი შეუდგა და პირველი სიტყვა მოითხოვა ბრწყინვალე თავადიშვილმა, განათლებულმა, მიუწენის სამხატვრო სკოლა-დამთავრებულმა — დავით გურამიშვილმა და რუსულდ, რასაკვირველია, წარმოსთქვა, ორატორული ნიჭის მხრივ, შეუდარებელი „რეჩი“. მაგრამ... სხვანაირად დავატრიალეთ საქმე.

„ბატონებო, — ამბობდა გურამიშვილი, — (გადმოგცემთ შინაარსს, როგორც მახსოვეს) — რუსის ჯარი, რომელიც იცავდა საქართველოს 115 წლის განმავლობაში თათართა ურდოებისაგან, სტოკებს კავკასიას; აი ეხლა, დღესა თუ ხვალ, მთავარ-სარდალი ააფეთქებს მხცოვან თბილისს; ჩვენი მოქალაქობრივი წმინდა ვალია ზედმიშვენით შევასრულოთ მისი ბრძანება(?), დავანგრიოთ, გადავწვათ ყველაფერი, რომ ვერად მტერს არ დარჩეს არაფერი... უნდა ხელში ავიღოთ ყველამ მაჟარა (41), თუ სხვა იარაღი არ გვეწება და გავყვეთ რუსის ჯარს... გავწყდეთ ყველანი და... თუ ერთი ქართველიც არ დარჩა, ისტორიაში მაინც დარჩება სახელი, რომ რუსის იმპერატორსა და ხალხს ისეთი ერთგული ხალხი ჰყავდა, როგორიც არის რაინდი ქართველი ერი, რომელმაც არაფერი დაზოგა და თავიც დასდო, — პატარა სამშობლო, დიდი მამულის სამსხვერპლოზედ მიიტანა“—ო.

აქა-იქ რალაცა ყრუ ხმებიც გაისმა. ვერ გაარჩევდით — თან-

— შენიშნეა (41), ეს ერთად-ერთი ქართული სიტყვა იყო მის რუსულ „რეჩიში“. (მაჟარა — ძველებური კაეიანი თოფია).



ხმობისა თუ წინააღმდევობისა. მაშინვე მოვითხოვეთ სიტყვა „ჩერქეზული ახალგაზრდა თავად-აზნაურებმა“ და სამმა თუ ოთხმა კაცმვის უძლიერი მარაჟი... მაშინდელი დროისათვის მეტად მკვახედ და თამამად... რაღაც მართლა მიღიოდნენ რუსები და ჩვენ უკვე ხელშეკრულებანი გვქონდა გერმანიასა, ავსტრიასა და ოსმალეთთან, რომ ისინი „სცნობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას“. ეს ეცავს თქვით, გურამიშვილს თავზე კაკალი ვამტკრიეთ და ანათემა შეუთვალეთ რუსებსაც და იმ ქართველებსაც, ვინც გაბედავდა ასეთი ბოროტი ენის დაძრასაც, არამც თუ თანხმობას თბილისის აფეთქებასა და თითოს განძრევას რისამე დასანგრევად ან დასაწვევად...

მაგრამ, ჯერ „პროტესტანტების“ სიც არ იყო ამოწურული, — მოულოდნელად გაიღო კარი და შიგ გამოჩნდა შალვა ქარუმიძე: „ბატონებო, აქ რალაც ლაპარაკია აფეთქებასა და გაქცევაზედ რუსებთან, მე მოგახსენებთ, — და აქ, რომ იტყვიან, — დასჭირა! ყველა ამ კარებთან (რამდენიმე გასავალი იყო გვერდზე და წინ) თითო-თითო რაზმელი მყავს ჩაყენებული ყუმბარებით; თუ ვისმე გაუბედნია დაყენებულ საკითხზე გადაწყვეტილების გამოტანა... აქედან ცოცხალი ვერავინ გაეა... საკრებულო იქნება აფეთქებული!“ კრება ფეხზე წამოიჭრა, ჩვენ ტაშით შევეგებეთ ამ განცხადებას და ატეხილ ალიაქოთში, ზოგი გაიპარა, ზოგი მხრებს იწევდა და, მართალია, უპანიკოდ, მაგრამ ისე დაიცალა დარბაზი, რომ ოციოდე კაცი თუ დავრჩით და შალვასთან ერთად ვიცინოდით... თუ საიდან მოიგონა „რაზმელები და ყუმბარები“? — ვა, რევოლუცირო ხომ მქონდა და ერთი-ორს ხომ მივაწვენდიო!

დ. გურამიშვილის „რეჩი“-ლა თუ მიუვიდა პასუხად პანიკერ მიშლავესკის, რომელიც მაშინვე გადააყენეს და... ომი 1916-საც ხომ გაგრძელდა და რუსის ჯარმა, სამწუხაროდ, მხოლოდ 1917-ში დაიწყო წასვლა.

* * *

ეს „პანიკა“ ბოლომდის ამოწურული არ იქნებოდა, შემდეგი „ეპიზოდი“-ც არ მომეუვანა: მე და ოროდიონ სონღულაშვილი და-

გვიძარა ექვთიმე თაყაიშვილმა და გვითხრა (თუ ილომ — შემცირებული დით სონლულაშვილს — გაღმომცა ექვთიმეს დაბარებული): „ქართული მუზეუმის ყველაზე ძვირფასი — ისტორიულად და არა საფასურით — ნივთები, უნდა ჩავაწყოთ ყუთებში და საჩქაროდ წავილოთ... კი ევში... თათრებს არ დარჩეს“—ო. ჩვენს აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა და კარგებიც გაკადრეთ. ილომ კი, ამ ყოვლად უწყინარმა და ჩუმმა „არისტიდმა“, მშვიდად და მტკიცედ მოახსენა: „ბა ტონო ექვთიმე, — რაკი ის ჯიუტად მოითხოვდა მისგან, როგორც მოწაფისა და მუზეუმის მსახურისაგან, — მხოლოდ ჩემ გვამზე თუ გადაიტან მუზეუმიდან თუნდ ერთ ნივთსა“—ო.. მართლაც, ჩვენი წარმოდგენით, და — ხელშეკრულების ძალით, — ისმალები და გერმანელები მოდიოდნენ ჩვენს განსათავისუფლებლად რუსეთისაგან და ექვთიმე თაყაიშვილი ამ დროს პირებდა საქართველოს ეროვნული საუნჯის გადატანას — რუსეთში. დიდი კამათის შემდეგ, ილოს წინადაღებით, გადავწყვიტეთ, კუბოს მინაგვარი ყუთების გაკეთება და ეროვნული საუნჯის დაფლვა — დილომში, ილოს სოფელსა და მამულში, რომ საომარ არეულობაში არაფერი დაკარგულიყო. „პანიკა“ მაღვე გათავდა და არ ვიცი — ეს დასაფლავება მოხდა თუ არა, რადგან მტკიცედ ვიცოდი, ილოს სიტყვა არ დაიჩრდეოდა და აღარ მიგდია ყური ბოლომდის.

იქნება ვცდები, მაგრამ მერე რომ ჩვენმა „მთავრობამ“ გაიტაცა მუზეუმის ქონებაც და ბევრი სხვაც. — მგონი, ამ კუბო-ყუთებით გამოატანა ე. თაყაიშვილს — საფრანგეთში. დიდი ნაწილი გაფლანგა და დანარჩენი, იმავე თაყაიშვილიანად „დაუბრუნა“—ბოლშევიკებს.



1915 წლის „პანიკასთან“ კავშირი არა აქვს, და მით უფრო მნიშვნელოვანია იმავე პრო-რუსული სულისკვეთების გამოსამყლავნებლად, ორი წლით უფრო გვიან მომხდარი ამბავი: 1917 წელს, როცა ომი წავებული იყო რუსებისაგან და ამით რევო-



ლუციაც გამოწვეული, ბატონმა ნ. უორდანიამ, იმავე ქართული კიბელი ში — „Белинская“ ულ. № 2 —, საცა ბრწყინვალე თავად-აზნარი რობის „სასკეუთესო“ წარმომადგენელმა დ. გურამიშვილმა წარმოსთქვა ზემოაღნიშნული რუსულ-პარიზიული „რეჟის“ და ბ-ნმა ე. თაყაიშვილმა — კუბოები გაგვამზადებინა, ეროვნული განძეულობისა რუსეთში გადასატანად, — ნ. უორდანიამ გააკეთა მოხსენება, ორმოციოდე პოლიტიკური და საზოგადოებრივი წარმომადგენელის წინაშე: მთელი საათის განმავლობაში გვიმტკიცებდა, რომ თბილისი საქართველოს დედაქანი კი არ არის, არამედ ინტერნაციონალური ცენტრია, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი და იმის იქით მდებარე ტერიტორია — ეკუთვნის სომხებსა და ადერბეიჯანელებს და მხოლოდ დასავლეთი მესამედი — «ვერა» — და აქეთ მდებარე ტერიტორია გვეკუთვნის ქართველებსაო (42).

წარმოგიდგენიათ, რა პასუხს მიიღებდა ჩენგან ეს მომავალი „საქართველოს თავმჯდომარე“, რომლითაც ღმერთმა დაგვწევლა და მოგვივლინა! მაგრამ მან ეტიბარი არ გაიტეხა, რადგან ეს იყო მისი აწერა, მრავალგზის განცხადებული და 1912 წლის რუკითაც ბეჭედ-დასმული... კიევში (43). ერთად მიდიონენ კიევში, ბრწყინვალე, „უმაღლესი“ თავად-აზნაურობის თავადი დ. გურამიშვილი, თავისი „მაფარით“, ინტელიგენციის „მარილი“ და შემდეგში „დამფუძნებელი კრების“ თავმჯდომარის ამხანაგი — ე. თაყაიშვილი (44) და „უმდაბლესი“ „დემოკრატიის“ ლიდერი — ნ. უორდანია.

შენიშვნა (42): იხ. ნ. უორდანიას, „ჩემი წარსული“ [გვ. 1-34], საცა ამ თავის საკუთარ იდეას ამრალებს სომხებს; და მისივე გვ. 56-იც, რადგან ჯერ თურმე კიდევ 1902 წ. ტილიპუტურის ჩესტორანში შეუდგენია დაახლოებით ასეთივე პროექტი.

შენიშვნა (43): ამას კოტა „სხვანაირად“ იხსენიებს ბატონი ნ. უორდანია თავის „წარსულში“ და ჩენგუ დაუბრუნდებით.

შენიშვნა (44): ახალგაზრდობაში ე. თაყაიშვილი იყო წევრი იმ „კომიტეტისა“, რომელიც სიმაღლეთა სოხოვდა დახმარებას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში.



ნია — ორივე უკანასკნელი — აზნაურები, და წინააღმდეგი შემცირებულის სონილულაშვილი, კოოპერატორი გაბაშვილი, „მწყემსი“ შ. ქარუმიძე და სხვა ხალხი... მეთაურებს.

თუ ამას დაუმატებთ, თუ რას გვეუბნებოდნენ გ. ბაგრატიონი, კიტა აბაშიძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვანი, განა გასაკვირველი არ არის, ან ის სამი წელიწადი როგორ შევინარჩუნეთ «დამოუკიდებლობა», რომლის ბედი ასე თი ხალხის ხელში მოექცა?

ჩვენ კი „გიუები“ (ზემოაღნიშვნულების თვალში და ტერმინოლოგიით), ამ დამოუკიდებლობის მოტრფიალენი, ბედმა „ოპოზიციის“ კუთხეში მიგვადო, რუსეთის რევოლუციის, რუსეთის მეფის მოადგილისა და რუსის ხიშტის წყალობით.

[გიორგი ბაგრატიონი მარშალი — ჯერ კიდევ ომის დროს, გვეუბნებოდა: „ერთ გუბერნატორს ვერ შევინახავთ და თქვენ დამოუკიდებლობაზე მელაპარაკებით, გიუები ხართ, საგიუეთში უნდა ისხდეთ“-ო.

კიტა აბაშიძე — პატრიოტი-კრიტიკოსი და პუბლიცისტი — : „პარიზში, მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრს, ყუმბარებით ანგრევენ (:მაშინ ახალი ამბავი იყო გერმანელების „Dicke Berta“, პარიზში რომ რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო) და თქვენ რაღაც ქეციან საქართველოზე მელაპარაკებით“-ო.

ნიკო ნიკოლაძე : „ეხლანდელ ეკონომიკურ ვითარებაში, ვისაც ფლოტი არა ჰყავს, ვერ იარსებებს და ჩვენ ერთ დიდ გემსაც ვერ ავაშენებთ, მთელი საქართველო რომ გავყიდოთ“-ო. ნიკოლაძე, რომელმაც ფოთი ააშენა, საქართველოს გაუყიდავად და შემდეგში — გერმანის დამარცხების წინ იქიდან ჩამოსული, გვეუბნებოდა: „გერმანია ისეთი მძლავრი, შექრული ბლოკია, ქვეყნიერებას დაიპყრობს“-ო.

ასე თს გიუებში, ჭკვათა-მყოფელი თუ არ გაგიდებოდა და კიდევ დამოუკიდებლობზე იოცნებებდა, რასაკვირველია, „გიუად“ ჩაითვლებოდა . და გვთვლიდნენ კიდევაც].

ეხლა, როცა დამოუკიდებლობა ვიგემეთ, ყველა გაპატრიოტდა და ეს ყველაფერი დავიწყებულია, ხშირად გვისაყვედურებენ სწო-



რედ ჩვენ: „როგორ ჩაუგდეთ ხელში მენშევიკებს ძალა-უფლებაშვილული ეს საკენტი რომ არ დავვეყარა, რუსებს უკან მოიყვანდნენ, პროტოკოლის გვინდებით ქავთარაძე-ჯუღაშვილ-მდივნები, და არა 1921 წელს, არამედ უორდანია-ჯუღალ-გურამიშვილები — გაცილებიათ უფრო აღრე და დამოუკიდებლობას თვალითაც ვერა ვნახავდით.

ამის საბუთებს ქვემოდაცა ვნახავთ და ეხლა დაუბრუნდეთ... „ჩვენს ბატქნებს“, ე. ი. უურნალ „კლდე“ საბრძოლო თემებსა და საქმეს.

როგორც მოგახსენეთ, 1912 წლის „კიევის რუკაშ“ განხეთქილება ჩამოაგდო ეროვნულად მოაზროვნეთა და ანტი-ეროვნულად განწყობილ ქართველებს შორის, და, თითქო ამით ისარეგბლა რუსის მთავრობამ, — უცებ წამოიკრა ბეორე ტერიტორიალური საკითხი, საკითხი „ხიზნებისა“

* * *

„ხიზანთა საკითხი“. თუ ყველა ჯურის სოციალისტებმა გაუბოძეს, სომხებს, თათრებს, ჩრდილო-კავკასიელებს მთელი პროვინციები, „რეალური მოსახლეობის პრინციპის“ ძალით, რუსის მთავრობამ, ვორონცოვის სახით, მოინდომა ოსების მოსახლეობის მოწყობაც საქართველოს ხარჯზედ. ცნობილია, ჩვენში ხიზნები იყვნენ განსაკუთრებით ოსები (და სამეგრელოსა და გურიაში კნაოდა თითო-ორიოდა არა-ოსი) და ეჭირათ საუკეთესო პირობებში, ათიდან — ეჭვსასამდე დესიატინა (=2დღიურს, ანუ 3 ქცევას) მიწა, ქართველი თავად-აზნაურისა. და, აი, ვორონცოვის „პროექტით“, ყველა ეს მიწები, ფაქტოურად კავკასიის ქედიდან მეჯვრის-ხევამდე (მდ. მეჯუდა) და მტკვრის მარჯვენა ნაპირზედაც — საციციანოსა და საჯავახოში, ათიათასობით დესიატინა, — უფასოდ უნდა გადასცემოდა ზედ მოსახლე ოსებს.

„კლდემ“ ასტეხა სასტიკი პროტესტი ასეთი უსამართლო პროექტის წინააღმდეგ, როცა... „ქართველ გლეხებს, ბატონ-ყმობისა-

გან განთავისუფლებულთ 1864 წელს, მიეცათ რაღაც საცოდავი „ჩამონაჭრები“ და ისიც გამოსყიდვით 55 წლის განმავლობაში, რაც დღემდეც დასრულებული არ არის. ეს არის გაცარცვა ქართველებისა ოსების სასარგებლოდ და სხ. „ეს იყო ჩვენი თეზა. ამის წინააღმდეგ ამხედრდნენ, არა მარტო რუსის მთავრობა და ადმინისტრაცია, არამედ — ჩვენი, ყველა ჯურის სოციალისტები, — უარესად. ისევ გამოათრიეს „რეალური მოსახლეობის პრინციპი“ და გაიმართა ნამდვილი ვაქხანალია.

წელიწადზე მეტს გასტანა ბრძოლამ და ალბად ჩვენი მარცხით გათავდებოდა, — ომს რომ არ მოესწრო, — რაკი რუსეთის მთავრობა და ქართველი „დემოკრატია“ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჩვენთან ბრძოლაში, — „რუსეთის სოც. დემ. პარტიის“ მეთაურობით.

უკანასკნელი ეპიზოდი ამ ბრძოლისა გათამაშდა ალექსანდრეს ბალში, ყოფილ „სამეურნეო საზოგადოების“ ბარბაზში. ერევნის ვიცე-გუბერნატორ სტრელბიცის ინიციატივით, იქ გაიმართა ყველა ქართულ კულტურულ საზოგადოებათა წარმომადგენელების კრება. ორმოცდათამდე დელეგატი დაესწრო. სტრელბიცი კითხულობს და ასაბუთებს „ხიზანთა მოწყობის პროექტს“. კამათში მონაწილეობა, მხოლოდ „კლდეისტებმა“ გავილაშქრეთ ამ ვერაგულ პროექტის წინააღმდეგ; დანარჩენებმა (45) — „დემოკრატიამ“ აღტაცებით მოიწონა ეს „ხანჯლის ჩაცემა ქართლის შუა გულში“.

ჩემი სიტყვა (როგორც ხშირად) — უკანასკნელი იყო:

— Это не законопроект, а разбойное действие, ограбление одной части населения в пользу другой... და სხ. და სხ:

— В государстве надо устраивать и разбойников... მიპასუხა გათამამებულმა სტრელბიციმ.

— Устраивайте их за счет необ'ятных русских земель, а не, и без того малоземельной Грузии...

შენიშვნა (45). გარდა მორიდებით სიტყვა შემბრუნებელ დარბაისელ დამსწრეთა.



ქმაყოფილებით სავსე სტრელბიცები, აკრიფა თავისი უძლეს და უძლეს ბი, პორტფელში აწყობდა და თან დაუმატა:

— Я так и доложу Его Сиятельству Графу Воронцову-Дашкову, что вся грузинская демократия поддерживает его проект и только кучка националистов — против...

და წევიდა.

ომმა და ღმერთმა ოლარ დააცალა ბ-ნ სტრელბიცების და ჩვენი „დემოკრატიის“ არა-დემოკრატიულ მეთაურებს ამ „პროექტის“ და კანონება... თორებ ჩვენს, შემდეგს „ომს ოსებთან“ ოლარვითარი იურიდიული საფუძველი არ ექნებოდა, ...როცა ბატონი ვ-ჯულელი „ნერონივით“ სტკებოდა ოსების სოფლების გადაწვით, მისი გვარდიელები — ნაცარცივით და ოსების ქალების გაუპატიურებით... „А Нина играла Шопена...“ მის „მძიმე ჯვარში“ რომ სწერია.

მართლაც, ირონია არ იყო ბედისა? ჩვენ „ოსი-ჭამიებს“ გვეძახდნენ, „სომხი-ჭამიებს“ და ოსებსა და სომხებს — თითონა ხვამდნენ. ღმერთმა შეარგოთ, თუ შეერგოთ! ალბად შოთა რუსთაველის „დიალექტიკით“ ხელმძღვანელობდნენ და მარქსის პოეზიით: ვიდრე ძალა-უფლებას ჩაიგდებდნენ: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა — დაკარგულია“ და როცა „მდგომარეობა შეიცვალა“, გუნებაც შეცვალათ: „ჭამა-სმა დიდად შესარგი, დება რა სავარგულია!“—ო.

* * *

ტირიფონას პოლიგონი. ცალკე ადამიანის, თუ საზოგადოების აზრისა და ლოლიკის გარდა, არსებობს ლოლიკა საგნობრივი (Логика вещей) და ამის შეგნება ჰქონდათ დაკარგული ჩვენს „სოციალისტურ პარტიებს“, რომელთა სიტყვით ერ ლოზუნგებში თითქო კარგი რმეებიც მოიპოვებოდა. ამიტომ 1914 — 1918 წლის ომის წინ, საქართველოს უდიდესი ხიფათი მოელოდა, როგორც ზევიდან, — რუსეთის მიერ სისტემატიური რი რღვევით ჩვენი ტერიტორიისა, ისე შიგნიდან, — ამ ტვინ-დაკარგულ სოციალისტებისაგან, გატაცებულნი რომ იყვნენ, —

„მსოფლიო პროლეტარიატის“ (:ს. დ.), და „ქვეყნის უძლიერებელი ალიზაციის“ დამყარების საკითხებით და ვერ ამჩნევდნენ(?) თუ როგორ ეცნობოდა სწორედ საქართველოს, — საძირკველი ეროვნულ-სახელმწიფო თემის არსებობისა, — ტერიტორია. იმასაც რომ თავი დავნებოთ, თუ როგორ შემოაგლიჯა რუსეთმა საქართველოს სანაპიროები, — ისმალეთთან ომების დროს, ქართველ მაჭადიანთა გადარეკვით და მათ აღვილას ქრისტიან სომხების შემოსახლებით; ზემოაღნიშნულ ვორონცოვის კვებნასაც — „250 პუნქტი რუსებით დავასახლეო “; საუფლისწულო და საეკლესიო მიწების გადასვლასაც რუსეთის ხაზინაში და შავი ზღვის სანაპიროების დარიგებას რუსის ლენერლებისა და მოხელეებისათვის და სხვა ძალადობას იმავე მტრისაგან, რუსებისაგან, მთელი საუკუნის განმავლობაში;

რა ხდებოდა უკვე ჩვენ დროს და ჩვენგანვე, — იმავე მიმართულებით, ე. ი. ტერიტორიის დაღრღნით შეგნიდან?

თავად-აზნაურები ჰყიდდნენ თავის მიწას და მყიდველი განსაკუთრებით იყო უცხოელი, — სომები, რუსი თუ სხვა.

„პოლიტიკურმა“(?) პარტიებმა გაუბოძეს (მორიალურად!) საინგილო, აფხაზეთი, ახალციხე-ახალქალაქ-ბორჩალოს მაზრები — უცხოელებს (:კიევის „რუსა“ 1912 წ.).

„ხიზანთა პროექტით“, რუსის მთავრობა და ქართველი სოციალისტები აღლევენ ოსებს, და შეთანხმებულად, — ათასობით დესიატინა მიწას, რითაც საქართველო და განსაკუთრებით ქართლი იჭრებოდა ორად, მთებიდან მტკვრამდე და მარჯვენა ნაპირის იქითაც, — ოსების ჩასხლებით.

და ამ საშინელ, ვერაგულ დაქუცმაცებას საქართველოს მთლიანი ტერიტორიისას, 1913 წელს მენივით დაატეხა თავს რუსის მთავრობამ ახალი „პროექტი პოლიგონისა“.

ვისაც თვალი, ყური, გონება და გული აქვს, დაინახავდა, — რუსაზე მაინც — თუ რას უმზადებდნენ საქართველოს, მაგრამ „სოციალისტები“ ამასაც გულგრილად შეხვდნენ და მარტონი მიგვატოვს რუსეთთან, შეიძლება ითქვის, ტიტანურ ბრძოლაში.

გასაკეირველი კი იყო, რადგან ამ საკითხში სწყლებოდა — ითრგუნებოდა არა მარტო ტერიტორია ლური, არა მდგრადი საკითხი გორც დაეინახავთ, — „რეალური მოსახლეობის პრინციპის“ იღება. თუ მიწის გაფლანგვაში, ეს „იღებით“ (?) დაბრმავებული ხალხი ვერა ხედავდა ტერიტორიის დაქარგვას, პოლიგონის საკითხში ხომ თანაბრად იყრიდა თავს, როგორც მიწისა, ისე მოსახლეობის საკითხიც და სად გამორჩათ „რეალური მოსახლეობის პრინციპი“, რომლითაც ისე უხვად გასცემდნენ ქართულ მიწას — სომხებზედ, „თაორებზედ“, „ლეკებზედ“, ოსებზედ და პირში წყალი ჩაიგუბეს, როცა 40.000-მდე ქართველი გლეხობა, უნდა აეყარათ ტირიფონის ველის გარშემო სოფლებიდან, პოლიგონის (ჯერ) უდაბნოდ გადასაჭიროდ (46)?

განმეორება რომ არ დამჭირდეს ზედმეტი ახსნებით, თუ რას წარმოადგენდა ჩვენთვის „პოლიგონის საკითხი“, პირდაპირ გადავალ „უკანასკნელ მოქმედებაზედ“ ამ მოსალოდნელ დრამისა, რომელიც გათამაშდა რუსის „სასამართლოში“, მე რომ მიმცეს. ვექილად მყავდა „განთქმული“ დამცველი „რევოლუციონურ პროცესებში“ და ჩემი სკოლის ამხანგი — შალვა მესხიშვილი, „სოციალისტ-რევოლუციონერი“, მაშინ „სოც-ფედერალისტებთან“ მომუშავე.

.... Вы обвиняетесь ...по такой-то статье, ..такому-то параграфу Российского законодательства, за призыв к возмущению населения против государственной власти... и возбуждения, распространением в печати, журнал «Клэ» №... к сопротивлению закону...“ და სხვა რალც „კაზიონი“ ფრაზები, რომელიც ზეპირად აღარ მასხვეს.

— დიახ, ბატონო მოსამართლენო, თუმცა აღნიშნული წერილი

შენიშნეა (46). ვამბაზთ: „ჯერ“, რადგან მერე უსათუოდ მოჰყვებოდა, — როგორც ბორჯომსა და შანგლისში, — რუსების ჩასახლება, „ვოენნოე პოსტინიე“ და ამრიგად მოელი გორის მაზრის გაგლეჯა ორად უცხოელთა მოსახლეობით, — რუსებით და ოსებით.



არ არის ჩემ მიერ ხელმოწერილი, მე ვყისრულობ, როგორ უცნდეს სამართლისა, სრულ პასუხისმგებლობას და არა ვთვლი დამნაშავედ ჩემს თავს...

სიტყვა მიეცა ჩემს „დამცველს“, და, რაც მეტს ლაპარაკობდა და რაც უფრო მჭერმეტყველურად, იმდენად ვგრძნობდი, რომ კატორლა თუ არ, კიხე არ ამცდებოდა: შალვას ალბად დაავიწყდა, რა დრო იყო? ვის იცავდა? რა ბრალ დების აგან? ვის წინაშე? და, ნაჩევე რევოლუციონერების დაცვას, — მე გამოვყავდი დააჩვრული, საწყალი ხალხის დამცველად, უგულო მბრძანებლების წინააღმდეგ... და წავიდა და წავიდა ამ ჰანგების გარიაციებში ამაღლებით და ამაღლებით... თითქო ჩემი წერილის შინაარსიც არც კი სცოდნოდეს (ლმერთო შეგცოდე, — იქნება ასეც იყო სწორედ)...

— ბატონო მოსამართლენო, ნება მიბოძეთ ჩემი თავი მე თითონ დავიცვა! — წამოვხტი. და შალვასა ვსთხოვე ჩუმად, იქით გამდგარიყო... და მალაპარაკეს... რუსულად, რასაკვირველია.

ჩემი „სისტემა თავდაცვისა“ სულ სხვა იყო. მოკლედ ასე:

— ბატონო მოსამართლენო, მაშინ, როდესაც თქვენმა იმპერიამ, ეს არის, განიცადა რევოლუციონური რლვევა (броженци) და მთელი კავკასია დღემდე გახვეულია სოციალისტური პრესის ბოდვაში, ერთად-ერთი უურნალი „კლდეა“, რომელიც იცავს სახელმწიფოებრივ წესებსა და კანონს, კერძო საკუთრებას და მშეიღობიანობას და ამ დროს გამოდის ძალა-უფლების მატარებელი (власть), და, ყოველგვარი სამართლიანობის გარეშე, 40 ათასს დესიატინა კულტურულად დამუშავებულ და სახნავ მიწას, ორმოციათს პატიონად და მძიმედ მომუშავე გლეხობას, — ძალით ართმევს, რომ მიწა უსულო ზარბაზნების საგარჯიშო პოლიგონის უდაბნოდ გადააქციოს; რომ ორმოცი ათასი კერძო მესაკუთრე — ბოგანოდ გახადოს და რევოლუციონერთა ჯარს შეუერთოს?!

თქვენ მოწოდებულნი ხართ დაიცვათ სახელმწიფოს საფუძვლები: კერძო საკუთრება და პატიოსანი შრომა და არა ხელი შეუწყოთ ამ საფუძვლების შერყევას, გაუგებარი პოლიტიკური ბრძა-

ნებით. ჩვენი უურნალი ერთად-ერთია, რომელიც იცავს ამ ძირითად იდეებს და მე ვფიქრობ, ლირის ვართ მადლობისა თქვენი უსიტომოება და არა დასჯისა, რაღაც ფორმალური პარაგრაფების მიხედვით.

არა მკონია, მთავრობა კმაყოფილი დარჩეს იმ განუზომელი უარყოფითი შედეგებით, რაც ასეთს ნაბიჯს მოჰყვება და ქართველობა კი არ დაივიწყებს ასეთს უსამართლობას.

არ ვიცი რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემმა სიტყვამ, მაგრამ, თაბირის შემდეგ, გამომიცხადეს, რომ — 200 — მანეთითა ვარ და-ჯარიმებული. და დღემდე ეს ვალი მმართებს ნიკოლოზ მეორისა, რადგან ომმა და „რევოლუციამ“ გადიყოლეს იგიც და ჩემი ვალიც. არ ვიცი ისიც, 26 მაისის აქტით გამოცხადებული დამოუკიდებლობა, მანთავისუფლებს იურიდიულად ამ ვალისაგან, თუ, საერთაშორისო უფლების ძალით, როდისმე მომეთხოვება იგი... საიქიოს? ან ჩემ მე-ქვიდრეებს ნიკოლოზის მემკვიდრეებისაგან — სააქაოს?

პოლიგონის გამო ჩვენგან ატებილ დავს გამოეხმაურა საზღვარ-გარეთიც კი და ფრანგულ (მგონი ინგლისურშიაც) გაზეთებშიაც გა-ისმა პროტესტები „უსამართლობის“ წინააღმდეგ, ...რადგან კავკა-სიაში ახალი დიდი პოლიგონის მოწყობა, — „აღმოსავლეთს ემუქ-რებოდა“ კიდევ მეტად (47).

„პატიოსნად“ უნდა ითქვას, ქართული სოციალისტური პრესა ამ საკითხში არ შემოგვდავებია. — როგორც სხვებში გვედავებოდა გააფთოებით, მაგრამ კუსავით გაჩუმებული იყო, მხარში ამოდგო-მის მაგიერ. კუავს კავალი გააგდებინე, ისიც კარგია. თუმცა უნდა სცოდნოდათ ჩვენს სოციალისტურ კუავებს, რომ ზემოჩამო-თვლილ კაკლების მოგლეჯით, არა მარტო თავად-აზნაურების „გე-ნეალოგიური ხეები“ ესპონდოდა საქართველოს, არამედ ხეების ფეს-ვებიც — გლეხობა: 90 % ქართველი ერისა.

შენიშვნა (47): შეიძლება იმ გარემოებამაც იმოქმედა მთავრობაზედ, რომ ეს განზახვა, ასე თუ ისე, „ფარული“ იყო და ჩვენმა განგაშმა მთელ მსოფლი-ოს მოპტინა ეს ამბავი: ჩვენი საჯარო კრებები, ადგილობრივ კომისიების გზავნა, გლეხების პროტესტების მოწყობა, თავად-აზნაურობის კრებულის ჩატევა ამ სა-კმეში და სხ. — ყველა ჩვენი გამოსადევი იარაღი იყო.

* * *

მ ტ კ ვ რ ი ს . . . დ ა წ რ ე ტ ა . ა რ ი ი ფ ი ქ რ ი თ , რ უ ს ი ს მ თ ა ვ რ ი -
 ბ ა დ ა კ მ ა ყ მ ა ყ მ ფ ი ლ დ ა „ ხ ი ზ ა ნ თ ა “ დ ა „ პ ი ლ ი გ ი ნ ი ს “ პ რ ი ე ქ ტ ი თ , ს ა ქ ა რ -
 თ ვ ე ლ ი ს ა თ ე ს ი ს გ ა მ მ ს ა ც ლ ე ლ ა დ . გ ა თ ა მ ა მ ე ბ უ ლ მ ა „ ქ ა რ თ ვ ე -
 ლ ი დ ე მ თ კ რ ა ტ ი ი ს “ გ უ ლ უ ხ ე ლ ბ ი თ ს ხ ვ ი ს ხ ა რ ჯ ზ ე დ , — შ ე ი ძ ლ ე ბ ა ი თ -
 ქ ვ ა ს , ა რ ა ნ ა კ ლ ე ბ ვ ე რ ა გ უ ლ ი პ რ ი ე ქ ტ ი შ ე მ მ უ შ ა ვ ა მ ე ფ ი ს ნ ა ც ვ ლ ი ს
 „ კ ა ნ ც უ ლ ა რ ი ა შ ი “ , რ ო მ ლ ი ს გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ა მ შ რ ა ლ ზ ე დ ა ს ე ვ ა მ დ ა
 მ თ ე ლ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს . მ ა ვ რ ა მ ა რ ც ჩ ვ ე ნ დ ა ა რ ც ი ს ტ ი რ ი უ ლ მ ა გ ა რ ე -
 მ მ ე ბ ა თ დ ა ა ც ა ლ ე ს . მ უ ლ ა ნ ი ს უ დ ა ბ ნ ი შ ი მ რ ა ვ ა ლ ი წ ლ ე ბ ი ს გ ა ნ მ ა ვ ლ ო -
 ბ ა შ ი ს ც დ ი ლ ი მ დ ნ ე ნ ხ ნ მ ა რ ი კ უ რ დ ლ ლ ი ს დ ა ჭ ე რ ა ს : ბ ა მ ბ ი ს პ ლ ა ნ ტ ა ც ი ე -
 ბ ი ს მ ო შ ე ნ ე ბ ა ს დ ა რ უ ს ე თ ი დ ა ნ მ ი ყ ა ნ ი ლ ი ხ ა ლ ხ ი ს კ ი დ ე ვ ე რ თ ი დ ი დ ი
 „ პ უ ნ ქ ტ ი ს “ შ ე ქ მ ნ ა ს კ ა ვ კ ა ს ი ა შ ი . მ რ ა ვ ა ლ ი ო ქ რ ი , შ რ ი მ ა დ ა ს ი ც ი -
 ც ხ ლ ე ჩ ა ვ ა რ ე ს რ უ ს ი ს გ ლ ე ხ ე ბ ი ი ს , ა მ , თ ი თ ქ მ ი ს უ ი მ ე დ ო , ა ვ ა ნ ტ ი უ რ ა -
 შ ი , დ ა , მ ა თ ი ვ ე პ ი რ ვ ე ლ ი შ ე მ მ ი ს ე ვ ე ბ ი თ გ ა პ ა რ ტ ა ხ ე ბ უ ლ ი ა დ ე რ -
 ბ ე ი ჯ ა ნ ი ს ა ყ ვ ა ვ ე ბ ა მ მ ი ნ დ ა მ ე ს . ხ ა ლ ხ ი ტ ყ უ ი ლ ა დ ი ხ ი ნ ც ე ბ ი ღ დ ა მ ა ლ ა -
 რ ი ი ს ა გ ა ნ ა , ბ ა მ ბ ი ს მ ა გ ი ე რ , მ ა რ ი ლ ი ს ზ ე წ ა რ ი ე ფ ი ნ ე ბ ი ღ დ ა ზ ე ა დ ა ვ ს დ ა ...
 მ მ ი ნ დ ო მ ე ს მ ე ს ა მ ე დ ა მ ე მ თ ხ ე კ უ რ დ ლ ლ ი ს დ ა ჭ ე რ ა ა ხ ა ლ ი პ რ ი ე -
 ტ ი თ : უ მ ა ლ ე ს ი ბ რ დ ა ნ ე ბ ი თ , უ ნ დ ა შ ე კ რ უ ლ ი ყ ო მ ტ კ ვ რ ი ს
 მ თ ე ლ ი ხ ე ო ბ ი ს წ ყ ა ლ ი — მ უ ლ ა ნ ი ს უ დ ა ბ ნ ი ს მ ი ს ა რ წ ყ ა ვ ა დ .
 ა კ რ ძ ა ლ უ ლ ი უ ნ დ ა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო კ ა ნ ი ნ ი თ , მ ტ კ ვ რ ი ს ს ა თ ა -
 ვ ი დ ა ნ დ ა წ ყ ე ბ ი თ , ყ ვ ე ლ ა შ ე მ დ ი ნ ა რ ე ტ რ ტ ე ბ ი თ , — წ ყ ლ ი თ ს ა რ გ ე -
 ბ ლ ი ბ ა (ქ ა რ თ უ ლ ი რ . გ .) მ ი ს ა ხ ლ ე ბ ი ს ა თ ე ი ს ,чтобы ни
 одна капля лишиней воды не пропадала, — все для Муганской
 степи”... а се ე წ ე რ ა პ რ ი ე ქ ტ შ ი . ა მ პ რ ი ე ქ ტ ი ს ტ ე ქ ს ტ ი ც „ ქ ლ დ ე მ “
 გ ა მ მ ი ტ ა ნ ა გ ა რ ე დ დ ა გ ა ნ გ ა შ ი ა ვ ტ ე ხ ე თ : „ ა რ გ ვ ა კ მ ა რ ე ბ ე ნ ტ ე რ ი ტ ი -
 რ ი ი ს გ ა მ მ ც ლ ა ს , ე ხ ლ ა წ ყ ა ლ ს ა ც გ ვ ი წ ყ ვ ე ტ ა ვ ე ნ დ ა მ თ ე ლ ს ა ქ ა რ თ ვ ე -
 ლ ი ს მ შ რ ა ლ ზ ე დ ა ს მ ა ს უ პ ი რ ე ბ ე ნ “ , ვ ყ ვ ი რ ი ღ დ ი თ ჩ ვ ე ნ , დ ა , ჩ ვ ე ნ დ ა
 ს ა ს ი რ ც ხ ვ ი ღ დ ა , „ ხ მ ა დ მ ლ ა ლ ა დ ე ბ ე ლ ა დ უ დ ა ბ ნ ი ს ა შ ი ნ ა “ — რ ჩ ე -
 ბ ლ დ ა ჩ ვ ე ნ ი ხ მ ა ... ქ ა რ თ უ ლ ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი პ რ ე ს ი ს უ დ ა ბ ნ ი შ ი —
 უ კ ა ც მ ბ ა შ ი , უ კ ა ც რ ი ე ლ ი ბ ა შ ი .

ამ პროექტის გამოქვეყნება და „დემოკრატიის“ მსჯელობულთა უკანად გახდენა ვეღარ გაბედეს. თუ სხვა რამ მიზეზი-დაპრემიუმი კომისარების აღმოსაზღვრავთ, ვეღარ გავივეთ, ისე დალია რუსული „წყლის პროექტ-შა“, — ქართული ჩაილულის წყალი.

* * *

„მიწათ-მოქმედების მაგრამ ჩვენი «ბრძოლა» არ ვაკომისია“. ნისაზღვრებოდა საგარეო მტრებისა და საშინაო მოწინააღმდეგეთა პროექტებისა და ინიციატივის, — ცარიელი სიტყვიერი კორიანტელით ჩაშლით, არამედ, როგორც კონპერაციის საშუალებით ვაღწევდით დადებითს შედევებს. ისე ტერიტორიისა და მიწის დაცვაშიაც არ მოვიკლია ხელი შემოქმედებისათვის.

ამის მთავარი სულის ჩამდგმელი, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, იყო ალექსანდრე ყიფშიძე და თავად-აზნაურობის საკრებულოსთან მოწყობილი, ე. წ. „მიწათ-მოქმედების კომისია“, ხუმრობით „სამიწე კომისიას“ რომ ვეძახდით. მას ეძლეოდა წლიურად 15.000 მანეთი და ხუთი წლის განმავლობაში, ჩვენ შევისყიდეთ, სხვა და სხვა ბანკებისა, დაწესებულებათა და კერძო პირთაგან და ქართველ გლეხებზე გავანაწილეთ 52.000 დღისატინა (100.000 დღიური: ანუ 150.000 ქცევა) მიწა. გვყავდა და უფასოდ გვეხმარებოდნენ სამი ინჟინერი, (ლ. დ—ძე; ჭ—ნი; ბ—შვილი), სამი ავტონომი და რამდენიმე მოხალისეც, — მელიორაციასა, წყლებისა და წყალსადენების გაყვანასა, თუ დიდი მამულების დანაწილებაში. „ქართულ სამეურნეო საზოგადოებასთან“ ერთად გვქონდა სანერგები, საცდელი მინდვრები და აღებული ბალ-ვენახები, — სასოფლო მეურნეობის თითქმის ყველა დარგის გასაუმჯობესებლად... „ევროპიული წესების“ ხალხისათვის შესასწავლად — მაგალითით, დახმარებით, სწავლებით.

რაკი თვალსაჩინო შედევებს მივაღწიეთ, შემუშავებული იყო პროექტი, ჩვენი წლიური ბიუჯეტი 300.000 - მდე აგვეყვანა ნეტარ-ხსენებული მარშალი კოტე აფხაზი. სხვა მაზრის მარშლებით, სწავლებით.

თან „შეთანხმებით — მეტად დაინტერესებული ამ საჭირო, უცნობი და დებოლი და შეგვისრულებდა კიდევაც), და „შინაგანი გადასახლება“ დაგვემთავრებინა; ე. ი. ქართველი უმიწა-წყლო გლეხობისათვის, მოსავლიანი მიწები ჩაგვებარებინა. უმთავრესი კონტინგენტი გადმოსახლებულთა (და გადმოსასახლებელთა) — იყო დასავლეთ საქართველოდან და დასახლებული (და დასასახლებელი) კონტინგენტი მიწებისა — აღმოსავლეთ საქართველოში; ბორჩალოს მაზრასა და კახეთში (48).

„სამიწე კომისიაში“ ხუთი ვერცხლით, მაგრამ მთავარი და მართლა წარმოუდგენელი მშრომელი იყო ალ. ყიფშიძე, დიდ-გამოცდილება - შეძენილი, ქუთაისის „ლიბერალ“ გუბერნატორ, სტაროსელსკისთან ვიცე-გუბერნატორობის დროს. უნდა გენახათ მისს მუდამ მოწმენდილ სახეზედ და კონტა ტანისამოსზედაც კი თითქო, რა სიამოენება იყო, როცა ათობით და ოცობით ტყაპუ-ჭიანი გლეხები შემოდიოდნენ და გაქონილ ჩოხებით ისეთს სუსს აუნებდნენ, რომ ჩვენ, „ახალგაზრდებს“, სული გვიგუბდებოდა და ალექსანდრე კი საათობით უხსნიდა, თუ სად უნდა მივიღნენ, რაზე ხელი მოაწერონ, რა „ქალალდები სიმტკიცისა“ ჩაიბარონ და სხვა. ხშირად დასტა-დასტა მათ გაქონილ ფულს თითონ წაიღებდა ბანკებში და დაუზიარებლად, განუწყვეტლად ანგარიშობდა, სწერდა და ათას ფორმალურ ქალალდებს უდგენდა... „კანონების მიხედვით“. ისეთი ნიღობა ჰქონდა ყველასაგან, ხალხი მილიონებს ჩააბარებდა უშიშრად. ჩვენთვის ხომ შრომისმოყვარეობისა და პატიოსნების მაგალითი იყო მუდამ.

ომსა და განსაკუთრებით „რევოლუციას“, შემდეგი ხუთი წელიწადი რომ დაევიანებინა, — ოჯახერ გადიდებული თანხით და რამდენიმე „მიწათ - მოქმედების კომისიის“ პარალელურ მუშაობით, თანამდებობით მიდევნების მაგიერ, — მენტევიკურ „მთავრობას“, ქალალდზე დაწერილ „აგრარულ რეფორმის“ მოხდენა აღარ დასჭირდებოდა. რადგან მთელი გამოსადევი მიწა საქართველოში, კანონისა და სამართლის მიხედვით, კერძო საკუთ-

შენიშვნა (48) მარტო „კაბალზედ“ გადაეცა რაპველებს — 500 დესიატინა, საცა მოკეთდნენ და სოფლები მოიწყეს.



რეგიონ გადავიდოდა — თავად-აზნაურების ხელიდან, მუშავდლის მიწოდების ბეჭედში... კოლექტური თავად-აზნაურობის წყალობით და „სამიწე კომისიის“ მეობებით.

ამითვე «საშიში» ადგილები და, განსაკუთრებით ბორჩალოს მაზრა, რომლის მიწა ეკუთვნოდა სულ რამდენიმე ქართველ მემამულეს, ქართველივე გლეხობის საკუთრებად იქცეოდა და „რეალური მოსახლეობის“ წყალ-წალებული პრინციპით — უცხოელებზე გადაცემული, — საქართველოს ტერიტორიას შეემატებოდა, შეამტკიცებდა. იქნება სომხებთან ომიც აგვეცდინა, რაღაც ჩეენ ყველაფერი სახელმწიფო თვალისწინების მოსაზრებით გვქონდა გათვალისწინებული და არა მყვირალი დემაგოგისა, რომელსაც ზიანის მეტი არა მოჰქონდა რა ქართული საქმისათვის.

ჩვენი მცირე თანხა ხმარდებოდა მხოლოდ ფორმალური მხარეებისა, მიწების დაყოფისა და მელიორაციის პლანებს: ნაშოვნ და გადაცემულ მამულების დათვალიერება-შეფასებას და სხვა ასეთ „წვრილებებს“ თუ ჰყოფნიდა, თორემ მთვარი სახსრები იყო ქართული და სახელმწიფოებრივი ბანკიდან („სამეურნეოც“) გამოტანილი სესხები. ილიას ბანკზე დარჩენილი, ან დაგირავებული მამულები, კერძო მემამულეთა მიწები და მყიდველ გლეხთაგან შემოტანილი ბენეფიციალი 15.000 მანეთმა — მილორნიანი საქმეები აატრიალა. პატარა მაგალითები: ცენტრისათვის, მეთიონო შევიძინე კახეთში $\frac{1}{2}$ „დესიატინა“ ვენახი, ქართული ბანკის ვალის გადმოწერით და მთელი ფორმალური მხარისა და ბეისათვის გადამხდა სუთასი მანეთი; პირველ წელსაც მივიღე შემოსავლად „40 ველრიანი ბოჭქა“ ღვინო და ამდენივე — ჩემმა მებაღე-მოურავმა „აბრ.“ ჯ — მა. ერთმა გურულმა ოჯახმა შეიძინა ამავე წესით 15 „დესიატინა“ სახნავი — სულ 1.200 მანეთის გადახდით, რომლიდგანაც ჩვენმავე კომისიამ მოუწყო სესხი 600. გ. ამილახვარმა „შემოგვთავაზა“ მთელი თავისი მამული — 14.000 დესიატინა“, სახლით, კოშკით, ბაღ-ვენახით, წისქვილით, დუქნებით — ნახევარ მილიონად, მაგრმ ამ დიდი ოპერაციის ჩატარება ჩვენც „ვერ მოვასწარით“, სხვა და სხვა მიზეზების გამო, და, მაშასადამე, 52.000

დესიატინიდან „მიწ.-მოქმედ. კომისიაშ“ თავისი ჯამში შეუძლებელი ათასამდე — ვერ მოახერხა.

დამეტანებით, 75.000 მანეთად 50.000 დესიატინის განაწილება, ე. ი. 11/ჟ მანეთის ხარჯვა დესიატინაზე, სახელმწიფო ებრივი თვალსაზრისით, — არ იყო ძირი.

მაგრამ, ჩეენი სისტემა ერთდროული ჩამორთმევისა და მაშინვე გლეხებზე გადაცემისა (რადგან „მიწათ-მოქმედების კომისია“ მხოლოდ უანგარო მაშუალი იყო ამ ოპერაციებში); თუ ჯერ ჩამორთმევის მოსწრება და განაწილების ვერ მოსწრება (სისტემა მენშევიური „აგრარული რეფორმისა“) — უკეთესი გამოლგებოდა, — გამოცდა, ისტორიამ არ დაგვაცალა, და 1921 წლის შემდეგ, ბოლშევიურმა სისტემამ შესცვალა, მეფის სისტემაზე უარესმა.

* * *

„კახეთის მთელ ქვეყნიერობაზე, ყველა ერი და სარკინის გზა“. ხელმწიფო სცდილობს, არა მარტო თავის ტერიტორიაზე, სხვის ტერიტორიაზედაც ჩაიგდოს ხელში გზებისა და მეტადრე რკინის გზების-კონკრესიები. ამისთვის აეიოტავი, ფინანსისტების ჯახი და ომებიც კი ხდება ხოლმე ხანდახან (49), რადგან უდიდესი ეკონომიკური, სავაჭრო და სტრატეგიული მნიშვნელობა ეძლევა. მაგრამ, როცა ბედმა გაგვიღიმა და „კახეთის რკინის გზის“ კონკრესის აღების საშუალება აღმოჩნდა ქართველ თავადაზნაურობას, არა მარტო მთელი „დემოკრატია“ (?) გახდა ამის წინააღმდეგი. თუთ თავად-აზნაურობის ბანაკიც გაიყო ორ ნაწილად და მასთან ერთად, — ინტელიგენციაც. რადგან ეს საკითხი ფრიად დამახასიათებელია ქართული ზნისათვის, მაშინ დელი და მომავალი ამბებისა და გათვალისწინების აღმოჩნდა აღმოჩნდა ქართველ თავადაზნაურობას, ცოტა გრძლად უნდა შევჩერდეთ ამ „პატარა“... გზაზედ. „თ. აზ. საკრებულომ“ აღმრა შუამავლობა კონკრესის მისაღებად და მაშინვე

შენიშვნა (49) ერთ-ერთი მიზეზი პირკელი მსოფლიო ოშისა, იყო სტამბოლ-ბალტა-ბასორის რკინის გზის კონკრესის მიღება ოსმალეთისაგან გერმანიის მიერ.



გურჩნდნენ სხვა და სხვა ზომისა და მაღის მტრები და კონკურენციები (50).

ერთის მხრით, — სომხები, ლიანოზოვის მეთაურობით, რომელსაც მოუნდა ამ გზის გაყვანა წნორის წყლიდან (51) ნუხაზე ბაქომდე, პარალელურად უკვე არსებულ თბილის-ბაქოს რკინის გზისა.

მეორე მხრით, — „რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტიის“ ქართველი მეთაურები, რომელნიც, დაბრძავებული „თავად - აზნაურობის“ საფრთხობელათი, ველარ ხედავდნენ, რომ კახეთის რკინის გზას უნდა გაევლო ქართულ მიწაზე (52), ეყოლებოდა ქართული მმართველობა-პატრონი (53), ქართველი მუშა-მოსამსახურენი (54) და, მაშასადამე, მათივე პარტიის... ამქარი და სხვა... „იაჩიეიკები“.

მესამე მხრით, კერძო ინტერესების მქონე თავად-აზნაურები და ინტელიგენტები, რომელთათვის ჯერ „მე“ იყო მთავარი და მერე „საქართველო“.

იქნება სხვა ჯურის ეგოისტური ხალხიც ბრძანდებოდა, მაგრამ უურნალ „კლდემ“ და „კლდეისტებმა“, პირველი დღიდანვე ავრიფეთ ეს, კველა მხრიდან „გაღმოყრილი ხელთამანები“ და სასტიკი ბრძოლა გაიმართა კრებებზე, კაბინეტებში, პრესაში, თუთ „საკრებულოში“.

რა იყო მთავარი მოტივი მოწინააღმდეგებისა? : „კახეთის რკინის გზის“ „თელავის ვარიანტი“ — ჩინია და, ამით — საზა-

შენიშვნა (50), ი. ა. მ საკითხები ილია ჭავჭავაძეს ნაწერი აზრები.

(51). ობილისიდან წნორის წყლიდე, ორივე კონცესიის პროექტში ერთი და იგივე „ტრისას“ იყო.

(52). მაშასადამე, მისავალი გზები და შენობებიც რომ მიუმატოთ, — ქართველებს ერგებოდათ დიდალი „გამოსახყიდი თანხები“.

(53). მართალია, თავად-აზნაურობა, მაგრამ „კოლექტიური“, რომელიც მოელთვის ქონების ხარჯავდა საერთო ქართულ საქმეებზე და... დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლადაც ხომ მოელი ქონება, რკინის გზიანად — მიართა მათს მთაერობას.

(54). ესენი რომ არ ყოფილიყვნენ, ხომ, ისედაც კოჭლი დამოუკიდებლობა — ორთავ ფეხზე დაკოჭლებული გამოდგებიდა.



რაღო „ლიანოზოვის ვარიანტი“ — უფრო გრძელტექნიკური და ნავთის ქალაქამდე ჩასული, მაშასადამე — მომ გაცემული და მომგებიანობის მოტივს (რადგან ლიანოზოვის „სიგრძის“ ნახევარს ადერბეიჯანის უდაბნოშე უნდა გაეკარნა, ზედმეტი პირვენლელი და მომავალშიაც უსარგებლო ხარჯებით), ჩვენ უპირდაპირებდით — თვით კახეთის ეკონომიკურ სიმდიდრის განვითარებას; პოლიტიკურად რკინის გზის ჩვენს ხელში ყოფნის უპირატესობათა რიგით (ზეით რომ ვასახელებ შენიშვნებში) და საანბანო კეშმარიტებით, რომ ლიანოზოვისა და სომხების — თუნდ მომგებიანობა — საქართველოსათვის რა სახარბიელო მიზანია?

ჭიდილი სასტიკი და ხანგრძლივი გახდა, რადგან ციხე შიგნიდან ტყდებოდა და „მარშალი“ პავლე თუ მანიშვილი და მისი „იურისკონსულტი“ გიორგი გვაზავა, სიტყვით და რუსული პრესის საშუალებით და თავის მომხრეებით — გააფირებით იცავდნენ „ლიანოზოვის ვარიანტს“. კრებებზე, „ქლდე“-ში წერილებით, თუ კარიკატურებით, ჩვენ არ ვზოგავდით საწყალ პავლეს და ერთ მშვენიერ დღეს „სამეურნეო ბანქში“ სასახლის ქუჩაზედ, მან მოიწვია ქართული საზოგადოების „რჩეული ნაწილი“ — მოხსენების გასაცემებლად, რომ ის „ნაკლები ქართველი პატრიოტი არ არის“ და „თავს იმართლებს, თუ რატომ უჭერს მხარს „ლიანოზოვის ვარიანტს“. ამ „რჩეულთა შორის“, — ეს მის ჯერელმენობას მიეწერება, — მივიწვია ჩვენც — კლდეისტები.

მეტად დასაბუთებულად, თავის მოხსენებაში მან გაიმეორა ყველა მოსაზრებანი, საჯაროდ, კერძოდ თუ პრესაში უკვე გამოყენებული და... დამთავრა ასე:

„В конце концов, у меня одна главная идея; около Нухи находится мое большое имение и имею я право желать, чтобы железная дорога, проходя там, подняла и цену имения и его доходность?“

ამ უკანასკნელმა გულუბრუკეილო განცხადებამ, მახსოვეს, ზოგში ღიმილი გამოიწვია, მის მომხრეებში კი ყველაზე მძიმე არგუმენტის მნიშვნელობა მიიღო, მაგრამ ჩვენი „ახალგაზრდული

სისასტიკით” — ეხლა ასე არ მოვექცეოდით ამ კეთილშობილ
და მართლა კეთილი სურვილებით სავსე ქველმოქმედსა — განდევნები
ვესხით თავს, ჩვენი პოლიტიკური, პატრიოტული არგუმენტაციით,
— მის კერძო ეგოიზმს, რომ, არა მარტო კრებიდან გაიქცა, მალე
„სპარსეთშიაც გადავასახლეთ“ (მეგობრებისა და იურისკონსულტ-
თან ერთად), როგორც ვკვეხულობდით მათ წასვლის... ა. ხოშტარი-
ასთან.

ჩვენ გავიმარჯვეთ, გაიმარჯვა „თელავის ვარიანტმა“ და „კა-
ხეთის რეინის გზის“ კონცესია თავად-აზნაურობის საკრებულოშ
დამტკიცა. რეინის გზაც გაიყვანეს. აღარ მახსოვს რომელ წელს,
„მიწათ-მოქმედების კომისიამ“ მეც მიმავლინა რეინის გზის საკონტ-
როლოდ წასულ „თავად-აზნაურობის კომისიას“ და ერთად ვიარეთ
წნორის წყლამდე... ჩალაუბნის მოძრავი მიწის ხელულებზე
გავლით... საცა მატარებელი ურემზე ნელა მიღიოდა კიდევ, რადგან
ლიანდაგი და უკვე დამპალი შპალები, აქა-იქ ჰაერში ეკიდა.
ინეინერი მამრაძე ბოდიშს იხდიდა „მოძრავი მიწის“ მაგიერ, თითქო
უძრავი აღარსად დარჩენილიყვეს საქართველოში, რომ ლიანდაგი
ზედ დაემაგრებინათ. ეს კი მახსოვს, რომ ჩემი პირველი (და უკანას-
კნელი) „ბოჭკა“ ღვინოც ამ „რკ. გზით“ ჩამოვიდა თბილისში, „კა-
ხეთის საზოგადოების“ სხვა ათას „ბოჭკასთან“, მის დიდ მარანსა და
საწყობში „გოგოლის“ ქუჩაზედ. — ურმის მაგიერ, როგორც ეს
წინად ხდებოდა.

და ისიც მახსოვს, რომ სომხებთან ომის დროს, ამ რეინის გზაშ
ჩამოიყვანა კახელი ბიჭები, — სახელოვანი ვ. ჯულელის გვარდიის
დასახსნელად ეკატერინენფელდის ტყვეობიდან, — შულავერის
აღებით და სომხების გადადევნით (55).

ლიანოზოვის „მომეგებიანი“ სომხური გზა, ალბად სომხის ბიჭებს
ჩამოიყვანდა, ვალიკოების წასაყვანად ერევანის სანახავად, — რომ-

შენიშვნა (55). რომელ ამბავზედაც მეორე ვალიკო. ან ვალიკო მეორე, აქ. პარიზში საზღაპრო ამბებსა სწერს თავის „მო... გოდორებაში“ 1954 წელს, და „ის-
ტორიულ“ სინამდვილის დეტალებსაც გადმოგვცემს, თავის „მოგონებათა რვე-
ულში“ ბატონი დათა ვაჩნაძე. 1944 წ.

ლის მესამედს მათი მთავრობის თავმჯდომარე არ უფრო ჟურნალების გულშხვად მეზობლებს, როგორც ამას აკეთებდა ჩვენთვის წელის თბილისის ორი მესამედის დათმობით; ან 1912 წელს რომ გასცეს იგივე ბორჩალო, ჩვენი ისტორიული სამშვილდე, და 1920-ს — საინგილო, უკვე იურიდიულად ნოე-სამსონ-გრიშებმა.

რაში ენაღვლებოდათ! ბორჩალო ხომ ლანჩხუთი არ იყო და საინგილო — ჩანჩქრეთი, რომ მათს პროვინციალურ თავებს და კუთხურ გულს გაეგო მთლიანი საჭართველოს სახელმწიფო ფრთხილი ინტერესი, რასაც მინისტრობის დროსაც ვერ მიხვდნენ და ვერა. საუბედუროდ, დღესაც ზოგნი.

* * *

პოლიტექნიკუმი; ამ, შედარებით დიდი მასშტაბის ბოიკოტი; ერობა. ბრძოლებში, შედარებით პატარა ბრძოლებიც გამოერია (escarmouches)... ურნალ „კლდეს“ ფურცლებზე. და, ნაწილად ქართველობის ინდეფერენტიზმისა და ნაწილად — მტრობის გამო, — მის ფურცლებზედვე დარჩა; ცხოვრების რეალობაში ვერ ჩავადგმენეთ ძირი:

პირველი იყო — „პოლიტექნიკუმის საკითხი“,
მეორე — სომხური ვაჭრობის ბოიკოტი,
მესამე — ერობა.

თეორიულად გადაწყდა „უმაღლეს სფეროში“ — პოლიტექნიკუმის დაარსება თბილისში. სად უნდა აშენებულიყო იგი? ქართველი და სომხის საზოგადოებანი სხვა და სხვა ბანაკში მოვექიენით. სომხები მოითხოვდნენ — ნავთლურში... სასაფლაოსა, სასაკლაოსა და თბილისის სანაგვის შუა მინდორზე, რადგან ნავთლული — სომხურ ტერიტორიად იყო ცნობილი, ვორონცოვისა და „რუსეთის სოც. დემ. პარტიის“ ქართველი მეთაურებისაგან, ხომა. ქართველობა მოითხოვდა ვერაზე მის აშენებას, საბურთალოს გაშლილ ველზედ და „საბუთებსა“, შემოწირულების დაპირებათა და ერთმანეთის გაწა-მაწიაზე, — აუარებელი მელანი იხარჯებოდა, როცა ვორონცოვის სომხოფილობამ გადასძლია და სასახლეში უმაღლეს

საბჭოს თაობირზე გადაწყვდა პოლიტექნიკუმის აგება ნაცოლულში, მიუხედად ღენერალ ვასო გაბაშვილისაგან ათ „დესიპტრინაციაში“ წის უფასოდ შეწირვისა და თამამი განცხადებისა: შეიძლოთ მას და მის მიზანის სამართლის მიერ გადაწყვდა გადაწყვდა პოლიტექნიკუმის აგება ნაცოლულში, მიუხედად ღენერალ ვასო გაბაშვილისაგან ათ „დესიპტრინაციაში“ წის უფასოდ შეწირვისა და თამამი განცხადებისა:

— «Будущия поколения будут проклинать тех, кто строил политехникум в таком воиничем месте».

ბატონმა მედისნაცვალმა «საქმეს» თავისი ხელით დაწერა „ისტორიული“ რეზოლუცია:

— «Несмотря на проклятия генерала Габаева, по финансовым соображениям, политехникум будет построен в Навтлуге».

ალბად, სომხები მეტის გამოღებას დაპირდნენ ფულად და თითონ მთავრობასაც ნაკლები დაეხარჯებოდა. და საერთოდაც „მწოლიარე ვორონცოვი“ ყველა სადაო საკითხს — სომხების სასა-რგებლოდ სწყვეტდა არბიტრაჟით (ე. ი. არბიტრალურად), რო-გორც თურმე „ვორონცოვი ფეხზემდგომი“ (ე. ი. პირველი) — სწყვეტდა ქართველების „სასარგებლოდ“ და ამით ორთავენი, სომ-ხებსა და ქართველებს შორის ქიშპობას უწყობდნენ ხელს, იმპერიის სადღეგრძელოდ.

პოლიტექნიკუმი მარტო ქალალდზე აშენებული დასტოვა „ის-ტორიამ“.

* * *

ბოკოტი. სულ სხვა იყო „ბოკოტი“. გარდა იმისა, რომ ქართვებებშიაც იყვნენ თითო-ოროლა მსხვილი ვაჭარ-მრაწველნი: სარაჯიშვილები — კონიაკისა, ფორაქიშვილები — ფართლეულისა, ხარაშვილი — ტყავეულობისა, ძევველაშვილები და ვოგინაშვილი — თევზეულისა და სხვა სოვედავრები (56) (ძველები) და ჩვენს დროსაც გამოჩნდნენ ზედგინიძეები, ხარისჭირაშვილები, აბა-შიძე და სხვანი საუკეთესო მაღაზიების პატრონი ვაჭრები, — მეპურეები, ყასბები, მელვინები, მეხილეები და სხვა სანოვაგის გა-მყიდველნი საკმარისად გამრავლდნენ, რომ ქართველი მოსახ-

(56). ე. ი. უმთავრესად ბითუმად მოვაჭრენ.



ლეობა დაუკმაყოფილებინათ. ამიტომ სრულიად ბუნებრივურ უჟავა ქართველობას თავის სავაჭრო საქონელი შეეძინა ქუთხებულების განვე, და არა სომხებისთვის მიეცათ მოვება, რაკი სომხობა აშეარა მტრულ განწყობილებას იჩენდა ყველაფერ ქართულისადმი საქართველოს დედა-ქალაქში. ქართულ პრესაში, ამ, ჩვენგან „დასმულმა საკითხმა“, — წინააღმდევობა გამოიწვია და სომხები კი „ატმოსფერულად“ ჩააფიქრიანა. ჩვენც აღარ გავედევნეთ ამ უკიდურესს საშუალებას.

* * *


ერობა. არა ერთხელ აღძრული საკითხი ერობისა კავკასიისათვის, მუდამ უყურადღებოდ იყო დატოვებული მთავრობისაგან, თუმცა რუსეთის შიდა გუბერნიებში ის დიდი ხნიდან არსებობდა. კორონცოვმა აქაც მოინდომა ისეთი გადანაწილება ერობის რაიონებისა, რომ ყველაფერში სომხების უპირატესობა გამტკიცებულიყო საქართველოს ხარჯზე, როგორც, მაგალითად, ბორჩალოს და ახალციხის მაზრის „ცენტრი ერობისა“ ყოფილყო ერევანში და სხვა ასეთები. ამაზედაც ატეხილი დავა სომხებსა და ქართველებს შორის — შეაჩერა ომმა.

VI.

მსოფლიო პირველი ომის მოახლოება.

აღბად ჯერ კიდევ ბევრს ახსოვს პირველი მსოფლიო ომის წინა თვეების დაჭიმულობა, მთელი მსოფლიო რომ დაძაგრა. ბალკანეთ-ოსმალოს ომის ტალღები ჯერ კიდევ კალაპოტში არ იყო ჩავარდნილი, რომ სერბიელმა პრინცმა (57) მოპერა ერცჰერცოგი ფერდინანდი, ე. ი. ავსტრიის იმპერიის პრინცი, და მას მოპერა კინე-მატოგრაფიული სისტრატით ავსტრიის ულტიმატუმი და სერბიაზე შეტევა... რუსეთის მობილიზაცია... მობილიზაცია გერმანიისა და...

შენიშვნა (57). ეს არის გვარი მკვლელისა; რუსეთის იმპერიის განზრახებით.



სოფელ ახალქალაქის აგარაკზე მომისწრო სასიხარულის გვერდი გვითავს მა: „გერმანიამ გამოუცხადა ომი რუსეთს“. ალელვებული გაძოვება ქანე თბილის და პირველი ქართველი, ვინც შემხვდა „გოლოვინის პროსპექტზე“, ბრძანდებოდა სამსონ ფირცხელავა. თითქო აღდგომა ყოფილიყოს, მე დავითიწყე ჩვენი ორი წლის უმზრახობა და აღტაცებით მივმართო: „აბა, სამსონ, განთიადის დღეები გვიღვება და უნდა დაუფაცურდეთ, ორგანიზაციები ავაწყოთ, დავირაზმნეთ მომავალი-სათვის“. სამსონმა ცივი წყალი გადამასხა: „ჩვენ რა შეგვიძლიონ? თუ რამე მოვა თავისით, ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ?“ პირადი წყრო-მა არა ჰქონდა გამონელებული, თუ ვერ მიუხვდა მომავალ პერსპექტივებს, — შუბლიც არ გაიხსნა და აშურელ ლამაზ კერპივით ცი-ვალ შემომხედა, (წვერიც ისე ჰქონდა დახუჭუჭებული). მე არც კი გამოვებშვიდობე და წავედო.

ამ დღიდან, რომ იტყვიან, მუხლი არ ჩამიკეცნია და ბევრ ჩემს ამხანაგსაც. გონებით ვის შეეძლო კონკრეტულად წარმოედგინა, რა მოხდებოდა, მაგრამ ალლოთი ვგრძნობდით, დიდი ცვლილებები უნდა მოჰყოლოდა საქართველოსთვის, რუსეთის დამარცხებას, რა-შიაც ეჭვი არავის შაგვდიოდა... სურვილისამებრ... და, რითაც შე-გვეძლო, უნდა ხელი შეგვეწყო და ჩვენს წისქვილზე მოგვევდო ყვე-ლა, აქედან გამომდინარე ნაჯადი. ისეც ვიქცეოდით და თითქმის ახ-დილად, ჯერ კიდევ უურნალ „კლდე“-ში, ვერმანიაზედ გვქონდა ალებული გეზი.

* * *

„პატარა“ ამბები პირველსავე ხანიდან კარგიც
დიდების ფარგლებში. და დამაპრკოლებელი ამბე-
ბიც მოგვდიოდა და მოვლენები შეგვხვდა. უენევიდან მოვიდა ხმა,
რომ „მცირე ერთა დიდ კონფერენციაზედ“ — მიხაკო წერეთელმა
წარმოსთქვა სიტყვა პატარა ერთა დასაცავად და სხვებთან ერთად
მოითხოვა საქართველოს დამოუკიდბლობაც. რაღა თქმა უნდა, ეს
იყო ნიშანი, რომ ქართველი ემიგრაცია ჩვენსავითა ფიქრობს, რამაც
უფრო აღვაფრთოვანა, — მაგრამ იქვე გამოსულა „სულით, გონე-

ბით და სახით მახინჯი“ ვიღაც ბიკრორ თევზაია და „რუსეთულის სოციალ - დემოკრატიულ მუშათა პარტიის“ სახელით გამოქვეყნდა ერს არავისთვის დაუვალებია აქ ლაპარაკი მისი სახელით, ჩვენ ვიბრძვით რუსეთის დემოკრატიასთან ერთად “-ამ... და სხვა.

და, საუბედუროდ, ეს მართალიც იყო, რაღან, ქართველი წარმოშობით და რუსები — სულით, მენშევიკების მეთაურები, — საქართველოშიაც ამავე ხაზით იბრძოდნენ, შემდევ რომ პირი იბრუნეს და სხვის იდეებს, სხვის გაკეთებულ საქმეს დაეპატრონნენ, იმავე რუსების საშუალებით, როგორც დავინახავთ.

ფრონტებმა დაგვაშორეს ერთმანეთს ჩვენ და მაშინდელი ემიგრაცია და კანტი-კუნტად თუ მოვდიოდა ამბავი, რომ საზღვარგარედ დაარსდა „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“, რომელიც მჭიდრო კავშირით მუშაობს გერმანია, ავსტრია, ოსმალეთის მთავრობებთან. ჩვენის მხრით, შიგნით საქართველოში, ჩვენ ვაწყობდით ორგანიზაციებს, გაფაციცებით ვაგროვებდით იარაღს და რამდენიმე საწყობი გვქონდა უკვე, როდესაც მოულოდნელად ჩამოვიდა გიორგი მაჩაბელი და ჩამოიტანა ხელშეკრულობანი გერმანიის, ავსტრიის და ოსმალეთის მთავრობებთან, რომისისინი სცნობენ საქართველოს დამოუკიდებლობას და უკელაფრით ხელს შეუწყობენ მას. გიორგი მაჩაბელი, ჩემი უნცროსი ამხანაგი სკოლით, ფარულად იყო ჩამოსული, ჩემთან იმალებოდა და ავიხსნა თავისი მისია: ივი იყო გამოგზავნილი „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტისაგან“, გერმანიის მთავრობის დავალებით, — გასაგებად, თუ როგორ შეხვდებოდა ქართველი ერი და მისი პოლიტიკური პარტიები, ქართველი საზოგადოება საერთოდ. — დამოუკიდებლობის იდეას და თვით დამოუკიდებლობას?

გერმანიასთან და ავსტრიასთან დადებული ხელშეკრულობანი ერთნაირი იყო და უზადო, ოსმალეთისაში კი ჩვენ დიდი ნაკლი აღმოვაჩინეთ, — პირობა შიგნით აჯანყების მოხდენისა, როგორც კი ოსმალეთის ჯარი შემოვა ჩვენს საზღვრებში, — რაც სასტიკად დავიწუნეთ. გიორგიმ ასე იმართლა თავი: ოსმალეთთან ხელშეკრულობის დასადებად, გაგზავნილი იყო ლეო კერესელიძე და ასეთი სისუ-

ლელე ჩაიდინაო. ბევრი ვლანძლეთ, მაგრამ დეზავუაცია უნდა მისამართოს მისულ კაცს — ველარ გაუკეთეთო. (ამ ლეოს „სისულე-ლემ“ შემდეგშიაც კინალამ დიდ ხიფათში ჩაგვაგდო ჩვენცა და იქნება საქართველოსაც რისხვა არ ასცდენოდა რუსისა, როგორც მოუვიდათ სომხებს — ოსმალეთში, — ჩვენ რომ დროზედ საჭირო ზომები არ მიგველო).

* * *

„ქუთაისის გიორგი მაჩაბელს მე შევახვედრე ბევრი კონფერენცია“ . ჩვენი ამხანაგი, და, ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით, — მოვიწვიეთ ქუთაისში, ვასო ფ — შეილის ბინაზედ — „სოციალ-დემოკრატიული“ და „სოციალისტუდერალისტების პარტიის“ წარმომადგენელნი, სათაობიროდ.

შევიქრიბენით, ფარულად, რასაკვირველია:
 ჩვენგან, ე. ი. „ქართული ეროვნული პარტიიდან“ —

შალვა ამირეჯიბი და მე.

„სოც. დემ. პარტიიდან —

ნოე უორდანია (58) და ევგენი გეგეჭკორი,

„სოც. - ფედერალისტებისაგან“:

სამსონ ფირცხელავა და გიგო რცხილაძე.

თავმჯდომარედ თათბირისა ავირჩიეთ ვ. ფ — შეილი, მაშინ უპარტიო, ყველაზედ ახალგაზრდა და — სახლის პატრონი, საცა შევიქრიბენით.

მოხსენება გააკეთა და „ხელშეკრულობანი“ გააცნო სხდომას თეოთონ გიორგი მაჩაბელმა. დაასურათა საერთაშორისო მდგომარეობა, აღნიშნა „საქ. განმ. კომიტეტის“ კავშირები და მდგომარეობა ბერლინსა და სტამბოლში და თავისი ჩამოსვლის მიზეზი და მიზანი.

შენიშვნა (58). ჩამოიყვანეს მალულად. რადგან იმალებოდა. აღბად ა მ შემთხვევაზედა სწერს ბატონი გრიშკა „დროშა“ -ში № 15: მე ჩამოვიყვანეო და ეკამთება მიხაკო წერეთელს, რომელიც ლაპარაკობს თავის შეხელრიზედ ნ. უორდანიასთან — სხვა დროს და სხვა ადგილს — თბილისში.

გამართულ მსჯელობაში, მე და შალვა ამირეჯიბამა მაშინევ განვაცხადეთ, რომ სრული შეგნებით ჩვენი მოვალეობისა, ჩვენი პარტიისა და თანამოწიარე და თანამგრძნობთა სახელით, — ვიზიარებთ „განმათ კომიტეტის“ მოქმედებას, მთლად ვემხრობით და აქ-ამდისაც ვმუშაობდით ამავე მიმართულებით.

გიგო რცხილაძემ რაღაცა ბუნდოვანად ილაპარაკა გრძლად — სოც.-ფედ.-ის სახელით, — ისე, რომ ვერავინ მიხვდა, ემხრობოდა, ეწინააღმდეგებოდა, თუ გაურბის „ჰო“-საცა და „არა“-საც.

სამსონ ფირცხელავასი სულ არ მახსოვეს სთქვა რამე, თუ არც დაუღმუილია. მაგრამ,

ევგენი გეგემქორი, აღელვებით წამოდგა ფეხზე და განაცხადა. „მაშ თუ ეგრეა საქმე, მე გამგზავნეთ ოსმალეთში...“, მაგრამ, არ ვიცი, რითი დაამთავრებდა (შთაბეჭდილება კი ისეთი დამრჩა მა-შინ, რომ მაჩაბლის მოხსენება და ჩვენი განცხადება მოეწონა.) (59), — ნოე უორდანიას არ უერჩერებინა.

უორდანიამ ხელი მკლავზე დააღო და დასვა.

— და... და... იცადე..., მე უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი პარტია მუ... მუ... შაობს, რუსეთის დემოკრატიასთან ერთად, ანტანტის მხა-რეზე. დარწმუნებული ვარ(-თ?), გაიმარჯვებს ინგლისის მეთაურო-ბით და მაშინ აიძულებს თავის მოკავშირე რუსეთს, უფრო დემო-კრატიული რეჟიმი დაამყაროს. ამით ჩვენც გადმოგვივარდება რამე ლუკმა გამარჯვებული სუფრიდანაო...

მაგრამა, — დაუმატა — ..თქვენ იმუშავეთ მაგ გზით, ჩვენ ჩვენი გზით. ჩვენ ხელს არ შეგიშლით, პირ-იქით, იქნება ზოგ რამეში ხელიც შეგიწყოთ “-ო.

უკანასკნელი სიტყვა მე მოვითხოვე აქაც.

— ბატონებო, ომს ვინ მოიგებს და ვინ წააგებს — ღმერთშა იცის. თუ ჩვენმა ფალავანმა (60) მოიგო, ჩვენ დამოუკიდებლობას

შენიშვნა (59). გაშინ უფრო ახალგაზრდა იყო და იქნება უფრო ქირ-თულად უცხოული გული, ვიდრე რუსულად. შემდეგში რომ დასჩემდა.

შენიშვნა (60). ე. ი. გერმანია-აესტრიკია-ოსმალეთის კავშირშია.



მიენდებთ და თქვენც გადაგარჩენთ სამხედრო სასჯელისაფუნქციურებას თქვენმა (61) გაიმარჯვა, — გამოგვაცხადეთ გინდ მოღალატებად, ჩამოგვიდეთ ხეებზე სათითაოდ და საქართველო კი ორივე შე-თხვევაში უნდა გადარჩეს, ვინც უნდა იყოს გამარჯვებული.

ამ შეთანხმებით, ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და და-ვიშალებით... მეგობრულად.

* * *

„ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ ოლ-საზოგადოება..“ დევნა. იმ „ქ. საქ. მ. საზოგადოების“, რომელიც ფაქტიურად იყო ფარული, საკოალიციო მთავრობა საქართველოსი, — რუსეთის დამარცხებასა და რევოლუციამდე, — მთელი ომის განმავლობაში.

მაგრამ, უსწრებდა, თუ მისდევდა ქუთაისის ფარულს, ზემოაღწერილ კრებას, ამ «ქველმოქმედების» პოლიტიკური მოქმედება-სახე სულ სხვანაირი იყო.

თავმჯდომარედ იყო მიხეილ მაჩაბელი, ჩვენი „ქ. ეროვნული პარტიის“ უფროსი წევრი, ჩვენგანვე ვიყავით მე, დავით ვაჩნაძე, ვასილ ყიფიანი და სხვებიც, იყვნენ „ფედერალისტებიც“ და „სოც.-დემოკრატებისაგან“ მახსოვან: ნოე რამიშვილი და პავლე საკვარელიძე („სხიველი“). იყვნენ უპარტიო, კულტურული მოღვაწენიც, ისე რომ პლენუმზე 25 — 30 კაცი ვიკრიბებოდით. — ახლილად ტყვე-ებს, დაჭრილებს და ყოველგვარ გაჭირვებულთ ვებმარებოდით, წეს-დების მიხედვით, და, ფარულად ყველა პოლიტიკური საკითხები სწყდებოდა აქ და უზიარებდით ერთმანეთს ინფორმაციას. ყველანი ვალდებულნი ვიყავით, ერთად მიღებული დადგენილებანი, ჩვენს ორგანიზაციებში გაგვეტარებინა და სზოგადოებაშიაც ასეთი პრო-პაგანდა გავვეწია.

შენიშვნა (61). ...ინგლის-საფრანგეთ-რუსეთისამ.

* * *

„ხაჩაგოგები“. რამდენიმე ილუსტრაციას გავიხსენებ მხოლოდ. სომხურმა გაზეთებმა გამოაცხადეს, რომ „ვილაც ხაჩაგოგები“ (ე. ი. ქრისტეს გამყიდვანი) ქართული ფაფახებით, დააჭირებენ ცხენებს სტამბოლში და მოუწოდებენ ქართველებს აჯანყებისაკენ რუსების წინააღმდეგ“; ასახელებდნენ ლეო კერძესელიძეს და ზოგ სხვა გვარებსაც. ჩეენ ვილიდით ამ დაბეზღების მიზანიც და ნაწილობრივი სიმართლეც... ლეოს პამპულობისა და სრული შევნებით დაპგმო ერთხმად ეს საქციელი „ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ“, — პრესის საშუალებითაც.

[შენიშვნის მაგიერ: სომხები ხომ აშეარად მიუღვნენ „ანტანტას“, გამოაცხადეს თავი რუსების მოკავშირე მეომარ მხარედ, შეჰქმნეს რაზმები — ანდრანიკისა, დროს და კიდევ სხვა „ლენინლების“ მეთაურობით, მიიღეს იარაღი ვორონცოვისაგან და იკლებდნენ ოსმალურ სოფლებს, რითაც გამოიწვიეს საშინელი ულეტა სომხებისა თვით ოსმალეთში. მაგრამ ამ სომხურ „ჭკვიანურ“ პოლიტიკაზედ შემდეგ].

* * *

ავარის საქმე. მეორე შემთხვევა იყო „ავარის ღალატი“: სადღაც შემოჭრილ ოსმალოს ჯარს და შემოყოლილ კერძესელიძის ორიოდე ლეგიონერს, გაებრიყვებინათ რამდენიმე ავარელიც, და, უკან დახვის დროს, ისინიც თან გაეყოლებინათ, ნებსით, თუ უნებლიერ (მოწმად ვერ დაუდგები), მაგრამ რუსეთის სამხედრო უფრო სობამ საშინელი ორ საშუალებას მიმართა: გამოაცხადა მთელი ავარი მოღალატედ, „ომის დროს აჯანყებულად“ და პირებდა განმეორებას ძეველი ხერხისა, — გაეყლიტა და გადაერეკა მაპმაღიანი (62) ქართველები ოსმალეთში და მათ აღგილზე დაესახლებინა ქრისტიანი რუსები და სომხები (როგორც ეს წინა ომებში ხდებოდა).

შენიშვნა (62) მათ მუდავ „თაორებად“ აცხადებდნენ რუსები და ალწერების დროს ათავსებდნენ თაორთა რუბრიკაში მოსახლეობისა.

„საქველმოქმედო საზოგადოებას“ ერთხმავი დადგენილებისთვის მთელმა ქართველმა საზოგადოებამ, პრესამ და ხალხმა უსტყოცებული განვითარები, თუ „როგორ?“ აჭარელები, ქართველი ხალხის ღვიძლურ ქმრის მიერაც ბი, მარტო იმიტომ, რომ მაპმადიანები არიან და მათშიაც ისე, როგორც შეიძლება ქრისტიან ქართველებშიაც, სომხებშიაც და რუსებშიაც აღმოჩნდეს ორიოდე მოლალატეც კი ნამდვილი, — მთელი პროვინცია გამოცხადდეს მოლალატედ? ეს დაუშვებელი ამბავია, და რა პასუხი უნდა გასცეთ იმ ჯარისკაც ქართველებს, რომლებიც ათასობით და ათიათასობით სისხლსა ლვრიან ოსმალეთისა, ავსტრიისა და გერმანიის ფრონტზედ, რომ იმათ ძმებს, მამებს, დედებს, დებს და შვილებს — მოლალატებად აცხადებთ?..“. საერთო ალტყინებამ და პროტესტმა გასჭრა და რუსის მთავრობამ... მხოლოდ ცხრა კაცი მისცა აჭარელთაგან ბათუმის სასამართლოს, მოლალატეობის ბრალდებით.

სასამართლოს წინააღმდეგ პროტესტი, ვიდრე საქმე გაირჩეოდა, უკვე ნამეტანი იქნებოდა და „საქველმოქმედო საზოგადოებაში = ფარულ მთავრობაში“ დავადგინეთ, კიდევ ერთხმად: გაიგზავნოს სამი საუკეთესო ვექილი მათს დასაცავად. დასახელებულ იქმნენ: „შალვა მესხიშვილი, ოსიკო ბარათაშვილი და ივანე კაჩუხაშვილი (დაასახელეს ეს უკანასკნელი მენშევიკებმა და ყველას ძალიან გაგვეხარდა, თუმცა პირველად გვესმოდა ასეთი ვექილის არსებობაც კი). გაგვეხარდა იმიტომ, რომ პირველად, მენშევიკებიც მონაწილეობას იღებდნენ ნამდვილ ერთვნულ საქმეში. მაგრამ სიხარული მოკლევადიანი აღმოჩნდა, რადგან შემდეგ სხდომაზე გამოირკავა, რომ კაჩუხაშვილს წაუგია სამგზავრო ფული ქალალდში და „ველარ მიდის“. მეორედ მივეცათ და ისიც წააგო და „ველარ ჩაუსწრო“ პროცესს. ასე დაიცვა კიდევ ერთმა მენშევიკმა მოძმე ქართველები.

* * *

„მოხალისეთა რაზმი“.

და ვერ გაბედეს მთელი პროვინციის გამოცხადება კანონის გარეშე, აქა-იქ ჩაუყენეს ყაზახობა და ეკზეკუციებით აწამებდნენ. მაგრამ მიმართეს მეორე ხერხსაც. რადგან ოსმალეთის მხრიდან მოქმედებდა



ნენ „ქართველი მოხალისენი“, ე. ი. „განმათავისუფლებელი კომიტეტის“ ლეგიონერები, ლეო და გ. კერძესლიძეს მუკლუკურისტები გადასწყვიტა სამხედრო მეთაურობამ, — ჩევენებინა „ევროპის საზოგადო აზრისათვის“, რომ, გარდა გაწვეული ჯარისკაცებისა, ქართველობამ „მოხალისე რაზმებიც“ გამოიყვანა ოსმალეთის წინააღმდეგ, რუსეთის დასაცავად. ამის მომხრეებიც გამოიჩნდნენ ქართველ თავად-აზნაურობაში. დაგვიბარა მარშალმა კოტე აფხაზმა და ეს საშინელი ამბავი გვამცნო: „უმაღლესი სარდლობა გაძლიერდ წინადაღებას (предлагает) — შეადგინოთ ორი მოხალისეთა „დრუჟინა“, ერთი თბილისის და ერთი — ქუთაისის გუბერნიიდან — ათას ათასი კაცი თითო დრუჟინაში: სულ ორიათასე მოხალისე. იარაღს მიიღებთ ჩვენგან. ამ დრუჟინებმა, ყაზახებთან ერთად, — უნდა აჰყაროთ მთელი აჭარის მოსახლეობა და გადარეკორ ისმალეთში, და, როცა გათავდება ომი, განთავისუფლებული ადგილები მიეკუთვნება (будут предоставлены) იმერეთის მცირე-მიწიან მოსახლეობის დასახახლებლად“. მე, როგორც ღენერალს, არ შემიძლიან არ დავემორჩილო — და ისიც ომის დროს — უმაღლეს სარდლობას... დაიწყო აფხაზმა, მაგრამ ჩვენ არც კი დავაცალეთ მისი საკუთარი შეხედულების გამოთქმა ამ ვერაგულ „წინადაღებაზედ“ და ხუთივე „ახალგაზრდა“ (30 წელზე ნაკლები არავინ ვიყავით) აღშფოთებულნი დავესხით თავსა:

— როგორ თუ ღენერალი?! თქვენა ბრძანდებით საქართველოს მარშალი, მდგომარეობით მინისტრებზედ უფრო ადგილად მიგესვლებათ მეფესთან და როგორ გიბედავთ სარდლობა ასეთი სისაძლიოთ მოგმართოთ?

— ნუთუ არ იცით, რომ „აყრა და გადარეკა“ ხალხისა იმის დროს, ეს — ღენერლების საქმეა, მაგრამ ვინ ჰავთხავს და რა შეუძლიანთ „ჩასახლების საკითხში“, რაც დამოკიდებულია მთავრობაზედ?

— ღენერლების დაპირება — სიცრუეა! და, თუნდაც მართლა შეეძლოთ აჭარელების მაგიერ, იმერლების ჩასახლება, ქართველი ხალხი უნდა ერთმანეთის სისხლში გავხვიოთ? ვინ დასთანხმდება

ასეთ საზიზლრობაზედ? თითონ რაც ვერ გაძედეს, ჩვენ უნდა პრა-
ქტურული შესკორება მოვიწყოთ?

— გუშინ, მთელი ქართველი ერი აჭარლებს ძმებად ასახელებდა
და დღეს ჩვენივე ხელით „გავშინდოთ აჭარა“ და სხვა ქართველები
ჩაიდასახლოთ, რომ საუკუნოდ მტრობა ჩამოვარდეს ჩვენს პროვინ-
ციებს შორის?

— ბატონი კოტე, ეს სამხედრო საკითხი არ არის, ესაა ვე-
რაგული რუსული პოლიტიკური ხრიკი და გულუბრყვილო-
ბის გამოჩენა იქნებოდა...

დაახლოვებით, ამ არგუმენტებით, მაგრამ უფრო მკახე ტონით
და სიტყვებით ვლაპარაკობდით ერთად და ცალცალკე... ვყვირო-
დით, ერთმანეთს არ ვაცლიდით სიტყვას და საწყალ კოტეს ხომ არ
დავაცალეთ და არა, თუ ის თითონ როგორ ფიქრობდა.

და პირველად მოგვიხდა და, შეიძლება აფხაზისათვისაც პირვე-
ლი იყო, რომ ეს დარბაისელი, მუდამ მშვიდი, ზრდილობიანი და
გონიერი ადამიანი, — წამოხტა აღელვებული, არც კი გამოგვემშვი-
დობა, გაიხეთქა კარი და მეორე ოთაში გავიდა.

ეს ამბავი, ასე ესთქვათ, მის სახლში მოხდა, თავად-აზნაურობის
საკრებულოში, ჩვენ მისგან ვიყავით მიწვეულნი და... ასეთი დღე
დავაყენეთ... „ლლაპებმა“, — ჩვენზედ ყველაფრით უფროსს.

კიდევ კარგა ხანს გაისმოდა ჩვენი ლრიანცელი, მაგრამ წამოვე-
დით მტკიცე გადაწყეტილებით, არავითარს შემთხვევაში არ დაგვი-
შვა ასეთი უშსგავსოება და მოელი ქვეყანა შეგვეძრა მის წინააღ-
მდეგ.

ფორმალურად, მართლა არ შეეძლო მარშალ აფხაზს, უარი ეთ-
ქვა „მოხალისეთა“ რაზმის შედგენაზედ „მტერთა“ წინააღმდეგ, მაგ-
რამ არავითარ შემთხვევაში, მას პოლიტიკური ხასიათი აჭარე-
ლების აყრისა არ უნდა მისცემოდა, და ბჭობის შემდეგ, ჩვენი კომი-
ტეტისა, სულ სხვანაირად შევაბრუნეთ ეს საქმე. თავად-აზნაურო-
ბას, რომც სდომებოდა, არ შეეძლო უჩვენოდ, და ნამეტნავად ჩვენი
სურვილის წინააღმდეგ, — არავითარი რაზმის შედგენა, რაღვან ძვე-
სურვილის წინააღმდეგ, — არავითარი რაზმის შედგენა, რაღვან ძვე-



შაშასადამე, — ჩვენ კოშიტეტთან შეთანხმებით, მოგონილი აზნაურობამ დაასახელა მომავალი რაზმების უფროსად, მოგონილი მეგობარი, თავის ქროლი პატრიოტიზმით ცნობილი, მოხუცი ღენერალი ალექსანდრე ვაჩნაძე. ამ პირველ ჩვენს გამარჯვებას, მოჰყევა დანარჩენიც — სრული: თბილისის და ქუთაისის რაზმის ფაქტიურ უშუალო უფროსად, ჩვენივე მეგობარი ვიორგი ჯანდიერი, მის თანაშემწედ — ესტატე მაჩაბელი და „ალიურანტაც“ — დათა ვაჩნაძე. მათგან შერჩეული „კადრები“ — ოფიცრებისა, ზემდეგებისა, ათისთავებისა თუ ექიმებისა — სულ ჩვენგან ნაჩვენები ახალგაზრდები იყვნენ და საერთო შემაღებელობაც ერთად შესწავლილი. თუ როგორ შებრუნდა მათი დანიშნულება, საკმარისია მოვიყვანო ღენ. ალექსანდრე ვაჩნაძეს სიტყვა, რომლითაც მან დალოცა და გაისტუმრა რაზმი, „საპიროთა ბათალიონის“ ეზოდან, როცა ზეიმით ჩაიბარეს ძველი, დაფლეთილი სამხედრო ღროშა, გამოტანილი ანჩისხატიდან:

„ძვირფასო ოფიცრებო, ზემდეგნო და ჯარისკაცნო, თქვენ მიდიხართ საქართველოს ისეთ ნაწილში საბრძოლველად, საცა ჩვენი ძმანი აჭარელნი, ომის გამო განიცდიან დიდს გასაჭირსა და შევიწროებას. თქვენი მოვალეობა ორნაირი იქნება, — დაიცვათ მტრისაგან და ყველაფრით დაეხმაროთ გაჭირვებაში, როგორც თქვენ საკუთარ ძმებსა და დებს. ღმერთმა გზა მშვიდობისა მოგცეთ, რადგან ვიცი, მხნედ და კეთილშობილად შეასრულებთ, როგორც ქართველ მეომრებს სჩევეიათ, — თქვენს მოვალეობას!“ (:მოკლე სიტყვის უფრო მოკლე შინაარსი). ყველას გავვიკვირდა ასეთი გაბედული და ქართული სიტყვა „რუსის“ ღენერალისაგან, და, უნდა გენახათ რა გულის ძერით და ალტაცებით შეხვდა ხალხი, როდესაც მუსიკითა და სიმღერით, ერთი-მეორეზედ ლამაზი ვაჟავაცთა რიგები, ჩოხაში გამოწყობილნი და ნაბდის ქუდებით, მწყობრად გამოდიოდნენ ფართედ გაღმულ კარებში... ერთმა საშინელმა შემთხვევამ, ბრძო რომ ერთი წუთით გააშრო, თითქო უფრო გააძლიერა შემდეგი გრძელი ენტუზიაზმი, სანამ რაზმი თვალთ მოეფარებოდა: როცა მშევნიერი ვაჟავაცი ოფიცერი, ვიორგი ჯანდიერი თავისი ბაჯალლო თქროს ფერი ცხენით, გამოდიოდა კარებში რაზმის მოწინავე მხედრად, კი-



ნალამ ცხენის ფეხქვეშ მოხვდა, მოულოდნელად, ოლტაცებულების საჭიროება
თის რიგებიდან გამოვარდნილი, დათა ვაჩაძეს პატარა გოგო... ჯან-
დიერმა ცხენს ლაგამი მოსწია სწრაფად და ცხენი ანაზღაულად
ყალხზე შესდგა.

— ააა! ამოხდა ათას გულს, თითქო ცხენი მთელი თავისი სი-
შძიმით ბავშვს გასჭყლებავდა... რომ შეშინებულმა დედამ გამოიტა-
ცა შვილი...

რაზმი წავიდა, და თან გაჰყვა ჩვენი გული და თვალიც, რადგან
უველამ ვიცოდით, თუ ვისი იყო ეს რაზმი და რისთვის მიღი-
ოდა უცნაურ ბრძოლის ველზედა.

დიალაც „უცნაური“ იყო ეს „ველი“ მრავალი მხრით, და, რა-
როლი გაითამაშა, ქუთაისში მასთან გაერთიანებულ დასავლეთ სა-
ქართველოს რაზმთან ერთად, — თვით აჭარაში, ბევრნაირად საინ-
ტერესოა.

* * *

„საქართველოს უპირველეს ყოვლისა უნდა
განმათავისუფლებელი გავიხსენოთ, რომ „ქუთაი-
კომიტეტის ფილიალი“ სის თათბირის“ შემდეგ
თბილისში დავაარსეთ, გიორგი მაჩაბლის ინიციატივით, „საქ. განმათ.
კომიტეტის ფილიალური განყოფილება“, რომლის ფარული და ერ-
თად-ერთი წევრნი ვიყავით სამნი: დ. ვაჩაძე, სპირიდონ კედია და მე.
ეს სამეული არასოდეს არ გავიფართოებია, და, როგორც ქვევით
დაენიხავთ, ისიც დიდრიცხვისა აღმოჩნდა მრავალმხრივ. გიორგი
მაჩაბელმა, რაკი მიიღო შთაბეჭდილება, რომ en masse შეიძლება
ითქვას, საქართველოში თითქმის მომწიფებულია დამოუკიდებ-
ლობის აზრი, საჭიროა კიდევ ბევრი მუშაობა გარედან და შიგნითაც.
და რომ სრული კოორდინაცია იყოს შესაძლებელი ამ ორი მხრის
მუშაობისა, უნდა მოეწყოს რეგულიალური ურთიერთო-
ბა ჩვენს შორის, ინფორმაციისა და ერთმანეთის დახმარებისათვის.
„ამიტომ, — გვითხრა მან — ერთად-ერთი საშუალებაა წყალ-
ჭრება ნავებით კავშირის გაბმა. როგორც კი დაებრუნდები გერმა-



ნიაში, გაცნობებთ, რომ ელ დღეს, რომ ელ საა უკუჭურებულება; მელ პუნქტში მოვა პირველი წყალქვეშა ნავი; თქვენ დახვდებით და მიიღებთ; მოვრიგდებით მაშინ, თუ რა ვა-დებში და სად მოხდეს შემდეგი პაემანები“. ამაზე მკაფიოდ, ფარულ საქმეში, გაქანებულ ომის დროს, საქმიანი ლაპარაკი შეუძლებელია. ამაზე მტკიცებ შევთანხმდით და გიორგი წავიდა. და წავიდა უცნაური გზით, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის „კონტრაზედეკას“ უკვე გაეგო, რომ „საშიშო (ოპასნიდ) გერმანული ავენტი, გ. მაჩაბელი შემოსულია რუსეთის საზღვრებში“ და დაგზავნილი იყო დეპეშები და გიორგის სურათები ყველა საზღვარზე და სხვაგან, — მის დაუყოვნებლივ დასაჭერად. ეს უკვე ვიცოდით ჩეენც და გიორგიმაც და მაინც წავიდა „ქართული სამხედრო გზით“ კავკავზე — პეტერბურლში. „მა უნდა ვნახო უსათუოდ“ — ი. და, იქნება, სხვა საქმეცა პქონდა, რომლისა შაშინ არაფერი ვიცოდით და სინამდვილე გვიან გამომჟღავნდა. თუ ამას დაუმატებთ იმ გასაოცარ გაბედულ ქცევას გიორგისას, როცა თბილისში ჩემთან იმალებოდა და „ზღაპარს“ (?), რომელიც გვიამბო შალვა ქართვიძემ, კავკავიდან დაბრუნებისას, სადამდინაც გავაყოლეთ გასაცილებლად. — ნუ გავიკვირდებათ, რომ ეჭვიც კი შეგვივიდა, ეს კაცი ორშაბ როლს ხომ არა თამაშობს, ასეთი დაუჯერებელი სითამამით რომ იქცევა? მაგრამ გიორგი, — გიორგი იყო. თვალთ მიგვეფარა და წავიდა და წავიდა. გადის თვე, ორი. სამი და ჩამი-ჩუმი არ ისმის, არც ამბავი, არც ნავი, არც წყალი.

[შენიშვნის მაგიერ: „კავკავშიო. — გვიამბო შალვამ — შევიდით თუ არა, ჩეებნა ეტლმა ყაზახი გაქცლიტაო. კარგი ნიშანიც იყო და ცუდიცაო. და ლამე სასტუმროში მოგვადგა „პრისტავი“: თქვენი პასპორტიო! მე მაშინვე მივეცი და გიორგიმ: „არა მაქვსო“. — აბა, პოლიციაში უნდა წამობრძანდეთო. გიორგიმ ამოილო 25 მანეთი და გაუწოდა, „მშეიდობიანად გავათავოთ“ და როცა ბოქაულმა იტკიცა, უხხრა: ან 25 მანეთი, ან ეხლევე გაგათავებთო და რევოლვერი დაუშიშნაო.

— Ну зачем же серчать, можно и миром, — сокрёст რუსმა. საჩქაროდ ჯიბეში ჩაიღო ფული და გავიდა. დარჩენა აღარ შეიძლე-



ბოლა, მე აქეთ წამოვედი და გიორგი — სადგურამდე მივაცილე / ტერიტორია ი.

ხშირად უკითხავდით ერთმანეთს მე და დათა, ხომ უკუნიშმისევა ტყუა, ხომ არ ტრაბახობდა? და სხ.

და ერთ მშევნიერ დღეს, გაფაციცებით გართულთან ათას სხვა საქმეში, ლეგალურსა თუ ფარულში, მოდის ჩემთან ვიღაც მოწაფე რედაქციაში (მაშინ უკვე „საქართველო“ გამოდიოდა ყოველდღიური, კვირაული „ქლდეს“ მაგიერ) და მეტბნება: „ვიღაც ყმაწვილი კაცია თქვენს „საექსპედიციო“ ოთახში და თქვენა გკითხულობთ“—ო. რომ შევედი, ვხედავ 10 — 12 ახალგაზრდა შემოჰვევია კედელთან აყუდებულ, სურათივით დახატულ ყმაწვილს, კოხტად გამოწყობილს მხოლოდ ახალუხში (უჩხოდ) და გურულად ყაბალას შემოხვეულს თავზედ. ჯერ ვერ დამინახა და ბაასი გაგრძელდა. რომ იტყვიან „უშრებისა არა მჯეროდა“: უამბობდა, თუ როგორ ჩამოვიდა წყალჭვაშა ნავით, ვინა ნახა გერმანიაში, რა ჩამოიტანა და სხ. ამისთანები.

უცებ მივხვდი, ვინ იყო და იმ საშიშროებას, თუ ასე საჯაროდ ლაპარაკი — ომის დროს — მტრის ბანაკიდან მოსული კაცისა, — რას წარმოადგენდა. მაგრად ჩაებლუჯე ხელი მკლავში და გამოვაცალე ახალგაზრდებს ხელიდან, საშიშო და ასე „საინტერესო“ „ზღაპრები“. [შენიშვნის მაგიერ: ლადოს თითქო მთელი გერმანიის ძლიერება ჰქონდეს გამჯდარი ფანტასტიურ ძარღვებში, სრულიად არა გრძნობდა შიშს რუსეთისას, გონებაში უკვე განადვურებულისა. ეს მისი განცდა, უბრალოდ გრძნობილი, საოცრად გადასდებოდა დანარჩენ ახალგაზრდობას, იქ მყოფს, და, შემდეგ უფრო შორისაც, თითქო ოცნებით უკვე განვივრეტილი ჰქონდათ რუსეთის ნგრევა, დამოუკიდებლობის ჰაერი. მათი ოცნება, გონების შუბრუჭით ნელდებოდა ჩემში, რაკი რუსეთის ძალა დამსხრეული არ იყო და სიფრთხილესაც თავი... სტკიოდა ჯერა]. მაშინვე გადავმალე კაცი და ამით ისე მოვიმდურე ახალგაზრდები, რომ მათი შეთაური, საშა ახმეტელი, ცეცხლითა და მახვილით მემუქრებოდა: „იმ ყმაწვილმა ფული ჩამოიტანა და თქვენ გვიმალავთ“—ო. რასაკეირველია, ლადო მ — შვილს ფული არაფერი ჩამოუტანია, გარდა ცოტა იარაღისა. — მაგრამ მისი ამ ბავი სწორედ ასაწერია. მე გამოვაცხადე იგი

„მკვეთარა გიუად“, ოცნების ოსტატად, მაგრამ ახმეტელშეკმარტველების დიდხანს ვერ დაშოშმინდნენ.

მართლაც, განა სიგიუე არ იყო და ფანტაზიას არა ჰევას?: როცა გიორგი მაჩაბლის წყალქვეშამ „ჩაილულის წყალი დალია“, დათა ვაჩაძემ „სამხედრო ხრის“ მიშმართა: გააზრახა ახალგაზრდა ოფიცერი, ლადო — ჩაერტყილიყო ტყვედ, მოექებნა გერმანიაში გომრგი მაჩაბელი და „გაელანძღვა ჩვენს მაგიერ, მოტყუებისათვის“ და მოეთხოვნა თავის მართლება, ან გამართლება დაპირებულისა. ლადომ ვაკეაცურად შევასრულა დავალება: გერმანიის ფრონტზე წასული, ორი ჯარისკაცით ტყვედ ჩაუვარდა „მტერს“, და, ერთი თვეც არ გასულიყო თბილისიდან რაც წავიდა, — გერმანიის რაღაც პატარა ქალაქიდან (სახელი აღარ მახსოვეს), დათას მოუვიდა „საწყენი“ ამბავი ლია ბარათით: „ტყვედ ჩაგვიგდო მტერმა, მაგრამ, ლეთის მადლით, კარგადა ვართ“-ო.

[შენიშვნის მაგიერ: მაშინ ჯერ კიდევ ისეთი „ბედნიერი“ დრო იყო, რომ ომის დროსაც ტყვებს უფლება ჰქონდათ ნათესავებთან მიწერ-მოწერისა, ისე რომ ფოსტით მოვიკიდა ლადოს წერილი.

რაც შეხება „ჩავარდნას“, ასე ვეიმბო: ჩავედი თუ არა, ჩემი ნაწილი ემზადებოდა იერიშზე გადასასვლელად. გადავწყვიტე, თუ არ მოკლავენ მანამდე, ფარულად თუ ახდილად ჩაუვარდე ტყვედ. დილით შეუტიეთ, მაგრამ ისეთი ცეცხლით დაგვხვდნენ, რომ იქით თუ კილომეტრი გავიარეთ, უკან ათი გვარბენინეს, თითონ იერიშზედ გადმოსულმა გერმანელებმა. ცდა აღარ შეიძლებოდა. განვაზრახე ორი ქართველი ჩემი ჯარისკაციც და სირბილის მაგიერ, ჩავხტით უშმბარის თხრილში. არ გასულიყო ნახევარი საათი, წამოგვადგნენ გერმანელები თავზე. გაუღიმეთ, გავეიღიმეს და უბრძოლველად ჩავბარდით. მაშინვე აუხსენი მიზანი, როგორც დამავალეთ, და, თუმცა ვერაფერი გაიგეს (ან არ დამიჯერესო), გაგვატანეს ზურგში ჯარის კაცი უფროსთან. უფროსმა უფროსს გადაგვცა, კიდევ და კიდევ და, მეოთხე თუ მეხუთე ხარისხისა იყო უკვე, როცა იმ ბარათის გამოგზავნის ნება მომცეს, რომ მოგსვლიათ. ამით გატყობინებდით, რომ „დავალება შევასრულე“. რამდენიმე



დღე არ გასულა, მობრძანდა გიორგიც და წამიყვანა „განმარტებული შეტის შტაბში“. როცა თათბირი შეიქმნა, ვინ გამოეგზავნათ პირველი ნავით, რასაკირველია, მე ვითავე და გეახელით, მაგრამ ძალიან გული დაგვწყდა, რომ არავინ დაგვხვდა და სირცხვილით უკან როგორლა დაგბრუნებულიყავით? ის ლა მოვიგონეთ, გერმანელები მოვატულეთ: „დაგვხვდნენო“, და, სადღაც ალალბედზედ გამოჩენილი სინათლე, დაპირებული „ნიშნის ჩერნებად“ გავასალეთ. არ ვიცი, თუ დავაჯერეთ, მაგრამ რეზინის პაჭია ნავი გაბრუნდა და ბნელაში მოსძებნა წყალქვეშა, ალბად.].

მოუძებნია, რასაკირველია, გიორგი მაჩბელი, ცოტა ხნის ძებნის შემდეგ, დაბარებული გადაუცია და მასაც გამოუგზავნია, — სამი კაცი: ერთი, თვითონ ლადო — ჩვენთან, ერთი სოციალ-დემოკრატი, ვინმე კერძესელიძე და ერთიც მთიელი, ნამდვილი სახელით, თუ ფსევდონიმით, — შამილი. (მე სამივე ახალგაზრდა ეს გმირი ვნახე, ერთი-მეორეზე უკეთესი, რომელთაგან ლადო ყველაზე მშვენიერი და ქველობით სასეს იყო).

— თითონ გიორგიც მალე ჩამოვაო, გვითხრა ლადომ და ვერაფრით ვერ ავიხსნა, თუ რატომ არაფერი ვიცოდით მათი ჩამოსულის ღროისა. გიორგიმ მითხრა: ხალხი დაგხვდებაო და დიდის გასაჭირო ჩამოვედით, რავი არავინ დაგვხვდა: გერმანელები მოვატულეთ, რომ „დაგვხვდნენ“ — რავი სირცხვილსა ვჭამდით ასეთი მოუმზადებლობითაო.

ძლიერ გამოვალწიეთ თავი სამეგრელოს ჭაობებს და, კიდევ კარგი, კეთილი ხალხიც შეგვხვდა, რომ გაცარცვასა, ან გაცემას გადაუწირითო.

ორი კვირა მყავდა დამალული სახლში საწყალი ლადო, ვითომ მაშინვე წასული სხვაგან; სანამ მოუწყობდი საიდუმლოდ გაპარვას სახლში, საითაც წასვლა საშინელი გულის ძეგრით და რაღაცა იქვენეულობით ეჩქარებოდა. (მერე გავიგეთ, ძალიან გვიან, რომ „გული უგრძნობდა“ რაღაც უბედურებას და... ცოლს გაეყარაო).

არ ვიცი სად წავიდა და რა გააკეთა კერძესელიძემ, მაგრამ შამილისაგან კი მალე ამბავი მოგვივიდა, რომ კავკავსა და როსტოვს

შეუა ერთი სამხედრო მატარებელი დაიმსხვრა და მეორეული მინისტრი თივის უზარ-მაზარი საწყობი დაიწვა... „გამოურკვეველ მიზეზის გამო“-ო.

არ გასულიყო ერთი თვეც ლადოს ჩამოსვლიდან, — ისევე მოულოდნელად და იმავე გზით, მესტუმრა თითონ გიორგი მაჩაბელიც. ისიც ორ კვირას იმაღებოდა ჩემთან, მაგრამ ვაი ამ „ორ კვირას“: რამდენადაც ლადო წყნარად იჯდა და ოთახიდან არ გამოდიოდა, იძენად გიორგი მოუსვენარი და გაბედული აღმოჩნდა: ხან სიონში წავიდა სალოცავად, ხან სარაჯიშვილებთან — მაშიცას სანახავად, ხან ჩამოყვანილ ამაშუკელთან, რომელიც სადღაც თბილისის სადგურთან „ნათესავ მზარეულთან“ იმაღებოდა და სხ. და სხ.

ჩუხი ჩოხით გამოწყობილი გიორგი, ისე დაიარებოდა, თითქმ არაფერი ამბავი ყოფილიყოს და როცა ვეუბნებოდი, „კაცო, შენი თავი თუ არ გებრალება, ჩემ ცოლ-შეილს უნდა გაუფრთხილდე-მე-თქი, შენ თუ ჩაგრძი, ჩენც ყველას დაგვახრჩებენ“, — არხეინად მიპასუხებდა: „ნუ გეშინიან, მე სხვანაირი ბედი მაქვს“. მართლაც „სხვანაირი“ ქცევა ჰქონდა, ბედი თუ არა. როცა უსაყვედურეთ: რატომ არ შეგვატყობინე არც ლადოს, არც შენი ჩამოსვლა, — სა-ყვედურითვე გვიპასუხა: — როგორ, საგანგებოდ ამისა-თვის გამოვგზავნე შვეიცარიიდან ჩემი ძმა, რომ ამა და ამ დღეს; ამა და ამ საათს, ამა და ამ ადგილზე მოვა წყალქვეშა და მავან ხალხს ჩამოიყანს და თქვენ არც კი დაგვეხდით, რა ჭირში ჩაგვაგდეთო. სამეგრელოს ჭაობებში კინალამ დავიხრჩე; ვიღაც უცნობის ჭოში შეფარებული, — გამცარცვეს, საათი და ყუმბარები მომპარეს, და, ეს ჭრისტიანი მოხუცი არ ყოფილიყო, იქნება დავებეზებინე ან მოვეკალი კიდეც... ყუმბარების ტრფიალებითაო. ამ მოხუცის (ჩამოიყვანა მოხუცმა, გრძელ-წვერა, ჩოხიანმა კაცმა თეთრი ყაბალხით და დარბაისელი, პატრიოტული ენით მოლაპარაკებ) წყალობით გადავრჩი და არც იატი დამიჯდაო. (63).

შენიშვნა (63). არც ჩენ დაგვიჯდა იატად, მერე, მისი „დისტულის“ თვი-დან მოშორება: გლეხი „გ. დადიანი ვარ, ამის გამო, მოხუცი ბიძია დაპირეს, ღორები წაგვართვეს... ფულსა გვთხოვნო...“ და სხვა და სხვა რალაც შანტაეის-ტური მოთხოვნილებით ჩამოვიდა რამდენჯერმე და ფულით ძლიერ კოკებდით.

— რა ძმა? რის ძმა? ჩვენ არაფერი გაგვიგონია!

მაშინ გიორგიმ დაპერა ფეხი და წავიდა სოფელში, ძმის სანახავად და დასატუქსავად, მაგრამ მესამე დღეს ჩამოვიდა და გვიმბო, რომ მის ძმას ზედმიწევნით შეუსრულებია დავალება: რაკი ვერც მე, ვერც დათა ვერ უნახავს, რედაქციაში შესულა და დაწვრილებით უამბინია წყალქვეშას მოსვლის საქმე — „განმათ კომიტეტის“ მესამე წევრის — ბატონ სპირიდონ კედიასათვის. სპირიდონს ჩვენთვის არაფერი უთქვამს, არ ვიცი, რა მოსაზრებით და არც თითონ მიუღია რამ ზომა წყალქვეშას დასახვედრად. არც ეს ვიცი, რა მოსაზრებით.

მაგრამ, როცა მე და დათამ დავიბარეთ და ვკითხეთ, თუ როგორ მოუვიდა ასეთი მარცხი, დაუჯერებელი რამ გვითხრა:

მართალია, ერთ დღეს რედაქციაში მოვიდა ჩემთან ვილაკ მოჩერებასავით ფერმერთალი ყმაწვილი, მკვდარსა ჰვანდა და მითხრა, რომ ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათზე, ამა და ამ ადგილას მოვაწყალქვეშა ნავი და ჩამოსულებს უნდა დახვდეთო. „მე ზღაპარი მეგონა-ო, — დაუმატა კედიამ, — და უურადლება არ მივაქციო“-ო.

„ზღაპარი“ როგორ უნდა ჰვანებოდა, როცა ამა ზედ მეცა, დათაც და სპირიდონიც შეთანხმებულნი ვიყავით გიორგი მაჩაბელთან, — ერთად. ??!

— შე დალოცვილო, ვსოდათ, „ზღაპარი“ გეგონა, ჩვენ ხომ ერთად გვითხრა ეს საქმე ვიორგიმ, როგორც „განმათავისუფლებელი კომიტეტის“ წევრებს და რატომ ჩვენც არ გვიამბე ეს „ზღაპარი“? თუ დღე გეშინოდა „ზღაპრის“ თქმით „ნიფხავი არ დაგეკარგნა“, ღამე მაინც გვიამბობდი საიდუმლოდ!

მაგრამ ეს საიდუმლოება, ე. ი. მოტივი, თუ რატომ არ გვითხრა, ან რატომ თითონ არ დაახვედრა ვინმე, — სპირიდონმა თან წაილო, რაღვან სირცხვილი ბევრი სხვაც გვაჭამა ამ სათნო, მაგრამ პრაქტიკულ საქმეებში სრულიად უმწეო აღამიანმა.

დღესაც არ ვიცი, ესეთი „იფუ მე“ როგორ მოუვიდა, მაგრამ, როგორც ქვევით დავინახავთ ერთი გარემოებიდან, — როცა წყალქვეშების საქმე და სხვა საშიშო საიდუმლო საქმეების გადაცემა

გვინდოდა „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ კომიტეტისათვის (რომელიც მერე შესდგა 1917 წ.), — თუ როგორ გაასავსავა ხელები და უარი სთქვა თავმჯდომარებმ, — მე ვფიქრობ, საწყალ სპირიდონს შიშით მოუვიდა ეს ცელაფერი.

„შიში... ყოველთვის არ... შეიქმს სიყვარულსა“. და, შეიძლება, ამ შიშის გამო ... დაიგვიანა ჩვენმა დამოუკიდებლობამაც ექვსი თვით, რადგან ველარ მოვასწარით იმდენი იარაღის (რუსული თოვების, ყუმბარების, ტყვიამფრქვეველების) შემოტანა, რაკი რეგულიარობა წყალქვეშათა მოსელისა მერე ველარ ავაწყეთ და მათი მოტანილი იარაღი საქმიან არ აღმოჩნდა დიდი რაზმების შესაიარალებლად. შალვა ქარუმიძე, როგორც (მერე) მიმღები ამ იარაღისა და კოკი დადიანი, როგორც შემნახველი, თუმცა ძალიან მოხერხებულნი. უკვე ლადოსთანა თავგანწირულნი ან გიორგისთანა გაბედულნი არ გამოდგნენ. და იქნება არც მე, რადგან ათას ლეგალურ და არა-ლეგალურ საქმეში გაბმულს, ალარ მეცალა ყველაფერს გავწდომოდი: „ქართლი“, „ქახეთი“, გაზ. „საქართველო“, „წარმო-კავშირი“, იარაღის საწყობი და მათი შოვნა, სტამბის შეძენა და სხ. და სხ. ბერდროს მოითხოვდა და ტყუილად კი არა ვნატრობდი „ნეტა დღე-ლამეში 48 საათი ყოფილიყო, ყველაფერი მომესწრო, რაც გასაკეთებელია“. ისეთი სანეტარო დრო იყო. თანაც და მერე ხომ „საქველმოქმედო საზოგადოება“, „ეროვნული საბჭო“, „პარლამენტის“ დეპუტატობა მოჰყევა და სხ. და მოვლენებმა დაპფარეს... „წვრიმალები“, ხშირად უფრო მნიშვნელოვანნი — მსხვიმალებზედ: ერთ მუჭა ქვიშას, შევძლინ თურმე დიდი მანქანის სკლაც და სამხედრო გემის მოძრაობაც შეაჩეროს... დროებით მაინც. და დრო საათით არ იწოდება მუდამ, არამედ სისხლის მოძრაობით და მოვლენების სიმკვრივით.

გიორგი მაჩაბელმა რომ მოისაქმა ყველაფერი და წყალქვეშების მიმოსვლაზედაც მოვრიგდით, ახლა ბაქოს გზით მოისურვა წასვლა, რაკი კავკავის გზით პირველად კინაღამ მარცხი მოუვიდა. რამდენიმე კაცმა შორი-ახლოდან გავაცილეთ და სანამ მატარებელი არ დაიძრა, გული გულის ალაგას არ ჩაგვდგომია. გაგვიღიმა, ხელი დაგვიქნია და... ამაშუკელი დაგვიტოვა: საცოდავია და უპატრონეთო. მართლა



საპატრიონებელი გაგვიძლა ეს უცნაური ახალგაზრდა ტყველი ქადაგი მამად მასთან ჩამოსული, არაფრის მანქანა და ენა-ტანტულების დასავლა და ვერ გავაგინდნეთ, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს მისთვის და ჩვენთვისაც მისი გამოჩენა თავის სოფელში, საცა ყველა იცნობს და „რითი აუსინის აქ ყოფნას, ტყველ ჩავარდნილი“? კარგა ხანს ჩემს სოფელში კინახავდი, როგორც „მებალეს“, თუმცა არაფერი ესმოდა და ზარვინახავდი. მაგრამ ყველასთან კვეხნა დაიწყო: „წყალქვეშათი ჩამომაციც იყო. მაგრამ ყველასთან კვეხნა დაიწყო: „წყალქვეშათი ჩამომაციც იყო. და საბუთად ყველას აჩვენებდა მაშინ „საოცარს“ საათს, ვედით“—ო. და საბუთად ყველას აჩვენებდა მაშინ „საოცარს“ საათს, ლამეშიც რომ სჩანდა ისრები და ციფირები. ჩემმა სიძე შირსკიმ, რომელიც ნაკლებად სანდო იყო სხვებზედ, როგორც რუსი, რამდენაზერმე გაღმომქრა: ეთი, როგორც არაფერი ესმოდა და ზარვინახავდი ამის გათავებამდეო; და გავაპარეთ.

ო ვ ა ჩ უ ხ თ ვ ი. ხშირად მიფიქრია, რომ „ამბების“ გაღმოცემის დროს ადამიანის პიროვნებანი იკარგებიან მეტალობით და საჭიროა, — საზოგადო, პოლიტიკურ თუ სხვა „მოღვაწეთა“ ბიოგრაფიული სურათის მოცემაც. ასე ვსთქვათ, რომ მყაფიოდ სჩანდეს «დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში», ან უკულმა, «პატარა სახეები დიდ ჩარჩოებში», თუ შესაფერი, — ფერი ფერთან.

ამიტომ, ნათელსაყოფად, თუ რა ხალხი და პიროვნებანი განაგებდნენ დამოუკიდებელ საქაორქველოს, სხვა ზოგიერთ დამახასიათებელ პიროვნებასთან, ყველაზე „საინტერესო“ იქნება სწორედ ბატონი ივანე კაჩუხოვი (კაჩუხაშვილი) იყოს.

მე უკვე მოგახსენეთ, როგორი იყო ჩვენი მისი პირველი გაცნობა „საქველმოქმედო საზოგადოებაში“, — მოღალატურად რომ ფული გაფლანგა ქალალის თამაშში და აჭარელების „გასამართლებას“ ვერ მოუსწრო. ახლა გავყვეთ მის კარიერას.

ის იყო დანიშნული მილიციის პირველ უფროსად, „პოლიცია“ რომ „მილიციით“ შესცვალა „რევოლუციამ“.

ამ უფროსობაში თავი ისახელა ბევრი „საპოლიციო“ გმირობით. დამნაშავეთა მდევნელი, — ყველაზე დიდი დამნაშავე აღმოჩნდა

თითონ: შუა ქალაქში, სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობისაგან
ქართველი ერისათვის გადაცემულ „ნაარწრუნევ“ სახლში მდგრადი იყო
ხსნა ქალალდის სათამაშო სახლი, რესულად „პრიტონ“-ს როშ ეძა-
ხიან, ე. ი. დაბალი ხარისხისა და „ფილიალიც“ დააყოლა უმსგავსესი
— ბიჭების სათუქსუსო. როდესაც ვეღარ დაიმალა და მთელი თბი-
ლისი აღმფოთებით ლაპარაკობდა ასეთ მის უნამუსობასა და ამას-
თან მექტამეობაზედაც. — მთავრობამ და ასაჯა... ქუთაისში
ღენერალ-გუბერნატორად გადაყვანით, ე. ი. თანამდებობაში აღმა-
ტებით. ესეთი ყოფილა „რევოლუციონური მორალი“, რაშიაც წი-
ნადაც ბევრჯელ დავრწმუნდი (1905-დან და შემდეგ) და ამეყარა
გული „რევოლუციონერებზე“. კაჩუხოვა „გაამართლა“, მასაცით
სანდო მთავრობის, „ნდობა“ და ქვეყანამ გაიგო, რომ მან მთელი
სამეცნიელო „კანონ გარეშე“ გამოაცხადა, რადგან ვერ მო-
ერია ერთ მუჭა ყაჩალებს და ბოლშევეკებსათ, როგორც ამბობდნენ.
მთელი პროვინციის კანონ-გარეშე გამოცხადებამ, თავისი აკლების,
ძალადობის, მცარცველი რეკვიზიციების, მკვლელობის და სხ. შე-
დეგებით, — უარესი აღმფოთება გამოიწვია მთელ ქართველ საზო-
გადოებაში და კაჩუხოვი „გადააყენეს“ ჩუმად, გაზეთებში გამო-
ცხადებით, რომ „ამხანაგი ივანე კაჩუხოვი ინი შნე-
ბა მთელი საქართველოს ლენერალ - პროკურო-
რად“. ჩვენ არც წინად ვაფარებდით ხელს კაჩუხოვის ავაზაკობას,
მაგრამ ამ წარმოუდგენელმა უტიფრობამ: — მგლის დანიშვნამ
ბრალმდებელად, — აგვიტო ფიალა მოთმინებისა და გრიგოლ ვი-
შაპელმა (ვეშაპიძე) დაბეჭდა შენიშნვა გაზეთში (თუ არა ვცდები,
მაშინ უკვე გამოდიოდა ჩვენი „სალი კლდე“), რომ შეუძლებელია
პროკურორად დანიშვნა, მექრთამეობით ცნობილ ადამიანისა.

მე არც სხვა „საგმირო საქმეებს“ დაუფარავდი, მაგრამ მაშინ
თბილისში არ ვიყავი და ვეშაპელი, თითონაც რაკი იურისტი იყო,
„მოზომილი და ანგარიშიანი“ დარტყმა იცოდა. ამის შემდეგ, შეუ-
ძლებელი გახდა ყოველი უტიფრობის ზომის გადაცდენა და „მთავ-
რობამ“ არა მარტო შეაჩერა კაჩუხოვის ამაღლება და ამაღლება, რო-
გორც წინად (და ათასი სხვისაც), არამედ „აიძულა“-ო!(?) — ვი-
შაპელი სამართალში მიეცა. კაჩუხოვი იმდენად სულმდაბალი აღ-

მონიდა, რომ ვეშაპელი კი მისცა სამართალში, მაგრამ არა უკუნისა და რაც „რევოლუციონერისათვის“, არამედ — „დიფა მაციისა ფრენისათვის“ სამარცხვინოდ ითვლებოდა

[შენიშვნის მაგივრ: რუსული კანონით (რომელიც მენშევიკებმა საქართველოში უცვლელად დასტოვეს) დიფამაციისათვის სამართალში მიცემული ადამიანი თავს ვერასოდეს ვერ გაიმართლებდა, რადგან ათასი საბუთითაც რომ დაემტკიცებინა წაყენებული ბრალდება (ვსტვათ, ამ შემთხვევაში კაჩუხოვის მექრთამეობა) ან სხვა შემთხვევაში — ქურდისთვის ქურდობა, მკვლელისათვის — მკვლელობაც კი, — სასამართლო მაინც ბრალდებელს ამტკუნებდა, რადგან კერძო პიროვნებას არა ჰქონდა უფლება დაედო ბრალი, ან გამოემულავნებინა ბოროტ-მოქმედება. ეს იყო პრეროგატივა თვით სასამართლოსი].

მაგრამ სად იყო იმ დროს სირცხვილი?

სასამართლო გაიმართა. დიდი დარბაზი, აუარებელი ხალხი, ადვოკატები, ორივე მხრიდან მრავალი მოწმე, «დიდი პროცესი»-ა. როგორც მასსოვს, მოსამართლედ იყო ორჯონიკიძე (ყოფილი სათავად-აზნაურო გიმნაზიის მოწაფე).

მე ვიყავი მოწმედ ვეშაპელისა, სილიბისტრო ჯიბლაძე — კაჩუხოვისა.

ყველა ფორმალობისა და მოწმეთა დაკითხვის შემდეგ, დამიძახეს:

— რა იცით ამ საქმეზედ?

— მე არ მინახავს თითონ აულია თუ არა ქრთამი ბატონ კაჩუხოვს, არც ჩემთვის გამოურთმევია, რადგან არასოდეს მასთან საქმე არა მქონია რა და არც ვიცნობ, მაგრამ ერთი შემიძლიან დავამოწმო: ბაზარში, საცა ჩევნი დიდი სავაჭრო სახლიც გახლავთ („მეხილეთა ამხანაგობა ქართლი“), როდესაც დიდ ანგარიშებს ასწორებენ, ამბობენ: „ამა და ამ საქმეში — ამდენი კაჩუხოვი (64) მივეციო; „მავანმა კაცმა სარიყუფით ათი კაჩუხოვი გამომარ-

შენიშვნა [64]. „კაჩუხოვი“ დაარქევეს, მგონია, 500 მანეთიანს, რომელსაც წინად „კატერინკა“ ერქვა, რადგან იმპერატრიცა ეკატერინეს სახე იყო გამოსახული.

თვა"-ო; ან კიდევ: „იმ უსინიდისომ მარტო დაიაქი, — სამი წელი ჩემი გადასახლდება, ჩემი გადასახლდება, ან მარტო მოსამართლე, თუ...“

მაგრამ, ფრაზა არც კი დამამთავრებინა, საიდანლაც წამოხტა თვითონ კაჩუხოვი და დაიყვირა: „ეს სულ ჭუჩიდან მოტანილი ამბებია!“-ო.

როგორც მახსოვს, მაშინ პირველადა ვნახე კაჩუხოვის უქმური სახე, არ მაგონდება, თუ წინად სადმე მენახოს.

— ღიახ, ბატონო, მე ხომ თითონ მოგახსენეთ, რომ ასეთი ლა-პარაჟი და ანგარიში ბევრჯელ გამიგონია ბაზარში და ქუჩაშიაც.

მაგრამ სილიბისტონ ჯიბლაძემ, მის მა მოწმემ და პარტიულმა ამხანაგმა, ჩემის ფიქრით, გულუპრყვილოდ(?) უარესი მახვილი ჩასცა:

გრძელ, გასამართლებელ სიტყვასა და დასაბუთებაში, რამდენ-ჯერმე გაიმეორა: „მართალია, კაჩუხოვი ფულს ართმევდა (ილებდა, ჰერეფდა) თანამოაზრე ხალხს, ასეთები სომხებიც იყვნენ, მაგრამ თავისთვის კი არა, — პარტიისათვის იღებდა“-ო.

და მოხდა, არა მარტო საქართველოს, რუსეთის მასშტაბითაც არაჩეცულებრივი ამბავი: სასამართლომ, პატარა ხნის თაბირის შემდეგ, გამოაცხადა: „ბატონ ვეშაპელს სრული რწმენა და უფლება ჰქონდა, ეფიქრა ისე, როგორც დასწერა“-ო.

ამის შემდეგ, კაჩუხოვი ქართულ სცენაზე არსად გამოჩენილა, ყ შ., მე არ ვიცი. იქნება, სადმე მიმალულ კანცელარიებში მსახურობდა მრჩეველად ან დირექტორად. ლენერალ-პროკურორობა ველარ მიიღო. მაგრამ, მკითხველი ალბად, ამ დაუჯერებელი ამბების შემდეგ, სულ ვერ დაიჯერებს, უარეს:

უბედურად გათავდა ჩემი სამი წლის დამოუკიდებლობა, — გასაკერველია, ან იმდენ ხანს როგორ გასძლო ასეთი ხალხის ხელში? — საცოდავ „ბეჟენცებადა“ ვართ შეხიზულნი სტამბოლში.

ზედა და მშობლენ: „არც კაჩუხოვი და არც მისი ცოლი, — დიდი რევოლუციონერები — „კატერინკაზე“ ნაკლებს, და, თუ არა ამ „ნიკოლოზის“ ფულს, — არ იღებენ-ო“

ოკუპაცია არის ამერიკელებისა, ინგლისელების, იტალიელების, ფრანგების, გერმანების, იტარებულების, მაგრამ ყველაზედ ნაკლებ, სჩანან ფრანგებიც. და?! ჰქონდეთ მართვა რა სახწაულით, ჩევნც თურმე ვითვლებით „ალლიებად“ (65): საქართველოს კონსულია — სოსო გოგოლაშვილი; ბოსფორში შემავალი, თუ გამომავალი ვერც ერთი გემი ვერ გაიღლის ოკუპანტების კონტროლის გარეშე და მათთან ერთად ყოველ გემზე აღიან მეტი კედია და პლატონ ფასულია, ისეთივე (?) კონტროლისათვის და ჩევნი კონსულის ნებართვაცაა საჭირო, რომ გემმა განაგრძოს თავისი გზა.

შემდეგშიც მომიტდება ალბათ, „სტამბოლის“ ამბებზე თქმა, მაგრამ ესლა ზემოაღწერილი „მდგომარეობის“ გამო მომხდარი „კასუხოვის“ ამოტივტივება უნდა გავიხსენოთ, საბიოგრაფიოდ.

შევდა „ალლიეს“, გარდა სამხედრო-საოკუპაციო ნაწილებისა, ჰყავდა თავისი პოლიცია და „საკონსულო სასამართლო“. ჩევნც შემოვთავაზეს ასეთის დაარსება, რადგან ბევრი „ჩახლაფორთებული“ ქუმყიანი და სადაო საკითხები წამოიჭრა ჩევნს ოფიციალურ (ყოფილ) დაწესებულებათა და კერძო პირებთან ან სხვა დაწესებულებებთან და, ეტყობა, ევროპიელნი ვერ ერკვეოდნენ და თავს ვერ ართმევდნენ აზიელების... „როულ ფსიქოლოგიას“.

შეიკრიბა ქართული სინკლიტი და გაიმართა მსჯელობა. „საკონსულო სასამართლოს“ დაარსება ცნობილი იქმნა აუცილებელ, საჩქარო, მიზანშეწონილ და სასარგებლო საქმედ. ჯერი მიღვა იმაზე, თუ როგორ მოეწყოს და ვინ დაინიშნოს თავმჯდომარედ სასამართლოსი. სოციალ-დემოკრატებმა (უმრავლესობამ) წამოაყენეს... ივანე კახუხოვი... ალბათ, როგორც ჩეპარაცია ღენერალ-პროკურორობის ჩაშლის შემდეგ ჩევნგან. ალბათ, გაიყვანდნენ კიდევ უმრავლესობით, მე რომ არ ჩავრეულიყავი:

შენიშვნა (65) · თუმცა ბ-ნი ვლადიმირ ვოიტინსკი (რუსის ებრაელი, ქართული „ს. დ. პარტიის“ წევრი და საქართველოს წარმომადგენელი იტალიაში დამოუკიდებლობის დროს; როგორც აიოლო—ჩეკო-სლოვაკიაში და დღესც გოლდმანი—ამერიკაში) სწერს თავის „ლა დემოკრატი უორრეინ“-ში, რომ „არასიდეს ნეიტრალობა არ დაურღვევია ქართველ დემოკრატის და არც „ალიგბს“— მიმხრობია“—ო.



— როგორ, ბატონები, კაჩუხოვი, ეს ავაზაკი, რომელიც ცალკეულად ფლანგა ფული, აქარელების დასაცავად მიღებული; გვერდი კამათების „ტონი“ თბილისში, მილიციის უფროსობის დროს; რომელმაც სამე-გრელო კანონ-გარეშე გამოაცხადა და აიკლო; რომელიც მექრთა-მეობაში გაამტყუნა სასამართლომ, — თქვენ გინდათ სასამართლოს თავმჯდომარედ დასვათ სტამბოლში, საცა მთელი ევროპის ხალხი გვიყურებს? თქვენ ხომ არა გვინიათ, ისევ საქართველოში ვართ, სა-ცა თქვენი ყიჩალური ქსევა დაუსჯელი რჩებოდა უპატრონობის გა-მო? აქ თავისუფალი ქვეყნის წინაშე ვდგვერთ და თავი მოგვეჭრე-ბა, რადგან ამათ თქვენზე კარგად ეცოდინებათ თუ ვინა ბრძანდება კაჩუხოვი და რა წარმოდგენა უნდა იქონიონ ჩვენზე? ყოველ შე-მთხვევაში, იცოდეთ, ჩვენ(?) ამას არ დაუშვებთ და მთელ ქვეყანას შევატყობინებთ პრესით, თუ ვინა ბრძანდება კაჩუხოვი!

არ ვიცი, ამ მუქარამ გასჭრა, ისვინიდისეს თუ რა, ... კრებაშ ერთხმად აირჩია თავმჯდომარედ „საკონსულო სასამართლოს“ — ყველასაგან პატიცემული ბატონი სვიმონ კვიტა შვილი. მდივ-ნად მოიწვიეს პავლე მოსული შვილი.

კაჩუხოვი თითონ იყო კრებაზე თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ალ-ბად უარესებსაც მოვაგონებდი. აქ მხოლოდ იმით შემიძლიან გავა-თავო... კაჩუხოვი, თუ მისი კარიერა, რომ შემდეგში დაბრუნდა სა-ქართველოში და ასეთი შენშევიკი, მიემატა ისეთივე ბოლშევიკებს. ფერი ფერსაო, მადლი — ღმერთსაო, ამბობს ქართული ანდაზა, მაგ-რამ იმას კი აღარ ამბობს, კაჩუხოვისთანა მორჩელი მატლი, სხვაც დარჩა საქართველოში და აქაც, საზღვარ-გარედ გამოვიდა თუ არა? მათი სიის შესადგენად, ჩემს გარდა, ბევრს ექნება ბევრი მასალა.

* * *

„პორტუგალია“. ომი გრძელდებოდა (1914 — 1918 წლისა), წყალქვეშები თითქმის რეგულიარულად მიღი-მოდიოდა, მაგრამ ყოველთვის ერთნაირი შანსით არა. ერთმა მათგანმა, რო-მელსაც არავინ დახვდა და იძულებული იყო გაბრუნებულიყო, თვა-



ლი მოჰკრა გემ „პორტუგალიას“: — ეს იყო „გემი- პოსტი ტალი“, — რომელიც მოდიოდა ბათუმისაკენ და „ტროსით“ (მეზრული გენერალური დევიზი) გამობმული დიდი ნავი მოსდევდა, იარაღით დატვირთული.

წყალქვეშამ ლამით ჩასძირა ორივენი; და, შეიძლება არც ღია ბულიკურ „მსოფლიო“ ომის ასეთ მცირე მოვლენაზე ლაპარაკი, რომ ამ გემ-პოსტიტალზედაც და ამ წყალქვეშაშიაც ქართველები ახა ყოფილიყვნენ. გემთან ერთად დაიღუპა ქართველი მოწყალების და ანეტა ანდრონიკაშვილი და წყალქვეშაში, გერმანელებთან ისხ-ლნენ შალვა ვ — ძე და სხვა ქართველებიც. გულ-დაკოდილნი, რომ ძლიერ ერისათ სამშობლოს ნაპირებთან მისვლა და უკან მოუხდათ დაბრუნება, პირში ჩალა გამოვლებულთ. ამ შემთხვევამ იმსხვერ-პლა „პორტუგალია“ და სათნოების და ა. ანდრონიკაშვილის ასული.

„რუსეთის წინააღმდეგ ჩამოტანილი იარაღი, იძულებულნი ვი-ყვით, წყალში ჩაგვეყარა, ტვირთი უკან რომ არ გვეზიდა და მთე-ლი ჩვენი თავერაცა უქმი გამოდგებოლა, ბედს „პორტუგალია“ არ გამოეგზავნა ჩვენთვის. მარცხის ჯავრი მაზედ ამოვიყარეთ და ჩვენს წინააღმდეგ გამზადებული იარაღი ჩავძირეთ“—ო. ასე უთქვამთ გერმანელების. ჩვენ დაგვაკლდა 500 თოფი, ჩვენს მოწინააღმდეგებს, ამბობდნენ, მოჰკონდა 10—12.000-ო. შემთხვევამ ბედის როლი ითა-მაშა.

* * *

„15.000.000“. იქნება აქ ყველაზედ მოხდენილი იყოს მოვ-ნება გიორგი მაჩაბლის მეორე „საქმისაც“.

ცნობილია, ორი გარემოება უწყობდა ხელს, პირველ მსოფლიო ომში, როგორც რუსეთ- იაპონიის ომში, რუსეთის დამარტებას: სრული მოუმზადებლობა და იარაღის ნაკლებობა. ცნობილია ისიც, რომ მიუხედავად 18.000.000-ნის მობილიზაციისა, რუსეთს არა-ოდეს არა ჰყოლია ფრონტზე 3.000.000-ც არადგან აკლდა იარაღი და ხშირად არა მარტო სწავლობდნენ ჯარისკაცი თოფის ხმარე-ბას — ჯოხებზედ, არამედ უიარაღონი მისდევდნენ პირველ რიგებში მებრძოლთ, რომ დახოცილთა და დაჭრილთა იარაღი აეკრიფათ და



განეგრძოთ ბძოლა. გერმანელებისაგან არა-ჩვეულებრიც ჭრილი და განადგურებულ არტილერიას ხომ, რუსეთში კი არა, ევროპის ლებაც ვერა-ფერი დაუპიდაპირეს პირველ ხანებში. რუსეთში აკეთებდნენ იარაღს, მაგრამ მაინც ბევრის შემოტანა სჭირდებოდა საზღვარ-გარეთიდან. მარტო 1913-სა თუ 1914 წ. საფრანგეთიდან მიიღო 250.000 ხრახნილიანი თოფი — „ვინტოვკა — ტრიოხლინერკა“. კრეზმ და შენიდერი უშზადებდნენ ზარბაზნებსა და ყუმბარებს, მაგრამ მსოფლიო ომის დროს, თავიანთვისაც ვეღარ ასწრობდნენ საქმაოს. ამან გამოიწვია გადაწყვეტილება რუსეთის სამხედრო უწყებისა, — ყუმბარების დიდი დაკვეთა მიეცათ ამერიკისათვის. გადადებული იყო 15.000,000 ოქროს მანეთი და... აქ იწყება უცნაური ისტორია, რომლის სამ მთავარ მონაწილეს როლი (ან იქნება ოთხისაც) დღემდე მყაფიოდ გამორკვეული არ არის. ეს სამი (ან ოთხი) მსახიობი ამ გრანდიოზული აქტისა პირველ მსოფლიო ომში, იყვნენ: ვიორგი მაჩაბელი, ვასო ლუმბაძე, რუსეთის სამხედრო მინისტრი სუხომლინოვი და... მეოთხე, აქტიური მონაწილე, თუ პასიურად მხოლოდ მცოდნე ან სრულიადაც უდანაშაულო, — სუხომლინოვის ლამაზი ცოლი, წარმოშობით ებრაელი. ვის რა წილი ედო „მოქმედებაში“, ომის დასრულების წინ გამართულ „სამხედრო სასამართლომაც“ ვერ გამოარკვია და მე კი ვიცი (ე. ი. ომის დასრულების უასლოეს დროიდან) შემდეგი:

[შენიშვნის მაგიერი:

22. 4. 1954 წელს, როცა უამბე ეს „ამბავი“,

(რომელიც ომის დროს მსახურობდა პეტერბურლის ცენზურაში და დაკავშირებული იყო „უმაღლეს“ წრეებთანაც და ქართველ „რევოლუციონერებთანაც“, ე. ი. აკაკი ჩხერიმელთან, კ. ჩხეიძესთან და სხ.), დანამდვილებით გადმომცა, რომ სუხომლინოვი არასოდეს „პარაუენეცი“ არა ყოფილა: რომ ვასო ლუმბაძე დაუმეგობრდა სუხომლინოვს ივანე ნაკაშიძეს შემწეობით (რომელიც აგრედვე არასოდეს „პარაუენეცი“ არ ყოფილა).

სამაგიეროდ, დიდი მომხრე გერმანელებისა იყო კირილ ეიოსე ლიანი და რაც დავალებული ჰქონდა ვასო ლუმბაძეს, თით-



ქმის იგივე კაუ ხჩი შვილსაცაო. (საოჯახო, სანაცისამი დროული ნათესაური ურთიერთობის დეტალებითაც) ჩემთვის გამოიჩინა „ყუმბარების აქციის“ მონაწილენი — დუმბაძესა და მაჩაბელთან, — შესაძლებელია, ყოფილიყვნენ იმსელიანი და კაუხჩიშვილიც და არავითარ შემთხვევაში სუხომლინოვი და ნაკაშიძე, მოტყუებულნი.

მანე მიამბო საინტერესო, „შემთხვევით“ აღმოჩენილი ლალატიც მიასოედოვისა, — ქ. მარიამის ქმრისაგან გაფრთხილებით, — ვინმე კულიკოვსკიზე დ].

ვასო დუმბაძე, „პეტრე-პავლეს ციხიდან“ უკვე „რევოლუციის“ დროს გაანთავისუფლეს ქართველებმა, თორემ ჩამოახრჩობდნენო].

მოხუცი სუხომლინოვის ახალგაზრდა, ლამაზი ცოლის თაყვანის-მცემელთა შორის ითვლებოდა ვასო დუმბაძეც და ისეთი სიმბატიითა (და ნდობითაც, ერყობა) სარგებლობდა სუხომლინოვისაგან, რომ თხუთმეტი მილიონი ოქრო, სხვადასხვა ყალიბის ყუმბარის გეგმები და ამერიკაში მათი შეკვეთის ოფიციალური რწმუნებულობა, — ჩაპბარდა ვასო დუმბაძეს. სტკამლით მიმავალ დუმბაძეს, ამ ქალაქში დახვდა მეორე ქართველი, — გორგი მაჩაბელი. მათი პაემანი (თუ შემთხვევა?) გაგრძელდა 24 საათი.

სად გაატარეს მათ შემდეგი ერთი თვე, — ამერიკაში ერთად თუ ცალ-ცალკე, გერმანიაში ერთად თუ ცალ-ცალკე, ან გერმანიასა და ამერიკაში ცალ-ცალკე. — ამაზედ „ისტორია სდეუმს“, როგორც ამბობენ ხოლმე.

ფაქტი ერთია, რომ დაბრუნდა დუმბაძე პეტროგრადში, ჩაიტანა ნამდვილი „ამერიკული ფირმების“ მიღებული დაკვეთა, 15 მილიონის ქვითარები, სათანადო კანონიერად შემოწმებული და სამი თვის ვადა, რომელშიც ამერიკას უნდა ჩაებარებინა დამზადებული ყუმბარები.

ვასალუარი სისწრაფით, გერმანული „სიზუსტით“, დანიშნულ ვადაზედ, „ამერიკულმა ფირმებმა“ ჩააბარეს რუსეთის სამხედრო უწყებას 15.000.000-ს შეკვეთილი მასალა. ყუმბარებზე დამშეულ მოწინავე ჯარებს ყველგან დაეგზავნა საჩქაროდ, რომ წინანდელი ნაკლი, — ერთ ზარბაზანზე ერთი ყუმბარა, ერთ საათში (დაახლოვე-



ბით), — გაეათ-და-გაეოცეცებინათ. აქამდის, ყველაფერზე წერტილი და მიღიოდა. მაგრამ პეტროგრადში სეტყვასავით წამოვიდა უკველ მხრიდან დეპეშები, შიკრიკები, წერილები („დონესენიე“):

— „არც ერთი ყუმბარა, არც ერთ ზარბაზანს არ ადგება... ყველა ერთი მილიმეტრით უფრო მსხვილია ლულებზედ...“ -ო. (66)

პეტროგრადში ალიაქთი ასტყდა. შეხლა-შემოხლა, გამოძიება, კომისიები, კონტროლი, მიწერ-მოწერა ამერიკის მთავრობასა და „ფირმებთან“ და სხ. და სხ. სანამ გამოარკვევდნენ, რომ „ამერიკელ ფირმებს“ არც კი გაუგიათ, სიზმარშიაც არ უნახავთ არც ფული და არც შეკვეთა, არც დუმბაძე, არც სხვა ვინმე „რწმუნებული“...

გიორგი მაჩაბელი სიცილით მეუბნებოდა: „15.000,000 რუსული ოქროთი, გერმანელებმა პოლონეთის 15 გუბერნია დაიკირეს“ -ო, რადგან ოქროებიც გერმანელებმა ჩაიბარეს და შეკვეთილი ყუმბარებიც გერმანელებმა ჩაიბარეს“ -ო.

რომელ თავში დაიბადა ეს „ერთი მილიმეტრი“ ან მთელი ეს გასაოცარი მაქინაცია, არ ვიცი, მაგრამ — სუხომლინოვი და ვასო დუმბაძე სასამართლოში იყვნენ მიცემულნი „ლალატისათვის ომის დროს“; და რუსეთში გამეფებულ „დეფერიზმით“ თუ აიხსნება, რომ სასამართლომ „შეგნებული მოლალატეობა“ ვერ დამტკიცა(?) და სუხომლინოვი მხოლოდ გადააყენეს და ვასო დუმბაძე — „ციმბირში“ გაგზავნეს. რა როლი ითამაშა ამ პოლუცესშიაც სუხომლინოვის ლამაზმა ცოლმა და რა ჰქონდა „მისჯილი“, ამაზედაცა „სდუმს ისტორია“.

ჩვენი ემიგრანტობის დროს, გიორგი მაჩაბელი „ჩამოშორდა პოლიტიკას“, რადგან „პოლიტიკის წარმოება უფლოდ შეუძლებელია,

შენიშვნა (66). ეს ნამდვილი ამბავი. ცოტა გადასხვაფერბული და, როგორც თითონ უყვარს გამოთქმა: „ვაიმასქნილი“, მიხელ ჯავახიშვილს აქვს მოხსენებული და ისიც მიწერილი კვაპი კვაპინტირაძეზედ, როგორც ბევრი სხვაგან და სხვისაგან მოხდენილი ამბებისა და გამასხარავებული... ლვარძლიანი პესიმიზმით საერთოდ ადამიანისა და ნამეტნავად ქალის ბუნებაზედ. ერთი უდიდესი ქართული პატრიოტული საქმე, გადაქცეული საგენტო ფულისათვის. მოლალატეობად თითქო. ის. მისი „კვაპი კვაპინტირაძე“ 1937 წ..გვ. 180 კარი მეტოც: „აქა ამბავი უდიდეს საშეღრო საქმის „ვაიმასქნებისა“.



— მწერდა ამერიკიდან, — უნდა მილიონები შევიძინო და მექანიზმები ნახავ, ჩემო რეზო, თუ რას გავაკეთებ” — მ. საწყალს აღარ დატულდა, მილიონების გზაზედ შემდგარს, მიზნის მიღწევა მეორედ, და, ამერიკაში გარდაიცვალა. მისმა ულირსმა მემკვიდრეებმა, გაანიავეს ისიც, რაც დარჩა, — ფულიც და მისი ძეირფასი სურნელებანიც: „Prince Matchabéli“, ქართული ჯვრითა და გვირგვინით.

ვასო დუმბაძემ, რევოლუციით განთავისუფლებულმა, კიდევ გაუწია სამსახური საქართველოს, ამერიკული სენატის მიერ გამოცემული წიგნის დაბეჭდვით და ისიც უდროოდ გარდაიცვალა ამერიკაშივე.

გიორგი მაჩაბელი, ვასო დუმბაძე, ლადო მძ — შვილი, (რომლის თავგადასავალი ისე ჰერცოგინიას ირლანდიის გმირ კეზმენტის თავგადასავალს) და სხეანი მრავალნი, — განა მაჩენებელნი არ არიან საქართველოს ცხოველმყოფელობისა? და სტუუის ის, ვინც ამბობს, ან ფიქრობს უნიათოოდ: „რა შეგვიძლიან? არაფერს წარმოვადგენთ... ბუმბერაზების ჭიდილში, ბუმბერაზ მოვლენებში არარანი ვართ“ — აბა იფიქროს ყოველმა ქართველმა და იმოქმედოს, მიპაბოს ახეს გმირებს, თუ საქართველო კვლავ აღარ აღსდგეს ბრწყინვალედ.

რასაკვირველია, თავიანთ უნიათობის გასამართლებელ სკეპტიკიზმით შეპყრობილნი, იტყვიან. — ეს სულ ზლაპრებია, ფანტაზიებიო, მაგრამ საბედნიეროდ, ივანე კაჩუხოვებთან ერთად და სხვა „უჭირებთან“, — საქართველოს ძეველი, უძველესი, ახალი და უახლესი ისტორია იცნობს ისეთ „მეოცნებეთაც“ — ისტორიის გმირების, თავგანწირულ მარტვილთა და რაინდობის გვირგვინს რომ წარმოადგენს:

განა კოტე აფხაზი და მასთან დახოცილი 15 ბრწინვალე მხედარი, ვარდენ წულუკიძე, ჩრდილელი და სხვანი; ქაჭულა ჩოლაყაშვილი და მისი შეფიცულნი; 1921, 1922, 1924 წლის აჯანყების სახელოვანი თუ უსახელო მეთაურნი და ჯარისკაცი გარდაფხაძე, შალვა ამირეჯიბი, იასონ ჯავახიშვილი და სხვა განწირულნი თუ ჯოჯოხეთს გადატენილნი; ჩვენი „იუნკრები“; და, თუ გინდ ცუდად გაებულ სამშობლოს იდეისათვის თავგანწირულნი: მაისურაძე, ან-



დრონიკაშვილი, ნოე ხომერიკი და ბენია ჩხიკვიშვილის ქულათჭელება
გოგვაძე და ათასი სხვაც, — ამასვე არ ამტკიცებენ?

გმირობაშიაც არის ხარისხები — ერთდროული თუ ხანგრძელო-
ბისა, — მაგრამ თავგანწირვა და თავდადება, მაჩვენებელია არა მა-
რტო ქრისტეს სიტყვების სიმართლისა, რომ „იმაზედ დიდი სიყვა-
რული არა არს, ვინც თავსა თვისსა დასდებს მოყვასთათვის“, არა-
მედ იმისაც, რომ ადამიანს, რომელსაც სიკვდილისა არ ეშინიან
რწმენისათვის, — უდიდესის მიღწევა შეუძლიან სამშობლოსათვის.
ამაში მე დავრწმუნდი ხანგრძლივი დაკვირვებით და გამოცდილე-
ბით.

არა ნაკლები გმირობა და რაინდობა გამოიჩინეს იმათაც, ვინც
უკანასკნელ მსოფლიო ომში თავი შესწირა, ან შემთხვევით... შე-
წირვას გადურჩა. „ბერგმანები“, მაგალითად, გმირებად შევლენ ის-
ტორიაში და მაღალი „მთისკაცებად“ ითარგმნებიან, არაჩვეულებრი-
ვად.

VII

ა ხ ლ ო ვ დ ე ბ ო დ ა
ო მ ი ს ბ ო ლ ო ე ბ ი
დ ა
„რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს “
ს ა წ ყ ი ს ე ბ ი .

ტრიალებდა. მეფე გადადგა, მექვიდრე ვერ აღმოჩნდა და უხერხემ-
ლო რუსულმა „დუმამ“, უნიათო „დროებითი მთავრობა“ წარმოშვა
ენატანტალა კერძნების მეთაურობით. რღვევა გალრმავდა. ერთად-
ერთ „რეალურ ძალას“ თითქო „მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა“
საბჭო წარმოადგენდა (და ისიც ქართველი კ. ჩხეიძეს მეთაურობით),
რომელსაც, კაცმა არ იცოდა (და არც იცის), — რა უნდოდა, გარდა
ნერებისა. და გერმანული მუშტით დამსხვრეული რუსეთი, კაკალი-
ვით ნაჟუჭებად იმსხვრეოდა უპატრონობით. აი ამას დაერქვა „вели-
кая, безкровная революция“, საცა ძალლი პატრონს ვერა
სცნობდა. კინომატოგრაფიული სისწრაფით მოჰყვნენ ერთმანეთს...
კერძნების „შეტევა“ და „ჯარის რღვევა“, „დამფუძნებელი კრების“



ლოზუნგებით მოწვეული „предпарламент“-ი, „დემოკრატიულთუ“-ი ყრილობა“ და სხვა რაღაც ორგანიზაციის მინავარი ცდები, მჯერის ამაღლება: რუსეთის მმორგავმა სულმა ხეირიანი ვერა გამონახა რა და სწრაფად ირლვეოდა (სანამ ნამდვილი რუსული ლოზუნგები არ შეიქმნა დუღაბად მისად: „долой войну“; „грабь награбленное“; „кухарка может управлять государством“! და სხ. და სხ.)

რუსეთში შემავალმა და ეროვნულად რუსებზედ შეგნებულმა ერებმა, თანდათან... ავტონომია... ფედერაცია... დამოუკიდებლობაზე დაიწყეს ფიქრი, ჩასახვა, რეალიზაცია: და (როდესაც ერთმა მუჭა ბოლშევიკებმა ხეირიანი მუშტი დასცხეს უხეირო „დამფუძნებელ კრებას“), — მათი კრისტალიზაციაც. ფინლანდია, ბალტიის ქვეყნები, პოლონეთი, უკრაინა, კავკასია, თურქეთიანი და სხვა, — მთელი დაბყრობილი რეალი (იხ. რუკა!), ჯავშანივით შემორტყმული შიდა-რუსეთს 500 წლის განმავლობაში, — ეცლებოდა რუსეთს, როგორც ქერქი ხის ძროსა.

მაგრამ სხვას... ჯანიც გავარდნოდა, — რა ხდებოდა კავკასია-სა და განსაკუთრებით საქართველოში? ბევრიცა და არაფერიც. ჯერ ერთი უნდა ითქვას კატეგორიულად, არავითარი „რევოლუცია“ არც საქართველოში, არც კავკასიაში არ მომხდარა და არც არავითარი აღრევა და აფორიაქება. მთერობის ცვლამ საღლაც შორს მხოლოდ გაიჩუჩუნა თითქმ სხვა და სხვა აღამიანთა ჯგუფებში — სხვა და სხვანაირად. ჩვენ გაგვეხარდა, როცა გავარდა ხმა: „მთავრობაძე სკანქალსია ვპეტროვრადე“-ო — ამბობდნენ: კ. ჩეხოვებ ასეთი დეპეშა გამოუგზავნა თავისიანებსი. ზოგს ეწყინა კიდეც ასეთი მოულოდნელობა და უმრავლესობა სრულ დაბნეულობასა ჰერმონბდა. თუ რამდენად მაშინ აც ჩენ აც ჩვენს სოციალ-დემოკრატებს (ე. ი. „რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის“ წევრებს) არავითარი აზრიც არ მოსდიოდა ათ საქართველოს დამოუკიდებლობაზედ, არამედ მტრულად და იყენენ განწყობილნი, ამის ათასი მაგალითი დიდი, მსხვილი და ათიათასობით წვრილის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ რამდენიმე დამახასიათებელის მოყვანაც საკმარისია ქვევით.

1. ჯერ, დროებითი მთავრობის წევრმა ირაკლი წერე-



თელმა მქუხარე სიტყვა წარმოსთქვა „საქართველოს რეაციონ-ნერების(?) წინააღმდეგ, რომელიც ბატონყმობისა და მეფობის აღდგენაზე ოცნებობენ (?)... და უკრაინელებს ხომ, კერძნებისთან ერთად, ზარბაზნებით ემუქრებოდა... ავტონომიის მოთხოვნისათვის.

2. უფრო ადრე, როცა ჩვენმა შეგროვილმა და გერმანულ წყალქვეშათაგანაც ჩამოტანილმა იარაღმა დაიწყო დენა ხალხში და აქა-იქ რაზმები სდგებოდა მომავალ საქართველოს დასაცავად, ასეთ ამბავს შევესწარი: გოლოვინის პროსპექტზედ, რუსის „სობოროს“ წინ, გამწერივებული იყო რუსის ჯარის „ოპოლჩენცების“ რაზმები („ჯვაროსნებს“ ეძახდნენ ამ, უკვე ხანში შესულ ჯარისკაცთ, რაკი ქუდზე „კოკარდის“ აღგილას ჯვრები ჰქონდათ; და უკანასკნელი გამოგზავნილნი იყვნენ კავკასიის ფრონტზედ). რაღაცა ჩიჩქოლი იყო: ფედერალისტებს ხალხში და ჯარშიაც დაერიგებინათ, ზოგი გადაეყარათ — პროკლამაციები, საცა „საქართველოს აეტონომიას“ მოთხოვდნენო (გამბობ: — „ო“, რადგან არ წამიკითხავს) და სოციალ-დემოკრატიის აგიტატორები დარბოლენენ ხალხში და ჯარისკაცებსაც, — რომელიც უგულოდ და გახევებული იდგნენ, თავიანთ ფიქრებში წასული — პროვოკატორულად ეუბნებოდნენ: „... они опять царя хотят, автономию требуют...“; ხელიდანცა პგლეჯდნენ ყველას პროკლამაციებს და ხევდნენ..., ამ დროს ერთი მხრიდან გამოჩნდა ნოე რამიშვილი და მეორე მხრიდან შალვა ქარუმიძე.

— ბატონო ნოე, — შევესწარი ამ დიალოგს, — რასა ჰგავს ესა, თქვენი პროპაგანდისტები პროვინციებშიაც დადიან და ხალხს მოუწოდებენ ომის გასაგრძელებლად, ქადაგებენ ავტონომიის წინააღმდეგ... ხომ ხედავთ, დროუბა იცვლება და... იცოდეთ, დუშეთის მაზრაში 600 შეიარაღებული რაზმელი გვყავს (67), თქვენს პროპაგანდისტებს დავაჭრონებ... არავის შეუშვებო.

შენიშვნა: (67). შ. ქარუმიძე, როგორც ყოველთვის, რასკვირველია, აზვიადებდა რიცხვს.

ნოე რამიშვილმა, ჩვეულებრივი რიხით და თითის ქვეყნის უფლებების სუხა „ჯვაროსნებზე“ მითითებით:

— ხომ ხედავთ ამათ, 6.000 (68) რუსის ჯარს წამოვიყვან და მთელ დუშეთის მაზრას ნაცარ-ტურას ავადენო...

რითი გათავდებოდა ეს გამწვავებული კამათი ორი ალელვებული ადამიანისა, რომლის წინ აფორიაქებული ბრძო იყო შუა ქუჩაში და უკან, ათ ნაბიჯზედ ჩამწკრივებული „ჯვაროსნები“, — არ ვიცი, მაგრამ, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, შუაში ჩაუდექი: „რას შერებით, ასეთ გამწვავებულ დროს, სიმშეიდის ჩამოგდების მაგიერ, თქვენ უფრო ალელვების გამოწვევა გინდათ... თქვენი მაგალითით?!“, და, ცოტა დაწყნარებულნი, გავაშორე „მებრძოლნი“ ერთმანეთს.

ასეთ მაგალითებს ბევრსა ვნახავთ კიდევ, მაგრამ დაუბრუნდეთ უფრო დიდ ამბებს:

რუსეთის დროებითმა მთავრობამ, ყველა და მეტადრე „საფრანგეთის რევოლუციის“ მაიმუნობა-მიბაძვით (მერე ხომ „ჩვენებიც“ ხშირად ამასვე სცდილობდნენ) — თავისი იმპერიის სხვა და სხვა „პროვინციაში“, გავზავნა კომისარები და ამ რიგად ჩვენც მოგვევლინა „Особый За-Кавказский Комиссариат“-ი „ОЗАКОМ“ — ხარლამოვ-ის შეთაურობით და აკაკი ჩხენკელისა, კიტა აბაშიძისა, ერთი სომეხი — პაპაჯანოვის და ერთი ადერბეიჯანელის — ჯაფაროვის შემადგინელობით. ეს იყო, ასე ვსოდეთ, რუსეთის საგან დასმული ნახევრად კანონიერი მთავრობა კავკასიისა და რომ სრული სურათი წარმოგვეიდგეს, აქვე უნდა გაეხსენოთ მეორე ამბავიც, რომელმაც, ასე ვსოდეთ, „კანონიერ რების“ „მეორე ნახევარიც შეუვსო ჩვენს სოც-დემოკრატიას, — ხელის-უფლების მიღებაში—რუსებისაგანვე (და არა საქართველოსაგან):

შენიშვნა (68). ნ, რამიშვილსაც, ალარა მცონია, იმ დროს შესძლებოდა 6.000 რუსის ჯირის საღმე წაყვანა.



კავკასიის „ნამესტნიქმა“ (ე. ი. მეფის მოადგილემ) და შემთხვევაში ბატონი ნოე უორდანია (ამბობენ, სხვა მენშევიკებიცამ) და ალექსანდრე ხატისოვი და გამოუცხადა: „რუსეთში რევოლუცია, ქვეყანა არეულია, მე მივდივარ წესიერების აღსადგენად, და, ვიდრე ჩამოვალ, კავკასიას თქვენ გაბარებთ და უნდა მოუაროთ“-ო. ამ რიგად, კავკასიის „ბედი“, — „რევოლუციონერი“ რუსის — კერძების — და „ურეაქციონერების“ რუსის, თვით მეფის ბიძის, ნიკოლოზი ნიკოლოზის ძისაგან, — ჩაპხარდა აკაკი ჩხენკელს და ნოე უორდანიას. რასაკვირველია, ლამაზი თვალებისათვის და „რევოლუციონერობისათვის“ ხომ არა, (ან გრ. ურატაძეს მოჭორილ „გავლენიანობა“-სათვის, ან თუნდ ჩხენკელის „ეროვნულ ავტონომისტობისათვის“ (69), არამედ რაღან ნოე უორდანიაც, აკაკი ჩხენკელიც და ალ. ხატისოვიც იყვნენ—, „Единая, неделимая Россия“-ს უკიდურესი მომხრენი, რასაც სიტყვით, წერით, საქმით, სულით და გულით იცავდნენ და ამტკიცებდნენ.

3. ბატონ აკაკის „რუსული ოქრო“ (70) სიტყვები არ იყო: „Если в России погибнет революция, — Тифлис будет Тавризом русской революции“-ო?! და უორდანია-ხატისოვი ხომ „შეფიცულნი“ იყვნენ რუსეთისა.

* * *

თავად ლევოვისა და კერენსკის გონიებამ, აღრეულ რუსეთის ზღვაში, როცა ომი არ იყო ჯერ კიდევ გათავებული, იმაზე ჭკვიანური ვერა გამოიგონა რა, რომ ჯარის ისედაც წამხდარი გუნება (ოთხი წლის ომით) და დისციპლინა — სულ მოშალეს ბრძანებით

შენიშვნა (69). იკაკი ჩხენკელი „ამხანგებმა“ კინალმ გამოაგდეს „სოცდემ. პარტიიდან“, დარჩიაშვილთან ერთად, სწორედ ავტონომიაზედ ხმის ამოლებისათვის.

შენიშვნა (70). „თუ რუსეთში დამარცხდა რევოლუცია, თბილისი გახდება თავრიზში რუსეთის რევოლუციისა“-ო, ე ი. როგორც სპარსეთში ითამაშა როლი თავრიზში, თბილისიც გადაარჩენს განუყოფელ მთლიანი რუსეთის... რევოლუციისთვის.

იხ. ამაზე ვლ. ვოიტინსკის წიგნის „აღტაცებული“ გვერდები: 80, 81 და სხვანი, თუ როგორ იცავდნენ რუსეთის მთლიანობას, რუსებზე მეტად.

№1: „ოფიციელს სალამი არ უნდა მისცეთ“ - ი. ეს ჯარისკაცისათვის უწერული და ხალხს, გლეხებს ცარიელი დაპირება: დამფუძნებელი კუთხით მოგცემ მიწასაო. ეს „დამფუძნებელი კრება“, მოგონილი ზედაფენებისაგან, — ზედაფენებისათვის კიდევ გასაგები, მილიონებისათვის მიუწვდომელი და შორეული რაღაც პრეცენტიალუ უშინაარსობა იყო თვით რუსებისათვის, და, არა-რუსებისათვის, — მგონი არ შეეცდები, თუ ვიტყვი, ისეთივე სრულიად საგულონ ამბავი, როგორც ჩემთვის. მაგრამ ზანტად და უგულოდ მაინც ხდებოდა ყველგან „არჩევნები“, რაღაც უწესო წესით და, თუ არა ვდები, სხვებთან ერთად, საქართველოდან(?) არჩეული იყო ბატონი ვიორგი გვაზავაც, რაც მე ძალიან ვინან გავიგე (და სხვების „არჩევა“ ხომ ისე ნაკლებ მაინტერესებდა, სულ სხვა საქმეებსა და საკითხებში გართულს, რომ დღესაც არ ვიცი თუ ვინ იყო „თუ-სეთის დამფუძნებელ კრებაში“ არჩეული დეპუტატად — ქართველთაგან; ვინდ, ალბად, მენშევიკი).

1917 წლის ოქტომბერში ერთმა მუჭა ბოლშევიკებმა გაჲყა - რეს ეს „დამფუძნებელი (არაფრისა) კრება“, მთავრობა და ყველა დინებ ისეთი ლოზუნებით, რომელიც მაღამოდ ედებოდა დალლილ ჯარსა და გაოგნებულ ხალხს: „Всем, всем, всем! дочь с теми! უანежисიოდ და უკონტრიბუციოლ! მიწა — მიწის მუშას; ქარხნები — მუშებს; ომი სასახლეებს, მშვიდობა — ქოხებს! და „Грабль награбленное!“ სხვა რა უნდოდა საუკუნოებით დამნებულ, მონა-რუსს? და, — ეხლა ამბობებ: განვება პქმნესო, მაგრამ მაშინ ყველამ დაიგერა არა-რუსმა: „Самоопределение народов, вплоть до отдельения“. ამ უკანასკნელი განცხადებით ნახევარ რუსეთის ყოფილი იმპერიის გული უკვე მოგებული იყო და მეორე ნახევრის ნახევარზე მეტი, ე. ი. ჯარისა და გლეხობისა, — ხომ, წინა ლოზუნების დამარცველი ძალა, — ზედ გამოვრითი აღმოჩნდა რუსებისათვის. „სანამ ხმალი მოვიდაო, ენამ თავი მოსჭრაო“ — სწორედ რუსეთის იმპერიაზედ გამოიკვეთა და სიტყვამ უფრო გასტეხა და დაამარცხა ყველანაირი ცდა, — გარედან თუ შიგნიდან (დენიკინი და ვრანგელი სამხრეთში, კოლჩავი — ციმბირში, იუდენიჩი — ჩრდილო-

დასაცლეთში და „რ. ს. დ.“ ჩვენში), ვიდრე იარაღმა, — მომაკვეთა-
ურულურული
ვი იმპერიის ალფანისა.

თუ მეფის რეგიმს არ აღმოაჩნდა დამცველი და თავიც ასავინ
მოიკლა მისთვის, კერძნების უდლეური მთავრობისათვისაც არავინ
გამოიდო თავი. ბურთი და მოედანი ბოლშევიკებს დარჩათ ჯერ
პეტროვარდში (71) და მერე ყველგან.

ჩვენში, მენშევიკებმა, — იმის მაგიერ, რომ ესარგებლათ ამ ამ-
ბებით, ბოლშევიკების ნებართვითაც: „... вплоть до отделения“-ო,
— დიდხანს იგლოვეს, „უკანონოდა სცნეს“ ესეთი გადატრიალება
და 1917 წლის ოქტომბრიდან 1918 წლის მაისმდე სულ რუსე-
თის დამფუძნებელი კრებით იცონებოდნენ. როგორც იმის დროს,
იმის შემდეგაც უფრო მეტ რუსობას იჩენდნენ, ვიდრე თვითონ
რუსები. იმის მაგიერ, რომ საქართველოზე ეზრუნათ, კავკასიაზე
ეფიქტათ — ეროვნულ - სახელმწიფოებრივი ტერიტორია-
გით მაინც, თუ საქმით არ შეეძლოთ, — შინ გართულნი იყენენ,
— ზემოდან „რევოლუციონური“ ლოზუნების სროლით (რად-
გან ქვემოდან ხალხი სრულიად გაუშებული იყო) და გარედ,
ე. ი. რუსეთში „დემოკრატიული წყობილების“ ალდგენაზე ოც-
ნებოდნენ (72).

მაგრამ ჩვენს გარეშე მტრებს თუ მოყვარეთ ხომ არ ეძინათ და
თავიანთი ეროვნულ - სახელმწიფოებრივი ინტერესები არ დაჰვი-
წყებიათ, როგორც ჩვენს „ჩანჩქრეთელებს“. გერმანია განაგრძობდა
შეტევას რუსეთში და ოსმალეთი, — გვერდებ შემტერეული კავკა-
სიიდანაც (რუსის ჯარისაგან) და დასავლეთისა და სამხრეთიდანაც
(ინგლისის ჯარისაგან), — მოიწევდა ჩვენკენ, ზოგისათვის ვითომ
უცნაური მოთხოვნილებით: „გამოაცხადეთ კავკასიის დამოუკიდებ-
ლობა“-ო.

თუ გავიხსენებთ ზემოაღნიშნულ „1915 წ. კონფერენციას ქუ-
თაისში“, პირდაპირ დაუჯერებელი ამბავია, რომ იქ დამსწრე უორ-

შენიშვნა (71). საიდანაც ალექსანდ ფეოდოროვიჩი კერენსკი ქალის ჯუ-
ბით და ირაკლი გიორგიევიჩი — მეზოვაურის ტანისამოსით — გამოიპარენ; ლაზ-
რულად: დიდი რიხის რევოლუციონერები.

შენიშვნა (72). იხ. ეხლა, 1957 წ. გამოცემული ურატაძეს უმსგავსოებანი.

დანია და გეგეშქორი, დღემდე, (ასე ვსთქვათ, რადგან უორდანის შარშან გარდაიცვალა და გეგეშქორი წრეულს), ე. ი. 1953-მდე ამტკიცებდნენ ხმამაღლა და კალმით, რომ გერმანია და ოსმალეთი, ჩვენს დამოუკიდებლობასა სცნობდნენ და მოითხოვდნენ—ვერა გული, მტრული განზრახვებით.

როცა უფიქრდება ადამიანი, თუ რატომ არც ბრესტ-ლიტვესკ-ში, არც ტრაპიზონში, არც ბათუმში, ჩვენ „მეთაურებმა“ არ გამოიყენეს (და არც ერთს მათს მრავალ-რიცხვან ნაბეჭდ-ნაწერში არც კი აქვთ მოხსენებული) — 1915 წლის ხელშეკრულებანი „საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტისა“ გერმანია-ავსტრია-ოსმალეთთან; არსად არ იხსენიებენ არც ერთს შედეგსაც ამ ხელშეკრულობათა, ან სხვა რამ გაკეთებულს საქართველოს სასაჩვებლოდ სხვებისაგან, — ძალაუნებურად ფიქრობ, რომ განგებ მალავენ, ნაცარქექიებისავით, ყველაფერს, რაც თითონ ან მათ „პარტიას“ არ გაუკეთებია. ამ მხრივ, ნ. უორდანის „ჩარსული“ პირდაპირ შედევრია: იქ ისეა მოთხრობილი (ანუ უკედ მოთხრილი) ყველაფერი, რაც მას პირადად არ გაუკეთებია, თითქო არც არსებულიყოს. „პარტიაც“ კი მიგდებულია კუნძულში და ზედაპირზე დასცურავს მარტოოდნენ მისი კიდობანი. უცხოა ნაცარქექიას ზლაპრები ჩვენში; — საუცხოა თეთი მისგანვე ნაამბობი... მაგრამ არა ისევე უწყინარი: ზლაპრებში „სიბრძნე ნა სიცრუისა“, საბა სულხან თრბელიანის განმარტებით; „ჩემს წარსულში“ — „სიცრუის ვაინაჩრობა“, ძნელად განსამარტებელი. (ამას დაემატა ურატაძეს არა „მოვონება“, არამედ „მეცნიერული“ ბოროტება 1956 წ.).

არა, ბატონებო, ესეთი სიყალე მათი აზროვნობისა, ხდებოდა რუსეთის ხათრით, რუსეთის აღდგენის იმედით, იქნება შიშითაც. ამის საბუთი აუარებელია, მაგრამ საკმარისია ზოგიერთიც: 1902 წლის „პროექტი ნ. უორდანისი“ ტილიპუჭურის რესტორანში; 1912 წლის გაბოძება საქართველოს მთელი პროვინციებისა (საინგილო, აფხაზეთი, ახალქალაქ-ახალციხე-ბორჩალოს მაზრებისა ნავთლულამდე); 1917 წლის მოხსენება ნოესი, ორი მესამედი თბილისის გაცემითაც და სხვა.

* * *

ბრესტ-ლიტვისკში ჩელი მოწერინეს „სამარტვინო ზავზედ“ („Похабный мир“, მგონი თვით ხელის მოწერ ტროცკის სიტყვებია დამახასიათებელი), — ხელის მოწერამდე მოიწვიეს საქართველოს და კავკასიის წარმომადგენელნი, მათი მხარეების ინტერესების დასაცველად, — გვეპერმა, მაშინ ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოუწადებელ კავკასიის გამოცხადებულმა მინისტრმა, — გაუგზავნა დეპეშა: „რადგან კავკასია (და საქართველოც მაშა) შეაღვენს რუსეთის ნაწილს, ზავის საკითხი რუსების კომპეტენციას შეაღვენს“.

[შენიშვნის მაგიერ: მომყავს ეს დეპეშა ზეპირად. სრული ტექსტი იხ. „Документы и материалы“, გამოცემული რუსულად ჩვენი კ. მთავრობისაგან ჯერ კიდევ საქართველოში. თარიღიც. იხ. ამაზედ ვლ. ვოიტინსკის კვეიინური (უორდანის წიგნის უკულმა) წიგნის გვერდები: 116 — 125, საცა ირჯელ მოწვეული ბ-ნი გე-გეპერმა უარს ეუბნება ჯერ თურქებს და მერე თუ რქებსა და გერმანელებს (ბრესტ-ლიტვისკ-ში) — საქართველო-კავკასიის საზღვრებზე მოსალაპარაკებლად... რადგან რუსეთის ნაწილი ვართო. „დოკუმენტი“ № 16 და სხვა, — ვოიტინსკით].

და, რადგან კავკასიისა და საქართველოს ინტერესების დამცველად ბრესტ-ლიტვისკში არავინ აღმოჩნდა, ბოლშევიკები იძულებულნი იყვნენ იქ დამსწრე ისმალებისათვის, — გერმანიის მოკავშირეთათვის — მეტი დაეთმოთ, ვიდრე ერგებოდათ ომის ძალით.

და, აი, რატომ ყარსი, არტანი და ბათუმი ზავის კანონიერი(?) ძალით გადაეცა ოსმალებს. უპატრონო ქვეყანას, როგორც ეკლესიას... ვიღაც უნდა დაჰპატრონებოდა ხომა!



აი, სად გატყდა მორალურად და იურიდიულზე უფრო ძალიან კისის „კარი“-ყარსი, არტანი და ბათუმი და, რასაკირველია, ბატონ აკაკი ჩხერიმელის მდგომარეობა „ტრაპიზონის ქონფერენციაზე“, ვერ იქნებოდა ხეირიანად „დასაბუთებული“, თუმცა ორმოცდაათი „კავკასიელი“ (?) დელეგატი წაიყვანა თანა, კავკასიის დამოუკიდებლობის... გამოუცხადებლად (72).

თუ რამდენად ეჭაშნივებოდათ უორდანია-გეგეჭკორს „დამოუკიდებლობა“, სჩანს ჩვენი „მტირალა აქტიდანაც“, საცა ბოდიშებს ვისლით რუს ეთთან, ასეთს... უბედურებაზედ... იძულებულნი...

და თუ მოვიცაა ბატონი ბ-ნ რაედენ (მიხეილ) არსენიძეს წერილ-საც ოფიციალ გაზეთ „ბორბა“-ში, დამოუკიდებლობის გამოცხადების ექვსი თვის შემდეგ: „დამოუკიდებლობა ჩვენთვის ფეტი ში არ არის, უფრო დიდი სახელმწიფოს (ე. ი. რუსეთის. რ. გ.) ფარგლებშიაც შეგვიძლია ყოფნა“-ო. ან ბ-ნ სერგეი ჯაფარიძეს მოხსენებას „ეროვნულ საბჭოში“ 1918 წლის 25 მაისის წინად, რომ „საქართველოს არ შეუძლიან დამოუკიდებლობა, რაღაც ნავთი არა აქვს“-ო და ათას სხვა რამეს ამის მსგავსსა და უმსგავსს, ჩემი „საბუთები“ არც ისეთი დასაწუნი იქნება, როგორც მათი დაწუნება. აი, თუნდ ისიც, რომ იმავე 25 მაისის კრებაზედ გადაწყვდა: „ხვალ (:26 მაისს) დამოუკიდებლობა უნდა გამოვაცხადოთ“-ო. და ბ-ნ კაკი წერეთელს თითქმის გული შეუწუხდა, ჩავადრა ყვითელი ტყავის სავარძელში (73) და თავში ხელის ტაცებით წამოიძახა სასოწარკვეთილმა: „რას შერებით, თქვენ ლუპავთ რუსეთის დამოკრატიას!“-ო!

და, როგორც მერე გავიგეთ, წინა დღეებში რომ იცავდა ამ რუსეთის „დემოკრატიას“, — თითონ რომ გამოექცა, — ლასა მგელაძეს დაუყვირნია მისთვის: „წადი, ეგ ჩინიშელის ცირკში ილაპარაკე, — აქ საქართველო არის!“-ო.

შენიშვნა (72). „თაორები“ იცინოდნენ თურმე: „თუ საომრიდ მოხვედით— ცოტანი ხართ და თუ ზავისათვის— ამდენი დელეგატი რა ამბავიან.

შენიშვნა (73) ეს სავარძლები, ისე როგორც მოელი ქონება, გადაცემული იყო კოტე აფხაზის მიერ თავად—აზნაურობისაგან— ეროვნულ (და არა პროლეტარულ) — საბჭოსათვის.

* * *

მაგრამ ამ „ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც შეუჩინობია“ ბ-ნ ნ. უორდანიას, რაც სამწუხაროდ და ჩემდა სასირცხვილოდ, მხოლოდ პარიზში ამოეკითხე მისივე ნაგვან „რჩეული ნაწერები“-დგან, გვ. 180: ინგლისელი ღენერალი თავაზიანად მიმართავს უორდანიას: „ამ უამაღ ინგლისის სამხედრო ძალებს კავკასიაში დიდი მოვალეობა გვაწევს, რათა ხელი შეუწყოთ ამ მხარეში მშვიდობიანი ცხოვრების დამყარებას, ყარსის ციხე და მთლად ყარსის ოლქიც მოითხოვენ განსაკუთრებულ ყურადღებას. მოვედი თქვენთან, რათა გთხოვთ შეიყვანოთ თქვენი ჯარი იმ ოლქებში და დაადგინოთ თქვენი მთავრობა“ (74).

სწორედ მოულოდნელი იყო(?) ასეთი წინადადების მოსმენა(ო). იგი თითქო მეგობრული მომართვაც იყო ჩვენდამი და თანაც რალაც პროვინციაც(?) გამოჩანდა(?). ნოე უორდანიამ სწრაფად(?) ასეთი გამოსავალი გამოუნახა ინგლისის ინიციატივას: „გვერდალო, — სთქვა მან, — ჩვენ, ქართველები, ავანტიურისტები არა ვართ, ჩვენი სურვილია საქართველოს სახელმწიფოება(?) გავამაგროთ ჩვენი ქვეყნის საზღვრებში. ჩვენსას არავის დავუთმობთ, მაგრამ არც სხვისას მივითისებთ — ამიტომ თქვენს წინადადებას ვერ მივიღებთ“.

შენიშნვა (74): ეს ცნობა და ქვემოთ. — ნ. ჟ. პასუხი, ამოწერილია ბ-ნ გ. უურულის წერილიდან. 18 იანვარს 1948 წ. რომ მიუწერია „სოც.-დემ. პარტიის პარიზის ორგან. კომიტეტისათვის“, ნ. უორდანიას 80 წლის იუბილეის გამო. დაბეჭდილია ნ. ჟ. (?) „რჩეულ ნაწარებში“; ამიტომ დოკუმენტად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ბ-ნ უურულს სიცრუე არ უყვარდა და სიტყვისა და ნაწერის შეზავება იცოდა ისე, როსები რომ ამბობენ: „мягко стелет, а жестко спать“. ორთოგრაფია, სინტაქსი და გამოთქმებიც უფრო გამომცემელი ვ. ჩუბინიძესია, ვიდრე უურულისა.]



— მაშ თქვენის აზრით, ვის უნდა მიეცეს ის ოლქი? **აკადემიური მუზეუმი**
ხა გენერალი.

— საქართველოს მთავრობას, ცხალია(?); ამაზე არ გვიმსჯე-
ლია, მაგრამ რაკი თქვენ მოითხოვთ ჩემს აზრს, გეტუფით, რომ ამ
ოლქს სომხებმა უნდა უპატრონოს(?). ასე,

ე. გეგეჭკორმა მიაცემინა რუსებს ყარსი-არტა-
ანი-ბათუმი — თათრებს, და, უორდანიამ — სომ-
ხებს. და როგორც გეგეჭკორი არ დაჰკითხებია ქართველ ხალხს,
ან „ეროვნულ საბჭოს“, ისევე არც უორდანია — არც ხალხს, არც
პარლამენტს და მთავრობასაც კი არა. პაი გილი, ჩა „დემოკრატები“
პატრიონობდნენ მართლა დემოკრატიულ საქართველოს!

[შენიშვნის მაგიერ: 1954 წლის 1 აგვისტოს მიერიღ ყ. მთავარ-
სარდალ ლენ. გ. კიონიტაძეს, უბრალოდ დაწერილი ბროშურა: „ჩემი
პასუხი“ — პარიზი 1954 წ. (დაიბეჭდა მიუნხენში) და ბევრ საინტე-
რესო ცნობებს შეიცავს. — იმავე, ჩემგან ზემოაღნიშნულ ცნობებით
დამამტკიცებელ აზრისას. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია
ეს წმინდა მხედრული, ლაკონიური ენით ჩამოსხმული, ისტო-
რიული დოკუმენტი, სამხედრო-ისტორიულ ამბებზედ. ღირსეული
თავდაპირით გაცემული „პასუხი“, ულირს „წარსულზედ“].

რაღა გასაკვირველია ასეთი ხალხისაგან, როცა ბ-ნი
ნ. უორდანია თავის წარსულში“ (გვ. 128 — 9) ან რ. არსენიძე აწ-
მყოში ამტკიცებენ: „24 საათში მთელი მუშათა კლასი(?) გადაიყვა-
ნეს საქართველოს ნაციონალურ რელებზე“, „საქართველოს და-
მოუკიდებლობის გამოცხადება-ო, იყო სრულიად მოულო-
დნელი, არასიდროს არ გათვალისწინებული ამ-
ბავი“ — მათოვის, ასაკვირველია, რადგან ავიწყდებათ(?) „სა-
ქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ მუშაობაც სა-
ზღვარგარედ; 1915 წლის ჩვენი „შეთანხმებაც“; „ავტოკეფალიის
გამოცხადებაც“ 1917 წ.: „ეროვნული ყრილობაც“ და სხ. მრავალი,
რაც კეთდებოდა მათი პარტიის სურვილების გარეშე და მთელი ქარ-
თველი ერის დანარჩენი ნაწილების სიმრავლითა. ეს იყო სასწაუ-
ლი(?), მოხდენილი ხალხისაგან და არა უორდანია-არსენიძეს პარ-
ტიისაგან.

VIII

დიდი ომი გათავდა რუსეთთან და ოსმალეთთანაც, ხარება-მარტის თვეს და კავკასიის ფრონტიდან უკან დაძრული, ნახევრად გაბოლშევიკებული ჯარი. სომხისა და რუსის პროპაგანდისტების გავლენით, ემუქრებოდა წალევით საქართველოსა და კავკასიას. მენშევიკების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ენით მაინც და ზოლ შევიკების საწინააღმდეგოდ, კონტრპროპაგანდისტები გაგზავნეს (ამბობენ და მჯერა, — თვით გეგემქორიც კი ერთა ამ საქმეში), მაგრამ ყოველთვის „ივიწყებენ“, რომ ცნობილ „მესამასე ვერსხე“, გარდა ლიანდაგის გადაყვანისა (ალბად ესეც ქართველ რეინის - გზელების საქმე იყო), იქ მოქმედებდა მაზნია-შვილის არტილერია და ახალგაზრდობის (ჩვენი) რაზმი. ავი-წყდებათ „ჩახავას“ საშინელი თავდასხმა მათხე და თავის შეწირვაც; ავიწყდებათ „თათრების“ შეიარაღებული არა ერთი თავდასხმა და განიარება ბოლშევიკური ელემენტებისა, როცა თვითონ რუსის ჯარისკაცები ნატრულობდნენ და ეჩქარებოდათ შინ წასვლა, — მოქადაც მიწების გაყოფა-მითვის ე-ბისათვის, რის დაპირებითაც, სწორედ, — გაიმარჯვა რუსეთ-ში ბოლშევიზმა.

ბოლშევიზმს ებრძოდნენ, არა როგორც რუსულ მოვლენას ან რუსეთის წინააღმდეგ, არამედ როგორც განაყარ ძმებს, მთლიანი რუსეთის შინაგან მტერს... რომ „თბილისი გადაექციათ რუსეთის რევოლუციის თავრიზად“ და არა რუსეთის დამნგრეველად; დემოკრატიული წესების დარღვევისათვის, მარქსის „ცუდად“ გაგებისათვის, მათი — მენშევიკური — ოცნების ჩაფუშების გამო. გულში ძნელია ჩაძრომა, მაგრამ დაჩრდიშუნებული ვარ, — ბევრნი, და მათ შუა — კავი წერეთელი, ევგ. გეგემქორი და თვით ნოე უორდანიაც. — სწუხდნენ რუსეთის დანგრევას და „იბრძოდნენ“ მთლიანის აღდგენისათვის და არა საქართველოს გამოყოფისათვის. ორი აკაკის, ევგენის და სამი(?) ნოეს წინადელი, მაშინ-დელი, და ამ აღნიშნულ ამბავთა მერმინ დელ სიტყვები, მათი

მთელი ბიოგრაფია და მოქმედებაც ბევრჯელ ამას ამტკიცებს. მონაკლისს, შეიძლება მხოლოდ მეოთხე ნოე ჩამიშვილურული შემდეგ, შევნით პარტიაში და გარედაც, ბევრჯელ გამოამჟღავნა ბრძოლით ქართული პატრიოტიზმი.

საკვირველი ის იყო, რომ ამ როტულ გარდამავალ ხანაში, როცა ნახევრად წაქცეული (და კიდევ დიდხანს ომიდან ვერ გამოსული) ისმალეთი, პოლიტიკურად ჩვენი ნახევრად — მაინც მეგობარი იყო და ვერმანია — მოთლად, და მოითხოვდნენ ჩვენს დამოუკიდებლობას, — მენტევიკების სიმპატია, მაინც, ჩვენი უკანასკნელი 100 წლის მტერი რუსეთისაკენ იყო. ასი წლის მონობამ, არა მარტო სახელმწიფო იმპერიით, თავისუფლების აღლოც კი დაუკარგა თითქო, წინა საუკუნოებით დაშინებულ გურულებს. და როგორც მონებს, მარტო ბატონობის სურვილი შერჩათ. და ბოლომდის. არავითარი დემოკრატიზმი, მხოლოდ მშიშარა „დიქტატორჩიკობა“.

მოვლენები კი თავისით მიმდინარეობდნენ. ოსმალებმა „კანონიერად“ მოითხოვეს ყარს-არტან-ბათომის მხარეების დაცლა, რაც, ასე ვსთვათ, ლატარიაში ერგოთ დამარცხებულებს, გამარჯვებული გერმანიის წყალობით, დამარცხებული რუსეთისაგან და ქართველთა უკუკობით. ამასთანავე, ოსმალებს ჯარი მოხწევდა დათმობილ აღვილების დასაჭერად და ჩვენში... სასაცილო ამბები ხდებოდა, სამგლოვიარო შედეგები რომ არ შისდევნებოდა თითოს:

ოსმალები მოითხოვდნენ კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას, რომ სკოდნოდათ ვისთანა აქვთ საქმე. ვის დაპლაპარაკებოდნენ და მენტევიკების გავლენით, კავკასია ბოლშევიკურად იქცეოდა: არც ომი შეეძლო (სამხედრო ძალის უქონლობისა გამ), არც ზაფი უნდოდა. რადგან მენტევიკებს და „სოციალისტ“-დაშანკელებს ოსმალეთი ეჯავრებოდათ და ლაი-ლაით აპირებდნენ მათს გაჩერებას. ისინი არა ჩერდებოდნენ; ქართულ-სომხური სამასხარაო „შეიარაღებული ძალები“ უკან იხევდნენ და ოსმალები იკავებდნენ კუთვნილ უპატრონო აღვილებს (75). აი, აქ მოხდა იუ-

შენიშვნა (75) ვლ. ვოიტისკი. სრულიად სამართლიანოდ იღნიშვნავს; „მ-იერ-კავკასიის დემოკრატიამ.. რუსეთის ჩევოლუციისა და ალიების (რ. გ.: ?)

რიდიულად უცნაური „ტრაპიზონის კონფერენცია“: ერთგული მხედვები ისმალის სახელმწიფო ბრივი წარმომადგენლები, ფილმურული მხედვები, — გამოურკვეველი, კავკასიელ ოთხი ერის, ოთხ - წახნაგვანი „ბრძოლებები“, ბ-ნ აკაკი ჩხერიმელის მეთაურობით.

[შენიშვნის მაგიერ: — თქვენ რაღა ფლავსა სჭამდით? — შეიძლება გაიფიქროს მკითხველმა, მაგრამ ამ „მიწვევათა“ ამბავი, რუსეთის ხათრით, ჩვენ ქურდულად დავვიმალეს, იმის მაგიერ, რომ საიდუმლოდ მაინც გავეგზავნეთ, როგორც „საქ. განმათავისუფლებელ კომიტეტის“ წევრი. მაშინ, 1915 წლის ხელშეკრულებათა ძალით, და თვით ბოლშევიკების „ვპლოწდომოტდელენია“-სი, — როგორ დავანგებდით დამარცხებულ ისმალებს ჩვენს ღვიძლ ტერიტორიას?! და ამაში, რასაკვირველია, მთავარი ჩვენი არგუმენტი და ძალა, — თვით გამარჯვებული გერმანელები იქნებოდნენ, ჩვენსავით დაინტერესებულნი კავკასიის დამოუკიდებლობით. საუბედუროდ, ეს რუსული მენშევიკური ვერაგობა ჩვენ ძალიან გვიან გავიგეთ, რომ მათ დაუკითხავად მაინც დავსწრებულიყავით ბრესტ-ლიტოვსკს. და ისმალონიც დასთმობდნენ, რაკი ჩვენს ძალას იგრძნობდნენ!].

* * *

„პრედ-კონფერენცია“. მაგრამ, ვიდრე თვით „კონფერენციის“ კურიოზებზე გადავიდოდეთ, მეორე უფრო მცირე საცინელ-სატირელი ამბავი უნდა გავიხსნოთ, რომლის დამსწრე მეშემთხვევით გავხდი, თუმცა, როგორც „ეროვნული საბჭოს“ წევრს, მეც „მეკითხებოდა“ ხომა — ზავისა და ომის საკითხი, საცა სამართალია... ან დემოკრატიული წესი, ან იურიდიული რამ შემეცნება. სად, ეინ, როგორ და როდის? გადასწყვიტა „ტრაპიზონის ლაყობა“

მოლალატებად(?) რ. გ.) ჩასთვალა... ბრესტ-ლიტოვსკში მოწვეულ დელეგატების გაგზავნა... და ეს (უკუკბა. რ. გ.) ძვირად (კრ შელ) დაუკდა“-ო.

— „ჩვენი ურთიერთობა სულ სხვანაირი იქნებოდა, ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციას რომ დასწრებოდით, რადგან შეგვეძლო საზღვრებზე ჟევგანნმებულიყავით“-ო. უთქვამთ თურქებს. იხ. გვ. 121 „ლა დემოკრასი უეორეიენ“.

(არ ვიცი როგორ გადავთარგმნო „Трапезундское действие“, როგორც დაარქევს მაშინ) — არავინ იცოდა და სტულებით შემთხვევაზე ვით რომ შევვედი „ეროვნულ საბჭოში“, ასეთი სურათი გამოხატული ყედელზე ჩამოკიდებულ რუკასთან იდგა ბ-ნი აკაკი ჩხერიძელი (მეორე დღეს ტრაპიზონში მიდიოდა) და კიდევ რამდენიმე ქართველი. არ ვიცი, „დელეგატი“, თუ არა; სტუდენტის ქუდიანი პავლე ინგოროვა, ჯონით ხელში უჩვენებდა და უხსნიდა საქართველოს ნაწილების საზღვრებს. მე სწორედ მაშინ შევვესწარი, როცა შემთხაზა ჯონის წვერით ერთი ფართობი და მიუბრუნდა მსმენელთ: „ეს გახლავთ კახეთი!“

— ქე დიდი ქვეყანა ყოფილა!, — შესძახა გაკვირვებით ბ-ნმა აკაკიმ.

და, აი, ასეთი დელეგაციის ასეთი მცოდნე მეთაური — მიდიოდა ტრაპიზონში, საქართველოს ინტერესების დასაცავად... და კავკასიისაც.

ჰო და, რა გასაკვირველია რომ, რაუფ-ბეის, მეგობრულად განწყობილს ჩვენდამი (76), ზავის პირობების მაგიერ, ხშირად უხდებოდა გეოგრაფიისა და იურიდიულ ცნებათა გაკვეთილები ეძლია მრავალრიცხვან „დელეგაციისათვის“, საცა, ამასთანავე, კრილოვის არაქშე უარესად „Лебедь, щука и рак“, ადერბეიჯანელები პირში უვარდებოდნენ მათს მოძმეოსმალებს, სომხებს პირში წვდენა ჰქონდათ გულში და სათნოება — პირზე და ქართველებს ვერას გზით ვერ ათქმევინეს, თუ ვისი სახელით ლაპარაკობენ? საწყალი ჩხერიძელი, ყელში ალბად სულ ზემოაღნიშნული გეგმების დეპეშა ეჩიბირებოდა, ბრესტ-ლიტოვსკში გაგზავნილი, და შეიარაღებულ „თათართან“ „დიალექტიკა“ რას გამოადგებოდა? და დეტალებით რომ არ გაგაგრძელოთ, — ზედ გამოჭრილი იყო ის კარიკატურა, რომელიც ხელიხელ დადიოდა ტრაპიზონის „კონფერენციის“ შემდეგ. რადგან დაბეჭდვა არ შეიძლებოდა, პორნოგრაფიულობის გამო.

შენიშვნა (76) ფუად ფაშა, რაუფ-ბეი იყო აფხაზი წარმოშობით და ამბობენ, აკაკი ჩხერიძელის შეზობელ სოფლიდანაც.

ნი თავთავიანთ ადგილას, როგორც განუყოფელი ნაწილი ჰქონდება ცარი „ხომალდისა“.

მანქანა ჩიუჩიფებდა, ცასა და ქვესკნელს სწვდებოდა ჩვენი ხელი, მაგრამ, მიედიოდით წინ, უკან, თუ სად ვეხეთქებოდით, ვერავითარი საშუალებით ვარკვევდით. ასე ვიარეთ 19 საათი ბათუმიდან ტრაპიზონმდე, მანძილი, რომელიც უკან გამოვიარეთ ჯავშნოსან „კაროლ კარლ“-ით — 5 საათში. განთიადზე ზღვა თანდათან დაწყნარდა, ისე რომ ტრაპიზონს რომ ვუახლოვდებოდით, უკვე სარკესავით იყო.

მეზღვაური არა ვარ, მაგრამ ვფიქრობ, სწორედ ამ ნავის სიპატარავემ და მისმა სწორედ კაკლის ნაჭუჭისებურმა გარსმა (:ფორმამ) გადაგვარჩინა დალუპვას: უფრო მძიმე ან „არგო“-სავით ვრძელი რომ ყოფილიყო, ტალღების ცემას ვერ გაუძლებდა, ეხლა კი ტალღა მას მსუბუქად იტივტივებდა მხოლოდ.

* * *

გადავხტით თუ არა, ვიკითხეთ „კონფერენცია“. გამოგვევება აღშფოთებული ვიორგი გვაზავა და „აკ. ჩხერიძელის დავალებით“, აღელვებულმა გამოგვიცხადა, რომ „ეხლავე დავბრუნდეთ უკან... რისთვის მოდიოდით აქ... ? თავადაც გართულებული ვავქვს საქმე, თქვენ უფრო გაგვითუჭებთ...“ და სხ. და სხ. შთაბეჭდილება დავგრჩა, რომ ჩვენი ჩასვლის ამბავი წინდაწინვე სცოდნოდათ „დელე-გატებს“. ძლივს დავაშოშმინეთ გვაზავა, აუხსენით, რომ ჩვენ გერმანიაში მივდივართ დავალებით და აქ მარტო ბერნშტეინის (78) ნახვა გვინდა. გ. გვაზავა მოვიდა მეორედ ჩვენთან და „ჩხერიძელისავე დავალებით“ გვითხრა:

„აქ ჩვენთვისაც ვერა ვშოულობთ საჭმელს და ბინას, თქვენ როგორ მოგაწყოთ?—ო, (— ვინ ეხვეწებოდა ამას?! —) და თუ ეხ-

შენიშვნა (78). ეს ბერნშტეინი იყო ძმა ცნობილ გერმანელ ებრაელ ედუარდ (?) ბერნშტეინისა, რომელსაც რუსის სოციალ-დემოკრატია ეძახდა „ოპორტუნისტს“. მისი ძმა ჩარჩენილიყო თბილისში და ეხლა, ან ვიცი, რომელი ერის „დელეგ ატი“ იყო „ტრაპიზონის კონფერენციაზედ“.



ლავე არ დაბრუნდებით, — დაგაჭერინებთ“-ო. საგიერთში გუჯორისტული ბოდათ თავი. ჩვენ რისთვის მოვედით და მათ რის შიში მუშაობები მოხდება დათ, ვერ გავიგეთ. ჯიუტად მაინც ბერნშტეინი (79) მოვითხოვთ. ტრაპიზონის, სადღაც ომის ნანგრევების ბნელა კუთხეში, გამოგვი-ცხადა გაფითრებული ბერნშტეინი და ცახცახით გვეუბნებოდა: „რა გინდათ ჩემგან? მე არაფერი შემიძლიან, მე თითონ გამოვიპარე რო-გორმე ჩავალშით გერმანიში და რამდენიმე დღის წინად აქედან წასულა უკანასკნელი გერმანული გემი. ოსმალებმა რომ გამიგონ თქვენთან ლაპარაკი, დამხერეტავენ. არ ვიცი როგორ გავიპარო. წადით უკან“. ისე კანკალებდა ეს საცოდავი შეილი გამარჯვებული გერმანიისა, რომ ჩვენ მასთან — დევგმირები ვიყავით. სულ აქეთ-იქით ჭურდული ქცევით და ცქერით წავიდა. ჩვენ ვეცით აქეთ, იქით, მაგრამ ველარც ჩვენი „კაპიტანი“ ვიპოვეთ, ველარც სხვა რამ ნავი ან საშუალება, — გზა განვევრძო.

მეორე, თუ მესამე დღეს, ჯავშნოსანი „კაროლ კარლ“, თავი-სი ნებით სტოვებდა ჩვენს „დელეგაციას“ ტრაპიზონში და ბრუნ-დებოდა ბათუმში. ჩვენც, კუდ-ამოძუებულნი მარცხით და უსაქმუ-რობით, იძულებულნი გავხდით, გამოვყოლოდით უკან.

* * *

„კაროლ - კარლ“. უკან მგზავრობა — ხუთი საათი — უფრო სახიფათო და მნიშვნელოვანი გამოდგა. გემზე დაგვეხდა ერთი „ასეული“ ქართული ჯარის, ოფიცერ დავით მიქელაძეს მეთაუ-რობით და ბევრი საინტერესო ამბავი გავიგეთ და მოხდა. თურმე ეს გემია, რომლის „გაბოლშევიკებულ“ მეზღვაურებს (მატროსებს) გაუცარციათ შევი ზღვის სანაპიროები, აქა-იქ დაუხოციათ „კონტრ რევოლუციონერები“ და მოუკლავთ ემუ ხვარი — გემის ონკა-ნის ორთქლში მოხარულით. სამხედრო გემი მართლაც დატვირთული იყო ხალიჩებით და უადგილო-ადგილას დაგროვილ ტომრებით, სავ-

შენიშვნა (79): ეს ბერნშტეინი დაგვისახელა ბ-მა ნ. ეორდანიმ; ძალიან ყოჩალი კაცია, რევოლუციონერი. ჩვენი მეგობარი, გერმანელია და ჩემი სახელით რასაც ეტყვით, — გაგიკეთებო!—ო. აკიც გაგვიკეთა!

სეთი შაქრით, ფქვილით და სხ. და სხვა. ოფიციალური (რუსებით და ქართველური) რუმინელები: ეს გემი რუსებმა შეიძინეს რუმინელების უგანდაში და საწყისში) ისე იყვნენ დაშინებულნი, რომ მეზღვურნი, რასაც უნდა, იმას უშერებოდნენ და საითაც უნდოდათ, თავს უკრავდნენ. განსაკუთრებით დავით მიქელაძეს თავდაჭრილობას უნდა მიეწეროს, რომ ჩვენი „ხუთი საათის“ განმავლობაში, ათჯერ შეტაკება და სისხლის ლვრა თუ არ მოხდა მატროსებსა და ჯარისკაცებს შორის, ან საერთო ულეტაც „ორ ბანაკს“ შორის. განულიგახებული, მთვრალი რუსის მატროსები წამ და უწუმ შემოგვივარდებოდნენ იმ ზალაში, საცა მიქელაძეს და ესხა თავისი ასეული სკამებზედ („სკამეიკა“) და არც განძრევის, არც ხმის ამოლების ნებას არ აძლევდა, როცა რომელიმე რუსი შემოგვივარდებოდა, იწყებდა პროცესატორულად უშერე ლანძღვასა, მუქარას და „კონტრ... რევოლუციონერ-ი!“-ს ძახილს. მართლა დიდი მოთმენა იყო საჭირო და მეც კი სულ გული ყელში მებჯინებოდა, არ ამომელო რევოლვერი და ძალივით არ დამეგორებინა მორიგი არამაღალა... მაგრამ მიქელაძეს მჭრელი თვალი, ალბად ხათრიც და სამხედრო დისკაპლინის შეგნება, — თოფებით შეიარაღებულ ჯარისკაცებსაც და მეც — ხმაგაქმედილად და გაუნძრევლად გვტოვებდა. ვინ ვის აჯანმებდა, მგონი ძნელი გამოსაცნობი არ იყო, რადგან ჩვენ ვიყვათ ასნი, მატროსები 250, მათი უფროსებიც ხმ ჩვენს მხარეზედ იყვნენ, მაგრამ ჩემ ჩემვაზედ, — აგველაგმა მათი თავსე — დობა — დავით მიქელაძე ჯერ გადაკვრით მეუნძრებოდა, „არა, სხევანაირად უნდა მოვაწყოთ“-ო და მერე გამიმეღავნა, რომ გემის ოფიციალებთან შეთანხმებით, ბათუმში ჩაეალთ თუ არა, — მატროსებს განაიარალებენ და „საჭართველოს ჩააბარებენ ჯავშნოსან გემს“ ... აო.

„ან შენ, დავით, რა იყოდი, ან მე, რეზომ, რა ვიცოდი, რომ ეს ვარდი... ოცნებისა... ისე მალე დასჭერებოდა?!“

ზღვა იყო წყნარი, გემის ხალხი კი მშფოთვარე, ჩვენ სულ-განაბულნი; აქედან წასვლას არა ჰგვანდა: ზღვა შფოთავდა, ნავის ხალხი კი აუღელვებლად ვეკვროდით ფიცრებს.



წყნარად და გედივით შეცურდა „ქართლ კარლ“-ი ჰეჭუმისული ყურეში და გაჩერდა. პატიოც კი თითქო მოეცვა რაღაც მოღვაწეობის მიერაცხავა სიჩქმეს...

მაგრამ დავით მიქელაძის, სოსო გოგოლაშვილის (და, მგონი, კიდევ ერთი საზღვაო ოფიცირის) მისია, — ნოე უორდანისათან, — ვაგონში რომ პეტერბურგი ბინა, — უნაყოფო დარჩა — „მომზადებულ შეთქმულობაზედ“ დასტური არ მისცა.

ლეთის მადლით, იმ ლამეს, სრულიად მოულოდნელად, რაღაცა სხვა საქმეზედ ჩამოვიდა ნოე რამიშვილი და, როგორც კი გაეგო საქმის მდგომარეობა, ცეცხლივით დატრიალდა, შეაგროვა სადღაც გვარდიელები და განთიაღისას, შორიდან უყურებდით, როგორ თოფის გაუსროლელად (80), ქართველებმა ჩაიგდეს ხელში პირველად და პირველი ჩვენი ჯავშნიანი გემი. გამოიყანეს თვალ-მოუფ-შვერტელი, პირდაუბანელი 250 მატროსი და ბათომის ციხეში უკრეს თვი. მომავალ საქართველოს გაუჩნდა სამხედრო ფლოტი. თუ ე. გეგეჭვირმა თვისი დეპეშით ბათუმი უპატრონო გახდა, — ჯავშნისანის დაპატრონებით, ნ. რამიშვილმა (დ. მიქელაძისა, ს. გოგოლაშვილისა და რ. გაბაშვილის წყალობით, — „и мы пахали“) — პატრონი გაუჩინა... თითქო.

ჩვენსა და... გემის ოფიცერთა სიხარულსა და კმაყოფილებას... საზღვარი არა პეტერბურგი, რომ იტყვიან, და, ერთგულებას გვეფიცებოდნენ, რაკი ასეთ „ხითათსა, სირცეებისა და სიკვდილს გადაგვარჩინეთ“-ო.

* * *

„აქა ამბავი მაგრამ, მეორე დღიდანვე ისეთი

ფლოტის გაპარვისა“ . დაუჯერებლი ამბები დატრიალდა, ადამიანს სავიუეთში ნახული სიზმარი ეგონება: მთელი ბათუმი ალელებული და გახარებული ლაპარაკობს ახალ ამბებზედ. მე მი-

შენიშვნეა (80). თუ არ ვიანგარიშებთ იმას, რომ გამოურკვეველი (?) მიზეზით, საიდანლაც გავარდნილი ტყვიით კეფაში, — მოკლა ერთი ქართველი ოფიცერი.



ვდივარ ჩემ სასტუმროში და, სრულიად შემთხვევით შეწყუბულზე ადამიანს, მიწვევენ იქვე „საზღვაო თათბირზე“. შევდივარ. თავ მჯდომარედ ბრძანდება გიზო (?) ანჯ აფარიძე, იქვეა სოსო გოგოლაშვილი და კიდევ რამდენიმე ქართველი; — არც ერთს წარმოდგენაც არა გვაქვს, თუ რა არის სამხედრო გემი, ან საზოგადოდ საზღვაო საქმე. მსჯელობაა, თუ როგორ უპატრონოთ „ფლოტს“ (81). ვიღამაცა სთქვა: „ბათუმში არის „აღმირალი“ (82) ჭავჭავაძე, დაუძახოთ, ის გვეტყვის, და, შეიძლება ჩაიბაროს კიდეც“—ო.

ალბად იმავე სასტუმროში აღმოჩნდა, რადგან ხუთი წუთიც არ გასულა, მხედრული ფეხის ბაჟუნით შემოვიდა დაბალი ტანის შავ-შავი კაცი, საზღვაო გარსით (ფორმაში) გამოწყობილი, რამდენიმე ჯვრით და ოქროს ბუზმენტებით. პირველად ვხედავდი, მაგრამ ნამდვილ „ზღვის მგელს“ მოგაგონებდათ. მხედრულად გამოგვეჭიმა, საფეოქელზე ხელი მიიღო („отдал честь“!) და მოგვმართა: „რას მიბრძანებთ“—ო?

გიზო ანჯაფარიძემ აუქსნა მდგომარეობა: ჩაეგდეთ ხელში ერთი ჯავშნოსანი და ორი გამანადგურებელი; ოფიციელი ჩენ მხარეზე არიან, მაგრამ 250 მატროსი დაჭერილია, აღარვინა გვყავს და როგორ მოვიწყეთ, „ფლოტი“ ვის უნდა ჩავაბაროთ? თქვენ ხომ არ იქისრებთ?“—ო.

ჭავჭავაძემ, ისეთივე მხედრული სალამით და კილოთი დაიწყო: „ბატონებო, მე ვიცნობ მაგ ხალხს, ეგენი მეზღვაურებად აღარ ვარგანან, არც სანდონი არიან, ოციოდე მატროსი, ნამდვილი კაცის-მკვლელი, ყაჩალები და მცარცველნი — უნდა გავასამართოთ და დაეხვრიტოთ; სამოციოდე, ნაკლები დამნაშავენი — ციხეში უნდა

შენიშვნა (81). მე დამატებული მეოქვა, რომ „კარლ“-ი რომ დაიჭირა გვარდიამ, — ნავთ-სადგურში მდგომი ორი „გამანადგურებილი“, (უფრო მომცრო, რასაკვირეველია), დატვირთული ავრევე ნაცარცვი იარაღით, გაიძარა და, არ ვიცი ვისი ბრძანებით, — შეიძლება იმავე რიმიშვილისა, — ბათუმის სიმაგრეებიდან დაუშინეს ზარბაზანი და იძულებს უკანვე დაძრნება და მათი მეზღვაურებიც დააპატიმრეს.

შენიშვნა (82), ამირბარი.



დავტოვოთ, დანარჩენი, უბრალონი არიან, უნდა ჩაესაუზუდულებელი გებში და რუსეთში გავისტუმროთ; მეზღვაურებს ვიშუქულებულებები ფლოტს ჯერჯერობით მე და გემზე დარჩენილი ოფიციები გაუძლვებით”-ო.

არც კი გაათავებინა სიტყვა გიზო ანჯაფარიძემ: ყვირილით:

— რას ლაპარაკობთ, როგორ თუ დავხერიტოთ?! ციხეში დავტოვოთ! თქვენ ძველი დრო ხომ არა გვონიათ?! ეგენი ჩვენი ამ-ხანა გები არიან და უნდა გავანთავისუფლოთ...

ამირბარ ჭავჭავაძემ არაფერი უპასუხა, ისევ მხედრულად „ჩესტი“ მოგვია, გატრიალდა და წავიდა. დავრჩით უამირბაროდ.

მაშინ გიზომ — არ გაიცინოთ! — მიჰმართა სოსო გოგოლა-შვილს:

— სოსო, შენ უნდა ჩაიბარო ფლოტი,-ო.

— რას ამბობ, კაცო, ნავში ჯდომა არ ვიცი და ფლოტი როგორ უნდა ჩაეიბარო? -ო.

სხდომა დაიშალა. მე წამოვედი და ვფიქრობდი: თურმე იმის-თანა სოციალისტებიც არსებობენ, რომელნიც მორიდებულად სცნობენ, რომ... რამე „არ იციან“... იმათ ხომ ყველაფერი იციან და ყველაფერი შეუძლიანთ და... ამირბარობა რა ისეთი ძნელი საქმეა?

ჯერ კიდევ ბათუმში ვიყავი და ჩემი თვალით ვნახე, როგორი მხედრული რიგით დადიოდნენ გამოშვებული „ამხანაგები“ — რუსის კრიმინალი მატროსები და დედას იგინებოდნენ, მუშტების მოლერებით: „დაგვაცათ, გაჩვენებთ სეირსა“-ო. და უჩვენებიათ კიდევაც: რამდენიმე დღის შემდეგ იმავე გემზე დასხმულებს, ცოტა ხნის შემდეგ ეეძულებინათ თავიანთი ოფიციები და ძალდატანებით რუსეთში წაეყვანათ ჩვენი (?) ფლოტი; რაც უკვე თბილისში გავიგეთ. აი, როგორ შევიძინეთ და დაკარგეთ ფლოტი.

* * *

ბათუმის პრეზიდი. ტრაპიზონის კონფერენცია არაფრით გათავდა და „დელეგაცია“, თუ „დელეგაციები“, პირში ჩალა გამოვლებულნი დაბრუნდნენ შინა. სადღაც კულისებში რაღაც „მოლა-



ეროვნული
ბიბლიოთეკი

პარაკებანი“ ხდებოდა; ოსმალები კი მოდიოდნენ და შეადგინებიან ბოლოს მოიწვეის „ეროვნული საბჭოც“ ჩენენმა „მეთაურებმა“: „ოსმალები მოითხოვენ და მოდიან ბათუმზე და... როგორ მოვიქ-ცეთ“-ო? (83).

მასშივრებელი, ცნობილ, მებრძოლ ღენერალ, ვასო გაბაშვილის სი-ტყვა:

„... მე ვიცნობ ბათუმის ციხეს, როგორც ჩემ ხუთ თითს, მომე-ცით 3.000 ჯარისკაცი და სიტყვას გაძლევთ, — ექვსი თვის გან-მავლობაში, ოსმალებს კი არა, ჩიტს არ გადმოვაფრენ იქითევნაო...“

დაახლოვებით ასეთი იყო მისი მოკლე სიტყვა.

უფრო კარგად მასშივრებელი ბ-ნ ე. გეგეშვილის პასუხი: მწყრა-ლად:

— რას ბრძანებთ, ბატონო ღენერალო, თქვენი თავი საშუალო საუკუნოებში ხომ არა ვვონიათ, — ზარბაზნებსა და ციხეებზე გვი-ლაპარაკებით? ან სადა გვყავს ჯარი?! ბათუმში ჯარი კი არ უნდა წავიყვანოთ, არამედ ხალხი; იქ საპროტესტო მიტინგები გაემარ-თოთ, და, როცა ოსმალოები დაინახავენ, რომ მთე-ლი ქართველი დემოკრატია წინააღმდევია მათი, — დღეს დემოკრატიის ხანაა და ოსმალეთის დემოკრატიაც ჩვენი ძმები არიან, — ისინი ვერასოდეს ვერ გაბედავენ ბა-თუმში შესვლას“. არც გეგეშვილის პასუხი იყო გრძელი, მაგ-რამ სიტყვა „ხალხი“ და „დემოკრატია“ ცხრა-ცხრა-ჯერ მაინც ახსენა. „ეროვნული საბჭო“ ხომ უბრალო უშნო დეკორაცია იყო: საკითხები ყველა სწყდებოდა „რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ“ პარტიაში, რომელსაც „საბჭოში“ ჰყავდა 36 დე-პუტატი და აღენებული ათ-ათი „სოც.-ფედერალისტი“ და „სოც.-რევოლუციონერი“ და ამ 56 დეპუტატში, რა უნდა გაგვეწყო ჩვენ — 9 „დეპუტატს“, — რომელთაგან ზოგს ისეთივე ქარაფშუტა თა-ვი თუ არა, გული მაინც ება, სამწუხაროდ.

შენიშვნა (83). იხილე და შეადარე ამ დროის ამბებზედ ნაცრუალი ნა-წერი გ. ურატაძისა 1956 წ.

არ მინახავს, მაგრამ ამბობდნენ, ბათუმში 40.000 „ხალხი“ ჩა-
იყვანესო. მიტინგები და პროტესტები აუარებელი იყო, მაგთ შესრულებულ
მაღლების 5.000-მა ჯარმა, წარმოიდგინეთ, — „ჩვენმა ძეგლში და მას შემდეგ
დემოკრატიულ დღევანდელ ხანაში...“ ბათუმი რამდენიმე დღეში
აიღეს, თითქმის უბრძოლველად — 1 აპრილს, 1918 წელს. — 5.000
ტყვე ჩაიგდეს და დანარჩენები ცხვრებით იფრინეს.

მხოლოდ ამის შემდეგ, 5 აპრილს, გამოაცხადეს „ამიერ-
კავკასიის დამოუკიდებლობა“ სეიმით: და ახლა მოწვეულ იქმნა
„ბათუმის კონფერენცია“, და, რაკი ისეთი „დიპლომატიური ნიჭი“
გამოიჩინა ბ-მა აკ. ჩეხენკელმა, რომ „კარიკატურაშიაც მოხვდა“, —
ჩვენი მხრის დელეგაციის მეთაურად ისევ ის დაინიშნა.

ამბობენ, «ისტორიის» მოვლენებზე წერა არ შეიძლება ასე: „თუ
ასე ყოფილიყო, ისე არ მოხდებოდა “-ო. იქნება მართალიც
იყოს, მაგრამ მაშინდელი ამბები ჩეხენთვის ისტორია კი არ იყო, არა-
მედ თვალწინ მიმავალი მოვლენები და თამამად შემიძლიან ვსოქვა:
„კაროლ-კარლი“ მენშევიკ - ბოლშევიკებს რომ არ ვაექციათ და
ღენ. გაბაშვილისათვის მიეცათ სამი ათასი ჯარისკაცი, ეს სამი
სამხედრო ძალა, ბათუმში ოსმალებს არ შემოუშებდა. სა-
მაგიეროდ, გიზომ — აფსუს სახელო! — ფლოტი დაგვიკარგა; და
ევენიმ, — კიდევ აფსუს სახელო! — ჩამოსულმა თბილისში ბათუ-
მის ტრალების შემდეგ, ჩეხელებრივი უტიფრობით და არა-ჩეხეუ-
ლებრივი სასოწარკვეთილებით ვვიამბო „საბჭოში“ თავისი განც-
დანი: „... ბატონებო, რა ვნახე... პატალოგიური მოვლენა... ბათუმი-
დან გამორბოდნენ გვარდიელები, ჯარისკაცები, როგორც დამფრ-
თხალი თხები... ზოგს ზურგზედ საკერავი მანქანა (84) ჰქონდა, ზოგს
ხალიჩა, ზოგს რა და ზოგს რა... ამხანაგებო, რას შერებით, სად გარ-
ბისართ?, უკვიროდი და... მიპასუხებდნენ: «ქე გვესვრიან და რავა
დავდგეთ“-ო. [ეს ფრთხოსანი სიტყვები, მერე რომ მთელ საქართ-
ველოს მოედო, პირველად თვითონ გეგეჭკორისაგან გავიგეთ და
რად უკვირდა, არ მესმის: ხალხს, „დემოკრატიას“ არწმუნებდა თი-

შენიშვნა (84) ღმერთო შეგცოდე, იქნება ტყვიის-მფრქვეველი იყო და
ვერ გაარჩია.

თონ და მისი ამხანაგები — მიტინგი იქნება, პროტესტები და მოწოდებულებები თარი რავა გაბედავს ბათუმში შემოსვლასათვის „და ის კი წერილი უმდებავი ისროდა“. აბა „კანფერების“ ხომ არ გადმოუყრიდა გეგეჭყორისთანა ბრესტ - ლიტოვსკის იურისტს, და მისგან გაბრიყებულ „ამხანაგებს“?].

მაგრამ გეგეჭყორი დიდხანს არ გაჩერდა ამ „საჯაყ“ თავის საქმეზე და „დასჭექა“: „.... მაგრამ არც ღენერლები იყვნენ უკეთესნი: როცა სამტრედისაკენ მოვდიოდი, ერთ ბანაკში ვნახე, — ღენერალი გაბაშვილი ზურნაზე ქეითობდა და ჯარისკაცებს ლეკურს ათამაშებდა“-ო. ვასო გაბაშვილმა კბილები დააკრაჭუნა, ხმალზე გაიკრა ხელი და ძლივს ვიკავებდით, სისხლიანი სკანდალით არ გათავებულიყო ეს უტვინო სხდომა. ეს ვისი უტითრობა იყო, თითონ მეითხველმა გამოიცნოს: ღენ. გაბაშვილისათვის, — ბათუმის ციხის გამაგრების მაგიერ, — ჩაუბარებიათ ახალ გაწვეულ ჯარისკაცების გაწვრთნა. და „დროგამოშვებით, კიდევ ვაცეკვავებდი, კიდევ ვაჭიდავებდი, წყობასა და სროლასაც ვასწავლიდი, მაგრამ ბათუმისათვის რაღა დროსი იყო“-ო, გვიამბობდა თითონ.

და, თუ არა ვცდები, მაშინ ბ-ნი გეგეჭყორი — უკვე სამხედრო მინისტრი ბრძანდებოდა. რომ გადიკითხოთ ამ ამბების შემცველი „Док. и Мат.“-ის („Документы и Материалы“) „ჩაწყობილი“ «ნომრები», დაახლოვებით, ვსთქვათ, № 50 — 100-მდე (გვ. 85 — 200-მდე), არ დაიჯერებთ არასოდეს, იმ დროს, საქართველოს სათავეში ვინმე ჰქვათამყოფელი ყოფილიყოს, — იმდენი შატილოვ, ვიშინსკი, ივანოვ, ლევანდოვსკი, დევი, სოფოლოვსკი, კულიბეკოვ, შაგალოვ, კარატაროვ, ვინჩენკო, და სხვა რუსები არიან ნდობით აღჭურვილნი; იმდენი ლაილაი არის და არავითარი მოქმედება. მეტადრე სასაცილო № 86: „Обращение Закавказской соц.-демократии к демократии(?) России“, რომელსაც ხელს აწერებ: „Социалистическая фракция Сейма“ და „Областной комитет Российской С. Д. Р. П.“ Тифlis, 1(14) апреля, 1918 г. (187). მხოლოდ როცა გამოცხადდა ამიერკავკასია, დანიშნა ჩენკელმა ღენ. ვ. გაბაშვილი.

ბაქო — ბათუმი. ის, რაც ამის შემდევ მოხდა, ნაღდი მაჩვენებელია, თავისი სასაცილო და დრამატიული მხარეებით, თუ რის მიღწევა შეგვეძლო, საქართველოს სათავეში, უთავო „რუ-ს ეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის“ მეთაურობა კი არა გვყოლოდა, არამედ ნამდვილი ეროვნული სულით გაუღენთილი; ან, თუნდ ნოე ეორდანიას უხერხემლობის მაგიერ, პატრონად ნოე რამიშვილის ნებისყოფას გაემარჯვნა.

რაյო ოსმალები ისე ადვილად მოდიოდნენ კავკასიაში, „როგორც თითო კარაქშია“, და ბათუმიც დაიჭირეს, — მადაზე მოვიდნენ და უფრო და უფრო დიდ მოხოვნილებას უდგენდნენ უბატ-რონო საქართველოს; უბატრონოს, უსაზღვროს და — გამოუცხადებელს. ვინ არ იცის, რას წარმოადგენს ბაქო მსოფლიო ეკონომიკაში; ვის არ უნდა სცოდნოდა, რომ თვით ერთ-ერთი მიზანი დიდი ომისა, — ნავთის წყაროებთან მისვლა იყო? და „ეკონომიკაში“ შეშლილმა მენშევიკებმა ეს არ იცოდნენ. საზოგადოდ, კავკასიის მსოფლიო სტრატეგიულ მნიშვნელობაზე ხომ წარმოდგენაც არა პქოლეტარიატისა და მსოფლიო დემოკრატიის ტერმინოლოგიით და ინტერესების გამო, ელაპარაკებოდნენ ოსმალეთის მხედრობას, ბაქოსაკენ რომ ეჭირათ გამგელებული თვალი. „რკინის გზაზედ ჩევნი ჯარების თავისუფლად გატარება გვინდა ბაქოსკენ, — მოიხოვდნენ ისინი, — თორემ სპარსეთიდან ინგლისელები ჩავასწრობენ (ასეც იყო საქმე!) და... ალარც საქართველოს ან კავკასიის ცნობა გიშველით“—ო. თან დასძნდნენ: „გამოაცხადეთ საქართველოს დამოუკიდებლობა, რასაც ჩევნ და გერმანია ვცნობთ“—ო. არსებითად, „ბათუმის კონფერენციის“ შინაარსი ეს იყო. გერმანიის წარმომადგენელ ფონ-ლოსოეთან ჩენეკელის მოლაპარაკებაც ამას ადასტურებდა. ჩევნ კი გავვიუტდით... სომხების, ადერბეიჯანის, მსოფლიო დემოკრატიის „ინტერესებს“ ვიცავდით, ოსმალებს ბაქოში არ უშვებდით (რის პატრონები, გარდა ენის ტანტალისა?) და... „ეროვნულ საბჭოში“ დადგა კვლავ

საკითხი: „ოსმალები მოდიან, აგერ ოზურგეთში შემოჭრილან, დღეს-ხვალ თბილისში შემოვლენ და როგორ მოვიქცეთ“ — ამ პუნქტის მიზანი პურმარილით, ომი გამოუცხადოთ, თუ პროტესტით უკით-ლაჟურით ძალას დაუთმოთო?

რასაკვირველია, ეხლა რომ ვფიქრობ მაშინდელ ძალათა განწყობილებაზე, ნაცარქექიების ამბავი მაგონდება დევების წინააღმდეგ, მაგრამ, აღშფოთებულებმა, ერთხმად გადა ვწყვიტეთ ომი.

და მოხდა სასწაული: ნატანებისაკენ გაიგზავნა ვალოდია გოგვაძეს ჯავშნიანი მატარებელი და სასწრაფოდ შემდგარი ოფიც-რების ბათალიონი და... ათასობედე „გერმანელი“ ჯარისკაცი ორი გერმანელი ოფიცრით და გერმანული დროშით (85).

მთელ საქართველოში იმ დროს მხოლოდ ორი გერმანელი ოფიცერი იყო და ისიც „შტაცური“, საიდან გავაჩინეთ ჯარი?:

გერმანელები და ოსმალები მოკავშირენი იყვნენ ომში [და საქართველოსიც, უორდანია - გეგეჭქორს რომ არ დაპირიშებოდათ (?) 1915 წლის ხელშეკრულობა; არ გაეგიურინა რუსეთის „რევოლუციას“ (?) და გმილეუნებინათ], მაგრამ ეს არა სპობდა ქიშპობა-საც და მათს შეთანხმებაში ესეთი მუხლიცა ყოფილა: „სადაც ერთი სახელმწიფოს ჯარი შევა, მეორისა იმ ტერიტორიას აღარ უნდა შეეხოს“ — ღ., და, ამ მუხლის ძალით, გერმანელებმა თვითონ გვიჩინეს (რამდენადაც მახსოვს, დავით ვაჩინაძეს პირით ვრაფ შულენბურგი-საგან) — რაც შეიძლება მეტი წინააღმდეგობა გაგვეწია ოსმალთა-თვის, ერთის მხრით, და, მეორე მხრით — „შეგვეთხა გერმანული ნაწილი“... და შევთხევით კიდეც: ორი ნამდვილი გერმანელი ოფიცრისათვის ვიშოვეთ ბრძოლის ველებიდან აქა-იქ „სახსოვრად“ ჩა-მოტანილი წვეტიანი მაშინდელი მათი ორი მუზარადი. აქა-იქ ჩარჩენილ ტყვეებისა და ბორჩალოელ გერმანელთაგან შეიქმნა „ჯარი“. მახსოვს, იუნკერთა სასწავლებელის ყაზარმაში, შევესწარი — და მე თვითონაც ვშველოდი მერე, — თუ დათა ვაჩინაძე როგორ ურიგებდა

„შენიშვა (85) ამ „ჯარის“ ამბავი, დ. ვაჩინაძეს, როგორც უშუალო მონაწილეს, გაცილებით მეტი დეტალებითა აქვს გაღმოცემული, — „მოგონებათა რევულში“. 1944 წ.

საჩქაროდ, ყოფილ რუსის იუნკრების უ-„კაზეროკო“ ქულებში, გრიგორი ფარავებს და ჩენის ხელით ვარტყავდით ქამრებს და „იარაღში ესხამდით“ ასეთს... „გერმანელ“ ჯარსა. დაუყოვნებლივ, როგორც კი 100 — 200 კაცი გამოეწყობოდა, ორ-ორი ქართველი ოფიცირის და-მატებით, იგზავნებოდა ფრონტზე, გერმანელ ოფიცირების განკარგუ-ლებაში.

იქ უკვე ბრძოლა სწარმოებდა. ერთის მხრით ვ. გოგვაძე შეიჭ-რა ოსმალთა რიგებში, მარჯვნივ და მარცხნივ მიჰყარა და მიჰხოცა ხალხი თავისი ჯავშნიანით; მეორე ადგილას ოფიცერთა ბათალიონმა სასტიკად შეუტია და გააქცია (86) მტერი, ადგილზე დაჭრილ-დახო-ცილების დატოვებით; და სხვა ადგილებში, საცა წამოიწიეს ოსმა-ლებმა, — გერმანელი ჯარი დახვდათ. მართალია, ეს იყვნენ „გერმანელები“ პრესალებში, მაგრამ ეს საიდუმლოება ჩენი, მათ რა იცოდნენ? და ჩერდებოდნენ... ზემოაღნიშნული მუხლის ძალით, მოკავშირეთა წინაშე — მუხლი ეკეცებოდათ.

იქნება გადაქარბებით, მაგრამ მაშინ ამბობდნენ, ვითომ ოსმა-ლებს ბრძოლის ველზე, მარტო მოკლული დარჩათ ხუთასიო. გოგვა-ძეს ჩახეხილი ჯავშნისიც გამოიტანეს მტრის ხელიდან და ამ ერთ-მა გამარჯვებულმა ბრძოლამ, ცოტა მაღა შეუკვეცა ოსმალთ, ბა-თუმის კონფერენციაზედ აღძრული; „სიკეთემ სძლია ბოროტი“, სუ-ლიერებამ — უხეში მატერია.

ამ „საბაქო“ ამბებში ერთი „პატარა“ ეპიზოდიც ჩაეკვეხა და ტრალიკულად დამთავრდა. თბილისში ჩამოვიდა ახალგაზრდა, ავს-ტრო-გერმანელი „კონტრ-აზვედის“ ოფიცერი და ისტრატოდა ბა-ქოში ჩასვლას. „როსტოვში გამცარცვეს, რევოლვერი და საათი წა-მართვესო“ და ძალიან გაუკვირდა ქართველების „სტუმართ-მოყვა-რეობა“, როცა იქვე ჩემი საათი და რევოლვერი გადავეცი. ამით ისე მოვიგეთ მისი გული, რომ გულახდილად გამოგვიტყდა, რად ეჩქა-რებოდა ბაქოში. ავსტრო-გერმანელ ოფიცირებს კამათი მოსელიათ

შენიშვნა (86) ეს, განსაკუთრებით ოფიცირებისაგან შემდგარი ბათალიონი და ოფიცერთა შეუდარებელი გმირობა უკალა ჩვენს ომებში — ნუ თუ არ აწითლებს ნ. ეორდანიას „წარსულს“?



ოსმალელ ოფიციელთან, — „თქვენ არ ვარგიხართ და შაჟიშქაშენისა უფრო ადრე შევაღლთ“—.

ამ კამათის დამსწრე ნური ფაშა დასნაძლევებია: ვნახოთო! და ეს ახალგაზრდა ჩქარობდა (87). წავიდა. ნური ფაშას ჩაუსწრო, მაგრამ, უკან რომ ბრუნდებოდა, ადერბეიჯანის რკინის გზის ერთ-ერთ სადგურზე „ყაჩალები(?) დაუხვდნენ, გაცარცვეს და მოპელეს“ — ოფიციალური ვერსიით. სინამდვილეში, ამბობდნენ, ნური ფაშამ მოაკვლევინა და მისი თავი ღა იპოვეს ლიანდაგზედ. საწყალმა, სანაძლეო მოიგო და თავი წაგო კია (88).

IX

„ამიერ-კავკასიის“ ამიერ-კავკასიის „სახელმწიფოს“
და შლა.

და სეიმს წყალი შეუდგა, ტრაპი-ზონისა და ბათუმის კონფერენციის შემდეგ: აშკარა იყო, კავკასიელთა სოლიდარობისათვის დრო არ მომწიფებულიყო, ვინაიდგან რუსეთ უმე მენშევიკებმა, — მთავარი ხელმძღვანელობა რომ ჩაიგდეს, რუსებისა ვე წყალობით, მთელი კავკასიისა, — არა მარტო წინასწარ ამ სოლიდარობისათვის არაფერი გააკეთეს, პირიქით, ხელს უშლიდნენ. პარადოქსად შეიძლება მოეჩენოს აღამიანს, მაგრამ ფაქტია, რომ არა მარტო სომხებს, ადერბეიჯანელებსაც მეტი ეროვნული მისწრაფება აღმოაჩნდათ, ვიდრე ქართველებს, თუმცა კულტურულად, ისტორიულად და... გონიერივად(?) უფრო მეტი

შენიშვნა (87) სულ სამი დღე არ დარჩნილა თბილისში, მაგრამ ისე გა-გიებით მოეწონა და შეუყვარდა მართა, (ჭალი იმ ლენინალ ალექსანდრე ვა-ჩინაძისა, რომელიც იყო აპარაში გაზავნილ „დრუჟინების“ მთავარსარდალი), რომ ხელი სოხოვა და მის საქმროდ გამოაცხადა თავი. მიუხედავად იმისა, რომ გავაფრთხილეთ ჩეენცა და თითონ მართმაც: „დაწყევლილი ბედისა ვართ: აგერ, მძ-ში ორ საქმრო მომიკლეს და ჯვრის წერას ვერ ველირსეო“. ამ მესამესაც ასეთი ბედი შეხვდა. ნამდვილი „Femme fatale“ გამოდგა და არ ვიცი შემდეგ მაინც თუ გაოხოვდა.

შენიშვნა (88). შესაძლებელია, ზემოაღნიშნული მუხლის ძალით... ბაქო-შიაც დეკორატიულ გერმანელების ჯარის შექმნასაც აპირებდნენ.



მოეთხოვებოდათ, თითქო. მე ვამბობ ამ ერების მაშინდელ ქადაგზე ურობაზე და არა ხალხზე.

სოციალიზმზე და რევოლუციაზედ შეშლილი საქართველოს მეთაურობა, სრულიად უგულველსპყოფდა ეროვნულ საკითხებს და ძალათი ახდენდა, იწვევდა რევოლუციას, როცა არავინ წინააღმდეგობას არ უწევდა ამ რევოლუციას — მშვიდობიანი წესით — საქართველოში. სულ ლია კარებში იქრებოდნენ, რამდენადაც ეს შეეხებოდა სოციალურ საკითხებს და მთელი მათი რევოლუციონური ენერგია შინ (და გარედაც) იხარჯებოდა ეროვნულ - სახელმწიფო გარივ ჩამოყალიბების წინააღმდეგ (89).

და ესეთი დამანგრეველი, მცარცველი სულისკვეთება შერჩათ, სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც, — ბოლომდე. რევოლუციონური კი არა, ჩვენდა სამარცხვინოდ უნდა ითქვას, ყაჩაღურ-რევოლუციონური ფსიქოზი არასოდეს გაპმონელებით.

სად დაიმალება ისეთი მაგალითები, როგორც ტრაპიზონისა და საერთოდ დიდი ომის, რუს-ოსმალოს ფრონტიდან ნაცარცვი აურაცხელი ქონება (სამხედრო და სხვაც), რომელიც საქართველოს „ბიუჯეტად“ ეყოფოდა და მე თუ „ცარცვას“ ვეძახი, სწორედ იმიტომ, რომ სოციალისტურმა პარტიებმა და კერძო პირებმა დაირიგეს, და არა — სახელმწიფოს გადასცეს. მათი „კოლექტურივები“ და კერძო ვაჭრები ჰყიდდნენ და მდიდრდებოდნენ, ჩამოტანილ შაქრით, ფევილით, რძის ბონსერვებით და ათასი სხვა რამ სანოვაგითა და საქონლით (90).

შენიშვნა (89). ერთად-ერთი ოპონიცია, ხომ „ერ. დემ. პარტიისა“ იყო და სოციალურ საკითხებში ყოველნაირ დაომობაზე მიედიოდით, ოლონდ ეროვნულ-სახელმწიფო გარივ არა. ეს ვერასოდეს შეიგნეს... დღემდე, და ნ. ეკორდანიამ post mortem-აც. იხ. მისი „ჩემი წარსულის“ ზოგი ბავშვური და ზოგი სრულიად არა-ბავშვური საცოდაობანი.

შენიშვნა (90): ჯერ კიდევ საქართველოში დაეტენდე რამდენიმე წერილი გაზეთში ასეთ „მარადიორობაზედ“. ერთ-ერთ თავის



აქ თუ ახდილი ცარცვა-ყაჩალობა ხდებოდა, ეგრედ შიფშემონიდან „ზემ-გორის“ უთვალავი ქონება, — კარავ-უნაგირ-ლურსმნიდან დაწყებული, ფართლეულ-ფქვილ-კონსერვებით გათავებული, — ისე საიდუმლოდ ჰქონებოდა — ზურგით, ცხენით, ურმით, ვაგონებით წალებული, რომ, ორიოდე თვის შემდეგ, სადგურიდან მუშტაიდამდე მოებად დაყენებული მდიდარი საწყობები, — უდაბნოს მოგაგონებდათ. თბილისის სამხედრო საწყობები — დაუშრეტელი (რადგან ნახევარ-მილიონზე მეტი ჯარის ცენტრალური ამუნიციისა იყო) — ისე დაცალიერდა, რომ შემთხვევით გადარჩენილიდან (ან ვერ მიგნებულიდან) — 1921 წლის ომის შემდეგაც, — ბოლშევიკებს დარჩათ 17.000 ახალი თოვე (ქუთაისში 300 ხელუხლები ტყვიის-მფრქვეველი) და... „მთავრობამ“ (?) ყურები გამოუჭედა ქვეყანას: „იარაღი არა გვჭონდა და ჯარი როგორ უნდა შეგვემნა, ან რითი შეგვეიარაღებინა“ -ო.

თბილისის სომხობა ხომ — „ბურუუაზიის“ რევოლუციონური ლოზუნგით — ისე გაცარცვეს, რომ სახლები კი არა მარტო, ავეჯი, ჰურპელი და საცვალი არ შეარჩინეს ბევრსა. და... ჩვენ გვეძახდნენ წინა წლებში — „სომხი-ჭამიებს“, რაკი მათგან „გაცემულ“ ახალციხე-ახალქალაქ-ბორჩალოს (1912 წ.), ჩვენ „არ ვანებებდით“... თეორიულად, მორალურად, რასაკვირველია, თორემ ან იმათ ვინა ჰქითხავდა გაცემას, ან ჩვენ — არ მიცემას, იმ ხანებში?

უმსგავსს „ჩ. წ.,-ს გვერდზედ (გვ. 172) ნოე ქორდანია სწერს: „ჩვენი ოფიციელის უმრავლესობა მთელ ჩვენ საქმეს უყურებდა როგორც დროებით წარმავალ მოვლენას, რომელიც შეწყდება. როგორც კი რუსეთი აღდგებაო, ამიტომ „ხელს ითბობდნენ“ -ო. (ორთოგრაფია ნოესია. რ. გ.). ამაზედ ითქმის სწორედ: „ჩემი შენ გითხარი, გული მოვიკალი“ -ო: ასე ფიქრობდნენ თითონ და ამიტომ ჩარჩობდნენ ხელი მოეთბოთ. მაგრამ ეს კერძოდ უორდანიას თვისება კი არ არის, არამედ საერთოდ მარქსისტული მეთოდი“: თავისი დანაშაული სხვას გადააბრალონ.



იმ დროის დასახასიათებლად ეს შსხვილი ნადავლებურსაშე მოგვია
რისია, მაგრამ ათასობით უფრო „წვრილფეხა“ ცარცვა-ზღვისადამი ეს
„ყურა-გლეჯას“ მერეც შევხვდებით გზა და გზა.

* * *

„მოკავშირენი“.

ჯერ კიდევ როცა რევოლუციის ხანაში ჩრდილო-კავკასიელებ-
მა ყველაზე მეტი სიყვარული გამოიჩინეს თავისუფლებისადმი და
„კავკავის ყრილობაზედ“, არა მარტო აირჩიეს საერთო ხელმძღვა-
ნელობა მოლას მეთაურობით (თუ სახელი არა მცდება, — ერქვა
ნაემუდინ,-ი), არამედ ჩვენგან გაგზავნილ „დელეგაციასაც“ — შალ-
ვა ამირეჯიბი და შალვა ქარუმიძე — ალტაცებით შეხვდნენ და ფიც-
სა სდებდნენ საქართველოს ერთოულობაზე; — მათს „დელეგაციას“,
შეთანხმების გამოსახებნად წარმოგზავნილს თბილისში, — ნ.
რამიშვილი დახვდა უქმეხად: „თქვენ რეაქციონერები ხართ,
არაფერი საერთო არა გვაქვს და სანამ დემოკრატიულ წესებს არ და-
ამყარებთ თქვენში, არც გვეწება“-ი (91)... თითქმის თვალცრემლი-
ანები გვიამბობდნენ ამ სამწუხარო ამბავს. სომხებსა და ადერბეივა-
ნელებს ხომ ათას ათას ასმე ჰპირდებოდნენ და მუდამ ატყუებდნენ, რუ-
სული წესით და „დემოკრატიზმის“ მყეირალა საყვედურებით. ღმერ-
თმა ეროვნული უპირატე სობა მოგვცა და პირში ყველას
რევოლუციონურ - სოციალისტურ პირველობის...
პიტნასა სჩრიდნენ, რაც არავის უყვარდა.

შიგნით საქართველოში რაც ტერორისტული მეთოდები გაამე-
ფეს, არც ამ შაგალითებით აქეზებდნენ მაინც სხვა კავკასი-
ელთ, ჩეენთან სახითაო მეგობრობაზე. თავად-აზნაურობას, სა-
მღვდელოებას, ინტელიგენციას ბრძოლა გამოუცხადეს და პირვე-
ლებს ხოცავდნენ, მეორეებს — სდევნიდნენ, მესამეებს — არსად
აქაშანებდნენ.

შენიშვნა (91). იხ. და შეადარე ურატაძეს „მუდამ ზრუნვას კავკასიზე“. 1956 წ. მიუწენი.



უნივერსიტეტი

შემდეგ და გვიან ამტკიცებდნენ, რომ „თავად-აზნაურებულის მიერ გამოიწვევა“ ხი(?) ხოცავდა, რევოლუციის ექსცესები იყოო“. მე კი ვამტკიცებ, რომ ეს ხდებოდა განჩრას ზემოდან, — ტერორის შესაქმნელად და, თუ დაუკვირდებით, ამაში დარწმუნდებით, რაღან არც ერთი ბოროტი თავადი ან აზნაური არ მოკლულა და ვეზირიშვილები (ცოლი და ქმარი), აფხაზები (ოჯახობით), ციციშვილები (ბავშვებიანად), სარაჯიშვილები (კახეთში), გ. მალალაშვილი და სხვანი მრავალნი, — შერჩევით ამოხოცეს, სწორედ როგორც ინტელიგენტები, გლეხობასთან საუკეთესო განწყობილებაში მყოფნი. თითქო მათი ბრალი ყოფილიყოს, რომ საერთოდ ამოხსავლეთ საქართველოში ინტელიგენცია თავად-აზნაურობიდან გამოდიოდა. დახოცილებში, ერთს ვერ დაასახელებთ, თავისი მედიდურობით, სასტიკი მოპყრობით, თუ ექსპლუატაციით გლეხობის უქმაყოფილება დაემსახურებინოს. მკვლელობანი ყველა ხდებოდა სხვაგნიდან მოსულ „რუსეთის ბოლშევიკ-მენშევიკურ“ ტერორისტების ხელით ან ჩაგონებით და არა ადგილობრივი ელემენტებისაგან.

ეს გაუვიდათ 1905 წელს, როცა მოპყლეს გლეხებთან გლეხურად მომუშავე თარხნიშვილები და სხვანი; შერჩათ — ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, და, 1917 წლის მკვლელობანი „უბრალო“ გავრძელება იყო იმავე ვერაგული რუსულ-თათრული სისტემისა.

რამდენადაც ვიცი, კავკასიის სხვა ერთა შორის, არაფერი ამის მსგავსი არა ყოფილა, რადგან მათში... „მოწინავე(?) მუშები(?)“ არა ყოფილან, ალბად და თავისი ვე ინტელიგენცია არ დაუხოციათ. ეს ველურ-მზაკვრული (და არა ველურ-ვაჟა-ცური მაინც) ზნეობა, ჩვენში რუსულმა მენშევიზმა შემოიტანა.

* * *

დამოუკიდებლობის

ოსმალები იძულებული იყვნენ

გამოცხადება.

შეჩერებულიყვნენ ჩვენს ახალ

საზღვრებთან, მაგრამ რკინის გზით და სომხეთის გადალახვით მაინც მედგრად მიიწვევდნენ ბაქოსაკენ და ყველას ჩაასწრეს, თუმცა სა-



მხრეთიდან ინგლისელებს და კავკასიით გერმანელებსაც (92) კავკასიის მიმდევად ჰქონდათ გეზი აღებული. ამ დროს ადერბეიჯანი ელოდა სმიშ-ლებს, როგორც განმათავისუფლებელ ძმებს; სომხეთი, როგორც გულ-ში ყოველი სომეხი და მუდამ, — რუსეთისაკენ იყურებოდა (გინდ სამოქალაქო ომში გახვეულისაკენ) და, აი, რა ჩოულ საომარ, პოლი-ტიკურ და საერთაშორისო პირობებში გვიხდებოდა საკითხის გადა-წყვეტა, ე. ი. გამოცხადება თუ არ გამოცხადება დამოუკიდებლობი-სა. მენტევიკები, როგორც ყოველთვის, — წინა აღმდეგნი იყვ-ნენ; ჩვენ, პირიქით, ამ, ღიღი ხნის ოცნებისა და ომითა და რევოლუ-ციით შექმნილ ხელსაყრელ გარემოებათა გამო, და აუინებით მო-ვითხოვ დით გამოცხადებას. მაგრამ, რასაკვირველია, მარტო ში-გნიდან დაწოლით ვერ დავძლევდით ინერციასა და მენტევიკების წი-ნააღმდეგობას, გარედან გერმანიასა და ოსმალეთსაც არ მოეთხოვ-ნა მუდამ იგივე.

ამ ორმაგმა წნევამ — შიგნიდან და გარედან — აი-ძულა მენტევიკები მხოლოდ 25 მაისს დაეყენებინათ ეს სა-კითხი „ეროვნულ საბჭოში“. ქართველი ხალხის სასიქადულოდ უნდა ითქვას, კრებამ ერთხმად (გარდა რამდენიმე „თავდაჭერი-

შენიშვნა (92): ამ ხანში, შავი ზღვით რუსეთიდან უკვე ნამდვი-ლი გერმანელების ჯარის ნაწილებიც ჩამოვიდნენ საქართველოში, — ლენერალ კრეს-ფონ-კრესენტტაინის მეთაურობით, და მეგობრული განწყობილება დაამყარეს, როგორც „მთავრობასთან“, ისე მოსახლე-ობასთან. 26 მაისს მათი ოფიციალური წარმომადგენელიც დაესწრო.

მახსოვს, წინა დღეებში რომ სახეიმო ვახშამი გაუმართეთ და ორივე მხრიდან აღელვებული მისაღმებანი ისმოდა და ისმეოდა, (ჩემ გვერდით მჯდომარე ახალგაზრდა გერმანელი ოფიცერი, ცრემ-ლებსაც კი იწმენდდა), ესეთი «პარმონია» ვ. ჯულელმა დაარღვია: „მუსიკაში (ვითომ რამე გაეგებოდა?!?) მე დისსონანსები მიყვარს და ამიტომ არ მომწონს ესეთი შეხმატებილებული მეგობრობა სამხედ-რო ძალასთან...“-აო. (მგონი, ეს მრავალ წახნაგოვანი სიბრიყვე, სტუმრებს არ გადაუთარგმნეს).



ლისა“ და ერთად - ერთი „ხელგასახმობისა“, — მგონებულებების ქიქოძე იყო, რომელმაც ხელი ასწირა წინააღმდეგ) — მიიღო „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება... ხვალ, 26 მაისს“.

მაგრამ, როგორ მოხდა, რომ 36 „სოც.-დემ.“, 10 „სოც. ფედ.“, 10 „სოც.-რევ.“ და მხოლოდ 9 „ნაც.-დემოკრატიის“ კრებამ მიიღო ასეთი „უცნაური“ — (ზემოაღნიშნულის მიუხედავად) — დადგენილება?

როგორც მოგახსენეთ, „საბჭოს“ დასაწყისიდანვე, არც ერთი საკითხი იქ არა სწყდებოდა, სანამ „სოც.-დემოკრატიული პარტიის“ საიდუმლო კრება სადღაც ჯურლმულიდან არ მოიტანდა თავის საკუთარ გადაწყვეტილებას. და აქ კი მოხდა სასწაული. ჩვენ ვერასოდეს ვერ გავიგეთ რა მოხდა იმათ კრებაზედ. ვინ იყო მომხრე, ვინ წინააღმდეგი? (შეიძლება ვიფიქროთ, — რამიშვილი, „სხიველები“ = „ს. დ. ავტონომისტები“ და ზოგი სხვაც, მომხრენი იყენენ, მაგრამ, ერთი არა ჩვეულებრივი ამბავი კი მომხდარა: პირველად, რაც კი ეს „ტერორისტული“ და „არა-დემოკრატიული“ პარტია არსებობს, — ნება მიუკითხ წევრებისათვის, — ხმა მიეცა ყველას თავისი ნებით და არა „უმრავლესობისათვის“ დამორჩილებით „უმცირესობისა“ -ო. აი, ამ საღმა უმრავლესობამ, ე. ი. ხალხმა, „ეროვნულ საბჭოში“ მოიტანა ქართული ინდივიდუალური ბენდი, და არა „მენშევიკური პარტიისა“, და, 26 მაისი — ყველა ამ ზემოაღნიშნულ რთულ გარემოებათა ჯამი იყო.

თორემ, რა დასავიწყია ბ-ნ სერგეი ჯაფარიძის, „მენშევიკურ, პარტიის“ ოფიციალ მომხსენებელის, წერილობითი მოხსენება, რომ საქართველოს „არ შეუძლიან დამოუკიდებლობა“ -ო! და, სხვა არგუმენტებთან, მთავარად ის მოპყავდა, რომ „საქართველოს ნავთი არა აქვს“ -ო. და კუდა-ამოძუებული წავიდა ეს „საუკეთესო მცოდნე... гражданского права“, — როგორც აზვიადებდნენ მენშევიკები, — როცა თითქმის სასაცილოდ ავიგდეთ და უხსნიდით, რომ „ბევრი პატარა და დიდი სახელმწიფო



არსებობს დამოუკიდებლად, თუმცა ნავთი კი არა, ნავთის სურაფენიზაცია დატრიალებულა შეგა: ბელგია, შვეიცარია... და თვით საფრანგეთის მიერა კი უნავთო ქვეყნები არის...“

ან ვის დაავიშუდება, რომ ბ-ნი კაკი წერეთელი, 25 მაისის კრებაზედ, გულშეწუხებული ჩავარდა სავარძელში და გაჰკიონდა ისტერიო-„ისტორიულ“ სიტყვებს: „რას შერებით, თქვენა ღუპავთ რუსეთის დემოკრატიას!“-აო?

და მეორე დღეს, 26 მაისს, იგივე კაკი (კაკოს — ბერძნულად ნიშნავს — ავს, ცუდს), უკვე პარტიული დისკიპლინით, ნოე ეორდანიას „ისტორიული“, რასაკვირველია, სიტყვის შემდეგ, რომ „... ამ ზალაში დღეს გარდაიცვალა ერთი სახელმწიფო — ამიერკავკასია და ეხლა იბადება მეორე, — საქართველო...“-ო, — იგი კაკი ასბოთებდა საქართველოს დამოუკიდებლობის აუცილებლობას. და ისე უგემურად ლეჭავდა ამ ძალდატანებულ საბუთებს, როგორც შეუზავებელ ლობიოს; ჩვეულებრივი რიხით კი არა ლაპარაკობდა, არამედ თითქო სამძიმარს ეუბნებოდა რუსეთს, იძულებული — ...ღალატზედ.

ასეთი უზემო იყო დამოუკიდებლობის გამოცხადება და ეს აღიბეჭდა კიდეც, საუბედუროდ, მენ შევიკურ „დამოუკიდებლობის აქტში“, საცა, აღფრთოვანების მაგიერ, ტირილი და ბოდიშებია... რუსეთის წინაშე.

მაშ რა უფრო მართალია, როცა მენშევიკები დღესაც გაჰკივიან, „პირველმა პრეზიდენტმა (?) (93) ნოე ეორდანიამ გამოაცხადა (ფორმალურად. რ. გ.) საქართველოს დამოუკიდებლობა“-ო, რუსენში უკვე შემოსულმა და რუსეთის დამჩრებელმა გერმანიური ჩენი უკვე შემოსულმა და რუსეთის დამჩრებელმა გერმანიური მთავრობის თავმჯდომარე იყო ნ. რაშიშვილი და, მიღებული „კონსტიტუციის“ ძალით, — საქართველო უპრეზიდენტო, უთავო რესპუბლიკა გახლდათ.

შენიშვნა (93). არასოდეს ეორდანია „პრეზიდენტი“ არა ყოფილი. პირველი მთავრობის თავმჯდომარე იყო ნ. რაშიშვილი და, მიღებული „კონსტიტუციის“ ძალით, — საქართველო უპრეზიდენტო, უთავო რესპუბლიკა გახლდათ.



„ საქართველოს

პარლამენტი“.

დღი 1917 წლის ეროვნული ყრილობიდან სრულიად უკანონიდ, რუსების ხიშტების მუქარით აირჩა „ეროვნული საბჭო“ 56 სოციალისტისა და 9 არა-სოციალისტის პროპორციით, ე.წ. „საქართველოს პარლამენტში“ არჩევნები სულაც არ მომხდარა: „ფრეილინის“ ქუჩიდან, „სასახლის“ ქუჩაზე გადავედით დაახლოებითი გაორკეცებით „საბჭოს“ დეპუტატებისა, რადგან ყველა „პარტიას“ უნდა დაპატებოდა იმდენი „დეპუტატი“, რამდენიც მოუწევდა — არ გაგეცინოთ — პროპორციულად, რუსეთის დამფუძნებელ კრებაში არჩეულ დეპუტატების რიცხვისა... და „კავკ. სეიმისა“.

მე არასოდეს არ მაინტერესებდა ესეთი „კომპინაციები“, მაგრამ ვიცი, რომ ამ უწესო, აბდა-უბდა „წესით“, „საქართველოს პარლამენტში“ აღმოჩნდა 130 დეპუტატზე მეტი, საცა „ნაც.-დემოკრატები“ აღმოვჩნდით 16; და, ვინაიდან მთელ საქართველოში 10 „ეს-ერ“-ის მეტი არ იყო, მათი გაორკეცებაც აღბად „ეს.-დეკ.“-ების საშუალებით მოხდა. ამას დაემატა კიდევ „ეროვნულ უმცირესობათა“, — სომხებისა და ადერბეიჯანელების — რამდენიმე წარმომადგენელი. ერთი რუსიც, ნამდვილი პარლამენტალური ოჯაფსანდალი, თორემ რა შეაში იყვნენ, ან რა საქმე ჰქონდათ „რუსეთის დამფუძნებელი კრების“ ან თითონ დეპუტატებს, ან იმათ პროპორციას, საქართველოს პარლამენტან? ან თუნდ „კავკასიის სეიმისა“? (94).

ასე თუ ისე, პარლამენტი გაიხსნა და ჩვენს კმაყოფილებას საზღვარი არა ჰქონდა, რადგან, მე დარწმუნებული ვიყავი, რომ საქართველოს აღდგენასთან, ამ განხორციელებულ ოცნებასთან, — ჩვენი გადარჯულებული ხალხი, ე. ი. უმაღლესი არისტოკრატია და უმდაბლესი „რუს. სოც.-დემოკრატია“, რომელთაც

შენიშვნა (94). „რუსეთის სოც.-რევ.“? „რუსეთის სოც.-დემ.?“ რუსეთის დამფუძნებელი კრების დეპუტატები? და „კავკასიის სეიმისა“?

ნამდევილი ეროვნული გრძნობებისა და შეგნებისა აღარა ჰქონდათ რა, — კვლავ „მოქრისტიანდებიან“, როგორც ჩენში ამბობენ ~~წარმოშობის~~ მე. უნდა გამოვტყდე, რომ მათში შევცდი. სამაგიეროდ, ხ ზღაპრული არა და ქართველი ერი გადაგვარებას გადარჩა.

* * *

შ. ქართველები და აქ, ერთი დამახასიათებელი დიალოგი ცვლაზე... გი მინდა გადმოგცეთ, ჩემი და შალვა ქართუმიძესი, რადგან ასეთი აზრები და დიალოგები, აღბად სხვასც აღეძვრებოდა მაშინ და ხდებოდა კიდეც აღბად.

ჩვენი, „საქართველოს ეროვნული პარტია“, სამწუხაროდ ძალიან მცირე რიცხოვანი, — მართალია, დაკავშირებული იყო „საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტთან“, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებით ვმუშაობდით ფაქტიურად გერმანელებთან და არაფერი ურთიერთობა ოსმალებთან არა გვეკონდა. ასე ვსოდეთ, ჩვენი ფალავანი იყო — გერმანია და გვწყინდა, რომ მის მაგიერ, აგერ მოდის ჩვენში, მართალია, მისი მოკავშირე, მაგრამ მაინც ოსმალო. ვნატრობდით და ვცდილობდით, ნაწილობრივ ხომ ვახერხებდით კიდეც, რაც შეიძლება მალე და მეტი გერმანელი მოსულიყო ჩვენში. მავრამ...

— რასაკვირველია, გერმანელების მოსვლა სჯობია, კულტურული ეკრანიელნი არიან, — ამბობდა შალვა — მაგრამ არც ოსმალების შემოსვლას უნდა ვეწინააღმდეგოთ, ბევრი მოსაზრებით.

— მართალია, კულტურულად ვერ გვაჯობებენ, მაგრამ ბარბაროსული წესები შერჩათ და ამით წაგვახდენენ.

— ოღონდ ე რუსები წავიდნენ და, ვინც უნდა მოვიდეს, მოგებაში ვიქნებით ეროვნულად. ვერა ხედავ, უკვე გადაგვარების გზაზედა ვდგევართ და ცვლილება თუ არა მოხდა რა, სულ გავითქვიფებით.

— და სულ ერთი არ არის, რუსებში გავითქვიფებით თუ ოსმალებში?

— არა, მე მაგას არ ვამბობ, — და როგორლაც „სხვანარიზაცია“
გაუბრწყინდა თვალები, თითქო ზეშთაგონებით ლაპარაკებულებით
ვამბობ ცვლილება გაიტანა. სწორედ, გინდ ბატონის ცვლა, უარე-
სიც რომ იყოს, ხალხს ჩააფიქრებს, გამოაფხიზოდებს. ხომ ხედავ, რო-
გორ შეეჩვია ხალხი რუსობას, ენას ვივიწყებთ; წინააღმდეგობის
მაგიერ, მოდუნებულია ყველაფერი. რუსული ვინ არ იცის ეხლა და
სანამ ოსმალურს ისწავლიდეს, ერთი თაობა მაინც იჭება იძუ-
ლებული ქართულს დაუბრუნდეს და ამ ხანში კიდევ გამოიცვლება
რამე, კავკასიას ოსმალებს არავინ დაუთმობს.

— მეც მაგრე ვფიქრობ, მაგრამ, სანამ პეტრე მოვიდოდეს, შე-
იძლება ოსმალომ ტყავი გაგვაძროს.

— რა უნდა გაგვაძროს ამაზე მეტი? შეხედე მენშევიკებს,
რუსეთმა ის მოახერხა, რაც საუკუნოების განმავლობაში ვერც ერთმა
მტერმა ვერა: ერთვნული სული შეურყვნა და ყველაზედ
საშინელი ეს არის. ასი წლის მონობამ დაამონავა ეს ხალხი.

— ევ ხომ ხალხი არ არის, უქნარა ნაძირალების ბატონობაა.

— საუბედუროდ, რუსების გავლენამ ეგენი გააძლიერა სწო-
რედ, და, 50 წელიწადი რომ კიდევ ასე დარჩეს, სულ გავრუსდებით.

— ლეთის მაღლით, რუსეთი დამარცხდა და დიდი პოლიტიკური
ცვლილებები მაინც მოხდება.

— ჰო და, მეც მაგას ვამბობ, ცვლილება უნდა მოხდეს,
გინდ ოსმალები დამცყრობელებადაც რომ იყვნენ და არა მოკავში-
რედ, გინდ ვინც უნდა იყვეს.

ეს აზრი, რომ, როგორიც უნდა ყოფილიყო, მხოლოდ ცვლი-
ლება გვიხსნიდა საბოლოო დალუბევისაგან, ოსმალების ოქუპაცი-
ასთანაც კი უფრო გვარიგებდა, შალვას აზრით, ვიდრე რუსეთის
დარჩენასთან. ბედმა სულ სხვანაირად დაატრიალა საქმე და სამი
წლის დამოუკიდებლობამ, ე. ი. უფრო დიდმა ცვლილებამ, მიმქრა-
ლი ერთვნული სული, დევნილი რუსებისაგან და მათი მონე-
ბისაგან უარესად, — კვლავ გამოცოცხლდა.

პარლამენტის წარმოიდგინეთ, რომ „საქართველოს პა-
 „კანონიერი“ რლამენტში“ ზოგი საკითხი, — შედარე-

შემადგენლობა. ბით უმნიშვნელო, რასაკვირველია, —
 პარლამენტალურად სწყდებოდა. დიდი უმრავლესობა კი და სწო-
 რედ დიდები, როგორც „საბჭოს“ დროს, — სადღაც სხვაგან და
 მზა-მზარეული, გადაწყვეტილი და ხანდახან უკვეც განხორცი-
 ელებული, მხოლოდ ფორმალურ დასადასტურებლად მოდიოდა.

მე ვიყავი „დეპუტატად“ — იმ ნაწილი, რომელიც „ეროვნულმა
 ყრილობამ“ ამოირჩია 1917 წლის ნოემბერს — „ეროვნულ სა-
 ბჭოში“, მაშასადამე, — ნახევრად მაინც კანონიერი და
 „პარლამენტის“ მეორე ნახევარი არჩეული იყო „კავკასიის სე-
 იმისა“ და „რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის“ და მათი
 პროპორციული აბრა. აი, რა სამი სხვა და სხვა სახელმწიფოსი და
 სხვა და სხვა ორგანიზაციის წევრები შეადგენდნენ „საქართველოს
 პარლამენტს“. კანონიერს? რევოლუციონერს? თუ?

სადღაც, ვიღასთანაც „შეთანხმებით“, გამოცხადდა პარლამენ-
 ტის „პრეზიდიუმი“: „კარლო“ ჩხეიძე, თავმჯდომარე; „სანდრო“
 ლომთათიძე და „სისიკო“ მდივანი — მისი თანაშემწენი.

„მთავრობაც“: ნოე რამიშვილი — თავმჯდომარე, შინაგან სა-
 ქმეთა მინისტრი;

ა. ჩხენკელი — საგარეო საქმეთა (ევ. გეგეშვილის მაგიერ, რო-
 მელსაც საოხუნჯოდ „საქმეთა გარეშე მინისტრს“ ეძახდნენ);

შალვა მესხიშვილი — იუსტიციისა;

გრიგოლ გიორგაძე — სამხედრო;

გიორგი უურული — ფინანსებისად.

და სხ.

თუმცა ბ-ნი გ. უურული „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“
 წევრი იყო, „პარტიას“ არც კი გაუგია მისი არც არჩევა, არც და-
 ნიშნეა, პარლამენტში გამოცხადებამდე და ამან უსიამოვნო ინცი-
 დენტიც გამოიწვია: გრიგოლ ვეშაპელმა მკვანე პროტესტი განაცა-
 და:



— ჩვენ ბ-ნი გ. უურული არ დაგვისახელებია და უფრო დამწერებული ჩვენს დაუკითხავად?—ო. პარლამენტალური წესით, ჩვენთვის უნდა მოვემართნათო.

რომ მოვემართნათ, ალბად სწორედ ბ-ნ გიორგის დავასახელებდით, მაგრამ ასეთ „აგდებაზედ“ მეც პროტესტი განვაცხადე და უურული უხერხულ მდგომარეობაში ჩავართა. აღარ მასხსოვე, მაშინვე განაცხადა, თუ მერე გავიგეთ მისი „აზრი : თუ არჩევანზე მიღვა, პარტია თუ მინისტრობა, მე პარტიის დეზავუაციას მივიღებ და მინისტრად დავრჩები“—ო. დარჩა კიდევაც და ამ საქმეს ჩვენ აღარ გამოვკიდებივართ. აღარც ბ-ნი გიორგი გამოგვეკიდებია: არც წინასწარ, არც შემდეგ თავისი მინისტრობა ჩვენთვის არ უცნობებია.

* * *

დარბაზი და ცხენი. ამის გარდა, თავიდანვე პარლამენტში ტრალი-კომიკური კურიოზები ხდებოდა. ჯერ „სახელშოდებაზედ“. ისტორიული მოსაზრებით, მე ჯერ „პარტიაში“ გავატარე და მერე მოვითხოვეთ, დაგვერქმია — „დარბაზი“ (95), მაგრამ მენშევიკებმა არა ჰქნეს: „საჭართველოს პარლამენტი“—ო და მათი სახელით, ალექსანდრე ლომთათიძე „არლვევდა“ ჩვენს მოსაზრებათ და ასაბუთებდა თავიანთას: „ასეთ დაწესებულებას ყველგან პარლამენტი ჰქვია და ჩვენც პარლამენტი უნდა დავარქვათ. რაც შეეხება „დარბაზს“, ყოვლად შეუძლებელია, რადგან დარბაზი... ცხენების დასაყენებელი დიდი ოთახია“...ო. იქ არ დამცალდა სიტყვა და საგაზეოთ წერილიც არ დამიბეჭდეს ამხანაგებმა, საცა მე ვწერდი: „...ალბად ის დარბაზი, რომელიც ბ-ნ ალექსანდრეს უნახავს, — სულ სარკეებით იყო მორთული და საცა გაიხდავდა, ცხენის თავსა ხედავდა“—მეთქი, თორემ ქართველმა ადამიანმა კი უნდა იცოდეს, რა იყო „დარბაზი“ პოლიტიკურად თამარ მეფის დროს და ან დღეს რა მნიშვნელობა აქვს დარბაზს. აქედანაა სიტყვა დარ-

შენე შენ ვა (95). ისტორიული ტრადიციის გასაგრძელებლად.



ბაისელიც, მაგრამ რა შეიძლება ყოფილიყო დარბაის სესია „სალაყბო“-ში, რომელიც პირდაპირი თარგმანია „parlement“-ისა.

მეტ-სახელებზე. ან კიდევ: „რუს. სოც.-დემ. პარტიამ“ შემოიტანა წინადაღება: «რადგან ჩვენი პარლამენტი გამოსულია(?) რევოლუციიდან და პარლამენტის ბევრი წევრი ცნობილია(?) უფრო თავისი რევოლუციონური მეტ-სახელით (кличка), ვიდრე გვარით (ეს კი მართალი იყო!), — თავჯდომარემ, როცა სიტყვას მისცემს დეპუტატს, უნდა გამოიძახოს: ... სიტყვა ეკუთვნის ამხანავს მავანსა და მავანსაო... ე. ი. მეტ-სახელითაო.

მე მაშინვე მოვითხოვე სიტყვა, — მადლობა ლმერთს, მეტ-სახელი არა მქონდა რა, და:

— ბატონებო, სადა ვართ ჩვენ, ველურ ქვეყანაში, თუ თავი მოგვაქვს, რომ კულტურული ხალხი ვართ? ჩვენს სხდომებს უცხოელები და განათლებული გარეშე სტუმრებიც ესწრებიან და სირცევილი იქნება, მასხარად აგვიგდებენ, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ მიჰმართოს დეპუტატს, მაგალითად: ... „სიტყვა ეკუთვნის ამხანავ ხუნხუზს (ნ. ხომერიქსა), ან: ამხანავო ბროდიაგა (96), — სიტყვა თქვენ გეკუთვნით“.

მე განვებ ასეთი უცხო და უმსგავსი მათი სახელები ამოვირჩიე, თორემ ამხ. კოწია, კოლია, კუჭია და ჭიპიკოც რამდენიც გინდათ (ან არ გინდათ) იქა ბრძანდებოდა... შინაურულად. მთელმა დარბაზ-მა სიცილი დაიწყო და ეს საკითხი მოიხსნა. ასე გადავარჩინე სიცილით პარლამენტი, — ბროდიაგებისა და ხუნხუზების სახელებს; აფსუს, რომ არავინ გამოჩნდა, ასეთ სახელების მატარებელთაგანაც გადაერჩინა, თუნდა ტირილით მაინც.

შენიშვნა (96). გორგი ურაძეს მეტ-სახელი იყო.

* * *

ე ნაზე. უფრო მწვავე საკითხი იყო, საკითხი ენისა. ამ ხანდა, მომხსენებლად გამოუშვეს „სოც. დემ. პარტიის, საპარტამენტო ფრაქციის“ ლიდერი კავი წერეთელი. წერეთელი ამტკიცდება, რომ თავისუფალ დემოკრატიულ ქვეყნებში, ყველა დეპუტატს უნდა მიეცეს უფლება ილაპარაკოს იმ ენაზედ, რომელიც ეადვილება, ე. ი. ხუთიოდე არა-ქართველი დეპუტატის გულისათვის, ფაქტიურად, საქართველოს პარლამენტში მსჯელობა რუსულად უნდა ყოფილიყო, რადგან მხოლოდ ეს ენა იყო ყველასათვის გასაგები, თორემ არც სომხურს, არც ადერბეიჯანულს უერც ერთი ქართველი დეპუტატი და ვერც პრეზიდიუმი ვერ გაიგებდა უთარჯიშანოდ. სწორედ ეს რუსული ენა ექვებოდა ბ. კავის, მაგრამ ადგილიდან დამცინავი რეპლიკებით და კათედრიდან ჩვენი სიტყვებით, ისე გადაუტრიალეთ ხალისი, რომ... შემდეგ სხდომაზედ ამავე საკითხზე გამოვიდა ოსტნიდე (რაჟდენი თუ მიხეილი?) და ჩვენს არგუმენტებს, თავისებიც დაუმატა და ამტკიცებდა იმავე „სოც. დემ. ფრაქციის“ სახელით, რომ „ქართულ პარლამენტში“; მსჯელობა ქართული უნდა ყოფილიყო. კავიმაც კი გაიკვეთა თანდათან, თუმცა რუსულის პათოსს ვერასოდეს ვეღარ მიაღწია და სწუხდა.

ესეთი უცები ცვლილება „ს. დ. ფრაქციისა“ ენის საკითხში, — საოცარი „დიალექტიკის“ შედეგი და მაგალითი იყო, რასაკვირველია, რადგან ერთსა და იმავე აღგილას და დღეს და ერთსა და იგივე პირსაც შეუძლიან დაგიმტკიცოს ზანგის სითეთრეც და თეთრკანიანის სიწითლეც, თუ გნებავთ, რაკი მათი ლოლიკის სიმჩატესა ჰქვია სწორედ, — დიალექტიკა.

* * *

დერბი. „ახალ სახელმწიფოს“ პარლამენტში, რაღა თქმა უნდა, სახელმწიფოს «ლერბზე» და «დროშაზედ»-აც იქნებოდა მსჯელობა, და იმავე კავი წერეთელის თქმა იყო — „ცალი ფეხით და ცალი ხელით მიჯაჭვული ამირანი, რომელმაც მოასწრო მხოლოდ

სანახევროდ (?) გაეთავისუფლებინა თავი და გაწყვიტა (ზოგი გამოკიდებული ჯაჭვი“).

დიდი ბრძოლის შემდეგ, როცა მენშევიკებმა კვლავ მისცეს უფლება თავის მრევლს, — ინდივიდუალურად მიეცათ ხმა, ჩვენ გავიტანეთ „თეთრი გიორგი“; მაგრამ დაგვიმახინჯეს, რასაკვირველია, და, ვეშაპის დათრგუნვის მაგიერ შუბით გმირისაგან, ვიღაც ჯამბაზი გადაახტუნეს... გუმბათზე და შუბის ტარიდანაც მოხსნეს ჯვარი. სწორედ ესეც ნამდვილი სიმბოლო გახდა მენშევიკებისა: ბოლშევიკურ ვეშაპს ვერ მოერიცნენ და დიდი სიტყვიერი ჯამბაზობით გადაფრინდნენ, გადაახტუნენ სტამბოლის გუმბათებს.

ლერბის მიღების ხანებში, ჰქუასთან მიახლოვებული ანექდოტი დაღიოდა: სამხატვრო კომისია აგვიანებდა პროექტების წარმოდგენას და 6. ეორდანიამ გაგზავნა გ. უურული დასაჩქარებლად და გასაგებად, თუ რას ამზადებენ. უურული რომ დაბრუნებულა, უთქმვამს: ყველაზე უკეთესი პროექტი „თეთრი გიორგი“ არისო — „ცხენზე ზის ვაჟკაცი და ჰქლავს... ვეშაპელს“—ამ.

— ა... ა... აპა, ეგ კარგი იქნებაო, წარმოუთქვამს „დიდ ნოვეს“. მაგრამ „პატარა ნოვეებს“ (კიდევ 3 ხომ სხვა იყო!) „უხიმანებიათ“ და, მიუხედავად უურულის „დიპლომატიისა“, ვეშაპი-ვეშაპელიც კი გუმბათად შეუცვლიათ: „მთა(?) არისო“. ასე რთულად იბადებოდა საქართველოს ლერბი.

* * *

დროშა. სახელმწიფო დროშის საკითხი უფრო ადვილად გადაწყდა; ალბად იმიტომ, რომ ეროვნული დროშის „ფონი“ (ფართობი) თითქმის არ განსხვავდებოდა — მარქისისტული სიწითლისაგან და მხოლოდ წინა კუთხეში დარჩა პატარა თეთრი და შავი ზოლი.

მაგრამ მაინც, როცა პარლამენტის სასხლეზე, ბოლშევიკურ წითელ დროშის გვერდზე აფრიალდა ეროვნული დროშა და ლასა მგელაძემ, ეს სასიხარულო ამბავიც ამცნო თბილის მამადავითის ზარების რეკვით, — ვალიკო ჯუღელი „იღმანჭებოდა“ ბრაზით, მოითხოვდა მოხსნას და თავის უმგვან

რუსულ წიგნში „Тяжелый крест“ (ბ-ნ ევგენი გეგეჟიორის რუსულენაის ბული წინასიტყვაობით), — აღმოცებით იგონებს ამ „რფაშიციას“ (?) და შოვინიზმის (?) გამარჯვების დღეს“. წითელი მენშევიკურ-ბოლშევიკური ჩვარი კიდევ დიდხანს ფრიალებდა ქართული დროშის გვერდით, დამოუკიდებლობის დროსაც. და თუ დამოუკიდებლობამ გასტანა მხოლოდ 2 წელიწადი 9 თვე და 9 დღე, წითელი მენშევიკური დროშიდან, ნამდვილ ბოლშევიკურ წითელ დროშამდე, ამდენი ვადაც არა ყოფილა.

* * *

„პარლამენტარიზმი“. მართალია, ჭევიანმა ეორდანიამ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის“ „მუდმივი ნეიტრალიტეტი“ (?) გამოაცხადა და არა ნაკლებ ჭევიანმა გეგეჟიორმა „საშუალო საუკუნეების შეიარაღებული ფსიქოლოგია“ გააუქმა... ოსმალეთშიაც კი, მაგრამ საქართველოს არც გარედ და არც შიგნით ამას გავლენა არ მოუხდენია, როგორც ბუზების ბზუილს ყამირის ლრმა გადაბრუნებაზედ. ამიტომ ქართული პარლამენტის ხანაში — მაისი 1918- მეათათვე 1919 წელს — მარტო ზემოაღნიშნულ „წერიმალებზე“ არ გვიხდებოდა ბრძოლა და დავა, სიცილი და დაცინვაც.

თვით პარლამენტი, მის გარეშე და საქართველოს გარეშეც მოვლენები „სავნობრივი ლოლიკით“ (Логика вещей) მიმდინარეობდა და არა ქარაფშუტა „დიალექტიკით“.

შიმშილსა და უფულობას, ვერაფერი დაუპირდაპირეს, გარდა „შეეჭდავი დაზგისა“ და „ერაძის პურისა“, საცა უცნობ სიშავის (?) გარდა, ნაცნობი ლურსმანი, ნახერხი, ბზე და თოკის ნაგლეჯიც შეგვხდებოდა. ათი სანტიმეტრის სისქე ჭადის ცომი — 400 მანეთი ლირდა: და, თუ ბ-ნი ეორდანია მარტო სიკვდილის შემდეგა სტყდება: „საბეჭდი დაზგის მეტი არა გვქონდა რა“-ო (97), სიკვდილის შემდეგაცა სლუმს, რომ, გარდა პარლამენტისაგან დართულ „კანონიერი“

შენიშნვა (97). იხ. „ჩემი წარსული“ გვ. 167.

ფულისა, მილიონობით იბეჭდებოდა მათგანვე, — ყალბი ფულიც. და როცა ეს აღვნიშნეთ პარლამენტში და „მთავრობის წევაზე“ კაქი წერეთელმა, მგელივით ანთებული თვალებით, დაგვეყივლა, ოპოზიციას, კათედრილან: „.... ფიზიკურად გაგანადგურებთ...“ - ო! კანონით შეუვალ დეპუტატებს გვემუქრებოდა... დემოკრატიულ ქართულ რესპუბლიკაში, „რუსეთის ს.დ.“ - ის ლიდერი. რაღა თქმა უნდა, გული მოსდიოდა, რადგან სისხლს უშრობდით, ყოველთვის არა-ეროვნული, არა-სახელმწიფოებრივი, არამედ ყაჩალური მოქმედების დამცველად რომ გამოდიოდა (ან გამოჰყავდათ) ეს „პატიოსანი“ (?)... მებრძოლი.

[შენიშვნის მაგირ: ანალოგიური „ამბების“ გახსენება კარგად ასურათებს „პარლამენტარულ“ ჩვენს ატმოსფეროს. ერთხელ, მუშათა კომისიაში“ რომ მივდიოდით, — საცა რ. არსენიძე თავმჯდომარედ იყო და მეც წევრად, — ვეუბნები: საქართველო ვერ აიტანს ამდენ თქვენს არა-სახელმწიფოებრივ სისულეელებს და ალბად ძალა-უფლება და მთავრობა უფრო სახელმწიფო ხალხის ხელში გადავა-მეთქი.

— თუ როდისმე თქვენი მთავრობა შეიქმნა, სათითაოდ აგაფეთქებთ და დაგხოცავთ-ო, — მიპასუხებს... მომავალი „იუსტიციის მინისტრი“.

როცა ესევე განუმეორე „მიწათ-მოქმედების“, უკვი „ყოფილ მინისტრს“ ნ. ხომერიკს, — სტაბოლში, რომ „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ გამოელდა და ჯანსაღ ეროვნულ ელემენტებთან ერთად, — თქვენივე იდეოლოგიის მიხედვით, რომ „ძალა-უფლება იმის ხელშია, ვის ხელშიაც ეკონომიური ცხოვრებაა“ — და ფაქტიურად, მიწათ-მოქმედ საქართველოს მთელი „ეკონომიკა“, ჩვენს გაერთიანებულ კოოპერატივების ხელში იყო - მეთქი, ბ-ნი ხომერიკი მიპასუხებს: „ამიტომ იყო, რომ ყველა თქვენს დაწესებულებაში თითო კაცი მაინცა გვყავდა შემოყვანილი, რომ შიგნილან აგვეფეთქებინეთ“ - ო. და მართალიც იყო: გ. მაჭავარიანი — „კახეთში“, ე. დევდარიანი — „წარმოკავშირში“, ი. რუხაძე —



„ქართლში“, ბოლოს ავალიანი — „მწყემში“ და სხ. დუჭუჭუკუტავი ვიღებდით გულშრფელი თანამშრომლობის დახმცირებულებულ, სულ ამაფეთქებელი ხალხი იყო, ხელის შეწყობის მავიერ — საქართველოს რეალური სიმღირის შესაქმნელად].

როგორც, მაგალითად, იმ შემთხვევაში კიდევ, როცა ბოლ-შევიკებმა ვამოუგზავნეს მენშევიკურ მთავრობას — 30.000.000 — მანეთი ნიკოლოზის ფულისა (მაშინ ჯერ კიდევ უფრო მაღლა იდგა ჩვენსახე) და, იმის მავიერ, სახელმწიფო სალაროში შეეტანათ, — პარტიულად გაიყვეს „რუს. სოც. დემოკრატიამ“ და „რუს. ეს.-ერებმა“ (98); და ჩვენ ეს შევადარეთ ოფიციალ გამოსვლებში: „ტრაპიზონის მარადიორობას“.

ან კიდევ ვალიკო ჯულელის გვარდიისაგან გაცარცულ ოსების სოფლელ გლეხების საქონელს — „საომარ დავლად“ რომ აცხადებდა, გვარდიისა და პარტიის წევრთა შუა გაყოფილს.

მასსოეს, ერთ-ერთი ასეთი შეტაკების შემდეგ, რომ გაფითრებული „ერეკლე“ ჩამოვიდა კათედრიდან, მენშევიკებმა მისაყველურებს: როგორ შეიძლება, ციხეებში დატანჯულ, დაჭლექებულ რევოლუციონერს, ეგრე სასტიკად ლანდღავო!

— რუსეთის თვის იტანჯებოდა და რუსის ციხეებში ლპებოდა, საქართველოსთვის რა გაუკეთებია? - მეოქი, წავიდეს იქვე!

მაშინ აღარ დამიმატებია, რომ ნ. უორდანიაზედაც და კ. წერე-თელზედაც 20 — 30 წელიწადია გვესმოდა, რომ „ჭლექიანები არიან!“ — ეს რაღაც მენშევიკური „ტანჯულობის მოდა“ იყო, გადმოტანილი 1830-ან საფრანგეთიდან. ჭლექიანები არ იყვნენ თითონ, მაგრამ ჩვენ და საქართველოს „ჭლექი გაუჩინეს“, ჩვენში რომ ამ-ბობენ.

და ამ „ყაჩალობისა“ და „ყაჩალების“ მუდმივი დამცველი, ბ-ნი კაკი, როცა უკვე აქ, პარიზში, — „ოპოზიციაში“ გადავიდა, „მეორე

შენიშვნა (98) მენშევიკები იძულებულნი იყვნენ „დაეთმოთ“ ამ 30.000.000-ის ნაწილი „ეს.-ერებისათვის“, რადგან მათოვის გამოგზავნილი ფული მოვიდა შემთხვევით (?), ილიკ ქარცივაძის სახელშე და არ აძლევდა, სანამ ნაწილი, თავისი პარტიისათვის არ მიიღო, რევ.-ზეობითა და წესით.



ინტერნაციონალიდან“ გამოიყვანეს (99) და აღარ გაიკარეს, ხმირად გვეუბნებოდა: „როგორ შეგიძლიანთ თანამდებობის უზრუნველყოფას და უსინიდისონი არიან“—ო. სწორედ ასეთივე სიტყვებით ახასიათებდა მათ და მათი რ. არსენიძე „შემათანხმებელ კომისაში“, პარიზში, 1949 წელს... მთელი წლის განმავლობაში. პირად ურთიერთობაში, მე მართლაც დავრწმუნდი, რომ სახელმწიფო კაცი თუ არა, მათთან შედარებით, ბატონი კაკი წერეთელი პატიოსანი კაცია, თავისებურად: ფანატიკოსი რუსული რწმენისა და სიტყვის არ გამტეხი.

მაგრამ, არ იფიქროთ, ზემოაღნიშნული „სადაო“ საკითხები, მათ მოჰკონდათ პარლამენტში; არა, ჩვენ გვიხდებოდა, როცა შემთხვევით გავიგებდით ხოლმე; და რამდენი არ გაგვიგია, ღმერთმა უწყის! ეს ხომ იყო „პარლამენტი, უპარლამენტარიზმოდ“, ე. ი. ლობიოშეჭამანდი ულობიოდ, როგორც ბრძანებს ნ. უორდანია თავის „რჩეულ ნაწერებში“ (გვ. 23), — თავიდან ბოლომდე სინამდვილის საწინააღმდეგო ყალბს ფრაზე ოლოგიაზე ავებულს, როგორც ბოლშევიკებსაც, „ქართ. სოც.-დემ. პარტიის“ „ისტორიის(?) მოკლე კურს“—შია ნამბობი ზღაპრები, სიცრუის ოსტატებისაგან.

შენიშვნა (99). მე მაშინაც პროტესტი განვაცხადე, რომ სწორედ ეს საინტერნაციონალო ადამიანი, საცა ისეთი ნცობა მოიპოვა, რომ მდივნობის კანდიდატიც კი იყო,— გამოიყვანეს და მის მავიერ უმწეო ჩინოვნიკი—კოშია გვარჯალად შეიყვანეს.

შენიშვნა (100). ჩაც შეეხება „განამშრომლობას“, ჩემი თანამშრომლობა „ცენტრში“ (30—იან წლებამდე) გამოიხატებოდა იმაშივე, ჩაც საქართველოში და „ცენტრითან“ გამოსვლის შემდეგაც; უორდანია-გეგეჭორის წაკე-უკავეჭობის შეილებაში, იმ პრინციპით, რომ ქართული საქმე უკელვან ან კეთდება, ან ფუჭება, ამიტომ ჟველ გან უნდა ვიყვნეთ: საცა კეთდება,—ხელი შეუწყოთ, საცა ფუჭება,—ხელი შეუშალოთ, განზე გადგომა ან დეზერტირობაა, ან პილატესებური ხელის დაბანა. ასეთი გაგებით, რიხანი კაკიც სჯობდა „ინტერნაციონალში“, უფერულ კოშიას.

* * *

გერმანელების მაგრამ თვითონ ქართველი ხალხი —

წინადაღება. გლეხობა, მუშები, ინტელიგენცია, ან თავად - აზნაურობა თუ ლოიალურ აპოზიციასა და კრიტიკას არ გასცილებია მთავრობისა და პარლამენტის მიმართ, არა-ქართველი ელემენტები ყველა მტრულად იყო განწყობილი საქართველოსადმი და ჰკუ ა-ნეიტრალ უორდანის, გენიოს ერეკლე მეფეზე ნაკლები ომების წარმოება არ დასჭირდა. იმ განსხვავებით, რომ ერეკლეს დროს ქართლ-კახეთიც მარტო იყო, საქართველოს ბევრი გარეშე მტერიც ჰყავდა, შიგნითაც და ოჯახშიაც აწეშილი საქმეები, უორდანის კი ბედმა მთლიანი საქართველო ჩააბარა და ამ ეროვნული ერთობის გამოყენების მაგიერ, — ეროვნული ჯარისა და დაწესებულებათა შექმნის მაგიერ, სახელმწიფოს გასამაგრებლად, — შექმნა პარტიული გვარდია და თითონა ჰქსაქსავდა ქართველების რეალურ ერთობას უთავ-ბოლო „სოციალიზმით“ (101).

თავიდანვე, ჩვენი დამოუკიდებლობის დასაყრდნობი — გერმანელები იყვნენ ხომა; — 1915 წლის ხელშეკრულობის გარდა, ოსმალების წინსვლის შეჩერება ნახევარზე მეტი „შეთხულ გერმანული ჯარის“ საქმე იყო და შემდეგ, არა მარტო თვით ფაქტი ნამდვილ გერმანელების ჯარის ყოფნისა ჩვენში, ზურგი იყო ჩვენი, არამედ ახალციხე-ახალქალაქ-ბორჩალოს „თათრების“ ბრძოების გამოსვლა — ოსმალო ოფიციელების ხელმძღვანელობით — თვით გერმანელმა ჯარებმა ჩააქრეს ჩვენ ნაწილებთან ერთად.

მაშასადამე, სისხლიც კი დაღვარეს ჩვენთან ერთად თითქმის სანახეროდ, თავიანთ მოქავშირეების წინააღმდეგ. და, როცა ამის

^{შენიშვნა (101)} სახელმწიფოებრივი ნიჭის შესადარებლად ისიცა კმარა, რომ ათასწილად უარესს პირობებში ერეკლე მეორემ იმედა 60 წელიწადი და გარდაიცვალა საქართველოში, მეტყვიდრეს დატოვებით, ნოე პირელმა სამიც ვერა და მოკვდა — გაქცეული... ვანვში, ლოვილის მემკვიდრეების შეთხვეით.



შემდეგ, გაკვირვებულთ, რომ „ქართველები ჩვენზე უკეთ შესჭირული ხერხებულად, გაბედულად იბრძოდნენ“-ო (102), ოფიციალური წინადადება მისცეს ჩვენს მთავრობას: „ჩვენ მოგცემთ ფულს, იარაღს, ინსტრუქტორებს, — შევქმნით თქვენი საკუთარი ორი რკინის დივიზია (103), რაც საკმარისია საქართველოს კათვის მშვიდობიანობის დროს, და, ომის დროს შევიძლიანთ 300.000-მდეც აიყვანოთ“-ო: — ჩვენმა მთავრობამ, არა მარტო უარი უთხრა ასეთ კეთილშობილ დახმარებაზედ, არამედ ბოროტებად ჩაუთვალა, რაღაცა მზაკვრობად და ეს, ჯერ კიდევ 1918 წელში შემოთავაზებული, — 1920 წელსაც დაწერილ „თაქელის კрест“-ის უნიჭო ნაბოდვარში, გამოყვანილია, როგორც უკუსაგდები კავშირი(?) „იმპერიალისტებთან“, ამ უბადის „რევოლუციონერებისა“. გარდა მისა, ჯერ მაშინვე, როცა გერმანელები ჩვენში იდგნენ, ნ. უორდანია, უტიფრად გაღმოდგა პარლამენტის ტრიბუნაზედ: „თქვენ მოღალატენი ხართ, გერმანის „შტიკებზედ“ გინდათ დაეყრდნოთ ქართველი დემოკრატიის წინააღმდევ“-აო, ჩვენზედ ამბობდა.

მშიშარა უორდანიას ელანდებოდა ალბად, რომ გერმანელების ეს წინადადება, ჩვენი განზრახვით მოხდა და ფაქტურად ჩვენ არა-ფერი ვიცოდით და არც პარლამენტში შემოუტანიათ გასარჩევად. ალბად „პარტიის“ დადგენილებით უთხრა მთავრობამ უარი და ეს ამ-ბავი დავვიახნებით გავიგეთ. მზაკვრობა უორდანიასი იმაშიც იყო, რომ თითონ „გვაკურთხა“, ასე ვსთქვათ, გერმანელებთან თანამშრომლობაზედ 1915 წელს; მე პირადად ხომ „მანდატიც“ მომცა ამაზედვე — 1917 წელს, და ეხლა, თითონ, გამარჯვებული რუსების ხი შტებით, — ჩვენ გვაბრალებდა „მოღალატეობას“.

შენიშვნა (102). ესეთი მაღალი აზრი ქართველთა მხედრულ თვისებებზე — წინააღმდებარებული მაგ., რუსებს და მეორე დიდი ომის დროსაც იმავე რუსებს და გერმანელებსაც,

შენიშვნა (103). პირველ მსოფლიო ომში, გერმანელებს ჰყავდათ განსაკუთრებულად შეიარაღებული და მეღვარი ნაწილები, რომელთაც „რკინის დი-ვიზიები“ ერქვა, 15.000 მეომრისაგან შემდგარი თითო.



მოლალატეებს — ხვრეტენ, უსინიდისო ცილის-მწამუმადულურ ჟული
— პირში აფურთხებენ. და, რა უნდა მოგვეთხოვნა յაკი შეტყუფურაშავა
სათვის, რომელმაც ესევე ბრალდება წამოგვიყენა პარლამენტში,
რადგან რუსეთის ციხეებში ან თუნდ რუსულ ტრიბუნებზედ რას
გაიგებდა, რომ ჩვენი სულელური ლოიალობით, არც ერთი ნაბიჯი
არ გადაგვიდგამს გერმანელებთან, ყორდანის კურსში ჩაუყენებ-
ლივ. ეტყობა, ქართული ანდაზა: „სინიდისიც კარგი საქონელიაო“,
ორთავეს რუსულად ესმოდათ: „Совесть тоже порядочная скоти-
на“-ო.

* * *

ინგლისელების აქ მინდა, წინასწარ, მოკლედ მოვიყვა-
წინადადება. ნო ინგლისელების სრული იად
ან ალოგიური წინადადება — ორი ქართული დივიზიის
შექმნისა, რაზედაც ისევე უარი უთხრა მთავრობამ, როგორც გერ-
მანელებს. თუ გერმანელები მიუღებელი პარტნერები იყვნენ, რო-
გორც „იმპერიალისტები და მონარქისტები“, ინგლისელები ხომ
უალრესი დემოკრატიის წარმომადგენელნი ბრძანდებოლნენ და რა-
ტომ არ მივიღეთ? იმიტომ რომ, ძალის თავი „იმპერიალიზმისა“
და „დემოკრატიზმის“ შეა კი არ იყო დამარხული, არამედ უორ-
დანია-გეგეჭკორ-ჯულელის არა-ქართულ (დამჯდარ) ბუნე-
ბასა და მათს პრო-რუსულ ფუქსატობის შეა. მაგრამ ამაზე შე-
მდეგ. აქ მარტო იმიტომ მომყავს ეს ამბავი, წინგასწრებით, რომ
გერმანისა და ინგლისის, ამ ორი მოპირდაპირე ბანაკის,
თანაბრად სწორი გაეგბა სახელმწიფოს ძირითადი შუხლისა — სა-
მხედრო ძალის საჭიროებაზე — თუ როგორ შეუვალი იყო ჩვენი
მთავრობის მოკლე ჭკუსათვის.

* * *

„სომეხ-ქართველთა ნოემბრის შუა რიცხვებში მოვი-ომი“. და თავზარ დამცემი ამბავი, რომ

გერმანიამ ზავი მოითხოვა, თუმცა თავს დამარცხებულად არა გრძნობს. როგორც „ნეიტრალურ“ სახელმწიფოს, ჩვენ განიარაღება უნდა მოვცეხდინა ჩვენში ჩარჩენილ გერმანელებისა, მაგრამ მენშვეიკების სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ აქაც, არა-პირველად გამოიჩინეს ქართული სტუმართ-მოყვარეობა, გერმანელები სამშობლოში გააპარეს და არ შეირცხვინეს თავი მათი არც გაცარცვით, არც დატყვევებით, არც, სულ მალე მოსულ, —ინგლისელები-სათვის გადაცემით (104). „ერთი ალილუა მღვდელსაც შესცდება“, ეტყობა, მარქსის ქურუმებზედაცა ვრცელდება და ეს კეთილშობილი ნაბიჯი, არ უნდა დაუფოლოთ (105).

მაგრამ, გერმანელები წავიდნენ თუ არა, ინგლისელები ჯერ არ მოსულიყვნენ, სომხებმა ომი აგვიტეხეს. მე, როგორც ქართველს, როგორ შემიძლიან ვსთქვა, საქართველოს ბრალი ყოფილიყოს ეს «ძმათა ომი», საუკუნეთა განმავლობაში არ გაგონილი, მაგრამ იმის უარყოფა არ შეიძლება, რომ ეორდანიას მთავრობა სრულებით მტყუანი იყო და შნაკელების მთავრობასთან და ორმა სოციალისტურმა პარტიამ აღვრცვინა სისხლი ორ ერს: 1912 წელს, სწორედ იმ პირებმა «დაუთმეს» ახალციხე, ახალქალაქი და ბორჩალოს მაზრა ნაეთლულამდე, რომელნიც ეხლა საქართველოს მთავრობაში ბრძანდებოდნენ და სწორედ იმ პირებს, რომელნიც ეხლა სომხეთის მთავრობაში აღმოჩნდნენ: „ხენაში პირობა სჯობს, მექაში — ხმლების ტრიალსაო“ და ეს ორი „პარტია“ სხვისას ხნავდა, პირობის დადებისას, და, სულ სხვისას იმჟიდა. გარდა ამისა, 1917 წელს ხომ ამტკიცებდა უორდანია — თბილისის მესამედი — სომხებისა არისო და 1918-ში, არა თუ მე-

შენიშვნა (104) იხ. დ. ვაჩაძის „მოგონებათა რვეული“, 1944 წ.

შენიშვნა (105). თუმცა იმავე „ნეიტრალობის“ ძალით, ინგლისელებიც უნდა განვცილარებინა, ხომა.



სამედი არ დაუთმო, თბილისის ქალაქის თვით-მმართველობულობა გაპყარა და „თავისი ბიჭები“, პარტიული ამხანაგები ჩამდინარებული ლებიც ჩამოართვა, როგორც ბურჯუაზის და ავეჯიცა და საცვალიც მიაყოლა, ლენინის ლოზუნგით აღბად: „Грабъ на граблене-иое“-სიამ. მიხეილ ლაშეკარაშვილის სიტყვით ხომ, „დათმობილ“ ბორჩალოს მაზრაში (106), „გვარდიამ სომხებს ბეჭედი და საყურე არ შეარჩინა, არამცუ სხვა ნივთი“-ო, — ჯერ კიდევ „სომეხ-ქართველთა ომამდე“-ო.

რომ ომი მზადდებოდა სომხეთის მხრიდან და რუსის „თეთრი არმიის“ ოფიცერებიც ჰყავდათ ხელმძღვანელებად, ჩვენმა მთავრობამ იცოდა, სომხეთში დანიშნულ ელჩის, ბ-ნ სისიკო მდივნისა და მისი (მგონი) თანაშემწის, მიხეილ ყანჩელის ოფიციალური პატაკებიდან. რალაცა „ზომებიც“ კი მიულია მთავრობას და ჯარიც კი გაუგზავნია სომხეთის საზღვარზე, მაგრამ ბ-ნ აკაკი ჩხენკელს (107), — დიპლომატობის გარდა სტრატეგობაც უკეთესად რომ ეხერხებოდა, — მთავარ-საჩილის განკარგულება: ერთ მუშაობა ჯარის ყოლა „, დაურღვევინებია: „სოფელ-სოფელ ჩააყენეთ პატარა-პატარა ნაწილები, აჯანყებები არ მოხდეს სადაო(?) ზონაში“-ო. თუმცა მთავარ-საჩილი ლენერალი ოდეშელიძე იყო, აკაკის, ამხანაგურად დაურწმუნებია „რევოლუციონერი ლენერალი“, დუშეთის გმირი, იოსებ გელევანიშვილი და ჯარი გაუფანტიათ. და, აი, ერთ მშვენიერ — არა? — ბნელ ლამეს, გაფანტულს, ზოგს ნასვამს, ზოგს

შენიშვნა (106) რაში ენალვლებოდათ ლანჩხუთელ გაკოტებულ აზნაურებს ბორჩალოს თავადების მდიდარი მიწების დარიგება, ბურბუშელა „პრინციპით არეალური მოსახლეობისა“? მაგრამ როცა თავისად იგულა, „მდგომარეობაზ კი არ შეუქმნა შეგნება“, შეგნებით მდგომარეობის შექმნა მოინდომა და სომხები აიმხედრა.

შენიშვნა (107). რა იმის საქმე იყო? ვისი ტიკი-ტომარა? ერთხელ ბორჩალოს მ-ზრაში ყოფილა და ალბალ მაშინაც იფიქრა: „ქე დიდი ქვეყანა ყოფალა“-ო! ამიტომ შხედრობაც მოინდომა, როგორც „თავმჯდომარემ სამხედრო კომისიისა“... რაკი მხედრობისა არა-გაეგვებოდა რა. ამაზე იხ. ღენ. ოდიშელიძის მოხსენება სტამბოლში). ესევე გამეორდა უკანასკნელი ომის დროს ბოლშევიკებთან.

ნამძინარევს, ზოგს დანათლიავებულ ჩვენს ბათალიონებს დასუფრიდენ შედეგი
სომხის ჯარი და ტყვედ ჩაუგდიათ.

ვალოდია გოგვაძეს ორ ჯავშნოსან მატარებელს გზა ჩაუხერ-
ებს, ქვებითა და იარაღით დაუმტვრის ისე, რომ ძლივს ცოცხალი
თავით გამოასწრო; დანარჩენები გამოიქცნენ და სომხის რეგულია-
ლურმა ჯარმა, რეგულიალურად შემოგვიტია...

და ბ-ნი ნ. უორდანია, — დიპლომატიური(?) მოსაზრებით(?) —
პარლამენტში ამბობდა: „... სომხების აჯანყებული ბანდები, კონტრ-
რევოლუციონური დაშნაკებისა, ებრძეის... დემოკრატიას..“ — „აო.

ამ „ბანდებმა“ წაართვეს ზარბაზნები გვარდიას, გარსშემოერ-
ტყნენ ჯულელის რაზმებს ეკატერინენფელდში და მთლად დაატყვე-
ვებდნენ; ორ-სამ დღეში შეიძლება თბილისშიაც შემოცვივნუ-
ლიყნენ, რომ საჩქარო ზომები არ მიგველო... სარდლად და-
ინიშნა გიორგი მაზნიაშვილი; მოხალისედ გავიდა და შტა-
ბის უფროსად გახდა ღენერალი კვინიტაძე; დათა ვაჩნაძემ, კახეთი-
დან, ჩამოიყვანა 500 ჯარისკაცი (108) და სხვა აღილებშიაც შე-
კრებილი დანარჩენი 4.500, — გავგზავნა ფრონტზედ, თუმცა დ. ვა-
ჩნაძეს არავითარი „პოსტი“ არ ეჭირა და ისიც მოხალისე იყო; (ჯარი
ჩამოვიდა იმ „კახეთის რკინის გზით“, რომლის გაშენების წინააღ-
მდეგ იყვნენ ჩვენი გაუთვალისწინებელი სოციალისტები). აი რამ,
არა მარტო იხსნა მდგომარეობა, არამედ დაამარცხა სომხები, აიღო
მათგან აღებული შულავერი, სირცხვილს გადაარჩინა გვარდია და
სომხები მთლად განდევნა საქარველოს საზღვრებიდან.

მაგრამ... უორდანიამ გასცა ბრძანება, გამარჯვებული
ჯარი შეჩერებულიყო, მტრის დევნისა და განადგურების
მაგიერ, როგორც სამხედრო ხელოვნება მოითხოვს, და, რომ „პარ-
ლამენტის დეპუტატებიც, — იგულისხმებოდა დ. ვაჩნაძე — არ გა-
ეშვათ ფრონტზედ“. ბ-ნი ნ. უორდანია, ასე ესთქვათ, „სიკვდილის შე-
მდეგაც“ სტუურის, თავის „ჩემი წარსულში“, ამ ამბების აღწე-

შენიშვნა (108). იხ. დაწვრილებით ეს ამბავი დ. ვაჩნაძეს „მოვონ. რვე-
ულში“, 1944.

რაში, განვებ ბუნდოვანად (იხ. გვ. 133-ს ბოლოდან 136-ის დასაწყისამდე) და ინგლისელებზე (109) გადატანით საკუთარი ბრალისა.

გარდა იმისა, რომ არავითარი წინასწარი სამჩადისი არ იყო ნამდვილად მოსალოდნელი ომისათვის, როგორც ყოველ-თვის შემდეგაც, — დაითხოვეს გამარჯვებული ლენერლებიც და ჯარიც; დაჭერილი მტრისაგან და უკან დაბრუნებული ჩვენი ტერიტორია — «სადაოდ» გამოაცხადეს და ვიღაც ორი უპასუხისმგებელო ინგლისელის მყვირალა ლათაიები, ვითომ „ინგლისის ულტიმატუმად“ მიიღეს.

ფუქსავატობა და სიყალბე უორდანიასი იმაშია, რომ სომხებთან ომის მიზე ზებს რასაც მიაწერს (გვ. 134 მისი წიგნისა), — სინამდვილეში მისი საკუთარი, 1917 წელს წაყითხული მოხსენების შინაარსი იყო ბელინსკის ქუჩაზე № 2, საცა ის თითონ გვიმტკიცებდა სწორედ იმას და იმავე არგუმენტებით, რასაც თავის წიგნში სომხებს მიაწერს. სწორედ ამაშია მარქსისტული (?) ყალთაბანდობა (იხ. აქვე გვ. 194), რომ 1912-ში და 1917-ს მენშევიკები — ეთანხმებოდნენ სომხების პრეტეზიებს ქართულ ტერიტორიისა და თბილისზედ. მაგრამ, ან მათმა მრეცვლმა რა იცოდა მაშინ, ან საზოგადოდ ქართველი ერი როგორ მოითმენდა შემდეგ, ასეთს გაყიდვას?!

ან სომხები როგორ გაბრიყედნენ და საქართველოს ტერიტორიის როგორ ყიდულობდნენ „რუსეთის სოც.-დემ. პარტიისაგან“? პატრონს, ქართველ ერს, აღარა ჰყოთხავდნენ? და კიდეც დაიმტვრიეს კბილები და... არშავ ბაბოვის ხელით გადაცემული ფულებიც დაპკარგეს... და დოლუხანვის ცრემლებიც... სომხების ხმებიც, — საქართველოდან „სოც.-დემოკრატებისა“ და სომხეთიდან

შენიშვნა (109). ჩენენში მაშინ შხოლოდ ორი ინგლისელი ოფიცერი იყო მოსული (და ისიც „შტაცი“, რამდენადაც მახსოვეს) და თურმე ამათ შემოგვისიეს სომხები და „ულტიმატუმითაც“ (?) ომი შეაჩერეს: ესეთი შეჩერება გამარჯვებული ომისა, უორდანიამ ხელობად გაიხადა, როგორც შეჩერეც დავინახავთ, — „ხელობით“.

60 ციონალ - დაშნაკებს ირჩევდნენ — რუსეთის დუმებში (110).
ასე თუ ისე, გამარჯვებული ომი მარცხით გავათავეთ ^{უწისესობის} _{ბიბლიოთის} და 1919 წლის შუა, — შუაღამეს.

* * *

უორდანია და ჯარი. საინტერესოა გვცოდნოდა, უორდანის მსუბუქ თავში, რით და როგორ აიხსნება ის გარემოება, რომ „ნამდვილი კეთილშობილი, უაღრესად მეგობრული და პატიოსანი“ განწყობილება ჩევნდამი გერმანელებისა (იხ. მისი გვ. 133) და „მტრულად განწყობილი... ფელდფებელ(ურ)ი, უკმეხი და უზრდელი“ — ინგლისელებისა (გვ. 134) — გამოიხატა პოლიტიკურად სრულიად ერთსა და იმავე წინადადებაზი: „შეჰქმენით თქვენი ორი დივიზია ქართული ჯარი“? რომ ორივეს უარი უთხრეს. და ამ ორივე, უაღრესად მნიშვნელოვან გარემოებაზედ, ბ-ნი უორდანია კუსავითა სდუმს და ორც ერთი წვრიმალი ჩიხო-მახო თავის „პარტიულ“ ბიოგრაფიისა კი არ დაავიწყდა. რადგანაც იგი იყო „ერთი დღისა“ (ე. ი. „ტაქტიკისა“) და არა ხანგრძლივი ეროვნულ-სახელმწიფო პროგრამისა და მიზნის კაცი. საუკეთესო მაჩვენებელი ამისა თვით მისი წიგნია. წაიკითხეთ, როგორ ბავშვურად ლაპარაკობს გერმანელების მეგობრობაზედ და ინგლისელების „მტრობაზედ“, იმისდა მიხედვით, თუ რა ტონით ელაპარაკებიან მას პირადად, თითქო წარმოდგენაც არა აქვს, იმ შორეულ მიზნებზედ (ან ისტორიის რეალობათა ამბებზედ), რომელიც უნდა ჰქონოდათ გერმანელებს, ინგლისელებს თუ სხვათ საქართველოსა და კავკასიის მიმართ.

ერთი მისი მეგობარი და „მთავრობის თავმჯდომარედ“ დამყენებელი, ბოლშევიკი ვალიკო ჯულელი, თავის არა ნაკლებ უმგვან რუსულ წიგნში, ვიდრე თვით უორდანის ქართული, — გერმანელთაგან ამ წინადადების მიუღებლობასა ხსნის, უკანასკნელთა მონარ-

შენიშვნა (110) აი, ამ დუმებზე და ფულზე გაცვალეს 1905-დან 1917-მდე საქართველოს ტერიტორია და თბილისის მესამედი, ს.-დემოკრატიის მეთაურებმა.

ქისტობით; და, დემოკრატიულ ინგლისელებისაგან რატომ შეუძლია
იგივე?

მე ვამტკიცებ: უორდანია არ იყო სახელმწიფო კაცი, მას ეგონა, რომ სახელმწიფოს შექმნა, შენახვა და დაცვა შეიძლება ცალიერი სიტყვებითაც, ნაცარქექიული მოკვარახშინებით, და, მეორეც: ნ. უორდანიას თავისი საკუთარი ჯარისა ყოველთვის უფრო ეშინოდა, ვიდრე მტრისა (111).

ნუ თუ ფიქრობდა, რომ ნეიტრალობის გამოცხადება საქმარისი იყო? ან არ იცოდა, რომ ისეთი ქვეყნები, როგორც შვეიცარია, ბელგია და სხ. — დიდ სახელმწიფოებისაგანაც კი ცნობილი ნეიტრალურად, უჯაროდ ვერ არსებობენ? ამაზე ქვევითაც გვექმნება მსჯელობა.

* * *

დუშეთის „ამბები“. მაგრამ ეხლა შევდივართ 1919 წელში, რომელმაც ისევე ვერაფერი გვასწავლა. უორდანიას „ბრძნული“ სიტყვების საილუსტრაციოდ, არ ვიცი, გვარდიამ, თუ „ს. დ.“-ის სხვა რომელიმე „რევოლუციონურმა“ დაწესებულებამ (სხვანაირი ხომ არც არსებობდა, როგორც იყვეხიან ასეთი ბოლშევიკური სისტემით, თავის წიგნებში), — გამოსცა ღია ბარათი: „არც მარცხნივ, არც მარჯვნივ, — პირდაპირ სოციალიზმისაკენ“. დახატული იყო გვარდია; წინ ჯულელი, უკან უორდანია; მარცხნივ კავკასიონის მთები, მარჯვნივ — ველები: პირდაპირ — ხრამი და იმის იქით მზე (ალბად სოციალიზმისა); უნებური სიმბოლო იმისა, რაც იყო და რაც მოგვივიდა: ჯულელსა და უორდანიას, — ამ სარდალსა და „ბელადს“, — მივყავდით ხრამში გადასაჩეხად.

შენიშვნა (111) ვალიკო ჯულელი თავისი „მძიმე ჯვარის“ ერთ ადგილის ამბობს, რომ უორდანიას გვარდიასაც ეშინოდა და ზარბაზნებს არ აძლევდათ. აქ, სათაყვანებელი, ანუ უკეთ, გამოსათაყვანებელი „ეკონომიკური“ საკითხიც არ თამაშობდა ისეთს როლს, რადგან გერმანელებიც და ინგლისელებიც გვაძლევდნენ „ფულს, იარაღს და ინსტრუქტორებს“ ჩეენი ჯარის შესაქმნელად, უფასოდ.



აღბად „სოციალიზმის მზე“ თვალს უქრელებდათ და არავიზუალურობა ნიერი გამაფრთხილებელი ხმა არ გაიგონეს.

ჯერ იყო, და, რაკი თბილისში პური დაიყარგა, შიმშილით, ღარიბი მოსახლეობა, — ბაზრისა და სხვა ნაგვის ყუთებში ეძებდა სანოვაგის ნარჩენებს (112), მთავრობამ შეუსია გვარდია ღუშეთისა და გორის მაზრის გლეხობას, — კარლო-მარქსო-უორდანისა შემეცნებით „კონტრ-რევოლუციურს“ (113) და ძალით ახდენდა რეკვიზიციას. (აბა, „დაწინაურებულ“ გურიიდან ხომ არ ჩამოიტანდნენ ?). მეორე მხრით, მისივე აგენტებმა, რკინის გზის მილიციამ და სხ., შეპკრეს რკინისა და ყველა გზები თბილისისაკენ, და ნება-ყოფლობით ვისაც რამ ჩამოქვენდა, თბილისელს თუ პროვინციელს, არ თმევდნენ და სჯიდნენ (114). რაღა თქმა უნდა, ამან გამოიწვია მღელვარება „ყველაზე ჩამორჩენილ(?) ღუშეთის მაზრაში“, შინაურ-უცხო ბოლშევიკებიც უწყობდნენ ამას ხელს, და სამხედრო ძალითა და სისხლით დასჭირდათ, მათგანვე შექმნილი მდგომარეობის „ჩაქრობა“.

* * *

... ოსებისა. ეხლა ოსები ავვიტყდნენ. ერთის მხრით, როგორც ზევითაც მოგახსენეთ, ვორონცოვის „ხიზანთა პროექტისა-

„შენიშვნა (112) როცა მე განვაცხადე პარლამენტში, ფაქტების აღწერით, უორდანიამ ტუბუნიდან ჯიპასუხა; „ხალხი რომუქმაყოფილო იყოს, რევოლუციის მოვიხდენდა“—ო. — „რევოლუციას“ თქვენ ახდენთ და ქართველ ხალხს აღარა აქვთ არაქათ, — მეორისათვის, კუპასუხე მე.

„შენიშვნა (113) უორდანიამ არა ერთხელ გაუსვა ხაზი თავის სიტყვებში თუ ნაწერებში, გლეხობის „კონტრ-რევოლუციონერობას“ და ეს, მაშინ, თავზარსა სცემდა ყველას, რადგან ბუნდოვან ცნობისათვის,— სიკვდილით დასჯაც კი „დააკანონება“.

„შენიშვნა (114) ერთს ადგილას უორდანია გულუბრყვილოდ (?) ამბობს ამ ხანაზედ: „... დედა ჩემმა სანოვაგე ჩამომიტანა“—ო. ერთის მხრით, გასაკეირია (?) როგორ არ წაართვეს გზაში უორდანიასიც აგენტებმა, და, მეორე მხრით, რამდენი ასეთივე დედის გული ატირებულა მაშინ ბავშვების ნაშვილი შიმშილით.



თვის“ მხარის დაჭერით მ ენშევიკებისაგან, 10-დან მიზურავდების სიატინამდე „გაბოძებამ“ ქართული მიწებისა (მართლწმინდაში ვად-აზნაურობისა, მაგრამ ქართველებისა) — ოსებზედ, „რეალური მოსახლეობის პრინციპით“; და, მეორე მხრით, ბოლშევიკების ბის „პროპაგანდამა და შეიარაღებული რაზმებით დახმარებამ“ (115) ოსებისათვის, საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, — გააბრიყეა ოსები „ტერიტორიალურ ავტონომიის“ მოთხოვნამდე (116). და როცა, არც ბ-ნ კავი წერეთელის მჭერმეტყველურმა მაშუალობამ გასჭრა, და სუქანი გ.მაჩაბლისა და გამხდარი კეცხოველის მენშევიკური მისია, — მათი მკვლელობით გათავდა ცხინვალში, — ასტყდა ჭახა-ჭუხი თოფ - ზარბაზნებისა. სახელოვანმა ჩვენმა გვრდიამ, გაცარცვა, გადასწვა ოსების სოფლები, გააუპატიურა დედაქაცები; ვერც ერთი, არა მარტო შეიარაღებული ბოლშევიკი, შეეიარაღებელი ოსიც ვერც მოჰკლა, ვერც დაატყვევა! „რეალური მოსახლეობის“ მამაკაცები მოებში ავიღნენ და „ბოლშევიკური რაზმები — კავკავში დაბრუნდნენ“-ო, სწერს ბოლშევიკი ხაჭაპურიძე, ჩვენი მენშევიკური კვაჭანტირაძეების ბიძაშვილი.

მე კი, ჩემი ოვალით უყურებდი, გორზე გამოტარებულ, ნადავლი საქონლისა და ურმების ქარავანს, დატვირთულს საოჯახო ნივთებით,—წინ და გვერდებიდან შეიარაღებული გვარდიელების თანხლებით. მერე საით გადაატარეს ეს ქარავანი, არავინ იცის, — არც მე, — ოღონდ კი ვიცი, „სახელმწიფო შემოსავალში“ არ გატარებულა არასოდეს და „ლიტერატურას“ კი (ქართულს თუ რუსულს?) მიემატა ვ. ჯულელის... „...а Ліда играла Шопена на рояле“ და... „... я понимал тогда Нерона, смотрящего на пожар Рима...“ „Тяжелый Крест“-იდან; ლეონ ტროცკიმ, — მისმა «უკუღმა» ამხანაგმა (მენშევიკებიდან ბოლშევიკებთან გადავიდა, როგორც ვალიკო ბოლშევიკებიდან — მენშევიკებთან), რომ დაუწერა: „Кри-

შენიშვნა (115) იხ. ხაჭაპურიძეს წიგნი.

შენიშვნა (116) როცა მენშევიკები საქართველოსათვის, „კულტურულ ავტონომიას“ მოითხოვდნენ და საკოდავ „ჩამონავრებით კრაფოილდებოდნენ „პროგრამულად“.



вляется как испорченный гимназист...»^{*} Да, Саმწუხაროდ, შემოტავდები ამბობდა.

* * *

... მესხეთისა. როგორც იმას, რომ ეს ორი „აჯანყება“ ასწრეს, თუ «ინგლისელებმა» (როგორც მსუბუქადა ჰფიქრობს კორდანია) და რა უფრო ადრე მოხდა, ისებისა თუ მაპმადიანების აჯანყება ახალციხე-ახალქალაქის, — ჩვენი კულტურის აკვან მესხეთის მხარეში. მაგრამ, მგონი, დროს ამ შემთხვევაში ისეთი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც იმას, რომ ეს ორი „აჯანყება“ ერთმანეთს წაება. ცნობილია, მაპმადიანებში დიდი გავლენა აქვს ბევერებსა და მოლებს და ამათ მომხრობის მაგიერ საქართველოს ეროვნულ საქმისადმი, მენშევიკები უჯანყებლნენ ხალხს, ბეგები და მოლები კონტრრევოლუციონერები და თქვენი მყვლეფა-ვები არიანო, ე. ი. უდგეროდნენ სოციალური თვალსაზრისით; და, ამბობდნენ, მაგ., ბ-ნი ნოე ხომერიკი, მიპატიუებული ხიმშიაშვილთან, ამავე თავადის დერეფნიდან უქადაგებდა ხალხს: „თავადიშვილები უნდა დახოცოთ და თავიდან მოიშოროთ“. და ლეო რუხაძე, პროპაგანდისტი, დაუნიშნეს ამ მხარის „ლენინგრად-გუბერნატორად“. კიაზიმ ბეიის, საქართველოს მეგობარსა და მომხრეს, ჩამოართვეს მთელი მამული, ხეპრულად შეტანით მაპმადიან ქართველობაშიაც თავის მუდამ საკუთხე, თავშეუდებელ „აგრარულ რეფორმისა“.

ამნაირი ყოფა-ქცევით აიჯანყეს მოლებიც, ბეგებიც და გლეხობაც, რომელსაც, არც საქრისტიანო და არც სამაპმადიანო საქართველოში, ფაქტიურად არაფერი მისცეს. მაგრამ ამაზე შემდეგ, როცა შევეხებით ამ აგრარული «რეფორმის» საკითხს. რაღა თქმა უნდა, ინგლისის სამხედრო უწყებას, — რომლის დეზავუაციას მაშინვე ახდენს ხოლმე ოფიციალური ინგლისი, თუ არ გაუციდა, — თავისებურად ესმოდა კავკასიაში სიჭყნარის ჩამოგდება და იმდენად უსაშემოგვარო კავკასიის „სამხრეთ-აღმოსავლეთის კავკასიის“ სასაკილო მთავრობა და სახელმწიფო ც



შექმნა. ეს იყო მიმართული არა იმდენად გაუმაგრებელი საჭიროობა და ლოს წინააღმდეგ, — რომელმაც უარი უთხრა საკუთარ გამაგრებაზედ, ორი დივიზიის შექმნით, — რამდენადაც ოსმალეთის საწინააღმდეგო ინტრიგა, რომელთანაც ომი ჯერ გათავებული არა ჰქონდა. ქვევით ეს უფრო მკაფიოდ გამოჩნდება.

ჯერ კი ფაქტი იყო, რომ ქართველი მაპმადიანობა აუჯანცდა მენშევიკებს, გამოპყარეს მათი აღმინისტრაცია, გვარდია და ჯარის ნაწილები. როგორც ყოველთვის გავირვების ტალკვესად მოვლენილი, მთავრობამ მოიწვია ლენინალი გ. კვინიტაძე. ჩვენმა ჯარმა, კვინიტაძეს სარდლობით, გასწმინდა ჩვენი ტერიტორია და კვლავ, როგორც ყოველთვის, მთავრობამ, ქართული სისხლით მოპოვებულის ნაწილი... გადასცა სომხებს (117). აქცი, სამხედრო მოვება პოლიტიკურ მარტივად აქცია და გამარჯვებული სარდალი — გადაყენა.

სომხების, ოსების, დუშეთის, მესხეთის ამბებმა ჭიუა ვერ ასწავლეს „ნეიტრალ“ მენშევიკებს და ჯარის წესიერად მოწყობა არასოდეს ამ გაკვეთილების შემდეგაც არ მოინდომეს. გვარდია (ჯერ „წითელი“, შემდეგ „სახალხო“) იყო საყვარელი შვილი, ჯარი — თვალწუნებული გერი. გვარდია — ჩატული, ნასუქი, იარაღითა და ყველაფრით აღჭურვილი, ჯარი — ჩაუცმელი, ნახევრად მშიერი, ყველაფერს მოკლებული (118), მიუხედავად იმისა, რომ საგარეო საფრთხისაგან საქართველოს მცველი მუდამ მაინც ჯარი იყო, და გვარდია, თავისი პრეტორიანული ხასიათით და კოლეგიალურ-ინტერნაციონალური „შტაბით“, — საშინაო „წესისათვის“ თუ იყო გამოსადეგი. „მიუხედავად იმისა“ — ლოლიკური გამოთქმით, თორემ მენშევიკური დიალექტიკით უნდა ითქვას: „სწორედ ამიტომ“, რადგან ერთი ინტერესებით კი არა ხელმძღვანელობდნენ,

შენიშვნა (117). იხ. ლენ. გ. კვინიტაძის ნაწერები „კაცაზ“-ში და „ჩემ პასუხს“. ში.

შენიშვნა (118). ერთ-ერთ „პარადზე“ (აღლუმზე) უნდა გენახათ ეს დემონსტრაცია: ცალ მხარეზე იდგა — ზამთარი იყო — „გუშლატებით“ და თბილი ჩექმებით გვარდია და მეორე მხარეს — ხალათიანი და ჩუსტიანი, მოკანკალე, — ჯარი.



არამედ მარქსისტულ-„კლასების ბრძოლით“ იქნიანი გამოცემები პროლეტარიატი, არც კაპიტალისტები არ არსებობენ. საცა გაქოტრებული აზნაური ყორდანია, იყო „პროლეტარიატი“ და თითქმის ისეთივე გაბაშვილი — „კაპიტალისტი“, ... ემბლემების ენით რომავსთქვათ.

და, აი, რა მოხდა. თუ 1918 წელს ჩვენმა მთავრობამ არ შინილო სრულიად უანგარო, გერმანელ „მონარქისტების“ წინადადება: „მოგცემთ იარაღს, ფულს, ინსტრუქტორებს“ — შევქმნით ქართული, ორი რეინის დივიზია“ და სამაგიეროს არასა გვთხოვდნენ; 1919 წელს ინგლისელმა დემოკრატიამ სიტყვა-სიტყვით იგივე შემოგვთავაზა ოფიციალურად. მართალია დემოკრატია ცოტა უფრო ანგარიშიანი აღმოჩნდა და პირობას, როგორც რჩევას, გვიდებდა:

1. ჩაც აქამდის სოციალისტური ექსპერიმენტები აკეთეთ, ამით დაკმაყოფილდით (მხედველობაში ჰქონდათ უმთავრესად, „აგრარული რეფორმა“, მიღებული ყველა ინსტანციებში: ამიერ-კავკასიის სეიმში; სოც.-დემ. პარტიაში; საქართველოს პარლამენტში და სხ. და სხ.), იქმარეთ და „რევოლუციას ნულარ აღმავებთ“ სხვა ექსპერიმენტებით, და

2. ჩვენგან თქვენთვის შექმნილი ორი დივიზია იყო ლიეტოსმალეთის საზღვარზე. ნუ იომებთ, მხოლოდ იყოლიეთ, რომ ნაწილი სმალოს ჯარისა, დაბმული იყოს თქვენ საზღვრებთანაო.

მაშინ ჯერ კიდევ ომი მოკავშირებისა სმალეთთან გათავებული არ იყო და მზადდებოდა ლენინალ აღნენბის ცნობილი შემოტევა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებიდან.

რადგან ეს წინადადება და ორივე პირობაც, — საქართველოს თვის, როგორც ერისა და სახელმწიფოსათვის, ყოველმხრივ ხელსაყრელი იყო, ჩვენ მოვითხოვეთ დათანხმება, მაგრამ მთავრობამა და მთავრობის პარტიამ, — უარი სტკიცა, თურმე (119).

შენიშვნა (119). ვამბობ „ოურმე“, რადგან მაშინ არ ვიცოდი, რომ დივიზიებთან ერთად ინგლისელებს ყარსისა და მისი ოლქის, ე. ი. 1914 წლის სა-

* * *

თბილისის ამის გასაგებად თუ არა (რადგან ჭკვათა-მყო-
დაჟოფა).

ფელისათვის გაუგებარია), ფაქტების მიმდევ-
რობის აღსადგენად, ორიოდე ნაბიჯით უკან უნდა დავიხიოთ. „აგ-
რარული რეფორმა“ „ჩატარებული იყო“, ე. ი. ქალალზე მი-
ღებული (და არასოდეს არ განხორციელებული), მოწინააღმდეგის
არც ერთი ხმა, ჩამო-ჩუმადაც აღარ ისმოდა. სამაგიეროდ, „თბილი-
სის ქალაქის თვითმართველობამ“, მიიღო ასეთი დადგენი-
ლება «თბილისი უნდა დაიყოს სამ ზონად: შუა გულში —
400 საუენზე, საშუალო წელში — 600 საუენზე და განაპირის —
1.000 საუენზე მეტი მიწა, უნდა ჩამოერთვას პატრო-
ნებს და გადაეცეს ქალაქის თვითმართველობას».

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მთელი სახელ მწიფო (120)
მოძრავი და უძრავი ქონება უკვე გადასული იყო მთავრობის ხელში;
რომ ქართველმა თავად-აზნაურობამ, მთელი თავისი უძრავი და მო-
ძრავი ქონება, ნებაყოფლობით გადასცა ქართველ ერს (ფაქტ. იმავე
მთავრობას); რომ სომხის ბურჟუაზიის ბევრი სახლი უკვე ჩამორ-
თმეული იყო, მეტადრე სომებ-ქართველთა ომის შემდეგ, — გასა-
გები გახდება(?) მენშევიკების ბოლშევიკური სიხარბე.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სომხების „გარევის“ შემ-
დეგ, „ცენზიანი“ თვითმართველობის მაგიერ, თბილისში დამყარდა
„დემოკრატიული“, ე. ი. განსაკუთრებით „სოც. - დემოკრატიუ-
ლი“ (121), და თითქმის არაეითარი განსხვავება „თბილისის ქალაქის

ზღვრებამდე, საქართველოსათვის შემოერთებაც შეუთავავებიათ.
ამ არც ერთი წინადადების ამბავი პარლამენტში არ მოუტანიათ (ჩვენ გავიგეთ,
და ისიც შემოხვევით, მხოლოდ დივიზიებისა).

შენიშვნა (120) ე. ი., რაც რუსეთს შეონდა ჩამორთმეული საქართვე-
ლოსა და ქართველებისაგან, — ერძო, საეკლესიო, საუფლისწულო და სახელმწი-
ფო მამულები; ბორჯომის ხეობა, კახეთის ვენახები, შავი ზღვის სანაპიროები,
სამეგრელოს მამული და ათასი სხვა მიწა, შენობა, საქონელი და რეინის გზა-

შენიშვნა (121) იხ. კოტინსკის წიგნისათვის ვანდეტველდეს მიერ გა-
კეთებული წინასიტყვაობა (საქართველოზედ), საცა, სხვათა შორის, იმასაც ამ-



თვითმართველობისა და „საქართველოს პარლამენტის“ ცხრილების დის შემაღენლობისა არ არსებობდა,—ადვილად წარმოიღესთ, რომ დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, ეს ყაჩაღური «დადგენილება», პარლამენტისაგან, ე. ი. იმავეთაგან — მიღებულ «კანონად» უნდა ქცეულიყო.

აი, როდის, რა პირობებში მისცეს ინგლისელებმა წინადადება ჯარის შექმნისა, „სოციალისტურ ექსპერიმენტების“ შეჩერების რჩევით.

და როცა ჩვენ უმტკიცებდით ამ უვარგის გამოგონების ზარალიანობას ქვეყნისათვის:

— თბილისი ხომ მინდორი არ არის, ზონებად დაყოფა შეიძლებოდეს ადლითა და თეოდოლიტით;

— თბილისი რომ საუკუნოებით შენდებოდა, მენტევიკების გეგმით ხომ არ აშენებდნენ სახლებს 400 და 600 „საუენიან“ მიწაზედ და სხ., კერძო ბასებში, „ქალაქის თავი“ (აფსუს სახელო) ბენია ჩიკვიშვილი და რამიშვილის „კანცელარიის დირექტორი“ — პეტრე გელეიშვილი და სხვანი, — იმავე დროს ცველანი „პარლამენტის დეპუტატები“, — ჯიუტად გვიპასუხებდნენ: მიუხედავად თქვენი ოპოზიციისა, ამ „დადგენილებას“ „კანონად“ გავიცვანთ და სახლებისა კი არა, შუა ოთახებზედაც რომ გავიდეს ხაზები, — ამ რეფორმას (?) განვახორციელებთო.

იზამდნენ კიდეც! ჭიუშლიდათ ხელს თუ? თუ თბილისის სახლების აშენებაზედ დალვრილი ოფლი, სისხლი და შრომა დაენანებოდათ?.. თავისი! ამ, მხოლოდ დანგრევის ოსტატებს, რეკვიზიტია, ჩამორთმევა და უბრალო ცარცუა-გლეჯა აღარ აქმაყოფილებდათ და ორგანიზაციულად მოწყობილს, „კანონიერად“ აცხადებდნენ. მთელი დამოუკიდებლობის განმავლობაში, — ერთი ოთახი არ აუშენებიათ და სხვის აშენებულსაც — სჭრილნენ და „ხელეჩო-სავით სულ თავისაკენ ითლილნენ“. და არა ისე მაინც, როგორც წე-

ბობს, რომ ბოლშევიკები და მენტევიკები ერთსა და იმავეს აკეთებენ („ილფონ ლა მემ შოზ“); და ეორდანიას „ჩემი წარსული“.



სია ნამდვილი რევოლუციისა, — „ხერხივით გაჰქონდათ, პარლამენტი და კერძო სამინისტროები და განახლების დამსახურების მიზნით“ (122), პარლამენტის ტრიბუნიდან დავგმე მათი ასეთი პასუხი ინგლისელების სახელმწიფო ორგანიზაციის წინადაღებაზედ, და დავასრულე სიტყვა იმით, რომ „თქვენ სახელმწიფო ხალხი და მინისტრები კი არა, — ყაჩალები ხართ-მეთქი! (123).

* * *

ჩემი დაჭრა. ჩადგან მე ესევე აზრი გამოვთქვი პრესის საშუალებითაც, ამ ჩემ გამოსვლებს მოჰყვა ეპილოგი:

როგორც კი იმავე 1919 წელს გამოცხადდა პარლამენტის დახურვა და „დამფუძნებელი კრებისათვის“ არჩევნების დანიშნვა, მე მეტების ციხეში ჩამსვევს. განთიადისას, გამოცხადნენ ჩემთან, — ერთი ჩოხსანი, „Особый отряд“-ის კაცი და ერთი ძველი „Окологодочный надзиратель“-ი, ძველისავე (მეფის დროის) გარსით — მგონი მაღალაშვილი გვარად, მოკლე წერილობითი ბრძანებით: «დაუყოვნებლივ გაჩერიკეთ ჩ. გაბაშვილი და დაპატიმრეთ». წამიყვანეს

შენიშვნა (122). მაღლაბა ლმერთს, ნ. ეორდინამ თეოთონ დამიდასტურა აქ. ემიგრაციაში ეციონ კვალიფიკაცია მათი, — მაგრამ, როგორც ყოველთვის, მოწინააღმდეგის დასამტკრებლად, სიცურები დაყოლა; „გაბაშვილმა ყაჩალური საქციელი ჩვენს აგრძარულ რეფორმას დაარქვა“—თ. იქნება, არც კი იცოდა, რომ ქალაქის დაყოფას ზონებად და სახლების მატარებელ მიწისა, 400—600—1000 „საერებად“ — არაფრი საერთო არა აქვს აგრძარულ რეფორმასთან? *ager* არის სახნავი მიწა, და არა სამოსახლო... ლათინურად, და ქართულად სწორედ აგერ ის, რაც მე უკროდე.

შენიშვნა (123) არც ეს ინგლისელების წინადაღება შემოუტანიათ პარლამენტში (როგორც არც ვერმანელებისა) და ჩვენ, შემთხვევით რომ გავიგეო, გამოვიწვიეთ კამათი „სახლების“ დაყოფასთან დაკავშირებით. (თუმცა არც ეს საკითხი და მოუტანიათ პარლამენტამდე, ისე დაიხურა 1919-ს). მაშინ არ ვიცოდი და მხოლოდ პარიზში გავიგე, რომ ორ დივიზიასთან ერთად, „ყარსსა და ოლქის შემოერთებასაც“ გვთავაზობდნენ... თორემ, ალბად უარესებსაც ვიტყოდი. იხ. „რჩეული ნაწერები“, გვ. 180. გ. ურულის წერილი.



„Особый отряд“ – это и да мэртв о ѿ, ჩემი მოთხოვნით, „Начало национального образования в Грузии“ მა მექი კედიამ, ბოდიშით წამიკითხა შინაგან საქმეთა შინაგან 6. რამიშვილისა და მისი მდივნის მოწერილობა: „... ვინაიდან რ. გა-ბაშვილი სისტემატიურად იბრძვის საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, დაუყოვნებლივ გა-ჩხრიკეთ და დაპატიმრეთ...“ – ღ.

ბატონი ნ. რამიშვილი ერთი წლით იყო ჩემზედ უფროსი და რაც თავი მახსოვს, მუდმივი ბრძოლა მქონდა მასთან საქართველოს სა-ხელისაც არ ცნობისათვის და ის მიჰერდა საქართველოს დამოუკი-დებლობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის! ამაზე მეტი ბედის და-ცინვა შეიძლება? და უკვე სტამბოლში, ემიგრაციაში, როცა, რო-გორლაც ლაპარაკში, კამათის დროს, ბ-ნ ემელიან ლომთათიძეს უთ-ხარი ასეთს უსინიდისო ბრალდებასა და უჭიუობაზე, თითქმის სია-მაყით მიპასუხა: „ეს ჩემი შედეგისაც ფორმულა იყო; მაშ ხომ არ დავწერდით... იმიტომ, ...რომ ჩვენ ყაჩალები დაგვიძახა“ – ღ?!.. ამას რა დაემატება?.. იმის მეტი, რომ ემელიან ლომთათიძე იყო ში-ნაგან საქმეთა მინისტრის კანცელარიის დირექტორი, პარლამენტის წევრი, ქალაქის თვითმმართველობის წევრი, „რუსეთის ს. ღ. პარ-ტიის“ წევრი და სხ. და სხ.

უკანონო ჩემი დაჭერით, მეორე კურდლელსაც იჭერდნენ, მისპონენ საშუალებას, — „დამფუძნებელი კრების“ არჩევნებში მონაწილეობისას, და, აյი გრიგოლ ვეშაპელსაც, რომელიც სამაპმა-დიანო საქართველოში იყო წასული საარჩევნო აგიტაციაზედ, გაგ-ზავნეს ანონიმური მუქარა-დეპეშა: გაბაშვილი დაჭერილია და შენც ეს მოველისო. ბორჩალოს მაზრაში ხომ ჩენი მომხრე გერმანელი — მოჰკლეს და ჩვენგან გაგზავნილი საპროპაგანდოდ, სეიმონიშვილი, დაიჭირეს და ფეხით ჩამოიყენეს თბილისში. აი ასეთი და ათასი სხვა „ხრიკ-მეისტრული“ — „თავისუფალი“ არჩევნები ხდებოდა, „და-მფუძნებელ კრებაში“. ყველაფრის ჩამოთვლა ამ რვეულის ფურც-ლებს გაავსებდა.

„ლეკებმა რომ დამიჭირეს, დამდეგ იყო მკათათვისა“ – ღ, ვერ ვიტყვი, დავით გურამიშვილივთი, რადგან, მართალია, მეც მკა-



თათვეში დამიჭირეს, მაგრამ „დამდეგი“ აღარ იყო და დამდეგის უსახულებელები კი არ იყვნენ, არამედ „ესდეკები“; მაგრამ განსხვავება 1819 წლების ლეკებისაგან, მაინც და მაინც არ იყო და თუ იყო, არა 1919 წლიანების სასარგებლოდ.

* * *

კოტე ცინცაძესთან... ვიჯექი ბოლშევიკ კოტე ცინცაძაპარაკი“. ცაძესთან ერთ „კამერაში“ (საკანში) და საინტერესო ბასიცა გვქონდა ამ ყოვლად უწყინარ და იდეურ“ კომუნისტთან.

— მიკვირს, როგორ თანამშრომლობთ თქვენს ყაჩალურ მთავრობასთან, რომელსაც არავითარი ქართული პატრიოტიზმი არა აქვს და არც იცის რა უნდა-ო.

— კარგია, თუ ავია, მაინც ქართულია და საქართველოსი. საქართველო დამოუკიდებელია, ესაა მთავარი და, ან მენშევიკებიც გაქართველდებიან, ან საქართველო გამოსცვლის მთავრობას.

— ჩვენ კი ქართველები არა ვართ? და თქვენზე ნაკლებად გვიყვარს სამშობლო? და სოციალურად, ჩვენსა და უხერხებლო მენშევიკებს შუა, არავითარი განსხვავება არ არის, ერთვნულად კი ჩვენ ყოველთვის უფრო შორს მივდიოდით მათზე (124).

— ჩვენ არ ვიცით, სად მიდიოდით, ან მიდიხართ ერთად, თუ ცალცალკე (ლმერთმა ორივენი ჯანდაბას წაგიყვანოთ), მაგრმ პირადად მე სოციალური საკითხები არასოდეს მაინტერესებდა და რა რეჟიმი იქნება, ჩემთვის სულერთია. საქართველოს ერთვნულ სახელმწიფოს მე მუდამ ლოიალურად ვემსახურები.

— აბა, იცით მაშ, რას გეტყვით: ჩვენ, — ბოლშევიკებს, — სრული სამუალება გვაქვს, 24 საათში თქვენი მთავრობა გადავატრიალოთ და ჩვენს მაგიერ ყველა ეგენი აქ ჩავყაროთ. მაგრამ, გულახ-

შენიშვნა (124). სიტყვები „სოციალურად“ და „ერთოვნულად“, შეიძლება მანა სოქვა, — როგორც „საკითხი“. ყოველ შემთხვევაში, მე ასე გავიგე.



დილად უნდა გითხრათ, ჩვენს პარტიის საქართველოში საქმარისი ხალხი არა ჰყავს, რომ უპატრონოს, როგორც სახელმწიფო უნიტარული თქვენ მხარს არ დაგვიჭროთ, გადატრიალება უბრალო ძმათა სისწლის დაღვრით გათავდებოდა და ამას გაურბივართ.

— ძალით გადატრიალების შემთხვევა ჩვენ უკეთესიც გვქონდა, მაგრამ სწორედ მე ვიყავი წინააღმდეგი, რადგან ჩემი (და ზოგი სხვისაც) ლრმა რწმენით, მაშინ უორდანია და ჯუღელი მოიყვანენ თვითონ — რუსებს; საერთოდ მენშევიკები. ებლა კი, მინისტრობა, ძალა-უფლება, ქართულ საქმეებში ჩაბმა, კეთილი ცხოვრება და სხ., — შეაჩვევს ძალა-უნებურად ქართველობას (125), მათივე იდეოლოგიის მიხედვით.

— მართალს ამბობთ, მაგრამ ჩვენ (ბოლშევიკები), ეროვნულად ყველთვის მეტს მოვითხოვდეთ და ეხლაც სრული დამოუკიდებლობის მომხრენი ვართ... „...вплоть до отделения“.

— აბა, მაშინ ვილაპარაკოთ და იქნება შევთანხმდეთ კიდევ.

ეს ჩვენი ლაპარაკი, არც ერთ დღეს მომხდარა და არც ისე მწყობრად, მე გადმოგცემთ მხოლოდ მის სწორე შინაარსს.

* * *

„...მოლაპარაკება“. — თუ თქვენ ყოველ მხრივ გარანტიას იძლევით, რომ რუსეთი სცნობს საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას, მე პირადად, როგორც გითხარით, მზადა ერთ ბოლშევიკურ რეჟიმთანაც ისე ვიყვე, როგორც მენშევიკურთან, ე. ი. განსაკუთრებით დამოუკიდებელი საქართველოს ინტერესებით ვიხელმძღვანელო.

ამაზე, არა მარტო თავისი პირით, ყველა ქართველი თავისი „ამხანაგის“ სახელითაც მარწმუნებდა, რომ რუსეთის ბოლშევიკური მთავრობა, საქართველოს სრულ დამოუკიდებლობასა სცნობს ო.

— გარანტიები?

— ოფიციალური ცნობა და ხელშეკრულობა საქვეყნოდ...

შენიშნვა (125). ეს ჩემი ლრმა რწმენა იყო და შევდი.



— არა, ეს საკმარისი არ არის სრულიად, — ჩვენ, უნიკატერები მნათ ნამდვილი ქართული რეგულიალური ჯარი, ერთად-ერთი დასაყრდნობი — თანამედროვე პირობებში — სახელმწიფოსი, როგორც შინ, ისე საგარეო მტრებთან თუ მეგობრებთან, სათანადო ურთიერთობის დასამყარებლად.

— მაგაზედაც ადვილად შევთანხმდებით.

— მაშინ მე ვიღებ ჩემ თავზე, დავარწმუნო ჩემი ამხანაგებიც, უკანასკნელი პირობით: რაც უნდა მოხდეს, როგორც უნდა დატრიალდეს საქმე, — არავითარ შემთხვევაში თქვენ უცხო ძალას არ მიმართავთ და რუსის ჯარს არ შემოიყვანთ საქართველოში.

კოტე ცინცაძე ჩაფიქრდა და ჯერ ყოყმანით მიპასუხა: კი... მაგრამ ... ხო, ამაზედაც შეიძლება გამოინახოს...

— არა, ესაა — *sine qua non*.

ამაზედ ცინცაძე:

— მაგაზედაც დავთანხმდებით; ოღონდ ერთ პირობაში, — თუ ქართველი გლეხობა და მუშები გვთხოვენ მოძმე რუსების დახმარებას, „მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოს“ მიგმართავთ.

ეს იყო პირველად გაგონება იმ ვერსიისა, რომლითაც მერე შემოგვესივნენ რუსი-ბოლშევიკები.

* * *

...დასკვნა: — მაშ თქვენც ისევე, როგორც მენშევიკებს, ან არ გესმით, ან არ გინდათ დაშორება რუსებისაგან. უცხო ძალა, ვისიც უნდა იყოს და რა სახელწოდებითაცარ მოგვევლინოს, — ყოვლად მიუღებელია. ასეთი დამოუკიდებლობა არ არსებობს.

ამაზე შესწყდა ჩვენი „მოლაპარაკება“-ც და ასეთ საგანზე ყოველი ლაპარაკიც. მე დავრწმუნდი, რომ მასაც, როგორც ბევრს, გულწრფელად, თუ გულუბრყვილოდ სწამდა, რომ ძალაში კი არის



საქმე, არამედ იმ სიტყვიერებაში, რომლითაც ესა თუ ქართული და მოქმედობს.

* * *

„სიტყვა“ და „საქმე“. საზოგადო „ჩვენში“ (?) ისე-დაც ბევრნი ვერ ერკვევიან დღესაც სიტყვისა და რეალობის გან-სხვავებაში და „რევოლუციონურ“ იმ დროინდელ ფსიქოზის დროს, — სიტყვა და მერე თუ მჭერმეტყველურიც იყო, — რეალობად საღ-დებოდა.

გაუგებართათვის, მე მინდა აქ ორი მაგალითი მოვიყვანო სა-ილუსტრაციოდ: პირველი ჯერ კიდევ „მეფის დროიდან“. დაიწვა ქართული თეატრი. სათავად-აზნაურო საკრებულოში დიდი მსჯე-ლობაა, როგორ მოუაროთ ამ საქმეს და ვის მიენდოს? სამხედრო ექიმმა გაბაშვილმა წარმოსთქვა მჭერმეტყველური სიტყვა, თუ რა დანიშნულება და მნიშვნელობა აქვს საზოგადო თეატრს, და განსაკუთრებით ქართულს, ერთი კულტურისა და თვით-ცნობიერებისათვის, რომ იგი უნდა იყოს კერა, საცა და სხ. და სხ.

მთელმა კრებამ მქუხარე ტაშით დააჯილდოვა და... ერთხმად — პატრონ-მარშლების გამოუკლებლივ — აირჩია იგი თეატრის ამჟენებლად; მიუხედავად მისი პროტესტისა, რომ იგი ექიმია და არა ხუროთ-მოძღვარი, რომ ამშენებლობისა არაფერი ესმის და საქათმეც არასოდეს ამიშვნებია და ვერც ავაშენებო.

— არა, არა! თქვენ უნდა იკისროთ უსათუოდა... ჰყვიროდა „ხალხი“.

აირჩიეს მაინც. ჩააბარეს ასიათასები ფულად და მიუჩინეს „და-მხმარენი“. ექიმმა გაბაშვილმა თეატრი ლამაზად შეაკეთებინა, და, ორი თვის შემდეგ... მთელი ჭერი-გუმბათი ჩამოინგრა.

ასევე იყო დამოუკიდებლობის დროს: როცა მენშევიკი ლაპარაკობდა, ამა და ამ საქმეს ვაკეთებ, ვქმნი, ვაშენებ, — თითონაც და მსმენელნიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ის საქმეც კეთდებოდა, იქმნებოდა, შენდებოდა... და როცა, მაგალითად, ბოლშევი-

კები თავს დაგვესხნენ... ნოე რამიშვილი მჟერმეტყველურად ამტკიცა
ცემდა „სამხედრო კომისიაში“: „იმდენი იარალი, ამუნიცია—ნაკრისა
რაგი გვაქვს, — ექვსი თვის განმავლობაში ჩიტს არ გაღმოვაფრენთ-
ო“ და როცა ექვსი კვირაც ვერ გაუძელით და „ფხაჭა მოგვადინეს“
შავ ზლვამდე, ივივე რამიშვილი იძახდა ბათუმში: „მთავრობამ ყვე-
ლაფერი გააკეთა (126) ომის მოსაგებად, მაგრამ ხალხმა არ ივარ-
გა“-ო. ან ორივე შემთხვევაში უტიფრად სტუურდა, ან სიტყვი ე-
რების მსხვერპლი იყო თითონაც. და ასეთი, სიტყვისა და საქმის
შეუთავსებლობით, ცალკე წიგნის ავსება შეიძლება. გაგებული მკი-
თხველი, იმედია, არ დამძრახავს, გაუგებართაოვის ამ „საბავშვო“
დამატებას,

* * *

„მო შიმ შილე და ცოტა ხანს ისევ მეტებში დაებრუნდეთ,
ბოლ შევი კი“. „წვრიმალებით“.

ვიღაც უცნობი (ვეარი აღარ მაგონდება) უბრალო მუშა, აგრე
ექვსი დღეა — „საპროტესტოდ“, — რომ ბრალდებას არაფერს უყე-
ნებენ და მეექვსე თვეა, ციხეში ზის, — შიმშილობს და უკვე აგონია
ეწყობა. როგორც ძველმა რევოლუციონერმა (ეროვნულმა, მაგრამ
ეს სულერთია) უთხარი კოტე ცინცაძეს, რომ წინად (1900-ანებიდან)
ყველა ტუსალი, ხშირად სისხლის სამართლისაც, თანაგრძნობით, ას-
ეთ შემთხვევებში თვითონაც აცხადებდა შიმშილს და ხშირად მიზანს
აღწევდნენ და თქვენ, ბოლშევიკები, რა ხალხი ხართ, რომ ამხანაგს,
(მოშიმშილე—ბოლშევიკი იყო) სოლიდარობით—მხარს არ უჭირთ?

— მე მზადა გარ, მაგრამ სხვებს არ უნდათ-ო.

მაშინვე ვინახულე „სერიოეა“ (sic!) ქავთარაძე, რომელიც იქვე
იჯდა და შევთავაზე: ყველა „პოლიტიკურებმა“ გამოვაცხადოთ ში-
მშილი და ვაიძულოთ მაგ უბედურის საქმის გარჩევა. მე ბოლშევიკი

შენიშნვა (126). რა „გააკეთა“ მთავრობამ, — ამაზე მერე იყოს და აქ მა-
რტო ერთის მოყვანაც საკმარისია; 1920 წლის ქრისტიშობისთვეში, როცა ყველა
მხრიდანა ჰქონდა მთავრობას უტყუარი ცნობები, რომ ბოლშევიკები ომს გვიმ-
ზადებენ, მთავრობამ... ჯარის კადრების დემობილიზაცია მოახდინა.



არა ვარ, კარგად იცი, და, კანონის ძალით, უფლება რომ მქონეობული
კარგ დღეს არ დაგაყენებდით, მაგრამ მეც თქვენთან გავითიტქმისას მეც
ლიდარულად, მომაკვდავისათვის ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს მოსათხოვ-
ნელად.

სერიოუს გულცივად, თითქმის ღრეულით მითხრა:

— ახლა, მაგ ვიღაცა აბდალისათვის შევიწუხებ თავსაო (ე. ი. კუჭა) და ორც არაფერი გამოვაო: ჩამიშვილს ჩამდენჯერ ქსოვილები, მოვსოხოვეთ და ყოველთვის შემოგვითვალა: დეე მოკვდეს, შაგისთვის სადა გვცალიანო. და ჩენ უფრო არ დაგზოგავსო.

ასე იცნობდნენ ერთმანეთს მენშევიკები და ბოლშევიკები.

„რამანოვ = რამანიშვილი“. ერთი რუსის მუჟიყიც
იჯდა, — მანვლისიდან. გამოკელაპარაკე, შენ რაღა გინდა აქ, შენ
ხომ გლეხი ხარ, მიწის მუშა, ეხლა ხომ „თქვენი დროა“-მეთქი და...
მიამბო (რუსულად)...დიდი ხანია, ჯერ კიდევ მეფის დროიდან,
ჩემი მეზობელი მლევდელი სოციალ-დემოკრატი კავშაძევ (თუ ქავთა-
რაძევ, კარგა არ მახსოვს), ხან ყიდვით, ხან შარით, ხან სხვა ათასი
საშუალებით, მუქარით და შეშინებით მაცივდებოდა, შენი მიწა და
ბალი უნდა დამითოო. არ ვაძლევდი, ვეუბნები: ოჯახი მყავს, ცო-
ლი, შვილი, ერთად-ერთი ჩევნი სარჩენი ეს არის და რად უნდა და-
გითომ, პაპისაგან და მამისაგანაც აქ ოფლია დაღრილი. არ მისვე-
ნებდა და, როგორც კი „ახალი უფლება“ მოვიდა, ძალით უნდოდა
წართმევაო. არ დავნებდი, სახლიდანაც გავაგდეო. (მართლა ისეთი
ზორბა მუჟიყი იყო, ძალით მლევდელი კი არა, ეპისკოპოზიც ვერ
მოერეოდა). მაშინ დამატეზდა პარტიაში: კონტრ-რევოლუციონერი
არისო. რა რევოლუცია, რა კონტრევოლუცია, ჩემი ცოლშვილით და
ჩემი ოფლით ერთ ლუკმა პურსა ვჭამდი. მოვიდნენ მილიციონერე-
ბი, დამიჭირეს და იგერ მეოთხე თვეა აქა ვზივარ, არ ვიცი რათა, რა
დამიშავებია? იქ კი ცოლშვილი მიტირის და... ვერ არ ვისამის მიტირის
ა ხასიათის მიტირის და... ვერ არ ვისამის მიტირის და... ვერ არ
ვისამის მიტირის და... ვერ არ ვისამის მიტირის და... ვერ არ



ეროვნული

მე აღარ უთხარი, რომ „თეპერ“ უარესია მისთვის! შეუძლია და გლეხი იყო, უბრალოდ საექსპლოტაციო მუჟიყი, „სერაია სკატინკა“ და რამიშვილების დროს ამას ზედ დაერთო პოლიტიკური, საშინელი თავისი გამოურკვეველობით, და ღია: — „კონტრრევოლუციონერისა“.

X

„მოგონებანი“, არ არის ისტორია, რომ ფაქტებისა და მოვლენების შინაგანი ლოლიკით, მიზეზ-შედეგობით იყოს გადმოცემული; არც ლიტერატურული ნაწარმოები, ან რომანი, რამიმე მიზნით, გეგმით, თუ ფორმით მოსათხრობი: ჩემი „რაც მახსოვს“, უტყუარი, და შეიძლება დაულაგებელი, სიტყვაა იმაზე, რაც მახსოვს მართლა და როგორც მახსოვს. მით უფრო, რომ ყველა საბუთები, წიგნები და დამამტკიცებელი მასალები ჩვენი დროის ისტორიისა, რომელიც ჯერ კიდევ სტამბოლში დავიწყე, — დამელუპა მეორე მსოფლიო ომში. ამიტომ, ხშირი უკან დაბრუნება, ანალოგიების მოყვანა სხვა და ხვა დროიდან, თუ მრავალი შენიშნვები, შეიძლება მთლიან შთაბეჭდილებას არღვევდეს, მაგრამ ჩემზე ახალგაზრდა მეხსიერების ადამიანს, თუ მოისურვებს, — ადვილად შეუძლიან მთლიანი ისტორიის ხარვეზები აქედან შეავსოს მაინც, უტყუარი ფაქტებით (127).

* * *

„შეთქმულობანი“. „პარლამენტის“ ერთ წელიწადზედ მეტ არსებობაში, გარდა „წვრიმალებისა“, ზოგი რამ „მნიშნველოვანიც“ ხდებოდა. ჯერ ერთი, სასაცილო „შეთქმულობა“, რომელსაც ნ. ჟორდანია თავის მოგონებათა 133 გვერდზე, არა მარტო იხსენიებს, ჩვეულებრივადა სტყუის, ან, უკეთეს შემთხვევაში, სრულებით

შენიშნვა (127). იმის შემდეგ, რაც ეს ჩემი რვეულები დაწერილი მქონდა — გამძევენდა (ბეჭდვით) მოელი რიგი „სოც.-დემ.“ „დოკუმენტალური“ წიგნებისა, რომელნიც ხშირად ამოშემებენ ამ ჩემს ნაწერს და ზოგი რამ დამატებული მაქვა—შენიშნვებში, ყოველთვის აღნიშნვით.



არა ესმის რა: „იყო ცდა გორის მაზრის მემამულეების. უფრო უძველესი ფო გადატრიალებისა. გერმანელები არ აჰყვნენ, შეთქმულნი დავიჭირეთ, ბოროტი პლანები ჩაუშალეთ“ - ღ. და უმატებს: „მათი გამარჯვებით მოხდებოდა დიდი უბედურება — სამოქალაქო ომი, ქართველებ(?) - გერმანელების შეტაკება. სოფლების აჯანყება(?), ნამდვილი ანარქია, თავისუფალი საქართველო დაიღუპებოდა ექვს თვეში“ - ღ. და უფრო შორსაც მიდის: „ის შემდეგ ვეღარ აღდგებოდა, მით უფრო, რომ შორიდან უკვე სჩანდა გამარჯვებული ინგლისი, ჩვენ სამტროდ განწყობილი...“ და სხვა, უკვე სულ მთლად ბავშვური.

შესაძლებელია, უორდანიას იმ დროს, როცა გერმანელები ჩვენში იყვნენ, ე. ი. 1918 წ., ასე ეფიქრნა? მაშინ, უნდა ვიფიქროთ, მთლად დურაქი ყოფილა! და რადგან ის მხოლოდ მჩატე ადამიანი იყო, ამისთანასა სწერს (ან ფიქრობდა კიდეც) მარტო ეხლა და ფსიქოლოგიურად არის ასახსნელი: უმწეო ემიგრანტს ელანდება „წარსული დიდება“ - დიდობა და აღარ ახსოვს, ისტორიულ რომელ მომენტში, რა შეიძლებოდა მომხდარიყო.

სინამდვილე კი სულ სხვა იყო. გამოიცა დეკრეტი, რომ გაცარცულ და დამშეულ მემამულეებს მიეცათ უფლება, აკრიფონ გლეხებისაგან ის „ნედომექა“, რომელიც 1916—17 წლის არეულობის გამო, ვერ მისცეს გლეხებმა მიწის პატრონებს ლალის სახით; და, აი, ერთმა ქნეინა ორბელიანმა ეს მოახერხა გერმანელების დახმარებით (128). — რადგან „სხვა ფაქტიური ძალა, მარტოდღნენ თვითონ მცარცველთა ხელში იყო და თითონ ხომ არ აუკრეფდნენ ამ ლალასა“ - ღ?

ეს არა-ჩვეულებრივი ამბავი გავრცელდა და ოთხმა მოხუცებულმა თავადმა (ყველაზე უნცროსი არ იქნებოდა 60 წელზე ნაკლები) — გ. ბავრატიონმა, გ. ჯავახიშვილმა, რ. ამირეჯიბმა და ი. თარ-ხნიშვილმა, — სოხოვეს ფონ-კრესს, მათაც დახმარებოდა ამ, ნება -

შენიშვნა (128). როგორც ივ. ჯავახიშვილი სწერს თავის დოკუმენტში ბ-ნ ა. ჩხერიმელისათვის რომ გადაუცია, ფონ-კრესს ერთი გერმანელი ჯარის კაცი მიუცია კნ. ორბელიანისაგვის.



და ოთხ ლ ლალის აკრეფაში. მთელი «შეთქმულობა» უწინდებით გვიჩვენდა — ორბელიანის პრეცენდენტი უკვე იყო — ვაი, თუ მართლა შეკრიფონ ლალაო, და ჩემი პარტიის გარდა კიდევ ვისმე რამე ერგოს, დამასწრონო, — და აბრალე ს შეთქმულობა (129) და ციხეში ჩაყარეს. ასეთ „შეთქმულობათ“ ხანდახან ძეელი მთავრობანიც მოიგონებდნენ ხოლმე და ახლები ხომა და ხომა... შიშის ზარად სხვათვის... და არა „შეთქმულთათვის“.

„გერმანელები არ აჰყვნენ“-ო „შეთქმულებს“. ესეც არაა მართალი, მაგრამ დაკვლანჭული, — უცოდინარობით: ფაქტი კი იყო: კრესმა-ფონ-კრესენტრანდმა მოგვმართა ჩვენ, ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას, სრულებით დაუკავშირებლად ამ «შეთქმულობასთან» — ისე რომ არც კი მახსოვს, მის წინ იყო, თუ შემდეგ. — შემდეგი წინადაღებით: „ოქვენი მთავრობა სრულებით არ ფიქრობს სახელმწიფოს აშენება-გამაგრებაზედ. არამედ მხოლოდ რევოლუციონურ ცარცვა-გლეჯაზედ. ამას ბოლო უნდა მოელოს! მე ვხედავ, თქვენ არა გაქვთ საქმაოდ დიდი ორგანიზაცია, საბოლოო გადატრიალება მოახდინოთ. სამაგიეროდ, მე უკვე იმდენი ჯარი მყავს, 24 საათში შემიძლიან განვიარულო მაგათი გვარდიის ბანდები და, — ხელი გაიშვირა სასახლისაკენ, — თითო კამარაზედ, თითო მინისტრი ჩამოვკიდო. მაგრამ, ეს იქნებოდა გარე შე ძალის ჩარევა შინაურ საქმეებში, რასაც მე ვერ ვიზამ, როგორც საჭართველოს მეგობარი. თუ თქვენ თვითონ მოახერხებთ, გინდერთი საათით, სასახლის დაჭერასა და მთავრობის გარეკვას; გამოაცხადებთ ამ მომხდარ გადატრიალებას, მაშინ მე მთელი ჩემი უფლებითა და ჯარით დავიცვავ ახალ რევიმს“-აო.

შენიშვნა (129). იხ.მიწერ-მოწერაც ფონ-კრესსა და ჩვენი მთავრობის ჟუა, (თავი 18, გვ. 375—387, „ღოკუმენტი ი მატერიალი“), რომ დარწმუნდეთ ამ „შეთქმულობის“ ზღაპრობაშიაც და ...ბ-ნ გრ. ურატაძის სიყალბეშიაც: გერმანელები „მოვიდნენ, როგორც მტრები“-ო. უნდა ნახოთ, როგორ ეხელებიან ამ „მტრებს“, აფხაზეთში, აჭარაში, ბათუმში და იმ საინგილოშიაც, რომელიც მერე თვითონ გადასცა ბოლშევიკებს — დავვეხმარეთ სამალების წინააღმდეგაო.

 ესეთი გადატრიალება „ერთი საათით“, ერთი დღით შეუჩერებული ერთი თვითაც, არ იქნებოდა ძნელი, მაგრამ მე მაშინ ნუშავი და მოგვიყენები აღმდეგი ვიყავი (მოსაზრება, თუ რატომ, ამაზე ქვევით).

სამაგიეროდ, ვრ. ვეშაპელი და კიდევ ერთი ჩვენი პარტიის წევრი, იმ ღამესვე გაქანებულან „ცხენოსანთა პოლკში“ და, ას, ეს «პლანი» და არა უორდანისა გამოგონებული, — გაუცენიათ მაშინდელ უფროს სპირიდონ ჭავჭავაძე აძისა და სხვა ოფიციალურისათვის. მადლობა ღმერთს! (?) სპირიდონ ჭავჭავაძესაც და სხვებსაც კათეგორიული უარი უთქვამთ, ასეთ საქმეში მონაწილეობაზე: „ჩვენი საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ როგორ უნდა წავიდეთ“ -ო? გულდაწყვეტილი მიმეორებდა ამ მათს სიტყვებს, ვეშაპელი; სიტყვებს, რომელსაც არა მარტო ოფიციალურისაგან, არამედ თავად-აზნაურებისაგანაც ხშირად გაიგონებდით (130), წინადაც და შემდეგაც. კეთილშობილმა ფონ-ქრესმა, თავისით გადატრიალება არ მოახდინა, თუმცა სულ ადვილად შეეძლო.

სულ სხვა იყო ჩემი მოტივები, და ამას სხვებიც იზიარებდნენ ზოგნი. როცა უყურებდით მენშვერი მეთაურების უთაურობას, ხშირად გვიხდებოდა ამაზედ კამათი, მსჯელობა, აჯანყებული უკმაყოფილების გამოთქმა. ზოგნი უბრალო უთაურობით ხსნიდნენ, ზოგნი უვიცობით, ზოგი გამოუცდელობით, ზოგი — ბოროტი ბუნებით, მაგრამ ჩემი მაშინდელი აზრი და გრძნობა, რწმენა, იმაში იყო, — და ეხლაც ამაში ვარ დარწმუნებული, — ვიზიარებდი რა სხვათა ახსნასაც, რომ, უორდანია, ჯულელი და სხვანი თითონ მოიყვანდნენ ისევ რუსებს, — თუ ძალა-უფლება ხელიდან გამოეცდებოდათ, რაც მერე სტალინმა და ორგონი-

შენიშვნა (130) „დამჯუმნებელი კრების“ არჩევნების წინ, სათავად-აზნაურო გიმნაზიის დარბაზში, ჩვენ ვინახავდით ხუთასზე მეტს (ოჯახებით) თავად-აზნაურს, აწილკებულთ და გამოგდებულთ სოფლებიდან, და დიდმა უმრავლესობამ მაინც ხმა მისცა „მთავრობის პარტიას“.. ჩვენს გაკვერვებაზე, თითქმის გამოუკლებლივ, — გვიპასუხებდნენ: „ძლივს ველირსენით ჩვენს მთავრობას და მის წინააღმდეგ როგორ უნდა წავიდეთ?“ -ო.

ი, როგორ ელანდებოდათ (?) თავად-აზნაურობის „შეთქმულობანი“ და ოფიციალის „რუსოფლობა“.



კიძემ ჩაიდინეს და იმ საცოდავ სამი წლის დამოუკიდებელი სახელმწიფო გერა ვნახავდით, რომლის ფსიქოლოგიური გარდა კრებულის გავლენას შევნატროდით და გავვიმართლდა კიდევაც ხალხში და არა „მეთაურებში“. როგორც „ეროვნული ყრილობის“ დროს მეთავადაგლეჯილი ვიცავდი და თმობას მათთვის — ხმებისას, მინისტრობისა, მთავრობისა, ყველაფრის, ოლონდ გაქართველებულიყვნენ, ჯერ გარეგნული ფორმებით, მერე მატერიალურ-ფსიქოლოგიურ შეტყობითაც. ეს შიში, რუსების მოყვანისა მათგან, მთავარი მოტივი და გრძნობა იყო ჩემი, რომელიც ხელ-ფეხს მიკრავდა დამოუკიდებლობის ბოლომდე. და, რომ მართალი ვიყავი, გარდა მათი მთელი პოლიტიკური ბიოგრაფიისა, ნათქვამებისა და ნაწერებისა, იქნება შემდეგმა პატარა ამბავმაც დაამოწმოს: როცა უკვე პარიზში 1930-ან წლებში, მე და დათა ვაჩნაძემ გაეგაბით კავშირი დაშნაკელებთან „არმანი-გრუზინსკი უნიონ“-ის სახით, ბ-მა აკაკი ჩხერიძელმა ერთხელ მითხრა:

„თქვენ რომ ეგრე მჭიდრო კავშირს აბამთ სომხებთან, მე შინია, რომ ჩვენები(?) ისევ რუსებს დაუკავშირდებიან“—.

— არ ვიცი, ბ-ნო აკაკი, თქვენ გეშინიანთ ამისი, თუ მე მაშინ ებთ - მეთქი, უპასუხე. და მე თუ „ვცდებოდი“, აკაკი ხომ არ შესცდებოდა!?

რაც შეეხება უორდანიას „პროგნოზს“: „...მოხდებოდა სამოქალაქო ომი, გერმანელებთან(?) შეტაკება, სოფლების აჯანყება...“ და სხ. ეს სულ ზღაპრებია, რადგან სოფლები უჯანყდებოდნენ სწორედ მენშევიკებს და მათს მცარცველ გვარდიას; სამოქალაქო ომი ერთი მუქა „რუსის სოც-დემოკრატებთან“ — ერთ დღეში გათავდებოდა და წესიერების მომხრე მუშები და გლეხობა, დიდი უმრავლესობით და ერთიანად ლოიალური დარჩებოდა, როგორიც იყო და არის და არას თაღეს არც აჰეთლია სწორედ მენშევიკურ, ზემოდან და ძალად თავმოხვეულ უწესობათ. პირიქით, ჩვენში თუ სრული ანარქია არ მოხდა, როგორც დანარჩენ რუსეთში, განსაკუთრებით ხალხის სიმძიმესა და დარბაისლობას მიეწერება,

სიმწიფეს მისას და არა ზემომცარცველთა რეგენობასა და უკრანული სიმჩატეს.

და ინგლისელებსაც, — რომელთა „ჩვენდამი(?) მტრული განწყობილება“, ნოვეს ელანდებოდა ვითომ (131), უკვე დახვდებოდა წესიერი სახელმწიფო — ერი — და როგორც სახელმწიფო სახელმწიფოსთან, მეგობრულ კავშირსაც დაამყარებდა. აკი ზემოდაც მოგიხსნიე, რომ პოლიტიკურად, ინგლისელები და გერმანელები, ერთნაირად იყვნენ დაინტერესებულნი კავკასიაში მშვიდობიანობა-წესიერებით და მისხი-მისხივ ერთნაირ წინადაღებას იძლეოდნენ — და ხმარებისას.

ხშირად ვფიქრობ, იქნება დიდი შეცდომა იყო ჩვენი (და ჩემიც პირადად), — არ ავყევით ფონ-კრესა და ეს ერთად-ერთი მომენტი არ გამოვიყენეთ საქართველოს სახსნელად, როგორც „სოც-დემოკრატიამ“ გამოიყენა რუსები, მხოლოდ წასაჭცევად. მაგრამ მან — როცა ომის ბედი ვინ იცის როგორ გადაქან-გადმოქანდებოდა, როგორც თავგვს კატისა, მეშინოდა რუსეთის შავი ჩრდილისა, რადგან შინაური მტერი საქართველოს იდეისა ასეთ მომენტში, — საგარეოზე სახიფათოა.

აი, თვითონ ბ-ნი ნ. უორდანია რასა სწერს, მისი წიგნის გვ. 124:

„დღის წესრიგში დაისცა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ეს იყო სრულიად მოულოდნელი, არასოდეს გა-თვალისწინებული ამბავი. მისი გატარება ჩვენს რევოლუციონურ ორგანიზაციებში გახდა დიდ თავსამტკრევ ამოცად“ (132).

შენიშვნა (131) „მტრული განწყობილება“ გერმანელებისაც და ინგლისელებისაც, იყო სოციალურ სირეგვნებისადმი და არა ეროვნულ (ქართულ) მისელებისაც, მაგრამ სირეგვნებისადმი. ამ მთავარს ვერ მიხვდა (? : მე ვფიქრობ, —პირიქით, —მიხვდა სწრაფებისადმი). ამ მთავარს ვერ მიხვდა და რუსეთის ხაორით დაწამევით მოქმედებდა. ეს კარგად და ამიტომ) უორდანია, და რუსეთის ხაორით დაწამევით მოქმედებდა. ეს კარგად და სწერს: უორდანია და გეგერკორი მუდამ საეჭვონი იყვნენ რუსეთის მიმართ განწყობილებაშიო.

შენიშვნა (132) იმას აღირ მშატებს, რომ 25—30 წლის განმავლობაში, — თვითონ იყო ამ გათვალისწინების თავშეუდებელი მტერი.



და გვ. 133-ზე მოყვანილი „შიშები“, მისი კითხულისტურა არამედ ჩვენი, რადგან „სამოქალაქო ომის“, „გერმანელებთან შეტაკების“, „სოფლების აჯანყების“ ერთად ერთი მცდელი თუ არა, ერთ-ერთი და მთავარი, თვითონ იქნებოდა, — სხვა ელემენტები საქართველოში, პირიქით, წინააღმდევნი იქნებოდნენ და სწორედ ამიტომ, — ჩვენ რომ არ დაგვეთმო მისთვის ყველაფერი, — თვითონ, გეგეპორი და ჯულელი ბოლ შევიკებთან ერთად იქნებოდნენ (როგორც ყოველთვის) და ერთად უარესა და უფრო ადრე იზამდნენ, რასაც მერე მარტო ბოლშევიკები შვერებოდნენ და-გვიანებით. ეს ნალი და რეალური საშიშროება იყო.

15.000 ოქრო, ეროვნულ ყრილობის მოსაწვევად 1917-ს; თავად-აზნაურობის ქონების მირთმევა ეროვნულ საბჭოსათვის; ჩვენი თანხმობა 56 სოციალისტი და 9 — არა-სოციალისტი დეპუტატის პროპორციაზედ და ათასი სხვა დათმობა, ყველაფრის მათთვის მიცემა, — ამდენივე ქრთამი იყო უორდანიას მეგობრებისათვის, — რუსები მათ არ მო-ეყვანათ... ბოლშევიკებზე ადრე.

* * *

„აგრარული რეფორმა“ ჩვენს „მეთაურებს“ თავი მო-
და აქვთ, წერით, სიტყვით თუ

„კონსტიტუცია,,. პროპაგანდით — პირველი და უკანასკნელი თავისი შეილობილებით: „აგრარული რეფორმით“, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მიღებულით ამიერ-კავკასიის სეიმისაგანც კი უკვე, და „კონსტიტუციით“, რომელიც შემუშავდა უკანასკნელი ომის ზარბაზნების გრიალში.

თავი დავანებოთ იმას, რომ მთელი არსებობის განმავლობაში, „რევოლუციამდე“, — ჩვენი მენშევიკები „რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის“-აგან ნაბოდვარ (და ნაბოძვარ) საცოდავი „ჩამონაჭრების“ მეტს ვერ იმეტებდნენ, ქართველი შეგნებული და მაღალი-კულტურების მწარმოებელი გლეხობისათვის, ისევე, როგორც ჩუსის ჩამორჩენილ მუჟიყისათვის, „ობშჩინას“ რომ ვერ გასცილე-



ბია დღესაც. და უცებ აიყვანეს ეს „ჩამონაჭრები“ 7 დესეტიშვილის მიერა რატომ არა ცხრამდე, ან არა ხუთამდე, მოტივი არავინ იკოდა; მე მეგონა მაშინ და ვთქვი კიდევაც პარლამენტში, საოხუნჯოდ, „ალბად იმიტომ, რომ ეს დადგენილება ჩვენმა მენშევიკებმა მიიღეს 7 მარტს, თორემ სხვა რიცხვში, გლეხებისთვისაც ალბად სხვა რიცხვ დესეტინას გადასწყვეტდნენ“-მეთქი. მაგრამ შემდეგში გამოირკვა უფრო „ლრმა მიზეზი: თურმე საფრანგეთის რომელიდაც მორიგ რევოლუციაში მიუღიათ 7 acre-ი და „საფრანგეთის რევოლუციის“ მაიმუნობა ხომ ჩვენთვისაც სავალდებულო უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამას, „ვინ ჩივა“? უბედურობა იმაშია, რომ „ეროვნულ-დემოკრატიას“ (და კერძოდ მე) გვაბრალებენ, რომ ჩვენ წინააღმდეგ გობას უწევდით საერთოდ აგრარულ რეფორმას და ვიცავდით მემამულების ინტერესბს, რაც უსინიდისო დემაგოგის „უუპელები“ იყო მაშინ და ეხლაც (133). ჩვენი მიდგომა აგრარულ რეფორმისადმი, იყო მიზანშეწონილობისა და გამომავლობის ანგარიშზე აგებული, მიწათ-მოქმედების ქვეყანაში და მაშინდელ მის დონეზე.

მე უკვე მოგახსენეთ (იხ. გვ. 113) რომ, ომამდე და ომის დასაწყისში, ხუთი წლის განმავლობაში, ჩვენ ვახდენდით ფაქტიურს „აგრარულ რეფორმას“ (და არა ფაქტიურს, სიტყვიერს და თეორიულს, მენშევიკურად), შინაგანი გადასახლების პრინციპის დაცვით, და უკვე 52.000 „დესეტინა“ მიწა გვქონდა გამოსყიდული უქმი თავად-აზნაურებისაგან და მიწის-მუშა გლეხებით დასახლებული (134). ომს რომ არ მოესწრო, ამ რეფორმით, მშეოდობიანი, ფაქტიური და ერთადერთი მიზანშეწონილით, შემდეგ ხუთ

შენიშვნა [133]. იხ. ეორდ. გვ. 129, საცა იგი „გაოცდა“ (sic!), რომ „ნიკიონ.-დემ.“ გ. გვაზავამ წარუდგინა პროექტი... სოციალურ რეფორმებზე-დაც: 8 საათის სამუშაო დღე, მამულების კონფისკაცია...“ და ს. და „მე შევა-სწორეო“.—მაშ რალასა ბოდავს „ნაც.-დემ.“ წინააღმდეგობაზე—აგრარულ რეფორმის მიმართ?

შენიშვნა [134]. აბა, ამდენივე მაინც თუ დაარიგეს—მიჰყიდეს გლეხებს მათი... „რეფორმით“?



წელიწადში, გაცილებით უფრო სწრაფი ტემპით, (რაღაც ქართული აზნაურო საკრებულოს“, ამისათვის თანხები და მომუშავე—უძლებელი უნდა გაეძლიერებინა) (135) — მთელი გაჭირებული გლეხობა მიწით დაკმაყოფილებული იქნებოდა და, დროთა განმავლობაში ქართველებისგან დაცლილი ტერიტორიაც, — დაკავებული კანონიერი მიწათ-მფლობელობით. უმთავრესად გურიისა და სამეგრელოს ნამდვილ მომუშავე გლეხების ნებაყოფლობითი ჩასახლებით; და არა იმავე გურია-სამეგრელო-მენშევიკურ, ყაჩაღურ ნაწილის იარაღის ჩასარუნით.

„მიწათ-მოქმედების კომისიის“ გამოცდილებასაც რომ თავი დავანებოთ, რას მოვითხოვდით ჩვენ პარლამენტში? ჩვენი დებულება იყო: «არსებული სამეურნეო ერთეული» არ დარღვეული ყოფილი ყოველი, იყო იგი თავადისა, აზნაურისა თუ გლეხისა — სულ ერთია. ვინც ნამდვილად ამუშავებს მიწას, დაეტოვოს მათ, არა უმეტეს 50 დესეტინისა (საცა სამეურნეო ერთეული აღწევს ასეთს ზომას) დანარჩენი ჩამოერთვათ და განაწილდეს ნამდვილ მომუშავე გლეხთა შორის.

ეს არაა წინააღმდეგობა „რეფორმისა“, მარტო იმიტომ, რომ ჩვენ მოვითხოვდით „კერძო საკუთრების პრინციპის“ მიხედვით —, რომელიც მენშევიკებს თუ რმე არ დაურღვევიათ, — მემამულების მცირედს დაკმაყოფილებასაც გამოსყიდვის ფულით, რომ მათ შესძლებოდათ, ჩამორთმეულის ფასად, დარჩენილის შემოსავლიანობის აწევაც.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ზოგიერთ მემამულეს ათასობით (136) ჰქონდა „დესეტინა“ მიწისა (მინდორი, საბალახე, სა-

შენიშვნა (135). და ჩვენს მთავრობას უფრო ადვილადაც შეეძლო, ჩვენი რამ რომ დაეჯერებინა,

შენიშვნა (136). მარტო გ. ამილახვარსა ჰქონდა 14.000 დესეტინი (ყველა ხარისხისა). მ. ერისთავს — 2.000, რომელთაგან 12 დეს. — საუკეთესო ხილის ბალი. ჯავახიშვილებს, ციციშვილებს — 74.000, თარხნიშვილებს, ფალავანდიშვილებს, ამირეჯიბით და სხვა მრავალთაც — ზოგს ასობით, ზოგს — ათასობით. კახეთში — მარტო ერთ ჯანდისრისა ჰქონდა 20 დეს. ვენახი და სხვაც ბევრი მიწა. ვაჩაძე-

ხნავი, ტყე, ბალი, ვენახი თუ სხ.), რომელსაც თვითონ არ ამჟავებდა, მეორე მხრით, რომ ერთ დესტინა ვენახს, ბალს, თამბქრის ჩამდებილი სხ., შეუძლიან შეინახოს ერთი ოჯახი, — ადვილად წარმოიდგენთ, რამდენი ასიათასი დესტინა განთავისუფლდებოდა მემამულეთაგან და დაანაყრებდა რამდენ მუშას (137), — ჩვენი პროექტით; რომ ფაქტურად გამოუსადეგარი და გამოუყენებელი, მარტო ყაჩაღური ჩამორთ მევით დაკამაყოფილებული, მათი „რეფორმა“ არ მომხდარიყო.

ტომები არ ეყოფოდა მათი სისულელების აღწერას ამ დარგში (რბილად რომა ესთქვათ), მაგრამ რამდენიმე დამახასიათებელი მაგალითის მოყვანაც საკმარისი იქნება, მათი თავშეუდებლობის დასადასტურებლად და ჩვენს მიმართ სიცრუისა და დემაგოგიის გამოსამულვნებლად.

ბ-ნი ნ. ეორდანია, ერთ-ერთ თავის „მეცნიერულ ექსკურსში“ სწერს... „„რომის იმპერია იმით დაიღუპა, თავის დროზე აგრარული რეფორმა ვერ მოახდინა...“ -ო.

შენიშვნის მაგიერ: რომი დაანგრია „მსოფლიო იმპერიობამ“ და არა ამ პრიმიტიულმა უვიცობამ. რომის სარდლებსა და ლეგიონებს დაპყრობილი ჰქონდათ ევროპის, აფრიკის და აზიის მაშინდელი მსოფლიო, ისპანიიდან — საქართველო — კავკასია — სპარსეთამდე; მოკავშირე იბერიის მეფე ფარსმანს მთელი დიდი სომხეთის მფლობელობაც ჩააბარეს და მისი ღინასტრია გამეფეს იქა. და ეორდანიას საყვარელ სარდალ ვალიკოს და მის ვარდიას ერთი ოსიც კი ვერ დაუჭერიათ, პატარა სომხეთთან სირცხვილი სჭამეს და რუსებისაგან თხებივით გამორბოდნენ... თუმცა დიდი გერმანია და დიდი ინგლისი

ებს, ანდრონიკაშვილებს და სხ. და სხ., ათასობით სახნავი, საბალახე და ტყე ჩამოერთმეოდათ და იქნება ერთად-ერთი დიმიტრი ერასტეს ძე ჩოლავაშვილი ყოფილიყო, რომელსაც 50 დესტინის ზომის „სამეურნეო ეროვნული“ შერჩენდა. დანარჩენებს არა ჰქონდათ.

შენიშვნა (137). ქართლში, დაახლოებით 50.000 დესტინამდე ადიოდა ბალ-ვენახი. კახეთში—ამდენივე ვენახისა და თამბაქოს კულტურა, — რაც თავისუფლად ავიდოდა 100.000-სამდე.



თანაბრად მოკავშირეობას სთავაზობდნენ და უკანას უმცირესი ყარსსაც.

ატილამ, მიტრიდატმა, ჰანიბალმა, გერმანელებმა და სხვათ ძლიერ მოულეს ბოლო, უკვე გარყვნილებისა და დაცემის გზაზე შემდგარ რომსა და შიგნილან ქრისტიანობამ, ჰაპის სახით, სულიერ ბატონობად გადაუქცია ჩვეულებრივი ბატონობა და... უორდანია თავის ცოდნას... შეეიცარიის, გერმანიის, საფრანგეთისა და ინგლისის ბროშურების დასუნვით იძენდა, როგორც თვითონ გვიამბობს თავის წარსულში, და, ასეთსავე ცოდნასა სძენდა თავის მრევლსა].

ალბად ამიტომ ახდენდა ისე გაქანებული „აგრარულ რეფორმას“ თავის იმპერიუმში, რომა... რომმა ათასი წელიწადი გასძლო და უორდანიამ სამიც ვერა. არ დასცალდა საწყალს, ვერ მოასწრო...].

აი, მაგალითებიც: მ. ერისთავს, სოფ. კარალეთში, ჰერინდა ევროპიულად მოწყობილი საუკეთესო ჯიშებით ხილის ბალი — 12 დესეტინა. „რეფორმით“ ჩამოერთვა ხუთი და დარჩა შვიდი. ჩამორთმეული ვერავის ჩააბარეს. (შეიძლება არც არავინ მიიღო, რადგან ხ შირი, ძალიან ხშირი იყო ჩვენში შემთხვევა, რომ მუჭ ქთის დაბატრონება არ უნდოდათ (138)... „ჩამორჩენილობით“, რასაკვირველია, თორემ ანდაზა, სტუის რომ ამბობს: „ქართველმა კაცმა მუქთი კუბოც რომ დაინახოს, შიგ ჩაწვება“-ო.) და როცა „უპატრონ“ ბალები ჩვენ «ქართლის ამხანავობას» გადმოსცეს 1920-სა (და ისიც „გორის ერობამ“, ვინმე ღვთისნიერი ა. კახელაძისა და კლიმიაშვილის წყალობით), და შევედით ამ „ბალში“, პირს კატა ვეცა: ლობე-შემორლვეული, ზოგან გადათელილი და „ჩამორთმევის ხაზზედ“ სოფლელებისაგან საურმე გზად გადაქცეული, დანარჩენი ბალი აოხრებულ სანახირეს წარმოადგენდა, საცა მიწა გამხმარ და მოუვლელ დაკორტნილ ხეებს, გადაგვარების ნიშნები ლა ეტყობოდა. ეს ის «ბალი» იყო, რომელშიაც რამდენიმე წლის წინად სამოთხის მსგავსი ხილი ხარობდა. და თავადის ხელში თუ ქართველის სიმდი-

შენიშვნა (138) ამის შესახებ ავაზაკურ „დეკრეტზე“ ქვევით გვიჩნება ნათქვამი,



დრეს ემატებოდა მაინც, სინიდისიერი „დემოკრატიის“ ხელშეწყობის გლეხის ხუთს თუ არა, სამ ოჯახს მაინც შეინახავდა.

მთელ გორის მაზრაში განთქმული იყო ისაია ფურცელაძის ბა-ლი, ერთად-ერთი ასეთი სიღიღისა, — 30 „დესიატინა“ და ისიც „ქართლს“ მოგვიგდეს. ნეტამც არ გვენახა! პატრონს, რომელსაც მთელი სიცოცხლე ამ ბალისათვის შეულევია, გული აჰყროდა და ბა-ლი ისეთი გავერანებული დაგვხვდა, — სანადირო ტყე გეგონებოდათ.

ვითომ რა დააკლდებოდა მარქსის „კაპიტალს“, ან „საფრანგე-თის დიდი რევოლუციის“ დიდებას, რომ ასეთი, — ასობით — „სამეურნეო ერთეულები“ გადაერჩინათ 7-ჯერ დასაწყევლ 7 დესე-ტინიან რეფორმისაგან, ჩვენს უბადრუკ რეფორმატორებს?.. თორემ რომის იმპერიის „სურათებზე“ ხომ ჩვენი ჯულელებიც ოცნებოდ-დნენ და ვარჯიშობდნენ: „...понимал Нерона“-ო, რომ ბლაჯნიდა თავისი „ნაოსარი“ ხელით, ეს „თავისი დროის“ ბოროტების დონ-კი-ხოტი, რომელიც ჯერ კიდევ 1907 წელს ბლაოდა ს.-ბერებურლში, ილიას მკვლელობის გამო: „лес рубят, щепки летят“, თავის რუს-ბატონებისა, პატრონებისა და ამხანაგების სიტყვების გან-მეორებით.

* * *

მაგრამ, იქნება მე „ვაზვიადებ“ სურათებს, და „რევოლუციის“ ექსცესებს, რომელსაც ახდენენ ხოლმე ნაძირალები და ბრძოები, — მივაწერ „მენშევიკების მეთაურებს“?. აი, ჩავყვეთ: მე არ მასხსოვს, არ მაგონდება არც ერთი შემთხვევა, ჩვენ ხალხს, ვისიმე ბალი, ყანა, ვენახი ან ცოცხალი საქონელი გაენადგურებინოს (რაც ხდებოდა რუსეთში „წითელი მამალის“ სახით; ან ცხენებისა და ძრო-ხების ფეხების დაჭრით; ან რა მოსატანი იქნება თუნდ მეგრული ჩვე-ულება „ცხენების მოპარვისა“, (139) ეს ხომ განადგურება არ არის) და მენშევიკები შეგნებულად ანადგურებდნენ, მათი შეგნე-

შენიშნვა (139). ბნი ვალიკო ჯულელი „მძიმე ჯვარში“: „...Бандза, — воровская столица Мингрилии“.



ბით — „კონტრ-რევოლუციონერებისას“. ასე მოექცევი უშუალოდ ანში მ. ვაჩინაძეს, რა „დესეტინა“ ვენახიდან რომ ერთი ჩამოსჭრეს და უპატრონობით გაოხრდა. დ. ჩოლოყაშვილის მამული გავერანდა და სხ. და სხ.

თამბაქოს „მონოპოლიის“ შემოღებით და ხალხის დამშევით, ბევრს მიატოვებინეს ეს „მაღალი კულტურა“ და ხალა-უნებურად დაბალს, ყანისაზედ ჩამოიყვანეს. ჩვენ, განსაკუთრებით კოტე ტყა-ვაძეს რომ სახელდახელოდ არ გადაეყვანა მეთამბაქოენი კოოპერა-ციის ნიადაგზე და ქარხანის ამუშავება არ დაწყო, შეიძლება ეს მა-ღალი დარგი მეურნეობისა — განახევრებულიყო კახეთში.

ანანოვის შამპანიური (140), ფრიდონოვის ატამი და ქლიავი, რომე-ლიც რუსეთსა და პარიზამდეც კი აღწევდა, ჩვენ დროს თბილისამ-დეც კი ვეღარა, წაგლეჯისა და ჩამორთმევების გამო. „საუფლისწუ-ლო“, ევროპიულად დამუშავებული დიდალი ვენახები და მეღვი-ნეობა, ჩააბარეს ვინმე ერეთოზ ამიშვილს, რომელზედაც საქარ-თველოშივე ამბობდნენ: „კიტრისა და ვაზის ფოთოლს ერთმანეთში ვერ არჩევს“—ო (141) და ზალცბურგში ტყვეობის დროს, მისი „ამხა-ნაგი“ ნიკო იმნაიშვილი, უმატებდა: „.... ეგ ცნობილი ყაჩალი იყო ჩვენში და ბერლინში ხომ პარტიიდანაც გაგდებული, როგორც ბოლ-შევიკების აგენტი“—ო.

„შენიშნვა (140); საწყალ ანანოვს (რომელიც 1905 წ. „მოტაცებული“ იყო მენშევიკებისაგან და, „გამოსყიდული“.) „აგრარული რეფორმით“ ჩამოერთვა სა-უცხოვო ვენახები, და შემდეგ „დამ. კრებამ“ სპეციალურად ამისათვის გამოსცა „კანონი“ (?); „ჩამორთმეული ქარხანის (შამპანიურის) ხელსაწყოები, ჭურჭელი, დამზადებული საქონელი და მუშებიც კი გადადის—ო (ო!) სახელმწიფოს განკარ-გულებაში“. ეს შამპანიური თვალით არაესი უნახავს... გარდა 1921 წლის ომი-საგან გაქცეულ ვაგონებში რომ იღვრებოდა-იმეოდა წყალივით.

„შენიშნვა (141). როდესაც კახეთში იყვნენ პირველხარისხოვნი მევენახე-მეღვინეები—თუშმალიშვილი, ავალიშვილი, მჭედლიშვილი, ანდრონიკიაშვილი, პავჭავაძესი და სხ., ზოგი მაღალი სპეციალური ვანათლებით, ზოგი საშუალო-თი და ზოგს საფრანგეთშიაც კი ჰქონდა მიღებული სპეციალი სწავლა. გარდა ყველა შემამულესი, უბრალო მევენახე კახელი გლეხი უკეთესი იქნებოდა, იქა-ური პირობებისა და მეურნეობის მცოდნე.



რასაკვირველია, „აგრარულ რეფორმასთან“ კავშირი გრიფიზის გადაცემა
მაგრამ რამიშვილს რამიშვილი მოჰყევა და თბილისის მთელი სახელ-
მწიფო უძრავი ქონება ჩატარდა ირაკლი რამიშვილს, რომელსაც
ერთად-ერთი ხელობა პქონდა „შესწავლილი“: წინად „ქართული
ბანკის“ კარისკაცი იყო და „პოვესტკებს“, ატარებდა სახლების და-
მგირავებლებთან. ცხადია, ეს ხელობა, რამიშვილისათვის, საკმაო სტაჟი იყო სახელმწიფო ქონების გამგებლობისათვის. და
არც ირაკლი, საწყალი კაცი, არც ერეთოზი — ყაჩალი, თვისით და
„ექსცესების“ წესით არ დაპატრიონებიან სხვის ქონებას, არამედ
ზემო - რამიშვილების, — მინისტრებისაგან დანიშნვით.

* * *

შაბიაშან - გოგირდი. მკითხველს რომ თავი არ შევა-
წყინო „აგრარული რეფორმის“ კიდევ ათასი სხვა ფორმით, მარტო
ზოგიერთი დამახასიერებელი „წერიმალის“ დამატება დამჭირდება,
ამავე წიგნის 78 გვერდის ამბავისათვის, რადგან საგარეო ვაჭრობის
მონოპოლიურად ხელში ჩაგდებასთანაცა აქვს კავშირი, — ბოლშე-
ვიკურად მენშევიკებისაგან.

როდესაც ჩვენგან და ბ-ნ პომერისაგან სრული ნდობით აღჭურ-
ვილმა ალვა აბაშიძემ, ასე ვსთქვათ, ახალი „არგოთი“ „ახალი ოქ-
როს“ ჩამოტანა გვახარა და პომერიქმა კი მისი იაფად გაყიდვა აგვი-
კრძალა, დასჯის მუქარითა და ვაგონების მოუცემლობით, აშერა
გახდა, რომ შევი ქვის, თამბაქოს, მატულის და სხვა სავალიურო სა-
ქონლის „მონოპოლიებს“, საგარეო ვაჭრობის მონოპოლიაც ერთვო-
და „ახალ სისტემას“ და ამით კერძო თუ კოოპერატიულ-საზოგადო-
ებრივ ინიციატივას, — ყველა გზები ეჭრებოდა, ე. ი. „რუსეთის სოც.-
დემ. პარტიის“ რუსულ სახეს (ბოლშევიკურს) და იმავე პარტიის
ქართულ სახეს (მენშევიკურს) — ყველგან ერთი და იგივე სულის-
კვეთება დაჰვა: წაართვი, წაპგლიჯე, მიითვისე, და, ეს — სასარგებ-
ლოა ხალხისათვის, მუშისა და გლეხისათვის, თუ მავნე, აგრეთვიც
წელიწადია ხედავს... კაცობრიობა.



და ამ „ფოკუზის“, ქართულად ოინბაზობის, საიდეალურობის ხომ გვიან გავიგეთ, მაგრამ რაღა ეშველებოდა? ქართველ გლეხს უნდა ეყიდნა შაბიამანი 600 მანეთად სოციალ-დემოკრატიულ მთავრობისაგან და, „დიალექტიურად“ დარწმუნებულიყო, რომ ეს უფრო ხელსაყრელია მისთვის, ვიდრე ეყიდნა „ბურჟუაზიულ“ (?) კოოპერაციისაგან 250-ად. ლოლიკით სხვა ახსნა ექნებოდა, მაგრამ... ეს რაღა ჩვენი საქმე იყო? ისე ლაპარაკობთ, თითქოს მარქსისტულ დიალექტიკის ამისთანა სასწაულები როდისმე გასჭირებოდეს, დაამტკიცოს, რომ 600 ნაკლებია 250-ზე.

* * *

„ა. რ. დეკრეტი“. მაგრამ აგრარული რეფორმის ამბავი დასრულებულად არ ჩაითვლებოდა, ერთი უცნაური „დეკრეტის“ მოწმობაც არ მოგვეყვანა. „აგრარული რეფორმით“ და საზოგადოდაც, მენშევიკებს «კერძო საკუთრება არ გაუუქმებიათ», მაგრამ მემამულებს კერძო საკუთრება უფასოდ ჩამოართვეს და ...მიისაკუთრეს. ყოველ შემთხვევაში, usufruit-ები გახდნენ. უცოდინარობით, მე ვერ დავისახელებ ვერც ერთს შემთხვევას, რომ ამ ჩამორთმეულიდან, ვისმე რამე ნაგლეჯი მაინც — დაურიგეს უფასოდ და კერძო საკუთრებად რომელიმე გლეხს დაუმტკიცეს. ალბად „ვერ მოასწრეს“; ან იქნება სხვას ვისმესა აქვს დაწერილი, ან ახსოვს მაინც ასეთი გადაცემის შემთხვევებიც?

ფაქტი კი ერთია, გამოცხადდა თუ არა მუქთი ჩამორთმევა-დარიგება, საქართველოს ყველა კუთხიდან დაიწყო ცნობების დენამ, რომ გლეხები «მუქთად» რისამე მიღებაზე უარს ამბობენ და უკვე ბევრნი — ურიგდებიან უ შუალოდ პატრონებს, ყიდულობენ და ნოტარიუსითაც კი იმტკიცებენ ზოგან მიწებს-აო.

ამ მოელენამ („სპონტანიურმა“, როგორც იტყვიან) — აღშფოთება გამოიწვია „რეფორმისტებისა“ და გამოიცა სასტიკი „დეკრეტი“: „ასეთი კერძო ხელშექრულობანი — ყველა იქნება გაბათი-

ლებული და მყიდველი და გამსყიდველი — სასტიკად ფუნდაცია მეცნიერებებისათვის

ვერც „რეფორმის“, ვერც „დეკრეტის“ შედეგებს და გამოძახილს ვერ შევესწარით. ჩემდა სასირცხვილოდ, უნდა გამოვტყდე, რომ მხოლოდ 1956 წელს გავიგე და ისიც პარიზში ბ-ნ გრ. ურატაძეს წიგნიდან რომ თურმე უფასოდ ჩამორთმეულ მიწებს, — თვითონ ა ჰყიდდნენ. საინტერესოა, რამდენის გაყიდვა მაინც მოასწრეს? და ვისზე? ამით გასაგებიც ხდება „დეკრეტის“ მიზანი და რუსული „დუხი“: გლეხებს, თავადა-აზნაურობის მიწის ფასი, პატრონისათვის კი არ მიეცათ, არამედ „რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიისათვის“.

* * *

ოპოზიციის უვარევისობა. „ოპოზიცია არ ვეივარებოდა“-ო, აი, ერთი მრავალთაგანი საბუთი(?), რომლითაც მენშევიკები თავს იმართლებდნენ(?) საქართველოშიაც და ემიგრაციაშიაც, თუ — თვითონ რატომ სრულიად ვერ ივარეს და „ციდან ჩამოვარდნილი“ მათთვის, ე. ი. ხელგაუნძრევლად, — დამოუკიდებლობა — დალუპეს. ჩვენ კი, ეროვნული ელემენტები, ვინც შრომითა და ათასნაირი საშიშროების მიუხედავად, ამისათვის ვიღვწოდით, — „რევოლუციის“ პარადოქსების გამო, — დევნილ ოპოზიციასა და უმცირესობაში აღმოვჩნდით. რაში უნდა გამოხატულიყო ჩვენი ვარგისობა, — 16 დეკემბერისა 130 სოციალისტზე, ე. ი. თითქმის ათჯერ ნაკლებისა, — ვერასოდეს ვერ გვითხრეს და ბ-ნი უორდანია ამასევ იმეორებს თავის post mortem წიგნში, ცოტა სიტყვების შეცვლით:

„დამფუძნებელ კრებაში“ ერთსულოვნობა ვერ აღმოჩნდა, სისტემატიური ოპოზიცია გაჩდა ნაციონალ-დემოკრატებისათვის.

„ღვთის წყალობაც ღვთის რისხეად ეჩვენებოდათ“-ო (გვ. 153).

კი არ გვეჩვენებოდა, როგორც მილიონი მაგალითიდან ვხედავდით, ნამდეილი ღვთის რისხეა იყო; გარედან კი არა, შიგნიდან შემოსეული მტრისა, — რუსეთის „მეხუთე კოლონისა“.



მგონი, ქვეყნის ერების არც ერთ პარლამენტში, გარდა რუსეთის, მთავრობას ისეთი დიდი უმრავლესობა არა ჰყავს, როგორც უკუნიდან არგუნა ბედმა (სხვათა შორის, „დამფუძნებელ კრებაში“, ათასი „მახინაციების“ წყალობით, ნაციონალ-დემოკრატიას, „პარლამენტის“ 16 დეპუტატიც აღარა ჰყავდა, არამედ უფრო ნაკლები, — 10 თუ 11) და დიდი უჭირუ უნდა იყოს ადამიანი, „ერთსულოვნობის“ დარღვევას (პოლიტიკურად) აბრალებდეს 10 კაცის ოპოზიციას. ისიც ავიწყდება, როგორც ხშირად სხვა ნაწერებშიაც, რომ ათასან ტრაბახობს „ლანჩხუთის ს. დ. კომიტეტში“, „ს. დ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში“ სწყდებოდა საკითხები და იგივენი, „ფორმისათვის ატარებდნენ სხვა დაწესებულებებში, როგორც „ეროვნული საბჭო“, „პარლამენტი“ და „დამფუძნებელი“. უკვე ვიცით, რომ „თბილისის ქალაქის თვითმმართველობა, და სხვა ქალაქებისაც, სოფლადაც, ერობაც, არა მარტო ხელში ჰქონდა „სოც. დემოკრატიას“, შემადგენლობაც უმეტეს შემთხვევაში, — იგივე პირებისაგან იყო. მაშა რა შეეძლო ოპოზიციას?

ეს ბოლშევიკური სისტემა ერთ-პარტიული დიქტატურისა და ისიც არ-არსებული „პროლეტარიატის“ პარტიისა, თანდათან ხომ უფროც გააძლიერეს. თუ თავიდან ვითომ „კოლიცია“ შეკვენეს და ბ-ნი გ. უურული მიიწვიეს ფინანსთა მინისტრად, მალე საწყალი კ. კანდელაკით შესცვალეს („ს. დ.“); თუ ჯერ შალვა მესხიშვილი ჰყავდათ იუსტიციის მინისტრად, მალე იუსტიციის სრული უფიცი მ. არსენიძე დააყენეს („ს. დ.“) და ასე — ყველგან... არავითარ რჩევას არ ისმენდნენ; არაფრის მცოდნენი, ყველაფერი „იუდენენ“; არაფრის გამკეთებელნი, ყმურად უტვინო ბრძანებათა შესრულებას მოითხოვდნენ. ბატონობა გაუტკბათ. იყო არა დემოკრატია, არამედ „ქამოკრატია“. აბა წაიკითხეთ, როგორი ზიზლით, მაგალითად, იხსენიებს მთავარსარდალ ღენ. ოდიშელიძეს, ამ მართლაც ლაქიას: „სულ პოლიტიკურ მოღვაწეთ თვალებში უყურებდა“-ო. და არასოდეს კი არ მოიშორა, მრჩეველად ჰყავდა საქართველოს ბოლომდის... „პარახორტზედაც“-კი. ღენერალი კვინიტაძე კი, სახელმწიფო ფორმისა და რამდენჯერმე საქართველოს



გადარჩენისათვის მტრისაგან, — მოწვეული გაჭირებისას, — უფრისულებელი ჯებისას, ყოველთვის გადააყენა. ღენ. გ. მაზნიაშვილს, შატრუქ შემოსილი ლაქელიძეს, და სხ., როგორც კი რამე ხეირიანს გააკეთებდნენ და ცოტაოდენ სახელსაც გაიკეთებდნენ ხალხში, — როგორც საშუალო საუკუნოების სატრაპეზი, მაშინვე რაღაც გაუგონარს, „ქურდობას“, „უფლების გარდამეტებას“, „ძროხების გადამალვას“ და ათას ჭორს აბრალებდნენ; ნამდვილ ავაზაკებს და ქურდებს (ი. კაჩუხაშვილი, აპ. ურუშაძე, რუბენ გიორგაძე, პლატონ ფაჩულიას და ათასს სხვას) — „პოვიშენიებს“ აძლევდნენ და ასაჩუქრებდნენ, ესეთი იყო მათი „პოზიცია“ და თურმე ყველა ეს, — რაც ანგრევდა ქვეყანას, — „ოპოზიციის“ ბრალი ყოფილა. ი. გედევანიშვილს, კლუბის ლაქია ჩიქოვანს, ასლან აბაშიძეს, ლ. კერესელიძეს ღენერლობა მისცეს, ნამდვილი ღენერლები და მცოდნენი (შ. ბაქრაძე, ვ. გაბაშვილი, კ. აფხაზი და ბევრი სხვა) და აუარება წარჩინებული ოფიცრობისა, ან გამყარებს, ან არავითარი საქმე არ მიანდეს: ასეთი იყო მათი პოლიტიკა. თვითონ რუსოფილები, — ამ ნაცრუალ რუსოფილობას მხედრობას აბრალებდნენ, რადგან სწორედ მათი ქართველობის ა ეშინოდათ, ე. ი. სახელმწიფოზედ მზრუნველობისა.

* * *

ს პ. კედიას ოთხები. და თუ „ოპოზიცია“ არ ვარგოდა, სულ სხვა მხრით არ ვარგოდა. არ ვარგოდა შინაგანი სიმტკიცის სისუსტით, რაც იგივე მენშევიკებისათვის იყო ხელსაყრელი და არა საზარალო. მაგრამ ამ სუსტ ოპოზიციასაც ვერ ითმენდა მონოპარტიული, ხელისუფლებით დამთვრალი მენშევიზმი და ყოველნაირი საშუალებით სცდილობდა მის განადგურებას. დაშინებით, „ჩაწყობით“, გაყოფის ცდით.

საქმე იმაში იყო, რომ პარლამენტის „სტატუტით“, თუ 15 დეკემბერი მაინც წინააღმდეგი იყო რომელიმე „კანონპროექტისა“, მისი დადასტურება კანონად, არა ხდებოდა; საკითხი გადადიოდა შემდეგ სხდომაზედ, განსაზღვრული ვადით. და რაკი, ჩვენ 16-ი ვიყავით, ხშირად ხდებოდა, მორიგი მცარცველობის „დაკანონების“ სა-



შუალებას არ ვაძლევდით, ხან ხელის აწევით, ხანდახან „უკუკურატონის ციითაც“, ე. ი. განგებ დაუსრულებელი ლაპარაკით ტრიბუნიდან, რადგან ეს ერთადერთი საშუალება ჰქონდა ოპოზიციას, ან თავისი გაეტანა ან მათი —შეეჩერებინა. შეიძლებოდა, გავეყარენით კრებიდან, ან მოეკლათ კიდევ ერთი-ორი ჩვენთაგანი, 15-ზე ნაკლებზე ჩამოსაყვანად ჩვენი რიცხვისა, — აյი გვემუქრებოდა კიდევ ბატონი კაჯოს შერეთელიოს „ფიზიკურად გაგანადგურებთ“-ო, — მაგრამ, ერთის მხრით, კეთილშობილი და პატიოსანი კ. ჩხეიძე (ვარლამენტის თავმჯდომარე) იშვიათად მიმართავდა ხოლმე «დროებით დათხოვნის» უფლებას. [და, მე ვფიქრობ, რომ თითონაც და ზოგიერთი მისი თანამგრძნობი, მენშევიკებიდან,—ხანდახან არსებითადაც გვეთანხმებოდნენ]... და მ ში შარა მენშევიკებს, დაჩვეულთ ზურგიდან ტერორისტულ მკვლელობას, ერიდებოდათ მაინც უცხოელებისაც. მართალია, ერთხელ კ. ჩხეიძემ ვაკეაცურად წარმოსთვევა პარლამენტში: „ჩვენ არაფრისა გვრცხვენიან და არაფრისა გვეშინიან!“ო, მაგრამ მის ბევრ „ამხანაგს“ სირცხვილი კი ჰქონდა დაკარგული, ხოლო შიში არა.

მაში როგორ მოევლოთ ასეთი მცირე ოპოზიციისათვის? და, აი, ერთ დღეს, ბ-ნ კაკოს დაუბარებია სპირიდონ კედია (საუბედუროდ, ეს საიდუმლო ჩაწყობა გვიან გავიგეთ) და უთქვამს: „თქვენი პარტია შესდგება ორი ნაწილისაგან. ერთია, ზუბრებისა, რომლებთანაც ჩვენ არაფერი საერთო არა გვაქვს და მეორე, — ლიბერალური ბურჟუაზია, რომელთანაც ჩვენ შეგვიძლიან თანამშრომლობა. მოიშორეთ ეგენი და მაშინ საკოალიციო სამინისროში შევიყვანთ“-ო.

ვისი მოგონილი იყო ასეთი მახე, გულუბრყეილოთა(?) დასაკერად, არ ვიცი; არც ის, თუ რა პასუხი გასცა ბატონმა სპირიდონმა, მაგრამ...

ერთ მშვენიერ დღეს, როცა მოვედი „ეროვნ.-დემოკრატიულ პარტიის“ „ცენტრალურ კომიტეტის“ (142) სხდომაზედ, როგორც წესი

შენიშნვა (142): შემდეგის გასაგებად, საჭიროა მყითხველმა იცოდეს: „ერ. დემ. პარტიის ცენტრ. კომიტეტი“ შესდგებოდა 15



იუ; მდივანმა წაიკითხა წინა კრების „ოქმი“: „...ბატონი მ შესჭრული მაჩაბელი და დავით ვაჩნადე დათხოვნილნი არის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან“—ამ (ე. ი. დამარსებელი „ეროვნულ“ და შემდეგ „ეროვ. დემოკრ. პარტიისა“).

მე გაკვირვებით ვიკითხე: როგორ? რად? რა უფლებით? რომელი კრების დადგენილებით?

მიპასუხებს თავმჯდომარე კედია:

— წინა სხდომაზე, რომელსაც თქვენ არ დაესწარით, ხმის დიდი უმრავლესობით გადასწყდა ეს საკითხი.

— ეს შეუძლებელია, რადგან მე არც ერთი სხდომა არასოდეს გამომიტოვებია და რაღა ასეთი სხდომა გამომრჩა?

სპ. კედია — უკვე აღელვებით:

— როგორც ყოველთვის, თქვენც გამოგეგზავნათ მოწვევის ბარათი და არ მობრძანდით.

ეს აშკარა სიცრუე იყო და მეც ავლელდი:

— ეს, ჩაწყობილი საქმეა! რაღა სწორედ ამ კრების ბარათი არ მიმიღია, საცა ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი სწყდებოდა? ალბათ თითონ მაჩაბელსაცა და ვაჩანაძესაც არ მიუვიდათ მოწვევის ბარათი. ახლაც აქ არ არიან და მე დაუშვებლად მიმაჩნია „ცენტრალური კომიტეტის“ წევრთა დათხოვნა ასეთი წესით, მათ თანადაუსწრებლად.

— ეს საკითხი გადაწყვეტილია! — დაჰკრა მუშტი მაგიდაზედ კედიამ და დაიყვირა: და მისი ხელმეორედ დაყენების უფლებას არავის მივცემ!

მე გამიკვირდა „ღვთისნიერი“ სპირიდონისაგან ასეთი მკვაწე

თბილისიდან და 20 — პროვინციიდან არჩეულ წევრისაგან, სულ 35. სპ. კედიას თავისი გაცყავდა მუდამ (გვიან გაუგეთ) ასე: სხდომაზე იწვევდა ისეთს უმრავლესობას, ქვორუმისათვის, რომელიც წინდაწინვე დაზვერილი ჰყავდა და ზოგს უმცირესობიდანც. სულ საწინააღმდეგოს გასაყვანად, ახლა სხვა „უმრავლესობას“ იწვევდა, რომელიც მისი თანახმა იყო, და არ მოწვევით, ვინც არ ეთანხმებოდა. ასეთი «შერჩევით» — ყოველთვის „გამარჯვებული“ გამოდიოდა „წმინდა“ კედია, წმინდად.



ლაპარაკი და ყვირილი; კაცისაგან, რომელსაც მუდამ „შეცდებულის“ მოსღიოდა პირიდან“, ეხლა ასე გაშმაგებულად იქცეოდა.

— როგორ თუ უფლებას არ მისცემ? ვინა ბრძანდები, რომ ასეთ უკანონობას სჩადიხარ? ხეალ ძაშ ჩემი დათხოვნაც შეგიძლიან ქურდულად, ჩემს ზურგს უკან, დაუსწრებლად?! ზეგ კომიტეტის სხვა წევრისაც, ეს რა ამბავია?!

ამ დროს წამოდგა მდივანი და განაცხადა: დიახ, ბატონო, თქვენა და ზოგიერთი სხვაც — „ოჩერედში“ ხართ!

რომ გადავხედე დანარჩენ გატრუნულ „ამხანაგებს“, ვიგრძენი ნამდვილი „შეთქმულობის სუნი“ და სასტიკი პროტესტით დაეროვე სხდომა. გამომყვა მხოლოდ კიდევ ორი: იროდიონ სონლულაშვილი და დ — ი ჯ — ი.

როგორც მერე გამოირკვა, „შავ სიაში“ აღმოვჩნდით თურმე მთელი შემადგრენი და სასტიკი პროტესტით „შევრნი, ვინც შევდიოდით „ცენტრალურ კომიტეტში“ და ვიყავით ფაქტიური დამაარსებელნი „ეროვნულ - დემოკრატიული პარტიისა“-ც.

ეხლა და მივხედი — ტეტია! — თუ რატომ იყლავდა თავს ბ-ნი სპირიდონი თავისი ფორმულის განსახორციელებლად: „უნდა პარტიის კარი გავალოთ და ყველა ძალი და მამაძალლი შემოუშეათ“-ო. და „პარტიიდან“, საცა ერთი ჩინჩხეარი არ შემოუტანიათ. «უმრავლესობამ» გაგვრიცხა.

აქ კი, ახალგაზრდულად გატაცებულებმა დემოკრატიული იდეებით, დიდი სისულელე ჩავიდინეთ; იმის მაგიერ, რომ ჩვენ ეს უ-(ნამუსო)-მრავლესობა გავევყარა ჩვენი ბიუროდან, ჩვენი ბინიდან, ჩვენი საქმიდან, საცა ერთი „დენიშვა“, ერთი კალამი, ერთი საწერელი, ერთი მაგიდა არ შემოუტანიათ; ყველაფერი ჩვენი მოწყობილი, ნაშოვნი და ნაოფლარი იყო, — ჩვენ ყველანი გავედით და ცალკე ჯგუფის შექმნა დავიწყეთ. მთელი ქონება და „აპარატი“ უმრავლესობას დაუტოვეთ. ჩვენგან მარტო შალვა ამირეჯიბი დარჩა „უმრავლესობასთან“; და მათგან წამოვიდა, ჩვენთან ერთად, მხოლოდ გრ. ვეშაპელი, რადგან ჩვენ მა „დიპლომატებმა“

/

შესთავაზეს მაშინვე თავმჯდომარეობა ახალი „პარტიისაუკაფისუნდებულები ცეზარივით, არჩია „პირველობა სოფელში, ქალაქში — მჭიდრული აქციებისათვის“ მაგრამ ამით არ გათავებულა „ერ.-დემოკრატიის“ მარცხი: პარლამენტის მორივ სხდომაზედ ჩვენ მივეღით უკვე ორ, ერთი მეორის დაპირდაპირებულ ჯგუფად,—12 დეპუტატი სპ. კედიასი 4-ნი ჩვენა. მაშასადამე, მოგვესპონ უკანასკნელი საშუალებაც „სტატუტის“ ძალით მაინც, რაიმე გავლენის მოხდენისა პარლამენტში. მენ-შევიკების „კვანტრმა“ გასჭრა და ეხლა სულ რაღას მოერიდებოდნენ „გაყოფილ ოპოზიციას“ და პირველსავე შემთხვევაში, გამოვიდა იგივე პ. წერეთელი, გაამათრახა უტიფრად, „ერ.-დემოკრატია“ და სპირიდონ კედიასაც „დაპირებული“ მინისტრობა ჩაუშამა:

„...ამხანაგებო, საბერძნეთში იყო ერთი აკლიბიადე; ყურადღების მისაქცევად თავის ძალს კუდი მოაჭრა და ისე დაჲყოვდა. „ერ.-დემოკრატია“, ხომ ხედავთ, ალკიბიადესავით მარტო ყურადღებას იქცევს, მაგრამ არაფერს აკეთებს, აი, ხედავთ, — ხელი გაიშვირა კედიას ჯგუფზე — ეს არის ალკიბიადეს ძალი და, — ეხლა ჩვენკენ მობრუნდა — ეს კიდევ მისგან მოჭრილი კუდი“—ო. ამ ოხუნჯობაზედ, სხვათა შორის, არავის გაეცინა, რადგან თვითონ კაკოსის უმრავლესობა ვერც მიხვდებოდა ალკიბიადე საქმელი იყო თუ სამელი; ჩვენ რა გვეცინებოდა და მე პირადად დღესაც არ მესმის მარილი ამ ცინიკური განცხადებისა, რომლის შემზადებაში თვითონ გამოვიდა ალკიბიადეს როლში. კედიას კი პირში ჩალა გამოავლეს... მინისტრობისა. და ჩვენც მივეყოლეს თანა.

თუ ამას დაუმატებთ „ვერის ხილზე“ ნათქვამ სიტყვებს და იმ-საც, რომ პირველსავე საერთო „კონფერენციაზე“, სწორედ კედიაშ არაფერი დაუთმო „გლეხთა რადიკალურ პარტიას“ და გავვეთიშნენ ამისათვის და შემდეგში, ჩვენი ჯგუფის ინიციატივითა და მეოხებით, „ერ.-დემ. პარტია“ გამოიწყო 1920-ში, აშკარა გახდება, თუ როგორ შეუძლიან „ღვთისნიერ“ აღამიანს მხოლოდ დამშლელი როლი ითამაშოს, უზომო, მაგრამ შეუფერებელ ამბიციების პატრონს.

აյ რომ დაერთოს მისი საზღვარ-გარედ მოღვაწეობაც, სტამბოლსა და პარიზში, საცა ვეშაპელს, თავის მეტოქეს (ერთად-ერთს),



სე ვსთქვათ, — «თავი მოაკვლევინა», (143) ს. კედიას სურულებულების სრულებულად ჩაითვლება. იგი რომ ყალბი ჩერკეზების საქმეში გაება საფრანგეთში და 200 ლირის გულისათვის სტამბოლშიაც იკისრა შეუფერებელი ავანტიურა და ამაყად გამოვეიცხადა: „შალვა ქარუ-მიძეს და ლელი ჯაფარიძეს ვენდობი“—ო (144) და, მაშასადამე, ჩვენ არა, — მაჩვენებელია მისი სიმარტისაც თავის „პოსტებზე“. ენითა და განზრახვებით იქნება უფრო იყო „სახელმწიფო კაცი“, ვიდრე უორ-დანია, მაგრამ საქმით — „ფერი ფერსა“—ო.

დამოუკიდებლობა — იყო რთველი მოენებისა და — გვალვა, საქმის, ეროვნული საქმის ხალხისათვის. სინამდვილე ეს იყო და ცარიელა სიტყვიერი კორიანტელი არა სცელის სურათს. მართლაც, აბა დაუკვირდით ფაქტებს, მათს ჯაჭვისა და არა „რეჩებს“, რეზოლუციებს, დადგენილებათ და სხვა, ლამაზად ჩამწერივებულ, კრიალოსანივით ასხმულ მჭერმეტყველებათ.

აგრარულ რეფორმას არავინ წინააღმდეგობას არ უწევდა (თვით უორდანია არ უარპყოფს ამას) და მაინც ხოცავდნენ სწორედ მშრო-მელს, გლეხებთან კარგად მყოფ თავად-აზნაურებს და არა უქნარა, მოქეიფეთ, თუ ბოროტებს.

უველაზე სასტიკად სდევნილნენ „ქართულ ეროვნულ პარტიას“ (145) და მის წევრებს; თუმცა უკიდურეს გაჭირების დროს მათვე მიმართავდნენ და მაშინვე გადააყენებდნენ, როგორც კი მტკიცნეული გამოსწორდებოდა (როგორც ექცეოდნენ ღენერალ კვინიტაძესაც). არაფერს ანდობდნენ, არ ენდობოდნენ. საუცხოვო

შენიშვნა (143): სტამბოლიდან წარიზში მუქა-რით: „ვეშაპელი უნდა მოვთოკოთ, მენშევიკებთან თანამშრო-ლობისათვის“—ო, და, ჩამოვიდა თუ არა, ვე შაველის მა-გიერ, თვითონ შევიდა ამ თანამშრობლობაში.

შენიშვნა (144): ორივე გაგდებულს კომიტეტიდან, ათასი უმსგავსი და კრიმინალური საქციელისათვის.

შენიშვნა (145): გაიხსენეთ კ. წერეთელის სიტყვები ს. კე-დიასადმი; ნ. ხომერიკის სურვილი კოპერატივების „შიგნილან აფე-



ორგანიზატორს დ. ვაჩინაძეს რამდენჯერ: საქართველოში მოხდება წყდა მავთული (როგორც შაბიაშანი და გოგირდი რომ ჩვენ ვი-შოვნეთ და არ გაგვაყიდინეს) და დათამ გაუჩინა, — მაშინვე გადააყენეს; თავის რაზმითა და ხევსურებით დაიცვა რკინის გზა და სადგურები ყველაზედ საშიშო დროს, — მაშინვე გადააყენეს; სამხედრო მინისტრ ვიორგაძის თხოვნით ჯარი შეუქრიბა, — მაშინვე გადააყენეს და სპეციალური განკარგულებით — ფრონტზე არ გაუშვეს; და რამდენი მისითანა? მე, „ქართლ ის“ თავ მჯდომარეს და პარლამენტის დეპუტატს, ჩემს „ამხანაგ“ — ალვა აბაშიძეს, ი. ციციშვილს — „წარმოკავშირის“ თავმჯდომარეს, ვ. ბაგრატიონს „ხორბალის“ თავმჯდომარეს, სეიმონიშვილს, ჩვენს „პროპაგანდისტს“ და ათასს სხვას, ხან გვიჭრდნენ სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა ყალბი ბრალდებით, ხან ფინანსიურად გვავიწროებდნენ, ხან გვემუქრებოდნენ, ხან „კონტრ-რევოლუციონერობასა“ გვწამებდნენ, — თუმცა „მთავრობისადმი“ სრულ ლოიალობისა და ხალხის ეკონომიური დახმარების მეტს არას ვიჩენდით. პირიქით, ჩვენს საქმე ებში ვიწვევდით მათს (თურმე ჩვენს „ამაფეთქებელ“!), „ს. დ. პარტიის“ წევრებს.

განა უორდანიამ ერთხელ მაინცა სცადა მივეწვიენით ერთად, თუ ცალ-ცალკე სათათბიროდ მაინც? ან ეკონომიურ, ან სამხედრო, ან სხვა და დებითს საქმენებლო საქმეზედ, რისთვისაც ჩვენ წინა აოწლედში არა მარტო ცარიელი სიტყვით და კალმით ვიბრძოდით, არამედ საქმეებით ვამტკიცებდით? და 1915-დან ღაწყებით, მთელი დამოუკიდებლობის განმავლობაშიაც, — უზიარებდით; მატერიალურად, იარაღით, ფულით და პოლიტიკურადაც. არა, ის მარტო გვებრძოდა და... არ გვენდობოდა სწორედ ჩვენ.

ჩვენი „კოოპერაციის“ მუშაკებიდან, მხოლოდ შალვა ქარუმიძეს ენდვნენ, როგორც „მწყემსის“ თავმჯდომარეს და 70,000,000 ჩაბარეს მასა და თავიანთ მინისტრს ავალიანს, რადგან ორთქებაზედ“; გ. ნათაძეს პარლამენტის ტრიბუნიდან: „შავი რეაქცია გაბაშვილი და ვეშაპელი არიან“-ო და ათასი სხვა.



თავენი... ქურდები აღმოჩნდნენ. ბევრს უპარტიოს გუჯიშვილიშვილი აქმნევინებდნენ რაიმე ცვაზაკობას, რომ ამითა ჰყოლოდათ დაბმული ცემურად. ამისთანებს კი არა სჯიდნენ, პირიქით, — აპარტაშებდნენ. ბ-მა ვ. წულაძემ, 1922/3 წელს; უკვე სტამბოლში, ჩვენს პარტიაში შემოიტანა „საჩივარი“: „შალვა ქარუმიძემ 600 ლირა, მინდობილი რაღაცა (?) საქმისათვის,— მოგვპარა“—ო. და როცა შევეკითხე, რაღა მავას ენდობით, ხომ იცოდით, რომ ქურდია? ლიმილით მიპასუხა გულუბრყვილოდ (?) — „კი ვიცოდით, მაგრამ თქვენი პარტიის წევრია და... ეხლა ჩვენს წინააღმდეგ ვეღარ გამოვა“—ო.

* *

ვე შავე ლეგე. გრ. ვეშაპელი, რომელიც გონებით, ცოდნით, ყველა საკითხისაღმი პოლიტიკური ანგარიშით მიმღომი (კარანდაშით ხელში), თავიდან ყველაფერში კედის ემხრობოდა („პარტიაში იმან მომიყვანა, მე კედის კაცი ვარო“, ამბობდა), თანდათან ჩვენკენ გადმოიხარა. არ ვიცი, იმიტომ უფრო, რომ ჩვენში მეტ პრაქტიკულ გონივრობასა ხედავდა, თუ კედის ფუქსავატობამ მისი საკუთარი წონა მეტად მოაჩენა და, როგორც მოგახსენეთ, მეტოქეობით, ან ამბიციით ჩვენთან პირველობა არჩია. კედის „აღიუტანობას“. პირველობისთვის მოურიდებლად „თავს იკლავდა“, რომ იტყვიან: ამბობდა, მოითხოვ იმას, რაც კედის არასოდეს არ უთქვამს. არ მოუთხოვნია, მაგრამ ყველანაირად აქეთკენ სწრაფვისათვის არავითარ საშუალებას, მაგრამ იღუმალ, — არ ერიდებოდა. ეს ორი „ლიდერი“ „ნაც.-დემოკრატიისა“, თავისი მეტოქეობით, მუდამ ასუსტებდნენ პარტიას... პარიზში სიკვდილამდე. ხასიათით, კეუით, მორალით სულ სხვადასხვანაირი, ერთმანეთთან თუ სხვასთან ბრძოლის მეთოდებითაც განსხვავებულნი, მაგრამ ორივენი „შეშლილნი“ თავმჯდომარეობაზე, აღვილებზე, სახელწოდებაზე.

ყველა ამ ზემოაღნიშნულ გარემოებით, მოურიდებლად, ხეპრულად სარგებლობდნენ მენშევიკები, ასუსტებდნენ ისედაც სუსტოპოზიციას და „დიალექტიკის“ არხი-ოინბაზებს, თუ შეუძლიანთ



თავისი სიგლახე, — ასეთ „ოპოზიციის“ სისუსტესა და უძრავი სამართლებრივი ბას გადააბრალონ. სიმცირის გამო, სულ რომ გაგვეჭაჭნა, უ. ღ. უძრავი სამართლებრივი ბას ხელს ვერაფერში შეუშლიდით და ეს სიმცირეც ვერ აიტანეს და „ჩაწყობით“ — კიდევ ორად გაგვავეს. მაგრამ, „ენას ჭავლი (თუ) არ მოედება“-ო., ეტყობა, მენშევიკური რუსული სინიდისი უფრო ედება ბლუყუნა კალამს.

* * *

მარქსის ტული ერთი კი არის გასაკვირველი, უორდანისა და დიზმი. ას post mortem ცრუ აღსარებიდან ირკვევა, თუ რა მდგომარეობაში ყოფილა ხშირად თავის პარტიასა და „სახელმწიფო აპარატში“ და მე პირადად (მაშინ) მისი ავტორიტეტი პარტიაში იმდენად დიდად მიმაჩნდა, რომ ყველა ბოროტებას მას მივაწერდი (146).

თუმცა ორიოდე მაგალითის მოყვანა მეც შემიძლიან მაშინ-დე ელი მისი საცოდაობისა და არა სიბოროტისა.

შენიშნვა (146). ჯერ ერთი, მარქსისტულ პარტიის გამეფებულია უპიროვნობა“ და ამის გამო, შიგნით ერთმანეთს რომ სკამდნენ (გინდ აზრთა სხვა და სხვაობაში, გინდ უაზრობაში), გარედ ერთნაირი სიჯიუტით იცავენ „მიღებულ დადგენილებას“; მეორეც, — მათი „პარტიები“ უფლებას არ აძლევენ არავის, ინდივიდუალურად, პიროვნულად შეაფასო ვინმე რაშიმე: ყველა „ანონიმია“, არსებობს მხოლოდ „პარტიის აზრი“, პარტიის თავმოყვარეობა, პარტიის „მორალი“ (ე. ი. ამორალობა), პარტიის „პასუხისმგებობა“ (ე. ი. უპასუხისმგებლობა სრული) და სხ.; მესამე „ხრიკიულობა“ (ე. ი. უპასუხისმგებლობა სრული) და გვარის გამოთქმას, ან დიალექტიურია: ყოველ კრიტიკას, ან სხვა აზრის გამოთქმას, ან სიტყვის შებრუნებისას მათს ხშირს სისულელესა თუ წინააღმდეგობაზე, გაჰყვირიან: გვლანდლავთო და პიროვნულად თუ გააკრიტიკე, — პიროვნებას ნუ შეეხებითო; თუ პარტიაზე სთქვი რამე, — პარტიის ლანდლვა როგორ შეიძლებაო: შიგ სხვა და სხვაობაც

ერთხელ, მაგ., უორდანიამ გაბედა და პარლამენტში შაომის სთქვა დასაბუთებული აზრი, რომ „გვარდიამ საუცხოვოდ შეასრულა თავისი რევოლუციონური მოვალეობა და, აწი, უნდა მიიღოს ხალხის მადლობა და დაუბრუნდეს დაზებს, მშვიდობიანი მუშაობისათვის და მშენებლობისათვის“—ამ.

რადგან ეს ერთერთი ჩვენი, — ოპოზიციის, — დასაბუთებული, მორიგი მოთხოვნილება იყო, ჯარის სისტემაზე გადასცლით, ან თუნდ იმავე გვარ დიის გადაყვანით, — ყველამ მქუხარე ტაშით დაუდასტურეთ ეს სახელმწიფო ბრიელი და აუკილებელი ზომაცა და, წარმოიდგინეთ, მადლობაც მოვახსენეთ.

რამდენიმე დღეს, ჩვენცა და საქართველომაც თავისუფლად ამოისუნთქა... მით უფრო, რომ პარლამენტში ერთი ხმაც არავის აუმალებია უორდანის განცხადების წინააღმდეგ. მაგრამ ბნელმა ხმებმა დაიწყო ტრიალი, და... სწორედ ორი კვირის შემდეგ, იმავე პარლამენტში, იგივე უორდანია, ისეთივე „დასაბუთებულად“ გამობრძანდა და წარმოსთქვა: „...რევოლუცია არ დასრულებულა, „რევოლუციონურ წესრიგს“ (ამაზე იდიოტური ცნების წარმოდგენაც ძნელია. ჩ. გ.) დამცველები სჭირდება, ამიტომ ჯერ დრო არ დამდგარა გვარდიის დაშლისა და იგი უნდა დარჩეს იარაღის ქვეშ“ (147).

სამაგიეროდ, ეს საცოდავი დიალექტიკოსი, თავისი რწმენის(?) წინააღმდეგ, ეტყობა, „პარტიამ“ დაარწმუნა, რომ სიტყვიერად „წითელი გვარდიის გადარქმევა „სახალხო გვარდიად“, სრულიად

არისო. ისე რომ ამ ონბაზობით — პაპისავით კი არა, ღმერთივით მუდამ უცოდველნი და უმწიკვლონი გამოდიან. თუ ასეა მათი საქმე, თვითონ უნდა გაინაწილონ შიგნით, ვის რამდენი მათრახი ერგება.

შენიშნვა (147 : ალბად ეს ამბავი აქვს ნაგულისხმევი ბ-ნ უორდანიას, როცა სწერს (გვ. 131—132): „ახალ ცენტრ გადაჯდომა“ მომიხდაო; „...რევოლუციიდან გამოვედით“—ო და სხ., მაგრამ სამუდამოდ ორ ცენტრ შუა დარჩა და ყველა მხრიდან ტლინკები ხვდებოდა.

საქმიან რეფორმაა, შემადგენელობის, წყობის და პრეტორიანულ
სულის შეუცვლელად.

ამბობდნენ, პარტიაში „თავ-პირი დაამტკრიეს“ ნოვეს, — შათ
დაუკითხავად (?) ასეთი საკითხის წამოყენებისათვის და თვითონვე
აიძულეს, შავი თეთრად გაესალებინა; როგორც თავის დროშე და-
მოუკიდებლობისაგან გულშეწუხებულ ირ. წერეთელს, თვითონ და-
აძალეს, მასვე დაეცავა; ან არსენიძეს დააცვეინეს ქართული ენა
პარლამენტში, მისი საკუთარი ჩინააღმდეგ. ესეთი პარტიუ-
ლი სადიზმი გონებასა და აზროვნებაზე, მენშევიკების განაყარმა
ძმებმა ხომ ისეთ უკიდურესობამდე მიიყვანეს, რომ სიკვდილ-მისჯი-
ლებიც გაიძახოდნენ: დამნაშავენი ვართ, სიკვდილის სრული ღირსნი,
პარტიის სახარების ღალატისთვინაო. მართლაც ღირსნი იყვნენ ასე-
თი დაქვეითებულნი, უარესისა. მაგრამ მენშევიკებს არ დასტალდათ
ბოლშევიკურ ზომამდე დაქვეითება პიროვნებისა.

არცმეორე მაგალითი იყო ნაკლებ სასტიკი უორდანის საცოდაობი-
სათვის. „ერადეს პურმა“, არა მარტო სახელი მოიხვევა მთელ საქარ-
თველაში, მრავალს კუჭიც გაუფუჭა თავისი უწმაწური შემადგენ-
ლობით, „ხალხი დრტვინავდა“ და უორდანიამ პარლამენტის ტრი-
ბუნიდან საყედლური გამოუცხადა თბილისის ქალაქის თვითმართვე-
ლობასა და მომარაგების სამინისტროს, — ხალხის დამშევისა და
ჯანის გატეხისათვის. იმდენად გაგვიკვირდა, რომ ტაშიც ვერ დაუკა-
რით, მაგრამ მისმა საყვედლურმა და „რევიზიის დანიშნვამ“ ბორო-
ტების აღმოსაჩენად და დასასჯელად, — უშედეგოდ ჩაიარა, რად-
გან „ამხანაგებს“ ისეთი დღე დაუყენებიათ, რომ „ერადეს პური“,
ლანჩხუთიდან ჩამოტანილი დედის ტკბილ კვერად მოუჩვენებიათ...
დიალექტიურად.

კაცი მართლა შეგებრალებათ, მისი „წარსულის“ 141 — 142
გვერდზე მოყვანილ ამბების წაკითხვისას, მაგრამ მაშ რითი აიხსნება
მაინც ქება თავისი „პარტიისა“ და „გვარდიის“ უალუალკე, თითქმის
ყველას გამათრახებით წიგნის სხვა ფურცლებზედ?

„პარტია“ — იყო შეუცვლომელი პაპი? თითონ „ხაზეინი“ მარ-
ტო? (ასე ეძახდნენ ამხანაგები ინტიმობაში), თუ გამომცემლებმა



„უხიმანეს“ და სიკვდილის პირასაც სიმართლე, — სიცრულეფშეუძლებელი ცვალეს?

უნდა წაიკითხოთ მისი ჩივილი ამავე საკითხზე 140 — 143 გვ.
„სახელმწიფოებრივისა“ და „ამხანაგურის“ გარჩევით (ვითომ); „დე-
მოქრატიის“ გარჩევით, თუ როგორია ყველგან და როგორ ესმოდათ
ჩვენში; ჯარის შეუქმნელობის მიზეზებზე; ქალაქის თვითმართველო-
ბის რევიზიაზე („ერაძის პურის“ გამო) და სხ. და მუდამ, რასაკვირ-
ველია, გამოდის მართალი თითონ, დამნაშავენი სხვები, მისი ამხანა-
გები პარტიიდან (მადლობა ღმერთს, ჩვენი ოპოზიცია აქ არაფერ
შუაშია) თითქო არც კი გრძნობს, რა საცოდაობას იჩენს სწორედ ამ
პარტიის სულის ჩამდგმელი, აღმზრდელი და «სახელმწიფო აზროვ-
ნებას შეუჩვეველი», — რასაც სხვებზე და ამბობს.

და როცა სახელმწიფოს სათავეში ჩაიყენა ბედმა, არაფერი
სახელმწიფოებრივი არ გააკეთა, სახელმწიფო მოაზროვნენი
ახლო არავინ გაიკარა, ჩვენს მოთხოვნილება-წინადადებათ ებლა
თავისად ასალებს, რაյო მაშინდელი მდგომარეობისა თითონაც არა-
ფერი ესმოდა, მისი ამხანაგებივით, და მაინც მათს გარდა, არავის
არაფერში ენდობოდა;

როგორც თვითონვე ამბობს წინასწარ 136 გვერდზე: „იმ დროს
მთავარი მუშაობა (მე ვიტყოდი „მთავარი“ კი არა, — მთლად
ერთიანად. რ. გ.) აწვა ჩვენს პარტიას, ყველგან და
ყველაფერში ის თამაშობდა გადამწყვეტ როლს...“ (148).

დიდი ჭკუის პატრონობა არ იყო საჭირო, მისგანვე ათწლობით
აწყობილი, სახელმწიფოებრივობის და მანგრეველი
პარტია, — სახელმწიფოს ასაშენებლად არ გამოდგებოდა. და
ვინ დააწოლა სწორედ ეს შეუფერებელი მუშაობა ამ პარტიის,
თუ არა თვითონ? და არც სხვა პარტიის, არც უპარტიო ინტელიგენ-
ციის, არც არსებულ მოხელეების, ოფიცირობის, ღენერლების. ვინდ
სამღვდელოებისა და თავად-აზნაურობის, სწორედ ეროვნულ

შენიშნვა (148):ხაზი ყველგან ჩემია. რ. გ. მაშ რას გიშლი-
დათ ოპოზიცია?



სახელმწიფოს შესაქმნელად მის გარშემოწევი
გროვილ წრეებიდან, — ახლო არავინ გაიკარა დაუკაციერიოდა
მიანდო საქმე. ბატონობაც არ იქმარა ყველა საქმეში, როგორც გინ-
დაც ბოლშევიკებმა, ან სტალინმა: არა, თვითონაც და თავისი პარ-
ტიის უკანასკნელი უვიციც — სახელმწიფოს აშენების მცოდნედ
და „ყველგან და ყველაფერში გადამწყვეტ როლში“ ჩააყენა. ლენინი
მარტო ამბობდა „кухарка должна уметь управлять государством“, მაგრამ საქმეს ანდობდა მცოდნე ოფიცირობას (40.000-იო, “
სწერს ერთი რუსი ემიგრანტი) და ინჟინერ-დირექტორებს. ბ-ნ
ეორდანიასათვის ფაქტიური „კუხარკობაც“ საქმარისი
იყო ასეთი საქმებისათვის, ოღონდ „ს. დ.“ ყოფილიყო.

ბედმა ყველაფერი მისცა ხელში, მაგრამ, ეტყობა, ღმერთმა —
არა მისცა რა ზეით სართულში, თორემ სტალინივით შეეძლო გამო-
ყენება — „სპეცებისა“.

და დამახასიათებელი არ არის განა? როცა მე ერთხელ პარლა-
მენტში ვიცავდი ერთ-ერთ ასეთ სახელმწიფოებრივ საკითხს,
მათი, სწორედ ეორდანიასაგან წამოყენებულ არა-სახელმწიფოებ-
რივ სიბეცის წინააღმდეგ, ჩემი სიტყვის შემდეგ, მომიხდა „რეპ-
ლიკის“ მიცემა აღვილიდან:

— თქვენ, ბატონებო, სწყვეტთ საკითხებს არა გონებით და თა-
ვით, არამედ თითებით!

ეორდანიამ ძალიან მოხდენილად მიპასუხა ტრიბუნიდან:

— ზოგიერთ თითებში მეტი ჭიშა და გონება არის, ვიდრე ზო-
გიერთ თავში-ო.

ძალიან მოსწრებული სიტყვა იყო, მაგრამ მომავონდა ერთი
ინგლისელი მოზრივენეს ნათქვამი: „Остроумие не есть признак ума“
და ათასჯერ დავრწმუნებულვარ ამ აფორიზმის სინამდვილეში.

და მის საკოდავ გვერდებს რომ კითხულობს ადამიანი, — და-
ახლოებით 131—143-მდე, — დანარჩენებთანაც წინააღმდვილებაში
რომ არიან, — მართლა შეგებრალებათ ისიც და …, საქართვე-
ლოც, თუ ვინ ყოფილან მისი „ხაზენები“.

* * *

სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მე პირადად მუდამ ვიყავი ბუნებრივადაც და შეგნებითაც. ეს, სა-შინელი, ველური მკვლელობის უარეს საშუალებად მიმაჩნდა მუდამ, რომელიც ამასთანავე არავითარ მიზანს არ აღწევს. მაგრამ ჩვენს წრეებსა და პარტიაში ამაზედ ლაპარაკიც არა ყოფილა, არამცოუ რაიმე აზრი მიღებული. სამაგიეროდ, რაც ჩემი თავი მახსოვს, — ყველა რევოლუციონური პარტია, მათ შორის სოციალ-დემოკრატიაც გაშმავებით იბრძოდა ამ „კონტრრევოლუციონური“, „არა-ადამიანური“ და ბევრი სხვა ეპიტეტებით შემქული „საზოზღრობის“ წინააღმდეგ, სანამ... ძალა-უფლებას საღმე ჩაიგდებდნენ ხელში (მართალი ა, ძალა-უფლებამდეც ჩვენი მენშევიკები — ოფიციალურად — ტერორის წინააღმდეგაც იყვნენ, მაგრამ საკუთარ პარტიაში (შიგნით) და გარედაც უხვად სარგებლობდნენ ამ მხეცური საშუალებით. „აგრარული ტერორი“, პოლიციელების დახოცვა; „11 ბომბა ყაზახების ყაზარმებში 1905 წ. და სხვა — მათი „საამაყო“ გამოგონება (იყო), და,... მენშევიკებმა, პარლამენტში პირველხანებშივე შემოიტანეს „სიკვდილით დასჯის“ კანონ-პროექტი... „კონტრრევოლუციის“ წინააღმდეგ, — სწორედ ისეთი, როგორც ბოლშევიკებმა შემოიღეს რუსეთში. თავისი ბუნდოვანობით და სხ., ამ სასჯელით შეიძლება დასჯილიყო სრულიად უდანაშაულო აღამიანიც, ვისაც, მაგალითად, არსენიძეს ცხვირი არ მოეწონებოდა, ან რკინის გზის „გაიკას“ მოხსნიდა, ან, „საბოტაჟს“ დააბრალებდნენ და სხ. და ამრიგად, უკანონო მკვლელობას, ტერორს, „გააქციეს“ (149) პრაქტიკას და ათას სხვა მზაკვრულ მკვლელობას „კანონიერი“ მკვლელობაც დაადევნეს. რასაკვირველია, მე გამოვედი ამის წინააღმდეგ:

შენიშვნა (149): ხშირი იყო შემთხვევა, როცა დაპატიმრებულს, — დავალებული პქნდათ დარაჯებს, — განგებ ეუბნებოდნენ: „გაიქეციოთ“ და ხოცავდნენ: „გაქციეს და-

— თქვენ, რევოლუციონერები, რომელნიც ათწლობით შეასრულებით განწირებით იბრძოდით სიკედილით დასჯის წინა ღმერთ ეხლა თვითონ პირებთ აღდგენ ას, რაც ცხოვრების გააუქმა და უარესი, გაუმართლებელი სისასტემითაც? ისეთი წვრიმალებისთვისაც, რომელთათვის მეფის, კაპიტალისტების და ელურ ქვეყნებშიაც, — კინე, ან „შტრაფია“ დაწესებული მხოლოდ? ეს სამარცხეინო და უაზრო საქციელი იქნებოდა დემოკრატიული საქართველოსი ქვეყნიერების წინაშე! ამიტომ, ჩენ წინააღმდეგ მივცემთ ხმასა.

ცოდვითა და დორბლით პირზე, არსებობები და ირ. წერეთელი იუვალნებ და ასაბუთებლენებ ამ „რევოლუციის ხმლის“ აუცილებლობას და ბ-მა კავის წერეთელმა კველაზედ „მჭრელი“ საბუთიც მოიყვანა: „თქვენ იმიტომა ხართ წინააღმდეგნი, რომ თქვენს წინააღმდეგაა იყი მომართული და გეშინიანთ“-ო.

ეს არა პირველი მუქარა და მიქარა იყო ამ, რუსული „დუხით“ გაელენთილი ვაჟბატონისა და აღვილიდან შევეკამათ:

— რა თქვენი საქმეა საქართველოს პარლამენტის კანონებზე ლაპარაკი, ეგ თქვენი მგლის კბილები (150) „იქ“ უნდა გამოგეჩინათ!

ამაზე კვლავ ბევრი საყვედური მივიღე ნაცნობი მენშევიკებისაგან.

რამდენადაც მახსოვე შთაბეჭდილება, ბევრი მისი „ამხანაგი“ აკირა-ო. ასეთ შემთხვევებში, ჯერ კიდევ რუსული (და სხვა ქვეყნის) კანონით, დარაჯებს უფლება და მოვალეობაც ჰქონდათ — გაქცეულის მოკვლისა. და ჩვენში ხომ არა მარტო გადმოღებული იყო და „დაკანონებული“ მთლად რუსული კანონმდებლობა, არამედ იქაური ზნენიც, მენშევიკებისაგან.

შენიშვნა (150): მართლა ლამაზი, თეთრი და ბრჭყვიალა კბილები ჰქონდა, როცა... იღრინებოდა.

სამწუხაროდ, მაშინ არ ვიცოდი მისი გამოქვევა რუსებისაგან, — საქართველოში დაბრუნებულ ქართველადა ვთვლიდი, — თორემ უარესებსაც ვეტყოდი, გამოპარულ „რევოლუციონერს“.

მაინცა და მაინც არ დარჩა უკმაყოფილო ჩემი ასეთი გამოხატული ტიპი „გამოსვლით“, ამ „რუსული მგლის“, რუსულ სიდამპლეზედ.

* * *

დ ე გ ვ ი ს ხ ი დ ი ს

მაგრამ „ძალლის თავი დამარხული“ ამა-
 ა ფ ე თ ქ ე ბ ა . ში კი არაა, არამედ ერთ «საინტერესო»
 მაგალითში. რა კითხვა უნდა რომ, ყველა რუსი და სომები საქართვე-
 ლოს დამოუკიდებლობისა კი არა, არსებობის წინააღმდეგიც იყო იმ
 ხანებში, და, აი, ერთმა რუსმა ოფიცერმა (შმაგაილოვმა) და ერთმა
 სომებმა (გვარი არ მასხვეს) — ააფეთქეს ძეგვის ხიდი და მთელი
 რკინის გზის მოძრაობა, ისედაც მოშლილი, შეჩერდა. ეს იყო შე-
 თქმულობით მოწყობილი სახელმწიფო მოწყობრივი
 ბოროტმოქედება. შმაგაილოვი და სომები დაიჭირეს. მე-
 ტექში ისხდნენ და რამდენიმე ხნის შემდეგ მე დავესწარი მათს „გა-
 სამართლებას“.

რუსული, ქართული, პოტენტოტური თუ სხვა საშართლით
 ასეთი დანაშაული სასტიკად დაისჯებოდა, მაგრამ... მათ იცავდა
 ურია ზელენსკი და უტიფრად იმას კი არ ამტკიცებდა, რომ უდანა-
 შაულონი იყვნენ, არამედ, რომ სასამართლოს უფლება არა აქვს მა-
 თი დასჯისა, ვინაიდან ისინი მოქმედობდნენ, როგორც აგენტები
 ინგლისისათვის. (ეს იყო მთავარი და ცრუ არგუმენტი).
 მაგრამ, ვსოდეთ, მართლა ინგლისის დავალებით მოქმედებდნენ, —
 ასეთ შემთხვევაში, ყველა ქვეყანაში და ინგლისშიც მიღებულია ად-
 გილობრივ დახვრეტა გაუსამართლებლადაც კი და ჩენებში თურმე სა-
 სამართლოსაც არ შეეძლო მათი დასჯა. და რა მოხდა: ურია, ჩე-
 ნივე მტერი (:შემდეგ ბოლშევიკების სამსახურში შესული იურის-
 კონსულტაციად საზღვარგარედ), იცავდა სომებსა და რუსს,,
 — არა მარტო ენით, სიტყვით და აზრით მტრებს, არამედ სისხლისა
 და სამოქალაქო, პოლიტიკურ კანონების მიხედვით — დამნაშა-
 ვეთ (კრიმინალებს) და სასამართლომ მიუსაჯა — ერთი წელიწადი.

მაგრამ, მენშევიკებმა, რომელიც „გაიკის“ მოხსნისათვის და
 უფრო მცირე „დანაშაულისათვის“, ქართველებს „კანონიერად“ და



უკანონოდ ხოცავდნენ, „გააქცევდნენ“ - წააქცევდნენ და ფარაუბულები დნენ, — რამდენიმე დღის შემდეგ, მართლა გააქცევდნენ უკანონი... როტმომექმედნი... გაათავისუფლეს. ცრუ ინგლისელების ცრუ ში-შით? არა! გაუგებარია, მაგრამ აშეარა: საქართველოს სიხელმწიფოს შინაგანმა მტრებმა, საგარეო მტრებს ხელი დააფარეს.

* * *

ჩამორთმევა, ჩამორთმევა, ჩამორთმევა. უკანონო პარლამენტის „კანონი“ შემოქმედება, არ იყო საქმარისი მენშევიკურ, მუდმივ ცალმხრივ, — აკრძალვა, ჩამორთმევა, დანგრევისაკენ, — მიქცეული მოქმედება; და არასოდეს, თითქმის, აღმშენებლობისა, ან რაიმე დაღებითისაკენ. ამიტომ, პარალელურად მოქმედებდნენ დეკრეტებით, ბრძანებებით (ხშირად დაუწერელითაც) და ათასი „აღმინისტრატიული“ (ე. ი. ანტიაღმინისტრატიული) და ხათრი-ამხანაგური „წესით“, უწესოებით და უფრო ავადაც.

თუ ამ „ამბებზე“ მოდიოდა ამბავი პარლამენტში, იმიტომ რომ „პოსტ-ფაქტუმ“, ხანდახან წინდაწინვეც, ვიგებდით ჩევნ და არ ვაყოვნებდით გამოტანას ტრიბუნაზედ.

ეს არასასიამოვნო „ხელობა“ ჩენი, რასაკვირველია, უფრო არასასიამოვნო იყო მათვეის, მაგრამ წარბ-შეუხრელად, „დიალექტიური“ დასაბუთებაც როცა არა ჰყოფნიდათ, ლრიალით, მუქარით, იშვიათად სხდომის გათავებითაც, — „საკითხები ამოწურულია“-ოს ფორმულით — თავისას არ იშლიდნენ.

შემოხსენებული „რევიზია“, მაგალითად, ისე მოხდა (ანუ, უკეთ, არ მოხდა) და ისე ჩაითუშა, რომ პარლამენტში მარტო მისი „უპუ“ (ექვ.) მოვიდა. 30.000.000 „ნიკოლოზის ფული“ ისე მოვიდა და განაწილდა „ს. დ.“ და „ს. რ.“ პარტიათა შორის, რომ ამის გამო, პარლამენტში მხოლოდ ერთი-ურთის მათი ლანბლვა გაისმა... როცა ქართული ფული უკვე არსებობდა კანონიერიც და, მგონი, ყალბიც, ყ. შ., არც ამ «პარალელური» ბიუჯეტის (?) ბეჭდვის ამბავი, — არ ვიცი, „ს. დ. პარტიაში“ მაინც ყოფილა განხილული, თუ



მის დაუკითხავადაც, მენშევიურ მეთაურების საიდუმლოზ ჭრიშებიც გულებით ხდებოდა, — მოსულა ვისგანმე. და როცა ჩვენ გავამხილეთ ეს „ყალბი ფულის მოქრა“ ყალბი მთავრობისაგან, ლრიანცელით... მიაფუჩიხეს. კიდევ კარგი, სიკვდილით დასჯის კანონი არ წამოაყენეს წინ, თორემ „სახელმწიფო საიდუმლოს გაცემის“ ფრაზე-ოლოგიასაც მოქრავდით ყურს ატებილ ორომტრიალში.

თავის დროზე, რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ რომ მენშევიები, სხვა „რევოლუციონურ“ საშუალებათა შორის,—ყალბ ფულსაცა ჰპეტდავდნენ (მაგ., გ. ა—ის მამულში), — არ ესმოდათ, რომ ასეთი მოქმედება „მთავრობისა“ საკუთარ სახელმწიფოში, — უაღრესი დანაშაული იყო, დამანგრეველი ეკონომიურად. და ეს ერთ-ერთი და არა ერთად-ერთი მაგალითი იყო, მათი თავიდან რევოლუცი-„ონური“ სიმთვრალის გამოუნელებლობისა, მთელი და-მოუკიდებლობის განმავლობაში. და, ხომ იცით, ჩვენა გვყავდა „სახელმწიფ კონტროლი“, რომლის სათავეში იდგა უპატიონსნესი ბატონი ფილიპე გოგიაშვილი და არ ვიცი როგორ ინელებდა მისი „სტა-

შინუება: ამ... ორმაგ ბულალტერიას... თუ მიდიოდა მის ყურამდის ჰაიც დუ ახა. რასაკვირველია, არც ის იცოდა «პარლამენტმა», თუ საიდან, ვისი განკარგულებით მიეტმასნა „აგრარულ რეფორმას“ და-მატება: „ყველა წისქვილი, სამხერხაო და სხვა (?) მსხვილი (?) სახელოსნო...“ ჩა ართ შეოდა პარტნერებს და გადაეცა..., „რუსეთის ს. დ. მ. პარტიას“, რადგან „ქართული ს. დ. მ. პარტია“ ბუნებაში მაშინ არ არსებოლა და ქალაქი, ერობა, სახელმწიფო და სხ. მარტოოდენ ამ პარტიის, ხელში კი არ იყო, არამედ განსაკუთრებით მათი შემადგენლობით, და, ხშირად ერთი და იგივე პირ ებს 3, 5 და 10 თანამდებობა ეკავათ და არა მარტო ერთ ადგილას, არა-მედ თბილისა, ვორსა, თელავსა, ქუთაისსა და უკანასკნელ სოფლამდეც. ამაზე დიდი «ნეპოტიზმი» ალბად აფრიკაშიაც არსად მოიძებნებოდა ჩვენ დროს უკვე (151).

შენიშვნა (151): საგარეო საქმეთა სამინისტროში, გარდა

სხვა „სახელოსნოები“ მე თვალით არ მინახავს, მაგრამ ცეკვის მიერაც
 წისქვილი, რომ ამისა და საფქვავის უქონლობის გამოც, გამშრალი
 იღვა, კარგად ვიცი და მინახავს. არც ის ვიცი, ასეთი ჩამორთმევა
 მენშევიკურ «წისქვილზე მარც თუ ასხამდა წყალს», ქართულზე
 კი არავითარ შემთხვევაში და ეს ბოროტება კი არ იყო, უარესი, —
 იყო სისულელე. მავრამ რა ექნათ?: იმოდენა ფინანქებში, — მინის-
 ტრები, ღენერალ-ლუბერნატორები, დირექტორები, გვარდიის სარდ-
 ლები და ტუტი ქვანტი ძლიერ იშოვეს (152) და მეწისქვილეობას
 კოტა შრომაცა და ცოდნაცა სჭირდებოდა? და ზღაპრებიდან ვიცო-

სხვა მოხელეებისა, იჯდა 12, ერთი მეორეზედ ლამაზი ქალი... საგა-
 რეო საქმეთა თვალის დასატებობად. სასამართლოში რომ შეხვიდო-
 დით, თითო კაბინეტში, კიბეებზედ, ტალანტებში შეხვდებოდით ათო-
 ბით, მოლაზლანდარე „მოხელე“ ქალსა და კაცსა, თითქო ქუთაისის
 „ბულვარი“ ან თელავის „ნადიკვარი“ ყოფილიყოს. ასევე ყველა
 სხვა დაწესებულებაში გამრავლდა და გაიძერა „ბიუროებატაა“.

შენიშვნა (152): 6. უორდანია სწერს (გვ. 150): „ჩვენში მთა-
 ვრობაში შესვლა მიჩნეული იყო დიდ უბედურებად. ყველა მას გა-
 უტოდა, როგორც ჭირს... ძლიერ ვახერხებდი შემადგენლობის მო-
 კრებას, ან მასში ახალი პირის შემოყვანას. მიზეზი იყო ერთად-ერ-
 თი — გაურბოდნენ პასუხისმგებლობას. მხოლოდ ორ
 პირს არ სჭირდებოდა ხვეწნა — ნოე რამიშვილს და ევ. გეგეჭირის,
 სხვები კი ყველა ძალით შემოთხრეულია მთავრობა-
 ში“, ასე სწერს 1953 წ., და, 1919-ში კი... თვითონ უორდანიამ შე-
 მოიტანა (თარიღი არ მასხვეს, მაგრამ... „არქივში“ ექნებათ) პრო-
 ექტი პარლაენტში: «რადგან ბევრი საქმე გაგვიჩნდა, 8 სამინისტრო,
 12-მდე უნდა ავიყვანოთ»-ო. და, რაკი სასაცილოდ არ გვეყო, — და-
 ასაბუთა — კიდეც — არ გაგეცინოთ! — : „ინგლისში 20 სამი-
 ნისტრო აქვთ და საქართველოს დემოკრატიას 12 მარც ესაჭირო-
 ება“-ო.

შენიშვნის შენიშვნა: შინ რომ დავბრუნდი, გავაკეთე
 ერთი „აბრუნდი“: „ინგლისის პარლამენტის სხდომაზედ კერზონს

დით უკვე ბავშვობაში, რომ „ნაცარქექია“ უშრომლადაც და უცი-
ცობითაც... მეტს შოულობდა.

სამხერხაოებიც არ იყო უკეთეს პირობებში და, — ნეტა არ მე-
ნახა — რამდენიც ვნახე, ან გაჩერებული სრულებით, ან უკბილო ბე-
ბერივით, ოცდათორმეტიდან ორი-სამი კბილიანი ან მრგვალი ხერ-
ხით მომუშავე, ზოგან დაეანგებული, გაფშეკილი ხერხით უხერხუ-
ლად გაშვერილი ჰაერში და სხ. და სხ. უმწეო მდგომარეობაში. საღ
მოინახებოდა, „რ. ს. დ. მ. პარტიაში“ იმდენი მხერხავი, ან მოხერხე-
ბული ადამიანი მაინც ეს „ინდუსტრია“ მაინც არ შეჩერებულიყო...
პროლეტარიატის სასარგებლოდ მაინც, მყვლეფელ, მხერხავ კაპი-
ტალისტებისათვის თუ არა. და, უნდა გენახათ, რა საცოდაობა იყო
გორის მაზრაში და თვით გორში, საცა ასეთი „ქარხანა“ შედარებით
მრავლად იყო, — ფიცარსა და „რეიკას“ რომ ვეღარა ვშოულობდით
და ხილის ყუთებზე ხომ აღარას ვამბობ.

მიწის ძვრა. უველამ იცის, რომ, მაგ., 1920 წელს მიწის-
ძვრამ დაანგრია გორი. მოსახლეობის უმეტესობა, ზამთარში, მინ-
დვრებში გაიხიზნა და უმრავლესობა ღია ცის ქვეშ დარჩა. ამ
ღვთის რისხება მენშევიკებს ვერ დავაბრალებ, — საშუალო საუკუ-
ნეების ბერები თუმცა მართალი იყვნენ, როცა მმართველთა ცოდ-
ვებს მიაწერდნენ ასეთ მოვლენებსაც, — მაგრამ, ასე ვსოდვათ, «ტყის

შეუტანია პროექტი: «რადგან ბევრი საქმე გავეიჩნდა, 20 სამინისტ-
რო 29-მდე უნდა ავიყვანოთ»-ო, და, რაკი „პონორაბლ ჯანტლემე-
ნებს“ გაუცინიათ, დაუსაბუთებია კიდეც: „საქართველოს იმპერიას
12 მინისტრი ჰყავს და ინგლისის დემოკრატიას 24 მაინც ესაჭიროე-
ბა“-ო. ეს „დეპეშა, მოსული ინგლისიდან“, ამხანაგებმა არ და-
შაბეჭდვინეს, — „სირცხვილია“-ო! ასეთი ამხანაგებიცა გვყავდა და,
ღმერთო შეგცოდე, სპ. კედიას „ინციდენტის“ შემდეგ, იქნებ კიდევაც
ფიქრობდა ვინმე... მეცამეტე გოჭად მაინც მიმიწვიონო.

ქვეყანაში» რომ, თავხე, ბოძი, ფიცარი, კოჭისხე; ლამფა, ყავარი თუ გაუთლელი ძროც არ იშოვებოდა, თავშესაფარების გასაკრებული ჩატარებული ვისი „ღვთის წყრომა“ უნდა ყოფილიყო? სად რა უნდა უმოვნა ხალხს, როცა ჩვენც კი, „ქართლის ამხანავობას“, — ხელშეკრულობით დაკავშირებულს გორის მენშევიკურ „ერობასთან“ (გავირანებული, უპატრონო ბალები რომ მოგვიყარეს), რომელმაც ბ-ნ ნ. ხომერიკის «სტამბოლურ» ფორმულით, მენშევიკი ი. რუხაძეც „გამგეობაში“ შემოგვაყვაინა, თურმე «შიგნიდან ასაფერქებლად» (ტროიადის ცხენივით), — და, მაშასადამე, ამდენი „პრივილეგიების“ მქონეთ, — ძლიერ ვიშოვნეთ „რაცხა“ და ისიც თითქმის ქურდულად:

ერთ-ერთ სამხერხაოში, საცა რაღაც ღვთის განგებით, პატ-რონ-ჩამორთმეული ქარხანა დაეტოვებინათ არა-მენშევიკ გამგის ზედამხედველობაში, მივაგენით პატარა საწყობს, და, მიუხედავად „ერობის“ ნებართვებისა, თვით ყოფილ „კომისარის“, ილია რუხაძის, აწ ჩვენი, „შიგნიდან ამფერქებლად“ დასმული, — გამგეობის წევ-რობისაც დიდხანს გავეწვალენით, რამე მივველო. ზედამხედველი (გვარი აღარ მახსოვე) ისე იყო დაშინებული ბრძანებებით, კონტრ-ბრძანებებით, სხვადასხვა დაწესებულებათა ბრძანებებითა და აკრ-ძალვებით (ეს — სამინისტრო, ეს — ერობათ, ეს — თვითმართველობა გორისათვის, ეს — „ს. დ. პარტიის კომიტეტისა“-ო, „მუშათა კო-მიტეტისათვის“ და სხ.). ვინ იყო პატრონი, როცა „ძალლი პატრონს არა სცნობდა“ და თითქმის ხვეწნა-მუდარით, არავინ გაიგოს, არავინ და-იშახოსო, გამოგვატანა რამდენიმე ფიცარი, საწყობის შესაკეთებ-ლად (საცა შემდეგ მილიონების ხილი ინახებოდა), ტიხარებისათვის ლაფანი და ყუთების დამზადებასაც დაგვპირდა, თუ... დამატებითს ნებართვას მოუტანდით. გვიან, გვიან გაგვიკეთა კიდეც, მაგრამ ჩუმად გვიჩიოდა: „რა ვქნა, ბატონებო, აი, ხომ ხედავთ; ამ თორმე-ტი ხერხიდან, აკრძალული მაქვს ვამუშაო თთხის მე-ტი; მუშები უფრო „კომიტეტში“ და გვარდიაში არიან; თუ აქ მო-დის ნაწილი, მარტო ჯამაგირის მისაღებად, ჩემზე საბატონოდ, თო-რემ განა ათჯერ და ასჯერ მეტის გაკეთება არ შემეძლო, წინან-დელ დონეზე მაინც რომ მოეცათ ნება მუშაობისა!?!“-ო.

* * *

მონოპოლია და ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს „მონოპოლური ზოგიერთი ციები“. ლია“, რომელიმე საარსებო, ან სხვა საკონელზე, მშვიდობიანობის დროსაც;

მეორეებში (და გინდ იმავეებშიცაც) — „რეკვიზიციები“ — ომის დროს; ჩვენი დამოუკიდებლობის დროს, იყო „მონოპოლიებიც“, „რეკვიზიციებიც“, — მშვიდობიანობისა და ომიანობის დროსაც და იყო „რეკვიზიციის მონოპოლიაც“... რაღა თქმა უნდა, მენშევიკების ხელში.. იმიტომ კი არა, რომ ეს სახელმწიფოებრივი უფლება იყო, არა მედ რადგან მთავრობა, ქალაქის თვითმმართველობანი, ერობა, გვარდია, შემდგარნი „მონოპოლიურად“ მენშევიკებისაგან, — „კანონიერ“ და უკანონო ცარცუისათვის მოსახლეობისა, სხვა და სხვა სახელებს არქმევდნენ ერთსა და იმავე ხელობას (ორივე მნიშვნელობით), რასაც ლენინმა ერთი და საერთო სახელი გამოუძებნა: „Грабъ, на-
грабленное!“

„იყო“ „აგრძარული რეფორმა“, ე. ი. ჩამორთევა და ... „არა იყო რა“, რადგან არაესათვის არაფერი დაურიგებიათ (153).d

იყო „სახელმწიფო ქონებად გამოცხადება“ — ტყისა, რკინის გზისა, მაღალულობისა, სამხერხაოებისა და წისქვილებისა და ...დანა-
რჩენი აღარ მახსოვეს.

იყო „მონოპოლია“ თამბაქოზე, მატყულზე — „de jure“ და სა-
გარეო ვაჭრობაზე, ე. ი. „ექსპორტ-იმპორტ“-ზე — „de facto“.

იყო „რეკვიზიციები“ სახელმწიფოსი, ქალაქების, ერობის; გვარ-
დის და კიდევ „ვინცხა-ვინცხასი“ კერძოდ, და, რაზე და რისა არ
იყო? ცოცხალი საქონლისა, „მეშოქ“-პურზე, სახლებისა; დგამისა და
კურპელ-საცალზე, ბანკებისა და სხ. და სხ... ანანოვის შამპანიუ-
რამდე. პლატონ პაჩულიებისა, აპოლონ ურუშაძეების და
სხვათა მილიციელთა კერძო ხასიათისა და კერძო პირებზედ გავრცე-

შენიშვნა (153): ე. ი. თურმე არც კი... „მიუყიდნიათ“: გრ.
ურატაძე 1956 წ.

ლებული ხომ სად ჩამოითვლება?! ან „მეციხოვნე“ რუბენ გიორგი კარაშვილი ძისა. სახელებს მაინც დამიხედეთ: პლატონები, აპოლონები, უკაფილოება ნები, „И может Родина — Платонов и даже собственных Невтонов Российская земля рождать“, მგონია ასე სთქვა ლომონოსოვმა. ჩვენ კი, არა მარტო შეგვეძლო, ვშვით კიდევაც.

მაგრამ, მაინც ყველაზე წინ წასული რეკვიზიტი ციებში, იყო გვარდია და ერთ მშვენიერ დღეს ადამიანთა „რეკვიზიტიაც“ გამოაცხადა: იქერდნენ ქუჩაში „ბურუუებს“ და ყარაიაში ჰეზავნიდნენ... ტყის საჭრელად (ნ. ჟ. გვ. 150).

ამ რიგად, რაც კი მიწაზე, ანუ ძველებურად — ქვეყანაზე იყო, კველუფერი, რაიმე სახელწოდებით, ან უსახელოდაც გადადიოდა მენ-შევიების ხელში, — ნიადაგიდან, ზეადაგიდან და ქვეადაგიდან — ქვესკნელამდე. წარმოიდგინეთ, რომ უორდანის „გარგოილი“ ეყიდნა... ჩვენი, — უყიდველობისაგან ოხრად დარჩენილი — 12 ჰეროპლანით, ჰეროში მფრინავ ჩიტებზედ, მტრედებზედ, მერცხლებზედ (იქნება ლრუბლებზედაც), ან „მონოპოლიას“ გამოაცხადებდნენ, ან „რეკვიზიტიას“ უზამდნენ, ალბად, რაკი... მშერებზე მონოპოლია მარქსიდანვე მოსდევდათ ხომა. „ერთი ჭირი მარგებელია“... გამოდგა ჩიტებისათვის მაინც, როგორც ეტყობა; თორემ «უგარგოილობის ჭირს» — საქართველოსათვის სარგებელი არა მოუტანია რა, გარდა იმისა, რომ „ჭირი ჭირსა დაემატა“.

ბატონი ნ. უორდანია, თავისი „წარსულის“ 168-ე გვერდზე „გულუბრუვილოდ“ (?) სწერს: „არც სხვის ქონებას უფრთხილდებოდით. სენივით გავრცელდა რეკვიზიტია. მთავრობა სავსე იყო საჩივრებით. მე ვებრძოდი ამ სენს სასტიკად და ხშირად (?) მიზანსაც ვაღწევდით (?)”, ეს ძნელი იყო იმიტომ რომ მთავრობის უმრავლესობა თუ არა, ნახევარი მაინც მხარს უჭერდა ამ სენს. ამ მხრით განსაკუთრებით გამოიჩენილდა თფილისის საბჭოს გამგეობა, რეკვიზიტიბის წამოწყებაში პირველი ადგილი ეჭირა“. (ორთოგრაფია უორდანიასი, ხაზები და კითხვითი ნიშნები — ჩემი. რ. გ.)

თუ „მთავრობის უმრავლესობა მხარს უჭერდა ამ სენს“, — სა-



ჩიერები „სოფლელნი და მდინარე“-ს მოგვაგონებენ ხუმულური ფულები „ქალაქის გამგეობას პირველი აღგილი ეჭირა ჩეკვიზიციების (სენის) წამოწყებაში“, — თავის თავს თუ ებრძოდა(?) უორდანია, რაღაც მთავრობაც მისი «შემოთრეული» იყო და „ქალაქის გამგეობაც“ მისი პარტიის „არჩეული“ ხომა? და ხშირად ერთი და იგივე პირები შეადგენდნენ უუმრავლესობას. და რა მაგალითი უნდა მიეცათ?..., „როგორც თევზს თავიდგან“—ამ, ალბად.

ისე სასტიკად ებრძოდა ამ სენს და ისე ხშირად აღწევდა მიზანს, რომ ჩემგან ჩამოთვლილის შემდეგ, არ ვიცი თუ კიდევ გადარჩა რამე რეკვიზიციის სენსა? ეს კი ვიცი, რომ სწორედ ერთ-ერთ ასეთი უმსგავსოების წინააღმდეგ სასტიკი შებრძოლებისათვის (ქალაქების სახლთა დაყოფა 400, 600, 1000 საეჭნობად), — მე ჩამსვეს ციხეში და არა... უორდანიამ მომცა ჯილდო, მაშასადამე, მხარში ამოდგომისათვის. კარგი სიტყვისა მაინც გამეტების მაგიერ, — აქ, პარიზში ისიც მომიგონა, ვითომ „აგრარული რეფორმის“ წინააღმდეგ იბრძოდა და იმიტომაო.

როგორი საოცნებო ფერებით მეხატებომდა „დამოუკიდებელი საქართველო“, რომელზედაც ვფიქრობდი და შემდეგ მიღწევაზე ვმუშაობდი — ახალგაზრდობაში, — ბედნიერი, ლამაზი, თავისუფალი, ალორძინებული ახალგაზრდულად, მდიდარი, და როგორ მიხდება აღწერა ჩეკვების დროს! ნუთუ ყველა განხორციელებული ნატვრა ასეთი უკულმა რამ არის?

რასაკვირველია, არა, მაგრამ ბედმა სწორედ ამ დროს დაგვსაჯა მენშევიზმით, როგორც რუსული ამობლუყუნებით.

სასამართლო. „ნაფიცი მსაჯულების“ სასამართლო ყველგან „პროგრესიულ“ მოვლენად ითვლება და მეც მზადა ვარ,— საქართველოსათვის, — ესეთი დაწესებულება, პროგრესიულად ჩაუთვალო მენშევიკებს; მაგრამ პრაქტიკაში, როგორც ზემოდაც მო-

ვიხსენიე ორიოდე „პროცესი“ (ი. ქართველისა, შმაგაილოვისა, და სხვ.) და აქვე ურთავ კიდევ რამდენიმეს, ათასიდან, — მან ვერ ფასმატორი მოეა, ვერ მოასწრო ყოველშემთხვევაში, თავისი „სიკეთის“ მოტანა, რაკი ყაჩალურ-სახელმწიფო ბრივ ატმოსფეროში, „ხმა ერისა — ხმა ღვთისა“-ო, მაინც დიდ წნეხვას განიცდიდა.

რუსის დედა კაცი. დავიწყოთ უბრალოდან: ვიღაც რუსის მოსარეცხე დედაკაცს პბრალდებოდა „ქურდობა მიბარებული სარეცხისა“ და, აგრე, უკვე ერთი წელიწადია, ციხეში იჯდა გაუსამართლებლივ.

დაგვიძეს 12 „ნაფიცი მსაჯული“, და, მოსამართლეს თავ-მჯდომარეობით, იჩეოდა მისი „საქმე“... ცოტა არ იყოს უცნაური ჩემთვის, როგორც „ნაფიც მსაჯულთა“-გან ამორჩეულ თავმჯდომარისათვის, — აშკარა იყო, რომ ამ დედაკაცს ბრალი არ უდევს. მართლაც, დამკვეთები, მოწმენი და თვითონაც ამტკიცებდნენ, რომ ათ წელიწადზე მეტია, რაც მრეცხაობს და არასოდეს შემთხვევა არა ყოფილა, დაეკარგოს, ან მოეპაროს რამე. მაგრამ, როგორც კი მივიღოდა საქმე დღევანდელ „ქურდობამდე“, ბრალმდებელის მოწმენი იბნეოდნენ დეტალებში, და თითონ „დამნაშავე“, თავგამეტებულად, ხან ტირილით, ხან ხევწნით, ხან თხოვნით პატიებისა, — ამტკიცებდა ზედმიწევნით, რომ მან მოიპარა, სცნობს თავს დამნაშავედ და მზად არის ეს სირცხვილი გამოისყიდოს... „აქამდის სირცხვილისაგან ვსტყუოდი და ციხეში იმდენი ქურდი ვნახე და არავისა რცხვენოდა“-ო.

აშკარა იყო ჩემთვის, რომ რაღაცა უცნობი მიზეზით, ეს დედაკაცი განგებ იბრალებდა ჩაუდენელ ქურდობას; და დიდი შრომა არ დამჭირებია, დამერწმუნებინა დანარჩენი 11 „მსაჯულიც“, — სრულიად გაგვემართლებინა დედაკაცი.

მერე გამოირკვა მხოლოდ, რომ ვიღაც „ციხის აბლაკატს“ დაურწმუნებია, „თუ ვინდა გაგათავისუფლონ, უნდა გამოტყდე ქურდობაში, ეს გამოტეხა გისუბუქებს დანაშაულს, რომლისთვისაც წე-

ლიწადზე მეტს ისედაც ვერ გადაგიწყვეტდნენ, და, რაკიც შემუშავებული იყო წელიწადი ზიხარ, — გაგიშვებენ“—.

“უდანაშაულოს, უდანაშაულო შეილები მიტირიან სახლში მშივ-რები და ქურდობას კი არა, კაცისმკვლელობას დავიბრალებდი, რომ მივხედო“—, ტიროდა სიხარულის ცრემლებით, სასამართლოდანვე ჩვენგან განთავისუფლებული საწყალი დედა.

* * *

რუბენ გიორგაძე. მეორედ, ირჩეოდა რუბენ გიორგაძეს საქმე. რუბენი იყო სამხედრო მინისტრ გრიგოლ გიორგაძეს ძმა; მაგრამ, თუმცა „შესახედავად“ ძმაზე მოსული იყო, ასე ვსთქვათ, „დევს შეეჭიდებოდა“, — სამხედრო საქმე სხვანაირად ესმოდა. სასამართლოში, არა მარტო გამოიჩინა, რომ მკვლელობა, ქურდობა, მცარცველობა და სხვა, ხელობად გაეხადნა, — რისთვისაც უკვე ექვსი თვეა(?) ციხეში იჯდა (სამსჯავროში ციხიდან მოიყვანეს), არა-მედ ისიც, რომ ეს უსინიდისო ძმა სინიდისიერისა, — დღისით ციხეში იჯდა და ღამე „ახერხებდა“, ამხანაგებთან ერთად, ეთარეშნა და ახალი დამნაშავეობანი ჩაედინა. გავშტრიდი, როცა ასეთ „საშიშო ავაზაქს“ — მხოლოდ ერთი წელიწადი ციხე მიუსაჯეს, და, ასე ვსთქვათ, დასასჯელად, „თევზი წყალში გადააგდეს“. მაგრამ ესეთი „ამბები“, რა მოსავონია „იმ“ დროინდელ უარეს „ვარიანტებში“, ზედ რომ არ დართვოდა, ალბად pour la bonne bouche, შემდეგიც:

მეორე დღეს, ჩემ თვალს არ უჯერებდი, როცა შოთა რუსთაველის გამზირზედ, სასახლისა და „ხატების აბანოს“ შუა დავინახე, ამაყად მოაბიჯებდა... და..., უდარაჯოდ, ბატონი რუბენ გიორგაძე. ეტყობა, ეხლა დღისითაც ისე თავისუფალი, როგორც აქამდე — ღა-მე.

ადვილად წარმოიდგენთ, რა ფიქრები და გრძნობები გამივლიდა თავში ან მე, ან კიდევ ბევრ სხვა „მოქალაქეს“.

ან ვინ იფიქრებს, იფიქროს, — სერგეი ერისთავის სიტყვები ე- გიგა- კეორისადმი, — ანექდოტიაო?:

— ყველა ყაჩალებმა სასახლეში მოიყარეთ თავი და კათალიქ-

* * *

მილიციისა. მესამე „პროცესი“ უფრო „ტიპიურია“, ჩვენი დროის რაინდებისათვის. «დიდი პროცესი», სასამართლოს დიდი დარბაზი გაქვედილია ხალხით, დამნაშავეთა და მათ „დარაჯთა“ რიცხვით, მოსამართლე და მოწმეები და სხვა. რა ამბავია?! ასამართლებენ 40 მილიციონერს, — მოქალაქეთა „დამცველებს“, — შახტახტინსკის გაცარცვისათვის. მცარცველებს იცავდა, იუსტიციის მინისტრობიდან ახლად განთავისუფლებული, ნაფიცი ვექილი შალვა მესხიშვილი, ჩემი სკოლის ამხანაგი (მინისტრად უკვე არსენიძე იყო).

დეტალურად გამოირკვა და დამტკიცდა, რომ „მეორე სამილიციო უბნის“ ორმოცმა მილიციონერმა გაცარცვა, დროებით ბაქოში წასული, ადერბეიჯანის მოქალაქის, ვინმე შახტახტინსკის, — მდიდარი, დაკეტილი ბინა... იმავე უბანში.

გამოირკვა, რომ ნაცარცვა მოუტანიათ სამილიციო უბნის დაბაზში, დაუყრით გორად დაწესებულების მავიდაზედ და იქვე, მაშინვე გაუნაწილებიათ და დაურიგებიათ და...

მე ერთი ბალიშის მეტი არა მერგო რაო, — ჩიოდა მეორმოცი, — რაღან მე „შინ“ დავრჩი „უჩასტეკას“ სადარაჯოდაო.

ერთი მილიციონერის „დეტალი“ ამ «ფრესკო»-სი განსაკუთრებული წერიმალებით დამახსოვრდა, რაღან წინად ჩვენთან მსახურობდა „ქართლში“ და ქურდობისათვის... „დელიკატურად“ დაეგითხოვ, და, აბა სად წასულიყო, — მაჭავარიანი „სულიკო“, — თუ არა... მილიციაში?:

როცა მის ბინაზე მისულან გასაჩერეკად, კედელზე ჰკიდებულიყო შახტახტინსკის, ოქროთი დასევადებული, ხმალი... მაშ ზანდუკში ზი ხომ არ შეინახავდა ასეთ ძვირფას, მამა-პაპისაგან (თუ არა, მამა-პაპისეულ ხელობისაგან) მიღებულ საამაყო იარაღს? მისი ცოლის გულმკერდზე თავმომწონედ ლივლივებდა შახტახტინსკის ცოლის. — მკერდზე თავმომწონედ ლივლივებდა შახტახტინსკის ცოლის.

— მარგალიტის ყელსაბამი. და თვითონაც ვითომ რა განსხვავებაა? — მარგალიტის ყელსაბამი.



„ვერ მოესწორ“, თურმე, — დამიხედვეთ მიამიტობას შექმნილია მოებსნა იმავე „სისხლის-მსმელ კაპიტალისტის“ ძვირფასი ბრილი-ანტის ბეჭედი.

შალვა მესხიშვილი ჩვეულებრივი პათოსითა ჰქონდა, ამართლებდა „უდანაშაულო“ „წესიერების დამცველთ“ და მოითხოვდა მათს განთავისუფლებას!

გამოცხადდა „შეწყვეტა“ სასამართლოსი — ნაშუადღევამდე.

აღლებული დავდიოდი ტალანში და სადღაც „უცხო“ ქვეყანაში ვგრძნობდი თავს, რომ დაეინახე, განიერ კიბეზე ამომავალი შალვა და მივვარდი: „როგორ არა გრცხვენიან, კაცო, გუშინ იუსტიციის მინისტრი, დღეს, ჯერ კიდევ ამ პრესტიუსა და გავლენის მარტარებელი, ჰკადრულობ ვექილობას და იცავ აშკარა კრიმინალებს. რას უნდა ელოდეს საქართველო ასეთი „წესის დამცველებისა და მცარცველებისაგან?“

შალვას, ლიმილი გამარჯვებისა, — ლრეჯად შეეცვალა, მაგრად ჩამბლუჯა მკლავში, გამიყვანა განზე, რომ „ხალხს არ გაეგონა“ და რწმენით ჩამჩრებულა:

— რეზო, შენ არ იცი რაშია საქმე; რასაკვირველია, ეგ უბედურნი დამნაშავენი არიან და სასტიკი სასჯელის ლირსნი, მაგრამ უნდა გავამართლოთ, რადგან... არაეის უთხრა, ეს საიდუმლოებაა... — ხმა უფრო დაიმდაბლა... — ეგენი რომ გავამტყუნოთ, მაშინ მთელი მილიცია უნდა დავსაჯოთ რაკი შახტახტინსკის საუკეთესო ნივთები და კველა ძვირფასი ხალიჩები — მილიციის უფროსის, აპოლონ ურუშაძეს ბინაზე აღმოჩნდა. ეს რომ მოვახდინოთ, მარტო ადერბეიჯანის თეალში კი არა, მთელი ქვეყნიერების წინაშე თავი მოგვეწრება. — დაათავა აღელვებით.

უნდა გამოვტყდე, რომ ეს ლა კი ვხედავ, რა გამოსავალი უნდა ეპოვნათ მაშინდელ მმართველებს, ასეთი ჭუჭუიანი „კრიზისიდან“, მაგრამ მაშინ ისეთივე აღელვებით უპასუხე:

— ფუი შენს ვაუკაცობას, რომ მთავარი კრიმინალის დასაფარავად, შენ შესაძლებლად მიგაჩნია მეორე ხარისხოვანთა გამართებაც... და გავშორდი.

— შენ არ იცი... მომესმა უკან.

„მილიციონერებმა“ გამართლება იყიდეს, „მილიციის უფროსის“ ბელადობაზე გაჩქმებით სასამართლოში, რომელსაც ეს მთავარი ყაჩალი არც შეუწუხებია, არც დაუბარებია, მთავრობასთან... „სახელმწიფოებრივი“ თათბირის შემდეგ.

ღწევდდ

ის კიდევ დიდხანს დარჩა თავის ადგილზე, და, ალბად ჯილდოდ, უფრო მოვიაანებით დაინიშნა „საქართველოს წითელი ჯვრის“ უფროსად. ის ამ ხარისხით გადავიდა ბოლშევიკებთან, ოკუპაციის შემდეგ (154).

და, თუ გავყვებით წითელ ხაზს, — პეტერბურლის 1907 წელს „სალმოს“ გაქურდვიდან, თბილისის მილიციის უფროსობის დროს, შეახტახტინსკისა და სხვების გაცარცვამდე, — ნუ მეტყველ, ბიოგრაფიას მნიშვნელობა არა ჰქონდეს და საუცხოვო „სტაჟი“ არ იყოს — „წითელი ჯვრის“ ზიზია სათნოებისათვის. ან რომ ყველა წითელი ხაზი, — ბოლოს წითელ ზღვაში არ იყრიდეს თავსა.

შალვა

მეოთხე, და, თავი რომ არ მოგაწყინოთ,

მაღლაკელიძე. — უკანასკნელიც, მაგონდება პროცესი შალვა მაღლაკელიძისა. პბრალდებოდა, — როგორც ზემომოყვანილ რუსის დედაკაცს ტყუილა-უბრალოდ, — „უფლების გარდამეტება და საზოგადო ქონების მითვისება“, გარკვეულადაც კი დაუსახელებლივ თუ რაში და რისა? მავრამ, იმდენად დარწმუნებულნი იყვნენ ბრალდებათა სიყალებში, რომ ამ „პოლიტიკური კომპრომეტაციისათვის“ შეთხზულ პროცესში, კვლავ მე ვიყავი — „ნაფიც მსაჯულთა“ თავმჯდომარედ (155). ნამდვილი „საშუალო საუკუნოებისებუ-

შენიშვნა (154): ბოლშევიკურ უურნალ „მნათობში“ № 11, 1957. სერიოზა ქავთარაძე აღნიშნავს, თუ როგორ შესთავაზა დახმარება ამ ერთმა ავაზაკმა, — მას, მეორეს.

შენიშვნა (155): «ამბობდნენ»: განვებ აგირჩიესო: აი, ეგ

რი” გამოგონება იყო — ადამიანის „წასახდენად“, განაწილებულად უფრო, კიდრე დასასჯელად.

ეს ახალგაზრდა სტუდენტი დანიშნეს ახალციხის ლენინალ-გუბერნატორად და ამ „რთულ“ მაზრაში, სომებ-ქართველ-მაკადიანთა მოსახლეობით, კარგი ადმინისტრატორული ნიჭი გამოიჩინა, ავაზაკობა მოსპონ და მშვიდობიანობა, წესიერება დაამყარა. მასზედ უკვე ლაპარაკი დაიწყეს, მაგარი კაციაო, სამართლიანიო. რამიშვილმა კახეთშიც გაგზავნა „ყაჩალების მოსასპობად“ და იქაც „შესარულა დავალება“ და უცებ კი... „უფლების გარდამამეტებელი და ქონების მიმთვისებელი“ გახდა... რაკი სახელი გაითქვა და... „რამიშვილს კონკურენტი უჩინდება“ — უმატებდნენ ზოგნი.

თვით პროცესზე, ბრალმდებლად, იმდენად ბრალმდებელი ვერ გამოდიოდა. რამდენადაც მთელი „ბანდა“, მაღლაკელიძეს ყოფილი თანამშრომლებისა, მისიერ „თანაშემწეს“ მეთაურობით; ისინიც მიყენებული სამართალში. ბ-ნ შალვას ლირსებით ეჭირა თავი და ერთხელაც არ აუყოლებია გული უმსგავს ყოფილ თანაშემწეს უმსგავსს ბრალდებათათვის, ან მისი დამქაშებისა. ისინი კი, ნერვიულობდნენ, იჭავებოდნენ; ნამეტნავად, როცა მე უხერხეულ მდგომარეობაში ვაჟენებდი ჩემი კითხვებით და იძულებულნი იყვნენ, წინააღმდეგობათა რიგში ჩაცივნულიყვნენ. თვითონ „თანაშემწე“ (საუბედუროდ, მისი გვარი არ მახსოვს და ზნედაცემული, უსიამოვნო სახე კი — კარგად) იწურებოდა და ეხტიბარს არ იტეხდა ვითომ, მაგრამ ბრაზი ყელ-

ხომ მართალ კაცად ითვლება და ტყუილად არ დასჯის (თუ დასჯის) და თუ გაამართლებს, — აშკარაა, იმიტომ, რომ „ოპოზიციონერი“ არის და „თავისიანი“ გაამართლაო. რატომ უნდა ყოფილიყო „ჩემიანი“, არ ვიცი, ამ ახალგაზრდას არც კი ვიცნობდი პირადად და „სოც.-ფედერალისტად“ ითვლებოდა თუ „ეს.-დეკ.“ -ად. ასეა საშუალო საუკუნოებში, — „კულიანებს“ ხელ-ფეხ შეკრულებს აგდებდნენ წყალში; თუ ჩაიძირებოდა, — საწყალი, კულიანი არა ყოფილა და ლმერთმა მიიღოო“, თუ ამოტივტივდებოდა, — „ხედავთ, კუდიანიაო!“ და ქვებით ჩაქვილავდნენ, ან ცეცხლში დასწვავდნენ.

ში მოსდიოდა და ერთმა მათგანმა ხომ, ერთ-ერთ შეწყვეტის დროს, — მუქარაც შემომითვალა: „მისამარ დაწყნარდეს, თორემს ქმრულობა აუგებოო.“

მინდოდა სასამართლოში გამომემუღავნებინა ეს „შინაურული“ ალფუხვა დამნაშავე-მოწმე-მოსამართლეთა, ერთმანეთში ამბის მიტან-მოტანით გამოწყვეული, და სილა მეჭმია მემუქარესათვის, მაგრამ გამაჩერეს: „ეგრეთი ამბავი დამნაშავეს (ე. ი. ვინც დამემუქრა) მდგომარეობას უფრო დააშძიმებს“—ო, და, მე იმავე გზით შეუთვალე: „თუ როდისმე ციხიდან განთავისუფლდე, გზაზედ არსად დამხვდე, თორემ ძალივით უანდერძოდ დამრჩები“—მეოქი.

ასეთი შინაური „მელექსეობის“ შემდეგ, მთელი სასამართლოს განმავლობაში ჩემკენ თვალი ვეღარ ძელო და მერეც არსად გამიგია მისი არსებობაც კი. (თუ არა ვცდები, გვარად გომელაური იყო).

შალვა მაღლაკელიძე გავამართლეთ ერთმად, მაგრამ საშსახურში უკან აღარ მიუღიათ ეს ახალგაზრდა ვაკეაცი და ნიჭიერი აღმინისტრატორი. რამიშვილმა თავისას მიაღწია.

როცა უკვე პარიზში, პირადად გავიცანი, გულჩათხრობით მიამბობდა: „თქვენ არ იცით, რამდენი უარესი ამბავი ხდებოდა და ერთი ეპიზოდი გაიხსნა: რამიშვილმა კახეთში 11 განთქმული ყაჩალი დამაჭერინა, პატიებისა და შერიგების აღთქმით. მეც შემოვირიგე და ერთგულებას ვეფუციცებოდნენ... რომ სასტიკი ბრძანება მივიღე: «დაუყოვნებლივ დახვრიტეთო». როცა, სირტხვილეულმა, გავიყვანე დასახვრეტად, ერთმა სთქვა მწარედ, ყველას მაგირ: „სანამ ვჭირდებოდით, ამ ხან ავებს გვეძახდა და სხვებს გვახოცინებდა და ეხლა ვერაგულად ჩევნა გვხვრეტავს?“—ო. „თვალზე ცრემლი მომდიოდა, ისე ვაჟკაცურად დაიხოცნენ“—ო.

ნ. უორდანიასაგან ნაქებ (პარიზის რუსულ გაზეთში) „აგრარულ ტერორს“, აღბად ამ 11 (ან იქნება მეტიც) „უბრალო გლეხების“ (?) ხელით ახდენდა, ამ ტერორის ავტორობის სათვის ნაქები ღიღი ნოვესაგან, — პატარა ნოე.

„ვარგი საქმე ქვაზე დადე, გაიარე — წინ დაგხვდებაო“—ს სიბრძნე, აღბად ავზედაცა ვრცელდება: ყოველთვის მუხთლად, უკანიდან



ნასროლი „აგრარული“ ტყვია, გლეხი ჭანუკვაძეს ხელმიწადების დახვდა და ისიც „ს.-დემოკრატისა“, იქნება იმავე სოფლიდანაც.

* * *

ს ხ ვ ა და ს ხ ვ ა ... რა კარგია ოპერა, კონცერტი, ს ა - ს ა - ს ა - მ ა რ თ ლ ო ა მ ბ ე ბ ი ღ ი ს ი მ ლ ე რ ა ს ა ზ ი გ ა დ ლ ი დ დ ა კ ი რ - ძ ლ ი დ ... როცა ამ „მუსიკალურ საქმეებში“ უკვეხებიან ჩენი, მაშინ-დელი „რონის მიმცემი“ მობოლშევიცენი. მგონი, უკვე მოვიხენიებ. ვალიკო ჯულელის... „...მუსიკაში მე ღისონანსები მიყვარსო“, გერ-მანელების საზეიმო წვეულებაზედ. ან მისივე... „ლიდა იგრალა შო-პენა, ან ა ია პონიმალ ნერონა...“ ოსების სოფლების ცეცხლებს რომ უყურებდა. მაგრამ, არსენიძეც თუ ისეთი მოსიყვარულე იყო მუსი-კისა საზოგადოდ და სიმღერისა კერძოდ და ქალის სიმღერისა — განსაკუთრებით რომ პარიზში... ძროხების წველაც კი დაიშყო, ეს ჯერ სამბობია:

ნ ი ნ ა კ ო შ ი ც . დამოუკიდებლობის ენტუზიაზმი ჯერ კი-დევ ჰაერშია. ბ-ნი რაედენი „იუსტიციის“ მინისტრია (156). მაისის ვარდის სუნი იფრქვევა. და, აი, ნიუ-იორკიდან, სტამბოლის გზით, პეტელასავით შემოტრიალდა თბილისში და ბულბულივით ჩაიკავანა, განთქმულმა სიმღერით და... ცოტა სხვა ხელობითაც... ქალბატონმა ნინა კოშიც-მა.

მისმა კონცერტებმა მარტო თბილისელი მელომანები კი არა, მთელი საზოგადოება „გაპდარია“. მაგრამ, ერთ მშენებელ დღეს, და-პატიუებულს მისთვის გამართულ საზეიმო საღამოზედ, — პატარა „აფუმე“ მოუვიდა და, თურმე არა-ნაკლებ განთქმული — ნიუ-იორკშიაც და სტამბოლშიაც — მეორე „ხელობის“ საშუალებით — ქალბატონ მირზოევის (157) ძვირფასი ყელსაბამის, ქალბატონ კოში-

შ ე ნ ი შ ნ ვ ა (156): „ძალად შემოთრეული მთავრობაში“, ბ-ნ ეორდანის ტერმინოლოგიით.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა (157): *Nomina sunt odiosa*, მაგრამ, იმედია, არ დამძრასავთ ნამდვილის მოყვანისათვის, რადგან რუსულად თუ ცუ-დად ისმის, სპარსულად — კარგია.



ცის ჩანთაში აღმოჩნდა. „სკანდალი“ დიდი, ქართული სტუქტურული ყვარეობა უფრო დიდი და საქმე უნდა მიეფუჩიებინათ. მაგრამ რძინი-ზევის ცოლს, „მორსკაია დერუვიდან“, რატომ უნდა დაეზოგნა „კუკურუზნაია რესპუბლიკის“ თავმოყვარეობა, და შეუტანია საჩივარი.

სასამართლოს დანიშნვის მაგიერ, „იუსტიციის მინისტრს“ და-უმდერნია, თუ დაულრენია ბრძანება „პროკურორისათვის“: „ეს საქმე უნდა მოსპოთ და ნ. კოშიცი უდანაშაულოდ გამოაცხადოთ“-ო. მაგრამ პროკურორი, წარმოიდგინეთ, კერპი გამომდგარა, როგორც იუსტიციის კერპი, და, „არასგზით!“-ო, უთქვამს.

მაშინ არსენიძეს, როგორც მინისტრს, ჩამოურთმევია მისთვის „საქმე“ და გადაუცია მეორე პროკურორისათვის, იმავე ბრძანებით. მეორეს შეუსწავლია საქმე და მოწიფებით მოუხსენებია, „ვერ ვიკის-რებ : კანონის ძალით მაშინ ციხეში მე უნდა ჩავჯდე“-ო. ო...ო! მუსიკას ბევრი რამ შეუძლიან, სიმღერას მეტი და „ტკბილი სიტყვა ხომ გველსა ხვრელით მოიყვანს“. არ გახსოვთ, ავთანდილი რომ მღეროდა „წყლითა თვეზენი და ქვანიცა გამოსხდიან“. არავინ იცის, რა უმღერა, რა დაუკრა, ან რა ჩაუტკბილსიტყვავა ქალმა მინისტრს, მაგრამ „მიშამ“ საქმე — მესამე — პროკურორს გადასცა, იქნებ მასავით არა მომღერალს, მაგრამ მასთან შეხმატკბილებულს და ამ მეს ამ ემ, ქალბატონ კოშიცს მისცა „non lieu“ და... კავკავით კიევს გაისტუმრეს.

ისტორია ბევრ რამეზე „სდეუმს“ და აღარც ის გაგვიგია, უკრაინაშიაც «ორხელობა» განავრძო ნინამ, თუ რომელიმე ერთს დასჯერდა თავის სამშობლოში მაინც? არც ის, მირზოევს დაუბრუნდა ყელ-საბამი, თუ, რაკი მარგალიტისა იყო „თინათინის კიჭებივით, რომელიმე რუბენ = რუბის = ლალსა მიხვდა, ვითა ბაგეს?“, როგორც იტყოდა შოთა.

ყოველ შემთხვევაში, ეს სა-სა-სამართლო ამბავი სასამართლომ-დე არ მისულა და არც სამართლიანი იქნებოდა, ლამაზი ქალი და ისიც ბულბულის ხმიანი და თვალ-უუფენა, — თვალ-ახვეულ ფე-მიდისაგან დასჯილიყო, ეუტერპეს საწყენად. და მეც თუ გავიხსენე,

მხოლოდ ქლიოს ხათრით: არ ეწყინოს-მეთქი „დაფარულის გაშეღა-
 ნება, ან ცნობილის, — ჩემგან ხელის დაფარება“ (158).

* * *

ერთი ტომარა ფქვილი. ღმერთო შეცოდე, როგორ
 ვიფიქრებ, მინისტრს არტისტი ქალისაგან რამე გადასდებოდეს...
 „არტისტობათაგან“, მაგრამ უცნაური შემთხვევება მოხდა კოშიცის შე-
 მდეგ... ვინე „იქსმა“ მოიპარა მთელი ვაგონი ფქვილი. შიმშილო-
 ბის დროს ეს რა ვასაკვირველია, როცა მთელი მატარებელი დაიკარ-
 გა შაქრით... სომხეთის საზღვარზედ და საზღვრის იქით ხომ ვერ ვა-
 კიდებოდნენ, მართლა და მართლაც? ველარც შაქარი, მპარავი, ვერც
 მატარებელი ველარ იპოვეს და... სასამართლომდი, აბა, რა „შაქრის
 ქალალდი“ უნდა მისულიყო? ახირებული ხალხი ხართ, ღმერთმანი—
 მკითხველები!

მართალია, ერთი მატარებელი სიმინდის ფქვილიც დაიკარგა და
 მპარავიც დაიჭირეს, ვარიც გაიგეს, ადგილიც, საცა გაიყიდა, და, თუ
 არა ვცდები, ცარიელი ვაგონებიც დაიბრუნეს ბათუმიდან, მაგრამ
 ან ეს რა მოსაგონია, — ცარიელა ვაგონებს ხომ არ მოიტანდნენ სა-
 სამართლოში, როცა ამხ. დ. კ—ძეს ხელში ერთი მოსახარში სალომე
 სიმინდის ფქვილიც აღარ აღმოჩნდა?

ჰო, და, ამ ზემოაღნიშნულ ერთ ვაგონ ფქვილზედაც არ ელირე-
 ბოდა ლაპარაკი, ქვემოაღნიშნული „უცნაურობაც“ არ დაჰყო-
 ლოდა თანა: დაინიშნა „გამომძიებელი კომისია“; ეძებეს, და, ცამ ჩა-
 ყლაბა თუ დედამიწამ, ვერ მიაგნეს... ვინ არ იცის შეგირდობიდან, რა
 ძნელია „იქსის“ მიგნება, როცა თან „იგრევიც“ ახლავს და „ზეტიცა“.

შენი შენვა (158): ეს ამბავი დაწვრილებით გამაცნო «მეორე»
 პროკურორმა (რომელმაც უარი სთქვა) — ალ. პოლტარაცკიმ.

ზოგი იტყვის: ამ საქმის მოგვარება სხვანაირად შეიძლებოდა,
 მაგრამ ერთი სიჩინოზის გულისათვის, არგონავტების მეზღვაურე-
 ბივით ხომ არ აიწყვეტავდნენ და წყალში გადაცვიდებოდნენ „მი-
 ნისტრი“ და მესამე „პროკურორი“?

და... სწორედ, „გამომძიებელი კომისიის“ ერთ-ერთმა წევრმა შითხრა: „დაკლადით რომ მივეღით მინისტრთან, მის კაბინეტში ქე დავინახე მეშოკი ფქვილი იმავე ნაკლადნოს ნომრით. რომ ვკითხეთ, საიდანო? — რა ვიცი, ვინცხამ მომიტანა“-ო.

ამის მთქმელი ფიცულობდა, და მეცა მჯერა: „რაღა თქმა უნდა, ამხანაგი მიშა ქურდობაში მონაწილე არ იყო, მაგრამ თუ მინისტრი ასე იოლად უყურებდა საქმეს, ჩვენ თავი რეიზა უნდა აგვეტივა?“ ღ. თუ კი მატარებლები იკარგებოდა საზღვარს იქით და ვაგონები საზღვარს შიგნით, რა თავი უნდა აეტკიებინათ მოხელეებს რაღაც ერთი „მეშოკი“ ფქვილისათვის, გინდ „ნაკლადნოს“ ნომერი ჰქონდა ... უნომროვ მინისტრის „კაბინეტში“?

დ ი პ ლ ო მ ა ტ ი უ რ ი კ ა ზ უ ხ ი . „ვაგონებს“, მატარებლებს, „მეშოკებს“ ნომრით და უნომროდ რომ გაჲყვეს აღამიანი, ერთი „მეშოკი“ კი არა, იქნება ერთი ვაგონი ქაღალდიც არ ეყოს, ამიტომ თავი დავანებოთ სანოვავის მოპარვას, რაცი დანაშაულის „შემამსუბუქებელი“ გარემოება, სხ. შ., შიმშილი იქნებოდა. გადავიდეთ ზოგიერთ არა-სანოვავის ამბავზედ, რომელთა რიცხვსაც დასჭირდებოდა არა ნაკლები ქაღალდი აღწერილობისათვის. ვიკაროთ „ზოგი“.

ერთ დილას, გავედი თუ არა გარედ, „მახარეს“ ჩურჩულით: წუხელის, „ბარიატინსკის“ დაღმართზე გაუცარცვავთ სპარსელი პრინცი; ამოუცლიათ ძეირფასი „პორტსიგარი“, ფული, ბეჭდები, საათი და... კიდევ კარგი, სულიც არა, თორებ დიპლომატიურ ხათაბალაში ჩავვარდებოდითო.

თუმცა თბილისი დედაქალაქია, ასეთი ახალი ამბები, „ტამ-ტამ“-ის სისწრაფით მოედება ხოლმე, როგორც სოფელში. ამ ამბავმა აღელვება გამოიწვია უმაღლეს და უმდაბლეს წრეებშიაც, რაღაც ყველამ იგრძნო, რომ სარსეთის პრინცი, უბრალო შეჩვეულ მოქალაქესავით, „შემამსუბუქებელ გარემოებას“ ვერ მიხვდებოდა მარტო იმიტომ, რომ მისი თითები და ჯიბეები შეასუბუქეს. და, თუმცა ამ ამბავს მაშინვე ზედ მოჰყვა ხმებიც, ეს „პლატონ პაჩულიას ბიჭების საქმეა“-ო, თუ „ბეჭედი აზისო“, არ მახსოვს, სწორედ პლ. პაჩულიას



დაავალეს საქმის გამოძიება. პლატონმა, გამოიძია კი არა, **უნიკალური ში დაიჭირა მცარცველები;** მთელი ნაცარცვი, არა მარტო დაუბრუნეს პრინცისა, არამედ აბრასავით ჩეხევა-დარიგებაც მისცეს: ხომ იცით, რევოლუცია არის, ალრეული დროა, თქვენ კი ღამე მარტოხელა დაიარებით. სჯობია წაბრძანდეთ სპარსეთში, თორემ გარანტიას ვინ მოგცემთ, „პორტსიგართან“ ერთად, შემდეგ შემთხვევაში, სულიც არ ამოგაცალონო? რამდენადაც მახსოვს, პრინცმა დაიჯერა ასეთი „გაფრთხილება“ და საზღვრებამდეც პატივით მიაცილეს და პლატონ პაჩულიას მაღლობა და 50.000 მანეთი „პრემია“ მიართვა... „მთავრობამ“, სწრაფი ერთგულობისათვის. პრინცებს აღარავინ სცარცვავდა... რადგან აღარ იყვნენ, და, „ნაკლებ სისხლიანებს“ საზღვრებამდე მიცილება ხომ არა სჭირდებოდათ, მაინც და მაინც მოპრიდებოდნენ? ასეც გრძელდებოდა და „მოცლილმა ხალხმა“, არ ვიცი, „უვარესი ოპოზიციიდან“, თუ ასეთ „სარგო პო-ლი-ზი-ციიდან“ „ანგქონტიც“ კი მოუგონა ჩენი დროის პლატონებს და „მათი რთველის ნევტონებს“:

ისხდინენ, თურმე, ინგლისის, საფრანგეთის და საქართველოს მაღალი „კომისრები პოლიციისა“ ერთ დუქანში და გემრიელად მიირთმევდნენ სუკის მწვადებსა და კახურ ღვინოს. ბუნებრივად ჩამოვარდნილა ლაპარაკი, არა-ბუნებრივ ცარცვა-გლეჯა-მკვლელობაზედ. ფრანგს უთქვამს თავმოწონებით: საფრანგეთშიო, როგორიც უნდა დანაშაული მოხდეს, ორი კვირაც არ გაივლის, პოლიცია უსა-თუოდ აღმოაჩენს და დამნაშავე ისჯებაო. ინგლისელს ასეთი „ტრაბაზი“ არ ეჭაშნიკა და უთქვამს: ეგ რა პოლიცია ყოფილა, ინგლისში ოცდაოთხი საათიც არ გაივლის — დამნაშავეს აღმოვაჩენთ ხოლმე და მერე სასამართლო სჯისო. პლატონს, ქართული წესით, ჯერ შათი და მათ სახელმწიფოთა საღლეგრძელო დაულევია და სუკის გე-მრიელი ლუკმის ჩატანებასთან, — ამოუტანებია:

— ეგ არის თქვენი განათლებული, ნაქები ევროპაო: ორი კვირა, ოცდაოთხი საათი უნდებით დამნაშავეს აღმოჩენასაო? აქ, საქართველოში, მილიციამ, — ერთი კვირის წინად ვიცით, სად რა და-ნაშაული მოხდებაო!

ზოგი უმატებს, ვითომ პაჩულიას ისიც დაემატებინოს, რომ ამი-



სათვის „პრემიასაც“ მაძლევენ 50.000 მანეთსაო. მაგრამ შესრულებული აღარა მჯერა: „Si non e vero, e ben trovato“.

* * *

7 - V - 1920. თუ ასეთ საშინაო მდგომარეობას, — რომელ-საც, მაღლობა ლმერთს, ხალხი არ აპყოლია; — დაუმატებთ ჯარის მოუწყობლობას; არც ერთ მახლობელ თუ შორეულ მეზობელთან (ან საერთოდ რომელიმე სახელმწიფოსთან) მევობრობა-მეზობლობის დაუმყარებლობას, — ისიც გასაკვირველია, თუ როგორ გაუძელით ამას სამი წელიწადი მაინც, რაღაც რუსული მენშევიზმი ექცეოდა საკუთარ სახელმწიფოს, როგორც შემოსეული მტრი.

უკვე მოგახსენეთ (გვ. 185), როგორ გაჰყარეს ჩრდილო-კავკა-სიელნი, მოსულნი საკავშიროდ; სომხების ომი, — ეს იყო ორი „სო-ციალისტური“ პარტიის ერთმანეთის მოტუუბით გამოწვეული ბრძოლა; ადერბეიჯანს არ დაეხმარნენ არც მაშინ, როცა პირველად მო-აღნენ ბოლშევიკები, თუმცა „სამხედრო კავშირი“ გვქონდა მასთან და არც მეორედ, როცა პირველად ამ რიცხვის (და უკანასკნელად) ჩვენმა 40.000-ანმა ჯარმა, კვინიტაძის სარდლობით, სასტიკად და-ამარცა იქაური ბოლშევიკები და ბაქომდინ, ბაქოს იქითაც დევნის მაგიერ, მთელი ადერბეიჯანის გაწმენდით, — დამარცხებული ზავი ჩამოაგდეს რუსეთის ბოლშევიკებთან 1920 წლის 7 მაისს.

რაღაც ერთ არა სწამდათ, ვიწრო პარტიულ ეგოიზმით იცავ-დნენ მხოლოდ „რევოლუციის მონაპოვარს“, ე. ი. თავის პრივილეგი-ებს და სახელმწიფოს არც ერთი დარგი, არც ერთი საზღვარი, არც ერთი მეგობარი, — საჭირო, საზრუნავ საგნაც არ გაიხადეს.

დარიალის ყელი, რომლისთვისაც საქართველო კი არა, მისი მტრებიც სისხლსა პლვრიდნენ ათასი წლობით, თვითონ გაუსხნეს ბოლშევიკებს, ხუთი ვერსის სიგანეზედ მისი საკინძის დახევით; და-რუბანდის კარი, საუკუნოებრივი საზრუნი „სუსტი ადგილი“ ქართ-ველ, სპარსელ, არაბ თუ თურქ მეთაურობისა, — ადერბეიჯანის მი-შველებით კი არ ჩახერგეს... „დახმარება არ უთხოვნიათ“-ოს(159)

შენიშვნა (159): ნ. უორდანიას სიტყვებია.

მომიზეზებით, — იმავ რუსის ბოლშევიკებს ჩაუგდეს ხელში; სომხებისა და თურქების საზღვრებიც თითქმის ლია დასტოვეს და ერთად-ერთი, ვისაც ებდომნენ, ეს იყო ინგლისი; და ისიც ბოლშევიკების ხათრით, რადგან, სხვა „დაჩოქილ მუხლებთან“, 7 მაისის ერთ-ერთი საიდუმლო მუხლი ლალადებდა: „საქართველო არ დაუშვებს თავის ტერიტორიაზედ არავითარ ორგანიზაციას, „რუსეთის ს. ფ. რ.“-ის მიმართ მტრულად განწყობილსა“-ო.

ნამიშვილი. ბ-ნი ნ. რამიშვილი, შეიძლება ითქვას, ერთად ერთი კაცი იყო, რომელიც მიხვდა, რომ „რევოლუციასაც“ პატრიონობა უნდა, და, რამდენადაც შეეძლო, თავის ყაჩალანა ამხანაგებს თავს უჭერდა. მართალია, ვერაგ (160) საშუალებათაც არა ზოგადა, მაგრამ, შედარებით, აღმინისტრაციის საქმე კარგად ჰქონდა აწყობილი, შინაგან საქმეთა მინისტრობისას; ტელეფონების გაყვანა და გადაბმა პროვინციებთან; მუდმივი (საუბედუროდ, უშედეგო) ბრძოლა გეგეჭკორ-ჯულელ-ეორდანის შვილობილ გვარდიის წინააღმდეგ, — ჯარის დაცვით (: ასე გვესმოდა ყოველ შემთხვევაში); წესიერების ქებნით და სხ. თვით ჩემი დაჭერის ამბავიც კი მახარებდა გულში, როცა „მთავრობის გალანძღვა“-ში „დანაშაული“ დაინახა (161). სპობდა და სჯიდა ყაჩალებს, მაგრამ რა ექნა? სულ

შენიშნვა (160): ჩემი დაჭერა; სომხების განდევნა; მაღლა-კელიძეს „საქმეები“ და სხვა და სხვა.

შენიშნვა (161): მართალია, „ყაჩალობის“ სახელის მეტი არა შეშვენოდათ რა და კიდეც მოვახსენე პარლამენტში, ციხიდანაც საგაზეთო წერილი გამოვგზავნე ამავე სახელწოდებით, მაგრამ „მეც ასე მოვიქცეოდი, შინაგან საქმეთა მინისტრი რომ ვყოფილიყავი“-მეთქი, როგორც უთხარი შემდეგ. მაგარი მხოლოდ ისაა, — მე ამას ვიზავდი კანონიერად და ლოლიკით, მან კი ეს ჩაიდინა აღმინისტრატორულად და ყალბი მოტივით. დამაბრალა ის, რასაც თვითონა შვრებოდა, — დამოუკიდებლობამდე 20 წლის განმავლობაში: „დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იბრძვის“-ო.

/

რომ მოესპო, საკუთარი „პარტიიდან“ ნახევარი მაინც უნდა გაქნა-
დგურებინა... და, ვსთქვათ, ნოე ჟორლანიას დაპატიმრებით ფლუსტრული
რომელმაც „კაზიონი“ ეტლი და ცხენები გაჰყიდა 29.000 ჭავჭავაშია
(162); ფილაძე მახარაძე გააპარა (163) და ათასი სხვა „ამხანაგური“
საქციელი, = სახელმწიფო ბრივი დანაშაული. უნდა დაეჭირა
ე. გეგეპიორი, — „ვაგონების ნებართვებით“ ვაჭრობისათვის და სხვა;
უნდა დაეჭირა „იუსტიციის მინისტრი“, — კოშიცისა და ფქვილის
„მეშვეის“ და სხვა „ტომრების“ მიზეზით; კარლო ჩხეიძის ძმისწუ-
ლი, რომელმაც გაიტაცა პარლამენტის სალარო; დ. კ — ძე, სიმინ-
დის ფქვილის მატარებლის გაყიდვისათვის ბათუმში; სამხედრო მი-
ნისტრის ძმა რუბენ გიორგაძე (164) და სხვა და სხვა ათასი. მაგრამ
ასეთი ამბები მხოლოდ კინოებში თუ ხდება, როცა ერთი პატიოსანი
გმირი, შემოხვეული ათასი „ბანდიტით“, — მათ ყველას იქნებს და
გამარჯვებული გამოდის. ცხოვრებაში ეს უფრო ძნელია და როგორ
უნდა მოპრეოდა რამიშვილი, რომელ ერთს, თუნდაც სდომებოდა?

* * *

გრ. ლორთქიფანიძე, მე არ ვიცი, ვისი კანდიდატი
ჰი ჭინაძე. იყო ჩეორე პატიოსანი და

მცოდნე სოც.-დემოკრატი, — ბატონი გრ. ლორთქიფანიძე, მაგრამ
ექვს თვეესაც არ გააჩერეს სამხედრო მინისტრად, რაღაც ჯარზე
მზრუნველობა გამოიჩინა; და ეს ხომ უდიდესი დანაშაული იყო უორ-

შენიშვნა (162): „ს.-დ.“ და ტრანსპორტის ხელმძღვანელი
ფარნიევი ამბობდა.

შენიშვნა (163): „ს.-დ.“ და თბილისის ღენერალ-გუბერნა-
ტორი ვალოდია სულაქველიძეს სიტყვებია.

შენიშვნა (164): თვითონ სამხედრო მინისტრი გრიგოლ გი-
ორგაძე იმდენად პატიოსანი ადამიანი იყო, საწყალი, რომ პარლა-
მენტის ტრიბუნიდანაც კი განაცხადა ერთხელ: „ბატონებო, მე რა
სამხედრო სამინისტრო (კაცი) ვარ, მაგრამ რა ვქნა, ამხანაგებშა და-
მაძალეს“ — თ.



დანია-გეგეჭკორის „პარტიისა“ და ვალიკო ჯულელის გვარდიის, — „ქუთათებით ბრმა თვალში“.. სამაგიეროდ, მის მოგვარე ლორთქიფანიძეს ჩააბარეს რკინის გზები, რაღან, ამბობდნენ, კარგი(?) „გინეკოლოგი“ იყო, და ჭიჭინაძეს — ჯარი, რაღან უვარებისი ექიმიაო, მაგრამ საუცხოვო რევოლუციონერი: „როცა ჯარისკაცებს ელაპარაკება, განგებ აფიცერებს ხელს არ ართმევს და ზურგს უბრუნებს“—ო. და სწორედ ასეთი ბოლშევიკური „სისტემისა“ და საექიმო, საფსიქიატრო „სამხედრო“ მინისტრის დროს, თავს დაგვესხნენ მისი „ამხანაგი“ ბოლშევიკები.

X

ო მ ი .

„მო უ ლ ი დ ნ ე ლ ი ბ ა“.. „მოულოდნელად“—აო, თავს იმართლებენ უთაური მეთაურები, და, „ომის გამოუცხადებლად“—აო, აყრუებენ ქვეყანას, თითქო ეს ახალი ამბავი ყოფილიყოს მათვეის:

1920 წლის „ენკენისთვეში დაგვარუნდი თბილისში. (სწერს ნ. ჟორდანია თავის წიგნში გვ. 172) ბაქოდან მომივიდა ცუდი ინფორმაცია. ბოლშევიკური წყაროებიდან გვატყობინებდნენ, რომ მოსკოვი ისევ ემზადება საქართველოს დასაპყრობათო“.

„ბაქოდან... წარმომადგენელი... გაბო ხუნდა ე (ცნობების მოწოდების გარდა, რ. გ.) (გვ. 173—174) ერთ დღეს თვითონ ჩამოვიდა მოულოდნელათ და დაწვრილებით გვიამბო. აშეარა იყო მოსკოვის განზრახვა. დავთაცურდით!!.. (?!) ... „თავდაცვის საბჭოს დაარსება მოხდა 11 ნოემბერს (165). ამ დღის, მაშასადამე, უკვე ვიცოდით მოსკოვის განზრახვა. საბჭოს მე ვთავმჯდომარეობდი.“

გვ. 175: „ჩვენის ცნობით, შემოტევა უნდა დაეწყოთ დეკემბერში; ვემზადებოდით... (?: დემობილიზაციით?) (166)... რუსის ბოლ-

შენიშნვა (165): აქამდის რას უცდიდნენ?.. 50 დღე?

შენიშნვა (166): ამ გასაშტერებელ „დემობილიზაციის ჯარის კადრებისას“, მობილიზაციის მაგიერ, დეკემბერში, უწყინარი



შევიკების და თეთრების აგენტებთან — ტოლსტიო და ლეფტიზმის მთავრება სამარცხვინო საიდუმლო შეცვედრის წყალობით?.. „შემოტევა დეკემბრიდან გადაიდო... გვეძლეოდა დრო მომზადებისათვის.“ (გვ. 176).

„მოხდა, როგორც ველოდით: 11თებერვალს (1921 წ. რ. გ.) აჯანყდა ბორჩალოს სომხები“... და სხ. და სხ.

ეს სულ ყორდანის წიგნიდან ამოწერილი ციტატებია ომის მოულოდნელობის და გამოუცხადებლობის... დასამტკიცებლად, რითაც ტვინი ამოუღეს ყველას.

როგორც ხედავთ, მოულოდნელობა, სრული და მტკნარი სიცრუე არის და თავის პარტიულ შემდეგ თაობასაც ვერ მოატყუებენ ასეთი დიალექტიკით, რადგან როსტოვიდან, კავკავიდან, ბაქოდან, ერევნიდან თითქმის ანალოგიური გაფრთხილება, — ოფიციალურ და არა-ოფიციალურ ჩვენს წარმომადგენლოთაგანა ჰქონდათ, — რომ რუსის ჯარი გროვდება ყველგან ჩვენი საზღვრების გარშემო და ემზადება ჩვენთან საომრად.

ერთ-ერთ ოფიციალ მოხსენებაში ნათქვამი იყო, თუ რა და რა „დივიზიები“ — IX, XI, XII და სხ. — და სად იყრიან თავს. იყო აღნიშნული სარდლის ვინაობა, — ლენერალი ჰეკერი — და მისი გეგმა და ანგარიშიც: თუ რამდენი ჯარი დასჭირდება საქართველოს დაკყრობას, თუ ოსმალეთი ამ ომში „ნეიტრალიტეტს დაიკერს დაიკერს“ (167) და სხ.

დ. შარაშიძე და მაწყინარი ვ. ვოიტინსკი, თავის ფრანგულ წიგნებში — ხსნიან კიდევაც, როგორც დავინახავთ.

შენიშნვა (167): შარაშიძე სამართლიანად უწყრება ბარბიუსსა და ბოლშევიკებს ტყუილებისათვის; გამოდის თითქო მენშევიკებსაც ვერ აფარებს ხელს ამაშივე, რადგან 120 გვერდზედ უმატებს: ვიცოდით ბოლშევიკების préparation minutieuse et préméditationით. მაგრამ, ალბად ავიწყდება, რომ მენშევიკებმა თავის დროზე ბევრი მონოპოლია მოასწრეს და „მონოპოლია სიცრუეზე“ კი — ვერა,



ეროვნული

ამ ცნობების მიხედვით, „მოულოდნელობა“ — ბაგშექტჲშირის სატყუარ სიტყვადაც არ გამოღვება. მაგრამ ამაზედაც რომ კაცმა თვალი დახუჭოს, სხვა უფრო მჭრელი საბუთებია იმისა, რომ „მოულოდნელი“ არა ყოფილა რა, გარდა ჩვენი მეთაურების მოსალოდნელი სიბრიუვე-სისულელისა.

მთავრობამ ისიც იცოდა, რომ ბოლშევიკების მთელ ძალას შეადგენდა 25.000 ქვეითი, 4.000 ცხენოსანი, 3 ჯავშნოსანი, 1 ჰაეროპლანი და 1 ტანკი. და, თუ ოდიშელიძეს, თავისი თავის გასამართლებლადა აქვს ჰეკვერის, — „სურვილი“ 100.000 ჯარის ყოლისა, — გამოცხადებული სინამდვილედ, მთავრობისაგან თავის მართლება, ღალატით თუ არა, იმ ფუქსავატი ანგარიშით აიხსნება მაინც, რომ ასეთივე მოუმზადებლობის მიუხედავად, ჩვენ მაინც გამარჯვებული გამოვდიოდით მხედრულად (პოლიტიკურად თუ არა) ყველა წინა ომებში.

* * *

...მოლოდინი. ჯერ ერთი, რომელ უკრაინას, ჩრდილო-ქავკასიას, ადერბეიჯანს, სომხეთს „გამოუცხადეს“ ომი ბოლშევიკებმა და მოლოდინში ამყოფეს, რომ ეს გუშინდელი ცოცხალი მაგალითები საკმაო მოლოდინის გამღვიძებელი არა ყოფილიყო? ჩვენ რომელი „წითელი კოჭები“ ვიყავით — გავეფრთხილებინთ?

მეორე, — „დამფუძნებელმა კრებამ“, რომლის „მუშაობით“ ასე თავი მოაქვთ, რომ კანონ-პროექტი მიიღო — „67.000 ჯარის ყოლაზედ“ და ბიუჯეტიც გადასდო, — როგორ მოხდა, რომ თვით ომის დროს, არც ერთი მომენტი არა ყოფილა, 15.000 მაინც გვყოლოდა, ერთად? და სადმე?

მესამე, როცა უკვე ვიცოდით შავი და კასპიის ზღვაზედ რუსის ჯარის მოგროვება, დარიალის ყელთანაც, სომხეთშიაც; ჰეკვერის პლანიც, — 1920 წლის ქრისტიანობისთვეში, მომზადებისა და

ისე რომ ბოლშევიკებსა და ბარბიუსაც საერთო მარქსისტული კანონი არ დაურღვევით.



ქუდზე კაცის დაძახების მაგიერ — ჩვენ მოვახდინეთ „დემობმუშავდებული გილიკი გარიბის კადრებისა!“

ეს, მაშინვე გასაშტერებელი უტვინობა, შემდეგ, პარიზში, ბ-მა დავით შარაშიძემ თავის წიგნში (იხ. Barbus, პარიზი, 1929 წ. გვ. 112 და 113), არა მარტო დააღასტურა, ასენაც გამოუნახა: „უნდა გვეჩვენებინა ბოლშევიკებისათვის, რომ ომი არა გვწადიან“-ო. ტუტუცი ცხვარის ანგარიში, — მგლის მაღის... ვთომ გასანელებლად. და თუ ასე იყო, — „მოულედნელობა“ რა შეუშია?!

არა! ელოდნენ და ელოდნენ სურვილით, რადგან სხვა გამოსავალი „დიალექტური“ არა ჰქონდათ, რაკი ლოდიკით ფაქტებისა, ეს ერთად ერთი თავის გასამართლებელი საბუთი იყო: გარეშე მტერმა დაგვამარცხა! როცა სინამდვილეში შინაგანი, რეუიმული და „იდ(-იოტო-ეოლოგიური“ დამარცხება მათი უკვე აშკარავდებოდა. არა მარტო ეროვნული ელემენტები ძლიერდებოდნენ, თვით „სოც.-დემ. პარტიის“ წიაღში ჩნდებოდა ჭიკათა-მყოფელი შემდეგი თაობა, რომელიც იმშვინევდა დამოუკიდებლობას და სახელმწიფო ფორმის ინტერესების დაცვას მოითხოვდა, „რევოლუციონური“ (?) აბდა-უბდას წინააღმდეგ. ერთი-ორი წელიწადიც რომ დაგვილოდა, ქართული ჯანსალი ეროვნული სული, — შიგნიდან მოიშორებდა უორდანია-გეგექორ-ჯულელისთანა ქაფსა. და, აი, ეს სირცევილი რომ არ ეჭამათ, ე. ი. ხელისუფლებობიდან, უუფლებო აპოზიციაში არ მოქცეულიყვნენ, არჩიეს ოინბაზურად, ვარეშე მტრის თვის მიეგდოთ სამშობლო, რომლის „ისტორია გველივით ეზიზლებოდათ“. უორდანიასათვის ეს ისტორია „ტაბულა რაზა“ იყო ხომა, და რაკი თავისი „ისტორია“ უერ გაუმართლდა, ამჯობინა ტაბულა რაზადვე დაეტოვებინა. საქმით უქმს, სიტყვით თავის მართლება შესძლებოდა, ნეცარქექიასავით. და ასეთი მოკვარახჭინებული დიალექტიკით გარეუნილი იყო ქვეყანაც. რას წარმოვიდგენდი, ამ, ბათუმში ჩემს ნაფიქრს და სტამბოლში ღენ. ოდიშელიძესაგან დადასტურებულს მომოსაზრებას, — თვითონ ბ-ნი „დიდი ნოვე“ ისე მშვენივრად დაასაბუთებდა თავისი წიგნით, „ჩემი წარსული“-ო; — „ტყუილს მოკლეფეხები აბია“-ოს ანდაზას რომ ზედ გამოჭრით ამტკიცებს.



შევდარი რომ არ იყოს, — შესაბრალისი იქნებოდა მიხედვით უკუკელის მართლებანი¹: მე კარგი მინდოდა, მაგრამ „უვარებისი (და უფრო კასტელის) სი. რ. გ.) ოპოზიცია მიშლიდა“—ო. „მინისტრობა არავის უნდოდა“ და ამიტომ — ყოვლად უვიცებს აყენებდა და ამრავლებდა. „მე თოთონაც არ მინდოდა“ და თავიდან სიკვდილამდე ჩემულობდა ამ მინისტრობას. „მთავარსაარდალი ოდიშელიძე — ლაქია იყო“—ო და მუდამ მას აყენებდა მთავარსაარდლად და „სამხედრო მრჩეველად“ (168). შუდამ გამარჯვებულ კვინიტაძეს კი, ყოველი გამარჯვების შემდეგ გადაყენებდა ხოლმე. და ათასი ისეთი შეუსაბამობა და სიცრუე, რომ კაცი არ დაიჯერებს 1939 წელს დაეწეროს და არა 1953-ს, მომაკვდავის ბოლვაში.

ამოწურვა ამ უბადრუკობისა შეუძლებელია და აյ მარტო თოთო-ოროლას გავიხსენებ, სიცრუესთან დაკავშირებით.

როცა 17 მარტს 1921 წ. სამტრედიაში, ბ-მა ეორდანიამ ზავი ჩა-მოაგდო ბოლშევიკებთან (169), — თითონ უკვე გემზე იჯდა თავისი „მთავრობით“ გასაქცევად, — ორ სისულელესა და ერთ სიცრუეს უმატებს: „სამტრედიაში დროს მოსაგებად ვაწარმოებდით მოლაპარაკებას“—ო. ეს „დროს მოგება“ გასაქცევადაც აღარა სჭი-

შენიშვნა (168): ჯერ კიდევ 1918-ს დარწმუნებულა სრულ მის უვარგისობაში, 1920-ს გრ. ლორთქიფანიძესთვის მოუთხოვნია(?) მისი გადაყენება და 1921-ს დამარცხების შემდეგაც კი არასოდეს თავიდან არ მოუშორებია: ხან მინისტრად, ხან მთავარსაარდლად, ხან სამხედრო მრჩეველადა ჰყავდა.

(„ჩემი წარსული“ გვ. 121 და 171: „...ამბებმა ისე დაარეტიანა, რომ ალარ იცოდა, რას შერებოდა... ადგილიდან ვერ დავსძრი... სამაგიეროთ, მისას არას ვიგონებდი და არც ვეკავშირებოდი“. იხ. აგრედვე გენ. კვინიტაძეს „ჩემი პასუხი“, გვ. 6—10).

შენიშვნა (169): ვისი ნდობით? ვისი დავალებით? ვისი შეკითხვით? იყო უპასუხისმგებლო დიქტატორი, თუ დემოკრატი? და ასეთს ნიმუშებს მისი არა-დემოკრატიული უპასუხისმგებლობისას, რამდენსაც გინდა ნახავთ მის „წარსულში“ და წარსულშიაც.

რდებოდა ხომა (რაღგან უკვე გაქცეული იყო) და ომის წაგების დრო ხომ ამით უფრო შეამცირა და არა მოიგო? ამ ხელშეკრულების ბით, საქართველოს ჯარი მტერს გადასცა, როგორც გინდა შორინებულება რეო, მაშასადამე, და ესეც მოგებაში აქვს ჩათვლილი, „ბრძების სკოლის“ მეთაურს? და ამას უმატებს სიცრუეს: „გემზე რომ მივედით, მთავარსარდალი კვინიტაძე იქ დაგვხვდა“—ო.

როგორ დახვდებოდა 16 მარტს გემზე კვინიტაძე, როცა ბათუმში 18 მარტის სალამომდე მეც, როგორც სხვა „იუნკრები“, კვინიტაძეს ამალაში ვიმყოფებოდით, ომი მისი ხელმძღვანელობით გრძელდებოდა და ყველა განკარგულებას მისგან პირადად — სიტყვით ვრად ვიღებდით, თვით მეორე გემზე, „მარიაზე“ ჩაჯდომამდე? სხვას რომ თავი დავანებოთ (170), ერთი მახსოვეს, თითქო დღეს მომხდარიყვეს: 4 — 5 საათი იქნებოდა (18-ს) უკვე ბინდი იყო, ქალაქში სროლა ისმოდა და ცეცხლები მოსჩანდა, ერთ-ერთ მიმართულებიდან ბუნდოვანად მოსჩანდა რუსის ჯარის კოლონის მოძრაობა ჩვენებენ, როცა გადმოვცეს ამბავი: „ბრძოს სცარცვას სამხედრო საწყობს“—აო. კვინიტაძემ თვითონ გაგვყო ორ ნაწილად; ერთი გაგზავნა საწყობის დასაცავად და დანარჩენები დაგვტოვა ნაპირზედ ჩამწკრივებულნი: „ფეხი არ მოიცვალოთ ახალ განკარგულებამდე“—ო და პატარა „ტარიელით“ სადლაც მოეფარა ნაპირს. მალე დაბრუნდა იმავე „განმანადგურებელით“ და მისი უკანასკნელი ბრძანება მოვისმინეთ: ჩასხედით გემ „მარია“—ზედაო. ამის დამოწმება ათას კაცს შეუძლიან და მომაკვდავი უორდანის სიტყვებს: „გემზე დამხვდა“—ო, ვაი, რა მოკლე — და გრძელ ვადიანი ფეხები ასხია!

შენიშვნა (170): ბ-ნმა გ. კვინიტაძემ უკვე გასცა პასუხი ამ გამოგონებაზედ (გვ. 16 და 34).

საერთოდ, მაშ, ან შტერი ყოფილა, ან საქართველოს მტერი; ან უნდა ვიფიქროთ, თვითონ უორდანიას არ შეეძლო ასეთების წერა, და ვიღამაც... უხიმანა:

„შეუძლებელია,—მეუბნებოდა ალ. ასათიანი სიკვდილის წინ,— უორდანიას ესეთი წიგნი დაეწერა, უნდა მოვითხოვოთ ნამდვილი რექსტი იყოს აღდგენილი“—ო!



მეორე ამის მსგავსი არა-სინამდვილე, ბ-ნ აკაკი ჩხერიშვილი და მარტინ ულიაშვილი ცდომად შეიძლება ჩაეთვალოს, რაღვან პარიზში იყო და თუ იულია, მაგრამ უორდანიას, „კირალი“ -ზედ მჯდომას ბათუმის ყურეში, — ვერ ჩაეთვლება „შეცდომად“. და რაშია ა. ჩხერიშვილის „შეცდომა“? ერთ-ერთ თავის წერილში, თავისავე უნიათო უურნალ „დამოუკიდებელი საქართველო“-სი, მან აღნიშნა, ვითომ „ჩვენ მა დამარცხებულმა (ბოლშევკიუბისაგან) ჯარმა, ბათუმში, — ოსმალების ჯარი დაამარცხა“ -ო. ეს უადგილო კვეხნა ქართულ უურნალში, არაფრად ჩასაგდები იქნებოდა, მეორე დოკუმენტშიაც არ გაემორჩებინა ეს „შეცდომა“; სახელდობრ, იტალიის მთავრობისათვის გადაცემულ მემორანულში.

ფაქტური მდგომარეობა კი ასეთი იყო: იურიდიულად „ჩენი ჯარი“ ღარი არსებობდა 17 მარტიდან, როცა ბ-მა უორდანიამ იგი გადაულოცა ბოლშევიკებს. 18 მარტს „მთავრობა“, დაწყევლილი „დამფუძნებელი კრებისაგან“, გარდაიცვალა „პარახორის მთავრობად“ და გაქცეული იყო. და მხოლოდ ამის შემდეგ, უკვე ბოლშევიკებისაგან დანიშნული ახალი სარდალის, გიორგი მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით, ჯარმა (ვისმა?) დაამარცხა და გაჰყარა ოსმალები ბათუმიდან, საცა მოწვეულნი იყვნენ თვითონ ნ. უორდანიას მიერ. რუსთავის ბოლშევიკებისაგან ბრესტ-ლიტოვსკში გაცემული ბათუმი, ქართველმა ბოლშევიკებმა, ქართველივე სისხლითა და ხრმალით დაუბრუნეს... მთლად დაპყრობილ საქართველოს, რადგან მენ-შევიკებზე „მოხერხებული“ გამოდგნენ: 17 მარტის ხელშეკრულობა ოსმალებს არ გაუმეღავნეს და სხვისი ხელით ნარი გლიჯეს: ვითომ (დე-ფაქტო ასეც იყო) საქართველოს ჯარებმა განდევნეს ოსმალები და თითონ რუსის ჯარი „პირმოწმენდილი“ დარჩა იურიდიულად.

კარგად მასისოვს ამ „მოხერხების“ ისტორიაც: ჩემთან მოვიღენ ბათუმის გახურებულ დღეებში, 17-ს თუ 18-ს, გრ. ვეზაპელი და ლელი ჯაფარიძე: კარპე მოდებაძემ გვითხრა, საქართველოს საქმე ხომ გათავებულია, რუსებმა წაიღისო და უმჯობესი არ არის, ჩენი ბათუმიც აქვე იყვეს, ჩვენთან ერთად, ვიღრე სხვა და სხვა სახელმწიფოში? და გვთხოვა, დაარწმუნეთ მაზნიაშვილი და ჯარი პროპა-



განდითათ. ვერ ვიტუვი დანამდვილებით, გასწიეს თუ აჟარის და მარტო კარგი და ვეშაპელმა, — იქ დარჩენ, და, იქნება ჩემდე სამარტვინოდ (?) მე კი ისე ვიყავი „გათავებული“, მთელი სიცოცხლის ოცნების დანგრევით, რომ „თავის მოჭრაში, — ბათუმის ა სე-თი დაბრუნება — მუწუკის ტკივილზე ჩივილად“ მივიჩნიო მაშინ. „ჰო, იქნება ეგრე სჯობია, მაგრამ მაგის საპროპაგანდოდ მე ვერ წა-მოვალ“—მეფქი, და, როგორც უსულო გუდა, უფროსის ბრძანებას დავემორჩილე: „ჩასხედით გემში“—ო!

და ასეთი ჩემი სულიერი გაგუდვა, თითქმის მთელ წელიწადს გაგრძელდა ბოსტორის თვალ-წარმტაც ნაპირებზედ, კინილიკსა, ბე-იუკ-ლიმანსა და სტამბოლში.

* * *

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ი კ ა ც ი ბ ა . . . შემდეგი ამბავი იმავე კარა-ბადინიდან, უკვე კაცურ უაზრობას კი არ წარმოადგენს, არამედ სა-ხელმწიფოებრივ-უკაცურს, თუ ითქმის ასე.

„აზრის გადმოცემა“, რომ გადასხვაფერებად არ ჩამითვალონ მენ შევიკებმა, იძულებული ვიქნები, მკითხველს სიტყვა-სიტყვით და უორდანის „ორთოგრაფიით“ ამოუწერო ეს „აბზაცი“.

ნ. ჟორ დანია:

„განსაკუთრებით 1919 წელი იყო მეტად მწვავე წელი. ამ დროს აიშვა (?) ყველა მტერი, შიგნით თურქოფილები (?) და ბოლშევიკები, გარეთ კი მოხალისეთა ჯარები. მოსკოვი, ოსმალეთი და თეთრი რუსები შეერთდენ ჩვენი ქვეყნის საბულვილში და დაქცევაში. ყველა ისინი სხვა და სხვა გზით და საშუალებით თავს გვესხმოდენ და ძირს გვითხრიდენ. სწორედ გასაკვირველია, რატომ ასე შეიძულეს პატარა ერი, პატარა ქვეყანა, რომელიც არავის არას უშავებდა და მხო-ლოდ თავის მყუდროებას ეძებდა. ეს ორი მეზობელი, ოსმალეთი და რუსეთი იყო და დარჩა ჩვენი მტერი. ქვეყნის დაცვა გახდა მთავარი საზრუნავი საგანი. დამფუძნებელმა კრებამ ვერ შეანელა გარეშე საფრთხენი. სამწუხაროთ, ამ საკრებულოში არ აღმოჩნდა ერთსულოვნება; გაჩდა სისტემატიური ოპოზიცია ნაციო-



ნალ-დემოკრატებისა, რომელთაც ღვთის წყალობაც კი ღვთმა მართვა-გადა ეჩვენებოდათ. ეს იყო ოპოზიცია ოპოზიციისათვის და სასულიერებელი ქმისათვის. მათთან მკვახედ შეკამათება მიხდებოდა ტრიბუნიდან, რაიცა იყო გამოწვეული მათი ხშირი რეპლიკებით. ჩვენ ვაკეთებდით იმას, რის გაკეთება შეიძლებოდა ასეთ პირობებში, ოპოზიციონერები კი აყენებდნენ რა სჯობის თეორიას; ჩვენც კი ვიცოდით, რომ ომს მშვიდობიანობა სჯობს, შავ პურს თეთრი პური და სხვა ასეთი სენტენციები ცნობილი ზურგიელიძისა. გასაკვირალი იყო არა ის, რაც გვაკლდა, არამედ ის, რაც გვქონდა, როგორ ვიტანდით ამდენ გაჭირებას, როგორ ვებრძოდით მოხლვავებულ დაპრეოლებათ!!“ („ჩემი წარსული“ გვ. 152 — 153).

... და ჩემი საპასუხო :

აბა დაასახელოს რომელიმე დარჩენილმა მენშევიკმა ერთი შემთხვევა მაინც, ან ჯგუფისა, ან თუნდ ერთი პირისა „ოპოზიციონან“, ვინც თურქოფილობდა, ან რომელიმე გარე შე მტრის წინააღმდეგ, ჭირივით მოძულებულ მთავრობას, მაინც გვერდში არ ამოსდეომოდა? „ოპოზიციის“ საუკეთესო ახალგაზრდობა, რუსების, ოსმალების, სომხების ომებში, მუდამ მოხალისედ, წინა რიგებში იხოცებოდა და რამდენად დაკარგული უნდა ჰქონდეს უბრალო ადამიანური ლირსება, — მთელი ერის მაგინებელს, — „ნაც.-დემოკრატიულ“ ოპოზიციის რომელიმე მტრის „ფილობა“, უსაყველუროს.

იშვიათად მოიძნება (თუ მოიძებნება?) ისეთი „შინაარსიანი“ წიგნი, როგორც „ჩემი წარსული“ — ა, მაგრამ ადამიანს თუ შეუძლია, წიგნის ერთ გვერდზე და, ამდენი სილატაკის მოთავსება, მართლა შედევრად შეიძლება გამოცხადდეს: არა მარტო 1919 წ., ოთხივე წელიწადი (1918 — 1921) თითქმის თანაბრად და შეუჩერებლივ მტრები აშენებული გვყავდა, მაგრამ „შიგნით თურქოფილები“, მისი მზაკვრული ფანტაზია(?) არის. რუსოფილები კი, გავიხარია, — თვითონ და მისი პარტიის ნახევარი მაინც იყო.

ზემოაღნიშნული ბატქნისებური „გაკვირვება“ ჩვენი ძლიერი მტრების სიმრავლეზედ, თუ თავის „წიგნის“ დაწერამდე შერჩენია, — ჩვენს ნოეს იმდენივე გაპეტია სახელმწიფოისა, რამდენიც „ნ..ო..ე..ს“ მძახებელს, წარლვნის ნოეს დროს. და თუ „ეს ორი მეზობელი, ოს-



მალეთი და რუსეთი იყო და დარჩა ჩვენი მტერი“, როგორ ენჯურებული დით სწორედ რუსებს (:{7 მასის საიდუმლო მუხლებით?} კარგი მოიწვიეთ ოსმალები ბათუმში? კეუისა გვირდათ?

მაგრამ ყველაზე სასაცილო, სატირალი რომ არ იყოს, ისაა, რომ „მთავარი საზრუნავი“, რაც ყოფილა, უკანასკნელ საზრუნავადაც არ გაიხადა არასოდეს.

ან „დამფუძ. ქრებას“, როგორ და რით, ან რა შინაგანი ჯადოსნობით უნდა შეენელებინა გარეშე საფრთხე-ნი? და, აი, ამ თავის საკუთარ უნიათობას, — აბრალებს „ნაც.-დე-მოკრატების... რეპლიკებს“. თურმე 10 — 11 ოპოზიციონერის და ისიც რეპლიკები არვევდა ამ დაწესებულების ერთსულოვნობას, 120 დანარჩენი... პოზიციონერისა?! ასეთი რამ, მთავრობის თავმჯდომარეს კი არა, ფეხზე მდგომ გვარდიელის „დენშიკსაც“ არ მოუვიდოდა თავში, თუ, რასაკვირველია, რამე წარმოდგენა აქვს „დამფუძ. ქრების“ არსებაზედ, ან თუნდ „ერთსულოვნობაზე“ (171).

რაც შეეხება „რა სჯობის თეორიას“, არც ისეთი საზურგიელიძეო თეორია არის, როგორც ბატონ ნოეს მიაჩნია; მისი უბედურება იყო და დარჩენილა სიკედილამდისაც, რომ ვერასოდეს ვერ გაიგო განსხვავება, თუ რა სჯობია ერისა და სახელმწიფოსათვის, და რა,—მისითვის და მისი პარტიისათვის.

ეს განსხვავება, და ფრიად დიდიც, — ბრძოლისა რეუმისათვის, შინა - წესწყობილებისათვის და სახელმწიფო - ერისათვის ბრძოლის შუა, — ვერასოდეს ვერ მისწვდა ვერც მის გონებას და უფრო ნაკლებ მის უგულო გულსა. და ეს იყო მთელი საქართველოს უბედურებაც და... მისი პარტიისათვისაც.

მართლაც, თუ მთავარი საზრუნავი გახდა (და იყო მუდამ! რ. გ.) დაცვა გარეშე მტრისაგან, რაზე იხარჯებოდა მილიონები

შენიშვნა (171): პარლამენტში საკითხები სწყდება და კანონები იქმნება ხომ ხმის უმეტესობით... იმდენად, რომ საფრანგეთის არსებობისად გამოცხადება მოხდა... ერთი ხმის უმეტესობით.



გვარდიაზედ, რომელიც მთელი 4 წლის განმავლობაში არა უკანასკნები სწორედ ამ მთავარი საზრუნავისათვის? ვალიკო ჯულელი ჩივის ტავა ვის „მძიმე (წასკითხავად) ჯვარში“, — „ნოე უორდანიას არ უნდოდა, ზარბაზნები ჰქონდა გვარდიასა“—ო. აპა, გარეშე მტერს, უორდანიას ლათაიები და გეგეჭქორის „დემოკრატიული მიტინგები“ გააჩერებდნენ? და თუ თავის საყვარელ პარტიულ გვარდიას ასე აირალებდა, წარმოვიდგენიათ, როგორ მოექცეოდა ათვალწუნებულ ჯარსა. პირდაპირ საცოდაობაა ამის აღწერა. და ამ საკითხში, ე. ი. ჯარის მოწყობაში, ოპოზიცია არასოდეს ოპოზიციისაგან არა ყოფილა, არამედ უორდანიას მომხრე 120 დეპუტატისა, 130-დან. ისე რომ, უორდანიას წიგნი ორმაგადა სტყუის, როცა ერთსულოვნობის უქონლობა სწორედ ამ საკითხზე გადმოაქვს. ერთსულოვნობა კი არა, ოპოზიცია გამუდმებით ორსულად იყო ამ „მთავარი საზრუნავი“ საქმით, მაგრამ უმრავლესობა, როგორც უხეირო ბებია — მუცელს უხდენდა და გუნებასაც უფუჭებდა, თორემ, ერთხელ მაინც რომ ცდილიყო უორდონია, ჯარის საკითხი დაესვა პარლამენტში, ოპოზიციისაგან შეხმატებილებულ ბენის მეტს არას მიიღებდა. არ გამიგია, მაგრამ „დამფუ. კრების“ 67.000 ჯარის „კანონის“ მიღებაც, აღბად ასეთი „უნისონით“ მოხდა.

ჯერ კიდევ 1917 წლის „ეროვნულ ყრილობაზედ“, მე, ერთერთმა სასტიკმა ოპოზიციონერმა უორდანიას წაჯე-უკუჯექობისა 50 წლის განმავლობაში (მაშასადამე, დამოუკიდებლობის წინ, განმავლობაში, შემდევ და საზღვარგარედაც), მე მოვითხოვე, რომ „უპირველეს ყოვლისა უნდა შეიქმნას ჯარი“. ეროვნულ საბჭოში, პარლამენტში ოპოზიციამ არა ერთხელ მოითხოვა ესევე და ერთხელ, თუ ორჯელ იმასაცა ვჯერდებოდით, — ყოფილიყო გვარდია, მათი გვარდია, მათი შერჩეული ჯარის კაცებით, ოფიცირებით, სარდლით, ოლონდ ჯარის სისტემაზე, დისკიპლინასა და იერარქიაზე აგებული და არა უვიცს ამ საქმეში „კომიტეტობიას“ და თითებით არჩევნებზე. ესეც არა ჰქნეს.

ზაქარია გურული იყო ჯარის ბედის გადამწყვეტი და სხვა ათას



სიბრიუკესთან ერთად სამხედრო თვალსაზრისით, — მისი წყლებულებრივი არც ცხენოსანი ჯარი გვყავდა, არც გვარდია: „ოქვენაო(?) ცხენები იმისათვის გინდათ, რომ თავადაზნურობამ(!) ცხენებით იკუნკულოს“—ო(?) და ამისთანა სისულელებს, ო, რა დიდი გასავალი ჰქონდა მაშინ, პარლამენტშიაც, „კომისიებშიაც“ და გარედაც, საცავადადა მწყეტი იყვნენ მენშევიკები და არა ოპოზიციის „რეპლიკანტები“ (172). სწორედ 1919 წელს დაიშალა პარლამენტი და შეიკრიბა „დამფუძ. კრება“ და იქაც არა ერთხელ წამოიჭრა ეს „მთავარი საზრუნვაცი“ საკითხი, იგივე შედეგებით. ჯერ ერთი, როგორც უკვე მოგახსენეთ, მიღებული იყო კანონ-პროექტი და ბიუჯეტი 67.000 ჯარისა და არასოდეს არც შესდგომიან განხორციელებას და არც არავინ იცის, რაზედ გაიფლანგა ეს ბიუჯეტი(173).

ერთი კურიოზული ამბავი კი მოხდა: გვარდიის სარდალმა ვალიკომ (революционная нежность) ერთ მშვენიერ დღეს, თავისი „ინტერნაციონალური შტაბით“, სუხუმიდან ჩამოიყვანა თბილისში რამდენიმე „ბათალიონი“... ყაზახებისა და რუსული სიმღერებით გვატარა ქუჩებზე. მახსოვს, გრ. ვეშაპელი როგორის აღელვებით გვამბობდა ამ „რუსების შემოსევას“, — სულ „Соловей и пташечка“-ს მღეროდნენო და ამ რუსულ ჯართან, არც ქართული ჯარის და არც სიმღერის ჭავანიც არ ისმოდაო. და მართალიც იყო: არც ერთი მტრის ჯარისაც ისე არ ეშინოდათ, როგორც ქართულისა. ეს „ტყაოსნები“)... თავისებურად მართალნიც იყვნენ: რომელი კეთილ-მოწყობილი ჯარი მოითმენდა ზემოაღნიშნულ სირევნეებს?

შენიშვნა (172): ზაქარია გურული იყო მთელი სამხედრო ძალების მომარავების მეთაური (ინტენდანტი) და რა სამხედრო და სახელმწიფოებრივი „სტაუი“ ჰქონდა, მისი და ვ. ჩუბინიძის მემუარებიდან ამოიკითხების. ორივენი ხომ მენშევიკები იყვნენ და არა „ოპოზიციონები“.

შენიშვნა (173): პარიზში ღა გვიგე: გადაცემული ჰქონიათ იმავე ზაქ. გურულისათვის.

*) Шкурники.



და ამ „მთავარ საზრუნავზედაც“ გავრცელება ვითომის ქვეყნის შესახებ
„რა სჯობისას“ თეორიისა, ხომ სრულებით წყალწალებული უმწეო-
ბაა: „ჩვენც კი ვიცოდით, რომ ომს მშვიდობიანობა სჯობსო... —
ბრძანებს ნოვე, — გასაკვირალი იყო არა ის, რაც გვაკლდა, არამედ
ის რაც გვქონდა“—ო.

ჯერ ერთი, არც ერთ ოპოზიციონერს ასეთი რამ თავში არ მო-
უვიდოდა ეთქვა: „ომს მშვიდობიანობა სჯობისა“—ო. ჩვენ ვამტკიცებ-
დით, რომ სახელმწიფოსათვის მშვიდობიანობისა და ომის დროს
საჭიროა სამხედრო ძალა: *Si vis pacem para bellum.*

და, რაც მთავარია, სამხედრო საქმე, „მთავარ“ კი არა, ერთ-
ერთ „საზრუნავ“ საგნად მაინც გაეხადნათ, არასოდეს არც ხალხი,
არც ფული, არც იარაღი მოაკლდებოდათ და ზურგიელიდის როლში
თვითონ ეორდანია ბრძანდებოდა:

1. რუსის ჯარს იმდენი იარაღი დარჩა, (დიდი ომის შე-
მდეგ), რომ მისი ნაწილი ის გაყიდვა სახელმწიფოს სასა-
რგებლოდ და არა პარტიისა, სხვა დარგის ბიუჯეტსაც მოე-
ხმარებოდა.

2. ჩვენი „პარტიის“ გულუბრყვილობით(?), ჩვენს ახალგა-
ზრდობას, მუდამ ჯარში ვგზავნიდით და არა პარტიულ
რაზმებს ვაღენდით.

3. გერმანელებმა შემოვავაზეს უფასოდ „ორი რეინის
ღივიზია“ — 1918 წელს.

4. ინგლისელებმაც სიტყვა-სიტყვით ესევე — 1919 წელს.
და, მე, ოპოზიციონერი (ყველაფერში, ვსოდათ, გარდა შეია-
რაღებისა) ხომ ამისათვის ჩამსვეს ციხეში: მე მოვითხოვ-
დი მიღებას, უფასოდ შემოთავაზებულისას ინგლისელე-
ბისაგან, — ფულისა, ინსტრუქტორებისა და ია-
რაღისას, ჩვენი, ქართული ორი დივიზიისათვის; და ყაჩა-
ლები უწოდე — მიუღებლობისათვის. ეს რომ „მთავარი საზრუნავი“
ყოფილიყო, განა უკეთესი არ იქნებოდა საქართველოსათვის, ერთი
გაბაშვილი კი არა, მთელი „ოპოზიცია“ თავისი „რეპლიკებით“ ცი-
ხეში ჩაეყარათ და ქართული დივიზიები კი შეეჭმნათ ?!



იარაღი და საშუალებანი კი არ აკლდათ, არამედ ჭერა და ამასთვის მიხედვით ინგლისელები არ არიგებდნენ? ამას ღმერთი (ან ურწმონქ ქორცის მიხედვით) ნიას — „ბუნება“) არიგებდა თავის დროზე, როცა მენშევიზმი ჯერ არ არსებობდა და ან ღმერთს რა ექნა, ან... მენშევიკებს? ისე რომ იუპიტერი, ძალიანაც რომ გაჯავრებულიყო, თავის ბერძნულ ან-დაზასაც ვერ განახორციელებდა და... ვერას წაართმევდა, უკვე ჩვენს დროში.

5. სხვა „წვრიმალ“, ე. ი. კონკრეტულ ამბებიდან უფრო მკაფიო ოდ გამოჩნდა უორდანიას სიცრუე და „მთავრობის“ უნიათობა „მთავარ საზრუნავის“ საქმეში: ჩვენ გავიმარჯვეთ სომხებზე 1918-ს. (დავანებოთ თავი მიზეზებს და იმას — „გვინდოდა, თუ არ გვინდოდა ომი, ან რა სჯობია“) და... მთავრობამ დაშალა ჯარი. ჩვენ გავიმარჯვეთ ოსებზე, ახალციხელებზე, — მთავრობამ — დაშალა ჯარი და გადაყენა მთავარსა რა და ლი. ჩვენ გავიმარჯვეთ რუსის ბოლშევიკებზედ ადერბეიჯანიდან 1920 წელს და მთავრობამ დაშალა ჯარი და კვლავ გადააყენა ივივე გამარჯვებული მთავარსარდალი ლენინგრადი გ. კვინიტაძე. ესეთი იყო მთავარი ზრუნვა „მთავარ საზრუნავ“ საგანზე — ნოესი. და ამასთანავე ჩვენი უდაო ტერიტორიის სადაოდ გადაქცევით; ახალციხის ამბავში გვეომებოდნენ მუსულმანები, თურქების გავლენით და მათი ოფიციელების ჩარევითაც მგონი, და ნაწილი მოგებული ტერიტორიისა, დაუთმეთ... სომხებს; რუსები დავამრცხეთ და 7 მაისის „გრიშკას ზავით“, — საინგილო, ერთ-ერთი საუკეთესო და უმდიდრესი (174). კუთხე, — გაბოლშევიკებულ ადერბეიჯანს გადასცეს, ე. ი. რუსებს. ასეთი იყო „ზრუნვა“ — საზრუნავზედ!

და, როცა მოვიდა განსაცდელის დღე — 1921 წ. — „მთავრობამ“ წინასწარ დაშალა ჯარის კადრები (თურქე „მთავრობის თავმჯდომარეს“ სცოდნია, რომ „მშვიდობიანობა ქე სჯრვრობის თავმჯდომარეს“

შენიშნვა (174): ეს ეკონომიკური მნიშვნელობა მაინც ერთ-ერთი მარქსისტებს, სტრატეგიულისა, ეროვნულისა ან ისტორიულისა თუ არა ესმოდათ რა .



ბია ოშე“! (Sic!); სად იყო 67.000 ჯარი და მიღებული მისტერიული ტი? სად იყო ის 17.000 რუსული ახალი თოფი და 300^მ რუსული მფრქვეველი, რომლითაც რუსები მერე ჩვენს „აჯანყებულ“ ხალხს ხოცავდნენ 1924 წელს? *).

სად იყო ის 3 — 5.000 ცხენოსანი, რომელიც მაშინ დელ 16.000 უნიფრმულ შემოსეულ ბოლშევიკების — ნაცარტუტას აადენდა? (და ზაქარია გურულის ცრუპენტელა „კუნკულმბ“ იმსხვერპლა); სად იყო 12, საუკეთესო, იტალიური ჰაერობლანი, რომელთაგან ვერც ერთი ვერ აფრინდა, მიუხედვევად საუკეთესო ქართველ მფრინავებისა (მაყაშვილები, ბოგომოლოვი და სხ.), რაღაც ჩვენმა „მხრუნველმა - ხაზეინმა“ — აუცილებელ „გარგოილისათვის“ ფული ვერ გაიმეტა: ძვირია!.. უბრალო ზეთი იხმარეთო (175). და ბოლშევიკური ერთად - ერთი ჰაერობლანი თუ „პანიკასა“ ჰქენიდა ჩვენს მამაც გვარდიაში, წარმოიდგინეთ, რა ენტუზიაზმს გამოიწვევდა მათში და შიშის ზარს ბოლშევიკებში, — ჩვენს 12 ჰაერობლანს ჩამოეგდო მათი ეს ერთად - ერთი და ეფრინა მტრის თავზე..., გვინდ მარტო უორდანიას ქვა და გუნდა ჩამოეყარა, ან გვეგმეორის მარქსისტული „რეჩები“, მარქსისტულსავე რიგებში?

მაგრამ, კუზმა პრუტკოვ-ჯორდანია-მ „იცოდა, რომ ომს მშვიდობიანობა სჯობია...“ პარიზში; ერადეს „შავ პურს, თეთრი პური...“ ...rue Solferino-ზედაც, ალბად.

ომისა და „მთავარი საზრუნავის“... „წვრიმალებიც“ რომ ამოუწურველად (:„ზღვა კოზით დაილევა“, -ო, მართალია, მაგრამ ვისა აქვს ამისი დრო?) მოვათავოთ, საკმარისია ორი „ეპიზოდიც“ გავიხსენოთ, მოყვანილი ნ. უორდანიასაგან თვითონ, თორემ მტერიც ვერ გამოუგონებდა ასეთს; და ერთიც, მისგან დაუსახელებელი.

*) გ. მაზნიაშვილის წიგნით, — ნაპოენი ბოლშევიკებისაგან ჩვენს, თბილისისა და ქუთაისის, საწყობებში.

შენიშნვა (175): ასეთ უვიც, უანგარიშო ძუნწე, ჩვენში იტყოდნენ ხოლმე: „ზეთია“-ო!



მთავრობის თავშედომარე, — პირველი ეპიზოდურული როცა ბ-ნი ნოემბერში მიმდინარებით ბით, — (იხ. მისი წიგნის გვ. 172 და შემდ.) დანამდვილე ბით იცოდა მთავრობამ, ბოლშევიკების მტკიცე განზრანგა და მომზადება ჩვენთან ომისა, — არის ის მიამიტური შეხვედრა და ლაპარაკი „მოსკოვის სამხედრო წარმომადგენელ „ტოლსტოისთან“ (გვ. 175 ibid) რუს ღვენერალ ლებედინსკის ბინაზე საიდუმლოდ: „ვითათბირეთ“. (ერთს, მაშასადამე აშკარა აგვენტთან რუსებისა და მეორე — საიდუმლო აგვენტთან ისევე რუსისა). ომი მზადდება რუსების მხრით და უორდანია *dicit*: ბევრს დავთმობთ, გარდა დამოუკიდებლობისა. და აშინებს მგლებს: „თუ არა და... კავკასიელებს არ უყვართ თქვენი რეემი, მათს აჯანყებას ჩვენ არ უჭერთ მხარს და არ ვეხმარებით; მაგრამ, როგორც კი დაგვესხმებით, აჯანყებებს გავაჩალებთ ყველგან თქვენს ზურგს უკან“—აო. თურმე ამ გულუბრყვილო შეშინებამ, ისე დააფრთხო ორივე ჩვენი მტრის აგენტი, რომ... „...ომი ქრისტიშობისთვიდან (176) (1920 წლისა) გადასდეს 1921 წლის თებერვლამდე... გადადება ჩვენთვის ხელსაყრელი იყო, გვეძლეოდა დრო მომზადებისათვის“—აო.

და, აი, როგორ „მოემზადა“: დეკემბერშივე (რასაც განვეტ, თუ გულმავიწყობით? არც კი ისენიებს „მთავრობის თავმჯდომარე“) — დაითხოვეს ჯარის კადრები, მობილიზაციის მაგიერ.

„ოდიშელიძეს და ზაქარიაძეს მივეცითო სრული „კარტ-ბლანში ბორჩალოს გასამაგრებლად“. იმ ოდიშელიძეს, რომელზედაც ზიზღით ამბობს — ყოვლად უვარებისი იყოთ (და იყო კიდეც) და ზაქარიაძეს, რომელიც უარესი იყო (177).

შენიშვნა (176): ლაპარაკის დრო.

შენიშვნა (177): ოდიშელიძე რუსული მასშტაბით კარგი და მცოდნე ღენერალი იყო (საუკეთესო კორპუსს „ჰემანდრობდა“), მაგრამ უნებისყოფო, და პატარა საქართველოსათვის სრულიად გამოუსადეგარი.



„მოხდა, როგორც ველოდით : 11 თებერვალს ჩატარდა და ბორჩალოს სომხები, გარეკეს ჩვენი ჯარი, დაატყვევული შექმნილი ერთი სიტყვით, ცნობილი მოულოდნელი სამარცვინო დამარცხება“ ...

და მერე მოყოლებულია ოდიშელიძეზე, სამხედრო კომისიის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელზე გადაბრალება და სხვა ზღაპრები, თითქო ან ერთი, ან მეორე, ან მესამე მისი, „მთავრობის“ თავმჯდომარისა კი არა, ვიღაც გადამთიელების დაყენებულნი ყოფილიყვნენ.

ოდიშელიძე უვარვისი, ზაქარიაძე უარესი, მაგრამ აკაკი და მხედრობა? ეს ხომ „აქლემი და კიბე!“

ვინმე უცხომ რომ წაიკითხოს ეს „ეორდანიადა“, არ დაიჯერებს, რომ საქართველოს სათავეში ონჩიპეტრე არა მჯდარიყოს.

შემდეგ აღწერს ომის მსვლელობას და ისეთებსა სწერს, თითქო შვილი-შვილი-შვილებს ზღაპრებს უამბობდეს. დამფრთხალმა „მთავრობამ“ უკვე 18 თებერვალს გასცა განკარგულება თბილისის აჩქარებული ევაკუაციისა, ხდებოდა კიდეც და კვინიტაძეს უნდა უმადლოდეთ, რომ ეს სამგლოვიარო დღე თბილისის დატოვებისა ერთი კვირით უფრო გვიან მოხდა. უორდანის სწორედ ამ ამბების აღწერისას, — გამოტოვებული აქვს ყველა თარიღი და ვიღასაც არწმუნებს (?), რომ იგი წინააღმდეგი იყო თბილისის დატოვებისა და კვინიტაძეს აბრალებს.

მთელი ამ ომის ერთად-ერთი ლამაზი ფურცელი სწორედ ეს ვაჟკაცური დაცვა იყო 7 დღის განმავლობაში, — მთავარ-სარდლის მეთაურობით და მისი 700 იუნკერისა და „ზემდეგების სკოლის“ მოწაფეთა წყალობით. ამით მე არ მინდა დავამცირო სხვა ნაწილების, როგორც მეხუთე პოლკისა, ან გ. მაზნიაშვილის სოლანლულის გამარჯვება, მაგრამ «იუნკრებმა» ტაბახმელაზედ აღადგინეს სახელი საუკეთესო ჩვენი ერის ისტორიული ბრძოლებისა. ჩემის თვალით კი უყურებდი იმავე ტაბახმელაზე, როგორ დასდევდა ცხენდაცხენ ვალიკო ჯულელი თავის გაქცეულ გვარდიელებს და დედის გინებით, მათრახითა სცემდა და უკან... ვერ აბრუნებდა.

თბილისის დატოვებას, სტრატეგიულად და მეტადრეფენსიურულად კურ-ფსიქოლოგიურად, მე დიდ შეცდომადა ვთვლი — უწალესებულება ვალსაც, მაგრამ რა უნდა იყოს ის აღამიანი, რომელმაც უკვე 18-ს გასცა ამის ბრძანება და ცილსა სწამებს კვინიტაძეს, რომელიც მო-იწვია მარტო უკვე წაგებული და სრულიად მოუმზადებელი ომის უარესს დღესა. და თავისი, ვითომ ათვალწუნებული, თავიდანვე ამ ომის წამები, — ოდიშელიძე, ამის შემდეგაც „სამხედრო მრჩეველად“ დაიტოვა თავისთან... სტამბოლამდე (178).

180 გვ. სწერს: „ყველა წარმომადგენელნი უცხო სახელმწიფოსი ჩვენ თანავივრძნობდა, ეჭვს მიბადებდა მხოლოდ ერთი — ოსმალეთის ელჩი კიაზიმ-ბეი.“ ხაზი ჩემია, ორთოგრაფია და „წარსული“, წარსული ეორდანიასი.

კიაზიმ-ბეი და მეორე ეპიზოდი, არა ნაკლები ზოდია
პირდაპირი ეორდანიას გონიერებისა, მისი „სიბრძნე-სიცრულისა“.

ხომ ენახეთ, რომ უორდანიასათვის, „ორი მთავარი ჩვენი მტერი იყო რუსი და ოსმალი“ და თუ რუსეთის განზრახვების შესახებ „ინფორმატორებადა“ ჰყავდა რუსები (ლებედინსკი, ტოლსტოი და სხ.).

ოსმალებზე, არა მარტო ინფორმაციებს იღებდა — ოსმალო კიაზიმ-ბეიისაგან, „დურაქულად“ ნებას აძლევდა ამ კიაზიმ-ბეიის პირდაპირი მავთულით ელაპარაკნა, და ისიც ომის დროს, — მოსკოვთან და ანკარასთან და... დაუჯერებელი და მზაკვრული ბრძლება იქნებოდა, თვითონ უორდანია არა სწერდეს თავის „წარსულის“ 181 გვერდზე! „ერთხელაც ვერ გავიგეთ როგორ და რაზე “—ო. სისულელეა, თუ ღალატი? თუ ორივე?

გოხი და ივანოვი. მესამე ეპიზოდზე უორდანია არას ამბობს. ჩვენს „კონტრ-რაზვედკაში“, თავიდანვე მსახურობდნენ დიდ ინფორმატორებად და აგენტებად, ვინმე რუსები: ივანოვი და გო-

შენიშნვა (178): იქ მოკედა საცოდავი; თორემ ალბად ვანვამდე... სოლფერინოზეც ეყოლებოდა 1953 წლის იანვრამდე.



ხი (მენშევიკების ინტერნაციონალური ნდობა არავისზე ჭრიცემული ბოდა ისე, როგორც რუსებზე) და მხოლოდ უკანასკნელი ამით გამოიყენება თბილისი რომ მივატოვეთ, მაშინ გამოარკვიეთ, რომ მუდამ რუსების დაქირავებული ჯაშუშები ყოფილიან და... სადღაც ტყეში... „ნავთი გადაასხეს და დასწევეს“-ო, „ლაპარაკობდა ხალხი“..., ალბად იმიტომ, — უბრალოდ დახვრეტილებს შეეძლოთ კიდევ... სხვა რისამე გაცემა.

* * *

ვისი ბრალია. მაგრამ შეიძლება ყველაფერი დავაბრალოთ ნოე ქორდანიას? — არა! ან „სოც.-დემოკრ. პარტიას? — არა! და, აი, რატომ: ჯერ ერთი, ცნობილია, რომ senatori boni viri sunt, sed autem senatum mala bestia est. (სენატორები კარგები არიან, მაგრამ მთლიად თვით სენატი ბოროტი მხეციაონ) და ალბად, არა მარტო ქართველ სოც.-დემოკრატიაშიაც იყო, ბევრი თუ არა, თითო-ოროლა კეკვათმყოფელი ადამიანი, არამედ მენშევიკურ მეთაურობაშიაც. მეორეც, ბოლშევიკურ და მენშევიკურ პარტიაში, თანასწორედ არის დაკანონებული დებულება:

„ცალკე პიროვნება (წევრი) შეიძლება შესცდეს, პარტიაა — შეუმცდარი და უცოდველი“ და მუდამ მართალი და გამარჯვებულიც... დიალექტიკის წყალობით. ამიტომ, თუ პიროვნულად შეეხები, — „პიროვნების ლანძღვა (?) როგორ შეიძლება“-ო, მოგანდლიან, თუ „პარტიას მთლიად“, — „პარტიაში სხვა და სხვანაირი აზრიც გამოიქმის თავისუფლად(?) და მთელ პარტიაზედ ბრალის გადატანა, დაუშვებელი ლანძღვა(?)“-ო.

„პარტია“ — შეუცდომელი პაპია ორივესათვის და ორივე შემთხვევაში: მათი კრიტიკა, რაც უნდა დასაბუთებული იყოს, მათის ლექსიკონით, — ლანძღვაა.

ამიტომ, საცა ქორდანიას ვეხები, მისი პიროვნება კი არა მყავს შეედეველობაში და არც როგორც მეთაური განსაზღვრული მიმართულებისა, არამედ «სათაური» იმ უბედური ფურცლისა საქართველოს ისტორიიდან, რომელსაც თავის დროზე ვინმე დასწერს. და



„ბრალდება“ თუ „შესხმა“, ან ვის რა დანასიათება შეხვდება უკუნჩული თ ო ნ გაინაწილონ შიგნით, როგორც მოისურვებენ. მე ყაბული უკუნჩული პასუხისმგებლობას ვიღებ ამბებისა და ფაქტების აღნიშვნის სინამდევილეში და სად იწყება ურატადეს პასუხისმგებლობა, როგორ მიმდინარეობდა — „ბროდიაგა“-სი, ან სად თავდებოდა უორდანიასი, ეს რა ჩემი საქმეა, თუ თვითონ ისეთი შინაგანი .взаимная порука“ აქვთ, როგორც რუსულ „ინშინა“-ში, ან სხვა ქვეყნის „milieu“-ებში?!

* * *

„ო მის“ P. S. 1921 წლის ომი დაიწყო მოუმზადებლობით და მხოლოდ ამიტომ გათავდა სამარცხევინო დამარცხებით: გვარდია გამორბოდა, ჯარი გაფანტული იყო ... ა. ჩხერქელის განგანკარგულებით, ოდიშელიძის ბრძანებით და სოსო გვდევანიშვილის (ამ „დუშეთის ექს“-ის და ამიტომ გალენერალებული რაინდის) შესრულებით.

ერთი კვირის შემდეგ, 18 თებერვალს, უორდანის „მთავრობის“ ბრძანებით, თბილისი უნდა მიგვეტოვებინა და ევაკუაცია ხდებოდა.

ამის დამამტკიცებელ საბუთად ის «კურიოზი» მაინც გამოდგება, (სხვა თუ გაქრება ყვალა), რომ ბენია ჩხიკვიშვილმა, არ ვიცი, როგორც „ქალაქის თავმა“, თუ თბილისის „გუბერნიის“ ღენერალგუბერნატორმა, — დათა ვაჩნაძეს გადასცა ყველა თავისი ხარისხები და მოვალეობანი: „თბილისს უბატრონეთ“-ო და თითონ, — ბათუმში გადავიდა ღენერალ-გუბერნატორად. მე ამას ვერც კი გავიგებდი, რომ 19-ს თუ 20-ს, არ დავეძახნე დათა ვაჩნაძეს: მთავრობა გარბის, თბილისში მოსალოდნელია ბოლშევკიური გამოსვლები; ჩხიკვიშვილის ცნობით, ბევრი „იჩეიკა“ არის აქ და არევ-დარევის გამოწვევა შეუძლიათ, ამიტომ მე გადმომცა თბილისზე ზრუნვა, სრული უფლებებით (რაღაც ქალალდიც მაჩვენა) და... შენ გნიშნავ ჩემს თანაშემწედ“-აო. რასაკვირველია, მე მაშინვე დაკსონხმდი, მაგრამ, გამოირკვა, რომ არც მილიცაა სანდო, არც ერთი არც ჯარის, არც



გვარდიის ნაწილი ჩვენს განკარგულებაში არაა, რაფი არავდროს უკვე არიან ღა საღმე თუ არა ღა ჩვენ თვითონ უნდა შეტყობინებული ნოთ თბილისის დამცველი მოხალისეთა რაზები. უკვე „ავტოეფფალიის“ გამოცხადებიდან 1917 წელს, დათასა ჰყავდა 60-ოდე შეიარაღებული მოხალისე, რომელიც, სხვა და სხვა „გაჭირების მომენტში“ იკრიბებოდნენ, ისე რომ, მეორე დღესვე, მათი დახმარებით, რუსების „სობოროს“ (რომელსაც «ხატების აბანო» დაარქვეს) „პლაცზე“, — 400, კარგა შეიარაღებული გამოცხადდა და... „პარადი“ მივიღეთ.

გაგივირდებოდათ მათი „მწყობრი“, „სვლანი“ და „იარაღით ვაჯიში“. დათამ მაშინვე გაღმომცა 9 კაცი და მთელი ბლუჯა მისამართებისა: „ეს ოჯახები უნდა გაიჩრიკოს, და, თუ რაიმე საეჭვო აღმოჩნდება, — დააპატიმრო“-ო!

არ ვიცი, რამდენამდე იყვანა დათამ მოხალისეთა რიცხვი, ან რამდენ დროს დარჩა „ლენინალ-გუბერნატორად“, მე კი ორ დღეზე მეტს ვერ გაუძელი ჩემს „თანამდებობას“, რაღან, რომელ ოჯახშიაც შევედით, „ბოლშევიკურ იაჩიეის“ მაგიერ, რუსის ინტელიგენტ ქალების მეტი არავინ დაგვხვდა. და მათ შიშს ბოლშევიკების წინაშე, ემატებოდა კანკალი ამ „შეიარაღებულ 10 რაზელის“ წინაშე და, მიუხედავად ჩემი მუდმივი დამაშოშმინებელი სიტყვებისა, — ყოველი „ჩხრეკა და გამოკითხა“ — შიშის ზარსა სცემდათ. საკვირველია, რუსებზე ლოცულობდნენ მენშევიკები და ეს საზიზლარი ჩხრეკა რუსებისა... ჩვენ გადმოგვილოცეს. თუ კი იყო „იაჩიეკები“ და იცოდნენ(?), რატომ ჩვენ მოგვანდეს და ასე გვიან? თვითონ აქამდე რას უყურებდნენ?

ასეთ ჭუჭყან ხელობას, მე ისევ „ფრონტზე“ წასვლა ვარჩიე, მით უფრო, რომ კვინიტაძეს დანიშნებმ მთავარ-სარდლად, ენტუზიაზმი გამოიწვია და ჰაერში თითქო შვების ამოსუნთქვა გაისმა. თბილისის დატოვებამდე, ყოველ დღე ვიყავი ან ტაბახმელაზე იუნკ-რებთან, ან სოლანლულში — გ. მაზნიაშვილის შტაბში.

მე და თ მი ? (?) პირველად რომ ავედი ტაბახმელაშვილი მოიხსენია
 იდანაც ზარბაზნების ქუხილი ისმოდა თბილისში, გამოირკვა, რომ
 გზები თავისუფალი იყო სრულიად; სხვა და სხვანაირი „ხალხი“ (?)
 მიღია-მოდიოდა და არც ჯარის, არც გვარდიის, არც მილიციის არც
 ერთ კაცს, არც მე, არც სხვა ვინმე არ შევხვედრივართ. არავის უკი-
 თხავს, თუ ვინა ხართ? რას აკეთებთ „სამხედრო ზონაში“... თუმცა
 მე, მაგალითად, თოფიც მეკიდა მხარზე. იქნება სულ „ჯაშუშები“
 იყვნენ, ან ვიყავით?.. ომია, თუ თამაშა? ვფიქრობდი და უცებ სად-
 ლაც მინდვრიდან მომეშმა უჩინარი კაცის ხმა: „ნოლი! ხუთი! ცე-
 ცხლი! მოდის რეზო გაბაშვილი!“ — აა! აი, თურმე როგორი საიდუ-
 მლო, უჩინარი თეალ-ყურის დევნებაა გზებზე მავალთათვის, — გა-
 იფიქრებს მკითხველი იქნება, და მე კი მაშინ „ომა ყალყზე დამიდგა“:
 ნოლი, ხუთი! ვერ მივხვდი რა იყო, და, ცეცხლი! მოდის რეზო გაბა-
 შვილი, ვერაფერი საღამი იყო.

მერე, ვინან გამოირკვა, რომ ჩვენი ახალგაზრდა „ნ.-ტ-ი“ გ. კ—ლი,
 იჯდა თურმე ორმოში და შტაბის ტელეფონის ბრძანებას გადასცემ-
 და არტილერიას. მე დაუნახივარ და ესეც უხარებია, შინაურულად,
 თავისიანებისათვის.

* * *

ტაბახმელაზე. მივედი „ფრონტზედ“. პრტყელ ბეჭობზე
 იდგა ოთხი პატარა, სამთო ზარბაზანი; დახატულივით ლამაზი ვაჟ-
 კაცი ოფიცერი ჩრდილელი ბრძანებლობდა ამ „ბატარეას“. არც კი
 მოუხედნია ჩემკენ, როცა ზოგიერთმა ნაცნობმა ხელქვეითმა მისმა
 სალამი მომცა. ამ დროის, ხევის გადაღმა მარჯვენა მხარეს, გორაზედ
 გამოჩნდა რაღაცა, მწყობრად მომავალი ნაწილი. აცნობეს და მაში-
 ნადვე გაჩნდა ა. ჩხეიძე. გაიხედა დურბინდში და უბრძანა: „გახსენით
 ცეცხლი!“ გამიკვირდა ორი რამ: ჯერ ერთი, მხოლოდ სამი ზარბა-
 ზანი ისროდა და მეოთხე პირდაღებული იდგა ჩუმად. მეორე, — ვის
 ესვრიან, იქნება ჩვენები არიან? რომ ვკითხე ჩემ ყოფილ მასწავლე-
 ბელს („გიმნასტიკისა“) ჩხეიძეს, მიპასუხა: ამ სამ ზარბაზნისათვისაც



ძლიერ გვეოფნის ყუმბარები (179), იშვიათი სროლისათვის ჭუჭა ჩუდულები მეტი ხალხი რისთვის მოვაცდინოთ აქ დგომითაო? და, ჰერც ჭუჭა ჩუდულები სროლას, — აქეთ რა უნდათ რომ მოდიან, ასეთი ბრძანება შტაბს არ გაუცია და თვითონ გამოარკვიონ — მტრები არიან, თუ მოყვარენიო.

უკვე ბინდდებოდა და, წამოსვლისას მითხრა: ხომ ხედავთ, რა მდგომარეობაა და უთხარით თბილისში, ყუმბარები მოვაწოდონ, რამდენი ხანია ვეხვეწებით, გვპირდებიან და არსადა სჩანს; მესამე ღლეა, ახალგაზრდებს, ამ სიცივეში, არც ცხელი საჭმელი უნახავთო.

იმ სალამოსვე წერილობითი „პატაკი“ წავილე თბილისის შტაბში, საცა მხოლოდ თევზაძე დამხვდა. სიტყვიერადაც აუხსენი მდგომარეობა და მხრები აიწია: რა ვწნათ, ხალხი არა გვყავს, მაგრამ ხვალვე ვეცდები ერთი კამიონი ყუმბარა და ერთი კამიონი საჭმელი გაუგზავნო მაინც-აო.

მეორე ღლეს, როცა ტაბახმელაზე უკვე სამნი ავედით, — მე, გიორგი ამირეჯიბი და საშა ჩხეიძე, სამივენი „შტაცი“ და თოფიანები, მოგვიხდა უპატრონო დაჭრილი და დაუჭრელი ტყველი გვარების მოგროვება თბილისში წამოსაყანად, რისთვისაც გზაში დავიჭირეთ თბილისიდან მომავალი მანგლისელი რუსის ცარიელი „დროგი“.

ექვსი დაჭრილი და ერთი დაუჭრელი ტყვე, დავალაგეთ დროგზე, ერთ მოკლულ ქართველ ოფიცერთან (180) ერთად და გიორგი და

შენიშნვა (179): „გადადება ჩვენთვის ხელსაყრელი იყო (ტრაბახობს ქორდანია გვ. 176) გვეძლეოდა დრო მომზადები ისათვის“. და ქრისტიშობისთვიდან თებერვლამდე ასე მოემზადა. ალბად ის 60 ყუმბარა აქვს მხედველობაში, — 30.000 ფუთ მარგანეცში გადაცვლით რომ მოუწყვია... საფრანგეთში... მასხარაძეს. (გვ. 174).

შენიშნვა (180): რუსის „მედროვე“ და გ. ამირეჯიბიც წინააღმდეგნი იყვნენ «ძკვიდრის წალებისა, დაჭრილებთან ერთად»: „შევატყობინოთ“-ო, მაგრამ საშამ ყველანი აიძულა: „ქართველი ვაუკაცის გვამს მგლების შესაჭმელად ვერ დავტოვებთ ამაღამ“-აო!



საშა გამოჰყვნენ. მე გავბრუნდი „ფრონტზე“.

ერთმა დაზურულმა კამიონმა გაგვიარა და გულში ჟაფარიშვილი „ყოჩალ თევზაძე, მაინც მოუხერხებია რაღაც!“ მაგრამ, შრაბში რომ მიევედი, შემომჩივლეს! „უმბარებისა და საჭმელის მაგიერ, შეცდო-შით(?) ერთი კამიონი ძველი შინებით მოგვივიდა“-ო; და საწყალი გაყინული იუნკრებიც, ისევ ცივი ჭალით ილოლნებოდნენ.

ლენ. ბაქრაძე და უუთები. იმ ღამეს თევზაძე აღარ დამხვდა შრაბში: სამაგიეროდ გრძელ ტალანში, „სამხედრო უუთე-ბის“ წინ, კუბოებივთ რომ იყო დალაგებული კედელთან, დადიოდა აქეთ და იქით ღენერალი შაქრო ბაქრაძე, ცნობილი თავისი სამხედ-რო უნარით („ნიევი გენერალ“), რომელიც პირველი შევიდა ლვოვ-ში დიდი ომის დროს და პირველი ხარისხის გიორგის ჯვარი ჰქონდა მიღებული (181).

— აქ რას აკეთებთ-მეთქი, — ვ კითხე გაკვირვებულმა... გასურე-ბულ ომის დროს? და, თითქმის თვალცრემლიანმა მითხრა:

— აი, ამ უუთების ყარაულად დამაყენეს, „სხვა ადგი-ლი არა გვაქვს“-ო... მოხალისებისათვისაო. (ა? ა!. რ. გ.).

„კომენტარიები ზედმეტი იქნებოდა“, რომ თავის უტიფარ წიგნ-ში, ბატონი ნ. უორდანია მთელ ქართველ მხედრობას, — მისი, ეორ-დანიას დაცეისათვის მადლობის მაგიერ, — უწმინდური ენით არა ლანძღავდეს.

ღენერალი ბაქრაძე ყუთებს ჰყარაულობდა და ნ. უორდანია, თუ რმე, მხარზე თოფ-გადაკიდებული, თავისი მაგალითი (?) მებრძოლთ ამხნევებდა... ალბად სასაცილოდ.., თბილი-სიღან ბათუმს მიმავალს, „აქსტაფაში რომ გამოელვიდა მა-ტარებელში“ (ჩ. წ. გვ. 182). ალბად არ გამოჰყიდებია და სიზ-მარში ნახა „აქსტაფა“, მცხეთასა და გორს შუა... საქართველოს თავმჯდომარემ; ან გამომცემელმა „გეოგრაფმა გრი-შამო-ურატაძე-მა“-ო, როგორც ამბობენ, — „უხიმანა“.

ლენიშვილი (181): ასეთი ჯვარი თურმე მთელ რუსეთში სულ 4 მხედარსა ჰქონდა.

* * *

სოდან უღის „ფრონტზე“. 24 თებერვალს, გან-
 თიადისას, მე, ლელი ჯაფარიძე და გრიგოლ ვეშაპელი, ავტომობი-
 ლით უნდა წავსულიყავით სოლანლულის ფრონტზე, გამარჯვებულ
 მაზნიაშვილთან (182).

პარმანი გვერნდა „ფრასკატისთან, ერ.-დემოკრ. პარტიის შტაბ-
 ში“ და უკვე „რაზგონი ფოსტასთან“ ეხედავ. — მოაქანებენ ავტო-
 მობილს, მაგრამ... „ფრონტის“ უკულმა მიმართულებით. „ალბად,
 ჩემს წასაყვანალ...“, ვიფურე და გავაჩერე...

— რას ამბობ, კაცო, ფრონტზე რა გვინდა, ყველა გარბის და
 უშმბარები მაზნიაშვილის შტაბშიაც ჩამოვარღნილა გუშინ, — მე-
 უბნებიან გულვახეთქილნი — შენც წამოდი, წავიყვანოთ.

— როგორ? აღარ მოღიხარო? მაშ ფრონტზე და შტაბში, ამხა-
 ნაგობა „ქართლის“ ვაშლებს ხომ ის ჩამოცყრილენ! აი, თქეე ლაჩ-
 ჩებო, თქვენთინ რა მინდა? - მეთქი და ფეხით წავედი მაზნიაშვილ-
 თან. რაღაც მანძილი ორთაჭალამდე. — დაწეულ ტრამვაითაც გა-
 ვიარე.

„სოლანლულის ფრონტზე“ უცა-ურობანი ვნახე. ჯერ ერთი,
 „შტაბში“, — რკინის გზის(?), თუ რაღაც მინავარ შენობაში, „მე-
 ისრეებისათვის“, რომ აშენებენ, — მართლა ჩამოვარღნილა უშმბა-
 რა, ფანჯრები და კარები დაულენია და კედლის კარგა დიდი ადგი-
 ლიც შენგრეული მოსჩანდა შავად. ჯარის კაცებმა ამიხსნეს: „გუშინ,
 გვარღიელებთან მოვიდა ვილაც რუსის ქალი და ბოლშევიკურ პრო-
 პაგანდას ეწეოდა. ლაზლანდარაობაში მერე გაექცათ და იღმოჩნდა,
 რომ მტერთან გადავიდათ. ვეღარ დაიჭირეს და ნამდვილად ჯაშუში
 იქნებოდა, თვითონ გვარღიელებმა გვითხრეს. რამდენიმე საათის შეძ-
 ლეგ. შტაბს ყუმბარა მოხვდა“ - ო.

შენიშნევა (182): წინა დღეებში სასტიკი მარცხი მიაყენა რუ-
 სებს და 1.600 ტყვე გამოეგზავნა თბილისში. სწორედ 18-ს და, შე-
 იძლება ამიტომ (?) გასცა ბრძანება უორდანიამ — ევაკუაციისა...
 ვაი, თუ ჩვენმა ჯარმა ვაიმარჯვოს?



რა იყო ამბავში მართალი და რა — ფანტაზია, ჰუნტვერტული უცნაური რუსის ქალის საიდუმლოდ მოსვლა და გაპარტიკულურულება? ა ეკერა პირზე და ოლელვებდათ.

ასეთ ოლელვებულ ლაპარაკში ვიყავით, რომ დავინახე ღენ. გ. მაზნიაშვილი, აჩქარებით გამოსული ზემოაღნიშნულ „შტაბის“ „შენობიდან, რაღაც დაკეცილი ქალალდის ნაგლეჯის ქნევით პაერში: „აბა ჩქარა, ერთი ცხენი მიშოვეთ, შიკრიკი უნდა გაიგზავნოს შავნაბადაზე!“

შეიქმნა რაღაც ჩოჩქოლი... სადა გვყავს ცხენები? — აგერ ცხენები... ეგ გვარდიისაა, ჯარს არ ეკუთვნის და სხვა...

ჩემი თვალით ვხედავდი ათიოდე მშვენიერ ცხენს, დაბმულს შორიახლოს ფარდულში, ფრუტუნით ქერსა და თივას რომ სჭამდნენ, მაგრამ, — მტკვრის გაღმა და გამოლმა რამდენიმე ვერსის ფრონტის სარდალს, ღენ. გიორგი მაზნიაშვილს, — არა მარტო შიკრიკისათვის, თავისათვისაც არა ჰყავდა ცხენი... რომ „ეკუნკულნა“, — ზაქარია გურულების „სტრატეგიული“ ტერმინოლოგიით რომ ვილაპარაკოთ.

გაიმართა ხევწნა-ჭიდილი-ვაჭრობა (183) ფრონტის უფროსისა და გვარდიის „წარმომადგენელის“ შუა, და, რის ვაი-ვაგლახით «კომპრომისით» გათავდა: გვარდიელის ცხენზე შესხდნენ ორ ნი, — ერთი გვარდიელი და ერთი ჯარისკაცი, შიკრიკი მაზნიაშვილისა საჩქარო ქალალდით და წავიდნენ.

— აი, ხომ ხედავთ, რა პირობებში გვიხდება ომი, გეხვეწებით, ერთი ცხენი მაინც გამომიგზავნონ ასეთ საჭიროებისათვის, გამიყარა ხელი მაზნიაშვილმა და წამიყვანა იმ ადგილების საჩენენებლად, საცა „ჩემი ბიჭები ვეფხებივით იბრძოდნენ... აი, ამ სანგარში (:ნახევარ რეალად იყო ნათხარი და გამაგრებული მიწა) შემოიჭრა მტერი, მაგრამ დახოცეს, დასჭრეს, გაპყარეს და ტყვეები ჩავიგდეთ ხელ-

შენიშნვა (183): — ერთ საათში დაგიბრუნებთ!

- არა, ეს გვარდიის ცხენებია, თქვენ საკუთარი უნდა გყავდეთ!
- კაცო, რა დროს მაგაზე დავაა, საჩქარო საქმეა!
- გვარდიის შტაბი ნების არ იძლევა ჩვენი „ინვენტარისა და იარალის თხოვებაზე“... და ასე გაუთავებლად,,,

ში. ორიოდე ცხენოსანი ესკადრონი რომ გვყოლოდა, გაქცეული ადგინით, სულ გავანადგურებდით და ათასობით კიდევ მეტს ტყვებს ჩაიგდებდით ხელშიო...

ასე მივდევდით ლაპარაკით მტკვრის პირს, რომ სადღაც შორიდან, მტკვრის მარცხნა ნაპირიდან წამოვიდა ზუზუნით ყუმბარა და ლენ. მაზნიაშვილისაგან ათიოდე ნაბიჯზე ქვიშაში ჩაიფლა შიშინით. ლენერალს ყურადღებაც არ მიუქცევია, განაგრძობდა ამბავს და წინ მიდიოდა; მეც მივდევდი. ხუთი თუ ექვსი ყუმბარა გვესროლეს და იქვე სულ ახლო სილაში იფლობოდა.

— ერთი ზარბაზანი ისერის და ისიც ასეო! „ბატარეაც“ არა აქვთო.

ამის შემყურეს, მეც არაფერი შიში არ მიგვრძნია და ისევე არხეინად დაებრუნდით. მითხრა: გადაეცით თბილისში, რომ არაფერი საშიშო არ არის, ფრონტი მთლიანად გვიჭირავს, გარდა 318 სიმაღლისაო (184) და თუ დაპირებულ ბათალიონს დააჩქარებენ, კიდევ დიდხანს ვერას დაგვაკლებენ ეს უნიფრევო ბოლშევიკებიო.

ისე დამშვიდებული წამოვედი, რომ ნასაღილევს, დაქანცულს, დამეძინა და მარტო საღამოს 9 საათზე მივედი „ფრასკატი“-ში, ახალი ამბების გასაგებად.

მშვიდობიანად ვლაპარაკობდით ომიანბაზე, რომ შემოვარდა ვეშაპელი და გამოვიცხადა: „ბრძანებაა გაცემული, 12 საათზე ლამზ იხსნება ფრონტი და თბილისა ვტოვებთ!“ -ო.

— როგორ, რათა, ვისი ბრძანებაა? დილას ფრონტზე მაზნიაშვილი მარწმუნებდა არაფერი საშიშოება არ არისო და რა მოხდა ამის შემდეგ?

— მთავრობის დადგენილებაა... და, ხეირიანადაც აღარ აგვისნა, ისევ გავარდა.

შენი შენვა (184): იქნება სიმაღლის ნომერი მეშლება, რომელიც დამისახელა, მაგრამ, ფეხითვე რომ უკანა ვბრუნდებოდი თბილისს, გზაზედ შემხედა სწორედ ამ სიმაღლისათვის განკუთვნილი ბათალიონი. და შემდეგაც უთქვამს: ფრონტზე ცარიელი ხარვეზი 24 თებერვალს არსადა გვქონიაო.



ისეთი თავზარ-დამცემი ამბავი იყო მორალურად, რეჭირუჩეული მჯეროდა, მაგრამ ჩაბნელებული, უკვე მიძინებული-შიწყნაშემუშაოება თბილისი, საიდანაც მთავრობა და სამხედრო ძალა იპარებოდა ხალ-ხის გაუფრთხილებლად, — მძიმე შთაბეჭდილებასა სტოკებდა.

ჩემი ზოგი ნათესავ-მეგობრები გავაფრთხილე, ასეა საქმე და, თქვენზეა დამოკიდებული, დარჩებით თუ წახელო-მეთქი. ეტყობა, სხვებიც ასე მოქცეულან, რადგან ვერაზე უკვე დიდი მორაობა იყო.

ღამის მეორე საათი იქნებოდა, როცა დაღვრემილი შევხვდი კო-ჯრის გზიდან მომავალ, გაკვირვებულ და თავგაქინდრულ იუნქრებს. ეხლა კი დავიჯერე ჩენი უბედურობა, მაგრამ მათსავით არ მესმოდა, თუ რითი იყო გამოწვეული ეს მოულოდნელი უკან დახევა, თბი-ლისის დატოვება...

* * *

თბილისის დატოვება. როცა კითხულობთ ბ-ნ ნ. ერი-დანიას „ჩემი წარსული“-ს ზოგიერთ ვერდებს, დაწერილს ვითომ 1939 წ., გამოცემულს 1953 წლს, — 1921 წლის ომზედ, — ძალა-უნებურად მოგივათ ფიქრი, თუ ეს კაცი ამ 32 წლის განმავლობაში (და წინადაც ალბად), როდის უფრო ვერაგი, ურუ და უვიცი ყოფილა? — როცა „აღწერილი“ ამბები ხდებოდა, როცა სწერდა, თუ როცა კვდებოდა? რადგან მისი «მახლობელი», — ჩემის აზრით კი, მ ტერნი (თორემ ასეთს იწილო-ბიწილოს თავიანთ ბელადს რო-გორ დაუბეჭდავდნენ?), — გულის აჩუყებით ამტკიცებდნენ, — „სა-ნამ თვითონ თვალით არა ნახა გამოცემული, ბოლომდე სიკვდილს ებრძოდა“-ო. (ქ-ნ ინას ნათქვამია).

თავი დავანებოთ იმ გეოგრაფიულ სიზმარს, რომ მცხეთასა და გორს შეა, — „აქსტაფაში“ გამოეღვიძა: „დავინახე საღგუ-რი აქსტაფა“-ო. „გამიკვირდა“-ო, გავაჩერები მატარებელი, ჩამოვსტი -ო! (გვ. 182).

მეც გამიკვირდებოდა და მკითხველსაც, სრულიად უწიგნო კაც-საც, რადგან „ფატა მორგანა“ საქართველოში არ იცის და მცხეთის აქედან (ქუთაისისაკენ), თბილისის იქითა (ბაქოსაკენ) აქსტაფას,

პო და, გავცდეთ ამ „აქსტაფას“. თურმე ჯერ კიდევ თბილისში, ლენ. კვინიტაძე, მთავარსარდალი, უუბნებოდა, — და არა ერთხელ; რაკი „დღეში ორჯელ“ დადიოდა უორდანია შტაბში და ლენერალი დაუინებით იმეორებდა: „—ერთად ერთი გამოსავალია უკან დახვა, გრძელი ფრონტის შემოკლება, მცხეთის მიმართულებით გამაგრება, ზარბაზნების დაწყობა მაღლობზე და იქიდან თბილისის დაცვა“ -ო. (ცირკანია dixit! გვ. 178).

ბატონშა კვინიტაძემ ამაზე უპასუხა უკვე: „სოლანლულის ქედი-დან მცხეთამდე არა ნაკლებ 30 კილომეტრია, ჩვენი ზარბაზნები ის-როდნენ 7 კილომეტრზე. ასე გამოჩნდება ხოლმე მოვონილი ტყუი-ლი“ -ო. (იხ. ლენ. გ. კვინიტაძის „ჩემი პასუხი“, გვ. 20—21, პარიზი; 1954). მაგრამ, ჩემის აზრით, ბ-ნი კვინიტაძე სცდება: თუ კი მცხეთის აქედან, თბილისის იქით აქსტაფა სჩანს ჩამომხტარისათვის, რა-ტომ არ შეიძლება გაქცეულისათვის, მცხეთიდან სოლანლულში, 7 კილომეტრზე მსროლელი ზარბაზანი მისწვდეს? თუ კი ზარბაზანში უორდანის ენას ჩასდებთ, სოლანლულს კი არა, აქსტაფასა და საინგილოსაც გადააცდენდით, რაღაც მათი ცოდნის რუკაზედ (185) და დიალექტიკის კანონით, ეს სულ ადვილია (186); განა არ გახსოვთ: „სანამ ხმალი მოვიდაო, ენამ თავი მოსჭრა“ -ო? და ენის ზარბაზანს მეტი არ შეუძლიან? თუ კი ქიზიყელების პანტის ზარბაზანშა ისეთი ამბავი დააღწია, ლანჩხუთელების ენის ზარბაზანს, ვითომ მეტი რა-ტომ არ შეეძლო სულ რაღაც 30 კილომეტრზე?

შენიშვნა (185): აკაკი კახეთზე: „ქე, დიდი ქვეყანა ყოფილა“ -ო. ურატაძე: „რა ვიცოდი, საინგილო სად იყო“ -ო და ამ „აქსტაფას“ ამბავიც.

შენიშვნა (186): „ენა ტკბილი, ენა მწარე, ენა ქვეყნის ამომგდები.“ მართალია, ტყვეია პირდაპირ მიდის ხოლმე, მაგრამ ენისას „ზიგზაგებიც“ შეუძლიან, წაჯე-უკუჯექობაც და უორდანიასი ამის მეტს რას იკეთებდა, კალამთან ერთად?

„რანდევუ“ მცხეთაში. ან, „რანდევუ“ (?) თუ შეტე-
 თაში ჰქონდა, ნუთუ მთელ მატარებელს ეძინა ძილის გუდასავით,
 რომ „აქსტაფაში“ გასაჩერებლად ლა... გამოიღვიძა „თავმჯდომარე-
 ბაც“ და... მემანქანებაც?

დღების ანგარიში ხომ „ეშლება“ და ეშლება, ახლა საათები-
 სას უყურეთ: ღამის 3. საათის შემდეგ ნ. უ. გადას უკა-
 ნას კნელი მატარებლით (გვ. 182) და მე — რ. გ. — გავი-
 დი იქიდანვე დილის 6 საათზე ფეხით (რადგან ურმით წავიყვანე
 ოჯახობა დილომში), მაშასადამე, სამი საათით უფრო გვიან უორ-
 დანიაზედ. დილის 11 საათი იქნებოდა, როცა ავჭალის გამოსწვრივ,
 მუხათ-გვერდისასენ შევედი კვინიტაძესა და მის შტაბს: შარაზედ
 რაღასაც თამბირობდნენ. მარცხნივ თხრილებს აკეთებდნენ ჯარის-
 კაცები. კვინიტაძემ მიბრძანა: „წადით მცხეთაში და თქვენს ნაწილ-
 ში ჩადექით“-ო. წავედი და 25 თებერვლის საღამოდე
 ვიყავი იუნკრებთან ერთად მცხეთაში, მოწმე იქაური ჯერ მშვიდო-
 ბიანი, მერე არეული ამბებისა... თუ ვ. გოგვაძემ როგორ „გაანადგუ-
 რა რუსების მომხტარი ცხენოსნები ავჭალასთანა“-ო. როგორ გა-
 სქდა ერთად - ერთი ყუმბარა მცხეთის გადმოლმა რკინის გზა-
 ზედ, რა „პანიკა“ შეიქმნა და კაცი, ცხენი, ჯარი და სხ. გარბოდნენ.
 მატარებელიც დაიძრა ზედ იყუნწლული ხალხით და ჯარისკაცებით,
 დაახლოებით ნაშუადლევის 6 საათზე. არ ვიცი, ამ დროს სად ეძინა,
 ან გამოეღვიძა უორდანის (მცხეთასა და გორს შუა ან ქსანში, ან
 კასპში, ან გრაკალში; — სხვა „სადგური“ არ არის, გარდა „რაზიეზ-
 დებისა“, ე. ი. ასაქცევისა და აქსტაფას რა უნდოდა?), მაგრამ, ნუთუ
 ისე ნელა დადიოდა მისი მატარებელი, რომ მცხეთაში და გორშიც
 მე ფეხით უფრო ადრე ჩავედი, რომ მას მცხეთაში უკვე აღარავინ
 დახვედრია? თურმე. მაში იმოდენა პანიკის ხალხი და ჯარი, მოგრო-
 ვილი სადგურზე და გარშემო, 25 თებერვლის საღამომდე, ძილში
 გამოეპარათ მასა და მის „მხლებლებს“? მემანქანესაც?: „მცხეთაში
 არავინ შეგვხვედრია“-ო! რომ უთქვამთ, და, არა მარტო დაუჯერე-
 ბია ეს სიცრუე, არამედ უტიფრად უმატებს: „ახლა მივხვდი ყველა-



ფერი(?), მცხეთის ფრონტი იყო მომიზეზება ომის გასათა-
ვებლად“ - ა. და ისეთ მძიმე ბრალდებას მთავრობის თავმჯდომარებელის
ადებს მთავარსარდალს ასე იოლად?! ამასა ჰქვია „с болицкой головы
да, — на здоровую“ რუსულად, ან „ძილის მომიზეზება“ — ქართუ-
ლად, თორემ სამი საათიდან მცხეთის დაცლამდე, გაიარა სულ ნა-
კლები, 15-მა საათმა და ან ამდენ ხანს სად ეძინა, ან 15 საათი რო-
გორ დადიოდა „უკანასკნელი“ (?) მატარებელი თბილისიდან... „აქს-
ტაფამდე“, რომელიც, — მათი გოგრაფიით, — მცხეთასა და გორს
შეუ გაღმოსკუპებულა? ეს მატარებელი „უკანასკნელი“ ყოფილა,
მაშ, რიცხვით კი არა, არამედ სიჩქარით?

მართალია, ბოლშევიკებს უთვესმთ, „ქართველები ისე გარბოდ-
ნენ, ცხენით ვერ დავეწიეთო“, მაგრამ ამას სტყუოდა მტერი, და აი
„მეგობარი“ თავმჯდომარის ანგარიშით გამოდის, რომ თვითონ მა-
ტარებლითაც ვერ დაეწია. Un peu exagéré დიალექტიურადაც:
„აქილესი კუს ვერ დაეწია“. და ისიც 25 თებერვალს, როცა მთავარ-
სარდალი, რომელთანაც „რანდევუ“ ჰქონდა, გავიდა მცხეთიდან მა-
რტო 26-ს დილას. „ტყუილს მოკლე ფეხები აბიაო“, ამბობენ, და
უორდანის „უკანასკნელი მატარებელი“ — სულ მთლად კუტი ყო-
ფილა, ან მეტად მძიმე ტყუილებით დატვირთული.

* * *

გორთან. მართლაც: „გავსწიე გორისაკენ, იქ დამხვდა
შტაბის და კვინიტაძის ვაგონები, ყველა უთაებოლოდ გაბნეულნი
მის-მის კუნძულში. (ვინ? ვაგონები თუ შტაბი და კვინიტაძე? რ. გ.)
არავითარი მზადება ომის გასაგრძელებლად“. გამოდის, რომ კვინი-
ტაძე, ან მისი და მისი შტაბის ვაგონები უკვინიტაძეოდ, რომელიც
მცხეთიდან დაიძრნენ 26-ს, (ე. ი. ერთი დღით უფრო გვიან) უფრო
ადრე ჩასულან გორში, ვიდრე უორდანის ცრუ ვაგონები, იქ მისულ-
ნი 25-ს? ასეთს იგავებს საბა-სულხან ორბელიანის „სიცრუის ქვე-
ყანაშიაც“ ვერ შეხვდებით.

მით უმეტეს რომ იუნკრების რაზმთან ერთად, მეც ვიდექი, გო-
რის გამოსწვრივ მთაზედ და მხედრები, კი არ „ემზადებოდნენ“

ომისათვის, რაც „არ დაუნახავს“ ქორდანის, არამედ, — აწარმოებდნენ: ხიდისთავს გაღმა გამოჩნდა ბოლშევიკების ცხენოსფერზე ჩატანი (დურბინიდში დავთვალეთ 70 კ.!). გოგვაძემ ჯავშნოსანრდაც ფრირს უსურავა მი ყუმბარა ესროლა; ჩამოქვეითდნენ და ისევ ტყეში შეაფარეს თავი. რადგან გორის არე-მარეს კარგად ვიცნობდი, თუნკერთა ოფიცირობის თანხმობით გამოვიჭეცი შტაბში, რომელიც გორის სადგურზე იყო. შარა გზაზე დავინახე კვინიტაძე: „ბატონო მთავარსარდალო, იუნკრობის უფროსობა თხოულობს მოგვცეთ ნება (-ბრძანება) მოუაროთ 70 ცხენოსანს და ყველანი დავატყვევოთ!“

კვინიტაძემ ნაღვლიანად ჩაიცინა: „აბა როგორ გაგიშვათ წინ, დახეთ რა ხდება...“ და მართლაც: „შოსეზედ“ უკან მოღილა, თავისი ნებით მოხსნილი, „გურული გვარდია“ — სამასამდე კაცი — თავით-ფეხებამდე შეიარაღებული და მწკრივად. წინ მოუძღლდათ უფროსი და... „მარკიტანტკა“, იაშვილის ქალი, ცალ გვერდზე პაწა „ბოჩკით“, მეორე გვერდზე ჩანთით. რომ გამოგვიარეს... თითქმის ყველა ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ამხანაგებო, პატრონები აღარა გვაქვს... ავადა ვართო“ (187)

კვინიტაძემ შიბრძანა: „როგორც კი მთელი ფრონტი ხაშურამდე გადაიწევს, მოგივათ ბრძანება — უკან დაიხიოთ. ეხლა უთხარით იქ მალლა, მანამდე ფეხი არ მოიცვალონ“. მეტად მეწყინა და თავიაქინდრულმა გაცსწიე მაღლობებისაკენ (დარწმუნებული კი ვიყავი, იმ 70 ბოლშევიკს, მწყრებივით ან ამოეხოცავდით, ან ტყვედ ჩავიგდებდით, ნება რომ მოეცა ზურგში მოვქცეულიყავით, სოფელ ხიდისთავის ნაცნობი ხევიდან შემოვლით). და რა ვნახე: მთის ძირში, ცხენოსან გვარდიელებს, — იქნებოდა 40 — 50-ოდე, გაემართნათ „მიტინგი“ და კამათობდნენ, თუ რა ექნათ ასეთ მღერობა რეობაში?

ბრძანების მატარებელს, უფლება არა მქონდა მომეცადნა გვარდიელთა „თათბირის“ ბოლომდე, მაგრამ მაღლობიდან დავინახე უკ-

შენიშვნა (187): მართლა თუ ტყუილად ყველა „დათვის ავალმყოფობას“ ჩიოდა თურმე, როგორც მერე „სანიტარებმა“ გვითხრეს.

ვე, რომ გაიყვნენ ორ ნაწილად, — ერთი წავიდა უქანასჭელი
შეორე წინ და, ჩამოქვეითებული, ჩაწვნენ თხრილებში მეტყველება
დი და ეს სამწუხარო ბრძანება და მოვლენების მსვლელობა დაწერი-
ლებით გადავეცი ჩემს უფროსს ოფიცრებს და ჩემზე უნკროსს იუნკ-
რებს.

უორდანის არაფერი დაუნახავს, გარდა „დაბნეული შტაბისა
და ვაგონებისა... მის მის კუნცულში“ (?), არაფერი გაუგონია, არც
„რევოლუციის პირველი სალთადის“, ვალოდია გოგოძეს ზარბაზ-
ნების ჰექვისა და... „ავაღმყოფი“, ცხენით წასულა ულელტეხილის
სიმაგრეების დასათვალიერებლად (გვ. 183). იქაც „არც სიმაგრე,
არც თხრილი, არც კაცი, არავითარი წინასწარი ზომა“ არ უნახავს,
გარდა დეზერტირებისა, და, წასულა, ავაღმყოფი ცხენით (?). ქუთა-
იში და მერე ბათუმში.

ან როგორ რა უნდა დაენახა, ან რა გაეგონა მართლა ავაღმყოფს,
წინასწარ გაქცეულს, როცა ამის შემდეგ იყო, ღენერალი
გ. თაყაიშვილი რომ ულელტეხილს ამაგრებდა. თხრილები და სიმაგ-
რენი კი არა, ციხე-გალავნები რომ აეშენებინათ, როცა კაცს არ უნ-
და, „რიყეზედ ქვას ვერ დაინახავსო“. და იმას კი არ ამბობს, რომ
ეს მისი დანახული „დეზერტირები“ — სულ გვარდიელები იყვნენ
და არავითარ სიმაგრეს გროშის ფასი არა აქვს, თუ ადამიანი
არა მაგრობს: „ვაჟკაცსა გული ჩეინისა და ფარი უნდა ხისაო“.
მთელი ომის განმავლობაში კი 1921 წელს ხუთასი ქართველიც არ
დახოცილა. ათასიც რომ დახოცილიყო, საქართველო იმ დროს
გადარჩებოდა, რადგან ტყუილად არ არის ნათქეამი: „როცა სამშობ-
ლოსათვის კვდებიან მამულიშვილი, მაშინ სამშობლო არა ჰქვდე-
ბა“ -o. სოფელ ოსიაურთან დიდი ბრძოლაც მოხდა, საცა 120 ჯა-
რისკაცი მოკვდა და დაჭრილებს, ჩვენი წითელი ჯვრის ექიმები, „სა-
ნიტარები“ და მოწყალების დანი, ქალბატონ ელენე ჩიჯავაძეს მე-
თაურობით, — ვერ ასდიოდნენ, ფრონტის უკან, ხაშურში... თუ მკი-
თხველი „ს. დ.“ არ არის, აღბად ეხსომება, რომ ხაშური, ოსიაური
და სხ., ულელტეხილის წინაა — არა „დიალექტიურად“, არამედ —
გეოგრაფიულად.

ოსიაურის ბრძოლა. მერე იცით, რა მოხდა ოსიაურ-
ხაშურში? მთავარსარდლის ბრძანებით, განთიადისას, ჯარისჭაველები
ნა მხრიდან და გვარდია — მარცხენა ფრთიდან, უნდა ჭაღალული
ყველა შეტევაზე (პირველად მთელი ომის განმავლობაში), ოსიაურ-
თან დაბანაკებულ 3.000 ბოლშევიკის წინააღმდეგ. ჯარმა შეუტია
თავის დროზე, დიდი ზიანიც მიაყენა, თითონაც დაზარალდა (აქ ყვე-
ლაზედ მეტი დაიხოცა და დაიჭრა ჩვენი) და ბოლშევიკები უკვი
იარაღსა ჰყრიდნენ (მერე გავიგეთ, თბილისის ევაკუაციასაც კი აპი-
რებდნენ, პირველი დეპეშები რომ მისელიათ), მაგრამ გვარდია, იმის
მაგიერ, რომ შეტევაზე გადასულიყო, ორი საათის... დავვიანებით,—
მოიხსნა და უკან წავიდა — („წვიმა მოდის, ცივა და რავა
დავდგეთო“?!): ბოლშევიკებმა გული მოიცეს და კონტრ-იერიზე
გადმოვიდნენ. აი, ამ დროს დაზარალდნენ ყველაზედ მეტად ჩვენები.

ჩვენ, იუნკრები, ხაშურის სადგურზე გამჭქრივებულნი მთავარ-
სარდლის ერთად-ერთ „რეზერვში“, თვალით რომ ვხედავდით გამო-
ქცევაში ყოჩაღ გვარდიელების ჯგუფს, — მე მივმართე კვინი-
ტაძეს: „გვიბრძანეთ, დავხოცოთ, შევაჩეროთ დეზერტირები!“ ღე-
ნერალმა მარტო შემომიბლვირა და... მხოლოდ პარიზში ამიხსნა ეს
სიჩუმე: „სამოქალაქო ომს ხომ ვერ გვაჩაღებდით, ომის დროსა“-ო:
უორდანია ამ დროს უკვი ქუთაისში და იქნება ბათუმშიაც
ბრძანდებოდა და ან რა უნდა დაენახა, ან გაეგონა?

და ამაზედა სწერს (გვ. 178): „არ შეუდგები ომის მსვლელობის-
აღწერას, ეს აწერილია, ცნობილია“-ო (188). და ისე კი „აღწერს“,
როგორც აღწერს...

რომ ჩვენი სამხედრო ძალები არ აღმოჩნდნენ, საზოგადოდ, ქარ-
თულ, მალალ დონეზედ, რაკი „მთა ვრობამ“ არაფერი გა-
აკეთა არც წინად, არც ამ უკანასკნელი ომისათვის მოსამზადებ-
ლად, — პირიქით, მხოლოდ ხელს უშლიდა, — მე უკვე მქონდა მო-
სენება წავითხული პარიზში, მაგრამ ისეთი ტყუილები ამასთან,
რომ არც მცხეთაში დახვდა ვინმე, არც ხაშურ-ოსიაურში და სხ., —

შენიშვნა (188): სად? როდის? როგორ? ვისგან?



ამტკიცებს, რომ უორდანია, მაშინ შიშისაგან დაპნეულუავარებულია და აღარაფერი ესმოდა, არც ხედავდა და, როცა ამ, მციუნისტობის სულს ამბებზე სწერდა, — გაბოროტებით სხვაზე გადააქვს თავისი ბრალი.

ისედაც უბედური, წაგებული ომი, კიდევ არ უნდა დააფოლოს კაცმა სიცრუით, გაათახსიროს სხვები, რომ თავი უქცუოდ და უსინიდისოდ იმართლოს და უნახაობა, — დაუნახაობად აქციოს, ე. ი. საკუთარი უვიცობა, — უმაღლურობად.

დღ. შარაშიძე თავის წიგნში და მრავალ ცრუ ქართულ თუ უცხო ენაზე გამოცემაში, — მენშევიკები ამტკიცებენ, რომ ჩვენი სამხედრო ძალები გ მირუ ლად ი ბრძოლნენ ექვსი კვირის განმავლობაში ბორჩალოდან ბათუმამდე; უორდანიას კი, თბილისიდან ბათუმის „პარახოტამდე“ არაფერი ბრძოლა კი არა, არც მზადება უნახავს, გარდა დეზერტირებისა (189). ორივე „წყარო“ სტყუის: გმირული ბრძოლები იყო მარტო თბილისთან; პატარ-პატარა ავჭალასა და მუხაოვერდთან; მერე ასეთივე — გორთან; საშუალო — ოსიაურთან და ცოტა კიდევ ქუთაისის სადგურზე. მთელ დასავლეთ საქართველოში არავითარი ბრძოლები არ მომხდარა... არც გმირული, არც არა-გმირული, გარდა ბათუმისა ოსმალებთან, მაგრამ ეს იყო უკვე ბოლშევიკების ხელში გადაცემულ - გადასული ჯარისა, მენშევიკ უორდანიას ხელით, 17 მარტის ხელშექრულობით სამტრე - დიაში.

ყველას შეუძლიან კრიტიკით მიუდგეს ჩვენს ომსაც, ზაქსაც და მთელ დამოუკიდებლობასაც, უორდანიას არა, რაღაც მთავარი პასუხისმგებელი ის იყო. და ამიტომაა, ალბად, მისი „წიგნი“ სიცრუით სავსე, რომ სიკვდილამდე უპასუხისმგებლო აღამიანი დარჩა, როგორც პიროვნულად, ისე როგორც სახელმწიფო კაცი. ისედაც საცოდავ შთაბეჭდილებას უფრო ახდენს ამ წიგნით.

შენიშვნა (189): გასაკვირველია, რომ არც ვ. გოგვაძეს გმირობა უნახავს და არც მისი, მუდამ ნაქები გვარდიის, მუდამ დეზერტირობა გაუგია.

პროპაგანდა. საოცარია, თბილისიდან ბათუმამდე, ქუთაისის შევლით, თითქმის მთელი მანძილზე ფეხით გავიარე და მომისამართული დენა მოლაქლაქე, ლაი-ლაის ხალხიდან ერთი არავინ შემცველისა, ვისმე რაიმე სიტყვა ეთქვის გამამხნევებელი, დამამშვიდებელი, ან გამჩერებელი იმდენა უკან დახული ჯარისა, თუ მუდამ გაქცეული გვარდიისათვის. სად იყო ბატონი ევგენი გეგეჭორი, რომელსაც თურმე „300.000 რუსის ჯარი, «მე-300-ე ვერსტზე», თბილისის ასაკლებად წამოსული ფრონტიდან, სამი მძლავრი სიტყვით, — რუსეთისაკენ გაუბრუნები!“? სად იყო კავი წერეთელი, „განთქმული ორატორი“, რუსეთში რომ გრგვინავდა ნგრევის დროს, ჩვენში ას-ოც იმისთანავე „პარლამენტის ორატორთან“ მგელივით კბილებს აკრაპუნებდა „კონტრრევოლუციისა და რეაქციის“ წინააღმდეგ?

სად იყო გიორ ნათაძე, მედა ვეშაპელი რომ „შავს რეაქციად“ ველანდებოდით, შიშნარევ თვალებში? სად იყო სათნო სანდრო ლომთათიძე, „ინგლისის იმპერიალიზმი რომ დააჩოქა საქართველოს დემოკრატიის წინაშე“ ბათუმში?

სად იყვნენ ათასი, უფრო „დაბალნი სულითა“ და ორატორობის ხარისხით... ღენერალ-გუბერნატორები; პარლამენტისა და „დამფუძნებელი კრების“ წევრები; ერობისა და ქალაქების თავმჯდომარენი; აურაცხელი პროპაგანდისტი და „ტუტი ქვანტი“?..

...როცა ეს ჩვენი ომი, იყო არსებითად უფრო ფსიქოლოგიური ომი და «სიტყვას» მართლაც ბევრი რამ შეეძლო. ყველას ენა მუცელში ჩაჰვარდნოდა და ვინ ვის გაუსჭრობდა ამ ენის შირტანაში ბათუმამდე, — ჯირითში იყო. მასოვს, მცხეთაში რომ „პანიკა“ შეიქმნა, ყველაზე წინ, შავი ნაბით და წითელი ცხენით უკან მიაჭენებდა რაფიელ ინგილო (ივანიცკი) და, თურმე იასონ კერესელიძე მისახოდა: „სირცხვილი, სირცხვილი, სად გარბიხართ? სადა!“ -ო. და ორიოდე კაცილა ვამშვიდებდით და ვაწყნარებდით „პანიკერებს“, უარესი არ მომხდარიყო, ერთმანეთი არ დაეჭყლიტათ, არ გაეთელათ. ვალმა ვ. გოგვაძეს ჯავშნოსანი სჭექდა, ვამოლმა — ერთმა მტკრიანმა ყუმბარამ, — ხალხი დააფრთხო. სად იყვნენ მაშინ ნაქები ენა-მცერმეტყველნი? „მოწინავენი“... გაქცევაში.



გორში, საცა უორდანიას არაფერი დაუნახია, გარდა წამომტკიცებულია ვაგონებისა, ნერა თუ ან თითონ ამოულია ხმა, ან თავისიანებისგან ერთი „ორატორი“ მაინც უნახავს?

და მე კი, ჩემი ბლაგვი ენით და ერთი ნაგანით (გარდა იმისა, რაც აქვე მაქვს მოთხოვბილი), — 27 დეზერტირი, მათში ორი უ ხმ ლო, მაგრამ გუდაწამოკიდებული ოფიცერი და 25 თოფიანი ჯარისკაცი, — გავაბრუნე, ისევ თხრილებში ჩავაწვინე და თოფს ვასროლინებდი. სწორედ ამ დროს, ალბად ჩემსავით მოქცეულმა, ახალგაზრდა, ლამაზმა ოფიცერმა, მოიყვანა მარჯვნიდან 20-ოდე გვარდიელი და „ჩემ“ ჯარისკაცებთან გვერდზე თხრილებშივე ჩავაწვინა. 50-ოდე კაცისაგან შემდგარმა რაზმა, — დიდი არაფერი გავიკეთებია, ალბად, მაგრამ ერთი საათით მაინც შევაფერხეთ მტრის წინ წამოწევა ჩვენს ნაკვეთზე. ასიოდე ჩვენისთანა „ქეციანი“ ორატორი, ათასიოდე „დეზერტირს“, ვეფხვად თუ არა, „მსროლელ ერთეულად“ მაინც ხომ გადააქცევდა? მაგრამ სად ვინ იყო?

შენიშვნის მაგიერ: მეორედა ვხედავდი «პანიკასა»: 27 ახალგაზრდა, თავით-ფეხამდე შეიარაღებული, როგორ თრთოდნენ ერთი კაცის წინაშე:

— საღაა თქვენი ხრმალი?! შეუყვირე ოფიცრებს.

— დაგვავიწყდა!-ო (Sic!).

— აი, თქვე ლაპრებო, გუდები არ დაგავიწყდათ და ხრმლები დაგვავიწყდათ? (:ორთავეს, „მარლაში“ გამოხვეული, დიდი რალაც, მუთაქასავით გრძელი ბოხჩები ეყიდა).

— აი, შე მხდალო! — წაგავლე ხელი ხიშტში ნაპირა ჯარისკაცს, — მოიტა ეგ თოფი, რა შენი საქმეა, დედაკაციებით ნემსი და მაკრატელი უნდა გეჭიროს-მეთქი.

არ მანებებდა, იქით გაიწია, მე აქეთ ვწევდი... რამდენჯერმე.

— ამ ტყვიას დაგახლი, ეხლავე თუ არ გაბრუნებულხარ!

— არა, ბატონო, თოფს ნუ წამართმევ, სირცხვილია...

ხელები უკანკალებდა და მეც უცებ გამიარა თავში: თოფი უკან კი არა, წინ რომ წამოსწიოს და მატაკოს ხიშტი, რა შემიძლიან მარტოს 27 კაცთან? მაგრამ გაგიგონია? ცხვრები უფრო გამბედავნი



ყოფილან ასეთ შემთხვევაში. შეიძლება ისიც მოქმედებოდეს უკან ოციოდე ნაბიჯზე ერთი იუნკერი მომდევდა თოფით და უფრო შორს ქედზე, იუნკერთა ასეულის მწყობრი იდგა, და, როცა დაცხივ-

ღვე:

— ეხლავე თხრილებში! ყველა გაბრუნდა და ჩაწვა.

ჩემ გვერდზე რომ იწვა, ხელები უკანკალებდა, თითები ძაგდა-გებდნენ, თოფს ვერა ხსნიდა, რომ პატრონა—მასრა ჩაედო. მე ვა-შოშმინებდი, თავზე ხელი გადაუსვი, „ნუ გეშინიან! სირცხვილი არ არის, ამოდენა ხალხში თოფი ვერ გიხმარია?“ და მე თვითონ ჩაუწყი მასრები. თანდათან დამშვიდდა და სხვებთან ერთად მიზანში სროლა დაიწყო.

მარჯვნიდან რომ გვარდიის ოფიცერმა, ჩასხმულმა ახალგაზრდამ, — ყელი „მარლით“ შეხვეული ჰქონდა, მგონი დაჭრილს,— თავისი გვარდიელებიც ჩაწვინა თხრილებში, — მოვიდა ჩემთან, გაპრწყინვებული თვალებით გამეცნ (თუ არა მღალატობს მეხსიერება, — „მგელაძე“), — და — ომი ესა ყოფილა!—ო, თითქო მეტიხა, ხელით დაწოლილ ჯარისკაცებსა და გვარდიელებზე ჩვენებით, — გადაღმა გორაკზე გამოჩენილ მტერს, თავი არ ამოვაყოფინეთ.

კარგად არ მახსოვეს; გორშივე იყო, ხაშურში, თუ სადმე მათ შუა, ლიანდაგზე გაჩერებული მატარებელი დავინახე და კარებში იოსებ გობეჩია; მიუხტი...

— კაცო, ეს რა ამბავია, ერთი მოქადაგე როგორ არსადა ჩანხართ, ვერა ხედავთ, გამწნევებაა საჭირო?..

— მე რას მეუბნები, აგერ ამავე მატარებელში თქვენი ქედია და მთავრობის წევრებიც არიან, ქუთაისში მივდივართ... იქ მოდი და... მოვითხოვოთ.

ესეც გამიკვირდა: „განთქმული რევოლუციონერი“ — სიცი-ლით მეპატიურებოდა ქუთაისს და ჩემ მეთაურ „ორატორთან“ და „მთავრობის“ მჭექარე მოენეებთან?!?, როცა აქ სისხლი იღვრებოდა.

ხ ვ რ ე ტ ა . აღარც ის მახსოვეს, რომელ სადგურზე, ზეფაშემზრდება
 ფა, ყოველ შემთხვევაში, არ იქნებოდა — ვ. ელენტმა 11 ჯარისკაცი,
 დეზერტიტიტობისათვის, დაახვრეტინა და ამ თერთმეტში, მე ვერც ერ-
 თი გვარდიელი ვერა ვნახე, თუმცა, პროპორციულად, თუ ასეთი
 სასტიკი ზომა იყო საჭირო, — 111 მაინც უნდა დაეხვრიტათ, და,
 უფრო სამართლიანად (190).

„ოსიაურის“ შემდეგ, უღელტეხილზედ რატომ არ მოხდა „შემა-
 ფერხებელი ბრძოლა“, ან ბრძოლები, ჩემთვის დღემდე უცნობი და-
 რჩა.

ამბობდნენ, „ტუნელში ზარბაზნები ძლიერ გაიტანესო; მამისონის
 უღელტეხილით ყაზახები(?) ჩამოსულანო; შავი ზღვის ნაპირით რა-
 ლაც დივიზია მოდისო“ და სხ. და სხ., მაგრამ „სტრატეგიული მგლო-
 მარეობა“ ჩემთვის გაუგებარი იყო და არის.

„ოსიაურის“ შემდეგ ერთი უცნაური, მეტი რომ არა ვსთქვათ,
 სცენის მოწმენი კი გავხდით, იუნკრები: ლიანდაგზე ხმამაღლა
 „კაშათობენ“ — მთავარსარდალი კვინიტაძე და გვარდიის ერთ-
 ერთი სარდალი დგებუაძე.

საგანი კამათისა არ გვესმოდა, მაგრამ გვაკვირვებდა და გვა-
 შფოთებდა, თუ როგორ უბედავს უნცროსი უფროსი, ასეთს
 თავხედობას. გვეყურებოდა ნაგლეჯ-ნაგლეჯი ფრაზები მხოლოდ!

— აქ უნდა დარჩეთ, გვარდიის უპატრონოთ!..

— ...მე უნდა წავიდე ქუთაისში, მთავრობასთან!

— მთავრობას მე გადავცემ!..

— მეც მოვდივარ.

— ...არა!.. და კვინიტაძე ჯდება წინა ვაგონში: დგებუაძე შე-

შ ე ნ ი შ ნ ვ ა (190): ეს ხვრეტა თვითონ უორდანის უბრძანე-
 ბია: „საჩქაროთ მოვაწყვე სამხედრო-საველე სასამართლო არა
 სამხედრო პირთა თავმჯდომარეობით, რამაც შეიტანა
 ცოტაოდენი შიში და წესრიგი გაქცეულ ჯარის ნაწილებში“. (გვ. 183). (მართლ-წერა ავტორისაა, ხაზები ჩემი. რ. გ.): აი რატომ,
 სამხედრო სასამართლო, არა-სამხედროს თავმჯდომარეობით, — ხვრე-
 ტავს მხედრებს, არა-მხედრების მაგიერად.



უხტა უკანა ვაგონს, მაგრამ, მატარებელი დაიძრა და დგებუაძეს ფაქტურა
გონი მოხსნილი დარჩა.

არ ვიცოდით, სად წავიდა ქვინიტაძე; მობრუნდა ერთი თუ
ორი(?) საათის შემდეგ და ჩვენც ჩაგვისხა მატარებელში.

არ ვიცი, სად დაეწია, ან თუ დაეწია „უკანასკნელი“ მატარებ-
ლით... მუდამ სადღაც «წინ» მყოფს... უორდანიას:

მაგრამ ჩვენ აღშფოთებული ვიყავით: „რას ელაპარაკება დე-
ზერტირების სარდალს?! რატომ არ გვიბრძანებს მის დაჭერას?!“. ერთი
ნიშანი რომ მოეცა, — დავხვრეტდით, ან ხიშტებზე ავაგებ-
დით, „დისციპლინის უტიფრო დამრღვევს“.

მაგრამ, ალბად მაშინაც იმას ფიქრობდა, რაც მერე მითხრა პა-
რიზში: „...სამოქალაქო ომს ხომ ვერ გავმართავდით!..“ო:

* * *

ქუთაისში. ეს კი ვიცი, ქუთაისში ჩემი მიმართვა ცალქი
„მოლვაწეებისადმი“, თუ დაწესებულებისადმი: „რაღაც ზომების მი-
ლებაა საჭირო, ხალხის გასამაგრებლად, მხედრობის შესაჩერებლად“, —
— ყველგან ერთნაირ დაბნეულობას ხვდებოდა: „დიახ- დიახ, და-
წერეთ, მიიტანეთ... იქ... იმასთან“... (ასახელებდნენ სხვა და-
წესებულებას) და თვითონ ყველას პირზე „ევაკუაცია“, ბათუმი
ეკერა. ერთი-ორად გაზრდილი ქუთათური მოსახლეობა ყველა მხრი-
დან მოსულებით, ჭიათურელას ბუდესავით ირეოდა, აქეთ-იქით ეჩქა-
რებოდა ყველას, მაგრამ „სატახტო ქალაქს, — უორდანიას ენით რომა
ესთევათ, — ომისთვის სამზადისი არაფერზედ ეტყობოდა“.

მეორე დღეს, დილიდანვე ხალხს უკეთ შფოთვა დაეტყო და ყვი-
ლას სადგურისაკენ ეჩქარებოდა. კითხვაზე, მიმეორებდნენ: „მამი-
სონის გზით ყაზახები გადმოსულან, ქუთაისში მოდიან“—ო.

კინ ყაზახები, რამდენი? არავის ესმოდა და გარბოდნენ. ერთი
კი აშკარად ეტყობოდა, გარბოდნენ უფრო მოსულნი; ადგილობრივ-
ნი უფრო ზანტად და ინდეფერენტულად იქცეოდნენ. შუადღე იქნე-
ბოდა მგონი, მზე კი მაღლა იყო, მეც რომ სადგურისაკენ წავედი.

აქ საოცარი ამბები ვნახე: ხალხი გამალებით ეტანებოდა მა-



ტარებელს, თუმცა „პანიკა“ არაფერზე ეტყობოდა. უცემა უძრავი მოშორებით კედელთან გამოჩნდა სამი „ყახახი“, ე. ი. რუსის ჯარისკაცი, კარგად ჩატმული და შეშინებულ-გაღიმებული, ღაუღაუ ლო-ყებით, თოფებით ხელში... საიდანლაც რომ იგრიალა პირველმა ზარბაზანმა და გადაუარა კედელს, გამოჩნდა კიდევ 10-ოდევ... მაგრამ, ზედი-ზედ მოჰყვა კიდევ რამდენიმე ყუმბარა და ერთმა კედელიც შეანგრია. რუსები დაიმალნენ. არ ვიცი, რამდენი გამოვიდოდა კი-დევ, მაგრამ წინ მოედანი უცემ მოცალიერდა, არც ერთი შეიარაღებული ქართველი არც ჯარისკაცი, არც გვარდიელი, არც მილიციელი არ გამოჩენილა და აღარც რუსი. ამ „სცენას“ მეცა და სხვანიც ბევრნი, როგორც სეირს უყურებდით ასიოდე ნაბიჯიდან, ყველანი საკმაოდ გულგრილად. გაგრძელდა, შეიძლება, რამდენიმე წუთი და მიწყნარდა. არც ერთი თოფი არ გავარდნილა, არც მტრისა, არც ჩვენი მხრიდან.

მხოლოდ მერე, უკვე ვაგონებში ლაპარაკობდნენ: ვ. გოგვაძემ დაუშინა ზარბაზანი ჯავშნოსანიდან... „ოტსტუპლენიეს დასაფარა-ვად“ - აო. ვისი, რისი? — მატარებლებისაო!

ესე იყო „გამაგრებული და დაცული“ ქორდანიას „სატახტო ქალა-ქი“, საიდანაც: „ ვფიქრობ დით, სატახტო ქალა ქად გვე-ქნება ქუთაისი და იქიდან მივაწვდიდით ყოვე-ლივე სამხედრო მასალას, ჯარს და სურსათს მცხეთის მებრძოლ ჯარს“ - აო. (გვ. 182).

ამაზე, ქორდანიამ მარტო 24 თებერვალს 1921 წელს კი არ იფიქრა, როგორც სტუსი ჩვეულებრივად, არამედ ცოტა წინად, როცა 1912-ს წელს კიევში ხელმოწერით და რუკის შედგენით, მორალურად და თეორიულად, — ერთი მესამედი თბილისისა, ბორჩალოს მაზრიანად, დაუთმო სომხებს, მეორე მესამედი, — ადერბეიჯანს და მხოლოდ მესამე მესამედი (ალბად «ვერა») ვამეტა, — საქართველოსათვის.

ამაზე ფიქრობ და 1917 წელსაც, როცა „ბელინსკის“ ქუჩაზე №2, „სათავად-აზნაურო საკრებულოში“ წაგვიითხა მოხსენება იმავე „კიევისებური“ შინაარსისა. ეჭვი მაქვს, (191) 1921 წლამდე,



წინადაც კიდევ ბევრჯელ უფიქრია, მარტო ქუთაისშეუტრაზეული იქნებ ლანჩხუთის „ფიქრის გორაზედაც“, ან „ჩანჩხურეთში შემდგენა მოებშიაც, საცა „ნინოშვილის საფლავზედ დაიბადა საქართველო“ მათთვის. ამ მხრივ, მარქსისტულ-ინტერნაციონალური წარმოდგენა სამშობლოზედ, ბევრად არ განსხვავდება ხევსურის წარმოდგენისა-გან: „სადაც კუმბილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი, სად მა-მა-პაა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი... ჩემი სამშობლო ის არი“, ან მეგშევიკური ლექსით: „საცა კაცი კუჭის გაიძლობს, მისი სამშობ-ლო იქ არი“, გინდ ისარიც არ ესროლნოს, არც მამა-პაპის კუბო ეჩულვოს!

შემდეგ გამოირკვა, რომ მამისონის ულელტეხილით გადმოსულა 700 „ყაზახი“ (ამ გზე ბით ქუთაისამდე იმ დროს, როცა იქ ვიყავით, ნახევრიც ვერ ჩამოაღწევდა) და „სატახტო ქალაქში“, საცა „მთავრობაც“ ყოფილა ორ დღეს, — 7 მეთოფურიც არ და-ხვდა. სამაგიროდ, ბოლშევიკებმა შემდეგ აღმოაჩინეს 300 ხელუხლებელი ტყვიის-მფრევეველი... საწყობბში.

ან როგორ მოხდა, ჯარის ნაწილი თუ არ გაუგზავნიათ მამისონისაკენ, ამოდენა 100 კილომეტრიან გზაზედ და 60—70 კილომეტ-რიან „ჩიტის საფრენზედ“, რომ არსად დახვდა ის მამაცი გვარდია, ყოველ სოფელსა და ქალაქში შიშის ზარს რომა სცემდა... საკუთარ მცხოვრებლებს?.. რომ სათითაოდ, თუ ჯგუფებად, ეს 700(?) „ყაზახი“ ამოეწყვიტათ, ან დაეჭირათ? დვალეთიდან მთელი რაჭა, ნახევარი იმერეთი ისე გაიარეს ამ „ყაზახებმა“, ერთი თოფი არ გავარდნილა? ჩენ ხომ ჩეხო-სლოვაკია არ ვიყავით და ისინი — ზღვასავით მომსქდარი ტანკების აურაცხელი დივიზიები ჰიტლერისა?

სად იყვნენ „მოწინავე“ ფირალები, თავზეხელალებული ტერო-რისტები, ენამჭევრი პროპაგანდისტები და სხ.(192), რომ თოფის გა-

შენიშვნა (191): რას წარმოვიდგენდი, ეს ეჭვი პარიზში ლა გამიმართლდებოდა და თურქე ამაზედვე ჯერ კიდევ 1902 წელს უფიქრია...: „ტილიპუჭურში“.

შენიშვნა (192): ქრონოლოგიურად რომ ვიანგარიშოთ:



უსროლელად, ან უ-ჯულელის „პროტესტოდ“ მაინც, მოყლოფული მომართველობის გაუწევლად დააჭირინეს მტერ-სა?

* * *

პ ე ტ რ ე გ ე ლ ე ი შ ვ ი ლ ი . დამახასიათებელი ხომ არ არის ის ბაასი, რომლის უნებური მოწმე გაეხდი სადღაც სადგურზე?:

ერთ კუპეში ვისხედით შემთხვევით მე და პეტრე გელეიშვილი. სხვებიც იყვნენ უცნობნი. ერთ საღვურზედ ვაგონში შემოვიდა რა-მდენიმე მუშა, თოფებით მხრებზე,

— ამხანაგო პეტრე, ეს რა ამბავია, რავა იქნება ეხლა საქმე? რა გვეშველება? და სახეზედ აშეარა შეწუხება ეჩჩნეოდათ.

„ამხანაგმა“ პეტრემ ნერვიული გაბრაზებით შეჰყვირა:

— გამიჭირეთ საქმე, ყველგან მაგას მეკითხებიან: „რა მოხდა, რა მოხდა?!-ო, რა მოხდა? რაზე ღელავთ?: ერთი სოციალის-ტური პარტია მიდის, მეორე მოდის, სხვა არაფერი, საღელავი რაა? (თვითონ კი ამას აღშფოთებით ამბობდა).

არ ვიცი, როგორ ვაიგეს „მუშებმა-ამხანაგებმა“ მისი ეს სიბრძნე და თავჩაქინდრულები ჩავიდნენ უკან; მე კი მაშინვე მეორე ვა-გონში გადავედი, რომ, ყელში მობჯენილი სულით, რევოლუცია არ მეთხლიშა ამ ჰარამზადასთვის.

იქნება შევცდი, ღმერთო შეგცოდე! მას კი ფერისცვლაც არ და-სჭირებია, არც ვაგონისა, — „მეორე“ პარტიასთან დარჩა.

გოგი გოგიბერიძე, ვალიკო ჩუბინიძე, ზაქარია გურული და მათი ბე-ლადი ნოე უორდანია, თავიანთ „მემუარებში“, თითქმის ერთნაირი გამოთქმებით აღნიშნავენ აღმოსავლეთ საქართველოს, — „ჩამო-რჩენილ კუთხეებად“ და გურია-სამეგრელოს (ნამეტნავად პირველს) — „მოწინავედ“.



ბათუმში. ქუთაისიდან წამოსული, „თავისუფალერუჭნტელი რი“, საღლაც შეუერთდი „ჩემს ნაწილს“ და ჩავედით ბათუმშეუგზობრივება ზედ ლაპარაკობდნენ: „...საჯავახოს ხიდთან გროვდება მთელი ჩენი ჯარი და გვარდია... დიდი, გადამწყვეტი ბრძოლა იქ მოხდება...“ მართლაც მოსჩანდა აქა-იქიდან მომავალი ნაწილები (მერე გავიგეთ, რომ 13.000 მეომარი შეიკრიბა გ. მაზნიაშვილის მეთაურობით; რაც არ მომხდარი მთელი ომის განმავლობაში ამდენი მეომრის ერთად თავმოყრა). ყურ - დაცევეტილნი ველოდით ბათუმში, საჯავახოს ბრძოლების ამბავს, ...ელვასაეით ხმა რომ გავარდა, ზარბაზნების ჰექა-ქუხილის მავიერ: „მთავრობამ ზავი ჩამოაგდო ბოლშევიკებთან.... ჩენი ჯარი გადადის მათს განკარგულებაში...“-ო:?!?!?

მერე, თურმე ნუ იტყვით: „აქ [— ე. ი. „რიონის მარცხნა ნაპირს — იმერეთ-გურიის ხაზზე, როგორც ბრძანებს „დიდი (არა-ჰექის) ნოვე“] ხალნი იყო საიმედო, შეგნებული, სუ-ასათიც იშოვებოდა და სტრატეგიული დისალები იყო“ (ხაზი ჩემია. ჩ. გ.; გვ. 184 ნოვესი:) (193),

არ მესმოდა: რა ხდებოდა?.. ჯარი ემზადება საჯავახოსთან „გადამწყვეტი“ ბრძოლისათვის; ბათუმში სროლა გრძელდება: შივ ოსმალოს „პატრულები“ დაღიან; შორიდან მოსჩანს რუსების მომავალი „კოლონა“... ულობა გვიახლოვდება სამხრეთიდან!“-ო; ...ბათუმში

შენიშნვა (193): თუ მართალია ხაზასმული, რაღად ჩასცა ჟურგში ხანჯალი ამ „შეგნებულ, საიმედო ხალხს“; — სამტრედია-ში, მათი გადაცემით (-გაცემით) ბოლშევიკების განკარგულებაში?

ბრძოლა რომ მიეცათ, ხომ მეტს „დროს მოვიგებდით“ (?), შეიძლება, გავვემარჯენა კიდევ. და თუ ტყუილსა სწერს და სანდოდ არ მიაჩნდა არც ეს შეგნებული ხალხი (როგორც მხედრობა მთლად და კვინიტაძე, მაზნიაშვილი და სხვანი არა ერთხელ უტიფრად, — გათახსირებული ჰყავს), — როგორ კადრულობს ასეთი სულელური სიცრუის დაწერას? იქნება აქ-აც „დროს იგებდა“, თავისი შეგნებულად შეუგნებელი „პარტიისათვის“?: სანამ გაერკვევიან, მე ქე აღარ ვიქნები და ჩემს შემდეგ, ქვეყანა წყალსაც წაულიაო: „Мертвые срама не имут !“



უკვე „რევეომი“ა შემდგარი, ციხილან გამოშვებული სეზრფჭარიშვილი თარაძეს მეთაურობით“ და ათასი სხვა ხმა დადის უწაური.

ეს სულ ხდება 17—18 მარტს, როცა მთავრობა 16-დან უკვე გემზეა. აი, რა პირობებში მოდიან ჩემთან ვეშაპელი და ლელი ჯაფარიძე: „მოდებაძე გვთხოვს წავიდეთ მაზნიაშვილთან, ოსმალებს შეუტითოთ...“ -ო. მე რომ უარი უთხარი. მერე შალვა ქარუმიძე: „პარტიამ(?) გადასწყვიტა დარჩენა, მთავრობას არ მიჰყვება-ო.

ზედ დაერთო „დამფუძნებელი კრების“ სხდომა და ამბის გასაგებად, იქ გავიძეოცი.

„დამფუძნებელმა კრებამ“ «დასწყევლა ის მთავრობა (ივ. გომართელის, დ. ონიაშვილის, შ. მესხიშვილის და სხვათა პირით), რომელმაც ქვეყანა ასეთ მდგომარეობაში ჩააგდო, თითონ გარდის და... გამოსამშვიდობებლადაც არ მოდის ჩვენთან“ -ო.

ესაა, თურმე „მანდატის მიცემა ბრძოლის გასაგრძელებლად“! ასე იწერება „ისტორია“... მენტევიკებისა, „ერთი სოციალისტური პარტია მიღის, მეორე მოღის...“, ას უნდა ვლელავდეთ?

ზეპირად არ მახსოვეს, მაგრამ ჩემი თვალითა მაქვს წაკითხული ბრძანება, დაბეჭდილი მანქანაზედ, „სამტრედიის ზავის“ მიხედვით: „წინადადება ეძლევა ოფიციალს... ვისაც უნდა დარჩეს, ვისაც უნდა წამოვიდეს საზღვარ გარედ“ — და, თუ არა ვცდები, — „ხუთი ათასი მანეთის ჯამაგირით თვეში“ -ო.

ამ, შემთხვევით ხელში ჩავარდნილ, საბუთის №-ი (მვონი 5), თარიღი (მვონი 17 მარტი) და ბუნდოვანი ხელმოწერა, — არ მახსოვეს, მაგრამ ის ტორიული ისინამდვილის აღსაღენად და მის შრავალმხრივ გასაშუქებლად (თუ ვის რა წილი პასუხისმგებლობისა ეკისრება „საქართველოს უკანასკნელი დღეებისა“), ალბად ვისმეს ექნება შენახული და გამოჩნდება... „აბანოში“...

ოლონდ, ეხლავე გაუგებარია, თუ რა მიზნით „ვიგებდით დროს“ -ო (ჟორდანიას „წარსული“, გვ. 184), როცა უკვე 16 მარტს, „მთავრობა“(?) გემ „კირალიზედ“ გემრიელად იტალიურ მაკარონს მიირთმევდა, ლომის მაგიერ, — უკვე?



მკითხველს ეხსომება, თუ როგორ „დრო მოივო“ ბ-შერტერტული ნიამ, რუსების საიდუმლო აგენტებთან (ლებედინსკი და ტოლსტიო) საიდუმლო მოლაპარაკებით 1920 წელს, (გვ. 175 ქ. „ჩ. წ.“). როგორ „გადაადებინა ომი“ და როგორ „მოემზადა“... დემობილიზაციით: აქ, საქმით თუ არა, სიტყვების დალაგებით მაინც, თითქო მიავგნა სიმართლეს „დროს მოვება“. მაგრამ, «სამტრედიის ვერავობით» როგორლა, ან რიღასთვის „იგებდა დროს“, სიტყვიერადაც ბუნდოვანადა აქვს „ახსნილი“, რადგან უკვე სულ გაიხლრთა სიცრუეებში, ამბებისაგან გაონებული:

სწორედ მაშინ, როცა საიმედო, შეგნებული ჯარი და გვარდია კარგ სტრატეგიულ პოზიციაზე გრივდებოდა საბრძოლველად (ვითომ მისივე პლანით) და, — არასოდეს ასეთი დიდი რიცხვითაც, და უმატებ მე, — ნ. უორდანია აჭარმოებს მოლაპარაკებას მტერთან სამტრედიაში (რა უფლებით? ვისი დავალებით? ვისთან შეთანხმებით, ასეთს დიდსა და პასუხსავებ საქმეზედ? დემოქრატიული(?) თავმჯდომარეე?!?) რომელი „დროის მოვებით“? როცა თვითონ უკვე გემზეა გაქცეული, და, უკანასკნელი ბრძოლის ბრძოლის ბრძანების მიცემის მაგიერ, — მტერს აბარებს ამ ჯაჭს, საიმედოსა და შეგნებულს.

ამასთანავე, თავის მოტყუებულ მრევლს უმალავს, რომ ბათუ მში ოსმალები თვითონ მოიწვია გულუბრყვილოდ(?) და ეხლა ვითომ ამას იმიშეზებს, უცებ(?) სამტრედიაში სრულ კაპიტულაციისათვის (194).

უორდანია ხომ თავის უმწეობას აბრალებს — მხედრობას, მინისტრებს, ოპოზიციას... რეპლიკებსაც კი; და ახლა სხვები ნახეთ:

ნ. არმიშვილი იმეორებდა ბათუმში, სტამბოლში და პარიზში აც: „მთავრობამ ყველაფერი გააკეთა გამარჯვებისათვის, მაგრამ ხალხმა არ ივარგა“ -ო. როგორ გაკეთეს, ხომ დავინახეთ და ხალხს რა უნდა ექმნა?

შენიშნვა (194): პოლიტიკური ბავშვები ამბობენ: „უორდანიას უნდოდა ოსმალები და რუსები ერთმანეთისათვის შეეტკიცებინა“... ბათუმის გამოო.



ვ. ჯულელმა ხომ არა ერთხელ წარმოსოქვა ჩვეულებრუენურუსტული ბრძნე": ჩვენ ვიცოდით, რომ დავმარცხდებოდი გაუშევლად და უპროტესტოდ ხომ არ დავნებდებოდით"-ო. და რა წინააღმდეგობა გაუშია მისმა გვარ-დიამ და რა პროტესტი გამოუტადა მისმა თავმჯდომარე 17 მარტს სამტრედიაში — საქართველოსი და ჯარის გადაცემით მტრის ხელში, — ესეც ხომ ცნობილი და დაწერილია.

ლოლიკურად, ეს სამი დებულება = ბრალდება, — შეუთავსებელია (:გამოსული ერთი და იმავე წყაროდან: მენშევიკური პარტიიდან), მაგრამ დიალექტიკის წყალობით, სულ ადვილი გასაგებია: ეს ხომ სხვა და სხვა დროსა, გარემოებასა და „ტაქტიკის“ საკითხია და ლოლიკა რა შუაშია? თქვენგან არ მიკვირს!: უორდანის ბრალია, თუ რეპლიკანტებისა, — ხომ ბრალია; რამიშვილმა არ ივარგა, თუ ხალხმა, — ვიღამაც არ ივარგა; ვიცოდით, რომ დავმარცხდებოდით, მაგრამ პროტესტი ხომ გამოვაცხადეთ ?!

ვიღაცის ბრალია, ვიღამაც არ ივარგა, თვით ჯულელია, — ხუმრობა ხომ არ არის!, — პროტესტი გამოატაცადა და თქვენ გიკვირთ, ვითომ დიდი ამბავი მომხდარიყოს, — საქართველო, მისი ხალხი, ჯარი და გვარდიაც რუსს დარჩა? სამაგიეროდ, ჩვენ და ისტორიის დაგვრჩა უორდანის „ჩემი წარსულის“ ბოლება, ჯულელის „მძიმე ჯვარის“ ნერონისებური ცეცხლი, თვით ბატონ ე. გეგეჭკორის, არა ნაკლებ ცეცხლოვანი, წინასიტყვაობით და ნ. არამიშვილს თუ არ დაცალეს მემუარების დაწერა, ჩვენი ბრალი ხომ არ არის: კანუკვაძე, იმ „ხალხიდან“ გამოსული „მოწინავე მუშა“ იყო, რომელსაც „რუსეთის ს. დ. მუშათა პარტიამ“ ასეთი „ვარგისობა“ ასწავლა მხოლოდ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, ამ სამემუარო ნაკლს, მეოთხე ნოე შეასებს, როცა თავისის დასწერს, ისეთისავე დიალექტიკით, როგორც თავგამომეტებით იცავდა საქართველოს დამოკიდებულობას... საქართველოს დამოუკიდებლობაზე ხელის აღებით ვისბადენში; ან გრულატაძე — „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ“-ში და შემდეგ, წიგნში; ან ბატონი აკაკი ჩხერიძელი, — „თბილისი რომ რუსეთის რევოლუციის თავრიზად გადააქცია“; ან თვით კაკოს წერეთელიოსი, რომელ-

საც „საქართველოს წარსული გველივით ეზიზლებოდა“, მაგრამ მოქლი სიცოცხლე და კარიერა მის მომავალ დამოუკიდებლობის შემთხვევაში რა: რუსეთის მინისტრობაზე „ხელი აიღო“ და უბრალო „შატრონის ტანისამოსით გამოიქცა საქართველოში... pour nous monter des bateaux. ვინმე დასწერს, რადგან, ლვთის მადლით, ჯერ კიდევ ცოცხალი არიან და ხშირად შემიმჩნევია, რომ მოლა მასრადინასავით გულწრფელადაცა სჯერათ საკუთარი სიცრუისა: „ფლავს არიგებენ“-ო.

* * *

ი არ აღის დაურა. გულ-გატეხილი, გრძნობა-დაკარგული, ლეშივით და ცოცხლად-მყვდარი ვეგდე გემზე და მე მეგონა, აღარაფრის გრძნობა აღარ შემეძლო, მაგრამ „victis“ სასმისი, სჩანს, ბოლომდე უნდა დაგველია, როცა ფრანგის ჯავშნოსანმა ახლო გამოვეიარა და ბრძანება მისცა ჩვენს „კაპიტანს“: „ოსმალეთის ნაპირებს არ მიუახლოვდეთ“-ო! კაპიტანმა მიქელაძემ რაღაც სიტყვა შეუბრუნა, და, ახალი ნიშნის აფრიკალების შემდეგ—თეორი დროშაზე წითელი მზე: „ясно вижу“-ს რომ ნიშავდა თურმე, როგორც ავიისნეს, მოჰყა მეორე ბრძანება: „თუ გეზი შეგიცვლიათ და არ მოგვყვებით, ზარბაზანს დაგიშენთ, ჩაგდირავთ“-ო! ზღვაში თურმე ყოყოჩა დიალექტიკა აღარა სჭრის და ამის შემდეგ „კაპიტანი“ მიქელაძე აღარსად გვინახავს. ესეც არ გვაკმარეს, მეორე დილით იარაღი დაგვაყრენეს, რაზედაც უარესი დამამცირებელი, საზიზლარი გრძნობა არასოდეს არ განშიცდია არც წინად, არც შემდეგ.

ბევრჯელ წამიკითხავს და შემხვედრია ხომ: „იარაღი დააყრენეს“-ო, მაგრამ ასეთს სამარტენო გრძნობას თუ გამოიწვევდა, არასოდეს მეგონა. იუნკრების თოფები ერთ კუნჭულში დაჰყარეს და ორი ახმაზი ზანგი სადარაჯოდ დაუყენეს. ყველას, სირცხვილის ულონო ბრაზის ალმური აგვდიოდა და ველარაფერი ნუგეში იყო ჩემთვის, ჩემი თოფი რომ ზღვაში გადავაგდე და რევოლვერი... პარიზამდე ჩამოვიტანე. სირცხვილის გრძნობა, ეტყობა, ცოცხლად მკვდარსაც შესძლებია; მკვდრად ცოცხალ დიალექტიკოსებს თუ არა.

„Беда, коль пироги начнет печи сапожник, а сапоги точать пирожник“. Квеври о мебельном мастерстве, „Рауэ არ ექნას მამაშენსა, და რატომ უბრძოლველად არ ჩანურც შენ დაზე მარმაშებსა“—².

ამაზე მინდა უპასუხო..: „პიროვნიქმა“:

თუ კი პოლონეთმა, ლატვია, ლიტვა, ესტონეთმა, — გაცილებით უარესს პირობებში, — ოც წელიწადზე მეტს გაუძლეს, დამოუკიდებლობა შეინახეს, რატომ ჩვენ სამიც ვერ გაუძელით, ათასჯერ უკეთეს პირობებში?:

ჩვენ ხუთჯერ მაინც მეტი მანძილით ვიყავით დაშორებულნი მოსკოვიდან, ვიდრე ისინი. იმათსა და რუსებს შორის არავითარი ბუნებრივი დამაბრკოლებელი საზღვრები არაა, — გაშლილი მინდვრების გარდა, ჩვენ კი ათასკილომეტრიანი, ამინის უკუნისამდე სტრატეგიული ზღუდე გვფარავდა, — კავკასიონის მთაგრეხილი. იმათამდე მისასვლელად რუსებს გადასალახი არ ჰყოლიათ არც ერთი სხვა ერთი ან ტერიტორია, — ჩვენამდი, უკრაინა, ჩრდილო კავკასია, აღერბეიჯანი და სომხეთი. პოლონეთ-ლატვია-ლიტვა-ესტონეთს ერთად არასოდეს არა ჰყოლიათ 12.000 საუკეთესო ოფიცერი და 150.000 კარგი მეომარი ჯარის ერთაცი, რომელთაგან ნახევარზე მეტი დაგვიბრუნდა რუსის ჯარიდან. და სხ. და სხ.

მაშ, რაში იყო საქმე? — აი, რაში:

პოლონეთს, მაგ, სათავეში მოექცა პატრიოტი პილსუდსკი, თუმცა სოციალისტი, მაგრამ რომელმაც თავის „ამხანვებს“ უთხრა მოსწრებულად: „მე სადგურ „პოლონეთ“ -ზე ჩამოვტო და თქვენ კი სადგურ „ინტერნაციონალზე“ მიეჩქარებით“—³. ასევე მოიქცნენ ბალტიელი სოციალისტ-პატრიოტები, როგორც თავის დროზე ცნობილი გერმანელი სოციალისტი ბებელი.

უორდანია კი თვითონ მიაჭინებდა სადგურ „ინტერნაციონალი-საკენ“ და თავისუფალ მშეიდობიანობას მოწყვრებულ ქართველ

„ხალხსაც“, — სიტყვით, საჭირო და სიცრუით «საქართველოს სადგურზედ არ აჩერებდა... და ეხლა სწრეს: ამხანაგები არ მარტინ კარლი დნენო.

პილსუდსკი, უცხოეთსა თუ პოლონეთში, აგროვებდა ოფიცრობას და ლეგიონებსა ჰქმნიდა სამშობლოს დასაცავად, უორდანია, — შინ დაბრუნებულ ლეგიონ ოფიცრობასა და ზემდევს, „ძონტრირევოლუციონერებად“—ა სთვლიდა, გარედ ერევებოდა და სიკედილის წინაც, ვანვში, — „ჩემი შენ გითხარიო“, — რუსოფილობასა სწორებს, ავაზაკობას და ათასს თავისს უმსგავსობას.

პილსუდსკის დიდი ოპოზიცია ჰყავდა; ერთხელ იარალითაც გამოვიდნენ მის წინააღმდევ, გადააყენეს კიდეც და უორდანია საცოდავადა ჩივის: ათიოდე ოპოზიციონერი „ერთსულოვნობას არღვევდა“—ო. მთელი საქართველო ერთსულოვანი იყო უორდანიას გარშემო და მოუკიდებლობის საქმეში და იგი შლიდა და ძალით შლიდა (არ-არსებულ) „კლასთა-ბრძოლის“ ლოზუნგებითა და შეიარაღებული ხელით (195).

შენიშვნა (195): ნ. უორდანია 60 წლის „იუბილეს“ რომ იხდიდა პარიზში, შალვა ამირეჯიბმა სრული სიმართლე უთხრა: „საქართველო, დავით-აღმაშენებელის დროსაც არ იყო ისე გაერთიანებული (— და ერთსულოვანი. რ. გ.), როგორც თქვენ დროს“—ამ: და მენ-შევიქებმა ეს საყვედური, ქებად გაასაღეს: „დავით აღმაშენებელს შეადარაო“.

მართლაც, დავით აღმაშენებელს სრულიად აწეშილი, დანგრეული საქართველო დახვდა (16 წლის კაბუკს) და მძლავრი მტრებით გარსშემორტყმული იყო, მან კი გააერთიანა და „ოქროს ხანა“ მოუზადა სამშობლოს. უორდანიას დახვდა მთლიანი საქართველო და ამავე დროს, დანგრეული რუსეთი, წამხდარი ოსმალეთი, მიმქნავებული სპარსეთი, მან კი დაშალა ენით, ძალით, მარქსის ძვალით, ყელში რომ ჰქონდა გაჩირული და სამშობლო გადასცა მტრებს.

ეს თუ ქებად „საიუბილეო“, მათმა „დიალექტიკაშ“ შეიმუნიოს.



როგორ? თუ კი გ. კვინიტაძემა და გ. ჩხეიძემ 700 ჰა სამშენებლო ზემდეგი გაწვრთნეს ისე, რომ ვეფხვებივით ებრძოდნენ ასუსტას; თუ ბოლშევიკების მეთაურობით, ჩვენმა დამარცხებულმა ჯარმა, ოსმალები გაპყარა ბათუმიდან, — განა 7.000 იუნქერი და ზემდეგი რომ გვყოლოდა და 67.000 განზრახულ და ბიუჯეტ-გაფლანგულ ჯარიდან მესამედი მაინც — იმ დროს, — რუსები შემოგვივიდოდნენ?! და რა უშლიდა ხელს? განა გვარდიის წევრები იგივე ქართული სისხლისა და ხორცისანი არ იყვნენ, რომ უორდანია მუდაშ უპირდაპირებდა თავისი ინტერნაციონალური ბოდვით? განა ბოლშევიკ ჯულელი არ იყო, მოსკოვშე ლოცულობდა, „ნეტა როდის მოუახლოვდებიან ჩვენი ძმები საზღვრებს, რომ ხელი გაუწოდოთ“?—ო, განა პეტრე გელეიშვილი არ უწყირებოდა „ამხანაგებს“: „რა გააჭირეთ საქმე, ერთი სოციალისტური პარტია მიდის, მეორე მოდის“?—ო?

განა ჩრდილო-კავკასიელებს თავის დროზე მიეცველებოდით, ან ადერბეიჯანს, ან სომხეთს, რუსები შემოვიდოდნენ? განა 1920 წლის 7 მაისის „გრიშკას ზავით“ ჩვენი უღელტეხილების გაღმოსვლები არ გან-გვეიარალებინა და საიდუმლო, „დაჩოქილი მუხლების“ ძალით, ინგლისისათვის ომი არ გამოგვეცხადებინა, რუსებს ვინმე შემოუშვებდა? (196).

მაგრამ, ყველა ამის მაგიერ, რაც სახელმწიფო სათვისაა საჭირო, პარტიის კაცმა უორდანიამ, — პარტიული საქმე

შენიშვნა (196): გრიშკამ და უორდანიამ არჩევს მორიგება ბოლშევიკებთან, — გაყოფილ ძმა-რუსებთან (იხ. „საიდუმლო მუხლები“), — ინგლისის წინააღმდეგ, ვიდრე შეთანხმება დემოკრატიულ ინგლისთან, რომლისთვისაც კავკასიასთან ვაჭრობა, ნავთი და მარგანეცი, და აგრედე სტრატეგიული ფარი, — ბაქო=სპარსეთი=მოსულის სამკუთხედისა (ნავთის არე) — კავკასია, არის და იქნება მუდამ. ვინც კავკასიასა პფლობს, ხელში უჭირავს „დემოკლეს ლახვარიც“ ამ სამკუთხეთზედა და საკუთარ სამშობლოს გეოგრაფიის უვიც მეთაურ „ს. დ.“—სამ რა იცოდა, რომ ქალაქი მოსული როსტოკშეც კი უფრო ახლოა თბილისიდან, არამც თუ მოსკოვი.



აერთა მხოლოდ და ამით ქვეყანაც დაღუპა და პარტიაც. თუ კი უკუკულუა მჩატით მარქსის „ნოეს კიდობანი“ უფრო აამჩატა და ზღვში მიტევე ცურდა, დანარჩენ სამ ნოესთან ერთად.

სხვა არა იყოს რა, აბა თუ მთელი შემოფლიოს ისტორიაში იპოვით შემთხვევას, ერთ დროს, ერთ ადგილას, ერთ „მთავრობაში“, — ოთხი ნოე ყოფილიყოს? ან გინდ სხვა ერთ-სახელიანი ოთხი? „ერთ-სულოენობა არ იყოს!“. ამაზე მეტი ერთ სულ, ერთ ხორც, ერთ პარტია და ერთ-სახელიანი კიდევ და შეიძლება? საქართველო, ნოესი კი არა, „ნოეების კიდობანად“ გადააქციეს. ალბად წმ. „თამარ მეფის მიბაძვით“, „ზედ ალმასებიც დაჰყიდეს“... ეკლესიებისა, შუზეუმებისა და კერძო სახლებიდანაც გამოტანილი, ხონთქარსაც გვერდით ჩაუარეს და, არარატის მაგიერ, პარიზის *raté*-ზედ გაჩერდნენ.

აი, ჩემო მელქაძევ, რატომ ვიქაჭებოდით, შეგვეძლო მაშინ გავვეძლო, მაგრამ საქართველომ მენშევიკებს ვერ გაუძლო, თორემ ბოლშევიკებს კი გაუძლებდა მაშინ, როგორმე.

მით უფრო, რომ, ჩვენი უკანასკნელი ომის დროს, ძლიერს გათავებული იყო, და მარცხით, რუსების ომი პოლონეთთან, საშინელი სისხლიანი აჯანყება კრონშტადტისა ძლიერს ჩაქრობილი და თვით ჩვენი ომის განმავლობაში, — აჯანყება მოხდა აღერბეიჯანში და სომხებმაც დაიჭირეს ყაზახი. ამიტომ იყო, ბოლშევიკები გაბმით კი არ მოდიოდნენ, ხამუშ-ხამუშად გვიტევდნენ თრი-სამი დღის ხარვეზებით.

ეს იცოდა მთავრობამ (და სარდლობამაც?) და არა მარტო არაფრით დაეხმარა აჯანყებულთ (რითაც ვითომ ემუქრებოდა და „აშინებდა“ უორდანია ლებედინსკებსა და ტოლსტოებს. გვ. 175 „უ.“), არამედ არც გამოიყენა არაფრით. ჰეკერს, სრულადაც რომ ჰყოლოდა დივიზიები, ე. ი. მთლად 29.000, ერთთავად თვალი ზურგისაკენა ჰქონდა და ნაწილი ჯარისა იქ დაბანდებული.

და თქმა იმისი, რომ „დიდი რუსეთი პატარა საქართველოს მაინც მოერეოდა, მეტ ჯარს მოიყვანდა-ო, შემდეგ“ (?) — საწყალობელი თავის მართლებაა უვიცებისა. იმ დროს რომ გაგვემარჯვენა, პოლონეთ - ბალტიელებივით 20-ს წელიწადს მაინც გა-



გრძელდებოდა ჩვენი დამოუკიდებლობა, სამის მაგიერ უკიდესობის არც მთელი კავკასიის პლატფარმი დაეთმოთ დღე მდინარეობისა და ამერიკას, — რუსებისათვის.

მაგრამ მართალი გამოდგა ის ურია, რომელმაც დამოუკიდებლობის დროსვე გვითხრა: „ჩვენ ერთი ნოე გვყავდა და ღმერთმა წარლვნა მოიყანა, თქვენ ოთხი ნოე გყავთ და კარგი რა დაგემართებათ“-ო.

* * *

1922 წლის

უშნოდ და სირცხვილეულად გათავდა

„კონფერენცია“. ჩვენი დამოუკიდებლობა, განსაკუთრებით მენტევიების წყალობით, რომელთაც ვერასოდეს გაიგეს, — ერთის მხრით, ეროვნულ - სახელმწიფო ბრძოლისა და ეროვნულ - სოციალური წყობის შეთავსების აუცილებლობა (როგორიც უნდა იყოს რევიმი: სამეფო, რესბუბლიკა, დიქტატურა, ფართე დემოკრატია, გინდ ფეოდალიზმი თუ სხვა); მეორე მხრით, გინდაც რევოლუცია ჩაითვალის ბუნებრივ მოვლენად: დაგროვილ უკმაყოფილებათა ამოხეთქვად, ან «განვითარებულ ეკონომიკურ ძალთაგან, — მოძველებულ დამაბრკოლებელ არტახების გარღვევად», (რომელთა გან არც ერთს აღგილი არა ჰქონია ჩვენში), — საქართველოსათვის მხოლოდ უცხო და შეუფერებელი პარტიის მოვლენა იყო მომაკვდინებელი.

რადგან საქართველოში კლასები არ არსებობდა, — ბურჟუაზია და პროლეტარიატი ძლივსა ჰქნაოდა, — მარქსის ცრუ თეორია, მსოფლიო ისტორიულ კლასთა ბრძოლისა, სრულიად გაუმართლებელი რომ გამოდგა იმ ქვეყნებისათვისაც, რომლებზედაც ვითომ ზედგა-მოჭრილი იყო (197), — საქართველოს უფრო ნაკლებ მოადგა, ვიდრე „ვირს კურტანი“, ჩვენში რომ იტყოდნენ. ამიტომ, აგრარულ ქვეყანაში, ის მცირეოდენი სისწორისა, სიმართლისა და სამართლინობის დადებითი ნატამალიც თუ იყო პროგნოზებში, — სახელმწი-

შენიშვნა (197): ინდუსტრიალური ინგლისი, ამერიკა, გერმანია, საფრანგეთი და სხ.

ფოს ნაწილებისა და ერთმანეთის შემავსებელ სოციალურ ფრენტის უმსგავსს შეჯახებად სცადეს გადაექციათ, ჩვენმა, რუსულ და ბრძოლა ნათლებელმა მარქსისტებმა.

ათასი მაგალითი აქ მოყვანილი (და რამდენი მოუყვანელი) ამის დამამტკიცებელია. თვით „აგრარული რეფორმა“, თავისი მომდევნო „დეკრეტით“ და წინასწარი თუ თანამდევარი „აგრარული ტერორი“-თ. — საუკეთესო მაჩვენებელია. ქართველი ხალხის ისტორიულ გამოცდილებასა და დარბაისლობას უნდა უმაღლოდეთ, რომ არ აჰა უკავა ყაჩაღანა „თეორიულებს“ და უარესები არ მოხდა როგორც რუსეთში; თორემ მაგალითითა და სიტყვით წამჭეზებელნი კი არ აკლდა.

რადა ლირს, თუნდ ბატონ კოშია გვარჯალაძეს „გამოსვლა“ ჯერ კიდევ „ეროვნულ საბორში“, დორბლით პირზე: „თავად-აზნაურობა სულ უნდა ამოიულოიტოს“, -ო, ან ვალიკო ჯულელის მინაწერი პარიზიდან თბილისში: „...სხვას თუ ვერაფერს მივაღწიეთ, თავად-აზნაურობა ხომ გავანადგურეთ...“; ან თვით ბ-ნ ნოე უორდანის ქებათა ქება აგრარული ტერორისა, პარიზის რუსულ გაზეთში? (198).

სხვადასხვა სახელწოდებისა და „ფასონის“ ტარცვა-გლეჯაზედ ხომ გაჩერებაც არა ლირს, რადგან შეუჩერებელი იყო და „დამთავრდა“ (?) საექლესიო, სამუშეუმო, სახელმწიფო, თუ კერძო ქონების გატაცებით... სტამბოლსა და პარიზში გასაბაზრებლად (199).

შენიშვნა (198): მაშინ ხომ თვითმკელელობით უნდა დაეწყოთ და საკუთარი პარტიის ერთი მესამედი მაინც ამოეწყვიტათ, რადგან თავად-აზნაურობის ტიტრი ხომ არ იცვლება იმისაგან, თუ რომელ პარტიაში ხარ ჩაწერილი და ანდრონიკაშვილებისა, ჯავახიშვილებისა, წერეთლებისა, ჯაბადრებისა, გეგეჭკორებისა, დადიანებისა და ათასი სხვა მეტი ვინ იყო „სოც.-დემოკრატიულ პარტიაში? (იხ. თუნდ გ. გომრგაძეს წიგნი).

შენიშვნა (199): ჩემი ცნობების გარდა, იხ. ამაზე ალიხანა-შვილისა, რუხაძისა, ფარნიევისა, ლაშქარაშვილისა და სხვა „სოც.-დემოკრატების“ ნაწერები.



აი, რა პირობებსა და ატმოსფეროში, «რის» შემცირებული იქრიბა, ე.წ. „პარიზის კონფერენცია“ 1922 წ.

სამწუხაროდ, არ მახსოვს დაწვრილებით მისი ყველათერი („არ-ჯივი“ კი ხომ ცხრაკლიტულში ინახება მზეთუნახავისავით, რადგან მისი გამომზეურება, მართლა მზისაგან უნახავ „რამებს“ გამოამ-უღავნებდა), მაგრამ მთავარი და დამახასიათებელი, — კარგად.

შეიქრიბა 30-მდე «ყოფილი» „პასუხისმგებელი“ მთავრობის წევრი (ერთი კოწია და სამი ნოე), დამფუძნებელი კრების, პარლა-მენტის და სხვა დაწესებულებათა უ. წევრნი, ელჩები და სხვა. შემა-დგენლობით სხვა და სხვა პარტიისა. როგორც ახალი მკვდარის ჭი-რისუფალთ, ფსიქოლოგიურად ჯერ შეურიგებელთ ამ ფაქტთან, ყველასა გვჯერა საქართველოს, აი, აი აღდგენა, — სულ ერთი წე-ლიწადია მხოლოდ გასული ხომა... და იმართება მსჯელობა.

მე, ნაციონალ-დემოკრატიის მანდატით საქართველოდან და ბ-ნი ბენია ჩხიკვიშვილი სოციალ-დემოკრატიისაგან, არჩეულები ვართ მდივნებად. თავმჯდომრეობს ნ. უორდანია, მთავარი მომხსე-ნებელი, სხდომების „წამყვანი“, და, ასე ვსოდეთ, იმედებით სავსე მებრძოლი არის ნ. რამიშვილი.

წარსულის „ყველათრის“ გადასინჯვითა და მომავალის (სულ ახლო რომ გველანდებოდა), გათვალისწინებით, მივედით იმ დაკვ-ნამდე და შეთანხმებასაც ხელი მოვაწერეთ, რომ „საქართველო უნ-და ალსდგეს, როგორც დემოკრატიული რესუბლიკა“, მაგრამ, ვინა-იდგან... და სხვა და სხვა, — სახელმწიფოს საზღვრების დაცვა (ე. ი. ჯარი უგვარ დიოდ, — მთავარსარდალი და სამხედრო მინის-ტრი); საგარეო საქმეთა და ფინანსთა სამინისტრო, უნდა იყოს ეროვნულ ელემენტების ხელში. რაც შეეხება შინა-ურ წესწყობილებას, ე. ი. მუშათა და გლეხთა უფლება-მოვალეო-ბასა და კანონმდებლობას; განათლებისა, იუსტიციისა და კონომი-ური ურთიერთობის სამინისტროები, — სოციალისტებისაში. ყველაზე მეტი კამათი გამოიწვია შინაგან საქმეთა სამინისტროს საკითხმა და გათავდა კომპრომისით: მინისტრად დარჩა(?) ნ. რამიშვილი და მის თანაშემწედ გ. ვეშაპელი...გაბდა(?).

როგორც ყველათერს ქართულს, რაღა თქმა უნდა, ამ კონფე-



რენციასაც დაპყვა თავისი კურიოზებიც: მე და ბენია ერთაც ჭირისხელი დით, რომ ერთმანეთთან შეგვეთანხმებინა ოქების სისწორე და ერთ-ნაირად გაგება; ერთხელ როგორლაც ვეუბნები: აი, ხომ ხედავთ, როგორ ადვილად და კარგად ვთანხმდებით, როცა ერთად ვსხედვართ ვმსჯელობთ და იქ, საქართველოში რა ღმერთი გიშერებოდათ, რომ არავინ გაიკარეთ, არაფერი გაიგონეთ და თავშეუდებელი სოციალიზმით ქვეყანა დალუპეთ? და ასე მიასუხა:

— კაცო, მე რა სოციალისტი ვიყავი; მოგეცათ ჩემთვისაც პატა-რა მამული და მეც თქვენთან ვიქნებოდი,-ო. (?).

მერე, ვინ დაუჭერდა განა?

მეორე კურიოზი უფრო რთული გამოდგა. ბ-მა გრიგოლ ალში-ბაიამ მოითხოვა „მთელი ევროპისათვის წარმომადგენლობის მანდატი“... თავისათვის, მთავრობისაგან (აღმად აკავი ჩხენ-კელის მაგიერ) და ამის წინააღმდევ სასტიკად გაილაშქრან. რამი-შვილმა. (და, ცოტა უფრო მორიდებით გრიგოლ ვეშაპელმაც, თუმცა ერთი პარტიისანი იყვნენ ორთავ გრიგოლნი).

გ. ალშიბაია საშინლად აღელდა, ხმა აუწია და უკმეხად შეეხო მის „მინისტრობას“.

— შენ გაჩუმდი!, — წამოუხტა მაგიდის მეორე მხრიდან ნ. რა-მიშვილი, — თორემ წარმომადგენლობა კი არა, აქაც შენი ყოფნა ზედმეტი იქნება-ო,

ჩვენ და მაგიდამ „გაპყარეს მებრძოლნი“... „ქართლის ცხოვრების“ ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, და, ალშიბაია გავარდა კრებიდან მუქარითა და ლანდღებით; მაგრამ ნოე რამიშვილი გამოუდგა და კიბეზე მიმარბენელს ჩაპყვიროდა: „დამაცა, შენი ბაქოს ამბები და სხვა ყაჩალობა რომელ წარმომადგენლობამდე მიგიყვანს, დაინახავ“-ო.

მაგრამ ამით არ გათავებულა გრიგოლთა ძიძგილაობა და ნამდვილ გრიგალსაც შევესწარით. თურმე სადღაც შეხვედრიან ერთ-მანეთს და „ჩხუბი“ (?) მოსელიათ პოლიტიკურ ნიადაგზე. „პარტი-ამ“ დაგვავალა მე. და უპატიოსნესსა და უკეთილშობილესს ნიკოლოზ ჯაყელს (ბაქოელ „მენავთესა“ და ერთ-ერთ „ელჩს“), — მა-



თი შერიგება. წინასწარ მოლაპარაკებით და ორივე მხრიდან მოლოდინის მიღებით, რომ ერთმანეთთან ბოლიშს მოიხდიან, ზაქა ნიკოლოზმა მიგვიწვია თავის დიდის საუცხოვო ბინაზედ. შუა ოთახში ვისწერით და, პირობისამებრ, ერთი მხრიდან მე გაულე კარი ალშიბაის და მოწინააღმდეგე კარი გაულო ვეშაპელს მასპინძელმა, მაგრამ, ბოლიშის მაგიერ, ალშიბაიამ: „შე ჰარამზადავ, შენთან უნდა მოვინადო ბოლიში? წიწილივით გაგლეჯავ!“ -ო, ებდოვნა ვეშაპელს და ყელში ხელები წაუჭირა. ყვირილით, შერცხვენით, შუაში ჩავარდნით ძლივს გამოვლიჯეთ ერთმანეთს, კერტავრივით მაღალი, ლამაზი და ღონიერი ალშიბაი და გაფითრებულ-გაშმაგებული ვეშაპელი. ასე, ლანძღვითა და ყვირილით შეურიგებელნი... გავაპარეთ ცალცალკე, სხვა და სხვა კარით.

მარტო პირადი ქიშპობით ძნელი ასახსნელი იქნებოდა ესეთი გააფთრებული „ჩხუბები“, პოლიტიკური სარჩულიც არა სდებოდა:


ჯერ კიდევ სტამბოლში, „პარიზის კონფერენციამდე“, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კომიტეტის სხდომის წინასწარზედ, — ბ-მა გრ. ალშიბაიამ შემოიტანა პროექტი: „რადგან გურიამ(?) დალუპა საქართველო, ეხლა სამეცნიერო უნდა გადაარჩინოს იგი, განსაკუთრებით შექმნილ სამინისტროთი“ -ო.

— როგორ?

— ა..აი, ბატონებო, სპირიდონ კედია უნდა გამოვიწეროთ (200) და პრემიერ მინისტრად ავირჩიოთ: ევგენი გეგეშვილი და აკაკი ხოშტარია (201) ბუნებრივად საგარეო საქმეთა და ფინანსთა მინისტრები არიან ხომა, მე უნდა მქონდეს მანდატი სრულიად ევროპიათვის წარმომადგენლობისა, როგორც *Ministre plénipotentiaire* და დანარჩენებს...

შენიშვნა (200): იმ დროს, სპირიდონი ჯერ კიდევ მეტეხის ციხეში იჯდა და ალშიბაიამ ილიქო მამულიას ხელით გაუგზავნა ფული: „უსათუოდ აქეთ უნდა გამოგზავნოთ“ -ო. ალბად თითონ მამულიას სტოკებდა, როგორც იყო, — „კომზდრავ“ -ად.

შენიშვნა (201): ა. ხოშტარია მაშინ წასული იყო მოსკოვში და თავის სპარსულ „კონცესიას“ ეძებდა.



ამ დროს შემობრძანდა ჩვენი პატივცემული თავმჯდომარებული იოსებ დადიანი და მორიგ საკითხებს შეუდექით, ისე რომ ბ-ზ გოლს, კომიტეტის 15 წევრის ოფიციალურად გახსნილ სხდომისათვის ეს „პროექტი“ დამთავრებულად აღარ წარმოუდგენია. მაგრამ,

მე ვფიქრობ, იი, ამ გამეღავნებულმა პოლიტიკურმა „გეგმა“-მაც შეუკეთა ცეცხლი რამიშვილსა და ვეშაპელს, ბატონ გ. ალშიბაიას სხედ „ქველობებთან“ ერთად.

შეიძლება, მკითხველმა იფიქროს, რა მოსატანია ასეთი „პატივული ჩამოკიდებული“ გეგმებიო, მაგრამ, რადგან პატივში ტრიალებდა ასეთი კუთხური სულისკვეთება, გინდ იქიდანა სჩანს რომ, ათიოდე წლის შემდევ რომ გაუქმნდა ჩვენი ოფიციალური საელჩო და ფრანგის მთავრობამ შემოგვთავაზა „ოფიციოზური კომიტეტის შექმნა საქართველოს და ქართველების ინტერესების დასაცავად“; ქ. სათეისტომოს მრავალრიცხვნა კრებაზედ ბ-ნმა აკაკი ჩხენკველმა შემოიტანა ან ა ლოგიური პროექტი: „უნდა შეიქმნეს „კომიტეტი“ 11 პირისაგან“ (პატივი პარტია და ჯგუფი იყო უკვე მაშინ) და სიაც წარმოადგინა: ნაც.-დემოკრატებისაგან — სპ. კედია, გრ. ცხაკაია და გ. გვაზავა: სოც.-დემოკრატებისაგან — ა. ჩხენკველი, სალაყაია (სხვა აღარ მახსოვ), სოც.-ფედერალისტებისაგან — ს. ფირცხალავა (სხვა აღარ იყო) სოც.-რევოლუციონერებიდან — ი. გობერია (სხვა აღარ იყო): თეთრ-გიორგელთავან — მ. კედია და სალია.

და როცა უსაყვედურე „ასეთი ალშიბაისებური შეჩერევა“, ერთ-ერთ თაობისზედ, ცოტა დაიბნა და... „სრულიად არ მიფიქრა მაგაზედ. შემხვევებით მოხდა“-ო. და მეორე დიდი ომის დროს ხომ „ამალებულმა“ მიშა კედიამაცა მრეხვა: „ქართლი და სამეგრელო ძველებურად(?) უნდა შევერთდეთ და გურულები გავდევნოთ“-ო. და... მეგრელების მეტი არავინ გაიკარა, — ქრონოლოგიური რიგით! კ. კობახიძე, ჯლანჯლავა, ა. ქორქია, ა. ცომაია, მ. ალშიბაია და სხვა. იმანაც: „შემთხვევებით მოხდა„-ო.

და, იი, რა წრეებიდან გვესმოდა ხშირად „უპელები“: „ოქვენ(?) კუთხურ ინტერესებს იცავთ“-ო.

ასე „გასრულდა ჩვენი ამბავი, ვითა სიზმარი ლამისა“:
„ჭირი იქა, ლხინი აქა!“



დასკვნა. ასეთი «გამოცდილების» შემდეგ, შექმნიური ზოგადი ქართველოს ოცნება მაინც დამოუკიდებლობაზედ, თუ არა?

თუ დაუკვირდებით მსოფლიოსაგან თანდათან დამატევიდებელ სულისკვეთებას, ერთა დამოუკიდებლობის აუცილებლობაზედ;

რომ, არა მარტო ქართველმა ერმა განიცადა უცხო, რუსის ერის სულისა და პრიუიკის პარტიის მეთაურობა დამოუკიდებლობის ღრის, არამედ ქართველმა კომუნისტებმაც იწვნიეს იმავე რუსების სუსახი, მაგრამ გამოიწაფნენ ბრძოლაში და სახელმწიფი ფორმაზე ბრძოლაში. (და არა მხოლოდ ნგრევაში, უწინდებურად მენშევიკებთან ერთად).

თუ რომ ქართველი ემიგრაცია გაერთიანდება ჯანსაღი ეროვნულ-სახელმწიფო ფორმის გარშემო (და არა გაცემის პარტიულ „იდეალების“ ირგვლივ) და ხელს გაუშვდის საქართველოშიაც სახელმწიფო ბრძოლის მოაზროვნე ხალხს, გარედან დახმარებით. — მაშინ არავითარ პესიმიზმს ადგილი აღარ ექნება ჩვენი გამარჯვებისათვის.

• საქართველოს ათასწლოვანი ისტორია, ქართველი ხალხის ეროვნული სული. — ამის საწინდარია.

საცა უნდა იყვნე, საქართველოსა თუ ხინწობაში გაფანტული, სამშობლოზე იფიქრე, ქართველო, სამშობლოსათვის იშრომე და იზრუნე, იბრძოლე, რადგან არა მარტო

„ვინცა მოკვდა მეფეთვოის,*) მათნი სულნი ზეცას რბიან“, როგორც ამბობდნენ ჩვენნი წინაპარინ, არამედ შენც შეგწევს ძალა, საქართველოს მომავალ ბრწყინვალებას ერთი ნაპერწყალი მაინც შექმატო. — და „აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია!“



*) მეფე ძველად სამშობლოს სიმბოლო იყო.

K298.825
031063-
005-00000000